თავდაცვის ეროვნული აკადემია

ელვერ კუპატაძე

ქართული ეროვნული საჯარისო შენაერთების ისტორია 1921-1956 წლებში

თბილისი 2011წ

UDჩ(უაკ) 355-1(479 22)(09)
კ-91

ნაშრომში პირველად ქართულ ისტორიოგრაფიაში განხილულია ქართული საჯარისო შენაერთრების შექმნა 20-იან წლებში მათი ორგანიზაციული სტრუქტურა, კადრებით, შეიარაღებითა და აღჭურვილობით დაკომპლექტება, სამხედრო-პოლიტიკურ მომზადებაში მიღწეული წარმატებები. განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი დიდი სამამულო ომის მნიშვნელოვან სამხედრო ოპერაციებში მათ აქტიურ მონაწილეობას.

მონოგრაფიაში გაშუქებულია აგრეთვე ომის შემდგომ პერიოდში (1946-1956წწ) ქართული მსროლელი დივიზიების მიერ თურქეთ=საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საზღვრის საიმედოდ დაცვა, მეთაურთა კადრების მომზადება და სამხედრო წვრთნებში სისტემატიური მონაწილეობა. ბოლოს კი ნაჩვენებია ამ ეროვნული შენაერთების რეორგანიზაცია და დაშლა.

რედაქტორი – მაყვალა ნათმელაძე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი.

რეცენდენტები:

1. **ფარნაოზ ლომაშვილი,** ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.
2. **ელგუჯა მამუკელაშვილი,** ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,- პროფესორი.

IშBN 978-9941-0-1911-1

რედაქტორისაგან

წინამდებარე მონოგრაფიის ავტორია ცნობილი სამხედრო ისტორიკოსი, პროფესორი ელვერ კუპატაძე. მას გამოქვეყნებული აქვს 16 წიგნი, მონოგრაფია და ხუთ ათეულზე მეტი სამეცნიერო სტატია.

გამოკვლევას საფუძვლად დაედო მის მიერ 1993 წელს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმატებით დაცული დისერტაცია.

ნაშრომი ემყარება მდიდარ წყაროთმცოდნეობით ბაზას, რომელთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია ყოფილი საბჭოთა კავშირის სამხედრო არქივების, აგრეთვე საქართველოს უახლოესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივის ფონდებში დაცული მასალები (მათი უმეტესობა პირველად შემოდის სამეცნიერო ბრუნვაში) გარდა ამისა ნაშრომი ეყრდნობა სათანადო სამეცნიერო და სამხედრო-მემუარულ ლიტერატურეს, აგრეთვე საკავშირო და რესპუბლიკურ ჟურნალ-გაზეთებში დაბეჭდილ პუბლიკაციებს. ამ ზღვა მასალის კრიტიკულად შესწავლისა და განალიზების შედეგად შეიქმნა ეს საინტერესო და ორიგინალური ნაშრომი.

ქართული საჯარისო შენაერთების შექმნა, მათი ორგანიზაციული სტრუქტურა, შეიარაღება, კადრებით დაკომპლექტება და რაც მთავარია, თითოეული შენაერთის საბრძოლო გზის თანმიმდევრული და ჩვენებით შეივსო ქართულ ისტორიოგრაფიაში მოცემულ პრობლემაზე დღემდე არსებული ხარვეზი.

ელ. კუპატაძის მონოგრაფია, რომელიც ფაქტობრივად 1921-1956 წლების საქართველოს სამხედრო ისტორიის სურათს იძლევა, უაღრესად საჭირო და საინტერესო ნაშრომია არა მხოლოდ სამეცნიერო-თეორიული, არამედ პრაქტიკული თვალსაზრისითაც. ამ წიგნის გამოცემა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტულ აღზრდას. კარგ სამსახურს გაუწევს თავდაცვის ეროვნული აკადემიის, ძალოვანი უწყებების სასწავლებლების მსმენელებს, კადეტებს, მათ პედაგოგებს და საერთოდ საქართველოს სამხედრო ისტორიით დაინტერესებულ მკითხველებს.

ვუძღვნი ჩემი მშობლების –ბაბო ალექსანდრეს – ასული გიგაშვილი-კუპატაძისა და სერგო იასონის-ძე კუპატაძის ნათელ ხსოვნას.

შ ე ს ა ვ ა ლ ი

ქართველი ხალხის ხანგრძლივ ბრძოლას თავისუფლების და დამოუკიდებელი, სუვერენული სახელმწიფოს შექმნისთვის XX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს რეალური შედეგები მოჰყვა. კერძოდ, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მასში შემავალი რესპუბლიკების უმრავლესობის მსგავსად საქართველო მტკიცედ დაადგა დამოუკიდებლობისაკენ მიმავალ გზას. ამის დასტურია ჯერ ევროპის თანამშრომლობის და უშიშროების საბჭოში, ხოლო შემდეგ გაერთიანბული ერების ორგანიზაციაში საქართველოს სრულუფლებიან წევრად მიღება.

ცნობილია, რომ დამოუკიდებლობისაკენ მიმავალი გზა მეტად რთულია. პოლიტიკური თავისუფლების მოპოვება ჯერ კიდევ არ ნიშნავს სრულ თავისუფლებას. ყოველ შემთხვევაში ამის მიღწევა არ შეიძლება მანამ, სანამ ქვეყანა ეკონომიკურად არ მომძლავდება.

ქვეყნის დამოუკიდებლობის და სუვერენიტეტის შენარჩუნება კი შესაძლებელია კარგად ორგანიზებული და თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად სათანადო სამხედრო ტექნიკით აღჭურვილი და გაწვრთნილი შეიარაღებული ძალების მეშვეობით. ამიტომ ნატოში

ინტეგრაციისა და შეიარაღებული ძალების აღმშენებლობის თანამედროვე ეტაპზე უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმ უმდიდრესი ისტორირიული გამოცდილების გათვალისწინებას, რომელიც ქართული ეროვნული ნაწილების მშენებლობას, მათი ჩამოყალიბებისა და არსებობასთანაა დაკავშირებული.

ქართული ეროვნული საჯარისო შენაერთების შექმნა 20-იანი წლების დამდეგიდან მათი არსებობის მანძილზე, უფრო ზუსტად 50-იან წლების მეორე ნახევარამდე, მათი ორგანიზაციული სტრუქტურის ჩამოყალიბება დღემდე სპეციალური კვლევის საგნად არავის გაუხდია. სულ რამდენიმე ნაშრომი მოგვეპოვება, რომლებშიც ზოგადადაა განხილული ქართული წითელი ლაშქრის შექმნა. ამ მხრივ პირველ რიგში უნდა დავასახელოთ კრებულები ქართული დივიზიები საბჭოთა ხალხის დიდ სამამულო ომში[1], სამშობლოს დამცველთა უკვდავი გმირობა[2] და საქართველოს ისტორიის ნარკვევების მე-7 ტომი,[3] მაგრამ ამ ნაშრომებში მცირე ადგილი აქვს დათმობილი პირველი და მე-2-ე ქართული მსროლელი დივიზიების საბრძოლი გაწვრთნილობას, სათანადო კადრებით დაკომპლექტებას, შეიარაღებასა და სხვა საკითებს. რაც მთავარია, შეფასებული არაა 1938 წელს ეროვნული დივიზიების დაშლის ფაქტი.

ყურადღებას იპყრობენ გენერლების გ.მაზნიაშვილისა და გ.კვინიტაძის მოგონებები[4] რომელებიც ქართული წითელი არმიის პირველი ნაწილების შექმნაზე მოგვითხრობენ.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ამონჟოლოვ კერეიხანის სადოქტორო დისერტაცია,[5] რომელშიც მდიდარ საარქივო მასალაზე დაყრდნობით განხილულია ეროვნული სამხედრო ფორმირებანი საბჭოთა შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში 1917-1945 წლებში. ავტორი ამა თუ იმ მოკავშირე ან ავტონომიურ რესპუბლიკაში დაწვრილებით აგვიწერს ეროვნული სამხედრო ფორმირების შექმნას, მათი ორგანიზაციული სტრუქტურების ჩამოყალიბებასა და განმტკიცებას. ბოლოს კი გვიჩვენებს მათ საბრძოლო დამსახურებას დიდ სამამულო ომში. თუმცა ქართული დივიზიების საბრძოლო მოქმედება რამდენადმე სრულად არ აქვს აღწერილი. მიუხედავად ამისა, ამონჟოლოვ კერეიხანის ნაშრომი უაღრესად საინტერესო და საყურადღებოა ქართველი მკვლევარებისათვის.

მაშასადამე, როგორც ვხედავთ, ქართულ ისტორიულ მეცნიერებაში დღემდე არ არსებობს არც ერთი მეცნიერული გამოკვლევა, რომელშიც თანმიმდევრულად იქნებოდა გაშუქებული ქართული ეროვნული სამხედრო შენაერთების ისტორია 1921-1938 წლებში.

ახლა ვნახოთ თუ რამდენადაა შესწავლილი ქართული ეროვნული დივიზიების ხელახლად შექმნა და მათი საბრძოლო დამსახურება საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის პერიოდში. ამ თვალსაზრისით პირველ რიგში უნდა დავასახელოთ გ.ბურნაზიანის მონგრაფია[6]. მასში ავტორი საარქივო მასალებზე დაყრდნობით განზოგადებულად განიხილავს ამა თუ იმ ოპერაციაში ქართული, სომხური და აზერბაიჯანული დივიზიების

მონაწილეობას. გვიჩვენებს მათ საბრძოლო შემართებასა და დამსახურებას. თუმცა ეს ნაშრომი არც ხარვეზებისაგანაა დაზღვეული. კერძოდ, საერთოდ ყურადღება არა აქვს დათმობილი იმას, თუ როგორი იყო ეროვნული ნიშნის მიხედვით პირადი შემადგენლობა ამა თუ იმ დივიზიაში. ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაკლად მიგვაჩნია ისიც, რომ ავტორს ერთი სიტყვაც არა აქვს ნათქვამი 1941-1942 წლებში ყირიმის ფრონტის შემადგენლობაში მყოფ ეროვნულ შენაერთებსა და მათ საბრძოლო დამსახურებაზე. ამასთან არც თუ იშვიათად ქართველი ჯარისკაცებისა და ოფიცრების გვარ-სახელები დამახინჯებულად არის წარმოდგენილი. მიუხედავად ყოველივე ამისა, გ.ბურნაზიანის მონოგრაფია ერთ-ერთ პირველ სერიოზულ ცდად უნდა მივიჩნიოთ, რომელშიც განზოგადებულადაა წარმოდგენილი ამიერკავკასიის რესპუბლიკების ეროვნული დივიზიების საბრძოლო დამსახურება მეორე მსოფლიო ომის გადამწყვეტ უბნებზე.

საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის პერიოდ-ში 224-ე, 414-ე, 392-ე ქართული მსროლელი და 242-ე ქართული სამთო-მსროლელი დივიზიების საბრძოლო მოქმედებები აღწერილია ჩვენს მიერ უკვე ზემოთ დასახელებულ კრებულში – ქართული დივიზიები საბჭოთა ხალხის დიდ სამამულო ომში[7]. ამ ნარკვევის ავტორები უმთავრესად დიდი სამამულო ომის აქტიური მონაწილენი არიან და ძირითადად თავიანთი თვალით ნანახსა და განცდილს აგვიწერენ. ეს კი მეცნიერ მკვლევარს მისი გამოყენებისას კრიტიკულ მიდგომას ავალებს.

ასევე შეიძლება ითქვას კრებულის – "ქედუხრელი კავკასიონის"[8] მიმართაც, რომლის ავტორები სამამულო ომის მონაწილენი არიან და მოგვითხრობენ დიდი სამამულო ომის პერიოდში 276-ე, 394-ე, 349-ე, 406-ე, 296-ე და 392-ე ქართული მსროლელი დივიზიების მონაწილეობის თაობაზე სამხედრო ოპერაციების გადამწყვეტი უბნების მიხედვით.

დიდ სამამულო ომში ქართული მსროლელი დივიზიების საბრძოლო მოქმედებათა ცალკეული ეპიზოდები აღწერილია მთელ რიგ კრებულებში, რომლებიც დიდი სამამულო ომის დამთავრების საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით გამოიცა.[9]

ქართველი ისტორიკოსებიდან ეროვნული დივიზიების საბრძოლო მოქმედებათა ცალკეული ეპიზო-დები თავიანთ ნაშრომებში აღწერილი აქვთ ა.იოსელიანს,[10] მ.ქოჩიაშვლს,[11] კ.ცქიტიშვილს,[12] ვ.ბექიშვილს,[13] ა.აღლაძეს[14] და სხვებს.

ცალკე უნდა შევეხოთ ი.ბაბალაშვილის მონოგრაფიას,[15] რომელშიც მდიდარ საარქივო მასალებზე დაყრდნობით ავტორი თამნიმდევრულად აგვიწერს დიდი სამამულო ომის წლებში ქართული დივიზიების შექმნას, მათ საბრძოლო მოქმედებათა ეპიზოდებს, ყურადღებას ამახვილებს ქართველი ჯარისკაცებისა და ოფიცრების მამაცობასა და გმირობაზე. ნიშანდლობვია, რომ ი.ბაბალაშვილის ეს გამოკვლევა თითქმის უცვლელად შევიდა საქართველოს ისტორიის ნარკვევების მე-8-ე ტომში.[16]

ყურადღებას იპყრობს ე.მამუკელაშვილის ნაშრომი[17], რომელშიც განხილულია დიდი სამამულო ომის წლებში ქართული დივიზიებსა და საჯარისო ნაწილებში გამომავალი გაზეთები. ავტორი მოგვითხრობს ქართული საფრონტო და სადივიზიო გაზეთებისა და მათ მუშაკთა თავდადებულ საქმიანობაზე. კონკრეტულად აქვს აღწერილი 224-ე, 242-ე, 296-ე, 406-ე, 392-ე, 414-ე, 349-ე და 276-ე ქართულ მსროლელ დივიზიებში გამომავალი გაზეთები.

კავკასიისათვს ბრძოლების პერიოდში ამიერკავკასიის ფრონტის ეროვნულ შენაერთებში პარტიულ-პოლიტიკურ მუშაობას საკანდიდატო დისერტაცია მიუძღვნა ვ.შევჩენკომ, რომელიც აღნიშნულ საკითხს აზერბაიჯანული, სომხური და რამდენიმე დივიზიის მაგალითზე განიხილავს[18].

ნ.კირსანოვის მონოგრაფიაში მდიდარ საარქივო მასალებზე დაყრდნობით სხვა საკითხებთან ერთად ნაჩვენებია ეროვნული შენაერთების შექმნა. ავტორი სწორად მიუთითებს, რომ მათი ჩამოყალიბება უმთვრესად მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკებში მიმდინარეობდა. შემდეგ დაწვრილებით ჩამოთვლის მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკებში თუ რამდენი დივიზია შეიქმნა, რაშიც ის ნამდვილად სცოდავს, რადგანაც მიუთითებს, რომ "წითელი არმიის შემადგენლობაში იბრძოდა 5 სომხური, 3 აზერბაიჯანული და 8 ქართული მსროლელი დივიზია"[19]. როგორც ჩანს ავტორმა არ იცის, რომ დიდი სამამულო ომის პერიოდში

წითელი არმიის შემადგენლობაში სხვადასხვა დროს 12 ქართული ეროვნული მსროლელი დივიზია იმყოფებოდა.

ზოგიერთი ქართული მსროლელი დივიზიის საბრძოლო მოქმედების ცალკეული ეპიზოდები აღწერილია მეორე მსოფლიო ომის ისტორიის თორმეტ ტომეულის მე-7-ე ტომში[20].

უკანასკნელ წლებში ზოგიერთი ქართული მსროლელი დივიზიის შესახებ სპეციალური მონოგრაფიებიც კი შეიქმნა, რომელთაგან პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ვ.ჯანჯღავას საკმაოდ სქელტანიანი ნაშრომი – 414-ე წითელდროშოვანი[21]. მასში საარქივო მასალებსა და პირად მოგონებებზე დაყრდნობით ავტორი დაწვრილებით აგვიწერს დივიზიის შექნას, მის აქტიურ საბრძოლო მოქმედებას ამა თუ იმ ოპერაციაში. გვამცნობს ათასობით ქართველი ჯარისკაცისა და ოფიცრის მხედრულ სიმამაცესა და თავგანწირვას. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ვ.ჯანჯღავამ შეძლო აღედგინა დიდი სამამულო ომის წლებში 414-ე ქართული დივიზიის საბრძოლო გზის სრული სურათი.

სპეციალური მონოგრაფია მიუძღვანა 242-ე სამთო-მსროლელ დივიზიას ე.კუპატაძემ[22]. მასში საარქივო მასალებზე დაყრდნობით გაშუქებულია დივიზიის შექმნა და ნაჩვენებია შენაერთში ქართველების რაოდენობა, თანმიმდევრულადაა აღწერილი დივიზიის მონაწილეობა ყველა საბრძოლო ოპერაციაში.

224-ე ქართული მსროლელი დივიზიის საბრძოლო მოქმედებათა ცალკეული ეპიზოდები, მის მეომართა

შეუდრეკელი მამაცობა და გმირული თავგანწირვა, და ბოლოს დივიზიის ტრაგიკული ბედი აღწერილია კ.ცქიტიშვილის, ა.მათიაშვილისა და ე.კუპატაძის კოლექტიურ მონოგრაფიაში, რომელიც ქართულ და რუსულ ენებზე გამოიცა.[23]

ნაწილობრივ ამავე საკითხს ეხება ვ.ჯანჯღავას ბროშურა[24].

ქართული დივიზიების ბრძოლებში მონაწილეობის ცალკეული ეპიზოდები, ჯარისკაცებისა და ოფიცრების სამშობლოსათვის თავგანწირვა და მხედრული ოსტატობა თავიანთ დოკუმენტურ და პუბლიცისტურ ნარკვევებში აღწერილი აქვთ ფრონტელ ჟურნალისტებს ა.კოკილაშვილს[25], ა.კელენჯერიძეს[26], ვ.სიხარულიძეს[27], პ.შამათავასა[28] და სხვებს.

ქართული დივიზიების დიდი სამამულო ომის სამხედრო ოპერაციებში მონაწილეობა ან მათი საბრძოლო მოქმედების ცალკეული ეპიზოდები, პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა და ქართველ მეომართა საბრძოლო გმირობის იშვიათი მაგალითები აღწერეს თავიანთ მოგონებებში ომის ვეტერანმა ქართველმა გენერლებმა და ოფიცრებმა: გ.ყურაშვილმა[29], ნ.კალაძემ[30], ვ.ძაბახიძემ[31], კ.დობორჯგინიძემ[32], გ.ჩიტაიშვილმა[33], კ.გვალიამ[34] და სხვებმა.

დიდი სამაულო ომის წლებში ქართული დივიზიების შექმნაზე, მათი საბრძოლო იარაღით და მასალით აღჭურვაზე, პირადი შემადგენლობით დაკომპლექტებაზე,

ხოლო შემდეგ მათ საბრძოლო მოქმედებებზე საინტერესო მოგონებები აქვს კ.ჩარკვიანს[35].

კ.ჯავრიშვილის ბროშურაში[36] ნაჩვენებია ქართველი მთასვლელებისა და აგრეთვე სამთო-სათხილამურო მოზადების ღონისძიებანი ზურგში და განხილულია მათი მონაწილეობა სამთო რაზმების წინამძღოლებად და ინსტრუქტორებად კავკასიონის უღელტეხილებისათვის ბრძილებში, სადაც ქართული დივიზიები მოქმედებდნენ.

ანალოგიური საკითხები უფრო ვრცლად წარმოჩენილია ა.გუსევის მოგონებებში[37], რომელშიც ავტორი აგვიწერს ალპინისტების მომზადებასა და მათ მოქმედებას მაღალმთიანი ადგილმდებარეობის პირობებში. განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს 242-ე და 394-ე ქართულ მსროლელ დივიზიებს, ასახელებს ზოგიერთი ჩვენი თანამემამულის გვარს.

394-ე ქართული მსროლელი დივიზიის მონაწილეობა მარუხის უღელტეხილსა და მის მიმდებარე ტერიტორიებზე აღწერილი აქვთ თავიანთ მოგონებებში ვ.ნეუშევსა და ა.პოპუტკოს[38].

242-ე ქართულ სამთო-მსროლელი დივიზიის საბ-რძოლო გზა თავის მოგონებებში საინტერესოდ აწერა ა.ივანოვმა[39]. ამასთან ერთად იგი გვიჩვენებს ჯარის-კაცების, მეთაურებისა და პოლიტმუშაკების მხედრულ მამაცობას, მათ თავდადებას სამშობლოსათვის.

ყურადღებას იპყრობს ა.გრეჩკოს ნაშრომი[40], რომელშიც ძირითადად მემუარული ხასიათისაა, თუმცა ავტორი საკმაოდ იყენებს სსრ კავშირის თავდაცვის

სამინისტროს ცენტრალური არქივის მასალებს, იგი დაწვრილებით აღწერს კავკასიისათვის ბრძოლებს, გვიჩვენებს ქართული მსროლელი დივიზიების საბრძოლო მოქმედებათა ეპიზოდებს, მაგრამ ხშირ შემთხვევაში მათ მხოლოდ ნომრით ასახელებს და არა როგორც ეროვნულს, ეს კი მკითხველს ვერ მიაწვდის ინფორმაციას ნომრით დასახელებული დივიზიის ეროვნულობაზე.

იგივე შეიძლება ითქვას ამიერკავკასიის ფრონტის ყოფილი სარდლის ი.ტიულენევისა[41] და არმიის გენერალ ს.შტემენკოს[42] მოგონებებზეც. ორთავე ცნობილი მხედართუფროსი მხოლოდ ნომრებით ასახელებენ 276-ე და 351-ე დივიზიებს და შეგნებულად არაფერს ამბობენ იმის თაობაზე, რომ ორივე შენაერთი ქართულ ეროვნულ ფორმირებებს წარმოადგენდნენ. ამიტომ ი.ტიულენევიცა და ს.შტემენკოც სამართლიანად გააკრიტიკა პ.შამათავამ ქართული პრესის ფურცლებზე[43].

ა.ერიომინკო თავის მოგონებებში[44]ეხებოდა რა 414-ე ქართული დივიზიის საბრძოლო ოპერაციებში მონაწილეობას, უგულვებელყოფდა ამ შენაერთეის საბრძოლო დამსახურებას. უფრო მეტიც – ის საერთოდ აკნინებდა ეროვნული სამხედრო შენაერთების როლს და ზოგჯერ გაუმართლებლადაც კი თვლიდა მათ არსებობას. მას დამაჯერებელი პასუხი გასცა გადამდგარმა პოლკოვნიკმა, მკვლევარმა ვ.ჯანჯღავამ, რომელიც სამართლიანად აღნიშნავს: “ეროვნულმა ფორმირებებმა გერმანელ-ფაშისტ დამპყრობლებთან ბრძოლებში სავსებით გაამართლეს თავი. ამიტომ შემთხვევითი არაა, რომ სსრ

კავშირის უმაღლესი საბჭოს მეათე სესიამ 1944 წლის 1 თებერვლის გადაწყვეტილებით დააკანონა ისინი. მალე სესიის შემდგომ უმაღლესმა მთავარსარდალმა 1944 წლის 23 თებერვალის ბრძანებით მაღალი შეფასება მისცა ეროვნულ ფორმირებებს”[45].

მაშასადამე, დიდ სამამულო ომში ქართული სამხედრო შენაერთების მონაწილეობაზე და მათ საბრძოლო დამსახურებაზე არ არსებობს ერთიანი მონოგრაფიული გამოკვლევა, მიუხედავად იმისა, რომ არსებობს ნაშრომები ზოგიერთი ქართული დივიზიის შესახებ ნარკვევებისა და მემუარული ხასიათის ლიტერატურის სახით, მაგრამ ეს გამოცემები მეცნიერული თვალსაზრისით არასრულყოფილია, რის გამოც ჩვენს წინაშე მთელი სიმწვავით დადგა ამ ხარვეზის შევსების საკითხი.

რაც შეეხება ომის შემდგომ პერიოდში /1946-1956წწ/ ქართული დივიზიების ისტორიის შესწავლის საკითხს, შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ ეს თემა სრულიად შეუსწავლელია და ამდენად პირველი ხნულის გავლების პატივი ჩვენ გვხვდა წილად.

როგორც ვხედავთ, ქართული ეროვნული დივიზიების ისტორია 1921-1956 წლებში მეცნიერულად სრულიად შეუსწავლელია. ამან განსაზღვრა ჩვენს წინაშე შემდეგი მიზნები და ამოცანები: 1 – შეგვესწავლა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების ძალდატანებით დამყარების შემდეგ ქართული წითელი არმიის ნაწილების შექმნა-ჩამოყალიბების პროცესი. 2 – გამოგვეკვლია

ქართული წითელი არმიის ორგანიზაციული სტრუქტურის, კადრებით დაკომპლექტების საკითხები. 3 – განგვესაზღვრა თუ რა ამოცანები იდგა წითელი არმიის ქართული ნაწილების წინაშე და ვის დაქვემდებარებაში იმყოფებოდნენ ისინი. 4 – თვალყური გვედევნებინა იმისათვის, თუ როგორ მიმდინარეობდა 1921-1938 წლების განმავლობაში საბრძოლო-პოლიტიკური მომზადების პროცესი და რა პრაქტიკულ შედეგებს მიაღწიეს 1-ლმა და მე-2 ქართულმა მსროლელმა დივიზიებმა. 5 – სათანადო შეფასება მიგვეცა ქართული ეროვნული დივიზიების ჯერ საკადრო შენაერთებად გარდაქმნისათვის, ხოლო შემდეგ მათი დაშლისათვის. 6 – საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის დაწყებასთან დაკავშირებით შეგვესწავლა ამ დივიზიების ხელახლა შექმნის პროცესი, მათი მდგომარეობა და ეროვნული შემად-გენლობა. წარმოქვეჩინა ამ შენაერთებში ქართველი და სხვა ეროვნების მეომართა პროცენტული რაოდენობა. 7 – ცალ-ცალკე წარმოგვეჩინა ქერჩისა და ყირიმისათვის ბრძოლებში მონაწილე სამი ქართული მსროლელი დივიზიის /224-ე, 388-ე და 386-ე/ საბრძოლო დამსახურება. გვეჩვენებინა რიგითი მებრძოლების, მეომრებისა და ჯარისკაცების საბრძოლო თვისებები, შეუპოვრობა და თავგანწირვა, 8 – შეგვესწავლა კავკასიის როგორც თავდაცვით ასევე შეტევით ოპერაციებში ექვსივე ქართული მსროლელი დივიზიის /394-ე, 392-ე, 242-ე, 414-ე, 276-ე და 351-ე/ როლი, მათი საბრძოლო დამსახურებაა და ამ დივიზიებში მყოფი ჯარისკაცებისა და ოფიცრების

მასობრივი გმირობა და თავდადება. 9 – ყურადღება მიგვექცია კავკასიის ბრძოლების შემდგომ მომდევნო საბრძოლო ოპერაციებში მონაწილე ქართული დივიზიებისათვის და გამოგვეკვეთა მათი როლი შესაბამის ფრონტზე მოქმედი ძალების საერთო წარმატებებში. 10 – სათანადო შეფასება მიქვეცა იმ ქართული მსროლელი დივიზიებისათვის (296-ე, 349-ე, 406-ე და 392-ე), რომლებიც მეორე მსოფლიო ომის მთელი პერიოდის მანძილზე საიმედოდ იცავდნენ თურქეთ-საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საზღვარს და ამასთანავე სათანადო კადრებს უზრდიდნენ ფრონტზე მოქმედ ძალებს. 11 – მეორე მსოფლიო ომის დამთავრებასთან დაკავშირებით გამოკვეთილად გვეჩვენება თუ რომელი დივიზიები დაიშალა და რომელმა განიცადა რეორგანიზაცია. 12 – სპეციალურად შეგვესწავლა ქართული დივიზიების საქმიანობა ომის შემდგომ პერიოდში, გვეჩვენებინა საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების მდგომარეობა და ბოლოს შეფასება მიგვეცა ქართული დივიზიების დაშლის ფაქტებისათვის.

წინამდებარე გამოკვლევის მეცნიერული სიახლე მდგომარეობს შემდეგში:

1. კონკრეტულ ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით ნაშრომში პირველად ქართულ ისტორიულ მეცნიერებაში ნაჩვენებია საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ წითელი არმიის ქართული ნაწილების შექმნა და მასთან დაკავშირებული სიძნელეები. წარმოჩენილია ქართული დივიზიების ორგანიზაციული სტრუქტურის ჩამოყალიბება, საბრძოლო-პოლიტიკური მომზადების პროცესები და ამის საფუძველზე მათი გარდაქმნა კადრის შენაერთებად, ბოლოს კი ქართული ეროვნული დივიზიების დაშლა.
2. მრავალრიცხოვანი საარქივო მასალების, ქართული დივიზიების გაზეთების პუბლიკაციებისა და სამხედრო-მემუარული ლიტერატურის გამოყენებით პირველად ქართულ ისტორიულ მეცნიერებაში კონკრეტული თანმიმდევრობით ნაჩვენებია დიდი სამამულო ომის წლებში რომელი დივიზიები შეიქმნა საქართველოში, რომელი იყო მათგან ქართული და რომელი შერეული ტიპის, რომელ ფრონტზე და რომელი არმიების შემადგენლობაში იბრძოდნენ ეს დივიზიები, რა საბრძოლო დამსახურება მიუძღვით მათ.
3. მდიდარ პირველწყაროებზე დაყრდნობით ჩვენს გამოკვლევაში ასევე პირველადაა ნაჩვენები იმ ქართული დივიზიების შექმნა და მათი საბრძოლო-პოლიტიკური მომზადება, რომლებიც ომის მთელი პერიოდის განმავლობაში საიმედოდ იცავდნენ თურქეთ-საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საზღვარს და ფრონტზე მოქმედი ნაწილებისათვის ამზადებდნენ სათანადო კადრებს.
4. ასევე პირველადაა ნაჩვენები თუ რომელი ქართული დივიზია როდის დაიშალა, რომელი დივიზიების რეორგანიზაცია მოხდა, რომელი დივიზიები შეერწყნენ

ერთმანეთს. როგორი იყო მათი საბრძოლო-პოლიტიკური მომზადების პროგრამა და რა მიღწევები გააჩნდათ ამ სფეროში. შემდეგ კი ხაზგასმითაა ნაჩვენები ქართული დივიზიების დაშლის ყოვლად გაუმართლებელი ღონისძიება.

5. წინამდებარე ნაშრომი უმთავრესად დაფუძნებულია სამი სხვადასხვა არქივის მრავალრიცხოვანი ფონდების მდიდარ მასალებსა, სათანადო ლიტერატურასა და ნაწილობრივ პრესაში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებზე. ამ მასალების უმეტესობა პირველად შემოდის სამეცნიერო ბრუნვაში.

გამოკვლევის პრაქტიკული ღირებულება მდგომარეობს შემდეგში:

1. ქართული დივიზიების შექმნა-ჩამოყალიბება, მათი სათანადო კადრებით დაკომპლექტება, სამხედრო-პოლიტიკური მომზადების ფორმები და მეთოდები უმდიდრეს გამოცდილებას წარმოადგენს, რომელიც გათვალისწინებული და გამოყენებული უნდა იქნას საქართველოს რესპუბლიკის ხელმძღვანელობის მიერ ეროვნული შეიარაღებული ძალების აღმშენებლობის პროცესში.
2. ქართული დივიზიების, ჯარისკაცებისა და ოფიცრების ვაჟკაცობა და სიმამაცე, მასობრივი გმირობა და თავდადება სამშობლოსათვის, დაუშრეტელი წყარო იქნება საქართველოს ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდისათვის.

3. ქართულ მსროლელ დივიზიებში ჩვენს თანამემამულეებთან ერთად მრავალი სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელი იბრძოდა. ამ საკითხის წინ წამოწევა დღევანდელ რთულ პირობებში ხელს შეუწყობს ქართველი და საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ეროვნების ხალხთა თანამეგობრობის განმტკიცებას.
4. ნაშრომში მოტანილი მასალები სასურველია გამოყენებულ იქნას უმაღლეს სასწავლებლებში საქართველოს ისტორიის კურსის წაკითხვისას, ხოლო ისტორიის ფაკულტეტებზე – სპეცკურსის მომზადებისათვის, განსაკუთრებით კი თავდაცვის ეროვნულ აკადემიასა და ძალოვანი უწყების სასწავლებლებში სამხედრო ისტორიის კურსი სწავლებისას.
5. ქართული მსროლელი დივიზიების აქტიური მონაწილეობა მეორე მსოფლიო ომის საომარ ოპერაციებში, მათ მიერ განვლილი სახელოვანი საბრძოლო გზის შესწავლა სამხედრო სპეციალისტების მიერ გაამდიდრებს მრავალსაუკუნოვანი ქართული სამხედრო ხელოვნების ისტორიას.
6. დიდი სამამულო ომის პერიოდში ქართულ მსროლელ დივიზიებში მასობრივად ჩადიოდნენ საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა, ხელოვნების წარმომადგენელთა და საზოგადო მოღვაწეთა დელეგაციები, რაც კეთილმყოფელ გავლენას ახდენდა ქართული ეროვნული შენაერთების ბრძოლისუნარიანობაზე. ქართულ დივიზიებში იგზავნებოდა

მშრომელთა მიერ ნებაყოფლობით შეგროვილი საჩუქრები, რაც არმიისა და ხალხის ურღვევი ერთიანობის გამოხატულება იყო და დღეისათვის ამ შესანიშნავი გამოცდილების გვერდის ავლა არ შეიძლება.

წყაროები: ნაშრომის წყაროთმცოდნეობითი ბაზა მდიდარია. 1921-1938 წლებში ქართული არმიის ნაწილების შექმნა-ჩამოყალიბების, მათი ორგანიზაციული სრულყოფის, სათანადო კადრებით დაკომპლექტებისა და საბრძოლო-პოლიტიკურ მომზადებაში მოპოვებული შედეგების შესწავლა შესაძლებელი გახდა საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივისა და საბჭოთა არმიის ცენტრალური სახელმწიფო არქივის მასალების გამოყენებით. ამ არქივებში ჩვენ ძირითადად ვისარგებლეთ 1-ლი და მე-2 ქართული მსროლელი დივიიზების ფონდებით, საქართველოს სსრ სამხედრო-საზღვაო სახალხო კომისარიატის ფონდით, ორივე ქართული დივიზიის პოლიტგანყოფილებებისა და პარტბიუროს სხდომების ოქმებით, სამხედრო პროკურატურისა და სამხედრო ტრიბუნალის მასალებით, ქართული გაერთიანებული სამხედრო სკოლის, სხვა სამხედრო სასწავლებლებისა და სპეციალური კურსების მასალებით. დიდი დახმარება გაგვიწია ორივე ქართული დივიზიის გაზეთ "წითელარმიელის" პუბლიკაციებმა.

ქართული მსროლელი დივიზიების ომისა და ომისშემდგომი პერიოდის ისტორიის გასაშუქებლად

უმთავრესად ვისარგებლე სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს ცენტრალური არქივისა და საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივის ფონდებში დაცული მასალებით. პირველ რიგში გავეცანი დივიზიების ისტორიულ ფორმულიარებს – მათ საბრძოლო მოქმედებათა ჟურნალებს, პოლიტ-განყოფილებათა მოხსენებებს, შენაერთებისა და მათი ნაწილების პარტიული კრებების ოქმებს, ბრძანებებს, დირექტივებს, ოპერატიულ ცნობებსა და მიმოწერებს დივიზიებს, არმიებსა და ფრონტებს შორის, დაჯილ-დოების ფურცლებს, დასაჯილდოებლად წარდგენილ მასალებს, ქართულ დივიზიებში გამომავალ ფრონტული გაზეთების პუბლიკაციებსა და დაღუპულთა სიებს.

საარქივო მასალების გარდა გამოვიყენე სამეცნიერო ლიტერატურა, სამხედრო ისტორიული ნარკვევები, ფრონტელ ჟურნალისტთა და ომის ვეტერანთა მოგონებები.

წინამდებარე ნაშრომით მნიშვნელოვანი კორექტივი შევიტანეთ დასმული პრობლემის ირგვლივ არსებულ მეცნიერულ ლიტერატურაში. პირველ რიგში მხედველობაში გვაქვს ფრიად მნიშვნელოვანი საქარ-თველოს ისტორიის ნარკვევების მე-8 ტომში გამოქ-ვეყნებული ნაწილი ბ-ნ ივ. ბაბალაშვილის ნაშრომისა ქართული ეროვნული დივიზიების როგორც საერთო რაოდენობის, ასევე კონკრეტული დივიზიების შემად-გენლობის დინამიკაში. ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ ამგვარი დეტალიზირებული დინამიკა აქამდე არ გაგვაჩნდა.

თავი 1

ქართული ეროვნული საჯარისო შენაერთები 1921-1938 წლებში.

§ I . ღონისძიებანი ქართული წითელი არმიის შესაქმნელად.

როგორც ცნობილია, 1920 წლის 7 მაისს საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ ხელშეკრულება დადო საბჭოთა რუსეთთან. 1921 წლის თებერვალში საბჭოთა რუსეთმა უხეშად დაარღვია ეს ხელშეკრულება. მან წითელი არმიის ნაწილები შეიყვანა საქართველოში და მოახდინა მისი ტერიტორიის ოკუპაცია, რასაც შემდგომ სრული (პროფ. ლ.თოიძის მართებული თქმით) ფაქტობრივი ანექსია მოჰყვა. რესპუბლიკის მოსახლეობის უმრავლესობის ნების საწინააღმდეგოდ საქართველოში 1921 წლის 25 თებერვალს ძალდატანებით იქნა დამყარებული საბჭოთა ხელისუფლება.[1]

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველსავე დღეებში ჩამოყალიბდა სოციალისტური მშენებლობის დაწყების, საბჭოთა ხელისუფლების შენარჩუნებისა და განმტკიცების გეგმა, რომელიც გადმოცემულია ვ.ლენინის 1921 წლის 2 მარტისა და 14

აპრილის წერილებში და გ.ორჯონიკიძის სახელზე 9 აპრილს გაგზავნილ დეპეშაში.

ამ დოკუმენტებში საქართველოს ახალი ხელისუფლებისა და მთელი რესპუბლიკის წინაშე დაისახა გადაუდებელი ამოცანები, რომელთა გადაჭრის გარეშე შეუძლებელი იყო ახალი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წყობილების შექმნა და განმტკიცება. ამ ამოცანებს შორის უმთავრესი იყო ქართული წითელი არმიის დაუყოვნებლივ შექმნა.

საქართველოს რევოლუციურმა კომიტეტმა 1921 წლის 26 თებერვალს გამოსცა დეკრეტი არსებული არმიისა და გვარდიის საერთო დემობილიზაციის შესახებ, მაგრამ ეს სრულიად არ იყო საკმარისი. ქვეყნის საერთაშორისო და საშინაო ვითარება მოითხოვდა ძველი არმიის მთლიანად დაშლას და ახალი არმიის შექმნას.

საქართველოს რევოლუციურმა კომიტეტმა 1921 წლის 11 მარტს დაშლილად გამოაცხადა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არმია და გვარდია. რევკომის მითითებით რესპუბლიკის სამხედრო-საზღვაო საქმეთა სახალო კომისარიატი, რომელსაც ხელმძღვანელობდა შ.ელიავა, შეუდგა წითელი არმიის ქართული ნაწილების შექმნას[2].

წითელი არმიის ქართული ნაწილების შექმნას ხელს უწყობდა საბჭოთა საქართველოსა და საბჭოთა რუსეთს შორის 1921 წლის 21 მაისს დადებული “მუშურ-გლეხური სამოკავშირეო ხელშეკრულება”, რომელიც აღიარებდა ორივე მხარის თვითგამორკვევისა და სუვენერულ

უფლებებს, ამყარებდა და განამტკიცებდა საბჭოთა საქართველოსა და რუსეთს შორის სამხედრო და სამეურნეო კავშირს, ითვალისწინებდა საბჭოთა რუსეთის მხრივ საქართველოსათვის სამხედრო ხასიათის დახმარებას, კერძოდ, დახმარებას წითელი არმიის ორგანიზაციის საქმეში. ამ ხელშეკრულებით ორივე მხარე ვალდებულებას კისრულობდა დაედო დამატებითი შეთანხმება სამხედრო ორგანიზაციისა და სამხედრო სარდლობის გაერთიანების საკითხებზე[3], რაც მოამზადებდა პირობებს ქართული წითელი არმიის, საგარეო-პოლიტიკური და სამხედრო-ტაქტიკური მოსაზრებით, საკავშირო-საჯარისო დანაყოფებში გაერთიანებისათვის. თუმცა ეს საკითხი არც ისე ადვილად გადასწყვეტი აღმოჩნდა, როგორც საქართველოს იმდროინდელ ხელმძღვანელობას მიაჩნდა. საქმის ვითარება უფრო ნათლად რომ წარმოვიდგინოთ, საჭიროა გავიხსენოთ საქართველოში ფ.ძერჟინსკის მეთაურობით მყოფი კომისიის ზოგიერთი ასპექტი.

ცნობილია, რომ "ძერჟინსკის კომისია" ქართული წითელი არმიის მშენებლობის საკითხებზე არსებული უთანხმოებითაც დაინტერესდა. ქართველი ე.წ. ნაციონალ-უკლონისტები ბრალს სდებდნენ გ.ორჯონიკიძესა და მის მომხრეებს, რომ მათ არ მოინდომეს ნამდვილი ქართული წითელი არმიის შექმნა. "ჩვენ ნებას არ გვრთავდნენ ჩამოგვეყალიბებინა არმია და საქართველოს ამ მრავალრიცხოვან ნაციონალისტებს წითელი არმია

ადევნინეს როგორც "საოკუპაციო არმია", განუცხადა ლევან აღნიაშვილმა კომისიას[4].

უთანხმოებას ისიც იწვევდა, რომ რკპ/ბ/ ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებებით (1921 წლის ნოემბერი) ამიერკავკასიის სამივე რესპუბლიკაში სამხედრო საქმის ხელმძღვანელობა (ყველა დარგში) მთლიანად გადაეცა რუსეთის სფს რესპუბლიკის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს.

საქართველოს კომპარტიის /ბ/ ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის სამხედრო საქმეთა სახალხო კომისარიატმა ეს გადაწყვეტილება მიზანშეწონილად მიიჩნიეს და მიუხედავად იმისა, რომ ამ დროს საქართველოს სსრ რესპუბლიკასა და რუსეთის სფს რესპუბლიკას შორის უკვე გაფორმებული იყო სამხედრო კონვენცია, აღძრეს შუამდგომლობა კავკასიის ცალკე არმიის შემადგენლობიდან ქართული წითელი არმიის ნაწილების გამოყოფის თაობაზე. "ნაცვლად საქართველოს წითელი არმიისა გამოგვივიდა საქართველოს ნომრიანი ბრიგადა კავკასიის ცალკე არმიის შემადგენლობაში", აღნიშნავდა ლ.აღნიაშვილი კომისიისათვის 7 დეკემბერს წარდგენილ მოხსენებით ბარათში[5].

რკპ/ბ/ ცენტრალურმა კომიტეტმა უსაფუძვლოდ ჩათვალა საქართველოს სს რესპუბლიკის პარტიული და სამხედრო ორგანოების თხოვნა და დაამტკიცა ამ საკითხზე გ.ორჯონიკიძისა და კავკასიის ცალკე არმიის სარდლის ა.ეგოროვის დასკვნა, რომლის თანახმად მიზანშეუწონლად იქნა მიჩნეული კავკასიის არმიიდან ქართული ბრიგადის

გამოყოფა, მისი გადაცემა საქართველოს სსრ სამხედრო საქმეთა სახალხო კომისარიატის გამგებლობაში. ამასთან დაკავშირებით გ.ორჯონიკიძე ი.სტალინს ატყობინებდა: "ჩემი მხრივ საჭიროდ მიმაჩნია განვაცხადო, რომ საქართველოს ცკ-ის პრეზიდიუმის გადაწყვეტილება ამიერკავკასიის ფედერაციის ჩაშლას იწვევს, რადგან თუ სამხედრო საკითხში არ იქნა ნაწილისა და სარდლობის ერთობა, სხვა საკითხზე ლაპარაკიც არ ღირს[6].

ერთი სიტყვით, ქართველი "ნაციონალ-უკლონისტების" აზრით, საქართველოს უნდა ჰყოლოდა თავისი წითელი არმია, რომელიც ცალკე კავკასიის არმიას დაემორჩილებოდა მხოლოდ ოპერატიულ და საინსპექციო დარგებში. პარტიის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტი კი ეყრდნობოდა რკპ/ბ/ ცენტრალური კომიტეტის დირექტივას და მოითხოვდა შეექმნათ ქართული ბრიგადა ან დივიზია, რომელიც ყველა დარგში დაემორჩილებოდა კავკასიის ცალკე არმიას (ეს ასეც გაკეთდა)[7].

ისინი ვინც მოითხოვდნენ (თ.ჟღენტი, ვ.ჯიქია და სხვები) მუშურ-გლეხური წითელი არმიისაგან დამოუკიდებელი ქართული წითელი ლაშქრის შექმნას მოგვიანებით ნაციონალურ-უკლონისტებად მონათლეს, ხოლო 30-იან წლებში რეპრესიის მსხვერპლი გახდნენ[8].

საქართველოს წითელი ჯარის შექმნის დასაწყისი არის 1921 წლის მარტი, როდესაც დაიწყო სამი მსროლელი ბრიგადის შედგენა. თითოეულ ბრიგადაში შედიოდა სამ-სამი ლეგიონ (პოლკი) და თითო ცხენოსანი დივიზიონი,

ერთი საარტირელიო დივიზიონი, მესანგრეთა ერთი ბატალიონი და ერთიც მეკავშირეთა ბატალიონი"[9].

ქართული წითელი არმიის ნაწილების შექმნა თავდაპირველად უშუალოდაა დაკავშირებული გენერალ გ.მაზნიაშვილის სახელთან, რომელიც ჯერ საბჭოთა საქართველოს შეიარაღებულ ძალთა პირველი მთავარსარდალი იყო, ხოლო თურქებთან საომარი ოპერაციების დამთავრების შემდეგ 1921 წლის 21 მარტის ბრძანებით იგი დაინიშნა ქართული წითელი ლაშქრის მუშურ-გლეხური მსროლელი დივიზიის მეთაურად და დაევალა დივიზიის შედგენა იმ გეგმის თანახმად, რომელიც გათვალისწინებული იყო საველე ჯარების შტატისათვის[10].

უპირველეს ყოვლისა, გენერალ გ.მაზნიაშვილს განკარგულება უნდა გაეცა საქართველოს ჯარების დაშლის შესახებ. სამახურში უნდა დარჩენილიყვნენ მხოლოდ სავალდებულო ვადის ჯარისკაცნი, ე.ი ისინი რომელთაც მიაღწიეს 21 და 22 წლის ხნოვანებას. ამგვარი ჯარისკაცებიდან უნდა შემდგარიყო კადრები საქართველოს ცალკე წითელი დივიზიის შესადგენად, რუსეთის წითელი არმიის მაგალითისა და შტატების მიხედვით.

გ.მაზნიაშვილის გადმოცემით იმ დროს თბილისში უკვე დაწყებული იყო ქართული წითელი ჯარის ნაწილების შექმნა, რომელსაც ხელმძღვანელობდა რესპუბლიკის სამხედრო-საზღვაო კომისარიატის შტაბის უფროსი გაბაშვილი[11].

გადაწყვეტილი იყო ბათუმში შეედგინათ მხოლოდ ერთი ქვეითი ბრიგადა, ერთი საარტილერიო დივიზიონი და ორი ცხენოსანი ლეგიონ.

დივიზიის დანარჩენი ნაწილები გ.მაზნიაშვილს უნდა მიეღო თბილისში, ხოლო ზედმეტი სამხედრო ქონება სამხედრო-საზღვაო კომისრის შ.ელიავას ბრძანების თანახმად ადგილობრივ რევკომებს უნდა ჩაბარებოდა[12].

1921 წლის 1 აპრილისათვის ქართული წითელი ჯარის ზემოხსენებული ნაწილები უკვე შემდგარი იყო, რომლის შესახებაც გ.მაზნიაშვილი საქართველოს სამხედრო-საზღვაო კომისარიატის შტაბის უფროსს გაბაშვილს მოახსენებდა: "უკვე შემდგარია: ქვეითი ბრიგადის შტაბი, ცხენოსანი ბრიგადის შტაბი, პირველი და მეორე ცხენოსანი ლეგიონები 620 ჯარისკაცის შემადგენლობით ფ.წულუკუძის მეთაურობით. შემდგარია პირველი საარტილერიო დივიზიონი ორი სამთო და ერთი საველე ბატარეით პოლკოვნიკ ალ.ჟურულის უფროსობით. დივიზიონს შეადგენდნენ 220 არტილერისტი, 300 ცხენი და 12 ზარბაზანი. ბათუმში ჰყავთ თითოეულს 200 თოფიანი მხედარი და 100 ცხენი. მესამე მსროლელი ლეგიონი იქმნება ლანჩხუთში, ბრიგადის უფროსად დანიშნულია სუმბათაშვილი."[13]

გ.მაზნიაშვილის გადმოცემით 1921 წლის ივნისის შუა რიცხვებში ქართულ წითელ დივიზიაში 17 ათასი მებრძოლი ირიცხებოდა, რომელთა რაოდენობა მომდევნო ხანებში კიდევ უფრო გაიზარდა. კერძოდ, შტატების თანახმად მებრძოლთა საერთო რიცხვი ითვლიდა 25 ათას

კაცს რვა ათას ხუთასი ცხენით, ეწყობოდა სანაპირო /სასაზღვრო/ ბრიგადა ორი ლეგიონით და სამი ცალკე ბატალიონებით, საყარაულო ბატალიონები, სათადარიგო ლეგიონი და ბატარეა, ცალკე საჰაერო და ჯავშნიანი დივიზიონი, ამათ რომ მიუმატოთ ზურგის დაწესებულებები, მათი ჩათვლით დივიზიის შემადგენლობა მიაღწევდა 60 ათას კაცამდე, რაც საქართველოს არ შეეძლო ჯარ-ში ჰყოლოდა ერთწლიანი ნორმალური გაწვევით. ამისათვის საჭირო იყო სამწლიანი გაწვევა ჯარში, რომელიც უთუოდ მძიმე ტვირთად დააწვებოდა რესპუბლიკის მეურნეობას მუშახელის მოკლების სახით[14].

ხსენებული კადრების რაოდენობა, აუარებელი ხარჯები და ქაოტური მდგომარეობა, რომელიც სუფევდა ჯარის შექმნის საქმეში, ხელისუფლებისათვის თვალსაჩინო გახდა. 1921 წლის სექტემბრის დამლევს დაიწყო ნაწილების გადახალისება და ახალი ორანიზაციული ფორმების დამკვიდრება, მაგრამ არც ამ გადახალისების დროს ვერ მოხერხდა მტკიცე საფუძველის ჩაყრა ჯარის ორგანიზაციული სტრუქტურის შექმნისათვის.

იმ დროიდან რამდენიმე გადახალისება და ორგანიზაციული ცვლილება განიცადა ქართულმა ლაშქარმა. მხოლოდ ნამდვილი ორგანიზაციული ფორმა და სისტემური, დადებითი მუშაობა დაიწყო 1922 წლის დამლევს, რის შემდეგ მუშაობამ და მისმა შედგენამ ნორმალური ხასიათი მიიღო.

1923 წლისათვის ქართული წითელი ჯარის სოციალური შემადგენლობა ასეთი იყო: მასში შედიოდა 80% გლეხობა, 6% მუშა და 11% სხვა სოციალური ფენებიდან.

სარდლობა მეტწილად ომის დროინდელი ოფიცრებისაგან შედგებოდა, კერძოდ, მათი რიცხვი 360 კაცს ანუ 77%-ს აღწევდა, დანარჩენი 23% იყვნენ ისინი ვისაც დამთავრებული ჰქონდა ყოფილი სამხედრო სასწავლებლები და აგრეთვე ქართული სამხედრო კურსები.

სარდლობის სოციალური მდგომარეობა ასე გამოიყურებოდა: 42% შეადგენდა ყოფილი თავადაზნაურობა და სასულიერო წოდება, ხოლო გლეხობა – 58%-ს.

ჯარში საპასუხისმგებლო თანამდებობებზე მსახურობდა მეფის დროინდელი 5 გენერალი, 20 პოლკოვნიკი და 15 პოდპოლკოვნიკი.

სამწყობრო მეცადინეობა, პოლიტმომზადება და საქმის წარმოება მიმდინარეობდა ქართულ ენაზე.

ქართული წითელი ლაშქრის ეროვნული შემადგენლობა კი ასეთი იყო: ქართველები – 80%, სომხები – 7%, რუსები – 5%, ოსები – 3%, გერმანელები, ებრაელები და სხვა ეროვნების წარმომადგენლობა[15].

წითელი არმიის ქართული ნაწილების მშენებ-ლობის გზაზე ერთ-ერთ სერიოზულ დაბრკოლებას წარმოადგენდა სამხედრო მეთაურთა კადრების სიმცირე, ამიტომ საქართველოს რევოლუციური კომიტეტის 1921 წლის 14

მაისის დეკრეტით თბილისში დაარსდა კურსები წითელი არმიისათვის უმცროს მეთაურთა კადრების მოსამზადებლად. წითელი არმიის ნაწილების პოლიტიკური განმტკიცების მიზნით საქართველოს კპ/ბ/ ცენტრალური კომიტეტის 1922 წლის 22 თებერვალის პლენუმმა მიიღო დადგენილება წითელი არმიის რიგებში პარტიის 300 წევრის გაწვევის შესახებ, რაც განხორციელდა[16].

ჯერ კიდევ 1921 წლის 10 ივნისს საბჭოთა საქართველოს ხელმძღვანელთა გადაწყვეტილებით თბილისში შეიქმნა "ქართულ სამხედრო მეთაურთა კურსები", რომლის კომისრადაც დაინიშნა შ.დანელია. 1921 წლის ნოემბრიდან ქართულ სამხედრო მეთაურთა კურსებს ქართული გაერთიანებული სამხედრო სკოლა ეწოდა. სკოლის მსმენელთა შევსება კომკავშირული მობილიზაციის წესით მიმდინარეობდა.

1922 წლის მარტში ქართული გაერთიანებული სამხედრო სკოლის მეთაურად დაინიშნა ილარიონ ტალახაძე, ხოლო კომისრად – ბორის ძნელაძე. უმთავრესი ყურადღება ეთმობოდა მტკიცე დისციპლინას, საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებაში მაღალ მომთხოვნელობას[17].

1922 წლის 5 დეკემბერს თბილისში თავისუფლების მოედანზე შედგა ქართული გაერთიანებული სამხედრო სკოლის კურსდამთავრებულთა პირველი ნაკადის საზეიმო გამოშვება. წითელ მეთაურებს სამხედრო ფიცის ტექსტი წაუკითხა საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარემ ფ.მახარაძემ. მისასალმებელი

სიტყვა წარმოთქვა გ.ორჯონიკიძემ. ზეიმზე დამსწრე ათასობით თბილისელი მშრომელი გულთბილად მიესალმა... ახალგაზრდა წითელ მეთაურებს. იმ დღეს საქართველოს წითელი არმიის ნაწილებმა მიიღეს 108 წითელმეთაური[18].

აღსანიშნავია, რომ ქართულ გაერთიანებულ სამხედრო სკოლაში პირველი სამხედრო და პოლიტიკური განათლება მიიღეს მეთაურებმა, რომლებიც შემდგომში საბჭოთა არმიის გენერლები გახდნენ. ესენი იყვნენ: საბჭოთა კავშირის გმირები: გენერალ-პოლკოვნიკები პ.ჩანჩიბაძე და კ.ლესელიძე, გენერალ-ლეიტენანტი ვ.მჟავანაძე, გენერალ-მაიორები:მ.კიკნაძე, ნ.კალაძე, კ.ჯახუა, პ.აბრამიძე, ი.ბაბალაშვილი, გ.ყურაშვილი, ნ.თავართქილაძე, ი.რაზმაძე, ი.სილაგაძე, გ.ჭინჭარაძე, ვ.ძაბახიძე, დ.ნამგალაძე, მ.როსტომაშვილი, პ.შიოშვილი, კონტრ-ადმირალი მ.ჯინჭარაძე და სხვები[19].

ქართული გაერთიანებული სამხედრო სკოლის გარდა საქართველოს წითელი არმიის ნაწილებისათვის მეთაურებს ამზადებენ: ამიერკავკასიის ქვეითთა სკოლა, თბილისის 26 კომისრის სახელობის სამხედრო სასწავლებელი, ქართული სამხედრო პოლიტსკოლა, ბათუმის სამხედრო-საზღვაოსასწავლებელი, დივიზიებსა და პოლკებთან არსებული სკოლები.

წითელი არმიის ქართული ნაწილებისათვის უფროს მეთაურთა შემადგენლობის კადრების მომზადება მიმდინარეობდა უკვე 1921 წლიდან მოსკოვის სამხედრო აკადემიაში. დეპეშაში, რომელიც საქართველოს სამხედრო-

საზღვაო სახალხო კომისარიატს 1921 წლის ნოემბერში გამოუგზავნა მოსკოვის სამხედრო აკადემიის რექტორმა, ნათქვამი იყო: "ქართულ ლაშქარს აკადემიაში დათმობილი აქვს 30-მდე ადგილი. აკადემიაში შემსვლელებს უნდა დაეკმაყოფილებინათ შემდეგი მოთხოვნები: საერთო სწავლა – მეორე საფეხურის სკოლის ფარგლებში, ხოლო სამხედრო ცოდნა პირველი საფეხურის სკოლის ფარგლებში, წითელ ლაშქარში სამსახური არა ნაკლებ ორი წლისა, მათგან სამწყობრო – არა ნაკლებ ერთი წლისა. ამასთანავე აკადემიაში შესვლის მსურველი უნდა ყოფილიყვნენ კომპარტიის წევრები არა ნაკლებ ერთი წლის სტაჟით /უპარტიონი მიიღებოდნენ როგორც გამონაკლისი, პარტიული და პოლიტიკური ორგანიზაციების და პასუხისმგებელ პოლიტიკურ პირთა რეკომენდაციით.[20] 1921 წელს აკადემიაში შემსვლელთ შეღავათი ეძლეოდათ ყველა სამ პუნქტში /კერძოდ, შესვლა შეეძლოთ სამხედრო კომისრებსაც, მაგრამ მე-4 პუნქტით პარტიული სტაჟი მათ სრული სიმკაცრით მოეთხოვებოდათ.

საშუალო სკოლის ზოგიერთი სამხედრო სპეციალისტ – მეთაურის მომზადება თვით ქართული ნაწილების ბაზაზე ხდებოდა. ასე მაგალითად, საქართველოს სამხედრო-საზღვაო კომისარიატის 1921 წლის 10 მაისის ბრძანებით წითელ სამხედრო მფრინავთა მოსამზადებლად საავიაციო დივიზიონთან 15 მაისიდან უნდა გახსნილიყო საავიაციო სკოლა. სკოლაში შესვლა შეეძლო სამხედრო ნაწილებისა და ორგანიზაციების იმ სამხედრო მოსამსახურეებს, რომლებსაც სურვილი ჰქონდათ,

აკმაყოფილებდნენ სამედიცინო მოთხოვნების პირობებს და მიღებული ჰქონდათ საშუალო განათლება.

ამავე ბრძანებით სამხედრო მეავტომობილეთა და სამხედრო რადიოტექნიკოსთა მოსამზადებლად 1921 წლის 15 მაისიდან იხსნებოდა საღამოს კურსები. ეს კურსები აუცილებლად უნდა გაევლო ავტო-ასეულისა და მეკავშირეთა ბატალიონის მეთაურთა მთელ იმ შემადგენლობას, რომლებსაც მიღებული არ ჰქონდათ სპეციალური განათლება, აგრეთვე მსურველებს სხვა ნაწილებიდანაც.[21]

საქართველოს სამხედრო-საზღვაო სახალხო კომისარიატის 1921 წლის 11 ივლისის ბრძანებით სამხედრო რკინიგზელთა მოსამზადებლად მთავარ საინჟინრო სამმართველოსთან 1 აგვისტოდან უნდა გახსნილიყო საღამოს კურსები უფროსთა შემად-გენლობისათვის. ეს კურსები აუცილებლად უნდა მოესმინა ცალკე რკინიგზის გუნდის უფროსთა შემადგენლობის ყველა იმ პირს, რომელთაც არ ჰქონდათ სპეციალური განათლება.[22]

წითელ ჯარში მობილიზაციით გაწვევის ან მოხალისედ შესვლის დროს ყველა მოსამსახურენი და მუშები, როგორც სახელმწიფო და კერძო დაწესებულებებისა და წარმოებისა, აგრეთვე კერძო პირებთან მომუშავენი იღებენ მაშინვე სრულ ანგარიშს და ამას გარდა, ორი კვირის ჯილდოს წინდაწინ.

ჯარიდან დაბრუნებისას მოხსენიებული პირები ხელახლა იღებდნენ იმ თანამდებობას, რომელიც მათ ჰქონდათ ჯარში შესვლამდე.

წითელ ჯარში ყოფნისას მიწის მუშებს ენახებოდათ ყველა უფლება მიწაზე. წითელარმიელების ქონება თავისუფალი იყო ყოველგვარი რეკვიზიციისა და კონფისკაციისაგან[23].

როგორც წითელარმიელები, აგრეთვე მათი ოჯახები, თავისუფალნი იყვნენ მათი ჯარში ყოფნის დროს ყოველნაირი პიდაპირი გადასახადისაგან, ხოლო ნახევრად – სასურსათო გაგასახადისაგან.

წითელარმიელების ჯარში ყოფნის დროს, მისი ოჯახი თავისუფლდებოდა: ა) ბინის ქირის გადასახადისგან, ბ) ბინიდან გასახლებისა და გამოსახლებისაგან და გ) შრომის ბეგარისაგან.

დეზერტირ წითელარმიელებსა და საწინააღმდეგო მხარეზე გადასულებს და მათ ოჯახებს ესპობოდათ ამ დებულებით მინიჭებული ეს უფლებანი.

წითელარმიელთ ოჯახებს ეძლეოდათ დახმარება ფულით. აღნიშნულ დახმარებაზე უფლება ჰქონდათ წითელარმიელის ოჯახის შრომის უნარმოკლებულ წევრებს[24]…

წითელარმიელის ოჯახების შრომისუნარიან წევრებს უფლება ჰქონდათ რიგგარეშე მიეღოთ სამუშაო მუშა-ხელის აღრიცხვის განყოფილებიდან.

წითელარმიელის სიკვდილის ან დასახიჩრების შემდეგ ოჯახი ან დასახიჩრებული კმაყოფილდებოდა იმ

წესით, რომელიც იქნებოდა შემოღებული სპეციალური დეკრეტით.

ამ დეკრეტის შესრულება ევალებოდა სოც-უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატს, ხოლო იმ ნაწილისა კი, რომელიც ეხებოდა სასურსათო სამეურნეო დახმარებას, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს[25].

წითელი არმიის ქართული ნაწილების შექმნამ საჭირო გახადა შექმნილიყო სპეციალური ორგანო-საქართველოს ჯარების პოლიტგანყოფილება, რომელსაც ხელმძღვანელობა უნდა გაეწია ქართული ლაშქრის პოლიტიკური და კულტურული აღზრდისათვის. საქართველოს ჯარების პოლიტგანყოფილებას ჰქონდა თავისი ბეჭდვითი ყოველკვირეული ორგანო გაზეთი "წითელარმიელი", რომლის პირველი ნომერი 1921 წლის 21 აგვისტოს გამოვიდა.

რადგან ქართული ჯარის ნაწილები ჯერ კიდევ არ იყვნენ ორგანიზაციულად ჩამოყალიბებულნი და გაზეთს არ ჰყავდა გამოცდილი სამხედრო კორესპონდენტები, ჯარის ნაწილების ცხოვრება მასში არასაკმარისად შუქდებოდა. შემდეგ გაზეთს ჩამოსცილდნენ მისი პირველი დამაარსებლები – პ.ბუაჩიძე და პ.ქუთათელაძე და გაზეთი გამოდიოდა ს.დარახველიძის რედაქტორობით[26]. 1922 წლის თებერვლიდან გაზეთი ხელახლა გადავიდა პ.ქუთათელაძის ხელში, რომელსაც მხარში ამოუდგა დაუღალავი და ენერგიული მუშაკი ჭ.ხუნდაძე. ამის შემდეგ გაზეთი კვირაში ორჯერ გამოდიოდა.

1922 წლის აპრილიდან გაზეთის ხელმძღვანელი გახდა ს.ქურიძე, რომელმაც გაზეთის გამოცემის საქმე უფრო გააუმჯობესა.

ქართულ ჯარს დიდხანს არ ჰქონდა ისეთი ორგანოები, ურომლისოდაც მისი მკვიდრ ნიადაგზე დაფუძნება ძნელი იყო. 1923 წელს აღიძრა შუამდგომლობა სამხედრო ტრიბუნალის დაარსების თაობაზე, რომლის მუშაობასაც მნიშვნელოვნად უნდა შეემცირებინა ბოროტმოქმედება და დეზერტირობა. ქართული ჯარის ნაწილებში დეზერტირობას თავდაპირველად სისტემატიური ხასიათი ჰქონდა. კერძოდ, დეზერტირთა რიცხვი 4 ათას წითელარმიელს აღწევდა. სამხედრო ტრიბუნალის დაარსების შემდეგ ქართულ ჯარში დეზერტირობა იშვიათი მოვლენა გახდა. მაგალითად, 1923 წლის მაისში დეზერტირობის 85 შემთხვევა იყო, ივნისში – 63, ივლისში – 31, აგვისტოში – 29 და სექტემბერში – 7.[27]

სამხედრო ტრიბუნალის დაარსების შემდეგ დაარსდა საგანგებო განყოფილება, რომელიც ებრძოდა ბოროტმოქმედებას ქართულ ჯარში.

იმ დროისათვის ქართულ ჯარს ჰქონდა სამხედრო კოოპერატივი ("ეკოგრუზი"), სახერხი ქარხანა, ძროხებისა და ღორების ფერმა, იჯარით აღებული მამული და ტყე[28].

როგორც აღინიშნა, საქართველოს ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ წითელი არმიის ეროვნული ნაწილების ორგანიზაციული შექმნა-ჩამოყალიბების პროცესში დაუშვა მთელი რიგი უხეში შეცდომები. კერძოდ, წითელი არმიის ქართული ნაწილები უშუალოდ დაემორჩილა კავკასიის

არმიის სარდლობას, რომელიც თავის მხრივ რუსეთის უმაღლეს მთავარსარდლობას ექვემდებარებოდა. საქართველოში თვით საბჭოთა ხელისუფლების მომხრე პირთა მცირერიცხოვანი ნაწილი, რომელიც რუსეთის სარდლობისაგან დამოუკიდებლად ქართული ეროვნული არმიის შექმნას მოითხოვდა, ნაციონალ-უკლონისტებად მონათლეს.

§2 პირველი ქართული მსროლელი დივიზიის შექმნა და ფუნქციონირება 1921-1938 წლებში

როგორც აღინიშნა, პირველი ქართული პოლკი შეიქმნა ბათუმში 1921 წლის მარტში, ქალაქიდან თურქების განდევნის შემდეგ.

1921 წლის პირველი აპრილისათვის საქარ-თველოს უკვე ჰყავდა სამი ქვეითი და ორი ცხენოსანი პოლკი. ძირითადად სწორედ ამ ნაწილების ბაზაზე 1921 წლის 4 აპრილს ჩამოყალიბდა საქართველოს წითელი არმიის ცალკე დივიზია, რომლის მეთაური იყო გ.მაზნიაშვილი, კომისარი – ნ.ოკუჯავა.

ამრიგად, საქართველოში წითელი არმიის შექმნის პირველი პერიოდი დამთავრდა 1921 წლის აგვისტოში.

კავკასიის ცალკე არმიის 1922 წლის ივლისის ბრძანებით ქართული შენაერთები და ნაწილები

გადახალისდა პირველ ქართულ მსროლელ დივი-ზიად, რომლის მეთაური იყო ს.ლევქთაძე, ხოლო კომისარი თ.ჟღენტი.

პირველი ქართული მსროლელი დივიზიის შემადგენლობაში ითვლებოდა უმაღლეს, უფროსი და საშუალო მეთაური 352 კაცი, რომელთაგან სოციალური წარმოშობის მიხედვით 84 იყო მუშა, 41 კოლმეურნე, 63 ერთპიროვნული მეურნე, 164 მოსამსახურე და სხვები. პარტიული ფენა შეადგენდა 60%-ს.[29]

დივიზიაში უმცროს მეთაურათა შემადგენლობა 587 კაცს შეადგენდა, რომელთაგან სოციალური წარმოშობით მუშა იყო 242, 176-კოლმეურნე, 116–ერთპიროვნული მეურნე, 53–მოსამსახურე და სხვები. პარტიული ფენა 61,8% შეადგენდა.

შენაერთის რიგითი შემადგენლობა 2236 კაცს ითვლიდა, რომელთაგან სოციალური წარმოშობით 611 იყო მუშა, 625 – კოლმეურნე, 702 – ერთპიროვნული მეურნე, 298 – მოსამსახურე და სხვები.

პარტიულ-კომკავშირული ფენა მთლიანად დივი-ზიაში 64,4% შეადგენდა[30].

უფროს მეთაურთა შემადგენლობიდან დივიზიას აკლდა 6 კაცი, საშუალო მეთაურთა შემადგენლობიდან 9 კაცი, რომელთაგან 6 საარტილერიო პოლკზე მოდიოდა.

1921 წლის 29 აგვისტოს ქართული წითელი არმიის სარდლობამ გამოსცა ბრძანება, რომლითაც სამხედრო უწყებების ყველა ნაწილებში, სამმართველოებში და დაწესებულებებში 1921 წლის პირველი სექტემბრიდან

ყოველგვარი მიმოწერა უნდა ყოფილიყო სახელმწიფო, ქართულ ენაზე[31].

საქართველოს წითელი არმიის ცალკე დივიზიის შემადგენლობაში 1921 წლის 10 აგვისტოს პირველად ჩაეყარა საფუძველი პირველ ქართულ წითელ ლეგიონს, ამ დღიდან ის გახდა ერთ-ერთი მებრძოლი ნაწილი. ქართული ლეგიონის სრულად ჩამოყალიბებას ორი წელი დასჭირდა[32].

ჯერ კიდევ 1921 წლის აპრილის უკანასკნელ რიცხვებში გამოიცა ბრძანება ქართული მე-3 ლეგიონის (შემდეგში მას მე-5 ლეგიონი ეწოდა) ჩამოყალიბების შესახებ. პირველ წლებში ლეგიონის შემადგენლობა ძალზე მცირე იყო, მაგრამ შემდეგ ლეგიონი შეივსო როგორც რიგითი წითელარმიელებით, ისე მეთაურებითა და პოლიტმუშაკებით.

1924 წელს ლეგიონ საბანაკოდ გავიდა, მაგრამ იმავე წლის 28 აგვისტოს იგი დასავლეთ საქარ-თველოში გაგზავნეს, სადაც ლეგიონს მოუხდა ბრძოლა 1924 წლის აგვისტოს ანტისაბჭოთა აჯანყების წინააღმდეგ. ამის შემდეგ ლეგიონი დარჩა ქუთაისში და წითელარმიელთა შორის გაცხოველებილ მუშაობას აწარმოებდა, როგორც სამხედრო, ისე პოლიტიკურ დარგში[33].

პირველი ქართული მსროლელი დივიზიის შემადგენლობაში თავდაპირველად ირიცხებოდა საინჟინრო ლეგიონი, რომელიც 1922 წლის 10დეკემბერს ორ ნაწილად – მესანგრე და მეკავ-შირეთა ასეულებად

გაიყო, სწორედ ამ დროიდან დაიწყო არსებობა მეკავშირეთა ასეულმა, როგორც ცალკე ერთეულმა.

მეკავშირეთა ასეულის მეთაური იყო ჩარექოვი, ხოლო სამხედრო კომისარი ჭელიძე[34].

ზემოთ აღინიშნა, რომ მე-3 ქართულმა ლეგიონმა მონაწილეობა მიიღო 1924 წლის აჯანყების ჩახშობაში. სამწუხაროდ, ეს ერთადერთი შემთხვევა არ ყოფილა, როდესაც საბჭოთა საქართველოს ხელმძღვანელობა თავისი ძალაუფლების განსამტკიცებლად იყენებდა საჯარისო შენაერთს. პირველი ქართული მსროლელი დივიზიის ქათულ ცხენოსანთა ნაწილი დიდი ხნით იმყოფებოდა ოზურგეთში ანტისაბჭოური გამოსვლების წინააღმდეგ საბრძოლველად, რომელსაც მაშინ ოფიციალური ხელისუფლება "ბანდიტთა ბოროტმოქმედებად" ნათლავდა.[35]

ასევე შეიძლება ითქვა ქართული ძირითადი სასწავლო ათასეული შესახებაც, რომელიც 1922 წლის შემოდგომაზე ხევსურეთში ებრძოდა ქ.ჩოლოყაშვილის რაზმებს, ამ ბრძოლაში ქართულმა ძირითადმა სასწავლო ათასეულმა 11 მებრძოლი დაკარგა[36].

პირველი ქართული მსროლელი დივიზიის ნაწი-ლების შექმნისა და 1922-1924 წლების ანტისაბჭოური გამოსავლების ჩახშობის შემდეგ, მთავარი ყურადღება დაეთმო სამხედრო ნაწილების საბრძოლო-პოლიტიკურ მომზადებას.

საბრძოლო პროგრამის შემადგენელი ნაწილი იყო ნადირობა, რომელიც ყოველწლიურად ტარდებოდა და მას

სისტემატიური ხასიათი ჰქონდა. ასე მაგალითად, 1922 წლის 16 ნოემბერს სამხედრო-სასპორტო სკოლის 70 კურსანტი და მონადირე მსროლელთა სკოლის 40 კაცი მატარებლით გაემართა სადგურ ძეგამში. მათ შეუერთდნენ სტუმრად მოწვეულნიც, რის შემდეგაც რაზმის შემადგენლობამ 130 კაცს მიაღწია.

მონადირე მსროლელები, რომელსაც გაბაშვილი მეთაურობდა, წინდაწინვე შემუშავებული პროგრამით ხელმძღვანელობდნენ.

ნადირობაში მონაწილეობდნენ: ამიერკავკასიის წითელი ლაშქრის მთავარსარდალი ი.ეგოროვი, საქართველოს სსრ საყოველთაო-სამხედრო სასწავლებლის უფროსი გიორგაძე, რესპუბლიკის სამხედრო-საზღვაო კომისარი კვირკველია, საქართველოს მონკავშირის თავმჯდომარე და მრავალი სხვა.

ნადირობამ აჩვენა მონადირე მსროლელთა სკოლისა და სამხედრო-სასპორტო სკოლის კურსანტთა მაღალი საბრძოლო მომზადება სროლაში.

მთავარსარდალმა ი.ეგოროვმა მადლობა გამოუცხადა კურსანტებს და ისინი ინგლისური მაზარებით დაასაჩუქრა[37].

დიდი ყურადღება ჰქონდა დათმობილი შეფობას ქართული წითელი არმიის ნაწილებზე. ასე მაგალითად, ქუთაისში განლაგებული იყო მე-3 ქართული პოლკი. მას შეფობას უწევდა მაზრის აღმასკომი. შეფმა ნაწილს შემდეგი დახმარება აღმოუჩინა: მისცა 50 მილიონი მანეთი ფულად, 25 ხე ფიცრებისათვის, ერთი ფუთი შაქარი, 1200 კოლოფი

სიგარეტი, 20 ფუთი ხორცი, თეფშები, კოვზები და 38 ვედრო ღვინო.[38]

სხვათაშორის აღსანიშნავია, რომ იმ დროისათვის ჯარისკაცებისათვის განსაზღვრული რაოდენობით ღვინის მიცემა სათანადო ბრძანებით იყო დაკანონებული. კერძოდ, საქართველოს რევოლუციური კომიტეტის დადგენილებით 1921 წლის 20 სექტემბრიდან თითო წითელარმიელს დღეში უნდა მისცემოდა 200 გრამი ღვინო.[39]

ქართულ პარტიულ სკოლას შეფობდა თბილისის აღმასკომი, რომელიც ნამდვილ მზრუნველობას უწევდა სკოლას როგორც ფულადი თანხების ასევ სურსათ-სანოვაგით.[40]

1922 წლის 17 დეკემბერს ქართულ ცხენოსანთა ლეგიონში საზეიმოდ გაიხსნა მიხა ცხაკაიას სახელობის კლუბი. [41]

საშა გეგეჭკორი ქართული ცხენოსანი ლეგიონის მე-2 ესკადრონის საპატიო წითელარმიელი იყო. მან მე-2 ესკადრონის წითელარმიელთა სახელით კლუბს 50 მლნ მანეთი შესწირა, ასევე აუარებელი სასკოლო ნივთები, რომლიდანაც ნაწილი მან სხვა ესკადრიონებს გადასცა.[42]

პირველი ქართული მსროლელი დივიზიის ნაწილებში მნიშვნელოვანი ყურადღება ექცეოდა სპორტულ-ფიზკულტურულ ღონისძიებებს. 1923 წლის ზაფხულში გაიმართა ცალკე კავკასიის არმიის ოლიმპიადა. მასში 11 გუნდი მონაწილეობდა. პირველმა ქართულმა დივიზიამ ოლიმპიადაზე მხოლოდ მე-5 ადგილი დაიკავა,

რაც დივიზიის ხელმძღვანელებმა დამაკმაყოფილებლად არ მიიჩნიეს.[43]

დივიზიის ნაწილებში დიდი ყურადღება ეთმობოდა პოლიტმასობრივ მუშობას, რომლის მთავარი მიზანი წითელარმიელებისა და მეთაურების პოლიტიკური განათლება იყო.

აღსანიშნავია, რომ 1922 წლის პირველ აგვისტოს უმცროს მეთაურთა მოსამზადებელ სკოლაში გაიხსნა პოლიტხელთა მოკლევადიანი კურსები.

საერთოდ, პირველ ქართულ მსროლელ დივიზიაში 1923 წლის პირველი იანვრიდან პირველ ოქტომბრამდე ჩატარდა 20-მდე პოლიტიკური კამპანია. იმართებოდა სისტემატიური პოლიტსაუბრები. თბილისში ქართულ ჯარს ჰქონდა ცენტრალური კლუბი, სულ კი დივიზიის ნაწილებში მოქმედებდა 12 კლუბი. კლუბში არსებობდა აგრეთვე სამხატვრო, ლიტერატურული, დრამატული, სპორტული, სამხედრო ცოდნისა და სასოფლო-სამეურნეო წრეები.

ქართული ჯარის ნაწილებში 1923 წლისათვის 16 ბიბლიოთეკა იყო. ამავე წლიდან ყოველდღიურად გამოდიოდა გაზეთი "წითელარმიელი, ქართული ჯარის ნაწილების ორი წლის თავზე გამოიცა საიუბილეო ჟურნალი "წითელი ვარსკვლავი" და წიგნაკი – "წერილი წითელარმიელებს" საჭირო მასალითურთ.

პოლიტხელებისათვის გაიხსნა კურსები, რომლებშიც მომავალ პოლიტხელებიდან 45 ახალგაზრდას ამზადებდნენ.

1924 წლიდან პირველი ქართული მსროლელი დივიზია თავისი პროფილით შერეული ტიპის შენაერთი გახდა ე.ი დივიზიის ნაწილი კადრისა იყო და ნაწილი ტერიტორიული გახდა.

სწავლების ასეთმა სისტემამ დიდი სიძნელეები შექმნა. ამიტომ კავკასიის წითელდროშოვანი არმიის მეთაურობის ბრძანებით პირველი ქართული მსროლელი დივიზია კვლავ კადრის დივიზიად გადახალისდა, ხოლო მე-2-ე ქართული დივიზია ტერიტორიულად. ეს დივიზიაც 1937 წელს კადრის დივიზია გახდა.

1926 წლის 22 ივნისს დილით ადრე პირველი ქართული მსროლელი დივიზიის მეთაურის განკარ-გულებით ბანაკში გამოცხადდა განგაში, რომელიც ატარებდა გამოცდის ხასიათს, თუ რამდენად იყვნენ ნაწილები მომზადებული მოულოდნელი შემთხვევის დროს აბჯრის სწრაფად ასხმისათვის. 7 წუთში დივიზიის ყველა ნაწილი წინა ხაზზე იქნა გამოყვანილი სალაშქრო რაზმეულებად მოწყობილი და აბჯარასხმული. დივიზიის ნაწილებმა წარმატებით ჩააბარეს გამოცდა.[44]

1929 წლის 18 აგვისტოს პირველმა ქართულმა მსროლელმა დივიზიამ მოაწყო მანევრი მტკვარზე გადასასვლელად სადგურ სკრის მიმართულებით. პირველი და მე-2-ე ლეგიონები წარმოადგენდნენ შემტევ ძალას და მოძრაობდნენ ჩრდილო-დასავლეთის მხრიდან მტკვრის მიმართულებით, მე-3 ლეგიონი კი იმყოფებოდა მოგერიებაში და მოძრაობდა სამხრეთ-დასავლეთის

მიმართულებით სკრისკენ-მტკვრის გამოღმა მიდამოების დასაცავად.

წითელარმიელების საერთო მოქმედება მეტად სერიოზული და საიმედო იყო. იყო მხოლოდ ერთეული შემთხვევები ზოგიერთი ჯარისკაცების მხრივ შეუთანხმებლობის გამო მოხვდნენ "მტრის" ცეცხლის ხაზზე. ეს ნაკლი დივიზიის სარდლობასა და ნაწილების მეთაურებს შემდეგში უნდა გაეთვალისწინებინათ და აღმოეფხვრათ.[45]

1931 წლის 26 მაისს გაიხსნა პირველი ქართული მსროლელი დივიზიის მე-9 პარტიული კონფერენცია, რომელზედაც ნაწილები შემოვიდნენ პატაკით – ნაწილში საბრძოლო მომზადების მაღალი მაჩვენებლების შესახებ და მოითხოვეს ნაწილების დამკვრელად გამოცხადება, მაგრამ დივიზიის სარდლობამ მიიჩნია, რომ ნაწილების იმდროინდელი საბრძოლო მომზადება ვერ იძლეოდა უმაღლეს მაჩვენებლებს.

ნაწილის დამკვრელად გამოცხადებისათვის დივიზიის სარდლობამ წამოაყენა შემდეგი პირობები" ა) არც ერთი შემთხვევა დისციპლინის დარღვევისა, ბ) პოლიტმეცადინეობის კარგად დაყენება და განვლილი თემების დამაკმაყოფილებლად ათვისება, გ) ნაწილის საბრძოლო მომზადების გეგმების შესრულება ხარისხობრივად და რაოდენობრივად, დ) ტექნიკის მოვლა-შენახვაზე საუკეთესო შედეგების მიღწევა.

დივიზიის პოლიტგანყოფილებამ და დივიზიის შტაბმა შეადგინეს გეგმა ნაწილების მიერ დამკვრელობის პირობების შესრულების შესამოწმებლად.[46]

1931 წლის 11 ივნისს გამოვიდა პირველი და მე-2 ქართული მსროლელი დივიზიების პოლიტგან-ყოფილების ორგანოს გაზეთი "წითელარმიელის" მე-2000 ნომერი.

გაზეთ "წითელარმიელის" ამ ნომრის გამოსვლას მიესალმა კავკასიის წითელდროშოვანი არმიის რევოლუციური სამხედრო საბჭო. მისალმებაში სახელდობრ, ნათქვამი იყო: "კავკასიის წითელდროშოვანი რევოლუციური სამხედრო საბჭო ულოცავს წითელი არმიის ქართული ნაწილების მებრძოლებს და უფროსთა შემადგენლობას გაზეთი "წითელარმიელის" მე-2000 ნომრის გამოსვლას.

"წითელარმიელი" გაიზარდა კოლექტიურ ორგა-ნიზატორად და აგიტატორად, რომელიც წარმატებით რაზმავს მებრძოლთა მასებს და უფროსთა შემადგენლობას დასახული ამოცანების განსახორციელებლად".[47]

საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებაში მიღწეული წარმატებებისათვის, რომელსაც განუწყვეტლივ აღწევდა პირველი ქართული მსროლელი დივიზია, მას 1930 წლის სექტემბერში ი.სტალინის სახელი მიენიჭა.

პირველი ქართული მსროლელი დივიზიისათვის საპატიო სახელწოდების მინიჭება შემთხვევითი არ ყოფილა. მშვიდობიან დროს, არასაომარი მოქმედებების პირობებში, მაშინდელი ტოტალიტარული სახელმწიფოს

პირობებში რაიმე საპატიო სახელწოდების მიღება შენაერთს და ისიც ეროვნულს შეეძლო მხოლოდ თავდაუზოგავი და დაუღალავი შრომით მოეპოვებინა. საპატიო სახელწოდების მიღება აორკეცებდა დივიზიის თითოეული ჯარისკაცის, მეთაურისა და პოლიტმუშაკის პასუხისმგებლობას მათ წინაშე მდგომი საბრძოლო ამოცანების გადასაჭრელად. ამავე დროს ამაღლებდა მათ ავტორიტეტს.

1932 წლის 24 ივნისს კავკასიის წითელდროშოვანი არმიის ჯარებისადმი გაცემული ბრძანებით სტალინის სახელობის პირველი ქართული მსროლელი დივიზიის სამხედრო კომისარი და პოლიტგანყოფილების უფროსი ნიკოლოზ ბლუაშვილი დააწინაურეს. იგი დანიშნეს კავკასიის წითელდროშოვანი არმიის პოლიტიკური სამმართველოს უფროსის თანაშემწედ (მოადგილეს მაშინ არ უწოდებდნენ).[48]

1932 წლის 10 ივლისს სტალინის სახელობის პირველ ქართულ დივიზიაში დამთავრდა სასროლო საინსპექტორო გასინჯვები. საინსპექტორო შემოწმების დროს პრაქტიკული შედეგები ასეთი იყო: რევოლვერიდან სროლაში პირველმა ლეგიონმა მიიღო – 100%, მე-2 ლეგიონმა – 103%, მე-3 ლეგიონმა – 100%, დივიზიის სამმართველომ – 206%.

შაშხანებიდან: პირველმა ლეგიონმა მიიღო – 117%, მე-2 ლეგიონმა – 112%, მე-3 ლეგიონმა – 108,9%, დივიზიის სამმართველომ – 118%.

ხელის ტყვიამფრქვევებიდან: პირველმა ლეგიონმა – 117%, მე-2 ლეგიონმა – 103%, მე-3 ლეგიონმა – 100,5%.

დაზგის ტყვიამფრქვევებიდან: პირველმა ლეგიონმა – 101,6%, დივიზიის სამმართველომ 112,5%.[50]

1932 წლის სექტემბერში სტალინის სახელობის პირველმა ქართულმა მსროლელმა დივიზიამ წარმატებას მიაღწია. სნაიპერებმა სროლის ტექნიკის დაუფლების სანიმუშო მაგალითები აჩვენეს.

მეორე ლეგიონში სროლის მაღალი შედეგები აჩვენეს: მუტამ 55 შესაძლებლობიდან მოიპოვა 51 ქულა. ქავთარაძემ – 48 ქულა, ჩუბინიძემ – (46 ქულა), ლაცაბიძემ – (44ქულა). მე-3 ლეგიონის ვარჯიშში პერსონალურად მოწინავეთა რიგებში იდგნენ: ხუჭუა (44 ქულა) და ცხვარიაშვილი (43 ქულა).

№ ლეგიონის სნაიპერებს შორის მოწინავეთა რიგებში იდგნენ: გამრეკელიძე (49ქულა) და ბაკურაძე (43ქულა)[51].

შაშხანებიდან სროლაში დივიზიამ მიიღო შეფასება – საუკეთესო. დაზგისა და ხელის ტყვიამფრქვევებიდან სროლაში, ყუმბარების ტყორცნაში, მანძილის თვალთა განსაზღვრასა და ადგილ-მდებარეობის საბრძოლო გამოყენებაში – შეფასება საუკეთესო.

რევოლვერებიდან სროლასა და სნაიპერების სროლაში – შეფასება კარგი.

საერთოდ, საბრძოლო სროლების შესრულება დივიზიის ყველა ნაწილის მიერ შეფასდა საუკეთესოდ.[52]

როდესაც პირველი ქართული მსროლელი დივიზიის საბრძოლო წარმატებებზე ვსაუბრობთ, უნდა აღვნიშნოთ

ისიც, რომ შენაერთს ზოგჯერ ხარვეზებიც ჰქონდა. მაგალითად, უდისციპლინობის მხრივ გამოირჩეოდა დივიზიის საკავალერიო ესკადრონი, სადაც 1933 წლის პირველ სამ თვეში დისციპლინის დარღვევის შემთხვევებმა 38,2% შეადგინა, მე-3 პოლკში – 15,7%, მეკავშირეთა ასეულში – 14%.[53]

სტალინის სახელობის პირველი ქართული მსროლელი დივიზიის წარმატებები საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებაში თვალსაჩინო იყო, რაც პირველ რიგში დივიზიის მეთაურის გ.ქუთათელიძის დამსახურება იყო.

გ.ქუთათელიძემ 1911 წელს დაამთავრა სამხედრო სასწავლებელი. 1924 წელს კი – "უმაღლესი სასროლო კურსები". 1927 წელს დაამთავრა მოსკოვის სამხედრო აკადემიასთან არსებული უმაღლესი – უფროსი შემადგენლობის გადასამზადებელი კურსები. ადრე მონაწილეობდა პირველ მსოფლიო ომში. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ წითელ არმიაში, იმყოფებოდა ქართული დივიზიის შტაბის უფროსის თანაშემწედ, პირველი ქართული ლეგიონის მეთაურად, მე-2 ქართული დივიზიის მეთაურის თანაშემწედ და 1925 წლიდან პირველი ქართული დივიზიის მეთაურად. დაჯილდოებული იყო შრომის წითელი დროშის ორი ორდენით. იყო საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ოთხი მოწვევისა და ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სამი მოწვევის წევრი.

გ.ქუთათელაძე, როგორც ერთ-ერთი საუკეთესო მეთაურთაგანი 1933 წლის ივნისში დანიშნეს კავკასიის წითელდროშოვანი არმიის სარდლის მოადგილედ მატერიალური უზრუნველყოფის დარგში, ხოლო მის ადგილზე დივიზიის მეთაურის თანამდებობაზე დაინიშნა აღლაძე, რომელიც 1929 წლიდან ამავე დივიზიის შტაბის უფროსად მუშაობდა.[54]

1933 წელს სასროლო მომზადებაში დივიზიიდან შემოწმებულ იქნა მხოლოდ მსროლელთა პირველი პოლკი. სროლაში სუსტი მომზადება გამოამჟღავნა უფროსთა და საშუალო მეთაურთა შემადგენლობამ, ვიდრე უმცროს მეთაურთა შემადგენლობამ, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში მე-2, მე-3 და მე-4 პოლკების რიგით შემადგენლობასთან შედარებითაც კი.

შემოწმების დროს ტაქტიკურ მომზადებაში კარგი შედეგები აჩვენა პირველმა და მე-4 პოლკებმა, დანარჩენებმა კი – დამაკმაყოფილებელი შეფასება დაიმსახურა.

სამწყობრო მომზადებაში დივიზიის ნაწილებიდან მე-4 პოლკმა ფრიადი, ხოლო დანარჩენებმა შეფასება "კარგი"დაიმსახურა.[55]

ფიზიკური მომზადების საქმე კარგად იდგა მე-2 პოლკსა და საკავალერიო ესკადრონში, არადამაკმაყოფილებლად მე-3 და მე-4 პოლკებში, ხოლო პირველმა პოლკმა დამაკმაყოფილებელი შეფასება დაიმსახურა.

ტექნიკურ მომზადებაში შეფასება “კარგი” დაიმსახურა მე-4 პოლკმა, დამაკმაყოფილებელი პირველმა პოლკმა, ხოლო მე-2 და მე-3 პოლკებმა – არადა-მაკმაყოფილებელი.[56]

პოლიტმეცადინეობებში გათვალისწინებული პროგრამა დივიზიის ნაწილებმა დამაკმაყოფილებლად აითვისეს. ამ მხრივ კარგად იდგა საქმე საარტილერიო პოლკში, მე-4 პოლკსა და მეკავშირეთა ასეულში. პოლიტმეცადინეობების ირგვლივ ფართოდ იყო გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება, თუმცა ხელმძღვანელობა და შედეგების შემოწმება ყველგან ჯეროვან სიმაღლეზე არ იდგა.[57]

1934 წლის სექტემბერში კვლავ ჩატარდა სტალინის სახელობის პირველი ქართული მსროლელი დივიზიის საინსექტორო შემოწმება.

სროლები დანაყოფებით ყველა ლეგიონისა შეფასდა “საუკეთესოდ”.

მეთაურთა სროლებმა ყველა ლეგიონიდან აგრეთვე დაიმსახურა შეფასება “საუკეთესო”. ჩქარი ლაშქრობა ყველა ლეგიონისა ასევე აღინიშნა “საუკეთესო” შეფასებით. მე-2 და მე-3 ლეგიონების ზურგში გასვლამ დაიმსახურა შეფასება – კარგი და ა.შ.[58]

1935 წლის აგვისტოში ჩატარდა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის მე-14 სპარტაკიადა, რომელშიც სხვებთან ერთად პირველი ქართული მსროლელი დივიზიაც მონაწილეობდა. დივიზიას მნიშვნელოვანი წარმატებები ხვდა წილად სპორტის ცალკეული სახეობების მიხედვით.

1935 წლის სექტემბერში თავისი არსებობის 15 წლისთავის წინ პირველმა ქართულმა მსროლელმა დივიზიამ სასწავლო წლის დამთავრება აღნიშნა საბრძოლო-სამთო ლაშქრობით კავკასიონის მთავარი ქედის მწვერვალის დალაშქვრით.

1936 წლისათვის პირველმა ქართულმა მსროლელმა დივიზიამ გამარჯვებებს მიაღწია საბრძოლო-პოლი-ტიკური მომზადების დარგში. დივიზიაში მებრძოლთა 60% სშუალო განათლების მქონე პირები იყვნენ. უფროსთა შემადგენლობიდან 60-65% მუშათა და კოლმეურნეთა წრიდან იყო გამოსული.

ქართულ ნაწილებში 12 სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები მსახურობდნენ.

მეომართა და უმცროს მეთაურთა ძირითადმა მასამ თავისი ამტანობით, ტექნიკასთან ურთიერთ-მოქმედების უნარით, სწრაფად გადასვლის და ფლანგებზე გაშლის უნარით უჩვენა მუშაობის კარგი ნიმუშები, ამას მოწმობდა ზიქარის უღელტეხილი და ყაზბეგი.[59]

1936 წელი ქართული წითელი არმიის ნაწილების შექმნის საიუბილეო თარიღი იყო. ამასთან დაკავშირებით საქართველოს დელეგაცია მოსკოვს ეწვია. ქართველი სამხედრო მოღვაწეებიდან სიტყვა წარმოთქვა მე-2 ქართული მსროლელი დივიზიის მეთაურმა ს.ბუაჩიძემ. მოხდა საქართველოს ღირსეული შვილების, მათ შორის სამხედროების დაჯილდოებაც.[60]

1936 წელს სტალინის სახელობის პირველი ქართული მსროლელი დივიზიია 47-ე სამთო-მსროლელ დივიზიად

გარდაიქმნა.[61] ეს, რა თქმა უნდა, შემთხვევითი მომენტი არ არის. ჩვენი აზრით, პირველი ქართული მსროლელი დივიზია იმიტომ გარდაიქმნა 47-ე სამთო-მსროლელ დივიზიად, რომ მას საკმაოდ მაღალი შედეგები ჰქონდა საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებაში და არაეროვნულ – ანუ საკადრო შენაერთებს თავის მიღწევებით არაფრით ჩამოუვარდებოდა.

1938 წლიდან 47-ე ქართული სამთო-მსროლელი დივიზია როგორც ეროვნული შენაერთი აღარ არსებობს. ისე როგორც სხვა ეროვნული დივიზიები ის ჩვეულებრივ არაეროვნულ საკადრო დივიზიად გადაკეთდა, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დაწყებისას საქართველოს საქართველოს სამხედრო კომისარიატების რეზერვებით შეივსო და სამხრეთის ფრონტზე გაიგზავნა.[62]

§3. მეორე ქართული მსროლელი დივიზიის ჩამოყალიბება და საბრძოლო მომზადება 1924-1938 წწ.

კავკასიის წითელდროშოვანი არმიის სამხედრო საბჭოს 1924 წლის 22 აპრილის ბრძანებით პირველ ქართულ დივიზიას გამოეყო პოლკებისა და განაყოფების ნაწილი და შეიქმნა მე-2 ქართული მსროლელი დივიზია (მეთაური ნ.ენუქიძე, შემდეგ გ.ქუთათელაძე, კომისარი ვ.ბახტაძე).

1924 წლიდან პირველი და მე-2 ქართული დივიზიები შერეული ტიპის შენაერთებად გადაკეთდნენ. (ე.ი. ნაწილი კადრისა იყო და ნაწილი ტერიტორიული).

სწავლების ასეთმა სისტემამ დიდი სიძნელეები შექმნა. ამის გამო კავკასიის წითელდროშოვანი არმიის ბრძანებით პირველი ქართული მსროლელი დივიზია გადახალისდა კადრის დივიზიად, ხოლო მე-2 ქართული დივიზია – ტერიტორიულად.

იმის გამო, რომ ისტორიულ ლიტერატურაში თითქმის არსად არის გაშუქებული ტერიტორიული არმიის საკითხი, ამიტომ მიზანშეწონილად მივიჩნიეთ მასზე ყურადღების გამახვილება.

1922 წლის 8 აგვისტოს რუსეთში გამოიცა დეკრეტი ტერიტორიული ჯარის ნაწილების შექმნის შესახებ. ამ დეკრეტის თანახმად მოცემული რესპუბლიკის სამხედრო-რევოლუციური საბჭოს მიერ აღნიშნულ რაიონში უნდა შემდგარიყო ჯარის ნაწილები, რომელთაც ეყოლებოდათ ცვალებადი და მუდმივი შემადგენლობა. უკანასკნელი სამხედრო სამსახურს გაივლიდა იმავე საფუძველზე, როგორც რეგულარულ წითელ არმიაში პირველი სამხედრო ბეგარის ვალდებულ მოქალაქეთაგან დაწყებული შემდეგი გასაწვევი ასაკიდან.[63]

ცვალებად შემადგენლობაში ჩარიცხვის დრო განისაზღვრებოდა რესპუბლიკის რევოლუციური სამხედრო საბჭოს მიერ 4 წლის ვადით. ამ ოთხი წლის განმავლობაში ცვალებად შემადგენლობაში ჩარიცხული იყო ყოველი მოქალაქე ხუთი თვის განმავლობაში

მსახურობდა, ის ამისათვის დანიშნულ ადგილზე მიდიოდა.

ყოველი წლიური შეკრების ხანგრძლივობა არ აღემატებოდა ორ თვეს. შეკრების და საერთოდ ნაწილში ყოფნის დროს, სამხედრო ვალდებული, როგორც სამხედრო მოსამსახურე, ემორჩილებოდა ყოველ სამხედრო კანონს. იმავე დროს ტერიტორიული ნაწილის ცვალებად შემადგენლობაში სამსახური სამხედრო ვალდებულს თავის ყოველდღიური მუშაობისაგან არ წყვეტდა. მხოლოდ 5 თვეს ოთხი წლის განმავლობაში ის მსახურობდა ნაწილში. დანარჩენ დროს ის სრულიად თავისუფალი იყო, ხოლო საცხოვრებელი ადგილის გამოცვლა მას შეეძლო იმ შემთხვევაში, თუ ამის შესახებ წინასწარ აცნობებდა ნაწილს.[64]

სწავლის დამთავრების შემდეგ ისინი სათადარიგო შემადგენლობაში ირიცხებოდნენ და მხოლოდ ომის დროს გაიწვევოდნენ საერთო წესის მიხედვით.

ამრიგად, აღნიშნული დეკრეტი იძლეოდა სამხედრო სამსახურის გავლის საშუალებას თავის ყოველდღიურ საქმიანობასა და ოჯახისაგან მოუწყვეტლად, და იმავე დროს ყოველი მეომრის მომზადების ხარისხი არ მცირდებოდა. უკანასკნელის მიღწევა შესაძლებელი იყო დეკრეტის მეორე ნახევრის გატარების მეშვეობით, რომელიც შეიცავდა მუხლს სამხედრო მომზადების შესახებ. ამ მუხლის თანახმად სამხედრო არასამწყობრო მომზადება იყოფოდა ორ პერიოდად: პირველი 18 წლამდე და მეორე 18-დან გაწვევის ასაკამდე. 18 წლამდე უმთავრესი

ყურადღება ეთმობოდა ახალგაზრდის ფიზიკურად აღზრდას. 18 წლიდან კი მას გადასცემდნენ სპეციალურ სამხედრო ცოდნას. ეს მომზადება მიმდინარეობდა სამოქალაქო ორგანიზაციების ძალითა და სახსრებით სამხედრო უფლებათა მეთვალყურეობისა და ხელმძღვანელობის კონტროლით.[65]

1925 წლის ივლისში გაიმართა კავკასიის წითელდროშოვანი არმიის თათბირი ტერიტორიულ ნაწილებში მუშაობის შესახებ. თათბირზე სიტყვა წარმოთქვა არმიის პოლიტსამართველოს უფროსმა რატნეკმა. მან აღნიშნა: “მიმდინარე თათბირის მნიშვნელობა ჩვენთვის დიდია. თუნდაც იმიტომ, რომ ნახევრად ჩვენს არმიას შეადგენენ ეროვნული დივიზიები. ეს თათბირი მეორეა ჩვენს არმიაში. ეროვნული დივიზიების მომუშავეთა პირველი თათბირი უკვე ჩატარდა 1923 წელს. მაშინ მთელი სიგრძე-სიგანით წარმოიშვა ეროვნული ნაწილების აღმშენებლობის საკითხი ჩვენს არმიაში. ეს იყო პრინციპული აღმშენებლობითი ხასიათის საკითხი. ეროვნულმა ნაწილებმა სრულიად გაამართლეს თავიანთი დანიშნულება. ჩვენ ამჟამად გვყავს ეროვნული დივიზიები, რომლებიც წარმატებით ახორციელებენ არმიის დანარჩენ ნაწილებთან გათანასწორების საქმეს. ამიტომ ჩვენი შემდგომი ამოცანაა – მუშაობის გაღრმავება იმ გამოცდილების საფუძველზე, რომელიც ჩვენ მივიღეთ ტერიტორიული აღმშენებლობის დარგში. ამ დარგში ჩვენ ჯერ კიდევ არ გვაქვს საკმაო გამოცდილება და ამ მხრივ დიდი ამოცანები გვიდგას წინ.

სომხეთისა და საქართველოს დივიზიები თავისი სოციალური შემადგენლობით უმეტესად გლეხებია.

აზერბაიჯანის დივიზიების პარტორგანიზაციებში მუშათა დიდი პროცენტი აიხსნება ბაქოს ნავთის წარმოებათა არსებობით.[66]

როგორც აღინიშნა მე-2 ქართული დივიზია 1924 წლის გაზაფხულზე შეიქმნა ტერიტორიულ შენაერთად, მაგრამ თავის საბოლოოდ ჩამოყალიბებამდე მან საკმაო სტრუქტურული ცვლილებები განიცადა. თავ-დაპირველად დივიზიაში ერთი ლეგიონ კადრის იყო, ორიც ტერიტორიული.

რამდენიმე თვის გამოცდილებამ დივიზიის სარ-დლობა დაარწმუნა, რომ ასეთი შერეული ორგანიზაცია გამოუსადეგარია და 1924 წლის შემოდგომაზე დივიზია მთლიანად ტერიტორიულ დივიზიად გადაკეთდა. დივიზიაში შემავალი განაყოფები საქართველოს მთელს ტერიტორიაზე სხვადასხვა ქალაქებსა და დაბებში დაბანაკდა, შტაბი კი ქუთაისში.[67]

1925 წლის გაზაფხულზე დივიზიის შტაბი თბილისში გადავიდა, ვინაიდან მას სჭირდებოდა უშუალო და ხშირი კონტაქტები როგორც კავკასიის არმიის შტაბთან, ასევე სამაზრო სამხედრო კომისარიატების ცენტრებთან – ტერიტორიულ სამმართველოსთან. თავისი არსებობის პირველ ხანებში მე-2 ქართული ტერიტორიულ სამმართველოსთან. თავისი არსებობის პირველ ხანებში მე-2 ქართული ტერიტორიული დივიზია დიდ დაბრკოლებებს განიცდიდა თავისი განვითარების გზაზე,

რადგანაც ეს საქმე სრულიად ახალი იყო საქართველოში. მართალია, რუსეთში სამხედრო უწყებას ჰქონდა ცოტა გამოცდილება ტერიტორიული ჯარების შედგენაში, მაგრამ რაც გააჩნდა ჯერ კიდევ ჩამოყალიბებული არ იყო სახელმძღვანელოებისა და წესდების სახით. დივიზიის სარდლობას ინიციატივიანი მოქმედება და მთელი ენერგიის დაჭიმვა სჭირდებოდა, რათა ტერიტორიულ სისტემას ფეხი მოეკიდებინა საქართველოში. სათანადოდ არ იყო მოწყობილი სასწავლო პუნქტები იქ სადაც ასეთები უნდა ყოფილიყო. ნაწილები განიცდიდნენ დანაკლისს მატერიალურის მხრივ, თვით ხელმძღვანელებისათვის – მეთაურებისათვის ეს სისტემა იყო ახალი. ამასთანავე მოსახლეობის მთელი მასა, აგრეთვე პარტიული და საბჭოთა ორგანოები არ იცნობდნენ ტერიტორიული მშენებლობის საქმეს. მაგრამ თანდათანობით სამი წლის მანძილზე ყველა დაბრკოლება და სიძნელე გადალახულ იქნა, მე-2 ქართულმა დივიზიამ საბოლოოდ მიიღო ჩამოყალიბებული სახე.[68]

ბრძანების თანახმად, მეკავშირეთა მე-2 ასეულის შექმნას 1924 წლის 30 მაისიდან შეუდგნენ. აღნიშნული ასეულისათვის უფროსთა შემადგენლობა პირველი ქართული დივიზიის მეკავშირეთა ასეულიდან გამოყვეს. ამასთან ერთად ასეული 1902 წელს დაბადებული ახალგაზრდებისაგან შეივსო.

მე-2 ქართული ტერიტორიული დივიზიის მეკავ-შირეთა მეორე ასეული ჩამოყალიბების პირველსავე წელს მეკავშირეთა პირველ ასეულთან ერთად საველე ბანაკად

გავიდა. საბანაკო პერიოდის დამთავრების შემდეგ მეკავშირეთა მეორე ასეული საზამთრო ყაზარმებში დაბრუნდა და გაცხოველებულ მუშაობას შეუდგა.[69]

1924 წლის 24 მაისიდან თავის არსებობა დაიწყო მე-2 ქართული დივიზიის მე-4 ქართულმა მსროლელმა ტერიტორიულმა ლეგიონმა, რომელიც შეიქმნა თბილისში. ის შეივსო სხვადასხვა ქართული ნაწილებიდან გადმოყვანილ მეთაურთა და პოლიტმუშაკთა შემადგენლობით და 1902 წელს დაბადებული წვევამ-დელებით.

1924 წლის აგვისტოში მე-4 ქართული ლეგიონის ნაწილმა ლეგიონის მეთაურის ზალინაშვილის მეთაუ-რობით მონაწილეობა მიიღო ანტისაბჭოური გამოსვლების ალაგმვაში კავთისხევისა და ქვემოჭალის მიდამოებში.

მე-4 ქართული ლეგიონის სამხედრო კომისარი იყო კაკაბაძე, რომელიც 1924 წლის 12 დეკემბერს ო.უგულავამ შეცვალა. 1925 წლის 18 მაისს ო.უგულავა სხვა ლეგიონში გადაიყვანეს, ხოლო მის ადგილზე დაინიშნა იოსებ ნანაძე.

მე-2 ქართული დივიზიის ჩამოყალიბების შემდეგ 1924 წლის მაისის უკანასკნელი რიცხვებიდან შეიქმნა ტერიტორიული მე-2 საარტილერიო ლეგიონი, რომელიც თავდაპირველად 1902 წელს დაბადებული ახალ-გაზრდებით შეივსო. ამასთან ერთად მეცადინეობა დაიწყეს 1903 წელს დაბადებულ წვევამდელებთან.[70]

1925 წელს მე-2 ქართული მსროლელი დივიზიის მეთაური გ.ქუთათელაძე პირველი ქართული დივიზიის მეთაურად გადაიყვანეს[71]. მე-2 დივიზიის მეთაურის პოსტი

დაიკავა პ.აღნიაშვილმა, რომელიც ამ თანამდებობაზე 1928 წლის იანვრამდე იმყოფებოდა, დივიზიის შტაბის უფროსი იყო ნ.გედევანიშვილი.[72]

1925 წლის 1–2 ოქტომბერს მე-2 ქართული ტერი-ტორიული დივიზიის ცალკე მესანგრეთა ასეული დაათვალიერა ამიერკავკასიის წითელდროშოვანი არმიის საინჟინრო სამსახურის ინსპექტორმა გვოზდევმა. შემოწმების მიზანი იყო 1901-1902 წლებში დაბადებულ წვევამდებულებთან საინჟინრო მეცადინეობის ჩატარება, რომლის დროს გამოირკვა შემდეგი:

მე-2 ქართული დივიზიის ცალკე მესანგრეთა ასეულმა მდინარე მტკვარზე 18 საჟენის სიგანეზე ააგო ტივტივა ხიდი, მაგრამ მუშაობის დროს გამომჟღავნდა სუსტი დისციპლინა და საორგანიზაციო მუშაობა, რის გამოც 18 საჟენი სიგანის ხიდის გაკეთებას 10 საათი და 10 წუთი დასჭირდა.

მე-2 ქართული დივიზის სარდლობამ ცალკე მესანგრეთა ასეულს სპეციალურ ბრძანებაში მიუთითა ზემოაღნიშნულ ნაკლოვანებებზე და ზომების მიღების აუცილებლობაზე დისციპლინისა და წესრიგის სათანადო სიმაღლეზე დასაყენებლად[73].

მე-2 ქართულ მსროლელ დივიზიაში უმთავრესი ყურადღება ეთმობოდა საბრძოლო მომზადებას. ამ მიზნით შენაერთის ნაწილები ხშირად იგზავნებოდნენ ბანაკად. ასე მაგალითად, 1926 წლის მაისში მე-2 დივიზიის ქართულ ცხენოსანთა ლეგიონი საბანაკოდ გაიგზავნა სომხეთში –

ლენინაკანში, ხოლო ქართული სამხედრო პოლიტიკური სკოლა – მანგლისში[74].

სსრ კავშირის სამხედრო-რევოლუციური საბჭოს 1927 წლის №219 ბრძანების თანახმად მე-2 ქართულ მსროლელ ტერიტორიულ დივიზიას მის მიერ აღძრული შუამდგომლობის საფუძველზე მიენიჭა მ.ფრუნზეს სახელი[75].

1927 წლიდან მე-2 დივიზიის ორგანიზაციული სტრუქტურების საბოლოო ჩამოყალიბების შემდეგ, შენაერთი ახალ საბრძოლო წარმატებებს აღწევდა, რაც უშუალოდ იყო დაკავშირებული მეთაურთა კადრების უნარიან და თავდადებულ მუშაობასთან. ამ მხრივ ერთ-ერთ პირველ რიგში უნდა დავასახელოთ მე-2 ქართული დივიზიის მე-6 ლეგიონის მე-3 ასეულის ზემდეგი ვიქტორ მექვაბიშვილი. მას წარმატებით ჰქონდა დამთავრებული ყოფილი დვიზიის უმცროს მეთაურთა მოსამზადებელი სკოლა. ვ.მექვაბიშვილი სამაგალითო უმცროსი მეთაური იყო არა მარტო მე-3 ასეულში, არამედ მთელი ლეგიონის მასშტაბითაც. იგი დიდ უნარს იჩენდა სამხედრო და პოლიტიკური ცოდნის შეთვისებაში.[76]

1927 წლის ახალ მეთაურთა გამოშვებაში დაუღალავი ენერგიითა და საქმიანი მუშაობით პირველი ადგილი დაიკავა ანთიძემ, ხოლო მეორე ადგილი მიეკუთვნა ვ.მჟავანაძეს, რომელიც აქტიურად მონაწილეობდა შენაერთის ყოველგვარ მუშაობაში.

ანთიძე და ვ.მჟავანაძე წითელი არმიის რიგებში 1924 წლიდან იყვნენ გაწვეულნი, საიდანაც შევიდნენ ქართულ

გაერთიანებულ სამხედრო სკოლაში, რომე-ლიც წარმატებით დაამთავრეს[77].

სსრ კავშირის სამხედრო-რევოლუციური საბჭოს ბრძანებით, რომელიც გაცემული იყო კავკასიის წითელდროშოვანი არმიისადმი, კავკასიის წითელ-დროშოვანი არმიის შტაბის უფროსის მოადგილე ვ. გიორგაძე დაინიშნა ფრუნზეს სახელობის მე-2 ქართული დივიზიის მეთაურად.

ამავე ბრძანებით ფრუნზეს სახელობის მე-2 ქართული დივიზიის უფროსი პ.აღნიაშვილი დაკა-ვებული თანამდებობიდან გათავისუფლდა გრძელ-ვადიანი შვებულებით ავადმყოფობის გამო[78].

სსრ კავშირის სამხედრო-რევოლუციური საბჭოს 1928 წლის 23 თებერვალის ბრძანებით, წითელი არმიის შექმნის ათი წლისათვის აღსანიშნავად წითელი დროშის ორდენით დაჯილდოვდნენ ის მოქალაქენი, რომლებსაც დამსახურება მიუძღოდათ საბჭოთა ხელისუფლების წინაშე და რომლებიც იმჟამად იმყოფებოდნენ როგორც არმიის რიგებში ისე მის გარეშე.

1928 წლის პირველი ოქტომბრისათვის მე-2 ქართული ტერიტორიული დივიზია სამანევრო სამზადისს შეუდგა. ლეგიონებში მიიღეს დაწვრილებითი მითითებები საორგანიზაციო, ადმინისტრაციულ და სამეურნეო საკითხების მოსაგვარებლად. ოპერატიული მოქმედებების დროს კი ნაწილებს ყოველდღიურად ეძლეოდათ დირექტივები.

მანევრები საბრძოლო ოპერაციის სხვადასხვა სახეებში პირველი ოქტომბრიდან იწყებოდა და 4 დღეს გრძელდებოდა. მასში მონაწილეობა უნდა მიეღო ჯარის ტექნიკურ ნაწილებს, რომელთაც იმიტაციის წარმოება ევალებოდათ. მანევრები უნდა ჩატარებულიყო გორსა და ქარელს შორის.

მანევრებზე გათვალისწინებული იყო პარტიზანული ბრძოლის გამართვა, სადაც აქტიურ მონაწილეობას მიიღებდა ცხენოსანი და ქვეითი ჯარი, მოხდებოდა აგრეთვე საჰაერო და ქიმიური თავდასხმა, გამოყენებული უნდა ყოფილიყო კვამლის ფარდები, მდინარეებზე გადასვლა სხვადასხვა საშუალებებით, ფუგასების აფეთქება და ა.შ. მანევრებში მონაწილეობდნენ აგრეთვე ჯავშნიანი მატარებლები და ავტომანქანები. აღსანიშნავია ისიც, რომ მანევრებში მონაწილეობდა 100-მდე თავდაცვა-ავიაქიმელი[79].

მე-2 ქართული მსროლელი დივიზიის მიერ 1928 წლის 1–5 ოქტომბერს ჩატარებული მანევრების შემდეგ გაიმართა მასში მონაწილე ნაწილების მეთაურთა კრება. მანევრების შედეგების შესახებ მოხსენება გააკეთა კავკასიის წითელდროშოვანი არმიის სარდალმა მ.ლევანდოვსკიმ, რომელმაც აღნიშნა: “მეორე დივიზია ტაქტიკური თვალსაზრისით წელს მეტად გაიზარდა. მდინარეებზე გადასვლისას ტექნიკურად კარგად იყო შესრულებული სასანგრე საქმე. მდინარე მტკვარზე გაკეთებული ნავტიკებიანი ხიდი საუკეთესო მიღწევად უნდა ჩაითვალოს, მაგრამ აღსანიშნავია ნაკლიც - დროის

და ხალხის დისლოკაცია გათვალისწინებული არ იყო. სალაშქრო მოძრაობაში აუცილებელია, რომ აღებული პუნქტები გამაგრებული იყოს პატარპატარა გარნიზონებით, წინააღმდეგ შემთხვევაში წინსვლა უიმისოდ არანორმალურ მდგომარეობას შექმნის ზურგისათვის, მთავარმა ძალებმა კი უნდა წაიწიონ წინ, დასახული ამოცანის შესასრულებლად.[80]

პარტიზანების მოქმედებამ ერთგვარი პანიკა შეიტანა ქვეით ჯარში, სპეციალურად ორი ათასეული გამოყვეს იმისათვის, რომ პარტიზანების თავდასხმა მოეგერიებინათ. ეს დიდი ძალაა და საჭიროა მხოლოდ ქვეითთა ჯარის ჯგუფები გამოიყოს და ისინი დაედევნონ პარტიზანებს, მთავარი ძალები კი ჩვეულებრივად განაგრძობდნენ თავიანთ გზას.

შემხვედრი ბრძოლის მთავარი მიზანია: სწრაფი შეხვედრა “მტერთან” და მისი სწრაფად ლიკვიდაცია. “ლურჯებმა” ნაწილობრივ შეანელეს მოძრაობა და ვერ გამოიჩინეს სისწრაფე მოქმედებაში. საერთოდ, დივიზიამ შემხვედრ ბრძოლაში დაგვანახვა დიდი მიღწევები, მით უმეტეს, რომ მეორე დივიზია პირველად ატარებდა შემხვედრ ბრძოლას თავის ნაწილებში.

ასეთივე ინიციატივა გამოიჩინა წითელარმიელების და მეთაურების მასამ “მოწინააღმდეგესთან” დაახლოების და იერიშის მომენტებში[81].

საბოლოოდ უნდა ითქვას, რომ მეორე დივიზიის მებრძოლებმა და მეთაურთა შემადგენლობამ დიდი წარმატებით ჩაატარეს მანევრები. მებრძოლებს

ეტყობოდათ ამტანობა, გამბედაობა და სისწრაფე მოქმედებაში.

მე-2 ქართულმა ტერიტორიულმა დივიზიამ თავის არსებობის სამი წლის მანძილზე საბრძოლო მანევრების ჩატარების თვალსაზრისით პირველად მიაღწია დიდ წარმატებას, რომელიც დივიზიის ყოველი ჯარისკაცის, მეთაურისა და პოლიტმუშაკის თავდაუზოგავი ენერგიული მუშაობის შედეგად იყო მიღწეული. მოპოვებული წარმატება სათავეს უდებდა შენაერთის სახელოვან საბრძოლო ტრადიციებს, რომელიც ამავე დროს ავალდებულებდა დივიზიის მთელ პირად შემადგენლობას ახლად დაწყებული სახელოვანი საბრძოლო ტრადიციების შენარჩუნებას და მის გაგრძელებას.

მოდევნო 1929 წლის 3 ოქტომბერს კვლავ ჩატარდა ფრუნზეს სახელობის მე-2 ქართული დივიზიის მანევრები.

მანევრებმა ცხადჰყო, რომ მე-2 დივიზიის მებრძოლნი და უმცროსი მეთაურები უდიდეს ინტერესს იჩენდნენ სამხედრო სწავლებისადმი. დივიზიის მეთაურთა შემადგენლობას ცვალებადელთა გაწვრთნაში დიდი მიღწევები ჰქონდა. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია მიღწევები სროლაში, რაც დამტკიცა ორი ლეგიონის სროლის შეფასებამ. თყვიამფრქვევებიდან სროლაში კი დივიზიის ნაწილებმა კადრის ნაწილებსაც გადააჭარბეს[82].

არმიის სარდლობის მიერ დივიზიაში ჩატარებული გამოკვლევების მასალებმა და აღნიშნულმა მანევრებმა ნათლად აჩვენა, რომ დივიზია საგრძნობლად გაიზარდა.

მანევრებმა მიღწევები ტაქტიკური სწავლების დარგშიც გამოაშკარავა. მართალია, ამ შემთხვევაში ზოგიერთ ნაკლოვანებებსაც ჰქონდა ადგილი, რაც იმ გარემოებით იყო გამოწვეული, რომ შენაერთს ამ მომზადებისათვის ძალიან ცოტა დრო ჰქონდა.

1931 წლის მარტში 10 წელი შესრულდა წითელი არმიის ქართული ნაწილების შექმნიდან. უკვე 1930 წლისათვის ქართული ნაწილების მეთაურთა 82,4% შედგებოდა მხოლოდ მუშებისა და გლეხების შემადგენლობიდან გამოსული ახალგაზრდობისაგან. იმავე დროისათვის საერთოდ მეთაურთა შემადგენლობის 60,3% კომუნისტი იყო.

ათი წლის განმავლობაში სამხედრო აკადემია დაამთავრა და სამხედრო აკადემიასთან სხვადასხვა კურსები გაიარა 27 კაცმა.[83] ასეთივე დიდი მუშაობა იყო ჩატარებული პოლიტხელთა კადრების გადასამზადებლად. იმ დროისათვის ქართული დივიზიების პოლიტხელმძღვანელთა 80% და სამხედრო კომისართა 70%-ს მიღებული ჰქონდა სამხედრო ცოდნა. ამასთან ერთად იზრდებოდა ერთუფროსიანთა კადრები.

1930 წელს ფრუნზეს სახელობის მე-2 ქართულ მსროლელ დივიზიაში იყო სამი დამკვრელი ასეული, 40 დამკვრელი ოცეული და 96 დამკვრელი ათეული. სულ სოცშეჯიბრსა და დამკვრელურ მოძრაობაში მე-2 დივიზიიდან ჩაბმული იყო 3968 კაცი.

ფრუნზეს სახელობის მე-2 ქართულ მსროლელ დივიზიაში 1928-1930 წლების პერიოდში წერა-კითხვა

შეისწავლა 2300-ზე მეტმა კაცმა. სამხედრო სამსახურის დასრულების შემდეგ წერა-კითხვის არც ერთი უცოდინარი არ ბრუნდებოდა ჯარიდან.

იმ დროისათვის ქართულ დივიზიებში იყო 9 კლუბი, 15 ბიბლიოთეკა 100 000-ზე მეტი წიგნით, 110 წითელი კუთხე, 160 რადიოდანადგარი, 20-მდე კინო-დანადგარი და სხვა[84].

ქართული ნაწილების ყველა განყოფილებაში თვეში სამჯერ გამოდიოდა ე.წ. "ილიჩოვკები", ნაწილებში ფუნქციონირებდა მრავალტირაჟიანები, ზოგიერთ ლეგიონში კი ნაბეჭდი გაზეთები.

ქართულ დივიზიებს ემსახურებოდა ყოველდღიური გაზეთი "წითელარმიელი", რომლის ტირაჟი, იმჟამად 6000-მდე აღწევდა. ამ გაზეთს ჰყავდა სამხედროთა კადრები 1000 კაცის შემადგენლობით, ამასთან ერთად დიდად გაიზარდა სამხედრო გამომცემლობის საქმე. 1930 წლის პირველი იანვრიდან 1931 წლის მარტამდე გამოცემული იქნა სულ 45 სხვადასხვა სახელწოდების წიგნი, ბროშურა, სახელმძღვანელო, წესდებები და სხვა, რომელთა საერთო ტირაჟი 120 000 აღემატებოდა. გარდა ამისა, ამ პერიოდში გამოსვლა დაიწყო ჟურნალმა "თავდაცვის სადარაჯოზე".

ქართულ ნაწილებში დიდი მუშაობა ჩატარდა აგრეთვე სოფლისათვის კადრების მოსამზადებლად. მარტო 1930 წელს ქართულ დივიზიებში მომზადდა სოფლისათვის კოლმეურნეობების ხელმძღვანელი – 305 კაცი, ტრაქტორისტი – 271, მემინდვრე – 609, მებაღე – 270, მეაბრეშუმე – 28, მებოსტნე – 67, მეთამბაქოე – 17,

მოანგარიშე საკოლმეურნეო განხრით – 343, სოფლის კულტმუშაკი – 956, ჩაის მეურნეობის მცოდნე – 94, მეცხოველე – 102.[85]

1932 წლის მარტში მე-2 ქართულმა დივიზიამ დიდი დახმარება აღმოუჩინა მდინარის ადიდების გამო "სოიუზ-ტაბაკის" ლაგოდეხის ქარხანას, რომელსაც წყლით დაფარვა დაემუქრა, რითაც აუცილებელი დაღუპვა მოელოდა 50 ტონა თამბაქოს.

განგაშის გამოცხადებიდან 8 წუთის განმავლობაში მე-2 საარტილერიო ლეგიონის მე-3 დივიზიონის მეთაურებისა და წითელარმიელთა მთელი შემადგენ-ლობის ენერგიული და თავგანწირული მუშაობის შედეგად ქარხნის წყლით დაფარვა თავიდან იქნა აცილებული და თამბაქო გადარჩენილ იქნა.

თავგანწირული მუშაობისა და თამბაქოს გადარ-ჩენისათვის "სოიუზტაბაკის" სამმართველომ დივიზიონს კულტურული ყოფაცხოვრების გაუმჯობესებისათვის გადასცა 1000 მანეთი ფულად და 10 000 ცალი პაპიროსი ჯარისკაცებისათვის.

სახალხო ქონების გადარჩენაში გამოვლენილი ენერგიული და თავგანწირული მუშაობისათვის კავკასიის წითელდროშოვანი არმიის რევოლუციურმა სამხედრო საბჭომ მე-3 დივიზიონის მთელ შემადგენ-ლობას მადლობა გამოუცხადა[86].

1932 წლის აგვისტოში ფრუნზეს სახელობის მე-2 ქართულმა მსროლელმა დივიზიამ საინსპექტორო სროლები ჩაატარა, რაც მაღალი შედეგებით აღინიშნა[87].

რევოლვერებიდან სროლა საუკეთესოდ შეასრულეს: ჯანგველაძემ, ბოკუჩავამ, ჟღენტმა, მამულაშვილმა, იაშვილმა, მიქაბერიძემ, ხაზალიამ, კვიტაიშვილმა, ჭელიძემ, ხუბულურმა, შერეზადიშვილმა, გულიაშვლმა და ჯატიევმა.

1933 წელს მე-2 ქართული მსროლელი დივიზიის ნაწილებში (მსროლელთა მე-6 პოლკი) ჩატარებული საინსპექტორო შემოწმებით დადგინდა, რომ იარაღის (შაშხანა, ხელისა და დაზგის ტყვიამფრქვევები) მდგომარეობა ჩინებულ სრულ მზადყოფნაში იყო. იარაღის შენახვისა და მოვლა-პატრონობის საქმე სანიმუშოდ იყო დაყენებული. ასევე ჩინებული იყო საბრძოლო სროლის ჩატარება და ორგანიზაცია ათეულებში, ოცეულებში და ასეულებში.

პოლკისა და ბატალიონის შტაბები (მე-3 ბატალიონის გარდა) დაკომპლექტებული იყო როგორც მუდმივი ისე ცვალებადი შემადგენლობით. შტაბის მეთაურებმა თავიანთი მოვალეობანი იცოდნენ და უნარიანადაც ასრულებდნენ მათ.

პოლკის წვრთნის ჩატარებისას, რომელსაც არმიის შტაბის უფროსი ესწრებოდა, პოლკისა და ბატალიონების შტაბებმა ყველა ნორმატივის შესრულებაში უმაღლესი შედეგები აჩვენეს.

სამწყობრო მომზადება საერთო ჯამში დამაკმაყოფილებელი იყო. ქიმიურ მომზადებაში ყველა ნორმატივი ფრიადზე შესრულდა.[88]

1933 წლის დასაწყისში ფრუნზეს სახელობის მე-2 ქართულმა მსროლელმა დივიზიამ რეორგანიზაცია განიცადა და ახალ საშტატო ერთეულზე გადავიდა.

მიუხედავად იმისა, რომ მე-2 ქართულ ტერიტორიულ დივიზიაში საბრძოლო მომზადებასა და წესრიგის განმტკიცებას მთავარი ყურადღება ექცეოდა, მაინც ჰქონდა ადგილი დისციპლინის დარღვევის შემთხვევებს, რაზეც დივიზიის სარდლობა სწრაფად რეაგირებდა.

წვრილმანი დანაშაულის გვერდით საგანგებო შემთხვევებსაც ჰქონდა ადგილი.

სამხედრო ტექნიკისა და დისციპლინის განმტკიცების მიზნით დივიზიაში შესასრულებლად გამოცხადდა სამხედრო პროკურორის ცირკულიარი.[89] მასში ნათქვამი იყო: "უკანასკნელ დროს ქართული დივიზიების ნაწილებში და დაწესებულებებში თავი იჩინა ლოთობამ და ამ ნიადაგზე სხვადასხვა უწესობის ჩადენამ, რაც აშკარად სახელს უტეხს წითელი არმიის ღისებასა და ავტორიტეტს და ცუდად მოქმედებს ჯარში სამხედრო რევოლუციური დისციპლინის განმტკიცებაზე. ასეთი მოვლენა ფრიად დაუშვებელია და მასთან ბრძოლის საჭიროებაზე მიგვითითებენ დღეს ჩვენი წითელი არმიის უმაღლესი ორგანოები. ამის გამო ყველა სამხედრო ერთეულების უფროსები განსაკუთრებული ენერგიით შეუდგნენ სათანადო ბრძოლას ამ დაუშვებელი და მიუღებელი მოვლენის ძირშივე აღმოსაფხვრელად. არ უნდა იქნეს დარჩენილი არც ერთი შემთხვევა, რომ სიმთვრალე და დებოში დაუსჯელად რჩებოდეს. ყველა შემთხვევაში,

როდესაც ასეთ მოვლენას ადგილი ექნება უფროსთა, პოლიტიკურ და ადმინისტრაციულ შემადგენლობათა შორის განსაკუთრებული სისწრაფით, რომელიც არავითარ შემთხვევაში არ უნდა აღემატებოდეს სამ დღეს, უნდა მოხდეს კვლევა-ძიება და ეგზავნებოდეს სამხედრო პროკურატურას. თუ ამგვარ მოვლენებში შემჩნეული იქნებიან წითელარმიელები, ასეთივე წესით დამთავრებული კვლევაძიება საჩქაროდ უნდა ეგზავნებოდეს სახალხო სასამართლოებს განსახორციელებლად, ცნობები კი სამხედრო პროკურატურასაც აღრიცხვის საწარმოებლად. ზომები, რომ სახალხო სასამართლოებში ასეთი საქმეები სასწრაფო წესით იქნან განხილული, მიღებული იქნება რესპუბლიკის პროკურორის მიერ. ასეთი საქმეების განხილვა მოხდება თავის სამხედრო ერთეულში საჩვენებელი პროცესის სახით[90].

1935 წლის ზაფხულში გაიმართა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის მე-14 სპარტაკიადა, რომელშიც სხვა შენაერთებთან ერთად ფრუნზეს სახელობის მე-2 ქართული დივიზიაც მონაწილეობდა. სპორტის სხვადასხვა სახეობათა შეჯიბრებაში უმთავრესად წარმატებებს ჰქონდა ადგილი.[91]

1935 წლის 12-დან 16 სექტემბრამდე ფრუნზეს სახელობის ქართული მსროლელი დივიზიის მეორე შეერთებულმა ათასეულმა უაღრესად ძნელ პირობებში, მთლად შეჭურვილმა არტილერიით, ტყვიამფრქვევებით, თოფებითა და რადიოთი, სარეკორდო მოკლე ვადაში დასძლია ყაზბეგის მწვერვალი[92].

... ოთხი დღის გმირული ლაშქრობა ყინულის უძნელეს პირობებში, მკაცრ ყინვაში, წარმოუდგენელ ციცაბო აღმართებზე სრული საჭურვლით, სადაც ადამიანის დატვირთვის ალპინისტის საზღვრულ ნორმად ითვლება ასეული გრამები, ფრუნზეს სახელობის მე-2, ქართული დივიზიის ნაკრები ათასეულის მებრძოლებს, მეთაურებსა და პოლიტ მუშაკებს მიჰქონდათ 10-15 კგ და 14-15 სექტემბერს მთელი შემადგენლობით, ყოველგვარი ჩამორჩენის გარეშე სასახელოდ დაეუფლნენ ყაზბეგის მწვერვალს – 5043მ სიმაღლეს ზღვის დონიდან.[93]

ყაზბეგის მწვერვალის სახელოვნად დალაშქვრის გამო საქართველოს ცაკმა და სახკომსაბჭომ მადლობა გამოუცხადა ფრუნზეს სახელობის მე-2 ქართული დივიზიის ნაკრები ათასეულის მთელ შემადგენლობას.

1936 წელს მე-2 ტერიტორიული ქართული მსროლელი დივიზია ფრუნზეს სახელობის 63-ე ქართულ მსროლელ დივიზიად გადაკეთდა.[94] 1937 წელს 63-ე ქართული მსროლელი დივიზია ტერიტორიულიდან კადრის შენაერთად გადაკეთდა. ეს მომენტი ფრიად საგულისხმოა დივიზიის ცხოვრებაში. ამ ფაქტით უმაღლესმა სარდლობამ ფაქტიურად აღიარა, რომ ეროვნული შენაერთები თავიანთი საბრძოლო-პოლიტიკური მომზადების დონით საკადრო შენაერთებს გაუთანაბრდნენ.

1938 წლის დასაწყისში შენაერთი ახალ საშტატო ერთეულზე გადაიყვანეს და 63-ე ქართული მსროლელი დივიზია იმავე ნომრის შენარჩუნებით სამთო- მსროლელ

დივიზიად იწოდებოდა. ამან დივზიის ნაწილებისა და ქვედანაყოფების მნიშვნელოვანი რეორგანიზაცია გამოიწვია. ასე მაგალითად, სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისრისა და ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების 1938 წლის 21 თებერვლის დირექტივით დივიზიაში შემავალი მზვერავთა ცალკე ბატალიონი 28 მარტიდან დაიშალა. მზვერავთა ცალკე ბატალიონის პირადი შემადგენლობა გადაიყვანეს 188-ე და 189-ე ქართულ მსროლელ პოლკებსა და დივიზიის სხვა ნაწილებში მზვერავთა ასეულების შესავსებად.

63-ე ცალკე მზვერავთა ბატალიონის 19 ცხენი 188-ე ქართულ მსროლელ პოლკს გადაეცა, ხოლო 18 ცხენი – 189-ე ქართულ მსროლელ პოლკს.[95]

ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდლის 1938 წლის 13 აპრილის დირექტივით ფრუნზეს სახელობის წითელდროშოვანი 63-ე სამთო-მსროლელი დივიზიის 63-ე ცალკე სატანკო ასეული 1938 წლის 14 მაისიდან დაიშალა.

სატანკო ასეულის პირადი შემადგენლობა (რიგითი და უმცროსი მეთაურები) 63-ე ცალკე მეკავშირეთა ბატალიონში გადაიყვანეს.[96]

აღსანიშავია, რომ მე-2 ქართული მსროლელი დივიზიის 63-ე სამთო-მსროლელ დივიზიად გარდაქმნისა და ამ უკანასკნელის ახალ საშტატო ერთე-ულებზე გადაყვანის შემდეგ მნიშვნელოვნად შემცირდა ქართველი მეთაურებისა და ჯარისკაცების პროცენტული რაოდენობა.

საილუსტრაციოდ მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს. 63-ე სამთო-მსროლელი დივიზიაში შემავალ 477-ე

საჰაუბიცო-საარტილერიო პოლკში 1939 წელს გაწვე-ულებიდან 332 იყო რუსი, 104 უკრაინელი, 32 ბელორუსი, 25 თათარი, 6 ებრაელი, 2 ქართველი და ა.შ.[97]

1940 წლის წვევამდელებში ქართველები საერთოდ არ ყოფილან.[98]

დივიზიის 53-ე ცალკე მზვერავთა ბატალიონის შემადგენლობაში ქართველები ასევე საერთოდ არ იყვნენ.[99]

1940 წლის 25 ნოემბრისათვის 226-ე სამთო-მსროლელ პოლკში მყოფ წითელარმიელებიდან ქართველი იყო მხოლოდ 5 კაცი.[100]

ანალოგიური მდგომარეობა იყო დივიზიის დანარჩენ ნაწილებსა და ქვედანაყოფებში. ეს არცაა გასაკვირი, რადგანაც 1938 წლის პირველ ნახევარში ახალ საშტატო ერთეულზე გადასვლის მომენტიდან 63-ე სამთო-მსროლელი დივიზია უკვე ეროვნულ შენაერთს აღარ წარმოადგენდა.

1938 წლის 9 ივნისს შედგა 63-ე სამთო-მსროლელი დივიზიის სამმართველოს შტაბისა და პოლიტ-განყოფილების დახურული პარტიული კრება, რომელმაც მოისმინა დივიზიის მეთაურის კ.ლესელიძის მოხსენება, რომელიც ეხებოდა საკავშირო კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სახკომსაბჭოს დადგენილების ორგანიზებულად შესრულებას ეროვნული შენაერთების დაშლის შესახებ.[101] კრებაზე ძირითადი პრობლემა იყო კადრების გამოყენების საკითხი: ვინც რუსული ენა იცოდა, დაუყოვნებლივ იგზავნებოდა სხვა შენაერთებში (მათ შორის შორეულ აღმოსავლეთში), ვინც სუსტად იცოდა,

მაგრამ პერსპექტიული იყო, იგზავნებოდა კურსებზე. დანარჩენი მიდიოდა დემობილიზაციაში. ასე შეწყვიტა არსებობა 63-ე ქართულმა სამთო-მსროლელმა დივიზიამ, რომელმაც თითქმის 15 წლოვანი არსებობის მანძილზე სახელოვან საბრძოლო ტრადიციებს ჩაუყარა საფუძველი.

საერთოდ ეროვნული დივიზიების დაშლა ყოვლად გაუმართლებელ შეცდომად უნდა მივიჩნიოთ, ეს ღონისძიება არავითარი აუცილებლობით არ იყო გამოწვეული. ამას თუნდაც ისიც ადასტურებს, რომ ომის დაწყების პირველსავე ხანებში კვლავ მთელი სიმწვავით დადგა ეროვნული დივიზიების შექმნის საკითხი, რომელიც ომის ძნელ პირობებში გაცილებით რთული გადასაჭრელი აღმოჩნდა, ვიდრე მშვიდობიანობის დროს.

თავი II
ქართული ეროვნული დივიზიების ხელმეორედ შექმნა და მათი მონაწილეობა მეორე მსოფლიო ომში

როგორც აღინიშნა, 1938 წელს წითელი არმიის ეროვნული სამხედრო-საჯარისო ნაწილები, მათ შორის ქართული ეროვნული დივიზიები გარდაიქმნენ საბჭოთა კავშირის შეიარაღებულ ძალებში შემავალ შენაერთებად.

1941 წლის 22 ივნისს ფაშისტური გერმანიის საბჭოთა კავშირზე თავდასხმით დაიწყო საბჭოთა კავშირის დიდი

სამამულო ომი. გერმანია და მისი მოკავშირეები წარმატებას წარმატებაზე აღწევდნენ ომის პირველ ეტაპზე. წითელი არმია მასობრივად უკან იხევდა, რაშიც სხვა მრავალ ხელშემშლელ მიზეზთან ერთად, პირველ რიგში, უნდა დავასახელოთ მეთაურთა კადრების ნაკლებობა, რაც უმთავრესად 30-იანი წლების შუახანების რეპრესიებით იყო განპირობებული. მთელი სიმწვავით დადგა ეროვნული დივიზიების ხელახლად შექმნის აუცილებლობის საკითხი. ეს, თავის მხრივ, დიდ პასუხისმგებლობას აკისრებდა რესპუბლიკის ხელმძღვანელ ორგანოების როგორც პირადი შემად-გენლობის მორალურ-პოლიტიკური მდგომარეობისა და სამხედრო დისციპლინის ამაღლებაში, ისე პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის ორგანიზაციის საქმის წარმართვაში, აგრეთვე ეროვნული სამხედრო კადრების შერჩევასა, აღზრდასა და განაწილებაში.[1]

ქართული ეროვნული შენაერთების ხელახლად შექმნასთან დაკავშირებით საინტერესო მოგონება აქვს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოფილ მდივანს აწ განსვენებულ პროფ. კ.ჩარკვიანს, რომელიც იგონებს: ი.სტალინს შეუთავაზებია წინადადება რესპუბლიკის ხელმძღვანელებისათვის ქართული ეროვნული დივიზიების შექმნის თაობაზე, რადგან ამის პრეცედენტი უკვე არსებობდა ლატვიელთა ეროვნული დივიზიების სახით, რომლებიც უკეთესად იბრძოდნენ. ი.სტალინს კარგად მოეხსენებოდა ქართველი ხალხის საბრძოლო ტრადიციებისა და მით უმეტეს ბრძოლის-

უნარიანობის შესახებ. რესპუბლიკის ხელმძღვანელებს სხვა მოსაზრებაც რომ ჰქონოდა ამ საკითხზე შეკამათებას მაინც ვერ გაბედავდა. ქართული, ასევე როგორც ამიერკავკასიის სხვა ეროვნული დივიზიების შექმნის საკითხი 1942 წლის იანვარში ამიერკავკასიის ფრონტის სარდალთან ი.ტიულენევთან შეთანხმებით პრინციპულად გადაწყდა.[2]

ქართული მსროლელი დივიზიების ჩამოყალიბება დაიწყო 1942 წლის თებერვალში (თუმცა მანამდე ჯერ კიდევ 1941 წელს "სტიქიურად" იყო შექმნილი 224-ე, 386-ე და 388-ე მსროლელი დივიზიები. რომელთაც მართალია, ოფიციალურად არ ჰქონდათ ქართული ეროვნული შენაერთების სახელწოდება, მაგრამ ფაქტობრივად მათი პირადი შემადგენლობის უდიდეს უმრავლესობას ქართველები შეადგენდნენ) თავდაპირველად შეიქმნა 406-ე მსროლელი დივიზია, რომელსაც პირველი დღეებიდანვე დაეკისრა საბრძოლო ამოცანა: დაეცვა საბჭოთა კავშირ - თურქეთის სახელმწიფო საზღვრის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი უბანი.

392-ე მსროლელი დივიზია, რომელიც გამოყენებული იყო ჩრდილოეთ კავკასიის თავდაცვით ბრძოლებში ამიერკავკასიის ფრონტის ჩრდილოეთის ჯგუფის ჯარების შემადგენლობაში, ქ.გორში შეიქმნა.

დაღესტნის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტუ-რი რესპუბლიკის ტერიტორიაზე ბუინაკსკში შეიქმნა 414-ე ქართული მსროლელი დივიზია, რომელმაც მონაწილეობა მიიღო კავკასიისა და ყირიმისათვის ბრძოლებში.[3]

ამავე დროს ყირიმის ფრონტზე თუ შეიძლება ითქვას, "სტიქიურად" იყო შექმნილი 224-ე ქართული დივი-ზია. ეს დივიზიაც საქართველოში ჩამოყალიბდა 1941 წლის დამლევს. შემადგენლობით ისიც თავიდანვე უმთავრესად ქართული იყო, მაგრამ რატომღაც ეროვნულ შენაერთად არ ითვლებოდა. ქერჩის განთავისუფლებაში მონაწილეობის შემდეგ, როცა დივიზიამ თავდაცვის ზღუდე დაიკავა და საქართველოდან დიდი შევსება მიიღო. ისიც ეროვნულ შენაერთთა რიცხვს მიეკუთვნა.[4]

1942 წლის ზაფხულისათვის ამიერკავკასიის სამხედრო ოლქიდან საჯარისო შენაერთების დიდი ნაწილი ფრონტზე გადაადგილეს. თურქეთის საზღვარზე საქართველოსა და სომხეთში მხოლოდ 406-ე ქართული მსროლელი დივიზია, მესაზღვრე და გამაგრებული რაიონების მებრძოლები დარჩნენ. ეს სახიფათო იყო. გერმანელები ჩრთილოეთიდან კავკასიონს მიადგნენ. არავინ იცოდა ახალ ვითარებაში როგორ მოიქცეოდა თურქეთი, რადგანაც სამხრეთის საზღვრების სისუსტეს შეიძლებოდა იგი ავანტიურისათვის წაექეზებინა. ამიტომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში ეს საკითხი აწონდაწონეს და 1942 წლის ოქტომბერში ი. სტალინის სახელზე კ. ჩარკვიანმა დაშიფრული დეპეშა გაგ-ზავნა, რომელიც თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტს ატყობინებდა, რომ სამხრეთის საზღვრის დაცვა შესუსტებულია და ითხოვდა ორი ახალი ქართული დივიზიის ჩამოყალიბებას.

რამდენიმე დღეში კ.ჩარკვიანმა მოსკოვიდან მიიღო მითითება დივიზიების შექმნის შესახებ. ერთ მათგანს მიეკუთვნება 296, ხოლო მეორეს 349 ნომერი, პირველი დივიზია ბათუმსა და მეორე – ლენინაკანში განლაგდა. 296–ე დივიზიას მეთაურობდა პოლკოვნიკი ხუბულური, 349–ეს – პოლკოვნიკი ი.სილაგაძე.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი დიდი ყურადღებით ეპყრობოდა ქართული დივიზიების საბრძოლო მომზადებას, მათი შემადგენლობის ქვეყნისათვის თავდადების სულისკვეთებით აღზრდას. ამიტომ იყო, რომ სხვა ღონისძიებებთან ერთად მან სპეციალური მობილიზაციით ამ დივიზიებში 1000 კომუნისტი და 3000-ზე მეტი კომკავშირელი გაგზავნა და ეს იმათ გარდა, ვინც დივიზიების ფორმირებისას იქ ჩვეულებრივი გაწვევით მოხვდა.[5]

შემდგომში საქართველოს ტეერიტორიაზე ჩამოყალიბდა 386-ე, 388-ე, 394-ე, 276-ე, 351-ე მსროლელი და 242-ე სამთო მსროლელი დივიზიები, რომელთა პირადი შემადგენლობის უმავლესობას ქართველები შეადგენდნენ, თუმცა ოფიციალურად მათ ქართული ეროვნული შენაერთების სახელწოდება არ ჰქონდათ. ეს ერთგვარ ანაქრონიზმად წარმოგვიდგება ი.ბაბალაშვილის წიგნში, რადგან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ხსენებული დივიზიების უდიდეს უმრავლესობას ქართველები შეადგენდნენ. მაშასადამე, ესაა მთავარი, და არა ის ოფიციალურად ეწოდებოდათ თუ არა მათ ეროვნული შენაერთები.

§I. 224-ე მსროლელი დივიზიის მოქმედება ყირიმის სადესანტო ოპერაციაში.

224-ე ქართული მსროლელი დივიზია საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის მრისხანე დღეებში – 1941 წელს ჩამოყალიბდა საქართველოში. დივიზიის მეთაურად დაინიშნა პოლკოვნიკი დეგტიარევი, დივიზიის სამხედრო კომისრად – პოლკის კომისარი გორბუნოვი, პოლიტგანყოფილების უფროსად ათასეულის კომისარი პრუდინი.

დივიზიის პოლკები, ცალკე ათასეულები და სხვა სპეციალური ქვეგანაყოფები სხვადასხვა ქალაქებში განლაგდნენ. სამი თვის განმავლობაში მიმდინარეობდა დივიზიის პირადი შემადგენლობის გაძლიერებული სამხედრო-საბრძოლო და პოლიტიკური მომზადება. 1941 წლის ნოემბრის პირველ ნახევარში დივიზიამ ფრონტზე გამგზავრების ბრძანება მიიღო.

დივიზიის შემადგენლობა მთელი შეიარაღებითა და საჭურვლით რკინიგზის ეშელონებში მოთავსდა და კრასნოდარისაკენ აიღო კურსი.

დივიზიის პირადი შემადგენლობა მაღალი საბრძოლო სულისკვეთებით მიემგზავრებოდა ფრონტზე დაუნდობელი მტრის – გერმანელ ფაშისტთა ჯარების წინააღმდეგ საბრძოლველად. შენაერთი სტანიცა სლავიანსკაიაში დაბანაკდა. ამ უზარმაზარი სოფლის

მოსახლეობამ გულთბილად მიიღო 224-ე დივიზიის პირადი შემადგენლობა.[6]

სლავიანსკაიაში დივიზიის მებრძოლებმა და მეთაურებმა მიიღეს სათანადო საჭურველი, იარაღი, თბილი ტანსაცმელი. ქვედანაყოფები შეივსო მძიმე საჰაუბიცო, საველე და ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხებით. დილიდან საღამომდე მიმდინარეობდა ტაქტიკური მეცადინეობა, სხვადასხვა სახეობის ჯარებს შორის ურთიერთმოქმედების დამუშავება, პრაქტიკული ვარჯიში სროლაში.

დეკემბრის მეორე ნახევარში თოვლ-ჭყაპსა და ტალახში დივიზია მთელი შემადგენლობით დაიძრა ქალაქ თემრიუკისაკენ. მთელი გზა მიმდინარეობდა საბრძოლო მეცადინეობა. თემრიუკში ჩასვლისთანავე 224-ე ქართული მსროლელი დივიზიის პირადი შემადგენლობა სადესანტო ოპერაციისათვის მზადებას შეუდგა. დესანტი საიდუმლოდ მზადდებოდა. მის შესახებ იცოდნენ მხოლოდ დივიზიისა და პოლკების ხელმძღვანელებმა. მებრძოლებს ასწავლიდნენ მოკლე და სწრაფ გადარბენებს. სანგრების სწრაფად გათხრას. ხელყუმბარების სროლას, ხელჩართული ბრძოლების ხერხებს. ცალკე ამეცადინებდნენ სნაიპერებს. რომლებიც სპეციალური შაშხანებით იყვნენ აღჭურვილნი.

ასეთი ვარჯიშის პერიოდში თანდათან არჩევდნენ ფიზიკურად უფრო გამძლე, მომზადებულ მებრძოლებსა და მეთაურებს. ისინი გადაჰყავდათ სპეციალურად შექმნილ ქვეგანაყოფებაში. იქმნებოდა სადესანტო ჯარების

ავანგარდი, რომელიც ყოველივე სიძნელეს გადახალავდა და სარდლობის მიერ დასახულ ამოცანებს შეასრულებდა. ასე შეიქმნა 143-ე, 160-ე და 185-ე პოლკების სპეციალური ათასეულები, რომლებმაც შემდგომ 1941 წლის 26 და 29 დეკემბრის სადესანტო ოპერაციებში გადამწყვეტი როლი შეასრულეს.

1941 წლის 25 დეკემბრის ღამით თემრიუკის ნავსადგურიდან გავიდნენ აზოვის სამხედრო ფლოტილიის გემები და სადესანტო ნავები. ფლოტილიას მეთაურობდა კონტრ-ადმირალი ს.გ.გორშკოვი. დესანტის შემადგენლობაში იყო გემი "ეისკი", რომელზეც იმყოფებოდა საქართველოში შექმნილი 224-ე დივიზიის 143-ე პოლკის ორი ათასეული და საარტილერიო დივიზიონი ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხებით. მეორე უსახელო პატარა გემში მოთავსებული იყო ამ პოლკის ერთი ასეული და სხვადასხვა სპეციალური ქვეგანაყოფები.

გემებისა და ნავების ტრიუმებში მოთავსებული საზღვაო დესანტის მონაწილენი მოულოდნელად ელოდნენ ყირიმის ნაპირებზე გადასვლასა და ბრძოლებში ჩაბმას. პოლკის მეთაური მაიორი ლევკოვიჩი და კომისარი აკაკი გიორგაძე გულმოდგინედ ათვალიერებდნენ რუკებს. მათ ნავსადგურიდან გამოსვლის შემდეგ გახსნეს საიდუმლო პაკეტი, სადაც იყო ბრძანება სადესანტო ოპერაციების გზებისა და დასახული საბრძოლო ამოცანის შესახებ.[7]

სადესანტო ოპერაციებს ქერჩის ნახევარკუნ-ძულზე წითელი არმიის უმაღლესი მთავარსარდლობა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. ფაშისტთა მე-11 არმია ამ დროს ბრძოლებს აწარმოებდა ალყაში მოქცეული სევასტოპოლის წინააღმდეგ. გააფთრებული ბრძოლები მიმდინარეობდა მოსკოვთან, დონის როსტოვთან, ხარკოვის მიმართულებით, სევასტოპოლზე ფაშისტთა ჯარების შემოტევის შენელებისა და მათი ყურაღების გადატანის მიზნით, მოეწყო ამიერკავკასიის ფრონტის ჯარების, შავი ზღვის სამხედრო-საზღვაო ფლოტისა და აზოვის სამხედრო ფლოტილიის დესანტების გადასხმა ქერჩის ნახევარკუნძულზე.

ქერჩის ნახევარკუნძულის დაკავებას ის მიზანიც ჰქონდა, რომ საბჭოთა ჯარების სრული კონტროლის ქვეშ მოქცეოდა ქერჩის სრუტე, რომელიც აზოვის ზღვის გასაღებს წარმოადგენდა. ჰიტლერელთა სარდლობას საშუალება ესპობოდა შავი ზღვიდან აზოვის ზღვაში შეეყვანა სამხედრო და სატრანსპორტო დიდი და პატარა გემები. აზოვის ზღვაზე მოქმედებდა მხოლოდ გერმანელთა მიერ რკინიგზით გადმოტანილი სატორპედო კატარღები და ბრძოლების დროს ნადავლის სახით მიტაცებული რამდენიმე საბჭოთა სამგზავრო გემი. ბარჟა და ნავები.

მიუხედავად დიდი ხიფათისა, რაც დესანტის მონაწილეებს ქერჩის ნახევარკუნძულზე გადმოსხმისას ელოდათ, ყველას ჰქონდა გამარჯვების ღრმა რწმენა. სწამდათ, რომ წარმატებით შეასრულებდნენ დასახულ

ამოცანებს. მეთაურებსა და ჯარისკაცებს კარგად ესმოდათ ვერაგი მტრისაგან ქერჩის ნახევარკუნძულის განთავისუფლების მნიშვნელობა.

25 დეკემბერს ღამით აზოვის სამხედრო ფლოტილიამ თემრიუკიდან ჩრდილო-დასავლეთით 80 კილომეტრზე მდებარე პატარა ნავსადგურ კუჩუგურიდან სხვა ნაწილებთან ერთად წაიყვანა 224-ე დივიზიის 185-ე პოლკის ორი ათასეული. ტანკსაწი-ნააღმდეგო ქვემეხებისა და ნაღმსატყორცნების დივიზიონი.

224-ე ქართული მსროლელი დივიზიის ამოცანას შეადგენდა დაეკავებინა ქერჩის მისადგომები ზღვი-დან. შეექმნა დივიზიის მთავარი ძალებისათვის მტკიცე პლაცდარმი სადესანტო ჯარების გადმოსასხმელად. იერიში განევითარებინა გერმანელ-ფაშისტთა ჯარების თავდაცვითი ხაზების სიღრმეში.

26 დეკემბერს გარიჟრაჟზე “ეისკი” თანმხლებ გემებთან და სადესანტო ნავებთან ერთად ქერჩის ნახევარკუნძულს მიუახლოვდა. მტრის სანაპირო ბატარეებმა შეამჩნიეს საბჭოთა გემები და დაუშინეს ცეცხლი. რამდენიმე ხნის შემდეგ საბჭოთა გემებსა და ნავებს გერმანელთა თვითმფრინავები დაესხნენ თავს. ბრძოლაში ჩაებნენ მტრის ნაღმსატყორცნები და ტყვიამფრქვევები.[8]

საშინელი ღელვისა და დიდი პირქარის, აგრეთვე წყლის დაბალი დონის გამო სადესანტო გემები ნაპირს ვერ მიადგნენ. ბრძოლის სურვილით გახელებული წითელარმიელები და მეთაურები ტანსაცმლითა და

საჭურვლით გემებიდან ზღვაში ხტებოდნენ, ყინულოვან წყალს მიაპობდნენ და წინ მიიწევდნენ ნაპირისაკენ.

ზღვის პირას, ხრონის კონცხთან, სოფელ ბულგანაკის რაიონში სადესანტო გემიდან ზღვაში პირველი გადაეშვა 143-ე პოლკის ოცეული ლეიტენანტ ვლადიმერ ხმალაძის მეთაურობით. ამ ოცეულმა მიაღწია ნაპირს და დიდი ბრძოლებით დაიკავა პლაცდარმი. დესანტის სხვა მონაწილეებმაც თანდათანობით ხელთ იგდეს ახლო-მახლო მიდამოები და პლაცდარმის გაფართოებას შეუდგნენ. ნაპირზე გერმანელ ფაშისტებთან ხელჩართული ბრძოლები გაჩაღდა. გერმანელებმა ვერ გაუძლეს სადესანტო ჯარების გამძაფრებულ იერიშებს და უკან დაიხიეს.

224-ე ქართული მსროლელი დივიზიის მებრძოლები 83-ე საზღვაო ბრიგადის ქვედანაყოფებთან ერთად მოქმედებდნენ. საბჭოთა მეზღვაურების გააფთრებულ შეტევას ფაშისტებმა ვერ გაუძლეს. საზღვაო ბრიგადის მებრძოლებმა გაარღვიეს მტრის საზღვაო თავდაცვითი ზღუდეები და აფართოებდნენ პლაცდარმს 224-ე დივიზიის ნაწილებთან ერთად.

ქერჩის ნახევარკუნძულის სანაპიროს ის ნაწილი, სადაც სადესანტო ჯარები გადასხდნენ, დაჭაობებულ დაბლობს წარმოადგენდა და დაქანებულ ღრანტე ფერდობებს უერთდებოდა. ეს ფერდობები ერთმანეთზე მიმკვდარი გაქვავებული ლოკოკინებისაგან იყო წარმოშობილი. ათეულ კილომეტრებზე აქ მოწყობილი იყო მრავალსართულიანი ქვის სამტეხლოები, რომლებიც

დესანტის მონაწილეებმა თავშესაფრად გამოიყენეს. აქ გადმოტვირთეს წყალგაუმტარ ქსოვილებში შეხვეული ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, საჭურველი, მედიკამენტები და პროდუქტები. საბჭოთა მეომრები ქვის სამტეხლოების გამოქვაბულებში აფარებდნენ თავს[9].

143-ე მსროლელი პოლკისა და 83-ე საზღვაო ბრიგადის ქვეგანაყოფები აღმოსავლეთიდან და ჩრდილო-აღმოსავლეთიდან ნახევარ რკალად მძიმე ბრძოლებით მიიწევდნენ წინ ქალაქ ქერჩისაკენ.

სადესანტო ოპერაციების დღეებში 224-ე დივიზიის მეთაურთა შემადგენლობამ და მებრძო-ლებმა გმირული ბრძოლებისა და თავდადების არა ერთი მაგალითი უჩვენეს.

ცხარე ბრძოლების დროს გააფთრებული მტერი ძალღონეს იკრებდა და ზოგან კონტრიერიშზეც გადადიოდა.

სტრატეგიულად მეტად მნიშვნელოვანი იყო პლაცდარმი, რომელიც 143-ე პოლკის იმ ათასეულმა დაიკავა, რომელსაც კაპიტანი სისაური მეთაურობდა. ამ ათასეულის მებრძოლებმა გერმანელთა არა ერთი იერიში მოიგერიეს, გადავიდნენ კონტრიერიშზე და პლაცდარმი გააფართოეს. ათასეულს ცეცხლით მხარს უჭერდა პოლკის ნაღმსატყორცნების ბატარეა, რომლის მეთაური იყო უფროსი ლეიტენანტი კუზნეცოვი, კომისარი გიორგი ტატიშვილი. მესანგრეთა ასეულს უნარიანად ხელმძღვანელობდა პოლიტხელი ბიძინა ბეჟუაშვილი. მესანგრეებმა მტრის ცეცხლის ქვეშ დანაღმეს 143-ე პოლკის მიერ დაკავებული პლაცდარმის წინა მისადგომები. იმ ნაღმებზე ასზე მეტი ფაშისტი აფეთქდა. მტრის ჭარბ ძალებთან მედგარ ბრძოლებში დაიღუპა პოლიტხელი

ბ.ბეჟანიშვილი და პოლიტხელის თანაშემწე ვალერიან გოგავა. მძიმედ დაიჭრა პოლკის საარტილერიო ბატარეის კომისარი გიორგი ტატიშვილი.

საბრძოლო ოპერაციების წარმატებას ხელს უწყობდა მეკავშირეთა ასეულის მამაცური მოქმედება. ასეულის მეთაურმა, უფროსმა ლეიტენანტმა მიხეილ გნიდინმა და პოლიტხელმა დავით მგელაძემ უძრუნველჰყვეს შეუფერხებელი კავშირი. არა ერთ მებრძოლს შეუნარჩუნა სიცოცხლე სამედიცინო ასეულმა, რომელსაც ექიმი ირაკლი ვახვახიშვილი ედგა სათავეში.

ბრძოლების მეორე დღეს ქერჩის მისადგომებთან, სოფელ ბულგანაკთან შეტევის დროს გმირულად დაიღუპა 143-ე პოლკის კომისარი აკაკი გიორგაძე.

მტერთან ბრძოლებში გმირობისა და მამაცობის გამოჩენისათვის ლენინის ორდენით დააჯილდოეს კომისრები ა. გიორგაძე (სიკვდილის შემდეგ) და შ.ბებია.

143-ე პოლკმა ახალი შევსება მიიღო. ჰიტლერელებმა ვერ გაუძლეს მძლავრ შეტევას და უკან დახევა დაიწყეს. პოლკი სწრაფად მიიწევდა წინ.

სადესანტო ნაწილებმა მძლავრი იერიში განავითარეს კამიშ-ბურუნის რაიონში. დაიკავეს სოფელი ალექსანდროვკა და ორჯონიკიძის სახელობის მუშათა დასახლება. ქალაქ ქერჩზე მოიერიშე საბჭოთა ჯარების ნაწილების 224-ე ქართული მსროლელი დივიზიის ქვეგანაყოფებიც მიემატა.

28 დეკემბერს ღამით ყირიმის ნაპირებისაკენ დაიძრა ახალი სადესანტო ჯარებით დატვირთული გემები. გემებზე მყოფი ჯარები 29 დეკემბერს განთიადისას ქერჩისა და ფეოდოსიის რაიონებში გადასხდნენ. ქერჩის რაიონის დესანტში მონაწილეობას ღებულობდნენ 224-ე დივიზიის

160-ე პოლკი, 185-ე პოლკის ერთი ათასეული და საარტილერიო დივიზიონი.

საბჭოთა სადესანტო ჯარებმა, რომელიც შედ-გებოდა 224-ე და 390-ე მსროლელი დივიზიების, 83-ე საზღვაო ბრიგადისა და წითელი არმიის სხვა ნაწილების ქვეგანაყოფებისაგან, ქერჩთან გაანადგურეს მოწინააღმდეგე და 30 დეკემბერს დაიკავეს ქალაქი – ნავსადგური ქერჩი.[10]

ოკუპანტებმა უკან დახევისას ააფეთქეს და ცეცხლს მისცეს ქალაქ ქერჩისა და მის ახლომახლო მდებარე ყველა ფაბრიკა-ქარხანა, ნავსადგური, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები, მრავალი საცხოვრებელი სახლი. უსახლკაროდ დარჩენილმა ათასობით ადგილობრივმა მოქალაქემ თავი შეაფარა აზოვის და შავი ზღვის ნაპირებზე განლაგებულ ქვის სამტეხლოების გამოქვაბულებს.[11]

ყირიმის ფრონტზე სახელოვნად დაიწყო თავის საბრძოლო გზა 224-ე ქართულმა მსროლელმა დივიზიამ, რომლის პოლკებმაც სადესანტო ოპერაციე-ბის დროს გაუგონარი სიმამაცე და თავდადება გამოიჩინეს.

ქერჩ-ფეოდოსის ოპერაცია პირველი დიდი სადესანტო ოპერაცია, იყო რომელიც დიდი სამამუ-ლო ომის დროს განახორციელეს საბჭოთა არმიის ნაწილებმა. შეტევითი ოპერაციები ქერჩის ნახევარ-კუნძულზე ჩაატარეს ამიერკავკასიის ფრონტის 51-ე, 47-ე და 44-ე არმიების ჯარებმა.

1941 წლის 29-30 დეკემბერს შავი ზღვის სამხედრო-საზღვაო ფლოტის მხარდაჭერით ფეოდოსიის რაიონში მძიმე ბრძოლების შედეგად გადმოსხეს 44-ე არმიის სადესანტო ჯარები და 30 დეკემბერს განთიადისას საბჭოთა ჯარებმა ფეოდოსია გაანთავისუფლეს ფაშისტ დამპყრობლებისაგან[12].

ფეოდოსიის დაკავების შემდეგ საბჭოთა ჯარებმა, რომლებმაც 30 დეკემბერს საერთო შეტევაზე გადავიდნენ. 1 იანვარს ქერჩის ნახევარკუნძული მთლიანად გაათავისუფლეს და გაწმინდეს მტრის ჯარებისაგან.

1942 წლის იანვრიდან დაიწყო აქტიური თავდაცვითი ბრძოლები. შეიქმნა ყირიმის ფრონტი.

ყირიმის ფრონტის საავტომობილო ათასეულების მეთაურებმა და მებრძოლებმა მამაცობისა და გმირული შრომის მაგალითები აჩვენეს. განსაკუთრებით მაღალ მაჩვენებლებს მიაღწია იმ საავტომობილო ათასეულმა, რომლის კომისარიც უფროსი პოლიტ-ხელი ალექსანდრე სილაგაძე იყო[13].

1942 წლის იანვრის დასაწყისიდან 224-ე დივიზიამ დაიკავა თავდაცვის ხაზი, რომელიც გადიოდა არაბატის ისარზე 30 კილომეტრამდე სიღრმეში, სოფელ და ციხე-სიმაგრე არაბატთან, სოფელ ჯან-ტორას მისადგომებთან, აკ-მონაისთან, რკინიგზის სადგურების აკ-მონაის, სემისოტკას გასწვრივ და სადგურ ალი-ბაის მახლობლად.

დივიზიის შტაბი, პოლიტგანყოფილება, მეკავშირეთა, მესანგრეთა ცალკე ათასეულები, მეავტომატეთა ასეული, საინტენდატო სამსახური, სახელოსნოები და საწყობები განლაგდა სოფელ აკ-მონაის აღმოსავლეთით, აზოვის ზღვის ნაპირზე მყოფ ქვის სამტეხლოების გამოქვაბულებში. იქვე ახლოს მოაწყო თავის შტაბი 111-ე საჰაუბიცო საარტილერიო პოლკმა.

143-ე პოლკი იდგა თავდაცვის ხაზზე სოფელ არაბატის მიდამოებში პირით სოფელ ჯანტორისაკენ, რომელიც მტერს ეკავა. 160-ე პოლკს ეკავა სოფელ აკ-მონაის სამხრეთ-დასავლეთი კუთხე, სადგური სემისოტკა და ამ სადგურიდან ჩრდილო-დასავლეთით მდებარე ტერიტორია. 185-ე პოლკი არაბატის ისარზე მოთავსდა.

1942 წლის თებერვლის პირველ რიცხვებში 224-ე ქართული მსროლელი დივიზიის მეთურად დაინიშნა პოლკოვნიკი ვ.ძაბახიძე. დივიზიის სამხედრო კომისარი იყო პოლკის კომისარი ო.მუსერიძე, დივიზიის პოლიტგანყოფილების უფროსი – პოლკის კომისარი ა.რამაზაშვილი, პოლიტგანყოფილების უფროსის მოადგილე – ათასეულის კომისარი ა.თაფლაშვილი, დივიზიის შტაბის უფროსი – პოდპოლკოვნიკი გ.სიხარულიძე, დივიზიის მეთაურის მოადგილე პოდპოლკოვნიკი ი.ქანთარია, შტაბის კომისარი – ათასეულის უფროსი კომისარი გ. ჩარგეიშვილი, დივიზიის არტილერიის უფროსი – პოლკოვნიკი ს. ტარიელაშვილი. ერთი სიტყვით, დივიზიის მეთაურთა შემადგენლობაში ქართველები მრავლად იყვნენ.[14]

224-ე ქართული მსროლელი დივიზია 1942 წლის თებერვლამდე 51-ე არმიაში შედიოდა, ხოლო თებერვლიდან – 47-ე არმიაში.

როცა პოლკოვნიკმა ვ.ძაბახიძემ დივიზია ჩაიბარა, სოფელ აკ-მონაიში მხოლოდ სამი სახლი იდგა დაუნგრეველი. მთელი სოფელი მიწასთან იყო გასწორებული. დივიზიის მეთაურს ვ.ძაბახიძეს, თუმცა მაშინ საბრძოლო გამოცდილება არ ჰქონდა, მაგრამ კარგად ესმოდა მოგერიებითი ბრძოლების დროს სანგრების მნიშვნელობა. მის გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა შეამჩნია, რომ სხვა დივიზიებთან და განაყოფებთან ერთად სანგრების მოწყობის საკითხი არც 224-ე ქართულ მსროლელ დივიზიაში იყო მოგვარებული. პირადი შემადგენლობა და საბრძოლო იარაღები სანგრებში არ იყო მოთავსებული. ალაგ-ალაგ იყო გათხრილი ათეულის არასრული პროფილის სანგრები, მაგრამ სამიმოსვლო

თხრილების გარეშე. ნაწილების შტაბები მოთავსებული იყო შენობათა ნანგრევებში.

ნაწილებში გამეფებული იყო შეტევითი ბრძოლების დაწყების სულისკვეთება და ამის გამო არავინ ფიქრობდა თავდაცვითი ბრძოლების მზადყოფნაზე მომზადებაზე.

თებერვლის შუა რიცხვებში 224-ე დივიზიის მეთაურთა თათბირს ესწრებოდა ფრონტის შტაბის უფროსი გენერალ-მაიორი თ.ტოლბუხინი. თათბირზე განიხილეს მოგერიებითი ზოლის ყოვემხრივი მომზადების საკითხი.

ფრონტის შტაბის უფროსს დივიზიის ხელ-მძღვანელთა აზრი ძალიან მოსწონებია და განუცხადებია: "განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ მოგერიებითი ზოლის მომზადებას. მართალია, ჩვენ შეტევისათვის ვემზადებით, მაგრამ მოწინააღმდეგე აქ მოგერიებისათვის კი არ შემოჭრილა, შეტევითი ინიციატივა ჯერჯერობით მის ხელთ არის და ვინ იცის როდის შემოგვიტევს"...

დივიზიაში მეორე დღესვე შეადგინეს სათანადო გეგმა და სასანგრე სამუშაოებს შეუდგნენ. მარტის ბოლოს მოგერიებითი ზოლის სამუშაოები მთლიანად დამთავრდა. გათხრილი იქნა სრული პროფილის 23 კილომეტრი სიგრძის სანგრები.[15]

1942 წლის 20 თებერვალს 224-ე ქართულ მსროლელ დივიზიას საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის სახკომ-საბჭოს წარმომადგენლები ესტუმრნენ. მათ ქართველი ხალხის მიერ გაგზავნილი საჩუქრები ჩაიტანეს. საჩუქრებს შორის დივიზიის სარდლობა ყველაზე მეტად რვა ტონა ლობიომ გაახარა, რადგანაც იმ დროისათვის პურის გარდა სხვა პროდუქტების ნაკლებობას განიცდიდა და ამდენი ლობიო დიდი შეღავათი იყო მათთვის.

დივიზიას შეიარაღებაც არ ჰქონდა საკმარისი. მხოლოდ აპრილის რიცხვებში მიიღეს ავტომატების მცირე პარტია და მაშინვე მეავტომატეთა ასეული შეადგინეს. აკლდათ არტილერიის ჭურვები. იყო ისეთი დღეები, როცა არც ერთი ჭურვი არ გაუსვრიათ. განუწყვეტელ ცეცხლზე ფიქრიც კი ზედმეტი იყო, ეს მაშინ, როცა მოწინააღმდეგე შეუწყვეტლივ უშენდა ცეცხლს დივიზიის საბრძოლო რიგებს და მდგომარეობის სრული ბატონ-პატრონი იყო. 224-ე ქართული მსრულელი დივიზიის პირისპირ მოგერიების ზოლი რუმინელთა დივიზიას ეკავა[16].

1942 წლის თებერვალ-მარტში ფრონტის მარჯვენა ფრთაზე არ ჩატარებულა არც ერთი საბრძოლო ოპერაცია, რომელშიც 224-ე ქართულ მსროლელ დივიზიას არ მიეღოს მონაწილეობა.

თებერვლის მეორე ნახევრიდან ფრონტმა გამოცოცხლება იწყო. მზადდებოდა დიდი შეტევა გერმანელ-დამპყრობელთა წინააღმდეგ. იქმნებოდა ყუმბარებისა და ტყვია-წამლის დიდი მარაგი. სადგურ სემიკოლოდეზში მოეწყო ფრონტისა და არმიების მთავარი საწყობები.

1942 წლის 26 თებერვალს იმ ქვის სამტეხლოების თავზე, რომლის გამოქვაბულებშიც განლაგებული იყო 224-ე დივიზია. მოაწყვეს შორსმსროლელი მძიმე არტილერიის საცეცხლე წერტილები.

27 თებერვალს განთიადისას 17 კილომეტრის სიგანის ვიწრო ყელში, რომელიც მდებარეობს აზოვისა და შავი ზღვების შუა, სოფელ აკმონაიდან ქალაქ ნავსადგურ ფეოდოსიამდე, გაიხსნა ყირიმის ფრონტის არტილერიის მძლავრი ცეცხლი. არტილერიას მხარს უჭერდა ავიაცია. 224-ე დივიზიის ნაწილებმა მეზობელ დივიზიებთან ერთად საარტილერიო და საავიაციო მომზადების

დამთავრებისთანავე იერიშები დაიწყეს. მათ გაარღვიეს მტრის თავდაცვა, შეიჭრნენ გერმანელთა ზურგში და გააფთრებული ბრძოლებით აიღეს სოფლები ჯანტორა, პარპაჩი, ტულუმჩაკი. სოფელ ჯანტორას აღებისას დივიზიის მებრძოლებმა აღმოაჩინეს გერმანელების მიერ ნაწამები და კოცონზე დამწვარი წითელარმიელის გრიგოლ სხულუხიას სხეული. გერმანელმა ფაშისტებმა ვერ შეძლეს მგზნებარე პატრიოტის გ.სხულუხიას გადაბირება. მან სამშობლოს ღალატს წამებით სიკვდილი არჩია[17].

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1945 წლის 29 ივნისის ბრძანებულებით გრიგოლ პეტრეს ძე სხულუხიას სიკვდილის შემდგომ მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება[18].

საბჭოთა ჯარების შეტევა თანდათან ვითარ-დებოდა. მისი მიზანი იყო შავსა და აზოვის ზღვებს შუა განლაგებული გერმანელთა გამაგრებული თავ-დაცვის ხაზის გარღვევა, ყირიმის გაშლილ ველებზე გასვლა, სადგურ ისლამტერეკის, ქალაქ ჯანკოის აღება და შემდეგი შეტევების განვითარებით პერეკოპისაკენ გაჭრა. ეს ამოცანა სხვა ნაწილებთან ერთად უნდა შეესრულებინა 224-ე ქართულ მსროლელ დივიზიას.

შეტევა წარმატებით მიმდინარეობდა, მაგრამ შუადღისას დაიწყო დიდი წვიმა, მთელი მიდამო ისე ატალახდა, რომ საწევრებზე გამობმული მძიმე ქვემეხები ვეღარ მოძრაობდნენ. ბრძოლის ველი ირგვლივ დაფარული იყო ტალახში ჩაფლული ქვე-მეხებით, ავტომანქანებით, საბარგულებით. წინსვლა შეუძლებელი გახდა.

51-ე არმიის სარდალმა გენერალ-ლეიტენანტმა ვ.ნ.ლვოვმა შეტევის შეჩერების ბრძანება გასცა. წითელი არმიის ნაწილები დაკავებულ პოზიციებზე თავდაცვითი ხაზის მოწყობას შეუდგნენ[19].

დივიზიის პირადი შემადგენლობის ბრძოლისუნა-რიანობისა და დისციპლინის განმტკიცებაში დიდ როლს ასრულებდა წითელარმიული გაზეთი და ქვედანაყოფების კედლის გაზეთები.

გაზეთი “კრასნი ვოინი”, რომელიც რუსულ ენაზე გამოდიოდა, შეცვალა 224-ე დივიზიის ქართულმა გაზეთმა “ქართული მსროლელი”. ამ გაზეთის პირველი ნომერი გამოვიდა 1942 წლის 17 მარტს. რედაქციის შტატში შედიოდა რედაქტორი – უფროსი პოლიტხელი ვახტანგ სიხარულიძე, რედაქტორის მოადგილე – პოლიტხელი ალექსანდრე სულავა, რედაქციის მდივანი პოლიტხელი ალექსანდრე გვინჩიძე.

ქართული სტამბა აკ-მონაის ერთ-ერთ გამოქვაბულში მოეწყო. გაზეთი იბეჭდებოდა საბარგო ავტომობილზე გამართულ პატარა საბეჭდ მანქანაზე, ამიტომ იგი გამოდიოდა მცირე ფორმატის გაზეთის დამატებად, ყოველდღე გამოდიოდა რადიოთი მირე-ბული და ქართულ ენაზე თარგმნილი საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს ცნობები.

1942 წლის მარტში მოეწყო რამდენიმე შეტევა მაგრამ უშედეგოდ. სადგურ ვლადისლავოვკასთან მდებარე მაღლობებში საბჭოთა ნაწილების შემაკა-ვებელი ზღუდე იყო. გერმანელებმა აქ 1941 წლის შემოდგომა-ზამთარში მოაწყვეს რკინა-ბეტონის საცეცხლე წერტების მთელი სიტემა, ხოლო ახლომახლო დაჭაობებული ადგილები დანაღმეს. საბჭოთა ჯარების არა ერთი შეტევა მოიგერიეს გერმანელებმა კარგად მოწყობილი თავდაცვით. ამ ბრძოლებში 224-ე დივიზიამ ცოცხალი ძალისა და საბრძოლო ტექნიკის დიდი ზარალი განიცადა.

მტრის ავიაციასთან ბრძოლაში თავი გამოიჩინეს მე-80 საზენიტო ბატარეის მებრძოლებმა უფროსმა სერჟანტმა

დ.ხარაძემ, სერჟანტმა გ.უბილავამ, წითელარმიელებმა ი.კერესელიძემ, ვ.მურჯიკნელმა, ი.კალანდაძემ, ა.იოსავამ, კ.მთვარაძემ. ბატარეამ მარტის თვის ათ დღეში ჩამოაგდო მტრის ერთი და დააზიანა ოთხი თვითმფრინავი. ერთ-ერთ ბრძოლაში მებრძოლი ა.იოსავა ხელში დაიჭრა, მაგრამ ბრძოლის ველი არ დასტოვა.

აპრილის დასაწყისში ფრონტზე საფრანგეთიდან ჩავიდა გერმანელთა 22-ე სატანკო დივიზია, რომელმაც სცადა ფრონტის ხაზის გარღვევა. 224-ე დივიზიისა და მეზობელი დივიზიების ქვეგანაყოფები მოუმზადებელი არ შეხვდნენ გერმანელთა ტანკების შემოტევას. მათ ჰიტლერელთა ტანკები ჩვენი ჯარების განლაგებაში შეუშვეს, ხოლო შემდეგ ზურგიდან დაუშინეს ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარები და ცეცხლგამჩენი სითხით სავსე ბოთლები. რამდენიმე ტანკს ცეცხლი წაეკიდა, მათი ეკიპაჟები ამოხტნენ კოშკურებიდან და გაიქცნენ, ისინი წითელარმიელთა ტყვიამფრქვევებმა მოცელეს. საბჭო-თა არტილერისტებმა ქვემეხებიდან პირდაპირი სრო-ლით გერმანელთა 35 ტანკი მოსპეს. დანარჩენებმა კი პირი იბრუნეს და სწრაფად გაეცალნენ. იმ დღეს გერმანელთა 50 ტანკი იქნა განადგურებული

ვლადისლავოვკის მაღლობებზე აპრილის დასაწყისში ერთ-ერთი შეტევითი ოპერაციის დროს მეზობელ ნაწილს მხარს უჭერდა 160-ე პოლკის პირველი ათასეული. ქართველი მებრძოლები შეიჭრნენ მტრის განლაგებაში 5 კილომეტრზე, ტყვედ აიყვანეს რუმინელი ჯარისკაცები და ხელთ იგდეს დიდძალი რაოდენობის იარაღი[10].

საბრძოლო იარაღის კარგად გამოყენებისათვის, გერმანელთა თვითმფრინავის ჩამოგდებისათვის სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დააჯილდოვეს უმცროსი ლეიტენანტები ვ.ბარამიძე, უმცროსი

პოლიტხელი ვ.ანთიძე, უფროსი პოლიტხელი შ.ჯიოევი, წითელარმიელები გ.კეკვიშვილი და ი.სერბიაშვილი. გერმანელი მფრინავების დაკავებაში აქტიური მონაწილეობა მიიღო მედიცინის სამსახურის კაპიტანმა რამაზ გვეტაძემ. დივიზიის სარდლობამ მას მადლობა გამოუცხადა.

აპრილის დამლევს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სახკომსაბჭოს წარმომად-გენელმა ბ.ხოშტარიამ საზეიმო ვითარებაში საბრძოლო დროშები გადასცა დივიზიასა და მის პოლკებს.

1942 წლის 1 მაისს განთიადისას ყირიმის ფრონტის არტილერიამ მძლავრი ცეცხლი დაუშინა გერმანელთა პოზიციებს და საკმაოდ დიდი ზიანი მიაყენა მათ. საღამოთი დიდ გამოქვაბულში მოწყობილ დივიზიის კლუბში შედგა საზეიმო სხდომა. მოწინავე მებრძოლებსა და მეთაურებს გადასცეს სსრ კავშირს თავდაცვის სახალხო კომისრის სახელობითი საჩუქრები. უჩვენეს კინოფილმი “გერმანელ ფაშისტთა არმიების განადგურება მოსკოვთან”, რომელმაც მებრძოლებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

3 მაისს ღამით დივიზია საგანგაშო მდგომარეობაში იმყოფებოდა. აზოვის ზღვაში შეამჩნიეს უცნობი გემი. ზღვის სანაპიროებზე გაძლიერდა პატრული, დამატებით დაიდგა ქვემეხები, ტყვიამფრქვევები, მოეწყო სანგრები.

4 მაისს 224-ე ქართული მსროლელი დივიზიის 143-ე პოლკის მებრძოლებმა ტყვიამფრქვევების ცეცხლით ჩამოაგდეს იტალიური წარმოშობის ჰიდროთვითმფრინავი. იგი ნაპირიდან 800 მეტრზე ჩავარდა აზოვის ზღვაში, მაგრამ არ ჩაიძირა. მას ყუმბარები დაუშინეს ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხებით.

ეტყობოდა, რომ თვითმფრინავი უახლესი კონსტრუქციისა იყო, ან მასზე საყურადღებო დოკუმენტი მოიპოვებოდა, იმიტომ რომ მას მტრის თვითმფრინავების მთელი ხროვა დასტრიალებდა თავს. ბოლოს გერმანელთა ავიაციამ ზღვაში ჩავარდნილ თვითმფრინავს ბომბები დააყარა და ჩაიძირა.

5 მაისს ქართული დივიზიის პატრულებმა დაატყვევეს რუმინეთის არმიის ზემდეგი. მისი სიტყვით, იგი ბესარაბიელი იყო. ტყვე რუსულად კარგად ლაპარაკობდა და განაცხადა, რომ მზადდება დიდი შეტევა ქერჩის ნახევარკუნძულზე განლაგებული საბჭოთა არმიის ნაწილების წინააღმდეგ. ტყვე არმიის შტაბში გაგზავნეს.

5 და 6 მაისს ფრონტზე შედარებით სიწყნარე იყო. მხოლოდ სადგურ ვლადისლავოვკასთან მიდიოდა გერმანელთა ჯავშნოსანი მატარებელი და იქედან საარტილერიო ყუმბარებს უშენდა სოფელ აკ-მონაისა და მის ახლომახლო მდებარე გზებს.[21]

7 მაისს შეტევები გერმანელთა ავიაციის მასობრივი თავდასხმებით დაიწყო. თვითმფრინავები განუწყვეტლივ ბომბავდნენ საბჭოთა ჯარების თავდაცვის ხაზს. სასტიკი დაბომბვა განიცადეს მძიმე არტილერიამ და სატანკო ნაწილებმა. მტერმა საჰაერო თავდასხმებითა და საარტილერიო ცეცხლით მიაღწია იმას, რომ დაარღვია კავშირურთიერთობა საბჭოთა შენაერთებსა და ნაწილებს შორის.

ის მიდამოები, სადაც განლაგებული იყო 224-ე დივიზიის შტაბი და ქვეგანაყოფები, ძლიერი დაბომბვის შედეგად წარმოშობილი ორმოებით დაიფარა. დაინგრა 160-ე, 185-ე პოლკებისა და ზოგიერთი სხვა ქვეგანაყოფების ბევრი სანგარი, სანგარშორისი შესასვლელები და თავშესაფრები. ზარალი განიცადა დივიზიის ზურგმაც.

გერმანელთა თვითმფრინავებიდან ქართული დივიზიის განლაგების რაიონში ჩამოყრილი ბომბების ერთი ნაწილი არ აფეთქდა. ეს იწვევდა შიშს, რომ ისინი ნელი მოქმედებისაა და ყოველ წუთში მოსალოდნელი იყო მათი აფეთქება.

საომარი მოქმედება თანდათან ფართოვდებოდა. საჰაერო თავდასხმის შემდეგ დაიწყო მტრის ქვეითი ჯარების შემოტევა 143-ე პოლკის წინააღმდეგ, მაგრამ ისინი უკუგდებულ იქნენ.

8 მაისს განთიადიდან მტრის ავიაციამ დაიწყო მთელი ფრონტის თავდაცვის ხაზისა და უახლესი ზურგის დაბომბვა. შემდეგ ქვეითი და ცხენოსანი ჯარებისა და ტანკების დახმარებით გერმანელები გადმოვიდნენ მძლავრ იერიშზე და დღის დასასრულისათვის შავი ზღვის მხარეს 7-10 კილომეტრზე შეიჭრნენ 44-ე არმიის განლაგებაში.

საბჭოთა ჯარების კონტრიერიშებს წარმატება არ მოჰყოლია. ერთგვარი წარმატება ჰქონდა ქართული დივიზიის მეზობლად მყოფ სატანკო ბრიგადას, რომელიც 185-ე პოლკის ერთ ათასეულთან ერთად მოქმედებდა საბჭოთა ჯარების განლაგებაში შემოჭრილი მტრის წინააღმდეგ. სატანკო ბრიგადასთან ურთიერთმოქმედებამ გააუმჯობესა 185-ე პოლკის მდგომარეობა[22].

ფაშისტებმა შეავიწროვეს 160-ე პოლკი. ტანკების დახმარებით გერმანელები შეიჭრნენ სადგურ სემისოტკას ჩრდილო დასავლეთით რკინიგზის გადაღმა განლაგებულ 160-ე პოლკის ერთ-ერთი ათასეულის ტერიტორიაზე. ათასეულმა მძიმე ბრძოლების შემდეგ დაიხია უკან და შეუერთდა თავის პოლკს.

გერმანელები შეტევაზე გადავიდნენ 224-ე დივიზიის მთელ ფრონტზე.მტერმა კვლავ სცადა ხელთ ეგდო რკინიგზის სადგურები სემისოტკა, ალიბაი, აკ-მონაი, ამავე

დროს გაძლიერდა ჰიტლერელთა შეტევები არაბატის ისარზე. მთავარი დარტყმა მტერმა გადაიტანა სოფელ ჯანტორისა და ოგუზტობეს მიმართულებით. ჰიტლერელებს სურდათ ქართული დივიზიისათვის უკანდასახევი გზა მოეჭრათ და მისი ქვეგანაყოფები გაენადგურებინათ[23].

9 მაისს მტერმა აიღო რკინიგზის სადგური და დასახლებული ადგილი სემი-კოლოცი, რომელიც დივიზიის ზურგიდან 40 კილომეტრის დაშორებით მდებარეობდა.

იმავე დღეს მაღლობ ოგუზ-ტობეს დასავლეთ ფერდობზე მტრის ჭურვის ნამსხვრევებმა იმსხვერპლა 51-ე არმიის სარდალი გენერალ-ლეიტენანტი ვ.ლვოვი.

9-10 მაისს 51-ე არმიის დივიზიებმაც იწყეს უკან დახევა. 224-ე დივიზიის მოგერიების ზოლში ერთხანს მიწყნარდა ბრძოლის გუგუნი.

მტრის თვითმფრინავები ისე გათამამდნენ, რომ 9 მაისიდან დაბლა-დაბლა იწყეს ფრენა, ყველა ეს თავხედობა შენაერთის მებრძოლებმა მტერს ძვირად დაუსვეს. 9-დან 12 მაისამდე შაშხანისა და ტყვიამფრქვევების ცეცხლით მტრის 17 თვითმფრინავი ჩამოაგდეს.

10 მაისიდან შეწყდა ყოველგვარი კავშირი დივიზიასა და ფრონტის სხვა შენაერთებს შორის[24].

იმ დღიდან დაიწყო დივიზიის დამოუკიდებელი მოქმედება. დივიზიის სარდლობა არსაიდან აღარ მოელოდა დახმარებასა და მხარდაჭერას. დივიზიას არ გააჩნდა საავიაციო და სატანკო ნაწილები.

სამხედრო ტექნიკის მხრივ იმ დროისათვის დივიზიას გააჩნდა: ერთი საარტილერიო პოლკი 18 ქვემეხით, ერთი სანაღმტყორცნო დივიზიონი 12 ნაღმტყორცნით, ბატარეია

სამი 75 მილიმეტრიანი ქვემეხით. შენაერთში მხოლოდ 100 ავტომატი იყო.

დივიზიის სამედიცინო-სანიტარულ ათასეულში 200 დაჭრილი იმყოფებოდა. შენაერთის მიმღებ-გადამცემი რადიოსადგური განადგურდა, ხოლო სატელეფონო კავშირზე ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო. ყოველგვარი ცდა კავშირის აღდგენისა უშედეგოდ დამთავრდა. კავშირის დასამყარებლად გაგზავნილი მებრძოლები და მეთაურები უკან აღარ დაბრუნებულან.

მდგომარეობა ძალიან დაიძაბა. დივიზიის შტაბის წინაშე მრავალი გაურკვეველი საკითხი წამოიჭრა. არ ჰქონდათ ცნობები ფრონტის ჯარების მდგომარეობის შესახებ, არ იცოდნენ როგორი იყო ფრონტის სარდლობის გადაწყვეტილება. მტერი კი დივიზიის ზურგში იმყოფებოდა.

9 მაისს საღამოს დივიზიის სარდლობის გადაწყვეტილებით შენაერთმა არაბატის ისარი დატოვა. ამ სიმაგრესთან მტრის მოსაგერიებლად დ.ნიჟარაძის პოლკი დარჩა. მაიორ გ.წივწივაძის პოლკს ახალი უბანი მიეცა. ეს უბანი სოფელ ოგუზ-ტობეს აღმოსავლეთ განაპირას იწყებოდა და სიმაღლე ოგუზ-ტობეს აღმოსავლეთ შტოთი მთავრდებოდა. დივიზიის მეთაურის განკარგულებაში დარჩა სამოსწავლო ათასეული და გ.წივწივაძის პოლკის ერთი მსროლელი ათასეული.

ძალთა ამგვარი გადაჯგუფების წყალობით დივიზიის სარდლობამ რკალისებურ დაცვას მიაღწია. რკალისებური მოგერიების ზოლის სიგრძე 45 კილომეტრს აღემატებოდა. ეს ზოლი 15 კილომეტრის მანძილზე აზოვის ზღვის ნაპირ-ნაპირ გადიოდა, სადაც საჭირო იყო მხოლოდ თვალთვალის მოწყობა[25].

ამ ზოლის ყველა უბანი მზად იყო მოგერიებისათვის, მზად არ იყო მხოლოდ გ.წივწივაძის პოლკის უბანი, მაგრამ ისიც მოაგვარეს.

10 მაისს საღამოს დივიზია ამგვარად იყო განლაგებული: მაიორ ნიჟარაძის პოლკს ეკავა უბანი არაბატის ისარის დასაწყისიდან აღნიშვნა 30-ის ჩათვლით. Mასვე ეკავა ჯანტორას მოგერიებითი კვანძი. ჯანტორაში მყოფ ათასეულს მხარს უჭერდა საარტილერიო პოლკი ერთი დივიზიონის გამოკლებით. ის ერთი დივიზიონი მხარს უჭერდა გ.წივწივაძის პოლკს[26].

ოგუზ-ტობეს რაიონში მტრის ტანკების წინააღმდეგ ბრძოლებში თავი გამოიჩინა მოძრავმა რაზმმა უფროსი ლეიტენანტის ს.დარჩიასა და კომისრის ა.მელქაძის მეთაურობით. ბრძოლაში მოძრავ რაზმს ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარები შემოელია. მეზობელი ათასეულების კომისრებმა ალექსანდრე სანაკოევმა და დიმიტრი ჭეიშვილმა როგორც კი გაიგეს ეს ამბავი, მონახეს ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარები და მტრის ძლიერი ცეცხლის ქვეშ მიაშველეს ს.დარჩიას. ამის შემდეგ მოძრავმა რაზმმა ფაშისტთა ხუთი ტანკი მოსპო, დააზიანა და ამ უბანზე მტრის წინსვლა შეაჩერა. ამ ბრძოლაში დაიჭრა რაზმის კომისარი ა.მელქაძე.

12 მაისს გერმანელთა ტანკებმა და ქვეითთა ჯარმა შესცვალეს შეტევის მიმართულება, დაიკავეს 160-ე პოლკის მიერ დატოვებული პოზიციები, აიღეს სოფელი აკ-მონაი და 224-ე დივიზიის შტაბის ყოფილი ადგილსამყოფელი და სოფლების არაბატისა და ჯანტორას მიდამოებში გარემოცვაში მოაქციეს 143-ე პოლკის ქვეგანაყოფები.

143-ე პოლკის მეთაურმა მაიორმა დ.ნიჟარაძემ მიიღო დივიზიის მეთაურის ბრძანება, გაერღვია გერმანელთა გარემოცვის რკალი, გამოეყვანა პოლკის პირადი

შემადგენლობა გარემოცვიდან და შეერთებოდა დივიზიის დანარჩენ ქვეგანაყოფებს სოფელ ნასირის რაიონში.

143-ე პოლკის მზვერავებმა გამოარკვიეს, რომ სოფელი აკ-მონაი დაიკავეს გერმანელთა სატანკო და ქვეითი ჯარების ნაწილებმა დაახლოებით 500 კაცის რაოდენობით, გერმანელები განლაგდნენ ქვის სამტეხლოების გამოქვაბულებში და ზღვის სანაპიროზე.

ღამის ათ საათზე 143-ე პოლკმა მაიორ დ.ნიჟარაძის ხელმძღვანელობით მტრისთვის მოულოდნელად სოფელ აკ-მონაიზე მიიტანა იერიში. დამფრთხალმა გერმანელებმა უკან დაიხიეს, მიატოვეს ტანკები და დიდძალი საჭურველი. მტერმა დიდი ზარალი განიცადა. 143-ე პოლკი მთელი პირადი შემადგენლობით, შეიარაღებითა და არტილერიით გამოვიდა მტრის გარემოცვიდან. უკან დახევის დროს საინჟინრო ოცეულმა ააფეთქა გერმანელებისაგან მიტოვებული ტაკები, აგრეთვე 224-ე დივიზიის შტაბის გამოქვაბულები და საწყობები.

12 მაისს ნაშუადღევს დივიზიის ქვეგანაყოფები დიდი ზარალით მთლიანად გამოვიდნენ მტრის გარემოცვიდან.

მტრის ახალი გარემოცვიდან თავის დაღწევის მიზნით გადაწყდა ნახევარკუნძულის შემოვლა. მთელი ღამე უჩუმრად მოძრაობდნენ შენაერთის მეომრები. მათ დიდი რკალი გააკეთეს კაზანტიპის ნახევარკუნძულზე აზოვის ზღვასა და გრძლად გაწოლილ უზარმაზარ ტბას შუა მდებარე ვიწრო ყელზე და 13 მაისს გათენებისას კვლავ გამოვიდნენ ქერჩის ნახევარკუნძულის ფართე ველზე რკინიგზის სადგურ ტაშლიარისა და მეთევზეთა სოფლების ჩეგერჩისა და მესკეჩის მახლობლად.

13 მაისს შებინდებისას დივიზიის შტაბი, 143-ე პოლკი და ზოგიერთი ცალკე ათასეული სოფელ ბოლშოი

ბაბაჩიკის მიდამოებში განლაგდნენ და სწრაფად შეუდგნენ თავდაცვითი ზღუდეების მოწყობას.

ფრონტის შტაბმა, ფრონტის სარდალმა არცერთი ამოცანა არ დააყენა დივიზიის წინაშე. მხოლოდ ვ.ძაბახიძის გადაწყვეტილებას დაეთანხმნენ, მაგრამ არავითარი მითითება არ მიუციათ იმის შესახებ თუ რა გაეკეთებინათ მომდევნო დღეებში, ვის დაკავშირებოდნენ და რა საშუალებით? დივიზიის სარდლობას თვითონ უნდა მოეძებნა გამოსავალი.

14 მაისს ღამით სოფელ ბოლშოი ბაბაჩკიში შედგა თათბირი.დივიზიის მეთაურმა პოლკოვნიკმა ვ.ძაბახიძემ თათბირზე განაცხადა, რომ 224-ე ქართული მსროლელი დივიზიის უკან არ აღმოჩნდნენ დივიზიები, რომლებიც დაეხმარებოდნენ დივიზიას მტრის ჯარების შეჩერება-განადგურებაშიო. ვერ მოხერხდა აგრეთვე არმიების შტაბებთან დაკავ-შირება. დივიზიამ მძიმე დანაკლისი განიცადა განუწყვეტელ ბრძოლებში და დარჩენილი ძალებით თავდაცვის ზღუდის შენარჩუნება შეუძლებელი ხდებოდა, ამიტომ ძაბახიძემ ბრძანა დივიზიის ნაწილებს უკან დაეხიათ განთიადისას და სხვა შენაერთებთან ერთად მოეწყოთ მტკიცე თავდაცვა. მართლაც დივიზიის ნაწილები ქერჩის სრუტისაკენ დაიძრნენ. ქვედანაყოფებმა ფეხით გაიარეს 12 კილომეტრი, მაგრამ ვერსად ვერ მოხერხდა მოგერიების ხაზის მოწყობა. არსად არ ჩანდნენ წითელი არმიის ნაწილები. ამ დროს ინტენდანტმა კ.ვაშაკიძემ და მოძრავი პურის საცხობის მეთაურმა დანელიამ დიდი წვალებით ნაშოვნი რამოდენიმე ტონა გამომცხვარი პური მოუტანეს რვა დღის მშიერ მებრძოლებს, საიდანღაც საბარგო ავტომანქანით გაჩნდა დივიზიის საარტილერიო მომარაგების ინტენდანტი ვანო

ერგემლიძე, რომელმაც არტილე-რისტებს ჰაუბიცის ყუმბარები მოუტანა.

დივიზიის მეთაურმა და კომისარმა შესვენება გამოიყენეს სამნახევარ კილომეტრზე გაჭიმული ნაწილის საბრძოლო განლაგების შესამოწმებლად. დივიზიის სამეთაურო პუნქტი, შტაბი და არტილერიის პოზიციები განლაგებული იყო აღმოსავლეთით. დასავლეთიდან და სამხრეთიდან ქართული დივიზია მოელოდა მტრის შემოტევას, ხოლო ჩრდილო-აღმოსავლეთით კი მდებარეობდა ერთადერთი შედარებით საიმედო მოკავშირე – აზოვის ზღვა.

დილით ნისლი რომ გაიფანტა, გარკვევით გამოჩნდა ახლომახლო ფერდობებზე გადმომდგარი გერმანელთა ტანკები, რომლებიც ქვემეხებიდან ცეცხლს უშენდნენ დივიზიის სამეთაურო პუნქტსა და მის მახლობლად მდგარ მსუბუქ ავტომანქანას. ქართველი არტილერისტები სწრაფად ჩაებნენ ბრძოლაში და ძლიერი ცეცხლი გახსნეს მტრის ტანკების წინააღმდეგ[27].

არტილერიის ცეცხლმა მწყობრიდან გამოიყვანა ფაშისტთა რამდენიმე ტანკი, მაგრამ ქართველი არტილერისტებს ჭურვები გამოელიათ. გერმანელი ჯარისკაცები შეეცადნენ ქვემეხების ხელში ჩაგდებას, მაგრამ არტილერისტებმა ისინი ააფეთქეს.

ფერდობებიდან ტანკების საფარქვეშ დივიზიის განლაგებას ცეცხლს უშენდა რამდენიმე ასეული გარმანელი მეავტომატე. მათი განადგურება განიზრახა დივიზიის პოლიტგანყოფილების უფროსმა ა.რამაზაშვილმა, რომელმაც შეაგროვა ერთი ასეული, მიწაზე გაწოლილებს გააცნო საბრძოლო ამოცანა და წინ გაუძღვა მათ. მამაცი კომისრის პირადი მაგალითით მებრძოლები მოკლე გადარბენებით მიუახლოვდნენ

გერმანელ მეავტომატეებს და შაშხანებისა და ხელის თყვიამფრქვევებით იწყეს მათი განადგურება. ა.რამაზაშვილი პირადად მიმიზნებით უშენდა მტერს ცეცხლს და ოცამდე ჰიტლერელი მოსპო. მტრის ტანკებმა და ნაღმტყორცნებმა, აგრეთვე მეავტომატეებმა უშიშარი კომისრის მეთაურობით შეტევაზე მიმავალ ასეულზე გადაიტანეს ცეცხლი. ზედიზედ ეცემოდნენ მიწაზე განგმირული ვაჟკაცები, მაგრამ მათ მაგიერ შურს იძიებდნენ დანარჩენები. მსხვერპლი დიდი იყო ორთავე მხარეს.

ფაშისტებმა შეამჩნიეს მამაცთა ასეულის ხელმძღვანელი ა.რამაზაშვილი და მას ავტომატების ცეცხლი დაუშინეს. კომისარი გულის არეში მძიმედ დაჭრილი დაეცა. იგი წითელარმიელმა შალვა ჯიქიამ წამოიკიდა და ხოხვით იქვე ახლოს მდებარე ბომბებისაგან ამოთხრილ ორმოში ჩაიყვანა. ა.რამაზაშვილი რამდენიმე ხნის შემდეგ გარდაიცვალა.

დივიზიის მესანგრეებს და მეავტომატეებს სათავეში ჩაუდგნენ ლეიტენანტები ბიჭიკო ძიძიგური, შალვა დადუნაშვილი და უფროსი პოლიტხელი ივანე გურგენაშვილი. ხელყუმბარების შეკრებითა და ცეცხლგამჩენი სითხით სავსე ბოთლებით მათ იერიში მიიტანეს შეტევაზე გადმოსულ ტანკებზე. მესანგრეების მიერ ჩაწყობილ ნაღმებზე ორი ტანკი აფეთქდა[28].

მტრის ძალები და ტექნიკა აშკარად სჭარბობდა ქართული ნაწილისას, რომლის გარშემო რკალი თანდათან ვიწროვდებოდა.

გერმანელები ფერდობებზე წამომდგარი ტანკებით, დახურულ პოზიციებზე მოთავსებული ქვემეხებითა და ნაღმტყორცნებით განუწყვეტლივ უშენდნენ ცეცხლს ტაფობში მომწყვდეულ 224-ე ქართული დივიზიის

ნაწილებს, გერმანელთა ავიაციას ხშირად მიჰქონდა იერიში დივიზიის ქვედანაყოფების სახელდახელოდ გათხრილ სანგრებზე.

ამ ბრძოლებში დაიღუპნენ დივიზიის არტილერიის უფროსი პოლკოვნიკი სიკო ტარიელაშვილი, დივიზიის პოლიტგანყოფილების უფროსის მოადგიელ ათასეულის კომისარი არონ თაფლიაშვილი, დივიზიის ათასეულის კომისარი ალექსანდრე გიორგაძე, 143-ე პოლკის პირველი ათასეულის კომისარი, უფროსი პოლიტხელი ვლადიმერ ყიფიანი, ამავე პოლკის პირველი ასეულის პოლიტხელი ვლადიმერ კაჭკაჭიშვილი, დივიზიის შტაბის სამნეო ნაწილის უფროსი ივანე სვანიძე და სხვები.

ეს სისხლისმღვრელი ბრძოლა შებინდებამდე გაგრძელდა. დივიზიის მეთაურმა და კომისარმა გადაწყვიტეს 143-ე პოლკის პირველი ათასეულით შეეკევებინათ მტრის წინსვლა, ხოლო დივიზიის დანარჩენი ქვეგანაყოფების მეშვეობით იერიში მიეტანათ ტარხანის ფერმის მიმართულებით, გაერღვიათ მოწინააღმდეგის რკალი და დაეკავებინათ ტარხანის კონცხის სამხრეთით მდებარე უსახელო მაღლობები. ამ ოპერაციის წარმატების შემთხვევაში დივიზია გარემოცვიდან გამოვიდოდა და თავს იხსნიდა მტრის მარწუხებისაგან.

იერიშის მიტანისა და რკალის გარღვევის ოპერაციების ხელმძღვანელობა დაევალა 143-ე პოლკის მეთაურს მაიორ დ.ნიჟარაძეს.

გერმანელებმა მოიგერიეს ქართველი მებრძოლების რამდენიმე იერიში, მაგრამ გაფთრებული შეტევებისა და მეტად დიდი მსხვერპლის შედეგად დივიზიის ნაშთები გარემოცვიდან გამოვიდნენ. 143-ე პოლკის პირველმა ათასეულმა, რომელიც 224-ე დივიზიის ზურგს იცავდა

მტრისგან, ვერ გაუძლო მოწინააღმდეგის დაწოლას, და უკან დახევა იწყო. შეიქმნა მეტად კრიტკული მდგომარეობა, რაც მთელ დივიზიას გაანადგურებას უქადდა[29].

შექმნილი მდგომარეობის გამოსწორების მიზნით, მაიორი დ.ნიჟარაძე მტრის შესაკავებლად გარღვევიდან გამოყვანილი ქვედანაყოფებით უკან შემობრუნდა და კონტრიერიშზე გადავიდა, ამით ხელი შეუწყო გარემოცვიდან დანარჩენი მებრძოლების გამოსვლას.

კონტრიერიშით გერმანელები უკუაგდეს, მაგრამ ხელჩართულ ბრძოლებში მაიორი დ.ნიჟარაძე ჯერ მსუბუქად დაიჭრა თავში, ხოლო შემდეგ მძიმედ – მარცხენა ფეხში.

გარემოცვიდან ცოტა ხნის წინათ გამოსული ქართველი დივიზიის ნაშთები პირისპირ შეეჩეხნენ მტრის ქვედანაყოფებს. გამოირკვა, რომ ახლომახლო სოფლების კატერლეზისა და ბულგანაკის მიდამოებში მყოფი 224-ე დივიზია კვლავ მტრის გარემოცვაში იყო მოქცეული. ხანმოკლე თათბირის შემდეგ გადაწყდა: გვიან ღამით, როდესაც გერმანელებს 224-ე დივიზიის მეომრების თავდასხმის მოლოდინი არ ექნებოდა, კიდევ ერთხელ მოეხდინათ გარემოცვიდან გამოსვლის ცდა.

უკუნეთ სიბნელეში დივიზიის მთელი შემადგენლობიდან გადარჩენილი ათასამდე მეთაური და ჯარისკაცი რამდენიმე ჯგუფად დაიყო. მათ ბრძოლებით ცალ-ცალკე სხვადასხვა მიმართულებით უნდა გაერღვიათ გარემოცვა და გასულიყვნენ აზოვის ზღვის ნაპირზე სოფელ მამა რუსკაიას მახლობლად მდებარე ზიუკის კონცხთან და ენი-კალესთან.

მებრძოლთა ერთ ჯგუფს სათავეში ჩაუდგა დივიზიის მეთაური ვ.ძაბახაძე, სხვა ჯგუფებს დივიზიის სამხედრო

კომისარი ო.მუსერიძე, დივიზიის შტაბის კომისარი გ.ოკრიბელაშვილი, დივიზიის მეთაურის მოადგილე ი.ქანთარია, პოლიტგან-ყოფილების ინსტრუქტორი ე.მაისურაძე. მათ ღამით მძიმე დანაკარგებით გაარღვიეს მტრის ალყა და 16 მაისს გავიდნენ აზოვის ზღვის ნაპირზე. ამ ბრძოლებში გმირულად დაიღუპნენ დივიზიის შტაბის უფროსი პოდპოლკოვნიკი ტ.ურთქმელიძე, 143-ე პოლკის კომისარი მ.ფალავანდიშვილი, სამედიცინო-სანიტარული ბატალიონის კომისარი ე.ცეცხლაძე, უფროსი ლეიტენანტი ი.ქურდაძე, პოლიტხელები ვ.ჯიქიძე, ი.მორგოშია და სხვა.

მებრძოლთა და მეთაურთა ერთი ჯგუფი, რომელიც თავის რიგებში 280 კაცს ითვლიდა, ქერჩის სამხრეთ-აღმოსავლეთით გარემოცვიდან ენი-კალეს მიდამოებში გამოვიდა. დივიზიის შტაბის კომისარმა, უფროსმა ათასეულის კომისარმა გ.ოკრიბაშვილმა მონახა ყირიმის ფრონტის სარდალი გერმანელ-ლეიტენანტი დ.კოზლოვი და გამოეცხადა მას. გენერალმა ის გაზავნა 51-ე არმიის შტაბის უფროსთან, რომელმაც გარემოცვიდან გამოსული ქართული დივიზიის ნაშთები ვოიკოვის სახელობის ქარხნის აღმოსავლეთით გაგზავნა ჰიტლერელების შეტევის შესაჩერებლად, სადაც ორი დღე გრძელდებოდა მძიმე ბრძოლები მტრის წინააღმდეგ.

ასევე შეუპოვარი ბრძოლების გამართვა მოუხდა გერმანელებთან გარემოცვიდან გამოსულ მეორე ჯგუფს, რომელსაც უფროსი პოლიტხელი ალექსანდრე გომიაშვილი მეთაურობდა. მისმა მებრძოლებმა ენი-კალესთან უკან დაახევინეს მტერს.

17 მაისს საღამოს დივიზიის მებრძოლები ბარჟებითა და კატარღებით ტამანის ნახევარკუნ-ძულზე გადაიყვანეს.

ქართულმა დივიზიამ თავის არსებობის მანძილზე დიდი და საგმირო ბრძოლები გადაიტანა. 1942 წლის

მაისის ბრძოლებში 224-ე დივიზიამ დაკარგა თავისი პირადი შემადგენლობის დიდი ნაწილი. მან და ყირიმის ფრონტის ზოგიერთმა სხვა ნაწილმა ფრონტის სარდლობის გამო დიდი ზარალი განიცადა. მრავალმა ქართველმა ვაჟკაცმა ყირიმის მიწაზე ნახა სამარე. მათ დიდი ზარალი მიაყენეს ვერაგ მტერს და სასახელო ფურცლები ჩაწერეს დიდი სამამულო ომის ისტორიაში და ამით უკვდავჰყვეს თავიანთი სახელი[30].

1942 წელს ქერჩის ნახევარკუნძულის ტრაგედიის დროს ფრონტის სხვა ნაწილებთან ერთად 224-ე ქართული მსროლელი დივიზიის მეომრების უმრავლესობამ გმირულად გაწირა თავი ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში[31].

224-ე დივიზიის მებრძოლებისა და მეთაურების ერთი ნაწილი ჩაირიცხა 414-ე ქართული მსროლელი დივიზიის შემადგენლობაში. ამ დივიზიას ყირიმში დესანტად გადასვლისას მეთაურობდა 224-ე ქართული მსროლელი დივიზიის ყოფილი მეთაური გენერალ-მაიორი ვ.ძაბახიძე. 414-ე დივიზიამ მედგარი ბრძოლებით დიდი ზარალი მიაყენა გერმანელ ოკუპანტებს, გაანთავისუფლა შავი ზღვის პირას განლაგებული ქალაქები და სოფლები, მათ შორის ქ.ანაპა, დესანტად გადავიდა ქერჩის ნახევარკუნძულზე. შეუპოვარი ბრძოლებით გაიარა 224-ე დივიზიის საბრძოლო გზა და საბჭოთა არმიის სხვა ნაწილებთან ურთიერთმოქმედებით გაათავისუფლა გმირი ქალაქი სევასტოპოლი[32].

აჯიმუშკაის კატაკომბებში 414-ე დივიზიის მებ-რძოლებმა აღმოაჩინეს 1942 წლის მაისში მომხდარი საშინელი ბრძოლების კვალი, რომელიც აღწერილია პოლკოვნიკ ლ.გოგატიშვილის, მაიორ ა.კოკილაშვილის კოლექტიური მოგონებებსა და ე.კუპატაძის,

ა.მათიაშვილისა და კ.ცქიტიშვილის კოლექტიურ ნაშრომში.

ყირიმის ფრონტზე საბჭოთა ჯარების დამარცხება 1942 წლის გაზაფხულის მძიმე მოვლენა იყო. მან უაღრესად გაართულასევასტოპოლის მდგომარეობა და საბოლოო ანგარიშით შეუძლებელი გახადა ამ დიდმნიშვნელოვანი ბაზის შენარჩუნება.

ქერჩის ნახევარკუნძულზე განცდილი მარცხი, ყირიმის ფრონტის სარდლობისა და მთავარბანაკის წარმომაგდენლის ლ.ზ.მეხლისის უხეში შეცდომები, უდისციპლინობა და უნიათობა მთავარბანაკის მიერ დეტალური შესწავლის საგანი გახდა.[33]

ლ.მეხლისის მცდელობას – თავი დაეღწია პირადი პასუხისმგებლობისათვის, უმაღლესი მთავარსარდლის ი.სტალინის სამართლიანი გულისწყრომა გამოიწვია. იგი ლ.მეხლისისათვის გაგზავნილ დეპეშაში წერდა: “თქვენ გარეშე მეთვალყურის უცნაური პოზიცია გიკავიათ, რომელიც პასუხს არ აგებს ყირიმის ფრონტის ამბებისათვის. ეს პოზიცია ძალიან მოხერხებულია, მაგრამ მთლიანად დამპალია. ყირიმის ფრონტზე თქვენ გარეშე მეთვალყურე კი არა, მთავარბანაკის პასუხისმგებელი წარმომადგენელი ხართ, რომელიც პასუხს აგებს ფრონტის ყველა წარმატებისა თუ წარუმატებლობისათვის და მოვალეა ადგილზე გამოასწოროს სარდლობის შეცდომები. თქვენ სარდლობასთან ერთად პასუხს აგებთ იმისათვის, რომ ფრონტის მარცხენა ფლანგი ძალზე სუსტი აღმოჩნდა.”

შემდეგ, მკაცრად აკრიტიკებს რა მთავარბანაკის წარმომადგენლის უნიათო მოქმედებას, ი.სტალინი განაგრძობს: “თქვენ რომ საჰაერო ავიაცია გამოგეყენებინათ სხვა საქმეებისათვის კი არა, არამედ მოწინააღმდეგის ტანკებისა და ცოცხალი ძალის წინააღმდეგ,

მოწინააღმდეგე ვერ გაარღვევდა ფრონტს და ტანკები ვერ გავიდოდნენ. არ არის საჭირო ჰინდერბურგი იყო, რომ გაიგო ასეთი მარტივი რამ, როცა ორ თვეს ზიხარ ყირიმის ფრონტზე."[34]

ქერჩის ოპერაციების წარუმატებლობისათვის პირდაპირ დამნაშავეებად იქნენ მიჩნეული ყირიმის ფრონტის სარდლობა და არმიების სარდლები. უმაღლესმა მთავარსარდლობამ მოხსნა ლ.მეხლისი თავდაცვის სახალხო კომისრის მოადგილისა და წითელი არმიის მთავარი პოლიტიკური სამმართველოს უფროსის თანამდებობიდან და სამხედრო წოდებით კორპუსის კომისრამდე ჩამოაქვეითა.

ფრონტის სარდალი დ.კოზლოვი და სამხედრო საბჭოს წევრი ფ.შამანინი მოხსნეს დაკავებული თანამდებობიდან და სამხედრო წოდებით ჩამოქვეით-დნენ. ფრონტის შტაბის უფროსი გენერალ-მაიორი პ.ვეჩნი დაკავებული თანამდებობიდან გაანთავისუფლეს[35].

საქართველოს ეროვნული შენაერთებიდან ერთ-ერთი პირველი შეიქმნა 224-ე ქართული მსროლელი დივიზია, რომელიც გერმანელი და ფაშისტების წინააღმდეგ ბრძოლაში ჯერ კიდევ 1941 წლიდან მონაწილეობდა.

224-ე ქართული მსროლელი დივიზიის სარდლობამ და პირადმა შემადგენლობამ ქერჩ-ფეოდოსიის სადესანტო ოპერაციაში 1941 წლის ბოლოს დიდი სიმტკიცე, შეუპოვრობა და გმირობა გამოიჩინა. მან სასტიკი დარტყმები აგემეს მტერს და საბრძოლო ტექნიკისა და პირადი შემადგენლობის მხრივ საგრძნობი ზიანი მიაყენეს.

ყირიმის ფრონტის მიერ დაშვებული საბედისწერო შეცდომების შედეგად 1942 წლის აპრილისა და მაისში 224-ე ქართული მსროლელი დივიზია საბრძოლო ტექნიკისა და რიცხობრივი უპირატესობის მქონე მტრის ჭარბი ძალების

გარემოცვაში აღმოჩნდა. მეტად კრიტიკული, გამოუვალი მდგომარეობის მიუხედავად, შენაერთის ჯარისკაცებმა, სერჟანტებმა და ოფიცრებმა გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებს სასტიკი დარტყმები აგემეს, აჩვენეს მასობრივი გმირობა და თავდადება სამშობლოსათვის ბრძოლაში, რომლის დროსაც დივიზიის პირადი შემადგენლობის დიდი ნაწილი გმირული სიკვდილით დაეცა ბრძოლის ველზე.

224-ე ქართული მსროლელი დივიზიის უთანასწორო და გმირული ბრძოლები არა მარტო ტრაგიკული, არამედ ერთ-ერთი საყურადღებო ფურცელია ქართველი ხალხის სამხედრო ისტორიაში, რაგდან ხსენებული დივიზიის მებრძოლებისა და მეთაურების გმირობა სახელოვანი საბრძოლო ტრადიციებით იყო ნასაზრდოები. ყირიმის ნახევარკუნძულზე უკანდახევისას მათ სწამდათ, რომ თავგანწირული ბრძოლებით ისინი თავიანთ სამშობლოს, საქართველოს იცავდნენ გერმანელ-ფაშისტთა ოკუპაციისაგან.

§ 2. 388-ე მსროლელი დივიზია ყირიმისათვის ბრძოლებში.

1941 წლის 25 აგვისტოს დაიწყო 388-ე მსროლელი დივიზიის ჩამოყალიბება. დივიზიის დისლოკაციის ადგილად ქ.ქუთაისი განისაზღვრა. დივიზიის მეთაურად დაინიშნა პოდპოლკოვნიკი ოვსიენკო, რომელმაც თავი გამოიჩინა, როგორც მაღალი კულტურის მქონე ინიციატივნიანმა და მომთხოვნელმა მეთაურმა. მან შეძლო

განსაზღვრულ ვადაში დივიზია საბრძოლო მოქმედებისათვის მოემზადებინა[36].

388-ე მსროლელი დივიზიის შემადგენლობაში შედიოდა: 773-ე, 778-ე და 782-ე მსროლელი პოლკები, 953-ე საარტილერიო პოლკი, 671-ე ცალკე მესანგრეთა ბატალიონი, 675-ე ნაღმტყორცნელთა დივიზიონი, 841-ე ცალკე მეკავშირეთა ბატალიონი, ცალკე სამედიცინო-სანიტარული ბატალიონი და სხვა სპეცქვედანაყოფები.

338-ე მსროლელი დივიზიის შტაბის 1941 წლის 4 დეკემბერის განარგულებით 782-ე მსროლელ პოლკს ევალებოდა 5 დეკემბერს დილის 6 საათისათვის სრულ საბრძოლო მზადყოფნაში ყოფილიყო წულუკიძე-სამტრედიის მარშრუტის გასავლელად.

პირველი ეშელონი (სამგზავრო)(1500 კაცზე) მსროლელი პოლკისათვის იყო განკუთვნილი. მეორე ეშელონიც ასევე 1500 კაცზე იყო გათვალისწინებული იმავე 773-ე მსროლელი პოლკისათვის. მესამე (1500კაცზე) და მეოთხე ეშელონები (1300 კაცზე) განკუთვნილი იყო 782-ე მსროლელი პოლკისათვის (სამტრედიიდან). მეხუთე ეშელონი 1500 კაცზე გამოყოფილი იყო 953-ე საარტილერიო პოლკისათვის. დანარჩენი ხუთი სატვირთო ეშელონი გათვალისწინებული იყო ცხენების გადასაყვანად.

1941 წლის 13 დეკემბერს 388-ე მსროლელი დივიზია ქ. სევასტოპოლში შევიდა და ზღვისპირეთის არმიას დაუქვემდებარდა. დივიზიის ნაწილებში ასე განლაგდნენ: დივიზიის შტაბი და 782-ე მსროლელი პოლკი ინკერმანში განლაგდა, 773-ე მსროლელი პოლკი – ბერტენკაში, 778-ე მსროლელი პოლკი – ჩუკუევკას ჩრდილოეთ ნაწილში, 953-ე საარტილერიო პოლკი მეკენზიევის მთების საგუშაგოზე, 671-ე ცალკე მესანგრეთა ბატალიონი, 841-ე ცალკე საზენიტო-საარტილერიო დევიზიონი, 452-ე მზვერავთა

ცალკე ასეული, 468-ე ქიმიური დაცვის ცალკე ასეული დაბანაკებული იყვნენ ინკერმანში, ხოლო 475-ე ცალკე სამედიცინო-სანიტარული ბატალიონი, 505-ე ავტოსატრანსპორტო ასეული და 240-ე საველე პურსაცხობი განლაგებული იყვნენ სადგური ინკერმანში.

1941 წლის 16 დეკემბერს დღის ბილოს 388-ე მსროლელი დივიზიის ნაწილები ასეთნაირად იყვნენ განლაგებული: 773-ე მსროლელი პოლკი ბუდიონოვკის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში იდგა. 782-ე მსროლელი პოლკის დივიზიონის ცალკეული ნაწილები კვლავ ინკერმანში რჩებოდნენ. 953-ე საარტილერიო პოლკის პირველი ბატალიონი 190.1 სიმაღლის რაიონში იმყოფებოდა, პოლკის დანარჩენი ქვედანაყოფები კი მეკენზიევის მთების საგუშაგოზე.

17 დეკემბერს საბრძოლო მოქმედების დაწყების წინ 388-ე სროლელი დივიზიის განკარგულებაში იყო შაშხანის ვაზნებისა და საარტილერიო გასროლისათვის საჭირო ორი საბრძოლო კომპლექტი, ავტოტრნსპორტის 43%, ცხენების 35%, კავშირის საშუალებების 20%, უფროს და საშუალო მეთაურთა შემადგენლობა – 854 კაცი, უმცროს და რიგითთა შემადგენლობის 3968 კაცი[37].

ათი დღის ბრძოლებში 17-დან 27 დეკემბრის განმავლობაში დივიზიამ პირადი შემადგენლობის დიდი დანაკლისი განიცადა. კერძოდ, საშუალო და უფროს მეთაურთა შემადგენლობიდან (773-ე მსროლელი პოლკის გარდა) დაღუპულთა, დაჭრილთა და უგზოუკვლოდ დაკარგულებმა 149 კაცი შეადგინა, ხოლო უმცროს და რიგითთა შემადგენლობიდან – 3778 კაცი. 773-ე მსროლელ პოლკში დაიღუპა, დაიჭრა და უგზოუკვლოდ დაიკარგა 2525 კაცი. დივიზიაში მთლიანად დანაკარგმა 6452 კაცს მიაღწია. ამავე პერიოდში დანაკარგი შეიარაღებაში ასეთ

სურათს იძლევა: 12 76 მმ-იანი ქვემეხი, ერთი 122 მმ-იანი ქვემეხი, ხუთი 45 მმ-იანი ქვემეხი, 47 დაზგის და 113 ხელის ტყვიამფრქვევი, 112 50 მმ-იანი ნაღმსატყორცნი, 5210 შაშხანა, 8 კავშირგაბმულობის საშუალება, 68 ტელეფონის აპარატი და 86 კმ სიგრძის მავთული. 17-27 დეკემბრის პერიოდში დივიზიას შევსება არ მიუღია[38]. დივიზიის საბრძოლო მოქმედება ასე განვითარდა:

ღამით 17-დან 18 დეკემბერს 388-ე მსროლელი დივიზიის ნაწილებმა დანიშნული რაიონისაკენ დაიწყეს წინსვლა და 18 დეკემბერს დილით შემდეგ პოზიციებზე განლაგდნენ: 773-ე მსროლელი პოლკი 95-ე მსროლელი დივიზიის მეთაურის განკარგუ-ლებაში გადავიდა. 778-ე მსროლელმა პოლკმა ორი ბატალიონით თავდაცვა დაიკავა არტელ "ნამგალსა და ურის" ტერიტორიაზე. მესამე ბატალიონი 25-ე მსროლელი დივიზიის მეთაურის განკარგულებაში გადავიდა. 792-ე მსროლელი პოლკი ციგანსკაია ბალკას და სიმაღლეზე განლაგდა. 953-ე საარტილე-რიო პოლკის ერთი დივიზიონი სევასტოპოლის თავ-დაცვითი რაიონის მე-4 სექტორის უფროსის გან-კარგულებაში გადავიდა. დანარჩენი ორი დივიზიონი და ნაღმტყორცნელთა დივიზიონი 778-ე მსროლელი პოლკის განლაგების რაიონში იმყოფებოდნენ.

18 დეკემბერს დღის ბოლოს ბრძოლების შედეგად 778-ე მსროლელი პოლკის ორი ბატალიონი მტკიცედ ფლობდნენ თავდაცვის პოზიციებს არტელ "ნამგალი და ურის" ტერიტორიაზე. 782-ე მსროლელი პოლკი ციგანსკაია ბალკას მიდამოებში დარჩა. 953-ე საარტილერიო პოლკის ერთო დივიზიონი 190.1 სიმაღლეზე იყო განლაგებული, ხოლო მეორე და ნაღმტყორცნელთა დივიზიონები 778-ე მსროლელი პოლკის განლაგების რაიონში იმყოფებოდნენ.

19 დეკემბერს მთელი დღის განმავლობაში 778-ე მსროლელმა პოლკმა მოწინააღმდეგის ყველა იერიში მოიგერია და დაკავებული პოზიციები შეინარჩუნა. 782-ე მსროლელმა პოლკმა ორი ბატალიონით თავდაცვისათვის დაიკავა ზღუდეები. ამ პოლკის ერთი ბატალიონი მეკენზია №1-ის კორდონში იმყოფებოდა.[39]

20 დეკემბერს დღისით და ღამით 21 დეკემბერს 388-ე მსროლელი დივიზიის ნაწილები ცვალებადი წარმატებით იბრძოდნენ. 778-ე მსროლელმა პოლკმა ყველა თავის რეზერვი ჩააბა ბრძოლაში. იმავე დღეს 953-ე საარტილერიო პოლკის ორი ბატარეა 90-ე მსროლელი პოლკის ჯგუფში ჩართეს. 778-ე მსროლელი პოლკი 782-ე მსროლელი პოლკის ბატალიონებით გააძლიერეს, რომელიც 21 დეკემბერს დილით შეტევაზე გადავიდა 90.0 სიმაღლის მიმართულებით. მთელი დღის განმავლობაში აღნიშ-ნული სიმაღლე 4-ჯერ გადავიდა ხელიდან ხელში. დღის ბოლოს, როდესაც პოლკმა დიდი დანაკარგი განიცადა, იძულებული გახდა 90.0 სიმაღლე დაეტოვებინა. 22 დეკემბერს გერმანელთა ზეწოლის შედეგად დივიზიის ნაწილებმა ხელმძღვანელ მეთაურთა დაკარგვის შემდეგ პოლკმა უწესრიგოდ დაიხია სადგურ მეკენზიევის მთებისა და ბელბეკის ზღუდეზე, საიდანაც არმიის სარდლის გადაწ-ყვეტილებით 23 დეკემბერს პოლკი გამოყვანილი იქნა ბრძოლიდან ინკერმანის რაიონში, რათა წესრიგში მოეყვანა თავი[40].

აღსანიშნავია, რომ გერმანელები ყველა სახის დაზვერვას საუცხოოდ წარმართავდნენ. ყოველი შეტევის წინ ისინი საგულდაგულოდ ამზადებდნენ ჯარებს, ახდენდნენ მათ ურთიერთმოქმედებას, რასაც ისინი ერთ დღე-ღამეს ზოგჯერ კი მეტსაც ანდომებდნენ ხოლმე. ფაშისტთა დაზვერვა გულმოდგინედ ადგენდა ქვეითების

თავმოყრის რაიონს, შტაბების ადგილსამყოფელს, არტილერიისა და ნაღმსატყორ-ცნების საყრდენ პუნქტებს. დაზვერვის ჩატარების მომენტში მოწინააღმდეგე საავიაციო თავდასხმებს მიმართავდა. ამასთანავე მეავტომატეთა მცირერიცხოვან ჯგუფებს გზავნიდა, რომელთა მიზანს შეადგენდა მეთაურთა შემადგენლობის მწყობრიდან გამოიყვანა და ისეთი შთაბეჭდილების შექმნა, რომ თითქოს ალყაში მოქცეული ყოფილიყოს ესა თუ ის ნაწილი. მტერი განსაკუთრებული გულმოდგინებით ამზადებდა და იყენებდა ცეცხლს.

შეტევის მომენტში მოწინააღმდეგე ძირითადად ცდილობდა მეავტომატეებით შეჭრილიყო საბჭოთა ჯარების თავდაცვის სიღრმეში, განსაკუთრებით კი შესაყარზე. შეფერხების შემთხვევაში ჰიტლერელები სასიგნალო რაკეტებით ნაღმტყორცნელთა ცეცხლს მოუხმობდნენ.

მოწინააღმდეგის მეავტომატეთა ჯგუფების მოქმედება დიდი გამძლეობით არ გამოირჩეოდა, მაგრამ როგორც წესი მანევრულ ხასიათს ატარებდა.

შეტევის პერიოდში გერმანელთა არტილერია უმეტესად ცეცხლს უშენდა არტილერიის საცეცხლე პოზიციებსა და ზურგს.

საბჭოთა არმიის ნაწილების მოქმედებისას შეინიშნებოდა, რომ: მეტად მცირე დრო ეთმობოდა, ანდა საერთოდ არ ხდებოდა მტრის განლაგების დაზვერვა, სათანადო დონეზე არ იდგა ქვეითებისა და არტილერიის ურთიერთმოქმედება.

ნაწილების მოქმედების უწყვეტი ინფორმაციის პროცესს შტაბები სათანადო ყურადღებას არ უთმობდნენ. არტილერიის საბრძოლო რიგები ქვეითებისაგან დაცული არ იყო. რაკეტებისა და სარაკეტეების უქონლობა საჭირო

მიმართულებით საარტილერიო ცეცხლის გამოძახების შესაძლებლობას არ იძლეოდა. საარტილერიო ცეცხლი არა მასირებულად წარმოებდა, რის გამოც მტრის საცეცხლე წერტები მოქმედებას განაგრძობდნენ.[41]

388-ე მსროლელი დივიზიის სარდლობა დიდ ყურადღებას უთმობდა მტრის ტანკების წინააღმდეგ ბრძოლას. ამ მიზნით დივიზიის მეთაურის ბრძანებით ყველა ნაწილში უნდა შექმნილიყო ტანკების გამანად-გურებელი ჯგუფები, რომლებიც გამოიყენებდნენ ტანკსაწინააღმდეგო ნაღმებსა და ფუგასებს.

ტანკების გამანადგურებელი ჯგუფების შედგენა ძირითადად უნდა მომხდარიყო 778-ე და 782-ე მსროლელ პოლკებში, რომელთა მესანგრეთა ასეულებს მთლიანად გამოიყენებდნენ. მათ დაემატებოდა მოხალისეები შეზღუდვის გარეშე.

ტანკების გამანადგურებელი ჯგუფის შესაქმნელად ასევე მთლიანად უნდა გამოეყენებინათ 671-ე ცალკე მესანგრეთა ბატალიონი, დივიზიის გადამღობი რაზმი, 953-ე საარტილერიო პოლკი და ნაღმტყორ-ცნელთა დივიზიონი. ტანკების გამანადგურებელ თითოეულ ჯგუფში 30კაცი უნდა ყოფილიყო.

გადამღობი რაზმები უნდა შეიარაღებინათ და სრულ საბრძოლო მზადყოფნაში მოეყვანათ. დივიზიის საინჟინრო და ქიმიური სამსახურის უფროსებს შენაერთი უნდა უზრუნველეყოთ საჭირო რაოდენობის ტანკსაწინააღმდეგო ნაღმებით, ხელყუმბარებით და აალებად სითხიანი ბოთლებით[42].

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 388-ე მსროლელმა დივიზიამ პირველსამე ბრძოლებში 1941 წლის 17 დეკემბერიდან 27 დეკემბრამდე ცოცხალი ძალისა და შეიარაღების მხრივ დიდი დანაკლისი განიცადა. 26

დეკემბრისათვის შენაერთის ნაწილებსა და ქვედანა-ყოფებში ასეთი მდგომარეობა იყო: 782-ე მსროლელ პოლკში ითვლებოდა მსროლელთა ორი ბატალიონი 534 კაცის რაოდენობით, ნაღმტყორცნელთა ერთი ბატალიონი 167 კაცის რაოდენობით. პოლკის შეიარაღებაში იყო 930 შაშხანა, დაზგის 2 ტყვიამფრქვევი, ხელის 3 ტყვიამფრქვევი[43].

საშტატო განრიგის მიხედვით პოლკს აკლდა 1674 კაცი, 1398 შაშხანა, 34 დაზგისა და ხელის 51 ტყვიამფრქვევი, ნაღმსატყორცნები, 6 საზენიტო ტყვიამფრქვევი, 3 მსხვილყალიბიანი ტყვიამფრქვევი, 5 რადიოსადგური და 472 ცხენი.

778-ე მსროლელ პოლკში იყო მსროლელთა ერთი ბატალიონი 216 კაცის რაოდენობით, ხოლო შეიარაღებაში კი ჰქონდათ: 216 შაშხანა, ხელის 3 ტყვიამფრქვევი, ნაღმსატყორცნი და ქვემეხი.

საშტატო განრიგის მიხედვით 778-ე პოლკს აკლდა: 1946 კაცი, 1504 შაშხანა, 36 დაზგისა და 51 ხელის ტყვიამფრქვევი, 24 82 მმ-იანი ნაღმსატყორცნი 22 50 მმ-იანი ნაღმსატყორცნი, ქვემეხები, 6 საზენიტო ტყვიამფრქვევი, 3 მსხვლილკალიბრიანი ტყვიამფრქვევი, 3 ავტომანქანა, 3 რადიოსადგური და 445 ცხენი.

953-ე საარტილერიო პოლკს ჰყავდა მხოლოდ 753 კაცი. 188 ცხენი და 2 ავტომანქანა. მწყობრიდან იყო გამოსული 3 ქვემეხი და ერთი ჰაუბიცა.

ნაღმტყორცნთა დივიზიონში იყო 94 კაცი, 93 შაშხანა, და 2 ნაღმსატყორცნი.

ნაღმტყორცნელთა დივიზიონს არ ჰყოფნიდა 10 კმ სიგრძის მავთული, 12 ცალი ტელეფონის აპარატი და 3 ცალი ბუსოლეი.

841-ე მეკავშირეთა ცალკე ბატალიონში იყო 183 კაცი, რომელთაგან შაშხანებით შეიარაღებული იყო 147 კაცი, ბატალიონს არ ჰყოფნიდა 70 კმ სიგრძის მავთული, ერთი ინდუქტორ კომუტატორი, 14 ცხენი, 17 ავტომანქანა, 50 ცალი ტელეფონის აპარატი, 3 მოტოციკლი, 16 სახაზინო ჩანთა და 120 კოჭა.

505-ე ავტოასეულში იყო 91 კაცი, აკლდა 70 ავტომანქანა. ქიმიური დაცვის ასეულში იყო 37 კაცი შაშხანებით შეიარაღებული. ასეულს არ ჰყოფნიდა 5 სპეცავტომანქანა, 10 ცხენი და 3 მოტოციკლეტი.

671-ე ცალკე მესანგრეთა ბატალიონში შაშხანებით შეიარაღებული 210 კაცი იყო. ბატალიონს არ ჰყოფნიდა 70 ცხენი.

240-ე საველე პურსაცხობი 36 კაცს ითვლიდა. აგრეგატები კი არ გააჩნდა. მზვერავთა ასეულში 20 კაცი იყო. ასეულს არ ჰყოფნიდა 9 ავტომანქანა. 677-ე ცალკე საზენიტო-საარტილერიო დივიზიონში 159 კაცი იყო. დივიზიონს 23 ავტომანქანა აკლდა.[44]

როგორც ვხედავთ, დივიზიის ნაწილები და ქვედანაყოფები მწვავე საჭიროებას განიცდიდნენ პირადი შემადგენლობისა და შეიარაღების დაკომპლექტების მხრივ.

1941 წლის 29 დეკემბერს 782-ე მსროლელმა პოლკმა თავდაცვითი ზღუდე დაიკავა ხუტორ რიბაკოვის ჩრდილოეთით 0.5 კმ-ზე. მას არ შეუცვლია თავდაცვაზე იქ მყოფი ნაწილები, რადგანაც ამის თაობაზე სათანადო შეთანხმება არ ჰქონდა პირველი სექტორის შტაბთან.

671-ე ცალკე მესანგრეთა ბატალიონი 30 დეკემბერს ღამით ბალაკლავას დასავლეთ ნაწილში გადაიყვანეს. 782-ე მსროლელი პოლკის მე-3 ბატალიონი – 70.4 სიმაღლის აღმოსავლეთ კალთებზე, 671-ე ცალკე მესანგრეთა

ბატალიონი კარანში დივიზიის მეთაურის რეზერვში გადავიდა.

773-ე და 778-ე მსროლელი პოლკები შესაბამისად 172-ე და 95-ე მსროლელი დივიზიების დაქვემდებარებაში რჩებოდნენ[45].

31 დეკემბრისათვის 388-ე მსროლელი დივიზიის ნაწილები კვლავ წინანდელ პოზიციებზე იმყოფებოდ-ნენ. 782-ე მსროლელი პოლკისა და 671-ემესანგრეთა ცალკე ბატალიონის ამოცანას შეადგენდა ის, რომ სათანადო ბრძანების შესაბამისად დაეკავებინა და თავდაცვა მოეწყო ბალაკლავასა და კადაკოვკას რაიონებში. ამასთანავე მზად უნდა ყოფილიყო განსაკუთრებული ბრძანების შესაბამისად შეეცვალა მე-2 მსროლელი დივიზია და დაეცვა პირველი სექტორი.

172-ე მსროლელი დივიზიის დაქვემდებარებაში მყოფ 778-ე მსროლელი პოლკის მე-2 ბატალიონს თავდაცვა ეკავა ფედიუკინის სიმაღლის აღმოსავლეთ კალთებზე, ხოლო მე-3 ბატალიონი კორდონ მეკენზი სამხრეთით იყო განლაგებული.

ნაღმტყორცნელთა დივიზიონის საცეცხლე პოზიციები დოედიუკინის სიმაღლის აღმოსავლეთიდან 1 კმ-ით იყო დაშორებული[46].

1941 წლის 31 დეკემბერს 953-ე საარტილერიო პოლკის საცეცხლე პოზიციები მე-4 სექტორის რაიონში იყო განლაგებული. პოლკს მხარს უჭერდა 79-ე ბრიგადა. ცალკე საარტილერიო-საზენიტო დივიზიონი 25-ე მსროლელი დივიზიის მეთაურის განკარგულებაში იმყოფებოდა. 773-ე მსროლელი პოლკი იდგა ბალკა სუხარნაიაში.

1942წლის 1 იანვარს 25-ე მსროლელი დივიზიის მეთაურის განკარგულებაში მყოფი 778-ე მსროლელი

პოლკის ერთი ბატალიონი დასავლეთ რაიონში გადაიყვანეს, სადაც მოწინავე ხაზზე ჩაება ბრძოლა-ში.

2 იანვარს შენაერთის ნაწილებს პოზიციები არ შეუცვლიათ. 773-ე მსროლელი პოლკი სუხარნაია ბალკას რაიონიდან ხუტორ ნიკოლაევკას რაიონში გადაიყვანეს. 782-ე მსროლელი პოლკი თავდაცვითი ნაგებობების მშენებლობის სრულყოფას განაგრძობდა.

3 იანვარს 773-ე მსროლელი პოლკის ქვედანაყო-ფებმა მთლიანად მოიყარეს თავი ხუტორ ნიკოლაევკას რაიონში. ღამით 4 იანვარს 782-ე მსროლელი პოლკის მიერ ორგანიზებულმა დაზვერვამ, რომელიც მიზნად ისახავდა მოწინააღმდეგის თავდაცვის მოწინავე ხაზის დაზვერვას ამოცანა ვერ შეასრულა. მზვერავთა რაზმი ჰიტლერელთა ნაღმტყორცნებსა და ტყვიამფრქვევების ძლიერმა ცეცხლმა შეაჩერა და მხოლოდ განთიადისას დაბრუნდა უკან დანკარგის გარეშე[47].

4 იანვარს 388-ე მსროლელი დივიზიის ნაწილები კვლავ წინანდელ პოზიციებზე იმყოფებოდნენ. საღამოს 773-ე, 778-ე და 782-ე მსროლელმა პოლკებმა წინასწარი გამაფრთხილებელი განკარგულება მიიღეს საბრძოლო მზადყოფნის შესახებ. ამასთანავე ისინი მოლოდინში უნდა ყოფილიყვნენ, რათა ბალაკლავასა და კადიკოვკას რაიონებში შეეცვალათ მე-2 მსროლელთა დივიზიის ნაწილები. ამ გამაფრთხილებელი განკარგულების შემდეგ დივიზიის ნაწილებმა ბრძანება მიიღეს ბლაგოდატის საბჭოთა მეურნეობის ტერიტორიასა და მის აღმოსავლეთით შეეცვალათ 1330-ე მსროლელი პოლკი. ღამით 5 იანვარს დივიზიის ნაწილები ნაბრძანები პოზიციების დაკავებას შეუდგნენ. 6 იანვარს დილით 782-ე მსროლელი პოლკის 1-მა ბატალიონმა 1330-ე მსროლელი პოლკის ბატალიონი შეცვალა, ხოლო 773-ე მსროლელმა

პოლკმა 782-ე მსროლელი პოლკის პირველი ბატალიონის თავდაცვის რაიონი დაიკავა.

6 იანვარს მთელი დღის განმავლობაში გერმანელებმა ორჯერ დაუშინეს ცეცხლი 773-ე მსროლელი პოლკის თავდაცვის მოწინავე ხაზსა და 782-ე მსროლელი პოლკის პირველ ბატალიონს, რასაც პირადი შემადგენლობიდან დანაკარგი არ მოჰყოლია. 671-ე ცალკე მესანგრეთა ბატალიონი დანაღმვით სამუშაოებს ასრულებდა.[48]

7 იანვარს ჰიტლერელები არტილერიისა და ნაღმსატყორცნების ცეცხლს დროგამოშვებით უშენდნენ დივიზიის განლაგების რაიონს. მოწინააღმდეგის მეავტომატეთა ცალკეული ჯგუფები 782-ე მსროლელი პოლკის მე-3 ბატალიონის თავდაცვის მოწინავე ხაზთან მიახლოებას ცდილობდნენ, რაც აღკვეთილ იქნა. 671-ე ცალკე მესანგრეთა ბატალიონი დანაღმვის სამუშაოებს აგრძელებდა.

8-10 იანვარს დივიზიის ნაწილები წინანდელ პოზიციებზე იმყოფებოდნენ. მოწინააღმდეგე კვლავ ნაღმსატყორცნებისა და არტილერიის ცეცხლს უშენდა დივიზიას.

11 იანვარს 388-ე მსროლელი დივიზიის ნაწილები განლაგებული იყვნენ შემდეგ უბნებზე: წმინდა ილიას, ბლაგოდატის საბჭოთა მეურნეობისა და კამარის ტერიტორიებზე. დივიზიის განკარგულებაში გადავიდა 1330-ე მსროლელი პოლკის მე-3 ბატალიონი.

12-13 იანვარის პერიოდში დივიზიის ნაწილების განლაგება არ შეცვლილა. ისინი დაკავებული პოზიციების გასამაგრებლად საინჟინრო სამუშაოებს ასრულებდნენ. გერმანელები სიმაღლეებიდან არტილერიისა და ნაღმტყორცნების ცეცხლს უშენდნენ 778-ე და 773-ე მსროლელი პოლკის რიგებს. პირადი შემადგენლობისა და

ცხენების უმნიშვნელო დანაკარგი განიცადა 773-ე მსროლელმა პოლკმა[49].

15 იანვარს მოწინააღმდეგე 99.1 და 145 სიმაღლეებიდან არტილერიისა და ნაღმსატყორცნების ცეცხლს უშენდა შენაერთის ნაწილებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ფაშისტები შეუწყვეტლივ უშენდნენ ცეცხლს ბლაგოდატის საბჭოთა მეურნეობას. იმავე დღეს 782-ე მსროლელი პოლკის წითელარმიელთა 11 კაციანმა ჯგუფმა მოკლა ოცეულის მეთაური ნიკოლაენკო და მტრის მხარეზე გაემართა. ერთ-ერთი მათგანი დანაღმულ ველზე მოხვდა, ნაღმის აფეთქებისაგან დაიჭრა და უკან დაბრუნდა. დანარჩენი ათი კი მტრის მხარეზე გადავიდა.[50]

16 იანვარს გერმანელებმა არტილერიის ნაღმსატყორცნებისა და ავტომატ-ტყვიამფრქვევების ცეცხლი დაუშინეს 773-ე მსროლელ პოლკს, განსაკუთრებით სიმაღლეების მიმართულებიდან. ჭურვის პირდაპირი მოხვედრით მიწურში დაიღუპა მეტყვიამფრქვევეთა ასეულის წითელარმიელი, დაიჭრა მსროლელთა მე-4 ასეულის მეთაური, ხოლო ერთმა ლეიტენანტმა კონტუზია მიიღო. გერმანელები ავტომატ-ტყვიამფრქვევების ცეცხლს განუწყვეტლივ უშენდნენ ბლაგოდატის საბჭოთა მეურნეობასა და მის აღმოსავლეთით მიმდებარე ტერიტორიებს.[51]

18 იანვარს გერმანელთა მიერ გახსნილი ცეცხლის ინტენსიურობა კიდევ უფრო გაძლიერდა განსაკუთრებით დივიზიის მარცხენა ფლანგზე იტალიელთა სასაფლაოდან.

19 იანვარს გერმანელთა ცეცხლი არ შეწყვეტილა. მათ განსაკუთრებით ძლიერი ცეცხლი დაატეხეს თავზე 778-ე მსროლელი პოლკის მე-2 ბატალიონს. ერთი მებრძოლი დაიღუპა და რამდენიმე (საკუთარი ნაღმების აფეთქებისაგან) დაიჭრა.[52]

20 იანვარს დივიზიის ნაწილები სასანგრე სამუშაოებს აგრძელებდნენ. ღამით 1330-ე მსროლელი პოლკის მე-3 ბატალიონი შეცვალეს 671-ე ცალკე მესანგრეთა ბატალიონმა, 677-ე ცალკე საზენიტო-საარტილერიო დივიზიონმა და შინსახკომის ასეულმა. დღის განმავლობაში დივიზიას მოწინააღმდეგე ნაღმსატყორცნების ძლიერ ცეცხლს უშენდა სიმაღლის რაიონიდან, რის შედეგადაც ერთი მეთაური დაიღუპა, 10 წითელარმიელი დაიჭრა. მეორე დღეს 21 იანვარს გერმანელები არტილერიისა და ნაღმსატყორცნების ცეცხლს უშენდნენ 778-ე მსროლელი პოლკის თავდაცვის მოწინავე ხაზს. თავდაცვის ზოლის გასამაგრებელი სამუშაოები კვლავ გრძელდებოდა. ღამის 782-ე მსროლელი პოლკის მზვერავებმა მტრის საცეცხლე ძელმიწურამდე მიაღწიეს, რომელსაც ხელყუმბარები დაუშინეს. მოწინააღმდეგის ტყვიამფრქვევის ძლიერი ცეცხლის ქვეშ მზვერავები უკან გამობრუნდნენ. 22 იანვარს გერმანელები ნაღმსატყორცნების ცეცხლს დროგამოშვებით უშენდნენ ბლაგოდატის საბჭოთა მეურნეობას. ღამით 671-ე ცალკე მესანგრეთა ბატალიონი და 677-ე ცალკე საზენიტო-საარტილერიო დივიზიონი 383-ე მსროლელი პოლკის ბატალიონებმა შეცვალეს. მესანგრეთა ჯგუფმა ბლაგოდატის საბჭოთა მეურნეობის რაიონში 200 ცალი ტანკსაწინააღმდეგო ნაღმი ჩააწყეს.[53]

23 იანვარს 388-ე მსროლელი დივიზიის ნაწილე-ბი კვლავ დაკავებულ პოზიციებზე იმყოფებოდნენ. დივიზიის ფრონტზე თავდაცვის პოზიცია ეკავა გერმანელთა 105-ე და 124-ე ქვეითი პოლკების ქვედა-ნაყოფებს, რომელთა რიცხობრივი რაოდენობა დადგენილი არ იყო. დღის განმავლობაში მოწინააღმდეგეს არტილერიისა და ნაღმსატყორცნების ცეცხლი არ

შეუწყვეტია. მეთვალყურეობით დადგინდა 99.4 სიმაღლის აღმოსავლეთ კალთებზე მტრის საცეცხლე ძელმიწურების არსებობა.

953-ე საარტილერიო პოლკის პირველი დივი-ზიონიდან იყვნენ დაჭრილები და უგზოუკვლოდ დაკარგულები. 782-ე მსროლელი პოლკიდან 4 წითელარმიელი მტრის მხარეზე გადავიდა. ღამის განმავლობაში დივიზიის მესანგრეებმა 200 ცალი ნაღმი ჩააწყეს.

24 იანვარს დივიზიის ნაწილები წინანდელ პოზიციებზე იყვნენ გამაგრებული. ცვლილებები არც მოწინააღმდეგის განლაგებაში მომხდარა. დივიზიის შტაბს, ნაწილებსა და ქვედანაყოფებს შორის კავშირი უწყვეტად მუშაობდა. ტემპერატურა მინუს 15 გრადუსს აღწევდა. ტემპერატურის შესახებ იმიტომ ვამახვილებთ ყურადღებას, რომ აღნიშნულ პერიოდში მეზობლად მყოფ 386-ე ქართულ მსროლელ დივიზიაში 35 კაცი გაიყინა. გაყინულთა უმეტესობა რეზერვში მყოფ 775-ე მსროლელ პოლკზე მოდიოდა[54].

როგორც უკვე აღვნიშნეთ, 1941 წლის 17-დან 27 დეკემბრის ბრძოლებში 388-ე მსროლელმა დივიზიამ პირადი შემადგენლობის მხრივ დიდი დანაკლისი განიცადა, ამიტომ ახლად მიღებული შევსების სწორად განაწილებას დიდი ყურადღება ეთმობოდა. ამ საკითხზე სპეციალური გადაწყვეტილება მიიღო ზღვისპირეთის არმიის შტაბმა, რომელმაც აღნიშნა, რომ ახლად მიღებული შევსების განაწილება მსროლელი დივიზიების გასაძლიერებლად კი არ მიდიოდა, არამედ ზურგის ნაწილების გასაძლიერებლად. მაგალითად, 25-ე მსროლელი დივიზიის 287-ე მსროლელ პოლკში 1514 კაციდან მწყობრში იმყოფებოდა 952 კაცი, 386-ე მსროლელი

დივიზიის772-ე მსროლელ პოლკში შესაბამისად 1714-დან 990, ამავე დივიზიის ზურგის ნაწილები მეტად გაბერილი იყო. მაგალითად, 772-ე მსროლელ პოლკში ზურგის პირადი შემადგენლობა 564 კაცს აღწევდა, რაც 33 პროცენტს შეადგენდა. ამ მხრივ განსაკუთრებით არანორმალური მდგომარეობა 388-ე მსროლელ დივიზიაში იყო, სადაც ქვეითთა რაოდენობა მთელი შემადგენლობის 2.8 პროცენტს შეადგენდა, ხოლო პოლკებში 30 პროცენტს არ აღემატებოდა, რაც სავსებით ნორმალური იყო იმ დროისათვის[55].

1942 წლის 25 იანვრისათვის 388-ე მსროლელი დივიზიის ნაწილებს კვლავ წინანდელი პოზიციები ჰქონდათ დაკავებული. არც მოწინააღმდეგის ძალთა განლაგება შეცვლილა, რომელიც ბლაგოდატის საბჭოთა მეურნეობისათვის ცეცხლის დაშენას არ წყვეტდა, განსაკუთრებით კი დღისით.

26 იანვარს ღამით 782-ე მსროლელი პოლკის პირველი ბატალიონი შინსახკომის ნაკრები პოლკის ნაწილებმა შეცვალეს. პირველი ბატალიონი კადიკოვკას რაიონში გადაიყვანეს, სადაც მას თავდაცვა უნდა დაეკავებინა ბლაგოდატის საბჭოთა მეურნეობის ჩრდილო აღმოსავლეთ ნაწილში. გერმანელები მეთოდურად ცეცხლს უშენდნენ ნაწილების განლაგებასა და პოლკების სამეთაურო პუნქტებს. მოწინააღმდეგე კვლავ ცეცხლს უშენდა დივიზიის ნაწილებს, განსაკუთრებით კი 773-ე და 778-ე მსროლელი პოლკების სამეთაურო პუნქტებს.[56]

28-29 იანვარის პერიოდში 388-ე მსროლელი დივიზიისა და მოწინააღმდეგის ძალთა განლაგებაში არსებითი ცვლილებები არ მომხდარა. 782-ე მსროლელი პოლკის პირველი ბატალიონი პირველი ეშელონიდან გამოიყვანეს. მან შეცვალა ამავე პოლკის მე-2 ბატალიონი,

რომელიც სანიტარული დამუშავებისათვის წაიყვანეს. ჰიტლერელთა მხრიდან არტილერიის, ნაღმსატყორცნებისა და ტყვიამ-ფრქვევების ცეცხლმა უფრო ინტენსიური ხასიათი მიიღო, განსაკუთრებით ბლაგოდატისა და კადი-კოვკას რაიონებზე, ამასთანავე მოწინააღმდეგე გაძლიერებულად ამაგრებდა თავდაცვის დაკავებულ ზღუდეს.[57]

3 თებერვალს მსროლელთა მე-7 ასეულმა დაზვერვა დაიწყო 181,2 სიმაღლის მიმართულებით, მაგრამ დანიშნულების ადგილამდე საბოლოოდ ვერ მიაღწია, მას მხოლოდ 500-600 მეტრამდე მიუახლოვდა და ამოცანაც ვერ შეასრულა. ასეულიდან 4 კაცი დაიღუპა და 12 დაიჭრა.

4 თებერვალს ღამით მსროლელთა მე-7 ასეულმა, რომელიც მე-9 ასეულით იქნა გაძლიერებული, კვლავ მიიღო ბრძანება დაზვერვა ეწარმოებინა 181.2 სიმაღლეზე. მოუმზადებლობის გამო დაზვერვა არ შედგა. 6 თებერვალს გამთენიისას ასეულმა, რომელ-მაც სადაზვერვო ამოცანა ვერ შეასრულა, უკან დაიხია თავდაცვის პოზიციებზე. ასეულიდან 4 კაცი დაიღუპა და 17 დაიჭრა, ხოლო 19 უგზოუკვლოდ დაიკარგა.[58]

7-10 თებერვალის განმავლობაში გერმანელებს საარტილერიო და ნაღმსატყორცნების ცეცხლი არ შეუწყვეტიათ. ამ მხრივ ფაშისტები განსაკუთრებულ "ყურადღებას" ბლაგოდატის საბჭოთა მეურნეობასა და კადიკოვკას უთმობდნენ.

11 თებერვალს გერმანელმა-ფაშისტებმა დივიზიის საბრძოლო რიგებზე საავიაციო თავდასხმები გააძლიერეს. ამასთანავე მთელი დღის განმავლობაში გერმანელები არტილერიისა და ნაღმსატყორცნების მეთოდურ ცეცხლს უშენდნენ. ღამით 782-ე მსროლელი პოლკის პირველმა

ბატალიონმა ბლაგოდატის საბჭოთა მეურნეობის რაიონში 173-ე მსროლელი პოლკის ბატალიონი შეცვალა.

13 თებერვალს ფაშისტებმა არტილერიისა და ნაღმსატყორცნების ცეცხლის დაშენა გააძლიერეს. 388-ე მსროლელი დივიზიის არტილერიამ 99.4 სიმაღლეზე მოწინააღმდეგის საცეცხლე წერტები გაანადგურა.

მარცხენა ფლანგის მეზობელ უბანზე იალტის გზატკეცილიდან 25.8 სიმაღლესთან ჰიტლერელთა ქვეითების თავმოყრა შეინიშნებოდა[59].

15 თებერვალს დივიზიის ფრონტზე ჰიტლერელთა არც თუ დიდმა ჯგუფმა გადაადგილება დაიწყოს. მტრის ატრილერიამ ცეცხლდაშენა გააძლიერა შენაერთის საბრძოლო რიგებსა და დასახლებულ პუნქტებზე. ჯერ კიდევ წინადღით 13-დან 14 თებერვალს ღამით 782-ე მსროლელი პოლკის მე-2 ასეულიდან ფაშისტთა მხარეზე გადავიდა 5 მებრძოლი.

16 თებერვალს მოწინააღმდეგე არტილერიისა და მსხვილყალიბიანი ტყვიამფრქვევების ცეცხლს უშენდა გზაჯვარედინებს, პოლკების სამეთაურო პუნქტებსა და დასახლებულ პუნქტებს: კადიკოვკას, 782-ე მსროლელი პოლკის პირველი ბატალიონიდან მოწინააღმდეგემ სამი მებრძოლი გაიტაცა. ღამით 782-ე მსროლელი პოლკის მე-3 ბატალიონი იმავე პოლკის პირველმა ბატალიონმა შეცვალა. მოწინააღმდეგე შენაერთის საბრძოლო რიგებზე დღითი დღე აძლიერებდა საარტილერიო ცეცხლის დაშენას. 18 თებერვალს 388-ე მსროლელი დივიზიის შტაბის უფროსის თანამდებობა პოლკოვნიკმა დ.დობროვმა დაიკავა.[60]

27 თებერვალს 388-ე მსროლელი დივიზიის სამმა ასეულმა ბრძოლით დაზვერვა დაიწყო. დაზვერვაზე წასულმა ასეულებმა ვერაფერი არსებითი ვერ დაადგინეს.

ფაშისტთა მხრიდან ცეცხლის ინტენსიურობა გაიზარდა. მტრის წინააღმდეგობათა ძირითადი კვანძები დადგენილ იქნა. ასეულები 100-800 მეტრის მანძილით მიახლოვდნენ მტრის თავდაცვის მოწინავე ხაზს, მაგრამ წინსვლა ვეღარ შეძლეს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი დანაკლისი განიცადა 773-ე მსროლელი პოლკის მე-9 ასეულმა[61].

1942 წლის 1 მარტს დივიზიის ფრონტზე არსები-თი ცვლილებები არ მომხდარა. მოწინააღმდეგე მხო-ლოდ არტილერიისა და ნაღმსატყორცნების ცეცხლს დროგამოშვებით უშენდნენ დივიზიის საბრძოლო რიგებს. 782-ე მსროლელი პოლკის მე-8 ასეული სიმაღლის მხრიდან გახსნილ ნაღმსატყორცნებისა და ტყვიამფრქვევების ძლიერი ცეცხლის ქვეშ მოჰყვა და ამიტომ უკან დაიხია მოწინავე ხაზზე. 778-ე მსროლელი პოლკის მე-4 ასეული და 773-ე მსროლელი პოლკის მე-3 ასეული სიმაღლესთან დარჩნენ, 20-დე კაცი დაიჭრა, 773-ე მსროლელ პოლკში შედარებით უმნიშვნელო დანაკარგი იყო[62].

7 მარტს შენაერთის მეთვალყურეებმა თვალთვალით დაადგინეს გერმანელთა ქვეითების გამოცოცხლება და მიწის სამუშაოების მიმდინარეობა. ჩვენმა არტილერიამ მწყობრიდან გამოიყვანა ერთი სამეთვალყურეო პუნქტი და ერთი ბლინდაჟი.

8-11 მარტის პერიოდში დივიზიის ფრონტზე არსებითი ცვლილებები არ მომხდარა. დაზვერვაზე გაგზავნილმა ასეულებმა ვერაფერი ვერ დაადგინეს. ამ პერიოდში 4 კაცი დაიღუპა, ერთი უგზოუკვლოდ დაიკარგა და 10 დაიჭრა.

12 მარტსაც წარუმატებელი გამოდგა შენაერთის სადაზვერვო ნაწილების მოქმედება. მოკლულთა და დაჭრილთა სახით მზვერავთა რაზმმა 16 კაცი დაჰკარგა და უკან დაიხია საწყის პოზიციებზე.[63]

1942 წლის 19 მარტიდან 11 აპრილის განმავლობაში 388-ე მსროლელი დივიზიის ნაწილებს დაკავებული პოზიციები არ შეუცვლიათ. ქვედანაყოფები აგრძელებდნენ თავდაცვითი უბნების სრულყოფას, თხრიდნენ სანგრებს, აკეთებდნენ გასასვლელებს, ასობდნენ რკინა-ბეტონის ბოძკინტებს და თავდაცვის მოწინავე ხაზზე ტანკსაწინააღმდეგო ნაღმებს აწყობდნენ.

ამ პერიოდში გერმანელების ქვეით ნაწილებს აქტიური მოქმედებისათვის არ მიუმართავთ. ისინი მხოლოდ არტილერიისა და ნაღმსატყორცნების ცეცხლს სისტემატიურად უშენდნენ დივიზიის განლაგების რაიონს, ნაწილების სამეთაურო და სამეთვალყურეო პუნქტებს, აგრეთვე ზურგის ქვედანაყოფებს. მტრის ცეცხლის ინტენსიურობა განსაკუთრებით გაიზარდა 25 მარტიდან 10 აპრილის განმავლობაში.

23-დან 24 მარტს ღამით 773-ე მსროლელი პოლკის პირველმა ასეულმა კამარის აღმოსავლეთ რაიონში 769-ე მსროლელი პოლკის ქვედანაყოფები შეცვალა, სადაც თავდაცვითი რაიონის გამაგრებას შეუდგა.

25 მარტს 778-ე მსროლელი პოლის მე-5 ასეულიდან მტრის მხარეზე გადავიდა 15 მებრძოლი[64]. 31 მარტიდან 7 აპრილამდე დივიზიის ნაწილებმა ბლაგოდატის საბჭოთა მეურნეობისა და კამარის ფრონტზე, 77.3 და 24.2 სიმაღლეზე ძალთა გადაჯგუფება მოახდინეს. 772-ე მსროლელი პოლკიდან მტრის მხარეზე 25 ჯარისკაცი გადავიდა[65].

10-11 აპრილს 388-ე მსროლელმა დივიზიამ ორი პოლკით დაკავებული პოზიციები გადასცა 109-ე მსროლელ დივიზიას, რის შემდეგაც 778-ე მსროლელი პოლკი ხუტორ ნიკოლაევკაში განლაგდა, 782-ე მსროლელი პოლკი ხუტორ მაქსიმოვიჩისა და სიმაღლე კარანზე დაბანაკდა.

ნაღმტყორცნელთა დივიზიონი, 773-ე მსროლელი პოლკი და 953-ე საარტილერიო პოლკები სექტორის კომენდანტის განკარგულებაში გადავიდნენ.

1942 წლის 19 მარტიდან 11 აპრილის განმავლობაში დივიზიამ ასეთი დანაკარგები განიცადა: დაიღუპა სამი მეთაური, 29 რიგითი, დაიჭრა 4 მეთაური და 69 რიგითი, კონტუზია მიიღო 2 კაცმა, მწყობრიდან გამოვიდა ერთი მსუბუქი ავტომანქანა[66].

1942 წლის 10 მარტიდან 24 აპრილამდე პერიოდში 388-ე მსროლელი დივიზიის სნაიპერებმა, მეტყვიამფრქვევებმა და ნაღმტყორცნელებმა გაანადგურეს 110 ფაშისტი ჯარისკაცი და დაზგის ორი ტყვიამფრქვევი.

13 აპრილს 388-ე მსროლელი დივიზიის მეთაურის პოსტი დაიკავა პოლკოვნიკმა ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე შვაროვმა.

1 მაისისთვის დივიზიის 778-ე მსროლელი პოლკი თავდაცვაზე იდგა 206.6 სიმაღლის ჩრდილოეთ კალთებზე, ხუტორ პროკუტორში და კამარის დასავლეთით 0.5 კმ-ზე მდებარე უსახელო მაღლობზე.

782-ე მსროლელი პოლკი არმიის რეზერვს წარმოადგენდა და ხუტორ გალიკოვოში იდგა გერმანელთა საავიაციო დესანტის წინააღმდეგ საბრძოლველად.

2 მაისს ფაშისტებმა საცეცხლე წინააღმდეგობა რამდენადმე გააქტიურეს განსაკუთრებით 778-ე მსროლელი პოლკისა და მსროლელთა მე-6 ასეულის წინააღმდეგ. 4-დან 5 მაისს ღამით 782-ე მსროლელი პოლკი 778-ე მსროლელმა პოლკმა შეცვალა, განლაგდა ხუტორ გოლიკოვოში და არმიის რეზერვში გადავიდა. პოლკების შეცვლისას საარტილერიო და ნაღმსატყორცნების ცეცხლისგან დაიღუპა 782-ე მსროლელი პოლკის

მესანგრეთა ასეულის მეთაური და ორი წითელარმიელი, დაიჭრა ორი საშუალო მეთაური და 4 წითელარმიელი.[67]

778-ე მსროლელი პოლკი არმიის რეზერვში იმყოფებოდა, რათა მტრის საავიაციო დესანტის გადმოსხმის შემთხვევაში მის წინააღმდეგ ებრძოლა.

353-ე საარტილერიო პოლკი და ნაღმტყორცნელთა დივიზიონი პირველი სექტორის განკარგულებაში იმყოფებოდნენ.

გერმანელები ხანმოკლე მაგრამ ძლიერ საცეცხლე თავდასხმებს ახდენდნენ წინასწარ მომზადებულ უბნებსა და პოზიციებზე. ამ დღეს სამი უმცროსი მეთაური და სამი წითელარმიელი დაიჭრა.

გერმანელთა საარტილერიო თავდასხმები გაძლიერდა განსაკუთრებით 782-ე მსროლელ პოლკის მარცხენა ფლანგზე, გზაჯვარედინებსა და გამაგრებული სიმაღლის რაიონებზე[68]. დივიზიის ნაწილები გაძლიერებულად ამზადებდნენ თავიანთ პოზიციებს, თხრიდნენ სათადარიგო სანგრებსა და აკეთებდნენ გასასვლელებს.

14 მაისს ზოლოტაია ბალკაში მდებარე 773-ე მსროლელი პოლკის სამეთაურო პუნქტს, სადაც ასეულამდე მებრძოლი იმყოფებოდა, მოწინააღმდეგემ ქვემეხიდან ცეცხლი გაუხსნა, რის შედეგადაც 7 კაცი დაიჭრა და ოთხი დაიღუპა.

პოლკების თავდაცვითი უბნების საფუძველს პირველი და მეორე ეშელონის პოლკებში ასეულების თავდაცვითი რაიონები შეადგენდნენ. თითოეული ასეულის თავდაცვით რაიონზე აწყობდნენ სანგრებს მსროლელებისა და მეტყვიამფრქვევებისათვის, აკეთებდნენ გასასვლელებსა და თავშესაფრებს პირადი შემადგენლობისათვის. სანგრები და გასასვლელები სრული პროფილით კეთდებოდა, რომელსაც შემდეგ რკინაბეტონის სახურავს აფარებდნენ მსროლელებისა და ტყვიამფრქვევებისათვის.

მოწინავე ხაზის თავდაცვის საფუძველს მსროლელ მეტყვიამფრქვევეთა ათეულები წარმოადგენდნენ. მოწინავე ხაზი ძლიერდებოდა 2-3 რიგზე მჭიდროდ დანაღმული ქვეითთა საწინააღმდეგო ნაღმებით. დანაღმული ველი მოწინავე ხაზის ცეცხლით კონტროლდებოდა. მეორე ეშელონის რაიონში თავდაცვის საფუძველს შეადგენდა ტყვიამფრქვევის ხანგრძლივი საცეცხლე წერტები, რომლებიც ურთიერთმოქმედებაში იმყოფებოდნენ არა მარტო ერთმანეთთან, არამედ მეზობელ საცეცხლე წერტებთანაც.

ხანგრძლივი საცეცხლე წერტების დასაცავად და მტკიცე თავდაცვის შესაქმნელად ხანგრძლივი მოქმედებების საცეცხლე წერტებს შორის მსროლელი ათეულების საველე საცეცხლე წერტები კეთდებოდა.

თავდაცვის სიღრმეში (მეორე ეშელონი) პირველი ეშელონის მსგავსად, ხდებოდა დანაღმვა. არტილერიისა და ნაღმტყორცნების პოზიციები უზრუნველყოფილი იყო საველე შენიღბული საინჟინრო ნაგებობებით.

ყველა საიჟინრო სამუშაო (გარდა ხანგრძლივი მოქმედების საცეცხლე წერტებისა) ზღვისპირეთის არმიის 830-ე ცალკე სამშენებლო ბატალიონის მიერ ხორციელდებოდა.[69]

ახლა განვიხილოთ, თუ როგორ იყო 388-ე მსროლელი დივიზიისა და მასში შემავალი ნაწილების პირადი შემადგენლობა ეროვნული ნიშნის მიხედვით. 1941 წლის ნოემბრისათვის 388-ე მსროლელი დივიზიის შემადგენლობაში 5676 ქართველი მებრძოლი იყო, აქედან 136 მეთაურთა შემადგენლობაში შედიოდა.[70] 1942 წლის 16 თებერვლისათვის დივიზიის მთელი პირადი

შემადგენლობა 5152 კაცს შეადგენდა, რომელთაგან 1186 იყო ქართველი, 1053 რუსი, 9 უკრაინელი, 893 აზერბაიჯანელი, 790 სომეხი, 44 ოსი, დანარჩენი კი სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელი.[71]

დაახლოებით იგივე სურათია დივიზიაში იმავე წლის 24 მარტისათვის. კერძოდ, ამ დროისათვის შენაერთი 5982 კაცს ითვლიდა, რომელთაგან 1139 იყო ქართველი, 1600 რუსი, 1144 უკრაინელი, 750 ომეხი, 749 აზერბაიჯანელი და დანარჩენი სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელი.[72]

როგორც ვხედავთ, თითქმის ერთი თვის განმავლობაში თავდაცვითი ბრძოლების წარმოების პერიოდში ქართველების რაოდენობა შენაერთში 47 კაცით შემცირდა.

388-ე მსროლელ დივიზიაში შემავალი ნაწილებისა და ქვედანაყოფების პირადი შემადგენლობა ერვნული ნიშნის მიხედვით ასე გამოიყურება: 1942 წლის 28 მარტისათვის 953-ე საარტილერიო პოლკში 701 კაციდან 201 იყო რუსი, 179 ქართველი, 147 უკრაინელი, 76 აზერბაიჯანელი, 40 სომეხი, 33 ოსი, 25 სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელი. მათ შორის რუსებიდან 42 იყო საშუალი მეთაური, 55 უმცროსი მეთაური და 104 რიგითი. ქართველებიდან 15 იყო საშუალო მეთაური, 12 უმცროსი მეთაური და 152 რიგითი. უკრაინელებიდან 16 იყო საშუალო მეთაური, 34 უმცროსი მეთაური და 97 რიგითი.[73]

841-ე ცალკე მეკავშირეთა ბატალიონში 172 კაციდან 59 იყო რუსი, 53 უკრაინელი, 33 ქართველი, 11 სომეხი, 12 სხვადახვა ეროვნების წარმომადგენელი. მათ შორის რუსებიდან 13 იყო საშუალო მეთაური, 13 უმცროსი მეთაური და 33 რიგითი. უკრაინელებიდან 5 იყო საშუალო მეთაური, 6 უმცროსი მეთაური და 24 რიგითი.[74]

782-ე მსროლელ პოლკში რუსებიდან 160 იყო მეთაურთა შემადგენლობის და 199 რიგითი, ე.ი სულ 359 რუსი. უკრაინელებიდან 24 იყო მეთაურთა შემადგენლობის, 52 უმცროსი მეთაური და 170 რიგითი ე.ი. სულ 246 უკრაინელი. ქართველებიდან 70 იყო მეთაური შემადგენლობის და 243 რიგითი, ე.ი. სულ 313 ქართველი. სომხებიდან 96 იყო მეთაურთა შემადგენლობის და რგითი, აზერბაიჯანელებიდან 7 იყო მეთაურთა შემადგენლობის, 27 უმცროსი მეთაური და 148 რიგითი, ე.ი. სულ 182 აზერბაიჯა-ნელი. მთლიანად 782–ე მსროლელი პოლკი 1425 კაცს ითვლიდა.[75]

778-ე მსროლელ პოლკში სულ 1191 კაცი იყო. მათ შორის 352 რუსიდან 53 იყო საშუალო და უფროს მეთაურთა ემადგენლობის, 61 უმცროსი მეთაური და 238 რიგითი. 291 უკრაინელიდან 30 იყო საშუალო და უფროს მეთაურთა შემადგენლობის, 46 უმცროსი მეთაური და 215 რიგითი. 160 ქართველიდან 21 იყო საშუალო და უფროს მეთაურთა შემადგენლობის, 20 უმცროსი მეთაური და 118 რიგითი.[76]

773-ე მსროლელ პოლკში სულ 1017 კაცი იყო. მათ შორის 225 რუსიდან 49 იყო მეთაურთა შემადგენლობის, 24 უმცროსი მეთაური და 152 რიგითი. 170 უკრაინელიდან 25 იყო მეთაურთა შემადგენლობის, 27 უმცროსი მეთაური და 118 რიგითი. 201 ქართველიდან 18 იყო მეთაურთა შემადგენლობის, 14 უმცროსი მეთაური და 169 რიგითი. 226 აზებაიჯანელიდან 12 იყო მეთაურთა შემადგენლობის, 8 უმცროსი მეთაური და 206 რიგითი. 149 სომეხიდან 9 იყო მეთაურთა შემადგენლობის, 17 უმცროსი მეთაური და 123 რიგითი. 11 ოსიდან 7 იყო მეთაურთა შემადგენლობის და 4 უმცროსი. სხვადასხვა ეროვნების 89 კაციდან 7 იყო

მეთაურთა შემადგენლობის, ერთი უმცროსი მეთაური და დანარჩენი რიგით.[77]

675-ე ნაღმტყორცნელთა დივიზიონში სულ იყო 190 კაცი. მათ რიცხვში 49 რუსიდან 7 იყო საშუალო მეთაურთა შემადგენლობის, 13 უმცროსი მეთაური და 29 რიგითი. 33 უკრაინელიდან 5 იყო საშუალო მეთაურთა შემადგენლობის, 14 უმცროსი მეთაური და 14 რიგითი. 31 ქართველიდან 3 იყო საშუალო მეთაურთა შემადგენლობის, 5 უმცროსი მეთაური და 23 რიგითი. 31 სომეხიდან ერთი იყო საშუალო მეთაურთა შემადგენლობის, 2 უმცროსი მეთაური და 28 რიგითი. 11 აზერბაიჯანელიდან 3 იყო უმცროსი მეთაური და 8 რიგითი[78].

671-ე მესანგრეთა ცალკე ბატალიონში სულ იყო 186 კაცი. მათ შორის 35 რუსიდან 8 იყო მეთაურთა შემადგენლობის, 15 უმცროსი მეთაური და 12 რიგითი. 24 უკრაინელიდან 4 იყო მეთაურთა შემადგენლობის, 10 უმცროსი მეთაური და 10 რიგითი. 51 ქართველიდან 5 იყო მეთაურთა შემადგენლობის, 5 უმცროსი მეთაური და 38 რიგითი. 11 სომეხიდან 6 იყო უმცროსი მეთაური და 5 რიგითი. სხვადასხვა ეროვნების 21 კაციდან 3 იყო მეთაურთა შემადგენლობის, 10 უმცროსი მეთაური და 8 რიგითი[79].

505-ე ცალკე ავტოასეულიდან (13 მარტისათვის) პირადი შემადგენლობის 82 კაციდან ქართველი იყო ექვსი.[80]

საკომენდანტო ასეულში 77 კაციდან ქართველი იყო 7.[81]

ზემოთ, როცა 388-ე მსროლელი დივიზიის საბრძოლო მოქმედებას ვახასიათებდი 1942 წლის მაისის შუა რიცხვებამდე შევეცადეთ მეტნაკლები სისრულით წარმოგვეჩინა შენაერთის წვლილი გერმანელ-ფაშისტთა ჯარების წინააღმდეგ ბრძოლაში ქ.სევასტოპოლთან, სამწუხაროდ, ამის შემდეგ საარქივო მასალები წყდება და ჩვენთვის უცნობია დივიზიის შემდგომი საბრძოლო მოქმედებანი, რადგანაც ქ.სევასტოპოლის გმირული თავდაცვა 250 დღეს ე.ი. 1942 წლის 3 ივლისამდე გაგრძელდა, უნდა ვივარაუდოთ, რომ სხვა შენაერთებთან ერთად 388-ე მსროლელი დივიზიის შეთხელებული ნაწილებიც ბოლომდე გმირულად იბრძოდნენ ჰიტლერელთა წინააღმდეგ. ამის შემდეგ 388-ე მსროლელი დივიზია დაიშალა. (საარქივო მასალების უქონლობა საშუალებას არ გვაძლევს დივიზიის დაშლის ზუსტი თარიღი დაგვედგინა). ჩვენი აზრით, ეს ასე რომ არ ყოფილიყო, მაშინ არ მოხდებოდა ამავე სახელ-წოდების დივიზიის ხელმეორედ ჩამოყალიბება. 1944 წლის 22 ნოემბერს შორეული აღმოსავლეთის ფრონტის ჯარების სარდლის დირექტივის საფუძველზე დაიწყო 388-ე მსროლელი დივიზიის (მეორე ფორმირების) შექმნა, რომელიც 25 ნოემბრიდან იმავე წლის 14 დეკემბრამდე გაგრძელდა. 388-ე დივიზიის ფორმირება მიმდინარეობდა მე-15 არმიაში, რომლის დისლოკაციის ადგილი იყო ქ.ხაბაროვსკი[82].

მეორე ფორმირების 388-ე მსროლელი დივიზიას არაფერი საერთო არა აქვს (სახელწოდების გარდა) პირველი ფორმირების 388-ე ქართულ მსროლელ დივიზიასთან. ამას ადასტურებს მეორე ფორმირების 388-ე მსროლელი დივიზიის პირადი შემადგენლობა ეროვნული ნიშნის მიხედვით. კერძოდ, დივიზიაში 8641 კაციდან 6376 იყო რუსი, 1166 უკრაინელი, 262 ბელორუსი, 25 ქართველი, 9 სომეხი, 5 აზებაიჯანელი, 13 უზბეკი, 14 ტაჯიკი, 64 ყაზახი, 17 ყირგიზი, 90 ებრაელი, 32 კარელიელი, 2 ყარაბარდობალ-ყარელი, 9 ოსი, 14 დაღესტნელი, 289

თათარი, 44 ჩუვაში, 95 მორდოველი, 13 ბაშკირი, 3 ყალმუხი, 19 უდმურტი, 48 მარიელი, 15 კომელი, 3 ბურიატი, 2 მოლდაველი, 3 ესტონელი, 2 პოლონელი და 7 სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელი[83].

§3. 386-ე მსროლელი დივიზიის მონაწილეობა ყირიმის სამხედრო სადესანტო ოპერაციებში.

386-ე მსროლელი დივიზია ჩამოყალიბდა თბილისში 1941 წლის აგვისტოში. ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის 1941 წლის 19 აგვისტოს 386-ე მსროლელი დივიზიისადმი გაცემული ბრძანებით დივიზიის მეთაურის თანამდებობაზე დაინიშნა პოლკოვნიკი ნიკოლოზ სკუტელნიკი.

386-ე მსროლელ დივიზიაში 6284 ქართველი მებრძოლი და მეთაური იყო[84].

1941 წლის 25 ოქტომბერს ამიერკავკასიის ფრონტის სარდლის დირექტივით 386-ე მსროლელი დივიზია 47-ე არმიის დაქვემდებარებაში გადავიდა.

1941 წლის 10 ნოემბერს 47-ე არმიის სარდლისაგან შენაერთმა კავკასიონის მთავარი ქედის მიდამოებში საქართველოს სამხედრო გზის დაცვის საბრძოლო ამოცანა მიიღო.

ამიერკავკასიის ფრონტის სარდლის 1941 წლის 25 ნოემბრის დირექტივის თანახმად 386-ე მსროლელი დივიზია 47-ე არმიის შემადგენლობიდან 46-ე არმიას დაექვემდებარა და თბილისიდან ზუგდიდისა და ოჩამჩირისაკენ დაიძრა. დივიზიის შტაბი, 775-ე

მსროლელი პოლკი და სპეცნაწილები ზუგდიდში განლაგდნენ, 772-ე მსროლელი პოლკი ორსანტიასა და ანაკლიაში დაბანაკდა, ხოლო 769-ე მსროლელი პოლკი – ოჩამჩირეში.

46-ე არმიის სარდლის ბრძანების საფუძველზე 1941 წლის 10 დეკემბერს დივიზიის შტაბი, 775-ე მსროლელი პოლკი და სპეცქვედანაყოფები ზუგდიდიდან სოხუმში გადავიდნენ.

46-ე არმიის სარდალის 1941 წლის 17 დეკემბრის ბრძანებით შენაერთმა შავი ზღვის სანაპიროზე ახალი ათონი-ანაკლიას ზოლზე თავდაცვის მოწყობის საბრძოლო ამოცანა მიიღო.[85]

46-ე არმიის შტაბის 1941 წლის 24 დეკემბერის დირექტივის საფუძველზე 386-ე მსროლელი დივიზია 46-ე არმიის შემადგენლობიდან გამოვიდა, რომლის ნაწილებმა თავი მოიყარეს ქ.ოჩამჩირეში, სადაც 27 დეკემბერს ამიერკავკასიის ფრონტის სარდალმა გენერალ-ლეიტენანტმა კოზლოვმა დაათვალიერა ნაწილები. შესამოწმებლად სრული შემადგენლობით გამოიყვანეს 772-ე და 775-ე მსროლელი პოლკები და 952-ე საარტილერიო პოლკი. ნაწილების შემოწმებამ სუსტი (დაბალი) შეფასება დაიმსახურა.[86]

დეკემბერს 386-ე მსროლელი დივიზია ზღვით გადავიდა ქ.სევასტოპოლში, სადაც ზღვისპირეთის არმიის შემადგენლობაში შევიდა. 31 დეკემბერს 769-ე მსროლელი პოლკის ორმა ბატალიონმა კამარის ფრონტზე თავდაცვითი პოზიცია დაიკავეს. 1942 წლის 2 იანვარს ფაშისტთა არტილერიამ ცეცხლი დაუშინა თავდაცვაზე მყოფ მსროლელთა ბატალიონებს.

1941 წლის 31 დეკემბერს ზღვისპირეთის არმიის სარდლის ბრძანებაში აღნიშნული იყო, რომ

მოწინააღმდეგემ არმიის ფრონტზე თავის ძალები დააჯგუფა და მე-4 სექტორის მარჯვენა ფლანგზე თავი მოუყარა დამკვრელ დაჯგუფებას – 22-ე, 50-ე და 132-ე ქვეითი დივიზიების შემადგენლობით.

ზღვისპირეთის არმიის ნაწილები პირველ, მე-2 და მე-3 სექტორებზე ფრონტის გასარღვევად წარმოებულ მტრის იერიშებს იგერიებდა და ამასთანავე მტკიცედ განაგრძობდა დაკავებული პოზიციების შენარჩუნებას. 345-ე მსროლელი დივიზიის, 79-ე მსროლელთა განსაკუთრებული ბრიგადისა და მე-4 სექტორის სხვა ნაწილებმა მძიმე ბრძოლების შემდეგ უკან დაიხიეს სამხრეთ-დასავლეთით ერთ კილომეტრზე, სადგურ მეკენზიების გორის სამხრეთ ნაწილში და ლობიმოვკას ზღუდეზე.

შექმნილ ვითარებაში ზღვისპირეთის არმიის ამოცანას შეადგენდა გერმანელ-ფაშისტთა წინსვლის შემდგომი შეჩერება და თავდაცვაში შემოჭრილი მოწინააღმდეგის განადგურება, რაც ცალკეული სიმაღლეებისა და ზღუდეების თანმიმდევრული დაკავებით დაკარგული პოზიციების დაბრუნებას ითვალისწინებდა.

სევასტოპოლისათვის ბრძოლებში საბჭოთა ნაწილების დარტყმის შედეგად გერმანელებმა დიდი დანაკლისი განიცადეს, რის გამოც 1942 წლის 2 იანვარს მე-2 და მე-3 სექტორების ფრონტზე უკანდახევა დაიწყეს ბახჩისარაი-სიმფეროპოლისაკენ, რასაც ისინი ძლიერი საარიერგარდო ნაწილებით ახორციელებდნენ.

ზღვისპირეთის არმია 3 იანვარს დილიდან თავის ძალების ნაწილით შეტევაზე გადავიდა, მის ამოცანას შეადგენდა უკანდახეული მოწინააღმდეგის განადგურება და მდგომარეობის აღდგენა პირველ, მე-2 და მე-3 სექტორების ფრონტზე უკანდახევა დაიწყეს ბახჩისარაი-

სიმფერეპოლისაკენ, რასაც ისინი ძლიერი საარიერგარდო ნაწილებით ახორციელებდნენ.

ზღვისპირეთის არმია 3 იანვარს დილიდან თავის ძალების ნაწილით შეტევაზე გადავიდა, მის ამოცანას შეადგენდა უკანდახეული მოწინააღმდეგის განადგურება და მდგომარეობის აღდგენა პირველ, მე-2 და მე-3 სექტორებში.[87]

გერმანელებმა ზღვისპირეთის არმიის ფრონტზე მაბლოკირებელი ჯგუფები დატოვეს, ხოლო ძირითადი ძალებით უკანდახევა დაიწყეს ზღვისპირეთის არმია განაგრძობდა დაკავებული პოზიციების თავდაცვას. 1942 წლის 6 იანვარს დილიდან არმიის ნაწილები შეტევაზე გადავიდნენ აკაი-ობას მიმართულებით. მის ამოცანას შეადგენდა 58.7 სიმაღლის, აზიზ-ობას, ყორღან აკაი-ობას, არანჩისა და მდინარე კაჩას სანაპიროების დაკავება, ამით გაფართოვდებოდა სევასტოპოლის თავდაცვითი რაიონი, რაც მე-4 სექტორის ფრონტზე მოქმედი მოწინააღმდეგის განადგურების შესაძლებლობას იძლეოდა.[88]

გერმანელმა ფაშისტებმა თავიანთ ჯარებს თავი მოუყარეს ფეოდოსიის მიმართულებით, ხოლო ოთხამ-დე ქვეითი დივიზიით სევასტოპოლის ბლოკირებას განაგრძობდნენ. საბჭოთა არმიის რეზერვები განლა-გებული იყო ალუსუს, შულის, ჩერქეზ-კერმენის, დუკანკოის, მამაშაისა და კაჩას რაიონებში.

ზღვისპირეთის არმია განაგრძობდა ძირითადი საბრძოლო ამოცანის შესრულებას – სევასტოპოლის დაცვას. იგი ამიერკავკასიის ფრონტის ჯარებთან ურთიერთმოქმედებით 1942 წლის 12 იანვარს ძალების ნაწილით შეტევაზე გადავიდა და მთავარი დარტყმა განახორციელა ზალანკოის ზღუდის, ხოლო მამაშაის დამხმარე მიმართულებით ხელთ უნდა ეგდო 58.7

სიმაღლე, აზიზ-ობა, აკაი-ობა, არანჩი და მდინარე კაჩას სანაპიროები.

მე-2 სექტორში 386-ე დივიზიას უნდა განეგრძო დაკავებული პოზიციების თავდაცვა და ალსუშულის მიმართულებით აქტიური მოქმედების შედეგად შეებოჭა მოწინააღმდეგე და მისი რეზერვებისათვის 25-ე მსროლელი დივიზიის უბანზე წინსვლის საშუალება არ მიეცა.[89]

15 იანვარს 775-ე მსროლელი პოლკის მე-2 ბატალიონი ოჩამჩირიდან სევასტოპოლში გადავიდა. ჰიტლერელთა შორმსროლელი არტილერია ცეცხლს უშენდა დივიზიის შტაბს სოფელ დერგალში.

ზღვისპირეთის არმიის სარდლის ბრძანებით მე-2 სექტორის ძალთა ნაწილი შეტევაზე გადავიდა, რათა შეებოჭა მოწინააღმდეგე და ამით მე-3 სექტორის ძალებისათვის შეტევაზე გადასვლის საშუალება მიეცათ.

769-ე მსროლელი პოლკის მე-3 ბატალიონმა მოწინააღმდეგის ძლიერი ცეცხლის ქვეშ ხუტორ სუხაია რეკას მიმართულებით 500 მეტრით წინ წაიწია, მაგრამ იძულებული გახდა კვლავ საწყის პოზიციებზე დაბრუნებულიყო.

76-ე ნაღმტყორცნელთა პოლკის პირველი ბატალიონი იტალიელთა სასაფლაოს დაეუფლა, მტრის ნაღმსატყორცნების ძლიერი ცეცხლის მიუხედავად მარცხენა ფლანგით დაიძრა საწყისი პოზიციებიდან, ხოლო მარჯვენა ფლანგით სასაფლაოდან დასავლეთით 50 მეტრზე გამაგრდა. 772-ე მსროლელი პოლკის ორმა ასეულმა წინ წაიწია 200 მეტრით, მაგრამ ფაშისტთა ტყვიამფრქვევებისა და ნაღმსატყორცნების ძლიერი ცეცხლის გამო კვლავ დაიხია საწყის პოზიციებზე. მოტოქვეითთა პირველი მსროლელი პოლკის ბატალიონმა

დაიკავა 126.1 სიმაღლის დასავლეთი კალთები, მაგრამ მტრის ძლიერი საცეცხლე წინააღმდეგობის გამო კვლავ საწყის პოზიციებზე დაიხია. ამ ბრძოლების დროს დივიზიიდან 63 მებრძოლი დაიღუპა, 204 დაიჭრა, 5-მა კი კონტუზია მიიღო.[90]

17 იანვარს განმეორებითი შეტევისას 769-ე მსროლელი პოლკის პირველმა ბატალიონმა წინ წაიწია 500 მეტრით, სადაც გამაგრდა. 76-ე ნაღმტყორცნელთა პოლკის ბატალიონმა დაიკავა იტალიელთა სასაფლაოს დასავლეთი კალთები, სადაც გამაგრდა. 772-ე მსროლელი პოლკის ორმა ასეულმა წინ წაიწია 200 მეტრით, მაგრამ მოწინააღმდეგის ძლიერი ცეცხლის გამო კვლავ საწყის პოზიციებზე დაბრუნდა. ამ ბრძოლაში 49 მებრძოლი დაიღუპა და 195 დაიჭრა.

1942 წლის 18 იანვრისათვის ზღვისპირეთის არმიის მთელ ფრონტზე გერმანელები თავდაცვაზე გადავიდნენ, ამასთან ერთად სევასტოპოლის ბლოკირებას განაგრძობდნენ.

ზღვისპირეთის არმიის მთავარ ამოცანას, როგორც უკვე აღვნიშნეთ, კვლავ სევასტპოლის თავდაცვა შეადგენდა. არმიის ძალებს ამიერკავკასიის ფრონტის ჯარებთან ურთიერთმოქმედებით ხელთ უნდა ეგდოთ უმნიშვნელოვანესი სიმაღლეები და თავდაცვის ინტერესებისათვის დაკავებული პლაცდარმი უნდა გაეფართოებინათ.

მთავარი მიმართულება იყო მე-3 სექტორი, ძირითადი დარტყმა მოწინააღმდეგეზე უნდა განხორციელებულიყო ზალანკოის მიმართულებით.

მეორე სექტორში მყოფ მე-7 საზღვაო-ქვეით ბრიგადასა და 386-ე მსროლელ დივიზიას მტკიცედ უნდა დაეცვათ დაკავებული პოზიციები, მოეხდინათ მათი

სრულყოფა და დაუფლებოდნენ ვერხნი ჩერგუნის ჩრდილო-დასავლეთ სიმაღლის ქედს და 72.5 სიმაღლეს, რომლებზედაც უნდა გამაგრებულიყვნენ.[91]

19 იანვარს 76-ე ნაღმტყორცნელთა პოლკის დაზვერვამ ხელთ იგდო მოწინააღმდეგის 3 ტყვიამფრქვევი. ორი დღის დაზვერვამ ერთი რუმინელი ჯარისკაცი დაატყვევა და ხელთ იგდო ტყვიამფრქვევი, შაშხანები და ვაზნები.

მოწინავე პოზიციებიდან გაიყვანეს 676-ე ცელკე საზენიტო საარტილერიო დივიზიონის მეორე ბატარეა. 772-ე მსროლელი პოლკი მეორე ეშელონში იმყოფებოდა.[92]

1942 წლის 23-24 იანვარს ჰიტლერელები იტალიელთა სასაფლაოს და ცეცხლს უშენდნენ 386-ე მსროლელი დივიზიის თავდაცვის მოწინავე ხაზს.

დივიზიის ორმა ასეულმა 25 იანვარს სცადა წინ წაეწია 250 მეტრით, მაგრამ შეხვდა დანაღმულ ადგილებს, მავთულღობურა წინააღმდეგობებს და საცეცხლე ძელმიწურებს, რის გამოც უკან დაიხია.

მოწინააღმდეგე ნაღმსატყორცნებისა და არტი-ლერიის ცეცხლს არც თუ ხშირად უშენდა 386-ე მსროლელი დივიზიის თავდაცვით პოზიციებს. 26 იანვარს სევასტოპოლის თავდაცვის რაიონის მე-2 სექტორის კომენდანტის ბრძანებით 76-ე ნაღმსატყორცნთა პოლკის ორი ბატალიონი და 1330-ე მსროლელი პოლკის მე-2 ბატალიონი შეტევაზე გადავიდნენ, რათა დაეკავებინათ ვერხნი ჩერგუნის დასავლეთითა და ჩრდილო დასავლეთით 1კმ-ზე მდებარე უსახელო მაღლობი და შეტევის შედეგად დასახელებულმა ბატალიონებმა მიაღწიეს უსახელო სიმაღლის დასავლეთ კალთებსა და 72.5 სიმაღლეს, სადაც დანაღმულ ველს წააწყდნენ, ჩაწვნენ და განაღმვას შეუდგნენ.

ფაშისტებმა 72.5 სიმაღლე გაამაგრეს 4 საცეცხლე ძელმიწურით, დანაღმული ადგილებით, დიდი რაოდენობის დაზგის თყვიამფრქვევებისა და ავტომატების ცეცხლით. 72.5 სიმაღლეზე ასეულამდე რადენობის ქვეითები იმყოფებოდნენ, ხოლო უსახელო მაღლობებზე ოცეულამდე რაოდენობის ქვეითი. ბრძოლების შედეგად 76-ე ნაღმტყორცნელთა პოლკიდან 24 მებრძოლი დაიღუპა, 137 დაიჭრა და 65 უგზოუკვლოდ დაიკარგა. 1330-ე მსროლელი პოლკიდან 20კაცი დაიღუპა და 112 დაიჭრა.[93]

იტალიელთა სასაფლაოს რაიონიდან მოწინააღმდეგე დრო და დრო ნაღმსატყორცნების ცეცხლს უშენდა მე-7 საზღვაო ქვეითი ბრიგადის თავდაცვის მოწინავე ხაზს, ამ ბრძოლაში ორი წითელარმიელი დაიღუპა და ერთი გაიყინა.[94]

30 იანვარს საღამოთი მოწინააღმდეგე ასეულამდე რაოდენობის მებრძოლებით, რომელსაც მხარს უჭერდა ნაღმსატყორცნებისა და ტყვიამფრქვევების ცეცხლი, 72.5 სიმაღლის მიმართულებიდან შეტევაზე გადავიდა. საცეცხლე დარტყმა მიაყენა მე-7 საზღვაო ქვეითი ბრიგადის მარცხენა ფლანგს, რომლის შედეგადაც რამდენადმე შეავიწროვა მე-4 ასეული. არტილერიისა და ნაღმსატყორცნების ცეცხლით ჰიტლერელთა შეტევა მოიგერიეს. მდგომარეობა აღდგენილი იქნა. მე-8 საზღვაო ქვეითმა ბრიგადამ 387 კაცის რაოდენობის ახალი შევსება მიიღო.

772-ე მსროლელმა პოლკმა 329 კაცის რაოდენობით ახალი შევსება მიიღო და ნადავლის სახით ხელთ იგდო ორი ტყვიამფრქვევი.[95]

386-ე მსროლელი დივიზიის არტილერიამ ცეცხლი დაუშინა ნიჟნი ჩირგუნს, იტალიელთა სასაფლაოს

აღმოსავლეთ კალთებს, რომლის შედეგადაც 4 მიწური დაინგრა და ერთი საცეცხლე წერტი განადგურდა.[96]

2 თებერვალს ღამით გერმანელების 15 კაციანი ჯგუფი აღმოსავლეთ კალთებიდან ცდილობდა 1330-ე მსროლელი პოლკისა და 772-ე მსროლელი პოლკის შესაყარზე შეღწევას. სექტორის ნაწილებმა შეძლეს დაკავებული პოზიციების შენარჩუნება.

3 თებერვალს მთელი დღის განმავლობაში გერმანელები სუხარეკასა და ვერხნი ჩირგუნის რაიონებიდან ნაღმსატყორცნების ინტენსიურ ცეცხლს უშენდნენ. მტერი ორი ოცეულით 1330-ე მსროლელი პოლკის თავდაცვის მოწინავე ხაზის დაზვერვას ცდილობდა. დივიზიის არტილერიის ცეცხლით ჰიტ-ლერელთა იერიში მოგერიებულ იქნა. სექტორის ნაწილებმა თავდაცვის წინანდელი ზღუდეები შეინარ-ჩუნეს.[97]

6 თებერვალს მოწინააღმდეგე გააქტიურდა. იგი მთელი დღის განმავლობაში ვერხნი ჩირგუნიდან, დივიზიის საბრძოლო რიგებს არტილერიისა და ნაღმსატყორცნების ინტენსიურ ცეცხლს უშენდა.[98] დივიზიის არტილერიამ საპასუხო ცეცხლი გაუხსნა მოწინააღმდეგეს. მე-7 საზღვაო ქვეითი ბრიგადის სნაიპერებმა დღის განმავლობაში მტრის რამდენიმე ჯარისკაცი და ოფიცერი მოსპეს. ამ დღეს ბრძოლაში ორი მებრძოლი დაიღუპა, 772-ე მსროლელი პოლკიდან 9 კაცი დაიჭრა, მე-7 საზღვაო ქვეითი ბრიგადიდან – 5, მე-8 საზღვაო ქვეითი ბრიგადიდან – 3, 769-ე მსროლელი პოლკიდან – 8, 670-ე ცალკე მესანგრეთა ბატალიონიდან – 4 და 775-ე მსროლელი პოლკიდან ერთი მებრძოლი დაიჭრა.

775-ე მსროლელი პოლკი ფედიუკინოში შევიდა, რათა შეეცვალა 772-ე მსროლელი პოლკის მე-3 ბატალიონი, რომელიც მეორე ეშელონში უნდა გადასულიყო.

8 თებერვალს მოწინააღმდეგე ღამით რაკეტებით ანათებდა თავდაცვის მოწინავე ხაზს. დივიზიის არტილერიამ მოწინააღმდეგის ნაღმსატყორცნთა ბატარეის ცეცხლი ჩაახშო და შულიდან ჩერგუნში მიმავალი გერმანელ ქვეითთა ჯგუფი გაჰფანტა. ნაშუადღევს 4 საათის განმავლობაში მოწინაარმდეგე ჩრდილო-აღმოსავლეთით აზერბაიჯანულ და რუსულ ენებზე რადიოგადაცემის მოწყობას ცდილობდა, რომელიც არტილერიის ცეცხლით ჩახშობილ იქნა.[99]

115.2 სიმაღლის ჩრდილო-დასავლეთ კალთებზე მოწინააღმდეგე სასანგრე სამუშაოების აწარმოებდა. 42.4 სიმაღლის რაიონში ჰიტლერელთა დანაღმულ მინდორზე სამი აფეთქება მოხდა.

952-ე საარტილერიო პოლკის განლაგების რაიონში გერმანელთა თვითმფრინავებმა საავიაციო დაზვერვა აწარმოეს. დივიზიის არტილერიამ ცეცხლი გაუხსნა გნულიდან ჩერგუნში და აგრეთვე უპასკენ მიმავალ გზებს.[100]

ყირიმში საბჭოთა ჯარების მოქმედების გაცნობის საფუძველზე გერმანელებმა ძალთა გადაჯგუფება მოახდინეს. ზღვისპირეთის არმიის ფრონტზე – ალსუუზენბაშის რაიონში შეინიშნებოდა მოწინააღმდეგის ქვეითთა თავმოყრა, მსხვილყალიბიანი არტილერიისა და სათანადო ჭურვების მოზიდვა. მოწინააღმდეგე რამდენადმე გააქტიურდა არანჩის, მამშაისა და კაჩას რაიონებში. გამორიცხული არ იყო შესაძლებლობა მტრის მოულოდნელი თავდასხმისა და სევასტოპოლის ხელში ჩაგდების მცდელობისა. შექმნილი ვითარების შესაბამისად

ზღვისპირეთის არმიის სარდალმა 24 თებერვალს გასცა ბრძანება, რომლის შესაბამისადაც პირველ სექტორში გენერალ-მაიორ ნოვიკოვს 109-ე და 388-ე მსროლელი დივიზიებით მტკიცედ უნდა დაეცვა დაკავებული პოზიციები, გაეძლიერებინა საბრძოლო დაცვა, გადმოესროლა რეზერვები და მზად ყოფილიყო ბლაგოდატ-კამარის საბჭოთა მეურნეობის მიმართულებით კონტრშეტევაზე გადასასვლელად.[101]

1942 წლის 26 თებერვალს 24 თებერვლის ბრძანების საფუძველზე სექტორის ნაწილები დილიდანვე გადავიდნენ შეტევაზე. 769-ე მსროლელი პოლკის პირველი ბატალიონი მტკიცედ განაგრძობდა დაკავებული პოზიციების თავდაცვას, რომელიც თყვიამფრქვევებისა და ნაღმსატყორცნების ცეცხლით იტალიელთა სასაფლაოს მიმართულებიდან ჰიტლერელებს კონტრიერიშების განვითარების საშუალებას არ აძლევდა.

772-ე მსროლელმა პოლკმა (მე-3 ბატალიონის გარეშე) 775-ე მსროლელი პოლკის მე-3 ბატალიონთან ერთად უსახელო სიმაღლის ზღუდე დაიკავა.

დილით ფაშისტებმა ავტომატ-ტყვიამფრქვევებისა, ნაღმსატყორცნებისა და არტილერიის ძლიერი ცეცხლი დაუშინეს დივიზიის თავდაცვის მოწინავე ხაზს. ამის საპასუხოდ საბჭოთა ავიაციამ დაბომბა მოწინააღმდეგის თავდაცვის მოწინავე ხაზი და მისი საცეცხლე საშუალებები. შენაერთის არტილერია მეთოდურ ცეცხლს უშენდა მტრის ძელმიწურებს, ხანგრძლივი მოქმედების საცეცხლე წერტებს-სანგრებსა და ბლინდაჟებს, მოწინააღმდეგის თავდაცვის მოწინავე ხაზსა და მისი თავდაცვის სიღრმეს.[102]

სექტორის ნაწილებმა დასახული საბრძოლო ამოცანის შესრულება დაიწყეს, რის შედეგადაც მთელ რიგ უბნებზე

მოწინააღმდეგემ მიატოვა სანგრები და ძელმიწურებიდან აგრეთვე ხანგრძლივი მოქმედების საცეცხლე წერტებიდან წინააღმდეგობის გაწევა დაიწყო. 27 თებერვალს შენაერთის ნაწილებმა დასახული საბრძოლო ამოცანის შესასრულებლად კვლავ გააგრძელეს შეტევა, რის შედეგადაც დღის ბოლოს ახალი პოზიციები დაიკავეს. ამ ბრძოლებში 386-ე მსროლელი დივიზიიდან 116 მებრძოლი დაიღუპა და 560 დაიჭრა. გერმანელების მხრიდან 512 კაცი დაიღუპა.[103]

1942 წლის 28 თებერვლიდან 23 მარტის განმავ-ლობაში მოწინააღმდეგეს აქტიური მოქმედებისათვის არ მიუმართავს. 24 მარტიდან 386-ე მსროლელი დივიზიის ნაწილები რეზერვში გადაიყვანეს, რომლებმაც პირადი შემადგენლობისა და საბრძოლო ტექნიკის წესრიგში მოყვანა დაიწყეს. ამით ფაქტობრივად დამთავრდა 386-ე მსროლელი დივიზიის ხანმოკლე, მაგრამ სახელოვანი საბრძოლო ისტორია. 1942 წლის 4 ივლისს 386-ე მსროლელმა დივიზიამ არსებობა შეწყვიტა.

ამრიგად, როგორც ზემოთ განხილული მასალებიდან ჩანს, 224-ე, 388-ე და 386-ე ქართულმა მსროლელმა დივიზიებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს ქერჩ-ფეოდოსიის სამხედრო ოპერაციაში. სათანადო დარტყმები აგემეს გერმანელ-ფაშისტებს, წითელი არმიის სხვა ნაწილებთან ერთად შეაჩერეს მათი წინსვლა ყირიმის ტერიტორიიდან კავკასიამდე 1942 წლის მაისის პირველ რიცხვებამდე აკავებდნენ მტერს, რომელსაც შეიარაღებისა და საბრძოლო ტექნიკის მხრივ დიდი უპირატესობა გააჩნდა. ამ უთანასწორო და სისხლისმღვრელ ბრძოლებში ქართული შენაერთების მებრძოლებმა და მეთაურებმა მასობრივი გმირობა და თავდადება გამოავლინეს. განუწყვეტელ ბრძოლებში პირადი შემადგენლობა

ყოველდღიურად იღუპებოდა, რასაც შედეგად ის მოჰყვა, რომ 1942 წლის ზაფხულისათვის ამ დივიზიებმა არსებობა შეწყვიტეს. მათი ხანმოკლე არსებობის მიუხედავად, უაღრესად დიდია აღნიშნული ქართული სამხედრო შენაერთების საბრძოლო დამსახურება ყირიმისათვის ბრძოლებში.

თავი III

ქართული ეროვნული დივიზიების წვლილი კავკასიისათვის ბრძოლებში.

§1. 394-ე მსროლელი დივიზიის მონაწილეობა კავკასიის დაცვაში.

1941 წლის 25 აგვისტოს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ბრძანების საფუძველზე შეიქმნა 394-ე ქართული მსროლელი დივიზია. ჩამოყალიბების პროცესში დივიზიის შტაბისა და ნაწილების განლაგება ასეთი იყო: დივიზიის შტაბი, 808-ე მსროლელი პოლკი და 674-ე მეკავშირეთა ცალკე ბატალიონი განლაგებული იყვნენ გურჯაანში, 810-ე მსროლელი პოლკი – ლაგოდეხში, 956-ე საარტილერიო ბრიგადა და ცალკე სამედიცინო-სანიტარული ბატალიონი სოფელ კარდანახში.[1]

დასახელებული ნაწილების გარდა 394-ე ქართული მსროლელი დივიზიის შემადგენლობაში ირიცხებოდნენ: მსროლელთა ცალკე სამოსწავლო ბატალიონი, 844-ე მეკავშირეთა ცალკე ასეული (რომელიც იმავე წლის

ნოემბერში მეკავშირეთა ცალკე ბატალიონად გადაკეთდა), 508-ე ცალკე ავტოასეული, 165-ე ცალკე ტანკსაწინააღმდეგო გამანადგურებელი დივიზიონი და 471-ე ცალკე ქიმიური დაცვის ასეული.

1941 წლის ნოემბერში 394-ე დივიზია ახალ საშტატო ერთეულზე გადაიყვანეს და მისი პირადი შემადგენლობა 7 ათასი კაცით განისაზღვრა.[2]

აღსანიშნავია, რომ დივიზიაში ხშირად იცვლებოდნენ ქართველი მეთაურები და მათ ნაცვლად რუსი ეროვნების წარმომადგენლები ინიშნებოდნენ.

1941 წლის 25 აგვისტოდან 394-ე ქართული მსროლელი დივიზიის მეთაური იყო პოლკოვნიკი ვ.ძაბახიძე, რომელიც იმავე წლის ოქტომბერში პლკოვნიკმა სტაროჟილოვმა შეცვალა. 1942 წლის იანვარში დივიზიის მეთაურად დაინიშნა პოლკოვნიკი ვოლკოვიჩი, ივნისში – პოდპოლკოვნიკი ი.ქანთარია, სექტემბერში – პოლკოვნიკი ბელეხოვი. 1943 წლის თებერვალში დივიზიას სათავეში ჩაუდგა გენერალ-მაიორი ვ.ლისიცინი, ხოლო 1944 წლის ნოემბერში დივიზიის სარდლობა პოლკოვნიკმა ტიტოვმა ჩაიბარა.[3]

ცალკე უნდა შევეხოთ საკითხს დივიზიის ეროვნული შემადგენლობის შესახებ. სამწუხაროდ, საარქივო მასალების უქონლობა საშუალებას არ გვაძლევს ზუსტი მონაცემები მოგვეტანა შენაერთის ეროვნული შემადგენლობის შესახებ მისი შექმნის პირველ ხანებში. ი.ბაბალაშვილის ცნობით დივიზიის პირადი შემადგენლობის უდიდესი უმეტესობა, კერძოდ, 7253 მებრძოლი და მეთაური ქართველი იყო.[4] დივიზიის ეროვნული შემადგენლობის შესახებ ჩვენს ხელთ არსებული მონაცემები შედარებით გვიანდელ პერიოდს განეკუთვნება, რომელიც ასეთ სურათს იძლევა: 1943 წლის

1 იანვრისათვის 394-ე მსროლელ დივიზიაში 8424 კაციდან 2262 იყო რუსი, 2218 ქართველი, 1209 უკრაინელი, 1160 სომეხი, 553 აზერბაიჯანელი, 99 ბელორუსი, 84 ებრაელი, 70 ყაზახი, 113 დაღესტნელი, 42 ოსი, 64 თათარი, 24 თურქმენი და დანარჩენი – სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები.

იმავე წლის 1 აპრილისათვის შენაერთში ქართველების რაოდენობა შემცირდა 313 მეომრამდე, 1944 წლის 1 იანვრისათვის 139-მდე, ხოლო 1944 წლის 1 ივლისისათვის – 112 მებრძოლამდე.[5]

ამ მონაცემებიდან კარგად ჩანს, რომ 394-ე მსროლელ დივიზიაში ქართველების რაოდენობა მინიმუმამდე შემცირდა, მაგრამ გვაქვს თუ არა რაიმე საფუძველი იმისათვის, რომ მიახლოებით მაინც განვსაზღვროთ დივიზიის ეროვნული შემადგენლობა მისი შექმნის მომენტისათვის? ამისათვის მოვიხმობთ ორ დოკუმენტს: 1. პოლკოვნიკი ლ.გოგატიშვილი და კაპიტანი ვ.რუხაძე 394-ე მსროლელი დივიზიისადმი მიძღვნილ ნარკვევში აღნიშნავენ: "დივიზიის ნაწილები და ქვეგანაყოფები ყალიბდებოდა და კომპლექტდებოდა საქართველოს სხვადასხვა რაიონებიდან მოსული ქართველი ხალხის შვილებით...

საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატმა დივიზიის 478-ე ცალკე სამედიცინო-სანიტარული ბატალიონი, ნაწილებისა და ქვეგანაყოფების სამედიცინო პუნქტები მთლიანად ქართველი ექიმებითა და სამედიცინო პერსონალით დააკომპლექტა. ბატალიონის მეთაურად დანიშნა მე-3 რანგის სამხედრო ექიმი ს.ფირცხალიშვილი, შემდეგში კი სამხედრო ექიმი შ.ღლონტი.[6]

მე-2 დოკუმენტი გაუბერტ ლანცს ეკუთვნის, რომელიც ეხება მარუხის უღელტეხილისათვის წარმოებულ ბრძოლებს და თავის წიგნში "სამთო-მსროლელები" მიუთითებს, რომ "მარუხის უღელტეხილთან 2769 სიმაღლეზე ბრძოლები ცვალებადი წარმატებით მიმდინარეობდა. 28 აგვისტოს ჩვენ შემოგვიტია 810-ე ქართულმა მსროლელმა პოლკმა მისთვის დაქვემდებარებული მეტყვიამფრქვევეთა ასეულით, 3012 სიმაღლე დაიპყრო, რითაც ჩვენს მარჯვენა ფლანგს საფრთხე შეუქმნა".[7]

მაშასადამე, ჩვენს მიერ მოხმობილი ორი დოკუმენტიდან ჩანს, რომ 478-ე ცალკე სამედიცინო-სანიტარული ბატალიონი და 810-ე პოლკი ქართულია, რაც არ შეიძლება შემთხვევითი იყოს, რადგან 394-ე დივიზია საქართველოში ყალიბდებოდა, ამიტომ უნდა ვივარაუდოთ, რომ დივიზიის სხვა ნაწილები და ქვეგანაყოფები უმეტესად ქართველებით იყო დაკომპლექტებული, მაგრამ მარუხისა და ქლუხორის უღელტეხიებისათვის წარმოებულ მეტად მძიმე და უთანასწორო ბრძოლებში პირადი შემადგენლობის დიდი ნაწილი (ქართველობა) დაიღუპა. ამიტომაა, რომ 1943 წლის დასაწყისიდან ქართველების პროცენტული რაოდენობა 394-ე მსროლელ დივიზიაში თანდათანობით მცირდებოდა, შემდეგ კი მინიმუმადე დავიდა. (1945 წლის 1 იანვრისათვის დივიზიაში მხოლოდ 121 ქართველი იყო).[8]

ჩვენს სავარაუდო მოსაზრებას იმის შესახებ, რომ 394-ე დივიზიის პირადი შემადგენლობის უდიდეს უმრავლესობას თავდაპირველად მხოლოდ ქართველები შეადგენდნენ, რამდენადმე ამაგრებს შემდეგი საჭირო ცნობაც – "1941 წლის 1 ოქტომბრისათვის დივიზიის ქვედანაყოფები დაკომპლექტებული იყო უსწავლელი

პირადი შემადგენლობის 95-97 პროცენტით, რომელთაგან 80 პროცენტმა რუსული ენა არ იცოდა.[9]

1941 წლის ოქტომბრისათვის 394-ე მსროლელი დივიზიის პირადი შემადგენლობიდან 679 კაცი იყო მეთაური. მათ შორის 140 პოლიტშემადგენლობის, ხოლო რიგითი 9883. ე.ი. სულ 11289 კაცი. უმცროს მეთაურთა შემადგენლობა 717 კაცს შეადგენდა, რომელთაგან 417 რიგითი შემადგენლობიდან იყო დაწინაურებული.

რიგითთა შემადგენლობა სოციალური მდგომარეობით ასე გამოიყურებოდა: 1377 იყო მუშა, 7145 – კოლმეურნე, 44-ომში ბრძოლების მონაწილე, 197 მებრძოლს გავლილი ჰქონდა ნამდვილი სამხედრო სამსახური, 873 მცირე განათლების მქონე იყო.

უმცროს მეთაურთა შემადგენლობიდან 145 იყო მუშა, 358 კოლმეურნე, 9 ბრძოლების მონაწილე, 25 კაცს დამთავრებული ჰქონდა პოლკში არსებული სკოლა.

მეთაურთა შემადგენლობიდან 67 იყო მუშა, 20 კოლმეურნე, 217 კადრის მეთაური, 369 თადარიგიდან გაწვეული, 41 იყო ბრძოლების მონაწილე, სამხედრო სასწავლებლებში მომზადება გავლილი ჰქონდა 207 კაცს.[10]

394-ე ქართული მსროლელი დივიზია უშუალოდ ექვემდებარებოდა ამიერკავკასიის ფრონტის სარდლო-ბას, 1941 წლის ნოემბრიდან კი შევიდა იმავე ფრონტის 47-ე არმიის შემადგენლობაში. მაგრამ 47-ე არმიის ყირიმის ფრონტზე გაგზავნის გამო დივიზია კვლავ ამიერკავკასიის ფრონტის სარდლობის განკარგულებაში იყო. შემოკლებული საბრძოლო-პოლიტიკური პროგრამის გავლის შემდეგ, დეკემბრის ბოლო რიცხვებში. დივიზიის ნაწილები და ქვედანაყოფები გადაყვანილ იქნენ შავი ზღვის სანაპიროზე და განლაგდნენ გუდაუთ-სოხუმ-ოჩამჩირის რაიონებში.[11]

შავი ზღვის სანაპიროზე გადასვლის მომენტიდან 394-ე ქართული მსროლელი დივიზია 46-ე არმიის მე-3 კორპუსის შემადგენლობაში იყო. საერთოდ, დივიზია თავდაცვაზე იდგა 137 კმ-ის ფრონტზე. შენაერთის მარჯვენა ფლანგი ახალ ათონში იყო, ხოლო მარცხენა ფლანგი მდინარე ჩურიას ებჯინებოდა. დივიზიის თავდაცვით უბანზე მიმავალი გზა ზღვის სანაპიროს გასწვრივ გადავიდა. დივიზიის შტაბს ნაწილებთან კავშირი ჰქონდათ როგორც ტელეფონით ისე რადიოსადგურებით.[12]

1942 წლის 8 მაისს დივიზიის შტაბმა ფრონტზე შექმნილი გართულებული მდგომარეობის გამო, გამოსცა ბრძანება განსაკუთრებული სამხედრო რეჟიმის შემოღების შესახებ, რომელიც ქ.სოხუმსა და იმ ტერიტორიებზე ვრცელდებოდა, სადაც დივიზიის ნაწილები იყვნენ განლაგებული.[13]

46-ე არმია, რომლის შემადგენლობაში 394-ე ქართული მსროლელი დივიზია შედიოდა, შავი ზღვის სანაპიროს იცავდა მდინარე ფსოუდან სარფამდე. მას შავი ზღვის ფლოტთან და არმიის სამხედრო-საჰაერო ძალებთან ერთად ურთიერთმოქმედებით არ უნდა დაეშვა მოწინააღმდეგის საზღვაო და საავიაციო დესანტის გადმოსხმა. ძირითადი ყურადღება დაეთმო მდინარეების ფსოუს, ბზიფის, კოდორისა და ნატანების მიდამოებში საბრძოლო რიგების გაძლიერებისათვის. ამავე დროს გაეგრძელებინა თურქეთ-საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საზღვრის დაცვის საბრძოლო დავალების შესრულება შემდეგ ფრონტზე: სარფი, თლილის მთა (გრმანი).

394-ე ქართულ მსროლელ დივიზიას 647-ე საჰაუბიცო-საარტილერიო პოლკთან, 36-ე სასაზღვრო რაზმის ქვეგანაყოფებთან, 58-ე სატრანსპორტო ასეულთან, შინსახკომის 119-ე პოლკის მე-4 ასეულთან და შინსახკომის

61-ე პოლკთან ერთად უნდა დაეცვა შავი ზღვის სანაპირო ახალი ათონისა და მდინარე ჩურიას უბანზე, ამასთანავე არ დაეშვა გერმანელ-ფაშისტთა საზღვაო და საავიაციო დესანტის გადმოსხმა. ძირითადი დაჯგუფება ჰყოლოდა მდინარე კოდორის სანაპიროებზე და ოჩამჩირეში. არ უნდა დაეშვა მოწინააღმდეგის შეჭრა-გარღვევა ზუგდიდისა და ახალი სენაკის მიმართულებით.[14] მტრის საავიაციო დესანტის გადმოსხმის შემთხვევაში სოხუმის, ოჩამჩირის, ტყვარჩელის, გალის, ზუგდიდის, წალენჯიხის, ჩხოროწყუსა და ხობის შინსახკომის რაიონული განყოფილებების გამანადგურებელ რაზმებთან ერთად მოესპო იგი. დივიზიის შტაბი სოხუმში იქნებოდა, ხოლო სამეთაურო პუნქტები – გალსა და ზუგდიდში.[15]

394-ე ქართული მსროლელი დივიზიის ნაწილების თავდაცვით უბანზე მოსალოდნელი იყო მოწინააღმდეგის საავიაციო დესანტის გადმოსხმა, რათა მას გადაეჭრა ქუთაის-თბილისის მიმართულებით არსებული ძირითადი კომუნიკაციები. გერმანელები უმთავრესად იყენებდნენ იუნკერს – 88, გამანადგურებელ მესერშმიტ – 110 და ხენკელ – 126 ტიპის თვითმფრინავებს, რომელთა სიჩქარე საათში 455-525 კმ-ს აღწევდა. მათ წინააღმდეგ საბრძოლველად გამოყოფილი იყო ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის ოცეული. ძირს მფრენი მტრის თვითმფრინავების წინააღმდეგ საბრძოლველად ყოველ ბატალიონში მზად უნდა ყოფილიყო დაზგის ტყვიამფრქვევების ნახევარი. მოძრავი რეზერვის მეთაურს დავალებული ჰქონდა ჰაერიდან დაცვის უზრუნველყოფა. ბატალიონის თავმოყრის რაიონში უნდა მოემზადებინათ თხრილები და თავშესაფრები. სასანგრე სამუშაოები, ისე როგორც ძალთა გადაჯგუფება, მხოლოდ ღამით მიმდინარეობდა.[16]

არც თუ ისე იშვიათი იყო ისეთი შემთხვევები, როდესაც გერმანელების მოწინავე მზვერავთა რაზმები მოტოციკლეტებით, ანდა ქვეითად საბჭოთა არმიის მეთაურის, ან ჯარისკაცის ფორმას გადაიცვამდნენ და თან ჩვენ იარაღს ატარებდნენ. ზოგიერთი მათგანი რუსულ ენაზე სხვადასხვა შეკითხვებით მიმართავდა წითელარმიელებსა და მეთაურებს. ამასთან დაკავშირებით ფრონტის სარდლობის ბრძანებით მთელ პირად შემადგენ-ლობასა და მეთაურებს ფართო ახსნა-განმარტებით მუშაობა ჩაუტარდათ მტრის მხრიდან ნამდვილი პროვოკაციისა და მოტყუების თაობაზე. მეთაურებს დაევალათ ისე მოეწყოთ დაზვერვის ორგანიზაცია, რომ გამოეცნოთ მტრის ხრიკები და გაენადგურებინათ ის. გაეძლიერებინათ სიფხიზლე და მუდმივად შეემოწმებინათ ყველა ქვედანაყოფი და ნაწილი, განსაკუთრებით კი ზურგში დღისით და ღამით. მზვერავების და მოწინავე ნაწილებისათვის კონკრეტულად დაესახათ ამოცანები, ხოლო მათ მეთაურებად და პოლიტმუშაკებად დაენიშნათ მტკიცე და ძლიერი პირები, რომლებიც არ დაიბნეოდნენ.[17]

1942 წლის 27 მაისს ღამით ოჩამჩირის რაიონში გერმანელებმა პარაშუტით 4 კაციანი დესანტი გადმოსხა. დესანტის ლიკვიდაციის ოპერაციას ოჩამჩირის გამანადგურებელი ბატალიონი აწარმოებდა, რომლის დასახმარებლად შემდეგ ქვეით მზვერავთა ოცეული და 815-ე მსროლელი პოლკის დაზგის ტყვიამფრქვევის გათვლა გაიგზავნა. ურთიერთ სროლის დროს მედესანტეებიდან მოკლული იქნა 2 კაცი, ერთი ტყვედ ჩაბარდა და ერთი მიიმალა. მედესანტეები გადაცმული იყვნენ წითელარმიელების ფორმაში. მათი ასაკი 30-35 წელს არ აღემატებოდა. ისინი წარმოშობით ქართველები იყვნენ, რომლებიც ადრე ემიგრაციაში იმყოფებოდნენ.

ისინი შეიარაღებული იყვნენ მაუზერებით, პარაბელუმებით და კარაბინებით. ამასთან ერთად ასაფეთქებელი ნივთიერებაც ჰქონდათ, რომელიც ჩამოერთვათ. სავარაუდო იყო რადიოსადგურის არსებობა, რისთვისაც სათანადო ძებნა გაჩაღდა. გამანადგურებელი ბატალიონის მხრიდან 4 კაცი დაიღუპა და 5 დაიჭრა. ქვეითი მზვერავებისაგან და ტყვიამფრქვევის გათვლისაგან არავინ დაზიანებულა. რაც შეეხება მიმალულ მედესანტეს მისი ძებნა გულმოდგინედ წარმოებდა. ასე რომ 29 მაისისათვის მტრის დესანტის ლიკვიდაცია ფაქტობრივად დამთავრდა.[18]

394-ე ქართულ მსროლელ დივიზიაში დიდი ყურადღება ეთმობოდა საბრძოლო მომზადებას, რაშიც შენაერთის ნაწილებმა დადებით შედეგებს მიაღწიეს. ყველა ნაწილმა გააუმჯობესა და უფრო ორგანიზებული გახადა თავისი მუშაობა. კერძოდ, დივიზიაში 1942 წლის დასაწყისში 67 ფრიადოსანი ათეული და 28 ფრიადოსანი ოცეული იყო. იმასთან დაკავშირებით, რომ იანვრის ნახევრის ბოლომდე დივიზიას საჭირო რაოდენობით არ გააჩნდა შაშხანები და ტყვიამფრქვევები, საცეცხლე მომზადებაში მხოლოდ პირველი სავარჯიშო დამუშავდა-დაწყებითი სროლა საბრძოლო ვაზნებით. შაშხანიდან 3228 მსროლელმა დავალება ფრიადზე შეასრულა. 742 მებრძოლმა, 955 შეფასება მიიღო, ხოლო 663 კაცმა ცუდად ისროლა.[19]

ხელის ტყვიამფრქვევიდან 197 კაცმა ისროლა, რომელთაგან 18-მა შეფასება "ფრიადი" დაიმსახურა, 36-მა – კარგი, 118-მა საშუალო, ხოლო 25 მებრძოლმა არადამაკმაყოფილებელი. დაზგის ტყვიამფრქვევიდან 421 კაცმა ისროლა, რომელთაგან 95-მა დაიმსახურა "ფრიადი",

109 კაცმა შეფასება კარგი, 171-მა საშუალო, ხოლო 40-მა მეომარმა ცუდად ისროლა.[20]

ამის შემდეგ საბრძოლო მომზადებაში დივიზიამ I და მე-2 სავარჯიშო დაამუშავა, რომლის დროსაც 121 კაცმა შეფასება ფრიადი დაიმსახურა, 180-მა კარგი, 147-მა საშუალო და 54-მა არადამაკმაყოფილებელი.

ხელის ტყვიამფრქვევიდან სროლაში (მეორე სავარჯიშო) 8 მებრძოლმა დაიმსახურა შეფასება ფრიადი, 20-მა კარგი, 8-მ საშუალო.

დაზგის ტყვიამფრქვევიდან სროლაში ასეთი შედეგები აღინიშნა: 14 ფრიადი, 50 კარგი, 7 საშუალო და 2 ცუდი.

სნაიპერთა მომზადებაში – 30 ფრიადი, 47 კარგი, 30 საშუალო.

ნაღმტყორცნებიდან სროლაში – 131 ფრიადი, 155 კარგი, 108 საშუალო, 26 არადამაკმაყოფილებელი.

ტაქტიკურ მომზადებაში: 310 ფრიადი, 477 კარგი, 295 საშუალო და 82 არადამაკმაყოფილებელი.

სამწყობრო მომზადებაში: 216 ფრიადი, 303 კარგი, 154 საშუალო და 42 არადამაკმაყოფილებელი.[21]

ამ დროისთვის ჩრდილოეთ კავკასიაში, კერძოდ, სტანიცა ნევინომინსკაიასა და ქ.ჩერკასკის რაიონებში თავი მოიყარეს გერმანელ-ფაშისტთა 49-ე სამთო-მსროლელი კორპუსის ჯარებმა გენერალ რუდოლფ კონრადის მეთაურობით. ამ კორპუსში შედიოდა ოთხი სამთო-მსროლელი ეგერთა დივიზიები გერმანიის ჯარების სიამაყედ ითვლებოდნენ. განსკუთრებული პრივილეგიებით სარგებლობდა პირველი დივიზია, რომელიც "ედელვაისის" ალპური ყვავილის სახელწოდებას ატარებდა. ეს დივიზიები ჯერ კიდევ ომამდე ჰიტლერულმა სარდლობამ სპეციალურად ჩამოაყალიბა და

მოამზადა ალპურ მაღალმთიან რაიონებში სამოქმედოდ, ამიტომაც ამ დივიზიებს სათანადო პრაქტიკა და წვრთნა ჰქონდათ მიღებული. შეიარაღებული იყვნენ მთებში მოქმედებისათვის სპეციალური აღჭურველობით, ტანთ ეცვათ ზამთრის თბილი ტანსაცმელი, სპეციალური ფეხსაცმელები მთებში გადასაადგილებლად და სხვა.

1942 წლის აგვისტოს პირველ რიცხვებში მოწინააღმდეგის პირველმა და მეოთხე სამთო მსროლელმა დივიზიებმა მიიღეს ბრძანება – დაძრულიყვნენ კავკასიის მთავარი ქედისაკენ, ხელთ ეგდოთ მისი უღელტეხილები, გადასულიყვნენ ქედის მთავარ კალთებზე და აქედან გაჭრილიყვნენ შავი ზღვის სანაპიროებზე.[23]

ამ ბრძანების შესრულების მიზნით მტრის დივიზიებში შეიქმნა ცალკე რაზმები, რომლებსაც მიეცათ თავიანთი მიმართულებები. 394-ე დივიზიის საბრძოლო უბნისაკენ მათ არჩეული ჰქონდათ ოთხი ცალკე მიმართულება: მდინარე თებერდის ხეობით მოწინააღმდეგე ადიოდა ქლუხორის, ნახარისა და დომბაი-ულგენის უღელტეხილებზე, მდინარე მარუხისა და აქსაუთის ხეობებით მარუხის უღელტეხილზე, მდინარე დიდი ზელუნჩუკით – ნაურის უღელტეხილზე და მდინარე დიდი ლაბას ხეობით – სანჭაროსა და მის რაიონში მდებარე უღელტეხილებზე.

ყველა ამ უღელტეხილებიდან მოწინააღმდეგეს შეეძლო შედარებით უფრო ადვილად გადაელახა ქლუხორის უღელტეხილი, რომელიც ზღვის დონიდან 2816 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს.

საბრძოლო მოქმედების დაწყებამდე ეს უღელტე-ხილები თავდაცვისათვის სათანადოდ მომზადებული არ იყო და მოწინააღმდეგისათვის მაინცდამაინც დიდ დაბრკოლებას არ წარმოადგენდა. ზოგიერთი

ხელმძღვანელი ამ მეტად მნიშვნელოვან და საპა-სუხისმგებლო საქმეს რატომღაც მეორეხარისხოვნად თვლიდა და მას სათანადო ყურადღება არ ექცეოდა.[24] ამ საქმეში ცოტა ბრალი როდი მიუძღოდა ამიერკავკასიის ფრონტის სარდლობას და შტაბს, რომლებმაც მოუფიქრებლად გადაწყვიტეს, რომ უღელტეხილები თავისთავად მიუდგომელი იქნებოდა მოწინააღ-მდეგისათვის. “ზოგიერთი ჩვენთაგანი ფრონტის სარდალი ი.ტიულენევი, რომელიც შემდგომ გვამცნობს – “მხოლოდ უმაღლესი მთავარსარდლობის ჩარევამ გამოასწორო ჩვენი შეცდომა. მოსკოვის მითითების თანახმად ჩვენ შევიმუშავეთ კავკასიის მთავარი ქედის უღელტეხილების დაცვის ახალი გეგმა. უღელტეხილები დაყოფილი იქნა მიმართულებებად, რომელთაც სათავეში ჩაუდგნენ გამოცდილი მეთაურები და შტაბები.

მიღებული ზომების შედეგად რამდენიმე კვირის განმავლობაში აქაც მოხდა გადამწყვეტი გარდატეხა. ამას ხელი შეუწყო ჯარების გადაჯგუფებამ, უმნიშვნელოვანეს მიმართულებათა დაცვის გაძლიერებამ, მაღალმთიანეთში მოქმედი სპეციალური რაზმების ფორმირებამ, საბრძოლო მოქმედებათა იზოლირებულ რაიონებს შორის გადაწყვეტილი კავშირის აღდგენამ, ჯარების ნორმალურმა მომარაგებამ საბრძოლო მასალებით, სურსათით და მაღალმთიანეთში საჭირო სპეციალური აღჭურვილო-ბით.[25]

394-ე ქართულ მსროლელ დივიზიას, რომელსაც შექმნიდან ერთი წელი უსრულდებოდა, წინ მოელოდა ძლიერ და მრისხანე მტერთან პირველი შერკინება მეტად რთულ პირობებში – თავდაცვისათვის მოუმზადებელ კავკასიონის მთავარი ქედის უღელტეხილებზე. შენაერთის მდგომარეობას ართულებდა ისიც, რომ მას საბრძოლო

ტექნიკის მხრივ უპირატესობის მქონე მოწინააღმდეგესთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა უნდა ეწარმოებინა სამთო პირობებში.

1942 წლის 10 აგვისტოს გაჩაღდა საბრძოლო მოქმედება ქლუხორის უღელტეხილის მიდამოებში. საბრძოლო მოქმედების დაწყებისანავე ქლუხორის, მარუხისა და სანჭაროს უღელტეხილები დამოუკიდებელ მიმართულებებად დაიყო. ამ მიმართულებებზე ოპერაციების საერთო ხელმძღვანელობა დაეკისრათ: ქლუხორის მიმართულებაზე – დივიზიის შტაბს, მარუხის მიმართულებაზე – მარუხის უბნის ჯარების ჯგუფის შტაბს და სანჭაროს მიმართულებაზე – პიაშევის პოლკების ჯგუფის შტაბს.

394-ე ქართული მსროლელი დივიზიის შტაბს ემორჩილებოდა: 815-ე მსროლელი პოლკი, მსროლელთა ცალკე სამოსწავლო ბატალიონი, მე-9 სამთომსროლელი დივიზიის 121-ე პოლკი, 956-ე საარტილერიო პოლკის მე-2 ბატალიონი, 155-ე მსროლელი ბრიგადა და სოხუმის ქვეითთა სამხედრო სასწავლებლის სპეციალური რაზმი.[26]

მარუხის მიმართულებით ჯარების შტაბს დაუმორ-ჩილეს 808-ე და 810-ე მსროლელი პოლკები, 155-ე მსროლელი ბრიგადის მე-3 პოლკი და 956-ე საარტილერიო პოლკის მე-2 ბატალიონის მე-5 ბატარეა.[27]

მოწინააღმდეგის პირველი სამთომსროლელი დივიზიის (“ედელვაისის”) ნაწილები მდინარე თებერდის ხეობით მოადგნენ ქლუხორის უღელტეხილს, რომელსაც 815-ე პოლკის პირველი ბატალიონი იცავდა. ამ ბატალიონის ერთი ასეული უშუალოდ უღელტეხილზე იმყოფებოდა, ორი ასეული კი იქვე, სამხრეთ ფერდობზე (ამ პოლკის მე-2 ბატალიონი იმყოფებოდა დაბლა, სოფელ გვანდრასა და აჟარის მიდამოებში). მე-3 ბატალიონი კი

სოხუმში. 1942 წლის 15 აგვისტოს ქლუხორის უღელტეხილთან მოსულმა მოწინაათმდეგემ ერთი სამთო-მსროლელი პოლკით არტილერიისა და ავიაციის მხარდაჭერით რამდენიმე მიმართულებიდან მოულოდნელი იერიში მიიტანა უღელტეხილზე მყოფ 815-ე პოლკის ქვედანაყოფებზე. გაიმართა უთანასწორო ბრძოლები, რომელმაც ორ დღეს გასტანა. პოლკის ქვეგანაყოფები თავდადებულად იცავდნენ თავის პოზიციებს, მაგრამ ვერ გაუძლეს გერმანელების ძლიერ შეტევას და დიდი დანაკლისი განიცადეს.[28] მოწინააღმდეგემ ქლუხორის უღელტეხილზე 815-ე პოლკის ყველა საცეცხლე საშუალება გაანადგურა და 1942 წლის 16-დან 17 აგვისტოს ღამით ქლუხორის უღელტეხილი დაიკავა.

815-ე მსროლელი პოლკის პირველმა ბატალიონმა განსაკუთრებით დიდი დანაკლისი განიცადა. კერძოდ, 17 კაცისაგან შემდგარმა ნარჩენებმა სტიქიურად, ყოველგვარი ბრძანების გარეშე დაიხიეს უღელტეხილის სამხრეთ ფერდობზე და 18 აგვისტოს ისინი უკვე სამხრეთ პრიუტის რაიონში იყვნენ.

მოწინააღმდეგემ შეტევა განავითარა და 19 აგვისტოს სამხრეთ პრიუტთან მივიდა და თავდაცვის ხაზის გარღვევას ცდილობდა.

ქართული დივიზიის ქვეგანაყოფების დასახ-მარებლად გაგზავნილი იქნა დივიზიის ცალკე სასწავლო ბატალიონი, რომელიც 20-22 აგვისტოს განმავლობაში მძიმე თავდაცვით ბრძოლებს აწარმოებდა, დიდი დანაკარგების ფასად ფაშისტთა შეტევებს აჩერებდა და ნელ-ნელა უკან იხევდა.[29]

ამასთან ერთად, გაიგზავნა სოხუმის სამხედრო სასწავლებლის კურსანტთა რაზმი, 815-ე მსროლელი

პოლკის მე-3 ბატალიონი და შინსახკომის რაზმი. იმის გამო, რომ რეზერვები ძალიან დაშორებული იყვნენ უღელტეხილისაგან და მოძრაობდნენ მდინარე გვანდრის ვიწრო ხეობის ძნელად სავალი გზით, დასახმარებლად გაგზავნილმა ქვეგანაყოფებმა მხოლოდ 22 აგვისტოს მოახერხეს ბრძოლის ადგილზე მისვლა. ამ დროისათვის მოწინააღმდეგის ძალები დაახლოებით ერთი ქვეითი პოლკის რაოდენობით 10-12 კილომეტრამდე ჩამოვიდნენ კლიჩის ხეობაში და სამხრეთ პრიუტს მოადგნენ.

შეიქმნა მოწინააღმდეგის შავი ზღვის სანაპიროებზე გამოსვლის საშიშროება. ამ მეტად მეტად ძნელი მდგომარეობის გამო ბრძოლებისათვის უშუალო ხელმძღვანელობის გასაწევად მე-3 კორპუსის მეთაური გენერალ-მაიორი კოტე ლესელიძე და 46-ე არმიის სამხედრო საბჭოს წევრი ვ.ბაქრაძე სასწრაფოდ გავიდნენ ბრძოლის წინა ხაზზე. რეზერვების მოშველიების შედეგად ქართველმა მეომრებმა შეაჩერეს ჰიტლერელთა წინსვლა და 26 აგვისტოს თვითონ გადავიდნენ შეტევაზე, მაგრამ მოწინააღმდეგეს უკვე მოესწრო ხელსაყრელი პოზიციების დაკავება კლიჩის ხეობის ახლო მწვერვალებზე და ამიტომ 394-ე დივიზიის ნაწილებმა ვეღარ შეძლეს შეტევის განვითარება. ამასობაში ფაშისტები ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რადაც უნდა დასჯდომოდათ გაერღვიათ ჩვენი ქვეგანაყოფების განლაგება და სოხუმის მიმარ-თულებით გაჭრილიყვნენ. ამისათვის მტერმა ფანდს მიმართა – შეეცადა არევდარევა და დეზორგანიზაცია შეეტანა ქვეგანაყოფების პოზიციების ზურგში. ისარგებლებდა რა ამით, მოწინააღმდეგე ფიქრობდა ფრონტიდან გადამწყვეტ იერიშზე გადასულიყო. მართლაც, 27 აგვისტოს, დილით, მოწინააღმდეგის მეავტომატეთა რამდენიმე ჯგუფი 200 კაცის შემადგენლობით, რაც

საკმაოდ დიდ ძალას წარმოადგენს ტყიანი, მთაგორიანი ადგილმდებარეობის პირობებში, ფარულად შემოიჭრა ჩვენი საბრძოლო განლაგების ზურგში და უეცრად იერიში მიიტანა იქ მყოფ ქვედანაყოფებზე. გერმანელმა მეავტომატეებმა იერიში მიიტანეს აგრეთვე არტილერიის პოზიციებზე. მეავტომატეთა ერთი ნაწილი სწრაფად გაიჭრა სოფელ გვანდრასკენ, სადაც მოთავსებული იყო დივიზიის სამეთაურო პუნქტი. მტრის მეავტომატეთა მეორე ნაწილმა კი იერიში მიიტანა 815-ე პოლკის სამეთაურო პუნქტზე.

შეიქმნა სერიოზული საფრთხე დივიზიისა და პოლკის სამეთაურო პუნქტების განადგურებისა. ასეთი ძნელი და რთული ვითარების გამო ბრძოლის ხელმძღვანელობა უშუალოდ ხელში აიღეს დივიზიის მეთაურმა, პოლკოვნიკმა ვანო ქანთარიამ და დივიზიის შტაბის უფროსმა მაიორმა ტიხონ ჟაშკომ.[30]

დივიზიის შტაბისაკენ გამოჭრილ მოწინააღმდეგეს გზა გადაუჭრა სოხუმის სამხედრო სასწავლებლის კურსანტთა ქვეგანაყოფმა, ბრძოლაში ჩაებნენ 815-ე პოლკის ქვეგანაყოფებიც. დაიწყო გააფთრებული ბრძოლები, რაც ზოგიერთ ადგილებში ხელჩართულ შეტაკებებში გადადიოდა. დივიზიის საარტილერიო პოლკის ბატარეები ძლიერ გადამღობ ცეცხლს აწარმოებდნენ, როგორც წინა ხაზზე, ასევე ზურგში შემოჭრილ მოწინააღმდეგეზე.

ამ კრიტიკული მდგომარეობიდან თავის დაღ-წევისათვის დიდი როლი შეასრულეს 121-ე სამთო-მსროლელი პოლკის ქვეგანაყოფებმა, რომლებმაც მძაფრი იერიში მიიტანეს ჩვენს ზურგში შემოჭრილი მტრის ჯგუფებზე. მტრის მეავტომატეთა ეს ჯგუფები სულ მცირე დროში მთლიანად იქნენ მოსპობილი. ამ წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღოდათ დივიზიის საარტილერიო

პოლკის ქვეგანაყოფებს, გასაკუთრებით ამ პოლკის ნაღმტყორცნელთა მე-3 დივიზიონს, რომელმაც არამც თუ მოიგერია გერმანელ მეავტომატეთა იერიში, არამედ თავისი მოხერხებული და საზრიანი მოქმედებით, ზუსტი გამანადგურებელი ცეცხლით მუსრი გაავლო ზურგში შემოჭრილ მოწინააღმდეგეს, არ მისცა მას საშუალება, უფრო ღრმად შემოჭრილიყო და შემდგომ განევითარებინა იერიში.

ამ ბრძოლაში მამაცობისა და გმირობის გამოჩენისათვის მრავალი მეთაური და მებრძოლი დაჯილდოვდა ორდენებითა და მედლებით. ამ მარცხის შემდეგ გერმანელები იძულებული გახდნენ თავდაცვაზე გადასულიყვნენ და დროებით ხელი აეღოთ ფრონტის გარღვევაზე ქლუხორიდან სოხუმის მიმართულებით.[31]

მაგრამ ჩვენი ნაწილების ცდებიც უღელტეხილების უკან დაბრუნებისათვის უშედეგოდ დამთავრდა, რადგან ჩვენს ჯარებს ჯერ კიდევ არ ჰქონდათ სათანადო გამოცდილება მაღალმთიან რაიონებში მოქმედების, არც აღჭურვილი და მომარაგებული იყვნენ ასეთი პირობებისათვის, ვინაიდან ისინი საველე ნაწილები იყვნენ და არა სამთო. უღელტეხილის უკან დაბრუნებისათვის საჭირო შეიქმნა ნაწილებისა და ქვედანაყოფების გადაჯგუფება, მომარაგება და დამატებითი რეზერვების წამოწევა, რისთვისაც საჭირო იყო კოდორის ხეობაში სასაპალნე გზის გაფართოება და შეკეთება. ჩვენი ნაწილები სასწრაფოდ შეუდგნენ შეტევაზე გადასვლისათვის მზადებას.[32]

მაშასადამე, 1942 წლის 25 აგვისტოდან 8 სექტემ-ბრამდე ქლუხორის უღელტეხილის მიდამოებში მოქმედმა 394-ე ქართული მსროლელი დივიზიის ნაწილებმა აქტიური შეტევით ძირითადად გაანადგურეს

გერმანელების პირველი სამთო-მსროლელი ეგერთა ალპიური დივიზია, რის შედეგადაც გასტეხეს მტრის წინააღმდეგობა და შესაძლებლობა არ მისცეს მას გასულიყო შავი ზღვის სანაპიროებზე.[33] თუმცა დივიზიამ დიდი დანაკლისი განიცადა.

საბრძოლო მოქმედებანი მარუხის უღელტეხილ-ზე ქლუხორის უღელტეხილთან შედარებით გვიან დაიწყო. მარუხის უღელტეხილის დაცვა უშუალოდ 810-ე მსროლელ პოლკს ევალებოდა. ქლუხორის უღელტეხილის დაკავების მომენტში მოწინააღმდეგე მარუხის უღელტეხილზე ჯერ კიდევ არ ჩანდა. ეს ხელსაყრელ პირობებს ჰქმნიდა იმისათვის, რომ 810-ე პოლკი ქლუხორის უღელტეხილზე მოქმედი მტრის ქვედანაყოფების ზურგში გაჭრილიყო. იმ დროს, როდესაც ქლუხორის მიმართულებით ჯარები გადამწყვეტ შეტევაზე გადასასვლელად ემზადებოდნენ, მარუხის უღელტეხილზე იმყოფებოდნენ 810-ე პოლკის ქვეგანაყოფები. 46-ე არმიის სარდლობამ ხელსაყრელ პირობად ჩათვალა ამ უღელტეხილიდან ქლუხორის უღელტეხილის ზურგიდან შემოვლა.

ამ გაბედული ოპერაციის განხორციელებისათვის რაზმის სახელმძღვანელოდ შეიქმნა შტაბი, რომელსაც სახელად “მთის შტაბი” უწოდეს. შტაბის უფროსად დაინიშნა მაიორი ზასტუპუ. ნაბრძანები იყო, რომ რაზმი 24 აგვისტოს ასულიყო მარუხის უღელტეხილზე (ზღვის დონიდან 2768მ) და მაშინვე დაეწყო ქედის ჩრდილოეთი კალთებით მოძრაობა ქლუხორის უღელტეხილის ჩრდილოეთიდან შემოსავლელად, მართალია, ბრძანება გონივრულ მიზანს ისახავდა, მაგრამ იგი ძალზე რთული შესასრულებელი იყო, დროც არ ითმენდა. მდგომარეობას ისიც ართულებდა, რომ გვიანდებოდა რაზმის თავმოყრა,

რადგანაც რაზმისათვის გამოყოფილი ქვედანაყოფები დაშორებული იყვნენ ერთმანეთისაგან და თავმოსაყრელი ადგილისაგანაც. რაზმის ქვეგანაყოფებმა თავმოყრა იწყეს სოფელ ზახაროვკაში.

808-ე პოლკის მე-3 ბატალიონი, რომელიც ამ რაზმში უნდა შესულიყო, ადრე მიღებული განკარგულების თანახმად უკვე მიემართებოდა არა მარუხის, არამედ ქლუხორის უღელტეხილისაკენ, საჭირო გახდა ამ ბატალიონის შემობრუნება მარუხის მიმართულებით.

ზახაროვკაში შეგროვილმა ქვეგანაყოფებმა მოძრაობა იწყეს უღელტეხილისაკენ ამტყელის ვიწრო, ტყიანი და მთაგორიანი ხეობით. ლაშქრობა მეტად ძნელი და დამქანცველი იყო, ზოგჯერ დასაპალნებული ცხენები და სახედრები ბარგიანად ცვიოდნენ ხევში.[34]

რაზმის შტაბის ბრძანების თანახმად, 26 აგვისტოს 808-ე პოლკის ქვედანაყოფებს 12 საათისათვის უნდა დაეკავებინათ უღელტეხილი. 810-ე პოლკის ქვეგანაყოფები მოთავსდებოდნენ უღელტეხილის დაბლა, ჩანჩქერის რაიონში, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ 808-ე პოლკს მარუხზე მხოლოდ მე-2 ბატალიონი მიყავდა თავისი ტყვიამფრქვევითა და ნაღმტყორცნი ქვეგანაყოფებით, ვინაიდან ამ პოლკის პირველი ბატალიონი სანჭაროს უღელტეხილზე იყო. მე-3 ბატალიონი კი ცალკე პოლკის გარეშე ლაშქრობდა მარუხის უღელტეხილისაკენ.

810-ე პოლკიდან უღელტეხილისაკენ მიდიოდა მხოლოდ მისი პირველი ბატალიონი თავისი ქვეგანაყოფებით, რადგანაც მე-2-ე ბატალიონი მარუხის უღელტეხილზე იდგა თავდაცვაში, მესამე ბატალიონი კი ნაურის უღელტეხილზე. ისე, რომ ორივე პოლკს თითო ბატალიონი აკლდა. სამაგიეროდ 810-ე პოლკში შეყვანილი

იყვნენ გასაძლიერებლად 155-ე მსროლელი ბრიგადის ზოგიერთი ქვეგანაყოფები.

მარუხის მიმართულების მეთაურმა პოლკოვნიკმა ვ.აბრამოვმა მიიღო გადაწყვეტილება შეექმნა ორი რაზმი. პირველი რაზმი – 810-ე პოლკის პირველი ბატალიონი, მეავტომატეთა ასეული, ნაღმტყორცნელთა ასეული, 155-ე ბრიგადის მეავტომატეთა ასეული, ამავე ბრიგადის მეავტომატეთა და ნაღმტყორცნელთა ოცეულები მაიორ კირილენკოს მეთაურობით იმოძრავებდა ყარაყაის მთისა და მდინარე ალიბეკის მიმართულებით, ზურგიდან შეუტევდა ქლუხორის უღელტეხილს. მეორე რაზმი – 808-ე პოლკის მე-3 ბატალიონი (მეორე ასეულის გარდა), მეტყვიამფრქვევეთა და ნაღმტყორცნელთა ასეულები, პოლკის სკოლა, მეავტომატთა ოცეული, №7 სპეციალური რაზმი, 155-ე ბრიგადის ნაღმტყორცნელთა ოცეული და მესანგრეთა ოცეული მაიორ სმირნოვის მეთაურობით – იმოძრავებდა მდინარე გონაჩხირის სათავის მიმართულებით, ზურგიდან შეუტევდა ქლუხორის უღელტეხილს და პირველ რაზმთან ერთად ხელთ იგდებდა მას. პირველ რაზმს მაიორმა სმირნოვმა უბრძანა მეორე რაზმის ფრთის დაცვა.[35]

808-ე პოლკის მეორე ბატალიონი კაპიტან ლადო თათარაშვილის მეთაურობით ავიდა თუ არა მარუხის უღელტეხილზე, მაშინვე შეუდგა თავდაცვისათვის მზადებას. მის წინ და მარცხნივ თავდაცვისათვის პოზიციები ეკავა 810-ე პოლკის მე-2 ბატალიონს. ამ დროს ჩრდილო კავკასიიდან უღელტეხილზე ამოსვლა იწყეს პარტიზანებმა თავიანთი ოჯახებით ყაბარდო-ბალყარეთის პარტიის საოლქო კომიტეტის მდივნის ხ.ლაიპანოვის ხელმძღვანელობით. მათთან ერთად იყვნენ აგრეთვე იშვიათი ლითონების მაღაროს დირექტორი ვ.პანაევი და

მაღაროს მთავარი ინჟინერი დროზდოვი. ოჯახები გამყოლების თანმხლებით გაიგზავნა სოხუმში, პარტიზანები კი დარჩნენ 810-ე პოლკში.

ამ დროისათვის მოვლენები სანჭაროს უღელ-ტეხილზე და მის რაიონში ასე ვითარდებოდა: ამ მიმართულებით ბრძოლების დაწყებამდე სანჭაროს უღელტეხილის დაცვა ნაბრძანები ჰქონდა 808-ე პოლკის პირველი ბატალიონის ერთ მსროლელ ასეულს, დნარჩენი სანჭაროს ჯგუფის უღელტეხილები კი შინსახკომის რაზმებს. 1942 წლის 25 აგვისტოს მოწინააღმდეგე მოულოდნელად გადმოვიდა იერიშზე და უკუაგდო იერიშის დამცველი ქვეგანაყოფი, რის შემდეგ იწყო ქედის სამხრეთ კალთებზე დაშვება და აიღო მიმართულება ფსხუსაკენ.[36]

უღელტეხილის უკანვე დაბრუნებისათვის შედგენილ იქნა სანჭაროს მიმართულების ჯარების ჯგუფი, რომელსაც ებრძანა სასწრაფოდ გასულიყო უღელტეხილისაკენ და სხვადასხვა მიმართულებიდან გადასულიყო შეტევაზე უღელტეხილიდან ჩამოსულ მოწინააღმდეგეზე, შეეჩერებინა მისი წინსვლა და დაებრუნებინა უღელტეხილი. 28 აგვისტოს გერმანელებმა დაიკავეს სოფელი ფსხუ, გადმოლახეს მდინარე ბზიფი და მოვიდნენ ბზიფის ქედის დიუსა და აჭავჭარის უღელტეხილებთან, სადაც ბრძოლაში ჩაება სანჭაროს ჯგუფის ჯარებთან ერთად, რომელშიაც ახლა იმყოფებოდნენ აგრეთვე 808-ე პოლკის პირველი ბატალიონის უკანდახეული ქვეგანაყოფებიც. ამ ბრძოლების შედეგად პირველ სექტემბერს მოწინააღმდეგის წინსვლა შეჩერებული იქნა, მისი მეწინავე რაზმები კი მდინარე ბზიფის მარჯვენა ნაპირზე განდევნეს.

მაღალმთიან რაიონებში ერთი მთლიანი ფრონტი არ არის, არამედ ჯარები მოქმედებენ ცალ ცალკე, ხევების გასწვრივ, ცალკე მიმართულებით, რომლებიც ერთიმეორისაგან დიდი მანძილებით არის დაშორებული და ამიტომაც ჯარების ურთიერთმოქმედება ერთობ გაძნელებულია.[37]

808-ე პოლკის მე-3 ბატალიონმა სასწრაფოდ აიღო მიმართულება ქლუხორის უღელტეხილისაკენ, მაგრამ ბატალიონმა გზაში განკარგულება მიიღო დაბრუნებულიყო უკან და სოფელ აჟარაში ჩასულიყო. აჟარაში ჩასვლისთანავე ბატალიონის მეთაური ვასილ რუხაძე და ბატალიონის კომისარი გრიშა კილაძე გამოიძახა კორპუსის მეთაურმა გენერალმა კოტე ლესელიძემ, მასთან ერთად იმყოფებოდნენ 394-ე დივიზიის მეთაური, პოდპოლკოვნიკი ვ.ქანთარია, აფხაზეთის საოლქო პარტიული კომიტეტის პირველი მდივანი და აფხაზეთის სახკომსაბჭოს თავმჯდომარე. ბატალიონმა ახალი საბრძოლო დავალება მიიღო, რომლის თანახმადაც ლეიტენანტი ა.ვართანიანი თავის მე-9 ასეულით დარჩებოდა დივიზიის შტაბის განკარგულებაში, ხოლო ბატალიონის დანარჩენი ქვედანაყოფები მდინარე ჩხალთის ხეობით ავიდოდნენ მარუხის უღელტეხილზე. იქ მათ შეხვდებოდათ 810-ე პოლკის მეთაურის მაიორ სმირნოვის რაზმი, მასთან ერთად გადავიდოდნენ ქედის ჩრდილოეთ კალთებზე და ყარა-ყაის მთის მიმართულებით ზურგიდან შემოუვლიდნენ ქლუხორის უღელტეხილზე მყოფ მოწინააღმდეგეს. ამოცანას დაწვრილებით გაეცნობოდნენ დივიზიის შტაბში. გენერალმა გააფრთხილა ბატალიონის მეთაური, რომ "თუ სმირნოვის რაზმი არ შეგხვდა უღელტეხილზე, მაშინ მას ნუ დაელოდებით, განაგრძეთ გზა და ამოცანის შესრულება, სმირნოვი თქვენ

დაგეწევათო. თქვენს მარცხნივ იმოქმედებს მარცხენა ფრთის დამცველი, მაიორ კირილენკოს რაზმი 810-ე პოლკიდან. ეცადეთო, მალე ახვიდეთ უღელტეხილზე”.

ბატალიონმა მიიღო ორი დღისათვის საკმარისი მშრალი ულუფა, სალაშქრო დაცვაში გამოჰყო ლეიტენანტ კოტე სვინტრაძის ოცეული და შეუდგა მდინარე ჩხალთის ხეობით მარუხისაკენ ლაშქრობას. ლაშქრობა ტარდებოდა მეტად მძიმე პირობებში, ვიწრო ბილიკებითა და უგზო-უკვლოდ ხის მორებითა და ქვებით ჩახერგილ ვიწრო ხეობაში, სრულიად უტრანსპორტოდ, მეთაურებსა და მებრძოლებს ყველაფერი ზურგით მოჰქონდათ. დიდი სიძნელეების მიუხედავად, როგორც იქნა, დაღლილ-დაქანცულებმა მიაღწიეს მარუხის უღელტეხილს.

ადგილმდებარეობის შესწავლის დროს გამოირკვა, რომ უღელტეხილიდან გასვლის შემდეგ ბატალიონს მოუხდებოდა 5-6 კილომეტრიანი მარუხის დაქანებული მყინვარის დაქანებული ველის გადალახვა ყარა-ყაის მთის (ზღვის დონიდან 3895მ.) მიმართულებით. სალაშქრო დაცვის ოცეულის მეთაურისაგან მოვიდა ცნობა, რომ უღელტეხილის გადაღმა სიმაღლეებზე შემჩნეულია მოწინააღმდეგის მცირე ჯგუფები. სალაშქრო დაცვას ებრძანა, განეგრძო მოძრაობა და თან ყურადღება ჩამოეშორებინა მის მიერ შემჩნეული მტრის ჯგუფებისათვის. ლეიტენანტ გრიშა ბარამიძის ოცეული გამოიყო მარცხენა ფრთის დაცვაში და ბატალიონმა გათენებისას მოძრაობა იწყო ყარა-ყაის მიმართულებით. შეუდგა თუ არა ბატალიონი ყინვარის გადალახვას, მოწინააღმდეგემ მარცხენა ფრთიდან ტყვიამფრქვევებისა და ნაღმტყორცნების ცეცხლი გაუხსნა. მე-8 ასეულის მეთაურმა ლეიტენანტმა ნიკოლოზ სხირტლაძემ სწრაფად გაშალა ლეიტენანტ კ.სვინტრაძის ოცეული და საპასუხო

ცეცხლი გაუხსნა მტერს, აკაკანდნენ ტყვიამფრქვევები, ახმაურდნენ შაშხანები და ნაღმტყორცნები. ამით ისარგებლა მარცხენა ფრთის დამცველმა ოცეულმა, ფარულად შემოუარა მტერს და ზურგიდან დაარტყა მას. განადგურებულ იქნა მოწინააღმდეგის საბრძოლო დაცვა. ამ ბრძოლაში ქართველმა მებრძოლებმა პირველი საბრძოლო ნათლობა მიიღეს.

მყინვარი თავის დაქანებული ფერდობითა და მრავალი ყინულიანი ნაპრალებით მეტად ძნელი გადასალახავი აღმოჩნდა. მებრძოლებს ფეხი უსხლტდებოდათ და იყო შემთხვევები ნაპრალში დაღუპვისა. ხრამებსა და ნაპრალებში 40-მდე მებრძოლი დაიღუპა.

29 აგვისტოს, საღამოს, როგორც იქნა ქვედანაყოფებმა მიაღწიეს ყარა-ყაის მთის ფერდობს, სადაც ირგვლივ განლაგდნენ საველე ყარაულები, რომლებიც ყოველ ოც წუთში იცვლებოდნენ, რათა არ გაყინულიყვნენ, ვინაიდან საზაფხულო ტანსაცმლით იყვნენ წამოსულნი შავი ზღვის სანაპიროებიდან.

ოცეულის მეთაური ლეიტენანტი მ.ჩხარტიშვილი, სერჟანტი ლ.მშვენიერიძე, მებრძოლები ა.გურეშიძე და ვ.ბარათელი, რომლებიც დასაზვერვად იყვნენ გაგზავნილი, დაბრუნდნენ და უსიამოვნო ცნობა მოიტანეს: მოწინააღმდეგეს ყარა-ყაის მთის გადაღმა მდინარე აქსაუტის მარჯვენა ნაპირას მდებარე სიმაღლეები დაეკავებინა და გადაეკეტა გზა ქლუხორის უღელტეხილისაკენ. ახლა უკვე ნათელი გახდა, რომ მოსალოდნელი იქნებოდა მძიმე ბრძოლები.[39] შექმნილი მდგომარეობის გამო მიღებული იქნა გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც მე-7 ასეულს ღამითვე ფარულად უნდა შემოევლო მოწინააღმდეგისათვის მარცხენა

ფრთიდან და ზურგიდან მიეტანა იერიში. ამ ასეულის პირველი ოცეული იერიშს მიიტანდა გაბატონებულ სიმაღლეზე. ამავე დროს მე-8 ასეული დაიწყებდა ციცაბოზე დაშვებას, შემდეგ ავიდოდა რა მოწინააღმდეგის მიერ დაკავებულ სიმაღლეზე, იერიშს მიიტანდა მასზე. ლეიტენანტმა ნიკო სხირტლაძემ მე-8 ასეული დაჰყო პატარ-პატარა ჯგუფებად. ასეული თოვლიან ხევში დაეშვა, შემდეგ კი იწყო სიმაღლის ძლიერ დაქანებულ ფერდობზე ფოფხვით და წვალებით აცოცება.

მოწინააღმდეგემ ვერ შეამჩნია ეს ფარული ფოფხვით მსვლელობა. მტერი სრულებითაც არ მოელოდა იმას, რომ ჩვენი მებრძოლები გამოიჩენდნენ ისეთ გაუგონარ მამაცობასა და ამტანობას, რომ გადალახავდნენ ასეთ ძნელ ბუნებრივ დაბრკოლებებს და ისიც ღამით. ქვედანაყოფები და ჯგუფები ერთხანს მიყუჩნდნენ და როგორც კი ოდნავ ირიჟრაჟა, ნ.სხირტლაძის ჯგუფმა ხელყუმბარები დაუშინა მტერს. დანარჩენმა ჯგუფებმაც არ დააყოვნეს და მყისვე გაუხსნეს მოწინააღმდეგეს შემმუსვრელი ცეცხლი. ამავე დროს ლეიტენანტმა შალვა მარჯანიშვილმა ზურგიდან დაარტყა მოწინააღმდეგის მარჯვენა ფრთას, ბარამიძის ოცეულმა კი იერიში მიიტანა გაბატონებულ სიმაღლეზე და ხელთ იგდო იგი. გათენებისას ამას ზედ დაემატა ლეიტენანტ კაკო ბეროშვილის ტყვიამფრქვევებისა და ლეიტენანტ მამია მაღლაკელიძის ნაღმსატყორცნების ძლიერი ცეცხლი.

ასეთმა მოულოდნელმა და ზუსტად გაანგარიშებულმა თავდასხმამ დიდ არევდარევა გამოიწვია მოწინააღმდეგის რიგებში. მტერი თავგანწირულად ეხეთქებოდა ხან მარჯვნივ, ხან მარცხნივ და მდგომარეობის აღდგენას ცდილობდა. ამ დროს გერმანელების ერთმა ჯგუფმა იერიში მიიტანა თვით

ბატალიონის სამეთაურო პუნქტზე, რითაც ბატალიონის შტაბს დაემუქრა და მეტად სახიფათო მდგომარეობა შეიქმნა . . . იღბლად იქვე ახლოს იყო რეზერვის ოცეული, რომელიც კრიტიკულ მომენტში სწრაფად ჩაება ბრძოლაში. იერიშზე გადასულმა მტრის ჯგუფმა დიდი დანაკლისი განიცადა და უკან დაიხია.

ამ ბრძოლაში სხვებთან ერთად თავი ისახელეს მე-7 ასეულის პირველი ოცეულის მეთაურმა, ლეიტენანტმა გ.ბარამიძემ და ამავე ოცეულის სერჟანტმა დავით ცინცაძემ. გ.ბარამიძის ოცეულმა დაძაბული ბრძოლის შედეგად დაიკავა მეტად მნიშვნელოვანი გაბატონებული სიმაღლე, რითაც დიდი დახმარება გაუწია მოიერიშე ქვეგანაყოფებს. ამ ბრძოლის დროს თვითონ გ.ბარამიძე მძიმედ დაიჭრა. ოცეულის ბრძოლის მართვა დაუყოვნებლივ ხელში აიღო სერჟანტმა ანდრო ცინცაძემ. მან შეამჩნია, რომ მე-8 ასეულის ქვეგანაყოფები მედგარ და უთანასწორო ბრძოლას აწარმოებდნენ, ამიტომ სწრაფად გადაიტანა დაზგის ტყვიამფრქვევი მოხერხებულ პოზიციაზე და თვითონ გაუხსნა მოწინააღმდეგეს მოულოდნელი და გამანადგურებელი ცეცხლი, რამაც დიდი არეულობა გამოიწვია მტრის მოიერიშეთა რიგებში. ამან დიდად შეუწყო ხელი მე-8 ასეულს ამოცანის შესრულებაში.

რამდენიმე საათის მძიმე ბრძოლების შემდეგ მოწინააღმდეგე უკუგდებულ იქნა. მას დიდი ზარალი მიაყენეს. დაატოვებინეს დიდძალი იარაღი, საბრძოლო მასალა, აღჭურვილობა და სურსათი. რამდენიმე ფაშისტი ჯარისკაცი დაატყვევეს. ბატალიონმა ყარა-ყაის მთის მიდამოებში ხელსაყრელი პოზიცია დაიკავა.

ამ ბრძოლის დროს მძიმედ დაიჭრნენ მე-7 ასეულის მეთაური, ლეიტენანტები: შალვა მარჯანიშვილი, ანდრო ბასიული და სხვები. გაკვირვებას იწვევს ქართველი

მეთაურებისა და მებრძოლების უმაგალითოდ ძნელ პირობებში ასეთი უნარიანი საბრძოლო მოქმედებანი, მით უმეტეს, რომ ისინი პირველად იღებდნენ უშუალო მონაწილეობას ბრძოლაში. პირველად შეხვდნენ პირისპირ ფაშისტ დამპყრობლებს და ისიც გერმანელთა რჩეული დივიზიების ქვეგანაყოფებს, მაგრამ სამშობლოს სიყვარული ჩვენ მებრძოლებს ხშირად შეუძლებელს აკეთებინებდა.

მეორე დღეს, 30 აგვისტოს, ბრძოლა უფრო მეტი სიმძაფრით განახლდა. მოწინააღმდეგეს იერიში იერიშზე მიჰქონდა და ცდილობდა მე-7 ასეულის განლაგებაში შეჭრას. დივიზიის მებრძოლებმა ხერხს მიმართეს – ჯერ ახლოს მიუშვეს მტერი და შემდეგ ერთბაშად გაუხსნეს მას გამანადგურებელი ცეცხლი. მოწინააღმდგემ დიდი დანაკლისი განიცადა და იძულებული იყო უკან დაეხია. მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ კვლავ განაახლა იერიში, მხოლოდ სხვა მიმართულებიდან და მე-3 ოცეულის განლაგებაში შეიჭრა. გაიმართა ხელჩართული ბრძოლა, რომლის დროს დიდი ვაჟკაცობა და გმირობა გამოიჩინა ოცეულის მეთაურმა. იგი ხელდახელ შეებრძოლა ათ ჰიტლერელს და მათგან რვა ფაშისტი გამოასალმა სიცოცხლეს. სამწუხაროდ, მალე მ.ჩხარტიშვილს ყინულზე ფეხი დაუსხლტდა და ღრმა ნაპრალში დაიღუპა.

ამ ძნელ მომენტში ჩვენი მებრძოლები არ დაიბნენ. ასეულის მეთაურის მოადგილემ ლეიტენანტმა ალექსანდრე ალფაიძემ ოცეული კონტრიერიშზე გადაიყვანა და უკან დაახევინა მოწინააღმდეგეს, მაგრამ ა.ალფაიძეც მალე დაიჭრა, რომლის ადგილი მისმა მოადგილემ სერჟანტმა დუჩიძემ დაიკავა. გერმანელების იერიში მოგერიებულ იქნა.

დიდი დანაკლისის მიუხედავად, მოწინააღმდეგე მაინც არ ისვენებდა, ახლა მე-8 ასეულზე მიიტანა იერიში. კვლავ გაიმართა სისხლისმღვრელი ბრძოლა, მტერი საკმაოდ ძლიერი იყო და ცდილობდა, რადაც უნდა დაჯდომოდა, არ დაეთმო პოზიცია, მაგრამ ჩვენი მებრძოლების . . . თავგანწირვის შედეგად მოწინააღმდეგის იერიშზე გადასული ქვეგანაყოფი მთლიანად იქნა განადგურებული. რაზმების ქვეგანაყოფებმა დატოვეს თავიანთი პოზიციები და მარუხისკენ იწყეს გასვლა.

რაზმში მყოფმა 808-ე პოლკის მე-3 ბატალიონის მეთაურმა და კომისარმა ბატალიონისაგან დარჩენილი 125 მეთაური და მებრძოლი ხუთ თანაბარ ჯგუფად გაყვეს და იწყეს უღელტეხილიდან გამოსვლა. მე-7 ასეულის პოლიტხელის ტარიელ მაჭავარიანის ჯგუფს დაევალა მოხერხებული პოზიცია დაეკავებინა მარჯვენა ფრთაზე მდებარე სიმაღლეზე და უზრუნველჰყო ჯგუფების გასვლა უღელტეხილისაკენ, თუ მოწინააღმდეგე შეეცდებოდა ჯგუფების გარემოცვაში მომწყვდევას ან დადევნებას. მართლაც ასე მოხდა, რაზმმა დაიკავა მთის ერთ-ერთი სიმაღლე და წინ აღუდგა გერმანელების ძლიერ ჯგუფს, რომელიც შეეცადა ამ ჯგუფების გარემოცვაში მოქცევასა და განადგურებას, მას სამკვდრო-საციცოცხლო ბრძოლა გაუმართა, რითაც საშუალება მისცა დანარჩენებს სამშვიდობოზე გასულიყვნენ.

ტ.მაჭავარიანის ჯგუფთან კავშირის აღსადგენად და ცნობის მოსატანად ორ მებრძოლთან ერთად გაიგზავნა მებრძოლი ვანო ბარათელი, რომელიც მარტო დაბრუნდა, მეორე კი ნაპრალში გადავარდნილიყო. თან მეტად სამწუხარო ამბავი მოიტანა – პოლიტხელი ტ.მაჭავარიანი გაყინულა. შვიდი მებრძოლი მოკლულია, დანარჩენი თვრამეტი მებრძოლი იყინება და გრძნობადაკარგულები

არიანო. მათ ირგვლივ ყრია შაშხანებისა და ავტომატების ვაზნები, მასრები, უფრო ქვემოთ დაბლობი სავსეა მოწინააღმდეგის დახოცილთა გვამებით. ასე გმირულად დაიღუპა ბრძოლის ველზე სამშობლოსათვის თავდადებული 25 ვაჟკაცი, რომლებმაც საკუთარი სიცოცხლის ფასად დაღუპვისაგან იხსნეს დანარჩენი თავიანთი თანამებრძოლები.

ცოტა ხნის შესვენების შემდეგ ბატალიონისაგან დარჩენილ მცირე ნაწილს ებრძანა დაეკავებინა პოზიცია მარუხ-ბაშის აღმოსავლეთ ფერდობზე და მოემზადებინა ის თავდაცვისათვის. ამ დროს მათ უკვე შეუერთდა დივიზიის შტაბის განკარგულებაში დროებით დატოვებული ამავე ბატალიონის მე-9 ასეული ლეიტენანტ ა.ვართანიანის მეთაურობით და ჩაება ბრძოლაში.

1942 წლის 5 სექტემბერს, დილით, დაიწყო უშუალოდ მარუხის უღელტეხილისათვის ყველაზე მძიმე და სისხლისმღვრელი ბრძოლა. მოწინააღმდეგე არტილერიისა და ავიაციის მხარდაჭერით გადმოვიდა მძაფრ შეტევაზე.დიდ საფრთხეში ჩავარდნენ 808-ე პოლკის მე-2 ბატალიონის ქვეგანაყოფები. მოწინააღ-მდეგე უტევდა როგორც ფრონტიდან, აგრეთვე ფრთებიდანაც. ბატალიონის მეთაურმა, კაპიტანმა ლადო თათარაშვილმა მე-4 და მე-5 ასეულის დასახმარებლად მე-6 ასეული გამოიყვანა. მტრის იერიში დროებით შეჩერებული იქნა, მაგრამ არტილერიის ძლიერი ცეცხლის შემდეგ მან კვლავ განაგრძო შეტევა. ამ ბრძოლის დროს თითქმის მთლიანად დაიღუპა მე-4 და მე-6 ასეულები. ბრძოლაში ჩაება პოლკის უკანასკნელი რეზერვიც, მაგრამ ამან მდგომარეობას ვერ უშველა. მოწინააღმდეგემ იერიში მიიტანა თვით სამეთაურო პუნქტზე. აღარავითარი რეზერვი აღარ იყო. ამიტომ მეთაურთა შემადგენლობა ტყვიამფრქვევებს

წამოუწვა და პოლკის კომისარმა აშოთ არუთინოვმა, ბატალიონის მეთაურმა კაპიტანმა ლადო თათარაშვილმა, შტაბის უფროსმა ლეიტენანტმა ნიკოლოზ ფროლოვმა, პოლიტხელმა გრიგოლ ლომიძემ, ლეიტენანტმა მირონოვმა, ლეიტენანტმა დიმიტრი ტატიშვილმა, ექიმმა გიორგი მაჩიტაძემ, აფთიაქის გამგემ რაფიელ ლაფაურმა და სხვებმა მოწინააღმდეგეს მძაფრი ცეცხლი გაუხსნეს. მირონოვი და დ.ტატიშვილი გმირულად დაიღუპნენ. შეიქმნა საშიშროება პოლკის საბრძოლო დროშის მოწინააღმდეგის მიერ ხელში ჩაგდებისა. დროშის უსაფრთხო ადგილზე გასატანად გაიგზავნა სერჟანტი შალვა მიქაძე და კურსანტი ლომინო ჩორგოლაშვილი, მაგრამ ისინიც დაიღუპნენ და ვერ შეძლეს დროშის გატანა. მძიმედ დაიჭრნენ დროშის გამოტანის დროს მებრძოლები ხაჩატურიანი და ფირცხალავა. ბოლოს დიდი წვალებით დროშა დაბლა ჩაიტანა და გადაარჩინა სახელოვანმა მებრძოლმა ლევან მშვენიერაძემ.

810-ე პოლკიდან გაგზავნილმა მეავტომატეთა ქვეგანაყოფებმა ვერ მოასწრო უღელტეხილზე ასვლა და ბრძოლაში მონაწილეობის მიღება. მათ საღამოს დატოვეს მარუხის უღელტეხილი და ჩამოვიდნენ დაბლა ხეობაში. მარუხის უღელტეხილისათვის ბრძოლაში მრავალი მებრძოლი და მეთაური დაიღუ-პა, მათ შორის მე-2 ბატალიონის მეთაური კაპიტანი ლადო თათარაშვილი.[40]

საარქივო მასალებში ძალზე ძუნწადაა გაშუქებული მარუხის უღელტეხილისათვის ბრძოლები. კერძოდ, მასში ნათქვამია: "ალყაში მოქცეულმა 810-ე მსროლელი პოლკის ქვედანაყოფებმა ბრძოლით გაარღვიეს გარემოცვა და გაიარეს უღელტეხილზე, რომლის დროსაც პირად შემადგენლობასა და შეიარაღებაში დიდი დანაკარგები განიცადეს. 808-ე მსროლელი პოლკის ქვედანაყოფებმა ვერ

შეაკავეს მოწინააღმდეგის პირდაპირ შეტევა, დიდი დანაკარგი განიცადეს, მარუხის უღელტეხილი დატოვეს, რომელიც 1942 წლის 5-დან 6 სექტემბერს მოწინააღმდეგემ დაიკავა.[41]

808-ე და 810-ე მსროლელი პოლკების ქვედანაყოფებიდან სიმაღლეების დასაცავად შეიქმნა რაზმები, რომელთა შემდგომ ამოცანას შეადგენდა ჩანჩქერისა და მარუხის უღელტეხილის დაპყრობა (როგორც მოვლენათა შემდგომმა მსვლელობამ აჩვენა აღნიშნულმა რაზმებმა დასახული ამოცანა ვერ შეასრულეს).

მარუხის მიმართულებით 808-ე და 810-ე მსროლელი პოლკების ძალებით საბრძოლო მოქმედებათა შედეგად გერმანელ-ფაშისტთა წინსვლა შეჩერებულ იქნა. მარუხის უღელტეხილის შემდგომ წინსვლა მოწინააღმდეგეს არ შეეძლო. მარუხის უღელტეხილის დასაცავად 810-ე მსროლელი პოლკი დატოვეს, 808-ე მსროლელი პოლკი ხელახალი ფორმირებისათვის წებელდის რაიონში გადაიყვანეს.[42]

როგორც ცნობილია, ნაურის უღელტეხილზე (ზღვის დონიდან 2865მ), რომელიც მარუხიდან დასავლეთით 20 კმ-ზე მდებარეობს, თავდაცვისათვის პოზიცია თავიდანვე დაკავებული ჰქონდა 810-ე პოლკის მე-3 ბატალიონს. ამ უღელტეხილს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან მოწინააღმდეგეს შეეძლო ბზიფის ხეობით უღელტეხილზე გადმოსულიყო და მდინარე ბზიფის ხეობის გავლით ზურგიდან შემოევლო სანჭაროს მიმართულებით მოქმედი ნაწილებისათვის. მოწინააღმდეგე შეეცადა ნაურის უღელტეხილის დაკავებას, მაგრამ მე-3 ბატალიონის ქვეგანაყოფებმა სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიეს მოძალებულ მტერს.

სანჭაროს მიმართულებით მოქმედი ჯარები, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდა აგრეთვე 394-ე დივიზიის 808-ე პოლკის ბატალიონიც, გადავიდნენ შეტევაზე და გააფთრებული ბრძოლებით მტერი სოფელ ფსხუდან განდევნეს. ამ ბრძოლებში მოწინააღმდეგემ სასტიკი დამარცხება განიცადა. ბრძოლის ველზე დატოვა უამრავი დახოცილი ჯარისკაცი, იარაღი, საბრძოლო მასალა, აღჭურვილობა, სამთო ტრანსპორტი და სასწრაფოდ იწყო დახევა სანჭაროსა და აღაშტრახუს უღელტეხილები-საკენ. ამ ძნელ მომენტში ჩვენს შემტევ ჯარებს დიდი დახმარება გაუწია საბრძოლო ავიაციამ. იგი ბოჭავდა მოწინააღმდეგის პოზიციებს და უკანდახეული მტრის ჯარის ქვეგანაყოფებს.

სოფელ ფსხუს აღებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ახლა ჩვენს სატრანსპორტო ავიაციას აეროდრომზე დაჯდომის საშუალება მიეცა, რის შედეგადაც გაუმჯობესდა ჯარების დროულად მომარაგება და დაჭრილების ევაკუაცია.

საბჭოთა ნაწილები და ქვეგანაყოფები მძიმე ბრძოლებით განაგრძობდნენ წინსვლას.

გერმანელთა ჯარის ნაწილებმა ძლივს მოასწრეს უშუალოდ უღელტეხილებზე ასვლა, რომ 20 ოქტომბერს უღელტეხილები და მათი მიდამოები 3-4 მეტრი სიღრმის თოვლით დაიფარა, დაიჭირა ძლიერი ყინვები. მოწინააღმდეგემ დატოვა სანჭაროს ჯგუფის უღელტეხილები და ქედის ჩრდილოეთ კალთებზე ჩავიდა.

აქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ თოვლის უზარმაზარი ზვავები არაერი საშინელი ტრაგედიის მიზეზი ხდებოდა. ზვავის ქვეშ სამუდამოდ დაიმარხა 810-ე პოლკის ერთ-ერთი ქვეგანაყოფი. ასეთივე ტრაგიკული ბედი ეწია რეზერვიდან დასახმარებლად მოსულ მეზღვაურთა რაზმის ერთ-ერთ ქვეგანაყოფსაც.

ამრიგად, მარცხით დამთავრდა ფაშისტთა ავანტიურისტული გეგმა, რომლის მიხედვით ისინი კავკასიის მთავარი ქედის უღელტეხილებით შავი ზღვის სანაპიროებზე უნდა ჩასულიყვნენ. დამარცხდნენ გერმანელ-ფაშისტთა ნაქები და სპეციალურად მომზადებული სამთო მსროლელი დივიზიები.

ბრძოლები უღელტეხილისათვის მიმდინარეობდა განსაკუთრებით, არაჩვეულებრივ პირობებში და მართლაც, არაჩვეულებრივი იყო იქ მებრძოლებისა და მეთაურების მიერ გამოჩენილი გმირობა.

სარდლობის საბრძოლო დავალებების სანიმუშოდ შესრულებისათვის და გერმანელდამპყრობთა წინააღმდეგ უღელტეხილებზე ბრძოლების დროს მამაცობისა და ვაჟკაცობის გამოჩენისათვის მთავრობამ 394-ე ქართული მსროლელი დივიზიის მრავალი მებრძოლი, მეთაური, პოლიტმუშაკი, სამედიცინო და მომარაგების მუშაკი დააჯილდოვა ორდენებითა და მედლებით.

წითელი დროშის ორდენებით დაჯილდოვდნენ: მაიორი ალექსანდრე კორობოვი, უფროსი ლეტენანტი ალექსანდრე ზაიცევი, უფროსი ლეიტენანტები: შალვა მარჯანიშვილი და ნიკო სხირტლაძე, ლეიტენანტი ვასილ ტოლკაჩევი, პავლე ასათიანი (სიკვდილის შემდეგ), უფროსი სერჟანტი ისიდორე დოჭვირი (სიკვდილის შემდეგ) და სხვები.

1942 წლის ნოემბრის დასაწყისში დივიზიის ნაწილებმა თავი მოიყარეს სოხუმის ახლო სოფლების – ჩხალთის, წებელდისა და ზახაროვკის მიდამოებში. დიდ სიძნელეებგამოვლილმა და დაძაბული ბრძოლების ქარცეცხლში გამობრძმედილმა მეომრებმა ერთხანს დაისვენს და მოწესრიგდნენ. ნაწილებში მოვიდა ახალი შევსება. ჰოსპიტლებში გამოჯანსაღების შემდეგ მწყობრს

დაუბრუნდა აგრეთვე ამ დივიზიის ბევრი დაჭრილი მებრძოლი. დივიზიის ნაწილებში მოვიდნენ თელავის სამხედრო სასწავლებელ დამთავრებული ახალგაზრდა ლეიტენანტები. ამავე დროს, ნაწილებსა და ქვეგანაყოფებში მიმდინარეობდა საბრძლო-პოლიტიკური მომზადება.[43]

1943 წლის 5 იანვარს 394-ე მსროლელი დივიზია უღელტეხილებიდან მოიხსნა და 13 იანვრისათვის მას სადგურ ბზიფში უნდა მოეყარა თავი.

ნახარის, ქლუხორის, დამბაი-ულგენისა და მარუხის უღელტეხილების დასაცავად დატივეს 815-ე მსროლელი პოლკი და ორი სამთო-მსროლელი რაზმი.

1943 წლის 6 იანვრიდან 24 იანვრამდე 394-ე მსროლელმა დივიზიამ დატვირთვის სადგურ ადლერამდე განვლო გზა და 24 იანვარს დღის ბოლოს ტუაფსე-პროლეტარსკის ქალაქში განლაგდა.

26 იანვარს ჯარების შავი ზღვის ჯგუფის სარდლის ბრძანების საფუძველზე დივიზიის ნაწილე-ბი დეფანოვკის რაიონში გაემგზავრნენ, სადაც თავი მოიყარეს 31 იანვარს. დეფანოვკაში მისვლის შემდეგ დივიზიას დამატებითი ამოცანა დაუსახეს – გზა გაეგრძელებინათ სარატოვსკაიას რაიონში, შემდეგ ბოგოზუბკოვოში, ბახმეტოვოში და ნოვო-მოგილევ-სკაიაში, სადაც 56-ე არმიის სარდლის დაქვემდე-ბარებაში გადავიდა.[44]

1943 წლის 7 თებერვალს დილით დივიზიის ნაწილებმა თავი მოიყარეს კალუგსკაიას რაიონში და 56-ე არმიის შტაბის საბრძოლო ბრძანების შესაბამისად 8 თებერვალს დილით პირდაპირ მარშიდან ჩაებნენ ბრძოლაში. შენაერთის საბრძოლო ამოცანა ითვალისწინებდა მოწინააღმდეგის თავდაცვის გარღვევას ტრუჟენიკის ფრონტზე. მთავარი დარტყმა უნდა განხორციელებულიყო კულტურნაიასა და ნოვისადის

მიმართულებით. დივიზიას უნდა დაეკავებინა კულტურნაია, შუვაევი და შემდგომში შეტევა გაეგრძელებინა ნოვისადის მიმართულებით.

394-ე მსროლელმა დივიზიამ შეტევა არტილერიის გარეშე დაიწყო, რადგან 956-ე სააარტილერიო პოლკი დეფანოვკაში იმყოფებოდა, 165-ე ცალკე ტანკსაწინააღმდეგო გამანადგურებელი დივიზიონი – ხრებტოვოში, ხოლო ორ საჰაუბიცო ბატარეას საბრძოლო მასალა არ გააჩნდა. დივიზიის პირადი შემადგენლობა სურსათით უზრუნველყოფილი არ იყო.[45]

მდგომარეობას ისიც ართულებდა, რომ მტერი კულტურნაიას მიდამოებში ეყრდნობოდა კარგად მომ-ზადებულ საცეცხლე სისტემას, რომელიც მოწყობილი ჰქონდა გორაკებიან ადგილებში.

კულტურნაიაზე იერიშის მიტანა დაევალა 808-ე მსროლელ პოლკს. ამ პუნქტის აღების შემდეგ ბრძოლაში ჩაებმებოდა და შეტევას განავითარებდა 810-ე მსროლელი პოლკი ნოვოსადის მიმართულებით. პოლკის მეთაურმა ჰუსეინ ბეჟანიძემ დაწვრილებით გააცნო თავისი ქვეგანაყოფების მეთაურებს ბრძოლის გეგმა და კონკრეტული საბრძოლო ამოცანები დაუსახა.

უამინდობის, თოვლ-ჭყაპისა და ღრმა ტალახის გამო ტრანსპორტის მოძრაობა შეუძლებელი იყო. მოწინააღმდეგეს კარგად მომზადებული თავდაცვის ზღუდე ეკავა და ბევრი საცეცხლე საშუალება გორაკების უკანა ფერდობებზე ჰქონდა მოწყობილი. დივიზიის მებრძოლებს ძნელი, ულმობელი ბრძოლა ელოდათ. ამიტომაც პირველად, შენაერთის ქვედანაყო-ფების საბრძოლო პრაქტიკაში შეიქმნა მოიერიშე ჯგუფები.[46]

8 თებერვალს დილით, მიცემული იქნა იერიშზე გადასვლის ნიშანი, რის შემდეგ 808-ე პოლკის

ქვეგანაყოფები სწრაფად ეკვეთნენ მოწინააღმდეგეს. ერთი საათის ბრძოლის შემდეგ მე-3 ბატალიონმა მოახერხა მოწინააღმდეგის თავდაცვის პირველი ხაზის გარღვევა და მისი დაკავება. მე-4 და მე-5 ასეულებმა მტრის ორი გააფთრებული კონტრიერიში მოიგერიეს. მოწინააღმდეგე დაკავებულ პოზიციებს არ თმობდა და რაც დრო გადიოდა, ბრძოლის სიმძაფრე მით უფრო მატულობდა. აქა იქ ხელჩართული ბრძოლები გაჩაღდა. პირველმა ბატალიონმა კონტრიერიში მოიგერია და პოლკის მეთაურის მოადგილის მაიორ ბულეიკოს ხელმძღვანელობით გადამწყვეტ იერიშზე გადავიდა. მოწინააღმდეგემ უკან დახევა დაიწყო. მე-3 ბატალიონის მეთაურმა დროზე შეამჩნია პირველი ბატალიონის უბანზე გერმანელთა მარცხი და სწრაფი ტემპით განავითარა შეტევა, მოახერხა მტრის თავდაცვის სიღრმეში შეჭრა. ასეთმა გაბედულმა შეტევამ ფაშისტთა რიგებში დიდი დაბნეულობა გამოიწვია. ამით ისარგებლეს პოლკის დანარჩენმა ქვეგანაყოფებმაც და კულტურნაიაში შეიჭრნენ. კულტურნაიას აღების შემდეგ ბრძოლაში ჩაებნენ 810-ე პოლკის ქვეგანაყოფები, რომლებსაც მხარს უჭერდა სატანკო ასეული. საერთო ძალით შეტევა ნოვოსადის მიმართულებით განავითარეს, მაგრამ მოწინააღმდეგემ მალე ძალა მოიკრიბა, არტილერიისა და ტანკების მხარდაჭერით ნოვოსადის გარეუბნიდან გადმოვიდა კონტრიერიშზე. შენაერთის ნაწილები სამკვიდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ჩაებნენ. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ისინი იმ დროისათვის მოკლებული იყვნენ ტანკსაწინააღმდეგო საშუალებებს და თანაც პირველად უხდებოდათ გერმანელების ტანკებთან შეხვედრა, მაგრამ ჩვენი მებრძოლები არ შედრკნენ. მათ გამანადგურებელი ცეცხლი გაუხსნეს ტანკების უკან მიმყოლ ქვეითთა

ქვეგანაყოფებს და უკუაგდეს ისინი, რის შემდეგაც ბრძოლები დაიწყო ნოვოსადისათვის. კულტურნაიასა და ნოვოსადისათვის ბრძოლების დროს თავი ისახელეს თავიანთი მოხერხებული, უნარიანი ხელმძღვანელობით და მამაცობით მე-3 ბატალიონის მეთაურმა ვასილ რუხაძემ და მისმა მოადგილემ, უფროსმა ლეიტენანტმა იური კაპანაძემ, რომლებიც მძიმედ დაიჭრნენ, აგრეთვე ლეიტენანტებმა არტაშეს ვართანიანმა, მიხეილ ბოლქვაძემ, შალვა ზაუტაშვილმა, ზემდეგმა სანდრო ქურციკიძემ, მებრძოლებმა გერონტი ჭელიძემ, გრიშა მამულაშვილმა, ხასან მენაბდემ, ახმედ ჯინჭარაძემ და სხვებმა.[47]

ამ ბრძოლების დროს გმირულად დაეცნენ პოლკის მე-2 ბატალიონის მეთაური, უფროსი ლეიტენანტი ბერაძე, მეტყვიამფრქვევეთა ასეულის მეთაური, უფროსი ლეიტენანტი კაკო ბეროშვილი, ასეულის მეთაური, ლეიტენანტი ჩხაიძე და სხვები.

სამი დღის ბრძოლების შემდეგ მიუხედავად ტრანსპორტის, სურსათის, საბრძოლო მასალის უქონლობისა და არტილერიის მხარდაჭერის გარეშე, დივიზიამ მასზე დაკისრებული ამოცანა შეასრულა, მაგრამ პირად შემადგენლობასა და მატერიალურ ნაწილში დიდი ზარალი განიცადა.[48]

1943 წლის 12 თებერვალს 56-ე არმიის შტაბის განკარგულების საფუძველზე 394-ე მსროლელი დივიზია ნოვოსადის გარეუბანში ბრძოლებს რომ აწარმოებდა, გადაყვანილი იქნა რაშპილევსკის მიმართულებით. 12 თებერვალს შენაერთის ნაწილები ბრძოლებს აწარმოებდნენ რაშპილევსკისათვის და 55-ე გვარდიული მსროლელი დივიზიის 166-ე პოლკთან ერთად ნაუმენკო დაიკავეს.

დასავლეთისა და ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით მოწინააღმდეგის უკანდახევასთან დაკავშირებით 394-ე მსროლელ დივიზიას ახალი საბრძოლო ამოცანა დაუსახეს – დაუფლებოდა ვოლიკოვისა და შემდგომში დაეკავებინა სევერსკაია.

15 თებერვლის განმავლობაში შენაერთი ბრძო-ლებს აწარმოებდა სევერსკაიას დაუფლებისათვის. დივიზიის ცალკეული ქვეგანაყოფები სევერსკაიას აღმოსავლეთ გარეუბანს მოედვნენ და ქუჩის ბრძოლებს აწარმოებდნენ, მაგრამ 56-ე არმიის სარდლის ბრძანების საფუძველზე 1943 წლის 16 თებერვალს დივიზიის ნაწილები ბრძოლიდან გამოიყვანეს, რომლებიც ნაუმენკოში განლაგდნენ, რათა 17 თებერვალს დილით ვოლიკოვს დაუფლებოდნენ.[49]

სევერნაიას რაიონში ბრძოლებიდან გამოყვანის შედეგად დივიზიამ 300-მდე კაცი დაკარგა. 18 თებერვალს დღის შეუპოვარი ბრძოლების შემდეგ 394-ე მსროლელმა დივიზიამ ვოლიკოვი დაიკავა. 56-ე არმიის შტაბის ბრძანების შესაბამისად დივიზიამ შეტევა გააგრძელა კრასნის, ერასტოვის, ჩისტიაკოვის, კრასნი ოქტიაბრისა და ხაბელის მიმართულებით. შენაერთის ამოცანას შეადგენდა 19 თებერვალს დღის ბოლოს დაუფლებოდა ხაბელს.

20 თებერვალს დილით ხანმოკლე საცეცხლე ბრძოლის შემდეგ დივიზიის ნაწილები დაეუფლნენ კრასნის და დღის ბოლოს ნაუმენკოში შევიდნენ. მეორე დღეს დილით შენაერთის ნაწილებმა დაიკავეს ვორობოვი და დავალება მიიღეს - დღის ბოლოსათვის თავი მოეყარათ საბჭოთა მეურნეობაში (ბუგუნდირ-ახტირსკი). 24 თებერვალს 394-ე მსროლელ დივიზიას დაუსახეს საბრძოლო ამოცანა – შეეტია აბინსკაია ჩრდილო-დასავლეთ გარეუბნის მიმართულებით, შემდგომში დაუფლებოდნენ აბინსკაიას და გადასულიყვნენ მის

ჩრდილო-დასავლეთ გარეუბანში. 24 თებერვალს შუადღით დივიზიის ნაწილები შეტევაზე გადავიდნენ და რამდენიმე საათის შემდეგ გადავიდნენ სამხრეთ დასავლეთით 200 მეტრზე. შენაერთის ნაწილებში სულ უფრო და უფრო საგრძნობი ხდებოდა საბრძოლო მასალისა და სურსათის ნაკლებობა.[50]

მებრძოლებს შაშხანებზე დარჩათ 40-50 ცალი ვაზნა, ნაღმები და სურსათი საერთოდ არ იყო, ზურგი ჩამორჩა. მიუხედავად საბრძოლო მასალისა და სურსათის მომარაგებაში დიდი სიძნელეებისა, დივიზიის ნაწილებმა პირდაპირ შეუჩერებლივ 25 თებერვალს დაიკავეს ბერეგოვოი და აბინის აღმოსავლეთ სანაპიროზე გავიდნენ.

25 თებერვალს არმიის შტაბიდან მიიღეს განკარგულება – დივიზიის ნაწილებს უნდა გაეგრძელებინათ უკანდახეული მოწინააღმდეგის დევნა და შეეტიათ ბერეგოვოი-გლადკო-იზიუმსკისა და სამხრეთ-დასავლეთით 1.5 კმ მდებარე რკინიგზის მიმართულებით. საბრძოლო ამოცანა ითვალისწინებდა 25 თებერვალს დილით დაუფლებოდნენ გლადკოიზიუმსკის, ხოლო საღამოს გასულიყვნენ სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე რკინიგზის ხაზზე.

25-28 თებერვლის განმავლობაში დივიზიის ნაწილები (808-ე, 810-ე მსროლელი პოლკები და ცალკე სამოსწავლო მსროლელი ბატალიონი) გულმოდგინედ ცდილობდნენ მდინარე აბინის დასავლეთ სანაპიროზე გადასვლას. გერმანელები არტილერიის, ნაღმსატ-ყორცნების და თოფ-ტყვიამფრქვევების განსაკუთრებით ძლიერ ცეცხლს უშენდნენ დივიზიის საბრძოლო რიგებს. ზოგჯერ მანძილი დივიზიის მებრძოლებსა და გერმანელებს შორის 200 მეტრამდე აღწევდა. მხოლოდ მდინარე აბინი აშორებდა ერთმანეთისაგან მოწინააღმდეგეებს. მდინარე აბინზე

გადასვლის მცდელ მებრძოლთა ცალკეული ჯგუფების და მეთაურებს გერმანელები ხელყუმბარებს ესროდნენ და ავტომატ-ტყვიამფრქვევების ცეცხლით ანადგურებდნენ.

მდინარე აბინის დასავლეთ სანაპიროზე გადასვლის მცდელობა ასევე წარუმატებლად დამთავრდა 28 თებერვლის ღამეს.[51]

ნაწილების წესრიგში მოსაყვანად დივიზიას მინგრელსკაიას რაიონში დასასვენებლად მისცეს 5 დღის ვადა, რომლის გასვლის შემდეგაც შენაერთი 56-ე არმიის სარდლის რეზერვში გადავიდა და ახტირსკაიას რაიონში განლაგდა.

ჩრდილოეთ კავკასიის ფრონტის შტაბის საბრძოლო განკარგულების საფუძველზე 16 მარტს 394-ე მსროლელი დივიზია ილსკაიას რაიონში გადაისროლეს, სადაც პირადი შემადგენლობა 61-ე მსროლელ დივიზიას გადასცა. 19 მარტს დივიზიის შტაბი, 808-ე და 810-ე მსროლელი პოლკების შტაბები, 956-ე საარტილერიო პოლკი და სპეცქვედანაყოფები ფორმირებისათვის ნოვო-მიმასტოვკაიას რაიონში განლაგდნენ.

1943 წლის 22 მარტიდან დივიზია 46-ე არმიის დაქვემდებარებაში გადავიდა. 4 აპრილიდან ჩრდილოეთ კავკასიის ფრონტისა და 46-ე არმიის შტაბის განკარგულების საფუძველზე დივიზია ეშელონებით გადაისროლეს მილეროვოს რაიონში, სადაც განლაგდა ხუტორებში: კრასნოვკა, ისაევკა, ვერხნე-მიტიაკინსკი. აქვე დივიზიამ მთლიანად მიიღო დაკომპლექტება პირად შემადგენლობასა და მატერიალურ ნაწილში, რომელიც დაყვანილ იქნა ომის დროს შემოკლებულ შტაბებამდე. 1943 წლის 13 ივლისამდე 394-ე მსროლელი დივიზია მეცადინეობდა საბრძოლო მომზადებაში და მომავალი ბრძოლებისათვის ემზადებოდა.[52]

კავკასიის უღელტეხილებისა და ყუბანისათვის ბრძოლებში 394-ე მსროლელი დივიზიიდან გმირობითა და ვაჟკაცობით მრავალმა მებრძოლმა, მეთაურმა და პოლიტმუშაკმა გამოიჩინა თავი. ასე მაგალითად, 1942 წლის სექტემბერში წითელი დროშის ორდენით დაჯილდოვდა 956-ე საარტილერიო პოლკის ბატარეის კომისარი, პოლიტხელი ალექსანდრე ასათიანი. წითელი ვარსკვლავის ორდენებით დაჯილდოვდნენ 478-ე ცალკე სამედიცინო სანიტარული ბატალიონის მე-3 რანგის სამხედრო ექიმი ვახტანგ მაღრაძე და ამავე სამედიცინო-სანიტარული ბატალიონის მე-3 რანგის სამხედრო ექიმი სერაპიონ ფირცხალაშვილი. მედლით "საბრძოლო დამსახურებისათვის" დაჯილდოვდა 956-ე საარტილერიო პოლკის მემიზნე, წითელარმიელი მიხეილ გოგიგეშვილი.[53]

810-ე მსროლელი პოლკიდან წითელი ვარსკვლავის ორდენით დაჯილდოვდნენ: ათეულის მეთაური, სერჟანტი გიორგი გვარამაძე. 808-ე პოლკიდან: ოცეულის მეთაური, ლეიტენანტი გრიგოლ ბარამიძე, მეტყვიამფრქვევეთა ასეულის წითელარმიელი გერასიმე გოგუა (სიკვდილის შემდეგ). ბატალიონის მეთაური, უფროსი ლეიტენანტი ვასილ რუხაძე და ოცეულის მეთაურის თანაშემწე, სერჟანტი დავით ცინცაძე, 815-ე პოლიდან – შტაბის უფროსი, კაპიტანი ნიკოლოზ ქარქუსოვი.[54]

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 394-ე მსროლელი დივიზიის ნაწილებისა და ქვეგანაყოფების სოხუმის რაიონიდან ტუაფსესაკენ წასვლის შემდეგ ქლუხორისა და მარუხის უღელტეხილების მიმართულებებზე დროებით დატოვებული იქნა მისი 815-ე მსროლელი პოლკი. 1943 წლის იანვარში ჩრდილო კავკასიის ჯარები წარმატებით აწარმოებდნენ შეტევით ბრძოლებს და ჩქარი ტემპით მიიწევდნენ წინ. ქლუხორისა და მარუხის უღელ-

ტეხილების რაიონში მყოფი გერმანელთა "ედელ-ვაისის" დივიზიის ნარჩენებმა გარემოცვაში მოქცევის შიშით გაქცევით უშველეს თავს, დაბლა ბარში ჩავიდნენ და თავიანთ უკანდახეულ ჯარებს თან გაჰყვნენ.

ამის შემდეგ რასაკვირველია, 815-ე მსროლელი პოლკი მოხსნილი იქნა უღელტეხილებიდან, იანვრის შუა რიცხვებში გაემართა ტუაფსე-ნოვოროსიისკის მიმართულებით და გელენჯიკში ჩავიდა. აქ შესვენებისა და წესრიგში მოყვანის შემდეგ, თებერვლის შუა რიცხვებში პოლკის ქვეგანაყოფები საზღვაო ტრანსპორტით ნოვოროსიისკის სამხრეთით, მისხაკოს კონცხის ნაპირზე გადაიყვანეს, სადაც ბრძოლას აწარმოებდნენ აქ ადრე გადმოსული ჩვენი ჯარის ნაწილები. ნაპირზე გადასვლისთანავე 815-ე პოლკმა მიიღო საბრძოლო უბანი და ამ დღიდან ჩაება მეტად დაძაბულ ბრძოლებში მისხაკოს საქვეყნოდ ცნობილ პლაცდარმზე, რომელიც "მცირე მიწის" სახელითაა ცნობილი.

საბჭოთა არმიის სხვა ნაწილებთან ერთად "მცირე მიწაზე" იმ გმირულ, სისხლისმღვრელ ბრძოლებში მონაწილეობდნენ 815-ე პოლკის მეომ-რები, რომლებიც მოწყვეტილი იყვნენ "დიდი მიწისაგან".

სამი თვის განმავლობაში ასეთი სისხლისმღვრელი ბრძოლების გამო 815-ე მსროლელმა პოლკმა დიდი დანაკლისი განიცადა და 1943 წლის მაისის პირველ რიცხვებში პოლკი "მცირე მიწის" პლაცდარმიდან ისევ გელენჯიკში გადმოიყვანეს, საიდანაც რკინიგზის ტრანსპორტით როსტოვის მიმართულებით გაემგზავრა და მილე-როვოს რაიონში ჩავიდა. აქ 815-ე მსროლელი პოლკი ხელმეორედ დაკომპლექტდა, რის შემდეგ თავის 394-ე მსროლელ დივიზიას შეუერთდა და მის დანარჩენ

ნაწილებთან ერთად ბრძოლა განაგრძო მდინარე სევერნი დონეციდან.[55]

როგორც ვხედავთ, 394-ე მსროლელი დივიზიის ნაწილებმა და ქვედანაყოფებმა 1942 წლის ზაფხულიდან 1943 წლის მაისამდე მეტად მძიმე და უთანასწორო ბრძოლები ჩაატარეს კავკასიონის ქედის უღელტეხილებზე, ყუბანსა და "მცირე მიწაზე". ამ ბრძოლებში დივიზიის მებრძოლებმა, მეთაურებმა და პოლიტმუშაკებმა მასობრივი გმირობა და ვაჟკაცობა აჩვენეს. დიდი დანაკლისი მიაყენეს გერმანელ-ფაშისტთა რჩეულ ჯარებს, რომელთა გარკვეული ნაწილი სამთო ბრძოლებისათვის სპეციალურად იყო მომზადებული. ერთ წელზე ცოტა ნაკლები დროის განმავლობაში 394-ე ქართული მსროლელი დივიზიის ნაწილებმა 392-ე, 394-ე, 276-ე, 414-ე, 242-ე, 351-ე ქართული მსროლელი დივიზიებისა და ამიერკავკასიის ფრონტის სხვა საჯარისო შენაერთების მსგავსად მკერდით დაიცვეს კავკასიონი, გამანადგურებელი დარტყმები აგემეს მტერს და მას წინსვლის საშუალება არ მისცეს. კავკასიისათვის ბრძოლების პერიოდში 394-ე მსროლელმა დივიზიამ მიიღო დიდი საბრძოლო გამოცდილება, შეიძინა სამთო ბრძოლების ტაქტიკის ცოდნა. ყოველივე ამან მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი დივიზიას შემდეგ ბრძოლებში მტერზე გამარჯვებება.

აღსანიშნავია ისიც, რომ განუწყვეტელ საბრძოლო მოქმედებებში ჩაბმული დივიზიის საბრძოლო რიგები დღითი-დღე თხელდებოდა. თუ რამდენად დიდი იყო პირადი შემადგენლობის დანაკლისი 394-ე მსროლელ დივიზიაში, ამაზე ნათელ წარმოდგენას მოგვცემს სტატისტიკური მონაცემები შენაერთის პირად შემადგენლობას, რომ გვამცნობს ეროვნული ნიშნის

მიხედვით. ასე მაგალითად, 1943 წლის 1 იანვრისათვის 394-ე მსროლელ დივიზიაში ითვლებოდა: 2262 რუსი, 2218 ქართველი, 1209 უკრაინელი, 1160 სომეხი, 553 აზერბაიჯანელი, 7 ტაჯიკი, 24 თურქმენი, 70 ყაზახი, 4 ყირგიზი, 3 ფინელი, 84 ებრაელი, 1 ყაბარდო ბალყარელი, 42 ოსი, 113 დაღესტნელი, 64 თათარი, 4 ჩუვაში, 9 მორდოველი, 5 ბაშკირი, 1 ყალმუხი, 1 უდმურტი, 2 მერელი, 3 კომელი, 1 ბურიატი, 4 მოლდაველი, 2 ესტონელი, 2 ლიტველი, 9 პოლონელი, 1 ბერძენი, დანარჩენი 403 სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები, სულ – 8424 კაცი.[56]

1943 წლის პირველი აპრილისათვის ქართველების რაოდენობამ 394-ე მსროლელ დივიზიაში 212 კაცი შეადგინა, იმავე წლის 1 ივლისისათვის – 313 კაცი, 1944 წლის 1 იანვრისათვის დივიზიაში იყო 139 ქართველი, ხოლო იმავე წლის 1 ივლისისათვის – 112.[57] ეს მონაცემები ყურადღებას იმსახურებს რამდენიმე ასპექტით, რაც შემდეგი დასკვნების გაკეთების უფლებას გვაძლევს: 1. დივიზიაში ქართველების რაოდენობა ჯერ კიდევ კავკასიის უღელტეხილე-ბისათვის ბრძოლის პერიოდში ისეთი რაოდენობით შემცირდა, რომ თუ ადრე ისინი დივიზიის მთელი პირადი შემადგენლობის 70% აღემატებოდნენ, ამიერიდან მათმა პროცენტულმა რაოდენობამ რუსების შემდეგ მეორე ადგილზე გადაინაცვლა. მაშასადამე, 1943 წლის იანვრიდან, ე.ი. უფრო ზუსტად კავკასიის უღელტეხილების ბრძოლების დამთავრების შემდეგ 394-ე მსროლელ დივიზიას უნდა ეწოდოს არა ქართული, ერვნული შენაერთი, არამედ შერეული დივიზია, ხოლო 1943 წლის ივლისიდან ჩვეულებრივ სამხედრო შენაერთად უნდა ჩავთვალოთ. ამიტომაც ჩვენ მისი შემდგომი საბრძოლო მოქმედების

აღწერას არ ვაგრძელებთ. გვინდა აღვნიშნოთ მხოლოდ ის, რომ კავკასიის მთავარი ქედის უღელტეხილებისათვის ბრძოლებში 394-ე ქართული მსროლელი დივიზიის მებრძოლებმა მასობრივი გმირობა და თავდადება გამოავლინეს, არ დაზოგეს თავიანთი სიცოცხლე, სასტიკი დარტყმები აგემეს მტერს და საფუძველი ჩაუყარეს შენაერთის სახელოვან საბრძოლო ტრადიციებს. ამის ნათელ დადასტურებას წარმოადგენს ის, რომ შემდგომ საბრძოლო ოპერაციებში 394-ე მსროლელმა დივიზიამ არა ერთხელ ისახელა თავი, აქტიურად მონაწილეობდა გერმანელ-ფაშისტ დამპყრობლებისაგან უკრაინის, რუმინეთის და იუგოსლავიის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში, რისთვისაც 394-ე მსროლელმა დივიზიამ სამართლიანად, დაიმსახურა კრივოი როგის = საპატიო სახელწოდება და წითელი დროშის ორდენი, რომელიც სამუდამო შესანახად საბჭოთა არმიის ცენტრალურ მუზეუმში გაგზავნეს.

1945 წლის ოქტომბერში 394-ე მსროლელი დივიზია დაიშალა.[58]

§2. 392-ე ქართული მსროლელი დივიზიის საბრძოლო მოქმედება კავკასიის თავდაცვით ბრძოლებში.

ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭოს 1942 წლის 1 თებერვლის დადგენილებით შეიქმნა 392-ე მსროლელი დივიზია, როგორც ქართული ეროვნული დივიზია.[59]

392-ე მსროლელი დივიზიის ჩამოყალიბების პირველი პერიოდი მოიცავს 1941 წლის აგვისტოდან ნოემბრის ბოლომდე.

მეორე პერიოდია ამ დივიზიის ქართულ ეროვნულ შენაერთად ჩამოყალიბდა 1942 წლის 1 თებერვლიდან იმავე წლის აპრილის ბოლომდე.[60]

392-ე მსროლელი დივიზია შეიქმნა ქ.გორში და ირიცხებოდა ამიერკავკასიის ფრონტის შემადგენლობაში. 1941 წლის ნოემბრიდან დივიზია ამიერკავკასიის ფრონტის 47-ე არმიის შემადგენლობაშია, ხოლო იმავე წლის დეკემბრის ბოლოდან – 46-ე არმიის შემადგენლობაში.[61]

ამიერკავკასიის ფრონტის სარდლობის ბრძანებით 392-ე ქართული მსროლელი დივიზიის მეთაურად დაინიშნა პოლკოვნიკი (შემდგომში გენერალ-მაიორი) ისიდორე სილაგაძე, კომისრად ათასეულის უფროსი კომისარი კოტე სოხაძე, შტაბის უფროსად პოდპოლკოვნიკი ს.ბერუჩაშვილი, მოადგილედ მომარაგების დარგში პოდპოლკოვნიკი ვ.შარაშენიძე, პოლიტგანყოფილების უფროსად ათასეულის კომისარი გრიგოლ გუმბარიძე, პოლკების მეთაურებად დაინიშნენ: მაიორები მ.გეთია, პ.კაციტაძე, კაპიტნები ი.გიგრგვლიანი, ა.ბერიძე, ხოლო პოლკების კომისრებად ათასეულის კომისრები კ.ჩირაძე, ა.ნანეიშვილი, კ.გვალია და შ. ვასაძე.[62]

ჩამოყალიბების დღიდან დივიზიაში მუშაობა გაიშალა იმისათვის, რათა პირადი შემადგენლობა უმოკლეს დროში სრულყოფილად დაუფლებოდა სამხედრო ტექნიკასა და საბრძოლო ტაქტიკას. დივიზიის მეომრები დიდი მონდომებით, ენერგიითა და ინტერესით დაეწაფნენ სამხედრო საქმის შესწავლას.

დივიზიის პირად შემადგენლობაში საბრძოლო ჩვევების, ფიზიკური გამძლეობისა და ამტანიანობის

გამომუშავების მიზნით დივიზიის სარდლობა სისტემატიურად აწყობდა ორ-სამ დღიან საველე ტაქტიკურ სწავლებას პოლკების მასშტაბით.

ქართულ ეროვნულ შენაერთად ჩამოყალიბების შემდეგ 392-ე მსროლელ დივიზიას და მის პოლკებს საზეიმო ვითარებაში გადაეცათ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საბრძოლო წითელი დროშები. დროშები გადასცა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრმა, მწერალმა ილო მოსაშვილმა, რომელმაც თქვა: "დღევანდელი დღე თქვენი დივიზიის მომავალ საბრძოლო ისტორიაში შევა, როგორც ბრწყინვალე თარიღი. დღეს თქვენ იღებთ წითელ საბრძოლო დროშას, გამარჯვების ღირსების დიად სიმბოლოს . . . მუდამ მაღლა გეჭიროთ იგი და შეამკეთ სახელითა და დიდებით, დაუნდობლად ანადგურეთ ვერაგი მტერი."

იმავე დღეს დივიზიის მთელმა პირადმა შემადგენლობამ – მებრძოლებმა, მეთაურებმა და პოლიტმუშაკებმა მიიღეს სამხედრო ფიცი იმის შესახებ, რომ თავდადებულად იბრძოლებდნენ ვერაგი მტრის – გერმანელი ფაშისტი ოკუპანტების წინააღმდეგ და უკანასკნელ ამოსუნთქვამდე დაიცავდნენ სამშობლოს მიწა-წყალს.[63]

46-ე არმიის შტაბის 1942 წლის 30 ივნისის განკარგულების საფუძველზე 392-ე ქართული მსროლელი დივიზია ფრონტზე გაიგზავნა.

1942 წლის 8 აგვისტოს დივიზიამ მთლიანად მოიყარა თავი ელხოტოვოსა და არდონის სტანიცებში და შევიდა ამიერკავკასიის ფრონტის ჩრდილოეთის ჯგუფის ჯარების მე-9 არმიის შემადგენლობაში.[64]

1942 წლის 4 აგვისტოს 46-ე არმიის შტაბის 30 ივლისის ბრძანების თანახმად შენაერთმა რკინიგზის

ტრანსპორტზე დატვირთვის შემდეგ გორიდან ჩრდილოეთ კავკასიაში ელხოტოვოს, დარგ-კოხისა და ალაგირის რაიონებისაკენ აიღო კურსი. დისლოკაციის ახალ რაიონში 392-ე ქართული მსროლელი დივიზიის ნაწილებმა თავი მოიყარეს 10 აგვისტოს, სადაც ისინი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ მე-9 არმიის შემადგენლობაში შევიდნენ. დივიზია მდინარე ურუხის მარჯვენა ნაპირზე თავდაცვითი ზღუდის მოწყობას შეუდგა. შენაერთის ნაწილები 21 აგვისტომდე საბრძოლო მომზადებას გადიოდნენ და თავდაცვით ნაგებობებს აშენებდნენ.[65]

1942 წლის 21 აგვისტოს 392-ე ქართული მსროლელი დივიზია 37-ე არმიას დაუქვემდებარდა. ამ დროისათვის შენაერთის შემადგენლობაში ითვლებოდა: 790-ე, 802-ე და 805-ე მსროლელი პოლკები, 955-ე საარტილერიო პოლკი, 677-ე ცალკე ნაღმტყორცნელთა დივიზიონი, 162-ე ცალკე მესანგრეთა ბატალიონი, 343-ე ცალკე მეკავშირეთა ბატალიონი, ცალკე სასწავლო ბატალიონი, 477-ე სამედიცინო-სანიტარული ბატალიონი, 454-ე ცალკე მოტომსროლელთა ასეული, 470-ე ცალკე ქიმიური თავდაცვის ასეული, 183-ე ცალკე საზენიტო-საარტილერიო ბატარეა, შტაბის ბატარეა, 242-ე საველე პურსაცხობი, დივი-ზიის ვეტლაზარეთი და მსხვილფეხა საქონლის ჯოგი.[66]

ამიერკავკასიის ფრონტის ჯარების ჩრდილოეთის ჯგუფის 1942 წლის 21 აგვისტოს ბრძანებით – 392-ე ქართული მსროლელი დივიზია 37-ე არმიის შემადგენლობაში შევიდა, თავდაცვისათვის მომზადე-ბული ზღუდე დატოვა და დოქშუკინოს რაიონში დაბანაკდა, რათა პრიშიბსკაიას, პლავოურვაზაკის, სლავინსკის, დოქშუკინოსა და კოტლიარევსკაიას ზოლზე დაეკავებინა თავდაცვითი პოზიციები.

22 აგვისტოს დილით 802-ე მსროლელი პოლკის გაძლიერებული ასეული ფსიხოდის რაიონის ასაქცევისაკენ გადაისროლეს. მას დივიზიის ნაწილები უნდა დაეცვა სამხრეთ-დასავლეთიდან. რამდენიმე საათის შემდეგ გაძლიერებულ ასეულზე იერიში მიიტანა გერმანელ მეავტომატეთა ჯგუფმა ორი ტანკის მხარდაჭერით, რის გამოც იგი იძულებული გახდა უკან დაეხია ფსიხოდის სამხრეთ-დასავლეთით, წესრიგში თავის მოყვანის შემდეგ ასეულმა კონტრიერიში მიიტანა მოწინააღმდეგეზე, უკუაგდო ის დაკავებული პოზიციებიდან და წინანდელი მდგომარეობა აღადგინა.[67]

ზემოხსენებული ადგილების და პირველ რიგში, სოფელ ფსიხოდისა და რკინიგზის სადგურის ფსიხოდის დაკავებასა და გამაგრებას უაღრესად დიდი სტრატეგიული და ტაქტიკური მნიშვნელობა ჰქონდა. ერთი მხრივ, 392-ე ქართული მსროლელი დივიზია თავიდან აიცილებდა მტრის მოულოდნელ თავდასხმას, მეორე მხრივ, მან გაამაგრა რა მდინარე ჩერეკის მარჯვენა ნაპირი, ამ რაიონში თავის კონტროლს დაუქვემდებარა მაისკო=ენალჩიკის რკინიგზის ხაზი.

1942 წლის 22 აგვისტოს 392-ე ქართული მსროლელი დივიზიის ქვეგანაყოფებმა პირველად მიიღეს საბრძოლო ნათლობა სოფელ ფსიხოდისა და რკინიგზის სადგურ ფსიხოდის მიდამოებში. ამ დღეს დივიზიის ქვედანაყოფების წინააღმდეგ დაიძრა ფაშისტთა ოთხი ტანკი და მეავტომატეთა რაზმი 40კაცის რაოდენობით. ქართველი მებრძოლები არ დაბნეულან. მათ სასტიკი ბრძოლა გაუმართეს ფაშისტებსა და უკუაგდეს ისინი.

გერმანელები მსხვერპლს არ ერიდებოდნენ. ისინი ცდილობდნენ ხელში ჩაეგდოთ ეს სადგური და გადაეჭრათ მაისკოედან ნალჩიკში მიმავალი რკინიგზის ხაზი. ამ

შეტაკებებში ფაშისტებს საგრძნობი ზარალი მოუვიდათ. დივიზიის საარტილერიო პოლკის ბატარეის ცეცხლით მოსპობილ იქნა გერმანელთა კარგად შენიღბული მრავალი საცეცხლე წერტი.[68]

1942 წლის 24 აგვისტოს, ღამით, 392-ე ქართული მსროლელი დივიზიის მოგერიების მარჯვენა ფრთაზე გერმანელებმა შეძლეს ჭარბი ძალებით ვიწრო უბნის გარღვევა და სპირტის ქარხანასთან გაიჭრნენ. ფაშისტმა მეავტომატეებმა მოახერხეს მაიორ პ.კაციტაძის პოლკის საბრძოლო განლაგებაში სოფელ მაისკოეში შესვლა. მაიორმა პ.კაციტაძემ და ათასეულის კომისარმა კ.ჩირაძემ სასწრაფოდ გამოყვეს მეავტომატეთა ძლიერი რაზმი, პირადად ჩაუდგნენ მას სათავეში, მოხერხებული დარტყმით განდევნეს ჰიტლერელები 392-ე ქართული მსროლელი დივიზიის დაცვის ზონიდან და დაიკავეს სპირტის ქარხანა და სოფელი მაისკოე.

25 აგივსტოს, საარტილერიო პოლკის მესამე ბატარეამ, რომელსაც ლეიტენანტი მაჩაბელი მეთაურობდა, ფაშისტთა დაზგის ერთი ტყვიამფრქვევი მოსპო, რომელიც განუწყვეტლივ უშენდა ცეცხლს პ.კაციტაძის პოლკის ქვედანაყოფებს. ამავე დღეს საარტილერიო პოლკის პირველმა ბატარეამ მოიგერია მტრის მეავტომატეთა თავდასხმა და გაჰფანტა გერმანელთა ქვეითი ნაწილები, რომლებიც თავს იყრიდნენ სხვადასხვა ადგილებში. ჰიტლერელებმა მდინარე ჩერეკის მარცხენა ნაპირზე სოფელ ვლადიმირსკოესთან დააჯგუფეს რამდენიმე ტანკი და ქვეითი ჯარის ქვედანაყოფები, ისინი ცდილობდნენ შეჭრილიყვნენ დივიზიის საბრზოლო განლაგებაში და აქ დეზორგანიზება შეეტანათ.

ბრძოლების პირველმა დღეებმა ნათელჰყო, რომ ფაშისტები ამ უბანზე არცთუ ისე ძლიერი იყვნენ. მათი

ყველა შემოტევა მოგერიებულ იქნა ქართველი მებრძოლების მიერ. მტერმა ვერც ერთი ნაბიჯით ვერ წაიწია წინ. მან დიდი ზარალი განიცადა ცოცხალი ძალისა და საბრძოლო ტექნიკის მხრივ.[69]

დივიზიის შტაბის ოპერატიული ჯგუფი სამეთაურო პუნქტ კახუნში მივდა. ამ დროისათვის ფაშისტებმა გადმოსროლილი რეზერვებით გააძლიერეს დაწოლა, შეავიწროვეს დივიზიის მოწინავე რაზმი და შენაერთისათვის განკუთვნილ თავდაცვის მოწინავე პოზიციებზე გადავიდნენ.

შექმნილ ვითარებაში 392-ე ქართული მსროლელი დივიზიის ნაწილები ნიჟნი ივანოვსკის მიმართულებით შეტევაზე გადავიდნენ, რათა მდინარე ურვანის სამხრეთ სანაპიროზე გაჭრილიყვნენ, 26 აგვისტომდე ხუთდღიანი სასტიკი ბრძოლების შედეგად დივიზიამ დაძლია გერმანელთა წინააღმდეგობა და დაეუფლა პრიშიბსკაიას, კოტლიარევსკაიას, მაისკოეს, ვლადიმიროვსკის, სოვეტსკის, კრასნაია პოლიანას, პროვოურვანსკის, სლავიანსკის, ტრუდ-გორეცის და პსინაბოს.[70]

გააფთრებული შეტევითი ბრძოლების ვითარე-ბაში, არტილერიისა და ნაღმტყორცნების ყუმბარების გრიალში პოლიტმუშაკები და აგიტატორები სამშობლოსათვის თავდადებულ მებრძოლებს უკითხავდნენ 1942 წლის 22 აგვისტოს ქ. თბილისში შემდგარ ამიერკავკასიის ხალხთა ანიტფაშისტური მიტინგის მოწოდებას, რომელშიც ჩაქსოვილი იყო თავისუფლებისმოყვარე ამიერკავკასიის ხალხთა გრძნობები და განცდები.[71]

გერმანელ ოკუპანტთა წინააღმდეგ გააფთრებული შეტევითი ბრძოლის დღეებში 392-ე ქართულ დივიზიაში ჩავიდა საქართველოს მშრომელთა პირველი დელეგაცია, რომელშიც შედიოდნენ საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური

კომიტეტის მდივანი ი.თავაძე და მწერლები: ირ.აბაშიძე, ა.მაშაშვილი და ს.ჩიქოვანი.

დელეგაციის ჩასვლასთან დაკავშირებით დივიზიის გაზეთმა შემდეგი მოწოდებით მიმართა დივიზიის მებრძოლებს, მეთაურებსა და პოლიტ-მუშაკებს: "ბრძოლაში თქვენი ჩაბმის პირველი დღიდანვე ჩვენთან იმყოფება საქართველოს მშრომელთა დელეგაცია . . . მათ მოიტანეს ჩვენთან ქართველი ხალხის მტკიცე გადაწყვეტილება – სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოლონ სამშობლოს თავისუფლებისა და კეთილდღეობისათვის გერმანელ კაციჭამიათა წინააღმდეგ.

ჩვენი ვალია ბოლომდე ერთგული ვიყოთ ჩვენი ხალხის გმირული წარსულისა".[72]

392-ე დივიზიაში ჩასული ქართველი ხალხის პირველი დელეგაცია 10 დღეს დარჩა ფრონტზე და სამშობლოში გამგზავრების წინ მოწოდებით მიმართა დივიზიის მებრძოლებს, მეთაურებსა და პოლიტ-მუშაკებს: ". . . საბჭოთა საქართველოს მებრძოლებო, თქვენ შემოგცქერით ჩვენი წარსული, აწმყო და მომავალი, თქვენ დაგცქერით ჭაღარა კავკასიონი, თქვენ გეძახით მის კალთებზე დაღვრილი წინაპრების სისხლი, თქვენ გეძახით წინაპართა ძვლებით აგებული ციხე კოშკები . . . ძმებო და მეგობრებო, თქვენ უკვე დაამტკიცეთ თავდადება მამულისადმი, ბრძოლის ველზე გამოიჩინეთ მამაცობა და შესძელით მტრის ურდოების აკაფვა.

. . . ვაშა და გამარჯვება თქვენ, ქართველი ხალხის სასიქადულო შვილებო! . . ."[73]

აღსანიშნავია, რომ პრავოურვანსკთან ბრძოლებში გერმანელთა 23-ე სატანკო დივიზიის მეთაურ, გერმანელ-მაიორ ფონ მაკთან ერთად დაიღუპა პოლკის ერთი მეთაური და შტაბის ორი ოფიცერი. ამავე ბრძოლებში 392-ე

ქართველი მსროლელი დივიზიიდან დაიღუპა 89 მებრძოლი, 112 დაიჭრა და 67 უგზოუკვლოდ დაიკარგა.[74]

1942 წლის 26 აგვისტოს 392-ე ქართული მსროლელი დივიზიის მეთაურმა პოლკოვნიკმა ი.სილაგაძემ მიიღო არმიის სარდლობის ბრძანება დივიზიის მოგერიებიდან შეტევაზე გადასვლის შესახებ. დივიზიის ნაწილებს უნდა გადაელახათ მდინარე ჩერეკი, გაჭრილიყვნენ წინ, ხელთ ეგდოთ მდინარის სანაპიროები, რომელიც ტაქტიკურად ხელსაყრელ ზღუდეს წარმოადგენდა ბრძოლებისათვის და დაეკავშირებინათ სოფლები: სოვეტსკოე, ვლადიმირსკოე, კრასნაია პოლიანა და პრავოურვანსკი. ეს სოფლები გერმანელებს ძლერ გამაგრებულ დასაყრდენ პუნქტებად ჰქონდათ გადაქცეული. ხსენებული სოფლების დაკავებით 392-ე ქართული მსროლელი დივიზიის ნაწილები მტრის ფლანგებზე მოექცეოდნენ და თავიანთი კონტროლის ქვეშ დააყენებდნენ პროხლადნაიას და პროხლადნაია-ბაქსანის რკინიგზის ხაზს.

. . . შეტევის წინ საჭირო შეიქმნა მდინარე ჩერეკის ერთ უბანზე ორი ხიდის აღდგენა. მიუხედავად იმისა, რომ ხიდზე მისასვლელები ღია იყო და მთვარიანი ღამეც ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა მუშაობისათვის. ქართული დივიზიის მესანგრეებმა და მებრძოლებმა დანგრეული ხიდები დაკვრითი წესით აღადგინეს. მოსამზადებელი მუშაობა დამთავრდა. დივიზიის ნაწილებმა თავი მოიყარეს გამოსასვლელ ზღუდეზე. საარტილერიო მომზადების შემდეგ ქართველი მებრძოლები შეტევაზე გადავიდნენ. გერმანელებისათვის ეს შეტევა მოულოდნელი გამოდგა. მათ არათუ კონტრშეტევა, აქტიური თავდაცვაც კი ვერ მოახერხეს.[75]

392-ე ქართული მსროლელი დივიზიის ნაწილების დარტყმას ვერ გაუძლეს ფაშისტებმა და უკან დაიხიეს.

დივიზიის მებრძოლებმა ხელთ იგდეს ის ხიდი, რომელიც ნოვოპოლტავსკისაკენ მიმავალ გზაზე მდებარეობდა. ჰიტლერელები ვერ ეგუებოდნენ მარცხს. მათ რამდენჯერმე მიიტანეს კონტრიერიში 392-ე დივიზიის ნაწილების წინააღმდეგ, მაგრამ უკუქცეულ იქნენ. დივიზიის წინააღმდეგ შეტევით ბრძოლებში ფაშისტებმა დაჰკარგეს რამდენიმე ჯარისკაცი, ოფიცერი და დიდძალი საომარი ტექნიკა.

აღნიშნული ბრძოლებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო სოფელ პრავოურვანსკის განთავისუფლება. ოკუპაციის პირველი დღეებიდანვე პრავოურვანსკი გერმანელებმა ძლიერ გაამაგრეს და მნიშვნელოვან დასაყრდენ პუნქტად გადააქციეს. იქ გერმანელებს განლაგებული ჰყავდათ 12 ტანკი და რამდენიმე ნაღმსატყორცნი. აქვე თავმოყრილი იყო 70 მეავტომატე და ქვეითთა რამდენიმე ათასეული.

პრავოურვანსკში გამაგრებული ფაშისტების წინააღმდეგ შეტევაში მონაწილეობას იღებდნენ ქართული დივიზიის ნაკრები ქვეგანაყოფები. მიუხედავად იმისა, რომ მათ შეტევა უხდებოდათ ღია პოზიციებიდან და გერმანელბმა მათ წინააღმდეგ გამოიყენეს ნაღმტყორცნების, არტილერიის, ტყვიამფრქვევისა და ავტომატ-შაშხანების ცეცხლი, მებრძოლები, მეთაურები და პოლიტმუშაკები გმირულად მიიწევდნენ წინ საბრძოლო ამოცანის შესასრულებლად და 12 საათიანი ბრძოლების შედეგად სოფელი პრავოურვანსკი გაანთავისუფლეს.

სოფელ პრავოურვანსკისათვის წარმოებულ სასტიკ ბრძოლაში გაშმაგებით იბრძოდა მაიორ ბერაძის პოლკის პირველი მსროლელი ათასეულის მეთაური, კაპიტანი მიხეილ ბუხაიძე. მიუხედავად იმისა, რომ მ.ბუხაიძე სამჯერ დაიჭრა მტრის ტყვიით, იგი ბრძოლის ველიდან არ

გამოსულა. ბრძოლის მძიმე წუთებში ყოველთვის ცეცხლის მოწინავე ხაზზე იყო და აღაფრთოვანებდა თავისი ათასეულის მებრძოლებსა და მეთაურებს მგზნებარე მოწოდებით.[76]

სოფელ პრავოურვანსკის განთავისუფლებისათვის წარმოებულ ბრძოლებში კაპიტან მ.ბუხაიძის მიერ გამოჩენილი გმირობისა და სამშობლოსადმი უსაზღვრო თავდადების შესახებ პოლიტხელი კ. დობორჯგინიძე 392-ე დივიზიის გაზეთში "წინ გამარჯვებისაკენ" წერდა: ცეცხლის წინა ხაზზე გააფთრებულ ბრძოლაში მძიმედ დაიჭრა მ.ბუხაიძე, მაგრამ წუთითაც არ შეუწყვეტია თავისი საბრძოლო მოქმედება. მძიმე ტკივილების მომენტშიც კი, სამშობლოს წინაშე მოვალეობის კეთილსინდისიერად შესრულების სულისკვეთებით გამსჭვალული იყო იგი. გმირმა ძალა მოიკრიბა, ვეფხვივით ზეზე წამოვარდა. მეც თქვენთან ვარ ძმებო, წინ, სამშობლოსათვის!" ვაჟკაცურად შესძახა და მებრძოლები იერიშზე გადაიყვანა. მეთაურის სიმამაცით გამხნევებული მებრძოლები იერიშზე გადაიყვანა. მეთაურის სიმამაცით გამხნევებული მებრძოლები "ვაშას" შეძახილებით ეკვეთნენ მტრის თავდაცვის ზღუდეს, მაგრამ აქ მოულოდნელად დაეცა კაპიტანი. მუხანათი მტრის ნაღმის ნამსხვრევმა მას მარცხენა ჯიბეში პარტიული ბილეთი გაუხვრიტა."[77]

მ.ბუხაიძესთან ერთად სოფელ პრავოურვანსკის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში თავი ისახელეს აგრეთვე მეთაურებმა და პოლიტმუშაკებმა: კვანტალიანმა, ზაქარიაძემ, არველაძემ, მიქაძემ, ონიაშვილმა, ხვედელიძემ, კუხიანიძემ, მამაცობისა და გმირობის იშვიათი მაგალითები გვიჩვენეს ქართველმა მებრძოლებმა: კაკაურიძემ, ირემაძემ, გეფერიძემ და სხვებმა.

მტერთან ბრძოლაში ძალა, სისწრაფე, გაბედული გადაწყვეტილების მიღებისა და მტრის პოზიციებზე იერიშის საუკეთესო უნარი გამოამჟღავნა პოლიტხელმა შუბითიძემ. გააფთრებულ ბრძოლაში მძიმედ დაჭრილმა ბრძოლის ველი არ მიატოვა. მეტად დაძაბულ და მწვავე წუთებში მან თავისი ქვეგანაყოფი შეტევაზე გდაიყვანა. მებრძოლები ისეთი ძალითა და ენერგიით ეკვეთნენ მტერს, რომ ფაშისტებმა ვერ გაუძლეს დარტყმას და უკან დაიხიეს. ქვეგანაყოფებმა საბრძოლო დავალება პირნათლად შეასრულა.[78]

მტერთან ბრძოლაში გმირობა აჩვენა პოლკის მეთაურმა ა.ბერიძემ და მისმა ქვეგანაყოფებმა. ერთ-ერთ ბრძოლაში ა.ბერიძე ორჯერ დაიჭრა. იგი სისხლისაგან იცლებოდა, მაგრამ ბრძოლის ველი არ მიატოვა. სამშობლოსათვის თავდადებულმა მეთაურმა პირადი მაგალითით გაამხნევა მებრძოლები, შეტევაზე წაიყვანა ისინი და პირნათლად შეასრულა სარდლობის საბრძოლო ამოცანა.

392-ე ქართული მსროლელი დივიზიის მებრძოლებისა და მეთაურებისათვის სამაგალითო იყო საბჭოთა კავშირის გმირის ალ.პირმისაშვილის და მისი ქვეგანაყოფების სიმამაცე და გმირული ბრძოლები. ერთ-ერთ ბრძოლაში ალ.პირმისაშვილის არტილერიის ზუსტმა ცეცხლმა ჩაახშო მტრის ათასეულის დასაყრდენი წერტი. შემდეგ ქვედანაყოფმა ცეცხლი გადაიტანა მტრის ზურგში. გზა გადაუღობა მტრის ათასეულის რეზერვებს მოწინავე პოზიციებისაკენ, რითაც საშუალება მისცა ჩვენს ქვეგანაყოფებს სწრაფი ტემპით განევითარებინათ იერიში და ხელიდან გამოეგლიჯათ მტრისათვის კიდევ ერთი დასახლებული პუნქტი. ალ.პირმისაშვილის არტილერიის ყუმბარის ნამსხვრევებმა ნაფლეთებად აქცია გერმანელების

23-ე სატანკო დივიზიის მეთაური გენერალი ფონ-მაკი და მისი თანმხლები ოფიცრები.

სამშობლოსათვის თავდადებული მებრძოლის სახელი მოიხვეჭა ვასილ სტეფნაძემ. ბრძოლის პირველსავე დღეს მან სიცოცხლე მოუსპო რამდენიმე ფაშისტს. ვ.სტეფნაძე ბრძოლაში ორჯერ დაიჭრა. სანიტრებმა იგი სამედიცინო პუნქტში მიიყვანეს და ჭრილობა შეუხვიეს, ხოლო როცა საევაკუაციოდ მოიკითხეს იგი იქ აღარ აღმოჩნდა, კვლავ ბრძოლის ველზე წასულიყო! მტერთან გააფთრებული ბრძოლის დღეებში ვ.სტეფნაძე მიღებულ იქნა კომუნისტური პარტიის რიგებში.[79]

გააფთრებული ბრძოლის დროს მეტყვიამფრქვევე შაქრო ქაფიაშვილმა სწრაფად მონახა მოხერხებული პოზიცია, საგულდაგულოდ ჩასაფრდა და მცელავი ცეცხლი გაუხსნა გერმანელ მეავტომატეებს, რომლებიც წინ წაწევის საშუალებას არ აძლევდნენ 392-ე ქართული მსროლელი დივიზიის ქვეგანაყოფებს. ჰიტლერელებმა ვერ გაუძლეს შ.ქაფიაშვილის ტყვიამფრქვევის მასირებულ ცეცხლს და დიდი ზარალის შემდეგ უკან დაიხიეს. გულადმა და მამაცმა მეტყვიამფრქვევემ გზა გაუკაფა თავისი ქვეგანაყოფის მებრძოლებს, რათა დაეკავებინათ მნიშვნელოვანი საცეცხლე ზღუდე, შემდეგ კი იერიში მიეტანათ გერმანელების მიერ ოკუპირებული სოფლის გასანთავისუფლებლად.

გერმანელთაგან განთავისუფლებულ სოფელ პრავოურვანსკში საბჭოთა მებრძოლებმა ნახეს ორი მამაცი ქართველი მებრძოლის კვარაცხელიასა და ახმეტელიანის ნაწამები გვამები.[80]

შეტევით ბრძოლაში მოპოვებულ წარმატებებთან დაკავშირებით 37-ე არმიის სამხედრო საბჭომ 1942 წლის 26 აგვისტოს შემდეგი შინაარსის დეპეშა გაუგზავნა 392-ე

ქართული მსროლელი დივიზიის მეთაურს პოლკოვნიკ ი.სილაგაძეს, დივიზიის კომისარს კ.სოხაძეს და დივიზიის მთელ პირად შემადგენლობას: "სამხედრო საბჭო გილოცავთ თქვენს პირველ გამარჯვებას, პრავოურვანსკის, სოვეტსკაიას, კრასნაია პოლიანას, ვლადიმირსკის და სხვა პუნქტების აღებას. სამხედრო საბჭო დარწმუნებულია, რომ ეს გამარჯვება დასაწყისია კაცობრიობის მოსისხლე მტრის ჰიტლერიზმის წინააღმდეგ გადამწყვეტი მოქმედებისა.

გისურვებთ წარმატებებს შემდგომ ბრძოლებში გერმანელ ოკუპანტთა საბოლოო განადგურებისათვის.

წინადადებას გაძლევთ ბრძოლაში თავგამოჩენილი მებრძოლები, მეთაურები და პოლიტმუშაკები წარმოადგინოთ მთავრობის ჯილდოზე".[81]

1942 წლის 27-28 აგვისტოს განმავლობაში 392-ე ქართული მსროლელი დივიზიის ქვეგანაყოფები შეტევით ბრძოლებს განაგრძობდნენ მტრის წინააღმდეგ და ზედიზედ ათავისუფლებდნენ ტაქტიკური თვალსაზრისით ხელსაყრელ სოფლებსა და დასახლებულ პუნქტებს. 29 აგვისტოს ქართველმა მეომრებმა გაანთავისუფლეს მნიშვნელოვანი დასახლებული პუნქტები: ნოვოივანოვსკი, ბაქსანსკი, ნოვოეკურსკი, ძუგაევო, ტოუკანდორეში, დახაფსიხო, კრასნოე გედუკო, ცხენსაშენი, მეფრინველეობის საბჭოთა მეურნეობა და სხვა.[82]

ჯერ კიდევ 1942 წლის 27-28 აგვისტოს ბრძოლებში 392-ე ქართული მსროლელი დივიზიის ნაწილებმა სოფელ კრასნი გედუკო ფაშისტთა უღლისაგან გაანთავისუფლეს. ეს სოფელი 1942 წლის სექტემბრის პირველი რიცხვებიდან იმ პოლკის დაცვაში იმყოფებოდა, რომელსაც მაიორი ი.გვირგვლიანი მეთაურობდა. გერმანელებს მიზნად ჰქონდათ დასახული რადაც არ უნდა დაჯდომოდათ კვლავ

ხელში ჩაეგდოთ კრასნი გედუკო და აქედან განევითარებინათ შეტევა გერმენჩუკ-დოქშუკინო-ნალჩიკის მიმართულებით. ფაშისტებს იერიში იერიშზე მიჰქონდათ ამ სოფელზე. 392-ე ქართული მსროლელი დივიზიის მებრძოლები მამაცურად იგერიებდნენ მტრის შემოტევას და ზარალის მიყენებით უკუაგდებდნენ მათ. სოფელ კრასნი გედუკოს ქართველმა დამცველებმა 13 დღის განმავლობაში გერმანელთა 22 იერიში მოიგერიეს.[83]

9 სექტემბერს გერმანელებმა მეოთხედ სცადს შეტევა კრასნი გედუკოზე, მაგრამ ეს შეტევაც მარცხით დამთავრდა.

მეხუთე შეტევა გერმანელებმა კრასნი გედუკოზე 13 სექტემბერს განახორციელეს. ერთი ასეულის წინააღმდეგ ათასეული ქვეითი ჯარი. 12 საშუალო ტანკი, 4 ჯავშნოსანი და მეავტომატეთა ასეული გამოიყენეს. ჰიტლერელები ცდილობდნენ ჭარბი ძალებით ხელში ჩაეგდოთ კრასნი გედუკო. ქვეგანაყოფების გასაძლიერებლად პოლკის მეთაურმა ი.გვირგვლიანმა დამხმარე ძალები გადმოისროლა, ხოლო საარტილერიო და ნაღმსატყორცნთა ბატარეებმა ძლიერი ცეცხლი გაუხსნეს მტრის ტანკებსა და ჯავშნიან მანქანებს. ორი ტანკი მწყობრიდან გამოვიდა, დანარჩენები კი იძულებული გახდნენ უკან გაბრუნებულიყვნენ.

18 და 19 სექტემბრის განმავლობაში ოთხჯერ მიიტანეს იერიში კრასნი გედუკოზე, მაგრამ 392-ე ქართული მსროლელი დივიზიის მამაცი მებრძოლების მიერ ოთხჯერვე უკუგდებულ იქნენ. 20 სექტემბერს ფაშისტები კვლავ გადავიდნენ შეტევაზე. პირველად მათ თვითმფრინავები გამოუშვეს, რომლებმაც სოფელ კრასნი გედუკო და პოლკის განლაგება დაბომბეს. შენაერთის მებრძოლთა მასირებული ცეცხლის შედეგად გერმანელები

იძულებული გახდნენ ხელი აეღოთ დაბლა ფრენაზე, შემდეგ ფაშისტებმა არტილერიისა და ნაღმტყორცნების ძლიერი ცეცხლი დააყარეს კრასნი გედუკოს. მტრის სროლას გასამკეცებული ცეცხლით უპასუხეს დივიზიის არტილერისტებმა და ნაღმტყორცნელებმა. საარტილერიო დუელი სამ საათს გაგრძელდა. შემდეგ ფაშისტებმა შეტევაზე გამოუშვეს დიდი რაოდენობით ქვეითი ჯარი და მეავტომატეთა ჯგუფები. ქართველი მეომრები სცელავდნენ მტრის რიგებს. მიუხედავად დიდი მსხვერპლისა ჰიტლერელები მაინც წინ მოიწევდნენ. მათ შეძლეს შეევიწროვებინათ ასეულის მარჯვენა ფრთა, რის შედეგადაც ქართველ მებრძოლთა სანგრებში შეიჭრნენ. ხელჩართული ბრძოლა იმით დამთავრდა, რომ ფაშისტებმა უკან დაიხიეს.[84]

მტერი შეტევას შეტევაზე აწყობდა. ერთ-ერთი შეტევის დროს ჰიტლერელ მეავტომატეთა დიდმა შენაერთმა შეძლო 392-ე ქართული მსროლელი დივიზიის ასეულისათვის ფლანგებიდან შემოვლა და მისი ალყაში მოქცევა. გულადი ქართველი მებრძოლები, მეთაურები და პოლიტმუშაკები არ დაბნეულან, მათ მტერს ზუსტი მასირებული ცეცხლი დაუშინეს მარცხენა ფრთაზე, გაარღვიეს რკალი და გადმოინაცვლეს ახალ თავდაცვით პოზიციაზე. ფაშისტებმა დაიკავეს სოფელი კრასნი გედუკო.

მტერს რომ წინ გამოჭრისა და დივიზიის ნაწილების შევიწროების საშუალება არ მისცემოდა, საჭირო იყო სოფელ კრასნი გედუკოს დაუყოვნებლივ განთავისუფლება. კარგად მოფიქრებული გეგმის თანახმად, მეორე დღეს, კრასნი გედუკოში შემოჭრილ ფაშისტთა წინააღმდეგ ხელმეორედ შეტევაზე გადავიდნენ მაიორ გვირგვლიანის პოლკის ქვედანაყოფები, რომელთაც

დახმარებას უწევდნენ მაიორ ბერაძის პოლკის ქვეგანაყოფები. მათ მოხერხებულად დაარტყეს სოფელ კრასნი გედუკოში მოპარპაშე ჰიტლერელებს და ხანმოკლე ბრძოლის შემდეგ სოფელი ფაშისტებისაგან გაანთავისუფლეს.[85]

ფაშისტებმა სოფელ კრასნი გედუკოს ერთი თვის ოკუპაციის განმავლობაში არაერთი სიმხეცე ჩაიდინეს, აწამეს მოქალაქენი და ტყვე წითელ-არმიელები. ფაშისტთა მიერ ჩადენილი ბარბაროსობის ფაქტები საკუთარი თვალით იხილეს 392-ე ქართული მსროლელი დივიზიის მებრძოლებმა და მეთაურებმა. ამან კიდევ უფრო მეტად გაზარდა სიძულვილი გერმანელი ოკუპანტებისადმი. ნატანჯი და ნაწამები ამხანაგების ცხედრის წინაშე საბჭოთა ქართველმა, მეთაურებმა და პოლიტმუშაკებმა ფიცი დადეს, რომ ისინი შურს იძიებდნენ ყოველივე იმ ველურობისათვის, რომელსაც ჰიტლერელი ოკუპან-ტები ჩადიოდნენ.[86]

29 აგვისტოს 392-ე ქართულმა მსროლელმა დივიზიამ შეტევა დაიწყო და მოწინააღმდეგე განდევნა კონზავოდის, ძუგაევის, ნიჟნი ივანოვსკის, პტიცხოზის, ნიჟნი კურსკის, დახა-პსიხოს პუნქტებიდან და მდინარე ბაქსანის მარჯვენა სანაპიროზე გავიდა.

ნიჟნი ივანოვსკის რაიონში დივიზიამ 200-მდე ჰიტლერელი ჯარისკაცი და ოფიცერი მოსპო და ხელთ იგდო 500 ცალი ხელის ყუმბარა, შაშხანის 11 ათასი ვაზნა, 200 ჭურვი და 2 მოტოციკლეტი.

დივიზიიდან 85 მებრძოლი დაიღუპა, 310 დაიჭრა, განადგურდა ნაღმსატყორცნი, 2 დაზგის ტყვიამფრქვევი და 27 შაშხანა.[87]

მდინარე ბაქსანის მარჯვენა სანაპიროზე გასულმა დივიზიამ მტრის ახალი ძალების კონტრიერიშებისა და

ძლიერი ცეცხლის ზემოქმედების შედეგად ბაქსანის მარცხენა სანაპიროზე გადასვლა ვერ შეძლო, ამიტომ შენაერთის ნაწილები მიღწეულ ზღუდეზე გამაგრდნენ და შეტევიდან თავდაცვაზე გადავიდნენ.

30 აგვისტოდან 4 სექტემბრის განმავლობაში დივიზია სრულყოფდა თავდაცვით პოზიციებს და მტრის დაზვერვას აწარმოებდა.

1942 წლის სექტემბრის პირველ რიცხვებში 392-ე ქართული მსროლელი დივიზიის პოლკები თავდაცვაში იმყოფებოდნენ მდინარე ბაქსანის მარჯვენა ნაპირზე სოფელ ბაქსანის, დოხაპსიხოს, ნოვო-ივანოვსკის, აგურის ქარხნისა და სხვა დასახლებული პუნქტების რაიონებში.

ახალ თავდაცვით რაიონში დივიზიის პოლკები გაძლიერებულ დაზვერვას აწარმოებდნენ სოფელ ნოვოპოლტავსკის, ვესელოვსკის, ალტუდას და პეტროპავლოვსკის მიმართულებით.

მდინარე ბაქსანის მარცხენა ნაპირზე განდევნილ ფაშისტთა ჯარის ნაწილები ცდილობდნენ ხელახლა გადმოელახათ მდინარე ბაქსანი, შეტევაზე გადასუ-ლიყვნენ და დაკარგული მდგომარეობა აღედგინათ. მტრის ეს ზრახვები შეუმჩნეველი არ დარჩენია ქართული დივიზიის სარდლობას.

დივიზიის მეთაურმა პოლკოვნიკმა ი.სილაგაძემ გადაწყვეტილება მიიღო – არ მიეცა მტრისათვის წინ წამოწევის საშუალება და მოხერხებულ შემთხვევაში თავისი ნაწილები შეტევაზე გადაეყვანა.[88]

პირველ დღეს გამართულ ბრძოლაში გერმანელმა ფაშისტებმა წარმატებას ვერ მიაღწიეს, ისინი უკუგდებულ იქნენ. 392-ე ქართული მსროლელი დივიზიის მებრძოლებმა ერთ ასეულამდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი გაანადგურეს, დააზიანეს ორი პონტონის ხიდი,

ერთი ავტომანქანა და ჩაახშეს ტყვიამფრქვევის ორი საცეცხლე წერტის მოქმედება.

მეორე დღეს გერმანელები უფრო დიდი ძალებით მიადგნენ მდინარე ბაქსანს და გადასვლა იწყეს სხვადასხვა უბნებზე. ფაშისტებმა შეტევაზე გამოუშვეს ერთ ათასეულამდე ქვეითი ჯარი და მეავტომატეები. სასტიკი ბრძოლა გაიმართა, ნაღმტყორცნელთა განაყოფი 5 საათის განმავლობაში გმირულად ებრძოდა გერმანელთა ჭარბ ძალებს და აჩერებდა მათ წინსვლას.

ბრძოლის მძიმე წუთებში ქართულ ბატარეას პოლკის მაშველი ძალები მოუვიდა და ბრძოლამ უფრო მკაცრი ხასიათი მიიღო. იყო ისეთი წუთებიც, როცა მტერი ბატარეას გარს შემოერტყა 150-200 მეტრის მანძილზე, მაგრამ ქართველი მებრძოლები არ შემდრკალან, მათ ხელყუმბარები მოიმარჯვეს და ფაშისტებს ნაღმები დააყარეს. მტრის ეს შემოტევაც მოიგერიეს.

მდინარე ბაქსანის მარჯვენა ნაპირზე მტერთან გააფთრებულ ბრძოლებში მამაცობისა და ვაჟკაცობის იშვიათი ნიმუშები უჩვენა ქართული დივიზიის ასობით მებრძოლმა, მეთაურმა და პოლტმუშაკმა, განსაკუთრებით ისახელეს თავი: საარტილერიო დივიზიონის მეთაურმა, კაპიტანმა ა.პირმისაშვილმა, ბატარეეის მეთაურმა, ლეიტენანტმა გასვიანმა, უფროსმა სერჟანტმა გიორგი გამყრელიძემ, ნაღმტყორცნის მეთაურმა შაქრო ქიტოშვილმა, ოცეულის მეთაურმა დავით კაპანაძემ, მოთვალთვალეებმა შიშოვმა, კაკიაშვილმა, მემიზნეებმა სარქის აჯამამუდოვმა, ქრისტო მიტიჩაშვილმა, ნაღმის მიმწოდებელმა აბულაძემ, ჯახიამ და სხვებმა.[89]

4-დან 5 სექტემბერს ღამით 37-ე არმიის შტაბის ბრძანების შესაბამისად 392-ე ქართულ მსროლელ დივიზიაში შეიქმნა 500 კაციანი რაზმი. მასში შედიოდნენ

საუკეთესო მებრძოლები და მეთაურები, ჯავშანმსხვრეველები, მეავტომატეები, აალებად სითხიანი ბოთლების მსროლელები. ამ რაზმს 37-ე არმიის სარდლობამ დაავალა გაენადგურებინა ნიჟნი ვოზნესენსკი და ხელთ ეგდო გერმანელთა 128-ე მოტომსროლელთა პოლკისა და მე-12 ქვეითი პოლკის შტაბები.

შენაერთის ნაკრებმა რაზმმა საბრძოლო მოქმედების შედეგად სიცოცხლეს გამოასალმა 400-მდე ჰიტლერელი ჯარისკაცი და ოფიცერი, გაანადგურა 6 ტანკი, ერთი ავტომანქანა და ერთი რაცია. რაზმიდან 84 მებრძოლი დაიღუპა, 155 დაიჭრა და 96 უგზო-უკვლოდ დაიკარგა.[90]

392-ე ქართული მსროლელი დივიზიის საბრძოლო წარმატებებმა დიდი ზეგავლენა მოახდინა სხვადასხვა შენაერთების მებრძოლებზე, მეთაურებსა და პოლიტმუშაკებზე. განსაკუთრებით კი ფრონტზე წასვლის მოლოდინში მყოფ 406-ე ქართული მსროლელი დივიზიის პირად შემადგენლობაზე. 392-ე ქარტული მსროლელი დივიზიის მებრძოლებისა და მეთაურებისადმი გაგზავნილ წერილში ისინი წერდნენ: “ძვირფასო ძმებო! მებრძოლო ამხანაგებო და მეგობრებო! . . ჩვენ ყოველდღე მოგვდის ცნობები თქვენი გმირობისა და სამშობლოსადმი უსაზღვრო ერთგულების შესახებ. თქვენი სიმამაცე, გამბედაობა და თავდადება სამშობლოსადმი, ჩვენ ძალას გვმატებს. ჩვენ სიხარულით წავიკითხეთ თქვენი შენაერთის მამაც პატრიოტთა კაპიტან მ.ბუხაიძის, პოლიტხელ ვ.კანკავას, არტილლერისტ ფაცაციას, სნაიპერ მებრძოლ ძაგაშვილის, ჯავშანმტვრევლების გოგოლაძის და გიორგაძის, ნაღმტყორცნელ გვანცელაძის, ყანჩაველისა და სხვათა გმირულ მოქმედებათა შესახებ, რომელიც თითოეულ ჩვენთაგანს აღაფრთოვანებს და ჰბადებს მათში სურვილს მოგბაძოთ თქვენ – ვიყოთ ისეთივე მედგარი და

შეუპოვარი მტრის მიმართ, როგორც თქვენი მებრძოლები არიან . . .

არც ერთი ნაბიჯი უკან! შევაჩეროთ, უკუვაქციოთ და გავანადგუროთ საზიზღარი მტერი. აი ჩვენი საბრძოლო ლოზუნგი. ჩვენ ეს შეგვიძლია, ჩვენ ამას გავაკეთებთ. სიკვდილი გერმანელ ოკუპანტებს.”[91]

392-ე ქართული მსროლელი დივიზიის პირადი შემადგენლობის მიერ ბრძოლის პირველ დღეებში მოპოვებულ წარმატებებს მაღალი შეფასება მისცა ფრონტის სარდლობამ.

გერმანელ დამპყრობლებთან ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო სანიმუშოდ შესრულებისათვის, ამასთან მამაცობისა და გულადობის გამოჩენისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით ფრონტის სამხედრო საბჭომ ორდენებითა და მედლებით დააჯილდოვა ქართული დივიზიის მეთაურთა და რიგითთა შემადგენლობა.

წითელი დროშის ორდენით დააჯილდოეს: კაპიტანი მ.ბუხაიძე სიკვდილის შემდეგ, უფროსი პოლიტხელი ე.თომაშვილი, პოლიტხელები: გ.ხვედელიძე, ი.შუბითიძე, სერჟანტი ლ.ბერია, უფროსი სერჟანტი ნ.ჩინჩალაძე და რიგითი ი.კაკაურიძე.

წითელი ვარსკვლავის ორდენით დაჯილდოვდნენ: კაპიტნები გ.კვანტალიანი, ი.იაშვილი, უმცროსი ლეიტენანტები: ვ.ბარამიძე, ვ.ხაჩიპერიძე, უფროსი სამხედრო ფერშალი ვ.კოროშინაძე, უფროსი პოლიტხელი დ.კუხიანიძე, ლეიტენანტი ნ.ლელაძე და უმცროსი ლეიტენანტი მ.მიქაძე.

მრავალმა დაიმსახურა მედალი “მამაცობისათვის” და “საბრძოლო დამსახურებისათვის”.

უნდა აღინიშნოს 392-ე ქართული მსროლელი დივიზიის 673-ე მესანგრეთა ცალკე ათასეულის კომისრის, პოლიტხელ ვლადიმერ კანკავას საბრძოლო გმირობა.

1942 წლის 9 სექტემბერს სპეციალურმა რაზმმა თავისი მოქნილი მოქმედებით გაარღვია მოწინააღმდეგის თავდაცვა და ფაშისტებისაგან გაანთავისუფლა ყაბარდო-ბალყარეთის ასსრ სოფელი პოკროვსკოე. მტერი დამარცხებას ვერ შეურიგდა და შედარებით მცირერიცხოვანი რაზმის წინააღმდეგ 1000-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი გამოიყვანა, რომელთაც წინ რამდენიმე ტანკი წამოუმძღვარა. რაზმი ალყაში მოექცა. ვლადიმერ კანკავამ წრიული თავდაცვა მოაწყო. კომისრის გმირობით და ვაჟკაცობით გამხნევებული მებრძოლები მომხდურებს სალ კლდესავით დაუდგნენ.

ძალთა უთანასწორობამ მაინც თავისი გაიტანა. ერთ ადგილზე მტერმა თავდაცვა გაარღვია. ამ მიმართულებით ფაშისტთა ორ ასეულს 5 ტანკი მოჰყვებოდა. შეიქმნა მეტად რთული მდგომარეობა. ამ დროს ვლადიმერ კანკავამ ტანკსაწინააღმდეგო თოფს დაავლო ხელი. მოწინააღმდეგის ტანკების შესახვედრად გაიჭრა და 50 მეტრის მანძილიდან გამანადგურებელი ცეცხლი გაუხსნა. გერმანელთა ორ ტანკს პირველი გასროლისთანავე ცეცხლი წაუკიდა, დანარჩენები შეშინდნენ და პირი იბრუნეს.

“სამშობლოსათვის, სტალინისათვის!” – დაიძახა პოლიტხელმა და თავისი რაზმი იერიშზე წაიყვანა. მოწინააღმდეგე ამას აღარ მოელოდა. მის რიგებში არეულობა შეიქმნა. მტრის მრავალი ჯარისკაცი და ოფიცერი ბრძოლის ველზე დარჩა, მაგრამ ამ ბრძოლაში მამაცი პოლიტხელიც გმირის სიკვდილით დაეცა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1942 წლის 13 დეკემბრის ბრძანებულებით პოლიტხელ

ვლადიმერ კანკავას სიკვდილის შემდეგ მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება.[92]

ამ წარმატების შემდეგ დივიზიის ნაკრები რაზმის მოქმედებას 39-ე არმიის მიერ ჩატარებულ ოპერაციაში პროხლადნაიასა და ალტუდის დაკავებისათვის წარმატება არ მოჰყოლია, რადგანაც სხვადასხვა დივიზიებისაგან შემდგარი რაზმები განცალკევებულად მოქმედებდნენ. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ნაკრები რაზმები სახელდახელოდ შეიქმნა და მათთან კავშირი მტკიცე არ იყო. რაზმები არსებული ვითარების ცოდნის გარეშე მოქმედებდნენ საკუთარი ინიციატივით.[93]

12 სექტემბერს ფაშისტებმა ბატალიონამდე ქვეითებით, სამი ტანკითა და 8 ჯავშნოსანით გადალახეს მდინარე გედუკო და იერიში მიიტანეს 805-ე მსროლელი პოლკის მარცხენა ფლანგზე კიშპეკიდან 5 კილომეტრის აღმოსავლეთით, ხოლო 13 სექტემბერს 805-ე მსროლელო პოლკის მესამე ბატალიონმა სასტიკ ბრძოლებში მტრის რამდენიმე კონტრიერიში მოიგერია, მოწინააღმდეგე განდევნა დაკავებული პოზიციებიდან და აღადგინა მდგომარეობა.

13-25 სექტემბრის განმავლობაში დივიზიის ნაწილებმა მოიგერიეს მოწინააღმდეგის სადაზვერვო ჯგუფის კონტრიერიშები, სრულჰყვეს თავდაცვითი პოზიციები, ატარებდნენ წვრთნას საბრძოლო მომზადებაში და ახდენდნენ გერმანელთა დაზვერვას.

1942 წლის 26 სექტემბერს 37-ე არმიის შტაბის ბრძანების შესაბამისად 392-ე ქართული მსროლელი დივიზიის 790-ე მსროლელი პოლკის ორმა ბატალიონმა გადალახა მდინარე ჩერეკი, რათა მაისკოეს რაიონში გაენადგურებინა გერმანელთა ჯგუფი. ამ ამოცანის შესასრულებლად ბატალიონებმა 4 კილომეტრით წინ

წაიწიეს, ხელთ იგდეს 60 მოტოციკლეტი და ერთი ავტომანქანა შტაბის დოკუმენტებით.

პროხლადნაიას რაიონიდან გერმანელებმა დამხმარე ძალა გადმოისროლეს. ტანკებისა და ავიაციის მხარდაჭერით 2 კონტრიერიში განახორციელეს და 790-ე მსროლელი პოლკის ბატალიონების დაწყებულ შეტევას დროულად არ დაუჭირა მხარი 275-ე მსროლელმა დივიზიამ. 790-ე მსროლელი პოლკის ორი ბატალიონი ჰიტლერელთა ჭარბ ძალებთან უთანასწორო ბრძოლაში მთლიანად განადგურდა.[94]

27 სექტემბერს ღამით ფაშისტთა ორმა ასეულმა ისარგებლა სიბნელითა და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის პოლკის შეცვლის მომენტით და ნიჟნი პოლტავსკის რაიონში გადალახა მდინარე ბაქსანი და დივიზიის თავდაცვის რაიონში შეაღწია.

სოფელ კრასნი გედუკოსათვის გაჩაღებული მრავალდღიანი მძიმე ბრძოლები 1942 წლის სექტემბრის დამლევს მტრის სასტიკი მარცხით დამთავრდა. ამ მნიშვნელოვანი პუნქტიდან, საიდანაც მოწინააღმდეგეს ნალჩიკის მიმართულებით შეტევის განვითარება ეწადა, ფაშისტი დამპყრობლები გარეკეს.

ოკუპანტებისაგან გაწმენდილი კრასნი გედუკოს დაცვა დაეკისრა 805-ე მსროლელთა პოლკის მეორე ბატალიონს, რომელსაც ლეიტენანტი დავით ცხომარია მეთაურობდა.

ფაშისტები კრასნი გედუკოს დაკარგვას ვერ ურიგდებოდნენ. ეს სოფელი იყო ტრამპლინი, საიდანაც ნალჩიკისაკენ გაჭრა შეიძლებოდა. ამიტომ გერმანელებს დღისითა და ღამით იერიში მოჰქონდათ კრასნი გედუკოზე, არაფერს ზოგავდნენ, ოღონდ კვლავ დაუფლებოდნენ სოფელს.

მტრის ყოველ მოძალებას მედგრად უმკლავდებოდნენ დავით ცხომარიას ბატალიონის მეომრები. ისინი დიდ ზარალს აყენებდნენ გერმანელთა ცოცხალ ძალასა და საომარ ტექნიკას. ამის მიუხედავად ფაშისტები მაინც არ ცხრებოდნენ. ოცი დღის განმავლობაში დ.ცხომარიას ბატალიონმა ოცდასამი იერიში მოიგერია და მტერს ერთი ნაბიჯით წინ წამოწევის შესაძლებლობა არ მისცა.

სოფელზე მტრის გამუდმებული შემოტევების მოგერიებისას მამაცობითა და საზრიანი მოქმედებით თავი გამოიჩინა ბატალიონის მეთაურის მოადგილემ სამწყობრო დარგში ლეიტენანტმა ნოე ჯიბლაძემ. გულადმა მეთაურმა არ იცოდა არც შიში, არც დაღლა ბრძოლაში. მოწინავე პოზიციაზე მოქმედებდა მოხერხებულად. ნოე ჯიბლაძე ყოველთვის იქ გაჩნდებოდა, სადაც თავს იჩენდა სიძნელე, შთამაგონებელი სიტყვებით რაზმავდა მებრძოლებს მტრის გასანადგურებლად გაჩაღებულ სასტიკ ბრძოლებში.[95]

კრასნი გედუკოსთან გააფთრებულ ბრძოლაში გმირული სიკვდილით დაეცნენ მებრძოლები ქიტესა ყირმელაშვილი, გიორგი ერისთავი, მიხეილ ვერძეული. კრასნი გედუკოს დაცვას შეეწირნენ ბრძოლაში მრავალგზის სახელმოხვეჭილი მანგლისელი ტყუპი ძმები ნიკოლოზ და მიხეილ გულვარდაშვილები.

ოთხ თანამებრძოლთან ერთად ძმები გულვარდაშვილები ორი საათის განმავლობაში ვაჟკაცურად იგერიებდნენ სამოცამდე ფაშისტის მძაფრ იერიშებს, გასაქანს არ აძლევდნენ მათ. ბოლოს როცა ვაზნები გამოელიათ, ნიკოლოზი და მიხეილი პირველნი გადაეშვნენ ხელჩართულ ბრძოლაში. ამ ოთანასწორო შერკინებაში დაეცნენ გმირული სიკვდილით. ტყუპი ძმების იშვიათ ვაჟკაცობას ლექსი უძღვნა იმ დღეებში 392-ე

ქართული მსროლელ დივიზიაში სტუმრად მყოფმა მწერალმა სოლომონ თავაძემ.[96]

37-ე არმიის სარდლის ბრძანებით შინსახკომის პოლკს 802-ე მსროლელთა პოლკთან ურთიერთმოქმედებით გერმანელები უნდა განედევნა მდინარე ბაქსანის იქით და აღედგინა წინანდელი მდგომარეობა.

ამ რაიონში ბრძოლები ოქტომბრამდე გაგრძელდა, რომლის შედეგადაც შინსახკომის პოლკმა დიდი დანაკლისი განიცადა და თავდაცვაზე გადავიდა, ხოლო 802-ე მსროლელმა პოლკმა 790-ე მსროლელი პოლკის ქვედანაყოფებთან ურთიერთმოქმედებით კონზავოდის დასავლეთ მხარე დაიკავა. ამ ბრძოლაში მათ 50 ჰიტლერელი მეავტომატე მოსპეს და მტრის 3 ტანკი გაანადგურეს.[97]

1942 წლის ოქტომბრის პირველ რიცხვებში 392-ე ქართული მსროლელი დივიზიის საბრძოლო ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. 2 ოქტომბერს დივიზიამ მიიღო 37-ე არმიის სარდლობის ბრძანება, რომლის თანახმადაც დივიზიას შეეცვალა თავდაცვის რაიონი. შენაერთს უნდა გადაენაცვლებინა ფრონტის მარცხენა მხარეზე ყაბარდო-ბალყარეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე სოფელ ზაიუკოვოს, კიზბურუნ პირველის, კიზბურუნ მეორის, კიზბურუნ მესამის და გუნდელენის მიმართულებით. ახალ საბრძოლო უბანს, რომელიც ქართულ დივიზიას უნდა ჩაებარებინა, უდიდესი სამხედრო-სტრატეგიული, ტაქტიკური და ეკონომიური მნიშვნელობა ჰქონდა.

ახალი საბრძოლო უბანი, რომელიც 120-140 კილომეტრით იყო დაცილებული წინანდელი დაცვის რაიონს, ქართული დივიზიის ნაწილებმა სრული

ორგანიზებულობით და მხედრული წესრიგით დაფარეს რამდენიმე დღის განმავლობაში.

1942 წლის 7 ოქტომბრისათვის 392-ე ქართული მსროლელი დივიზიის ნაწილებმა დაიკავეს სოფლები: კიზბურუნ პირველი, კიზბურუნ მესამე, ზაიუკოვო, ლაშკუტა, გუნდელენი, ჟანხოტენკო, ბილიმი და მთა ხარახორას კალთები. 9 ოქტომბრისათვის 392-ე დივიზიის ყველა ნაწილი უკვე ახალი თავდაცვის რაიონში იმყოფებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე დღის მგზავრობის შემდეგ დივიზიის პირადი შემადგენლობა საკმაოდ დაღლილი და მოქანცული იყო. მან უდიდესი ენერგიულობით, თავდადებითა და მონდონებით დაიწყო სანგრებისა და ძილმიწურების შენება.

თავდაცვის ახალ უბანზე 392-ე ქართული მსროლელი დივიზიის პირადი შემადგენლობა მოემზადა საბრძოლო დავალების შესასრულებლად.

ამ დროს ამიერკავკასიის ფრონტის სარდლობამ დივიზიის მეთაური პოლკოვნიკი ი.სილაგაძე თბილისში გაიწვია, ხოლო მის მაგიერ დივიზიის მეთაურად დაინიშნა პოლკოვნიკი გიორგი ყუფარაძე.

თავდაცვის ახალ უბანზე 392-ე ქართული მსროლელი დივიზიის ერთ-ერთი პოლკის წინაშე დასმული იყო საბრძოლო ამოცანა – შეექმნა წინააღმდეგობის მტკიცე კვანძი სოფელ ლაშკუტაში იმ გზაზე, რომელიც მდებარეობდა ჩრდილო-აღმოსავლეთით. ამავე დროს ლაშკუტაში პოლკს უნდა მოემზადებინა მტერზე შეტევა სოფელ კიზბურუნ მეორეს, ხარახორას მთისა და ხაიმაშის მთის მიმართულებით.[98]

ბრძოლიდან გამოსვლის შემდეგ 3-9 ოქტომბრის განმავლობაში მოხდა 392-ე ქართული მსროლელი

დივიზიის ნაწილების შეცვლა და თავმოყრა. ამავე პერიოდში დივიზიამ 125 კილომეტრიანი მარში განახორციელა, რომლის დროსაც 2000 მეტრი სიმაღლის აკტოპრაკის უღელტეხილი გადალახა. უღელტეხილზე გადასვლისას შენაერთის პირადმა შემადგენლობამ შეიარაღებისა და საბრძოლო ტექნიკის გადატანის სირთულე დაძლია. 9-15 ოქტომბრის განმავლობაში კი დივიზიის ნაწილებმა გერმანელთა წვრილ-წვრილი პატარა სადაზვერვო ჯგუფების იერიშები მოიგერიეს და სრულჰყვეს თავდაცვითი პოზიციები.

1942 წლის 15 ოქტომბერს ფაშისტებმა მეავტომატეთა ორი ასეულით, არტილერიისა და ნაღმსატყორცნების ძლიერი ცეცხლით ხარა-ხორას მთის სამხრეთ-დასავლეთ ფერდობების მიმართულებით შეუტიეს 802-ე მსროლელი პოლკის მესამე ბატალიონს. ამავე დროს მოწინააღმდეგის მეავტომატეთა ცალკეული ჯგუფები ბატალიონის მარჯვენა ფლანგის შემოვლის შედეგად სოფელ ზაიუკოვოში შევიდნენ. გერმანელებმა ახალი რეზერვები გადმოისროლეს და მსხვილი ძალებით დაწყებული შეტევის განვითარება დაიწყეს 805-ე მსროლელი პოლკის მარჯვენა ფლანგისა და 802-ე მსროლელი პოლკის მარცხენა ფლანგის წინააღმდეგ ხარა-ხორას მთის დასავლეთი კალთებისა და ზაიუკოვოს მთის ჩრდილო-აღმოსავლეთ ფერდობის მიმართულებით. გააფთრებული შერკინება ხშირად ხელჩართულ ბრძოლაში გადადიოდა. 17 ოქტომბერს დიდი მსხვერპლის მიუხედავად გერმანელებმა დაიკავეს ზაიუკოვოს მთა და ბილიკებით გუნდელენის მიმართულებით დაეშვნენ, რის შედეგადაც ბაქსანის ხეობაში და ქვემო ნიჟნი ბაქსანის მოლიბდენის კომბინატში მტრის შეჭრის საფრთხე შეიქმნა.[99]

ახალ საბრძოლო უბანზე ვერაგ მტერთან გააფთრებული ბრძოლის დღეებში, 392-ე ქართულ მსროლელ დივიზიაში კვლავ ჩავიდა საქართველოს მშრომელთა დელეგაცია. დელეგაციაში შედიოდნენ მწერლები: კონსტანტინე ლორთქიფანიძე, გიორგი ქუჩიშვილი, სოლომონ თავაძე, კარლო კალაძე, ერემია ქარელიშვილი, კინომუშაკები: ირაკლი კანდელაკი, ლეო არზუმანოვი, ოთარ დეკანისიძე და ვ.კილასონიძე.

დელეგაციის წევრებმა ფრონტის მოწინავე ხაზზე ინახულეს სამშობლოსათვის თავდადებული ქართველი მხედრები, გადასცეს მათ მშობლიური ქართველი ხალხის სიყვარულით აღსავსე სალამი, მიულოცეს ბრძოლაში მოპოვებული წარმატებები და ვერაგი მტრის წინააღმდეგ ახალი მამაცური შემართებისაკენ მოუწოდეს.[100]

1942 წლის ოქტომბრის დღეებში წარმოებული გმირული ბრძოლების უმნიშვნელოვანეს ეპიზოდს წარმოადგენს ბრძოლა ხარახორას მთის ფერდობებისა და სოფელ ზაიუკოვოს განთავისუფლებისათვის.

ხარახორას მთის ფერდობების, ზაიუკოვოს მთის და სოფელ ზაიუკოვოს მტრისაგან წართმევას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ფაშისტთა ძალების წინსვლის შეჩერებისა და ქართული დივიზიის შემდოგომი საბრძოლო მოქმედებისათვის. დივიზიის მეთაურმა პოლკოვნიკმა გ.ყუფურაძემ ბრძანება გასცა ხარახორას მთის ფერდობიდან, ზაიუკოვოს მთიდან და სოფელ ზაიუკოვოდან გერმანელი ოკუპანტების განდევნის შესახებ. ამ საბრძოლო ამოცანის შესრულება დაევალა 392-ე ქართული მსროლელი დივიზიის იმ პოლკებს, რომელთაც სათავეში ედგნენ მაიორები ა.ბერიძე და ნადირაძე.

შეტევის წინ 392-ე ქართული მსროლელ დივიზიას ესტუმრნენ ფრონტის სამხედრო საბჭოს წევრები ა.საჯაია

და არმიის სარდალი გენერალ-მაიორი კოზლოვი. დივიზიის სარდლობას მათ მისცეს შეტევითი ბრძოლისათვის კონკრეტული გეგმა. ისინი ესაუბრნენ მებრძოლებს, მეთაურებს, პოლიტმუშაკებს.[101]

ბრძოლა ხარახორას მთისა და სოფელ ზაიუკოვოსათვის 15 ოქტომბერს დაიწყო. ამ ბრძოლაში 392-ე ქართულ მსროლელ დივიზიას ფლანგებიდან მხარს უჭერდნენ მეზობლად მყოფი 295-ე მსროლელი დივიზიისა და შინაგან საქმეთა სახალხო კომისა-რიატის მე-11 დივიზიის პოლკები. ფრონტის ამ უბანზე ჰიტლერელებმა ჭარბი ძალები გადმოიყვანეს. სისხლისმღვრელი ბრძოლა იმით დამთავრდა, რომ 16 ოქტომბრის დამლევს ფაშისტებმა დროებით ხელში ჩაიგდეს მთა ზაიუკოვო, სოფელი ზაიუკოვო და წინ წაიწიეს სოფელ გუნდელენისაკენ. შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით 392-ე ქართული მსროლელი დივიზიის სარდლობამ სწრაფად გადააჯგუფა ძალები, რამაც უზრუნველჰყო მტრის შეჩერება.

1942 წლის 18 ოქტომბერს დაიწყო მტრის წინააღმდეგ დივიზიის ნაწილების გადამწყვეტი შეტევა. მაიორ ა.ბერაძის პოლკის ორი ათასეული არტილერიის დახმარებით გადავიდა შეტევაზე და გააფთრებული ბრძოლების შედეგად ზაიუკოვოს მთას დაეუფლა.[102]

ზაიუკოვოსათვის გამართულ სასტიკ შეტაკებაში უშიშარი მებრძოლის სახელი დაიმკვიდრა მეტყვიამ-ფრქვევე დომენტი გავაშელმა. მან ტყვიამფრქვევის მოკლე ჯერი დასცხო მტრის განლაგებას. გამჭრიახმა მებრძოლმა ზუსტი სროლით სამუდამოდ ჩააჩუმა მოწინააღმდეგის ტყვიამფრქვევის საცეცხლე წერტი. ეს იყო დ.გავაშელის ტვიამფრქვევის უკანასკნელი გასროლა, მას ვაზნების მარაგი გამოელია. ტყვიამფრქვევის დაჩუმებამ

გერმანელები გაათამამა. მათ ისარგებლეს სიბნელით და მაღლობს შემოუარეს, ქართველი მეომრის ხელში ჩაგდება განიზრახეს.

დომენტი გავაშელის ფხიზელმა თვალმა მალე შეამჩნია, როგორ მოხოხავდნენ ფაშისტები. გულადი მებრძოლი ადგილიდან არ დაძრულა. ხელყუმბარა მოიმარჯვა და გვერდით მიუწვა თავის დაზგის ტყვიამფრქვევს. ფაშისტები დაახლოებით ოც მეტრზე მიუახლოვდნენ. დ.გავაშელმა სწრაფი გადაწყვეტილება მიიღო. მტერს რომ ხელთ არ ეგდო, ტყვიამფრქვევი მაღლობიდან ხევში გადაუშვა, თვითონ კი სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლისათვის მოემზადა. ვეფხვივით დაეტაკა მოახლოებულ გერმანელ ჯარისკაცს და თვალის დახამხამებაში ქვეშ ამოიდო. ქართველმა ვაჟკაცმა ხელით მოახრჩო გარეწარი, მაგრამ მას ამ დროს თავს დაესხა სამი ჰიტლერელი. განსაცდელის ჟამს დ.გავაშელი არ დაიბნა. მან ნახევრად შემობრუნება მოასწრო. ხელი სტაცა წელზე შემობღაუჭებულ არამზადას და მაგრად დაახეთქა მიწაზე. ერთ-ერთმა ფაშისტმა ისარგებლა შემთხვევით და დ.გავაშელს რევოლვერიდან ესროლა.

790-ე მსროლელი პოლკის მესამე ბატალიონში ყველამ გაიგო ღირსეული მამაშვილისა და სამშობლოსათვის თავდადებული მებრძოლის დ.გავაშელის გმირობის ამბავი.[103]

25 ოქტომბრამდე დივიზიის ნაწილები განაგრძობდნენ დაკავებული პოზიციების თავდაცვას. ბაქსანის რაიონში გერმანელებმა თავი მოუყარეს ქვეითთა ორ ბატალიონს, 50 ტანკს და 25 ოქტომბერს 140 ტყვიამფრქვევით (იუ-88 და 20 მესერშმიტის ტიპის საბრძოლო მანქანებით) საავიაციო მომზადება დაიწყეს კიშპეკის, კიზბურუნის, ლეჩენკაიას, ჩეგემისა და ნალჩიკის

რაიონებში. დაბომბვასთან ერთად ჰიტლერელებმა არტილერიისა და ტანკების ძლიერი ცეცხლით დაიწყეს შეტევა კიშნეკის, კიზბურუნ 2-ის, ჩეგემ 2-ის და მიმართულებით. კიზბურუნ 3-ისა და კიზბურუნ პირველის რაიონებში თავდაცვა ეკავა 802-ე მსროლელი პოლკის პირველ ბატალიონს, რომელიც მტრის 30-მდე თვითმფრინავმა დაბომბა, რადგანაც ფაშისტებს ცოცხალი ძალისა და საბრძოლო ტექნიკის მხრივ დიდი უპირატესობა გააჩნდათ. 802-ე მსროლელი პოლკის პირველმა ბატალიონმა ბრძოლებით დაიხია 910 სიმაღლის ჩრდილო-აღმოსავლეთ კალთების მიმართულებით და თავდაცვაზე გადავიდა.

გერმანელებმა განავითარეს გარღვევა და 25 ოქტომბერს დღის ბოლოს მიაღწიეს ჩეგემ 2, განაგრძეს წინსვლა ლეჩინკაიას მიმართულებით და 802-ე მსროლელი პოლკის ზურგში გადავიდნენ. კავშირი 37-ე არმიასთან მხოლოდ რადიოს საშუალებით ხორციელდებოდა.

295-ე მსროელი დივიზიის 884-ე მსროლელი პოლკის ბატალიონი და შინსახკომის მე-11 დივიზიის 113-ე მსროლელი პოლკის ასეული, რომლებიც ზაიუკოვოს რაიონში იბრძოდნენ შექმნილი ვითარების შედეგად, ვერ შეიჭრნენ ნალჩიკში, ისევე როგორც სატანკო ასეულის 4 ტანკი, რომელიც 802-ე მსროლელი პოლკის მეთაურის განკარგულებაში იყო. 802-ე მსროლელი პოლკი წრიულ თავდაცვაზე გადავიდა.

26 ოქტომბერს 802-ე მსროლელი პოლკი და ცალკე სამოსწავლო ასეული სასტიკ ბრძოლებს აწარმოებდნენ შეტევაზე მყოფ მოწინააღმდეგესთან. ლეჩინკაიასა და 910 სიმაღლის რაიონში ჰიტლერელთა ყვალა იარიში მოგერიელებული იქნა. მტერმა დიდი ზარალი განიცადა და მსხვილი რეზერვები გადმოისროლა.[104]

29-30 ოქტომბერს დივიზიის ნაწილებმა ძალთა გადაჯგუფება მოახდინეს რათა მოესპოთ ფაშისტთა ნიჟნი ჩეგების დაჯგუფება და ალყიდან გამოეყვანათ 802-ე მსროლელი პოლკი.

790-ე მსროლელი პოლკი ერთი მსროლელი ბატალიონის გარეშე ლაშკუტის რაიონიდან დაიძრა ბილიმის, აკტოპრაკის უღელტეხილის, ალხას მთის, კეჭკრეტაშის მთისა და ბედიკმიხას მთის კალთებისაკენ.

802-ე მსროლელი პოლკი მის დაქვემდებარებაში მყოფ ქვედანაყოფებთან ერთად იცავდა არიერგარდულ ნაწილებს. ამასთანავე ცოცხალი ძალა და საბრძოლო ტექნიკა ბილიკებით გაჰყავდა მაშიოკოს მთის მიმართულებით. 30 ოქტომბერს დღის ბოლოს მაშიოკოს მთისა და ბრიუკოლის მთის სამხრეთ-აღმოსავლეთ კალთებზე გავიდა და ჩრდილოეთიდან მოექცა ნიჟნი ჩეგემის მტრის დაჯგუფებას. 31 ოქტომბერს ფაშისტებმა ნიჟნი ჩეგემის რაიონში მოტომსროლელთა ორი ცალკე ბატალიონი გადმოისროლეს და ბედიკშიხას მთის მიმართულებით შეტევა დაიწყეს, მაგრამ 802-ე მსროლელი პოლკის პირველი ბატალიონისა და საშველად მოსულ 790-ე პოლკის ქვედანაყოფების ძლიერი ცეცხლით მოწინააღმდეგის წინსვლა შეაჩერეს.[105]

დივიზიის ნაწილებმა 1 ნოემბერს ღამით ძალთა გადაჯგუფება მოახდინეს, დილით კი შეტევაზე გადავიდნენ. 802-ე მსროლელი პოლკის ქვედანაყოფებმა ტანკების მხარდაჭერით ჰიტლერელები გაანადგურეს, რომელთა ნარჩენები ლეჩინკაიას მიმართულებით გაიქცნენ. დღის განმავლობაში 802-ე პოლკის პირველმა ბატალიონმა ჩეგემის ხეობა და ნიჟნი ჩეგემი გერმანელებისაგან გაწმინდა.

1942 წლის 30 ოქტომბერს 27 ქართველი მებრძოლის თანხლებით ვლ.ლურსმანაშვილი მოულოდნელად თავს დაესხა მტრის გარნიზონს და ხელჩართულ ბრძოლაში მტრის 168 ჯარისკაცი და ოფიცერი დახოცა. პირადად მან ამ ბრძოლაში 26 ფაშისტი გამოიყვანა მწყობრიდან.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1942 წლის 13 დეკემბრის ბრძანებულებით გულად პოლიტხელ ვლადიმერ ლურსმანაშვილს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა.[106]

392-ე ქართული მსროლელი დივიზიიდან თავი ისახელა 955-ე საარტილერიო პოლკის პირველი დივიზიონის მეთაურმა, უფროსმა ლეიტენანტმა ალექსი პირმისაშვილმა.

ერთხელ, როდესაც მოწინააღმდეგის ჯარების დიდი დაჯგუფება შეტევაზე გადავიდა, რეზერვების არც გადმოყვანის დრო იყო და არც რეზერვები გააჩნდა სარდლობას. მდგომარეობა იხსნა პირველმა დივიზიონმა. ა.პირმისაშვილმა ბატარეები ღია პოზიციებზე გამოიყვანა და მიბჯენითი სროლით მტრის რიგებს რისხვად მოევლინა. არტილერისტებმა მოკლე დროში 500-მდე ჰიტლერელი მოსპეს, სხვები კი გაიქცნენ სანამ გერმანელთა არტილერია მიზანს მოძებნიდა, ა.პირმისაშვილმა ბატარეები სხვა ადგილას გადაიტანა.

1942 წლის 13 დეკემბერს უფროს ლეიტენანტ ალექსი პირმისაშვილს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა.[107]

გერმანელმა ოკუპანტებმა განავითარეს შეტევა ნაჩილკის, ბელაია რეჩკას, ჩერეკისა და კაშკატაუს მიმართულებით და 1942 წლის 3 ნოემბერს ბუბუჩენტს მიაღწიეს, საიდანაც საფრთხე შეუქმნეს აკტოპრაკის უღელტეხილსა და ბაქსანის ხეობას.

არმიის ზურგის ნაწილებისაგან 392-ე ქართული მსროლელი დივიზია მთლიანად მოკვეთილი აღმოჩნდა, რის გამოც 1942 წლის 25 ოქტომბრიდან შენაერთის პირადი შემადგენლობა უმნიშვნელო მარაგისა და ადგილობრივი რესურსების გამოყენებით იკვებებოდა. საბრძოლო მასალა დივიზიას მცირე რაოდენობით გააჩნდა.

1942 წლის 14 ნოემბერს 392-ე ქართულმა მსროლელმა დივიზიამ 242-ე სამთო-მსროლელი დივიზიის მეთაურისაგან პოლკოვნიკ გ.ყურაშვილისაგან მიიღო ამიერკავკასიის ფრონტის შტაბის ბრძანება – დონღუზ-ორუნბაშის უღელტეხილის გავლით შენაერთის ზუგდიდში გადაყვანის თაობაზე.[108]

392-ე ქართულმა მსროლელმა დივიზიამ ბაქსანის ხეობის გავლით დონღუზ-ორუნ-ბაშის უღელტეხილის მიმართულებით დაიწყო მოძრაობა, რომლის დროსაც იგი თავს იცავდა არიერგარდული ნაწილებით, ხოლო ზოგიერთ უბანზე მებრძოლთა ჯგუფებით აქტიურად მოქმედებდა. დივიზია თან მიერეკებოდა პირუტყვის ჯოგს და გზაში მსვლელობისას ანადგურებდა საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობებს, როგორც წინააღმდეგობათა კვანძებს.

რადგანაც სურსათის მარაგი თითქმის მთლიანად გამოილია, დივიზიის სარდლობამ მისი სადღეღამისო მოხმარების ნორმა 65 პროცენტამდე შეამცირა და ფაქტობრივად პირადი შემადგენლობის მშრალი ულუფით დაკმაყოფილებაზე გადავიდა.

8-9 ნოემბრის განმავლობაში 802-ე და 805-ე მსროლელი პოლკები იცავდნენ 392-ე ქართული მსროლელი დივიზიის უკანდახევას და მის მიერ ფასეულობათა ევაკუაციას.

1942 წლის 11 ნოემბერს 790-ე მსროელმა პოლკმა და ცალკე სამოსწავლო ბატალიონმა დონღუზ-ორენ-ბაშის უღელტეხილი გადალახეს და ზუგდიდის მიმართულებით გაემართნენ.

20 ნოემბრისათვის 392-ე ქართულმა მსროლელმა დივიზიამ მთლიანად დაამთავრა 3100 მეტრის სიმაღლის დონღუზ-ორუნ-ბაშის უღელტეხილზე გადასვლა, რომლის დროსაც ხელით გადაიყვანეს შენაერთის დაჭრილები. არმიის ჰოსპიტალი, შეიარაღება და საბრძოლო ტექნიკა. პროფ. კ.ჩარკვიანის სიტყვებით – 392-ე ქართული მსროლელი დივიზიის მარში ნანკრის (დონღუზ-ორუნ-ბაშის) 3200 მეტრიანი უღელტეხილით ზამთრის პირობებში უმაგალითო შემთხვევაა მთელი სამამულო ომის მსვლელობაში.[109]

7 დღის განმავლობაში 1942 წლის 10-დან 16 ნოემბრის განმავლობაში ხორციელდებოდა 392-ე ქართული მსროლელი დივიზიის პირადი შემადგენლობის – 7636 კაცის, ამათ გარდა 305 დაჭრილის, 1512 ცხენის, 171 სახედრის, 18244 წვრილფეხა და 878 მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის, ექვსი 76 მილიმეტრიანი ყალიბის ქვემეხისა და სამი 122 მილიმეტრიანი ყალიბის ნაღმსატყორცნის, 18 ტონა ვოლფრამის და მოლიბდენის გადმოტანა. 3 ტონა ვოლფრამი და მოლიბდენი ბაქსანის ხეობაში ჩაფლული და დამალული დატოვეს.[110]

აღსანიშნავია, რომ 392-ე ქართული მსროლელი დივიზიის კავკასიონიდან გადმოყვანაში, მისი შეიარაღების, ასევე ვოლფრამ-მოლიბდენის კონცენტრატის გადმოზიდვაში და ჩრდილო-კავკასიის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პირუტყვის ჯოგების უღელტეხილზე გადმორეკვაში ენერგიულად მონაწილეობდნენ არა მარტო ალპინისტები და

შინსახკომის სვანთა განსაკუთრებული რაზმის 300 მებრძოლი, არამედ ზემო სვანეთის მოსახლეობის დიდი ნაწილი. ასევე ფაქტია ის, რომ პირუტყვის ჯოგები ყარაბარდო-ბალყარეთიდან იალბუზის მისადგომებამდე მეტწილად 392-ე ქართული მსროლელი დივიზიის ნაწილებმა მორეკეს, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს ჯოგები ოკუპანტებს დარჩებოდათ.[111]

უღელტეხილზე გადასვლის შემდეგ დივიზიის 790-ე მსროლელი პოლკი გალში განლაგდა, 802 პოლკი – კახეთში, 805-ე პოლკი – ორსანტიაში. 955-ე საარტილე-რიო პოლკი და ტანკსაწინააღმდეგო ცალკე გამანად-გურებელი დივიზიონი ხეთაში. დივიზიის შტაბი და სპეცნაწილები – ზუგდიდში, რის შედეგადაც დივიზია 46-ე არმიის შემადგენლობაში შევიდა.[112]

1942 წლის 29 ნოემბრიდან 392-ე ქართული მსროლელი დივიზია 45-ე არმიის მე-12 მსროლელი კორპუსის შემადგენლობაში შევიდა და მე-9 სამთო-მსროლელი დივიზიის ნაწილები შეცვალა, რის შემდეგაც შენაერთმა თურქეთთან საზღვაო და სახმელეთო საზღვარზე დაიკავა თავდაცვა პალიასტომის ტბის, სარფისა და გრმანის მთის ზღუდეზე. დივიზია წვრთნას გადიოდა საბრძოლო მომზადებაში, იღებდა პირად შემადგენლობას და საბრძოლო ტექნიკას.[113]

1942 წლის 1 დეკემბერს 392-ე ქართული მსროლელი დივიზია 45-ე არმიის მე-12 მსროლელი კორპუსის შემადგენლობაში შევიდა და განლაგდა ბათუმის, ნატანებისა და ქობულეთის რაიონებში. 1944 წლის აგვისტოდან დივიზია მე-13 მსროლელი კორპუსს დაუქვემდებარდა.[114]

1943 წლის 1 იანვრისათვის 392-ე ქართული დივიზიის შემადგენლობა ეროვნული ნიშნის მიხედვით

ასე გამოიყურებოდა – ქართველი იყო 7154, რუსი – 300, უკრაინელი 99, სომეხი 85, ოსი 77, ბელორუსი 18, თათარი 11, აზერბაიჯანელი 10, ებრაელი 16, ყაზახი 5 და მორდოველი 4.[115]

აღსანიშნავია, რომ დივიზიის შემდგომი არსებობის მთელს პერიოდში ეს მაჩვენებლები ძირითადად უცვლელი დარჩა.

1943 წლის მეორე ნახევარში მიმდინარეობდა 392-ე ქართული მსროლელი დივიზიის დაკომპლექტება პირადი შემადგენლობითა და საბრძოლო ტექნიკით, ხდებოდა პირადიშემადგენლობის წვრთნა და როგორც წვრილი ქვედანაყოფების ერთ საბრძოლო ორგანიზმად შეკავშირება, ისე სპეცნა-წილებისა და მთლიანად მთელი დივიზიისა.

ამიერკავკასიის ფრონტის შტაბის 1943 წლის 21 ოქტომბრის ბრძანებაში 392-ე დივიზია ამიერკავკასიის ფრონტის ჯარების შემადგენლობაში მიჩნეულ იქნა საუკეთესო შენაერთად.[116]

დივიზიის ისტორიაში არა ნაკლებ სახელოვანი ფურცელია საბჭოთა კავშირ-თურქეთის სახელმწიფო საზღვრის დაცვის საბრძოლო ამოცანის შესრულება, რასაც 392-ე ქართული მსროელი დივიზია 1943 წლიდან სანიმუშოდ ახორციელებდა მანამ, სანამ იგი 414-ე ქართულ მსროელ დივიზიას შეერწყმებოდა.

§3. 414-ე მსროლელი დივიზიის საბრძოლო გზა კავკასიისა და ყირიმისათვის ბრძოლებში.

საბჭოთა კავშირის თავადაცვის სახელმწიფო კომიტეტის დირექტივის შესაბამისად, ამიერკავკასიის ფრონტის 1942 წლის 22 თებერვლის დადგენილებით შეიქმნა 414-ე ქართული მსროელი დივიზია. დივიზიის ჩამოყალიბება 1942 წლის 28 თებერვლიდან იმავე წლის 1 აგვისტომდე მიმდინარეობდა დაღესტნის ასსრ ქალაქებში, მახაჩკალასა და ბუინაკსკში.[117]

საბრძოლო წვრთნა დაიწყო დივიზიის ფორმირების პირველივე დღიდან. სხვანაირად წარმოუდგენელიც იყო იმჟამად. ფრონტებზე არსებული დაძაბული მდგომარეობა არ იძლეოდა ერთი დღის დაკარგვის უფლებასაც კი. ამიტომ სწავლება თავიდანვე მიზანსწრაფულ, დაძაბულ ხასიათს ატარებდა. გამოიცა დივიზიის მეთაურის პირველი ბრძანება და მასთან ერთად სათანადო განკარგულებები, რომლებიც განსაზღვრავდნენ შენაერთის პირადი შემადგენლობის საბრძოლო-პოლიტიკური მომზადების ძირითად მიმართულებას, მიზნებსა და ამოცანებს. ყველა ნაწილი შეუდგა გაძლიერებულ საბრძოლო მზადებას.

დივიზიის შექმნა გარკვეული მიზეზით საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა. პირველ ხანებში დივიზიის შემადგენლობა შტატის მხოლოდ 50 პროცენტს ძლის აღწევდა, იარაღი და სამხედრო ტექნიკა საჭირო რაოდენობის 10-15 პროცენტს, ხოლო ტრანსპორტი 15-20 პროცენტს შეადგენდა. მაგრამ მთავარი მაინც ის იყო, რომ ყველა ნაწილი, განაყოფი და ქვეგანაყოფი, როგორც

სამხედრო ერთეული, უკვე არსებობდა. მათ თავისი ორგანიზაციული სახე ჰქონდათ და შეიძლება ყველგან ნორმალური საბრძოლო-პოლიტიკურ მეცადინეობის ჩატარება.[118]

დივიზიის მეთაურთა და პოლიტმუშაკთა შემადგენლობაში მხოლოდ 3.6 პროცენტი იყო კადრისა, დანარჩენი კი თადარიგისა იყვნენ. ქვედანაყოფების მეთაურებისა და პოლიტმუშაკების უმრავლესობას დამთავრებული ჰქონდა ლეიტენანტთა სამთვიანი და პოლიტმუშაკთა გადასამზადებელი მოკლევადიანი კურსები. ცხადია, მათ არ გააჩნდათ არც სათანადო სამხედრო მომზადება და არც ჯეროვანი სამხედრო წვრთნა, თუმცა ჰქონდათ მთავარი: სურვილი და მონდომება – სწრაფად დაუფლებოდნენ სამხედრო ხელოვნებას და მარჯვედ ეხელმძღვანელათ ბრძოლისათვის. ისინი სამშობლოს მგზნებარე პატრიოტები იყვნენ, მტრის განადგურებას ისწრაფოდნენ. ამიტომ სამხედრო საქმეს, თავიანთ სპეციალობას გულმოდგინედ სწავლობდნენ. ბრძოლისუნარიანი ნაწილების უმოკლეს დროში მომზადებისათვის არაფერს იშურებდნენ.[119]

დივიზია ფორმირების პერიოდში უმცროს მეთაურთა ნაკლებობას განიცდიდა, უფრო სწორად, მათ მეტად უმნიშვნელო რაოდენობით ღებულობდა. ასე მაგალითად, საქართველოს რესპუბლიკური სამხედრო კომისარიატის მიერ 414-ე ქართული დივიზიის დასაკომპლექტებლად პირველ პერიოდში გაწვეული 5292 კაციდან უმცროსი მეთაური იყო მხოლოდ 1542, ამის შედეგად განსაკუთრებით პირველ პერიოდში, დივიზიაში ყველაზე სუსტი ადგილი იყო უმცროს მეთაურთა კადრების სიმცირე. უმცროს მეთაურთა ბირთვს კი უაღრესად დიდი

მნიშვნელობა ჰქონდა როგორც სწავლება-წვრთნის, ისე ბრძოლის დროს.

ამიტომ დივიზიის სარდლობამ უმცროსი მეთაურების მომზადებას ფორმირების პირველი დღიდან განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო. ამ მიზნისათვის სპეციალურად შექმნილ ცალკე სასწავლო მსროელთა ათასეულში დივიზიის ყველა ნაწილიდან გაიგზავნა საჭირო რაოდენობით ფიზიკურად ძლიერი და უფრო მომზადებული ჯარისკაცები. გარდა ამისა, უმცროს მეთაურთა მოსამზადებელი კურსები ჩამოყალიბდა ყველა პოლკში და მეცადინეობაც დაჩქარებული ტემპით წარიმართა. დივიზიისათვის მეტად ღირშესანიშნავი თარიღი გახდა სასწავლო ათასეულის მიერ პირველ 423 უმცროსი მეთაურის გამოშვების დღე.[120]

414-ე ქართულმა მსროლელმა დივიზიამ ფორმირების დაწყებიდან რამდენიმე ხნის შემდეგ თავდაცვა დაიკავა მდინარე სულაკის მარჯვენა ნაპირზე, სადაც ამაგრებდა მოგერიების პოზიციებს, ამავე დროს აგრძელებდა წვრთნას – გაძლიერებულ საბრძოლო მზადებას.

სულაკი როგორც სამდინარო დაბრკოლება მთელ სიგრძეზე ერთნაირი არ არის. მდინარე დასაწყისიდან ზემო იურტამდე მთიან ადგილებში მიედინება, სადაც მას ძალზე ჩქარი დინება და ციცაბო, კლდოვანი ნაპირები აქვს, ფონი კი არსად გააჩნია. ამ მონაკვეთზე მექანიზებული ნაწილებით მდინარეზე გადასვლის შესაძლებლობა თითქმის გამორიცხული იყო. ამიტომ აქ მცირე ძალებითა და საშუალებებითაც შეიძლებოდა ფართო ფრონტზე თავდაცვის დაკავება.[121]

მდინარე სულაკის მეორე (ქვემო) ნაწილს თავდაცვის თვალსაზრისით მთელი რიგი ნაკლოვანებები გააჩნდა და მოგერიებისათვის გაცილებით მეტ ძალებსა და

საშუალებებს მოითხოვდა. ფაშისტების მოტორიზებულ ნაწილებს შეეძლოთ ემოქმედათ და მდინარეც გადმოელახათ. იქ ალაგ-ალაგ ფონია, მცირეა მდინარის სიღრმე და ხილვადობაც კარგია მარცხენა ნაპირიდან. მიუხედავად ამისა, მდინარის ეს ნაწილიც თავდაცვის სწორი ორგანიზაციის დროს მტრისათვის დიდ დაბრკოლებას წარმოადგენდა, მისი გადალახვა არც თუ ისე ადვილი იყო. მდინარის სიგანე აქ 400 მეტრამდე აღწევდა, სიჩქარე 1,5-2 წამმეტრი იყო. მარჯვენა ნაპირზე თავდაცვის მოწყობის დროს არმიის სარდლობის მიერ ყველა ეს მონაცემი გათვალისწინებული იქნა.

სულ მალე, შექმნილი ვითარების შესაბამისად, 414-ე ქართული მსროლელი დივიზიის ნაწილების დისლოკაციაში სერიოზული ცვლილებები მოხდა. შენაერთის შტაბი, პოლიტგანყოფილება, 1367-ე მსროლელთა პოლკი, 920-ე ცალკე მეკავშირეთა ათასეული, 235-ე ცალკე მოტომსროლელი მზვერავთა ასეული საბრძოლო განგაშით წამოიშალნენ, დაუყოვნებლივ დატოვეს თავდაცვის ზღუდეები და ჩქარი ტემპით გაემართნენ ნაბრძანები მიმართულებით. ერთი ღამის განმავლობაში რთულ, მაღალ მთაგორიან რელიეფის პირობებში 45კმ დაფარეს და დილით ჩავიდნენ დაღესტნის ასს რესპუბლიკის დედაქალაქ მახაჩკალაში, სადაც ისინი 16 ივნისამდე დარჩნენ, დაძაბულად გადიოდნენ საბრძოლო მომზადებას და ქალაქში საყარაულო სამსახურსაც ასრულებდნენ.[122]

მიუხედავად პასუხსაგები თავდაცვითი ხასიათის საბრძოლო ამოცანის და მოგერიების ზღუდეების სრულყოფის მიზნით დიდი მოცულობის სამუშაობის შესრულებისა, დივიზიაში ფართოდ გაიშალა საბრძოლო სწავლება, რომელიც ყველა ნაწილში უკვე მიმდინარეობდა

საბრძოლო ვაზნებისა და ყუმბარების გამოყენებით. პოლკებში დაჩქარებულ ტემპით წარიმართა მტრის სნაიპერებზე "მონადირეთა", მოწინააღმდეგის ტანკებისა და თვითმფრინავების გამანადგურებელი ჯგუფების მომზადება.

როდესაც ამიერკავკასიის ფრონტის სარდალმა, არმიის გენერალმა ი.ტიულენევმა თავისი შტაბის გენერლებისა და ოფიცრების მეშვეობით ჩაატარა 414-ე დივიზიის საბრძოლო მომზადების მდგომარეობის მდგომარეობის შემოწმება. მას კარგი შეფასება მისცა. დივიზიის მთელი პირადი შემადგენლობა, მას კარგი შეფასება მისცა. დივიზიის მთელი პირადი შემადგენლობა მზად იყო სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ებრძოლა მტრის წინააღმდეგ.[123]

414-ე ქართული მსროლელი დივიზიის ფორმირება 1942 წლის 1 აგვისტოსათვის დამთავრდა. ამ დროისათვის დივიზიის შემადგენლობაში ირიცხებოდა: 1367-ე, 1371-ე და 1375-ე მსროლელი პოლკები, 1053-ე საარტილერიო პოლკი, 497-ე ცალკე საარტილერიო საზენიტო ბატარეა, 846-ე ნაღმსატყორცნთა ბატარეა, 235-ე ცალკე მოტომსროლელთა მზვერავთა ასეული, 443-ე ცალკე ტანკსაწინააღმდეგო გამანადგურებელი დივიზიონი, 347-ე მესანგრეთა ბატალიონი, 920-ე ცალკე მეკავშირეთა ბატალიონი, 518-ე ცალკე სამედიცინო-სანიტარული ბატალიონი, სასწავლო ბატალიონი, შტაბის ბატარეა, 568-ე სატრანსპორტო ასეული და 222-ე ქიმიური დაცვის ასეული.[124]

1942 წლის 16 მარტს 414-ე ქართული მსროლელი დივიზიის მეთაურად დაინიშნა პოლკოვნიკი ფილიპე რიბალჩენკო, რომელიც იმავე წლის 18 აპრილს პოლკოვნიკმა ივანე იოსკევიჩმა შეცვალა. 1942 წლის 20

ნოემბერს დივიზიის მეთაურად დაინიშნა პოლკოვნიკი ივანე ბაბალაშვილი. მის ნაცვლად იმავე წლის 18 დეკემბერს დივიზიის მეთაურად დაინიშნა პოლკოვნიკი ნიკოლოზ სელიხოვი, რომელიც 1943 წლის 18 თებერვალს ბრძოლაში დაიღუპა. 1943 წლის 18 თებერვალს დივიზიის მეთაურობა პოლკოვნიკმა პეტრე მეტელნიკოვმა ჩაიბარა, რომელიც იმავე წლის 27 ივნისს პოლკოვნიკმა გიორგი ყურაშვილმა შეცვალა. 1944 წლის 7 თებერვლიდან 414-ქართული მსროლელი დივიზიის მეთაური იყო გენერალ-მაიორი ვალერიან ძაბახიძე.[125]

1942 წლის 4 მარტიდან დივიზიის კომისრად დაინიშნა ბატალიონის უფროსი კომისარი ვასილ ხუსკივაძე. 1942 წლის 5 ნოემბრიდან დივიზიის მეთაურის მოადგილედ პოლიტნაწილში დანიშნეს პოდპოლკოვნიკი გრიგოლ ენუქიძე, რომელიც 1943 წლის 22 თებერვლიდან პოდპოლკოვნიკმა ვარლამ ჯანჯღავამ შეცვალა.

1942 წლის 7 მარტიდან დივიზიის შტაბის უფროსი იყო პოდპოლკოვნიკი ალექსანდრე კრასოვი, რომელიც იმავე წლის 4 აგვისტოს მაიორმა კონსტანტინე ჩხარტიშვილმა შეცვალა.[126] 1942 წლის 7 მარტს 1371-ე მსროლელი პოლკის მეთაურად დაინიშნა მაიორი ნოე ჟორჟოლიანი, რომელიც 1943 წლის 9 აპრილს შეცვალა პოლკოვნიმა კალისტრატე მანაგაძემ. 1944 წლის 24 ოქტომბრიდან პოლკის მეთაური გახდა პოდპოლკოვნიკი ნიკოლოზ გვენცაძე.

1942 წლის 7 მარტს 1375-ე მსროლელი პოლკის მეთაურად დაინიშნა მაიორი ტიტე მეძმარიაშვილი. 1943 წლის 25 იანვარს იგი მაიორმა ნიკოლოზ გვენცაძემ შეცვალა. 1943 წლის 5 მაისიდან პოლკის მეთაური გახდა პოლკოვნიკი იოსებ გორგიშვილი.

1942 წლის მარტიდან 1053-ე საარტილერიო პოლკს პოდპოლკოვნიკი ივანე ფროლოვი მეთაურობდა, ხოლო 1943 წლის 29 სექტემბრიდან – პოლკოვნიკი ქრისტოფორე გაფრინდაშვილი.

1367-ე მსროლელი პოლკის შტაბის უფროსები იყვნენ: 1942 წლის 26 აპრილიდან კაპიტანი ავთანდილ კვარაცხელია, იმავე წლის 12 დეკემბრიდან კაპიტანი ვასილ დუბინსკიხი, 1943 წლის 17 აპრილიდან მაიორი ანდრია პოსპელოვი, 1943 წლის 22 ივნისიდან მაიორი დავით დარბაისელი, 1943 წლის 26 სექტემბრიდან მაიორი მიხეილ ხურცილავა, 1944 წლის 15 მაისიდან მაიორი შალვა დავითულიანი, 1944 წლის 14 ოქტომბრიდან მაიორი ვალერიან გეგეშიძე.

1371-ე მსროლელი პოლკის შტაბის უფროსები იყვნენ: 1942 წლის 7 მარტიდან ლეიტენანტი ვიქტორ გუბანოვი, 1942 წლის 15 მაისიდან კაპიტანი დავით პაპიაშვილი, 1942 წლის 16 დეკემბრიდან ეფიმ გალდბერგი, 1944 წლის 18 დეკემბრიდან მაიორი გიორგი ხაჩატუროვი.

1375-ე პოლკში შტაბის უფროსები იყვნენ: 1942 წლის 7 მარტიდან კაპიტანი ვასილ ბურაკოვსკი, 1942 წლის 22 სექტემბრიდან კაპიტანი თედორე ჭანტურია, 1943 წლის 20 აპრილიდან მაიორი ვიქტორ ტარაპოვი, 1943 წლის 4 ნოემბრიდან მაიორი ვენედიქტე თოდრაძე, 1944 წლის 2 თებერვლიდან კაპიტანი პავლე რუდაჩენკო, 1944 წლის 20 ივლისიდან პეტრე ბერუჩაშვილი.

1053-ე საარტილერიო პოლკში შტაბის უფროსები იყვნენ: 1942 წლის 7 მარტიდან კაპიტანი პავლე მელენკო, 1943 წლის 9 ივლისიდან კაპიტანი პავლე იასკევიჩი, ხოლო 1944 წლის 31 მაისიდან მაიორი შოთა ნანიტაშვილი.[127]

როგორც ვხედავთ, 414-ე ქართულ მსროლელ დივიზიაში მეთაურთა შემადგენლობიდან ქართველები

საკმაო რაოდენობით იყვნენ წარმოდგენილი. ახლა ვნახოთ თუ როგორ სურათს იძლეოდა დივიზიის პირადი შემადგენლობა ეროვნული ნიშნის მიხედვით. 1942 წლის 1 სექტემბრისათვის შენაერთის შემადგენ-ლობაში ირიცხებოდა: 10183 ქართველი, 423 რუსი, 407 ოსი, 89 უკრაინელი, 53 სომეხი, 51 ბელორუსი, 24 ებრაელი, 33 დაღესტნელი, 23 უზბეკი, 14 თურქმენი, 13 ყაზახი, 108 სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელი. მთლიანად დივიზიის პირადი შემადგენლობა 11436 კაცს ითვლიდა,[128] რომელთა უდიდეს უმრავლესობას როგორც დავინახეთ ქართველები შეადგენდნენ.

იმავე 1942 წლის 1 სექტემბრისათვის 414-ე ქართული მსროლელი დივიზიის პირადი შემადგენლობა ასაკობრივი მდგომარეობის მიხედვით ასე გამოიყურებოდა: 1923-1922 წლებში დაბადებულები და უფრო ახალგაზრდები 3131 კაცს შეადგენდნენ, 1921-1917 წლებში დაბადებულები – 1179. 1916-1912 წლებში დაბადებულები – 646, 1911-1907 წლებში დაბადებულები – 1483, 1893 წლებში დაბადებულები და მათზე უფროსი ასაკის იყო 492 კაცი.[129]

414-ე ქართული მსროლელი დივიზია 1942 წლის 28 თებერვლიდან ამიერკავკასიის ფრონტის 44-ე არმიას ექვემდებარებოდა. 1942 წლის პირველი ოქტომბრიდან დივიზია ამიერკავკასიის ფრონტის ჯარების ჩრდილოეთის ჯგუფის შემადგენლობაში იყო, ხოლო იმავე წლის 3 ოქტომბრიდან კვლავ 44-ე არმიის შემადგენლობაშია.[130]

414-ე ქართული მსროლელი დივიზია 1942 წლის ივლის-სექტემბერში დაძაბულ საბრძოლო სწავლებასთან ერთად ტიტანურ შრომას ეწეოდა ფრონტისათვის თავდაცვითი ნაგებობების, საცეცხლე წერტებისა და თავდაცვის ოპერატიული ზომების მოსამზადებლად.

დივიზია 1942 წლის სექტემბრის ბოლოდან ნოემბრის პირველ რიცხვებამდე თავის უბანზე საიმედოდ იცავდნენ გროზნოს მისადგომებს.

1942 წლის 7 ნოემბრის 414-ე დივიზიამ თავდაცვა დაიკავა მდინარე თერგის სამხრეთ სანაპიროზე. გერმანელ-ფაშისტთა არაერთგზის ცდას – გაერღვიათ დივიზიის ნაწილების თავდაცვა, წარმატება არ მოჰყოლია შენაერთის შეუპოვარი და ვაჟკაცური ბრძოლის გამო.

1942 წლის 2 დეკემბერს 414-ე ქართული მსროლელი დივიზიას საწყისი პოზიცია ეკავა და იშჩორსკაიას მიმართულებით შეტევისათვის ემზადებოდა.[131] მეორე დღეს 3 დეკემბერს მტერთან გამართულ ბრძოლაში თავი ისახელეს 1367- მსროლელი პოლკის ათასეულის მეთაურის მოადგილემ სამწყობრო დარგში, უფროსმა ლეიტენანტმა ვ.ელიკაშვილმა, ნაღმტყორცნელთა ასეულის მეთაურმა, უფროსმა ლეიტენანტმა პ.ტაბატაძემ, მსროლელთა ასეულების მეთაურებმა, ლეიტენანტებმა: ა.სამთელაძემ, გ.მამალაძემ, ი.შვანგირაძემ, ტანკსაწინააღმდეგო ასეულის მეთაურმა, უფროსმა ლეიტენანტმა ზ.შველიძემ, ათეულის მეთაურებმა, უფროსმა სერჟანტებმა: შ.შოთაძემ, ს.გეგეჭკორმა, ლ.ჯანაშვილმა, ნაღმმტყორცნელმა სერჟანტმა პ.მელიქიძემ, სანინსტრუქტორმა ა.გურაბანიძემ, რიგითმა ჯარისკაცებმა: ბ.აბუაშვილმა, ა.გერაძემ[132] და სხვებმა.

10 დღის განმავლობაში მტერი დივიზიას გააფთრებულ წინააღმდეგობას უწევდა. 12 დეკემბერს სისხლისმღვრელი ბრძოლების შემდეგ ფაშისტებმა ვერ გაუძლეს დივიზიის ნაწილებისა და მასთან ურთიერთმოქმედი 44-ე არმიის სხვა ნაწილების დარტყმებს და იძულებული გახდნენ დასავლეთის მიმართულებით დაეხიათ. შენაერთმა უკანდახეულ

მოწინააღმდეგეზე გააგრძელა შეტევა, მარშიდან შეუტია მტრის არიერგარდულ ნაწილებს და გაანადგურა ის შერსტობიტოვის რაიონში.[133]

იშჩორსკაიასთან ფაშისტების წინააღმდეგობის საბოლოოდ დაძლევისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა 10-12 დეკემბრის ბრძოლებს, რომლებიც მეტად მძაფრ და სისხლისმღვრელ ხასიათს ატარებდნენ. მსროლელთა პოლკებიდან ძირითადი სიმძიმე დააწვა 1371-ე პოლკს. იმ დღეებში ამ პოლკმა 706 კაცი დაკარგა. დიდი იყო დანაკარგი ოფიცერთა შორის. საკმარისია ითქვას, რომ მარტო ამ პოლკის მსროლელთა პირველმა ათასეულმა დაკარგა 15 ოფიცერი, ათასეულის მეთაური კაპიტანი ნიკოლოზ ამირიძე, მსროლელთა მე-2 ასეულის მეთაური, უფროსი ლეიტენანტი ალექსანდრე ვაშაკიძე, მისი მოადგილე სამწყობრო დარგში, ლეიტენანტი გიორგი რევაზოვი, ოცეულის მეთაურები, ლეიტენანტები – გიორგი ხვინგია, გრიგოლ დვალი, შალვა კანდელაკი, რევაზ კაჯარაშვილი, ვახტანგ დოლიძე და სხვები.[134]

414-ე დივიზიამ 44-ე არმიის თანამოქმედ შენაერთებთან ერთად ცეცხლით გადალახა მტრის წინააღმდეგობა. ძლიერი დარტყმები აგემა მოწინააღ-მდეგეს და სწრაფი ნახტომით გავიდა: 1367-ე მსრო-ლელთა პოლკი იშჩორსკაიას დასავლეთ განაპირას, 1375-ე მსროლელი პოლკი თავისი მარცხენა ფრთით გავიდა რკინიგზაზე, ჩრდილოეთით, 1371-ე პოლკმა დაიკავა ზღუდე რკინიგზის ჯიხურის ხაზზე, რომელიც კრივონოსოვოს სამხრეთით იყო.

ამით რეალური შესაძლებლობა შეიქმნა ალყაში მოექციათ იშჩორსკაიაში განლაგებული მტრის ჯარები, მაგრამ მტერსაც არ გამოეპარა ეს ამბავი. მან სწორად შეაფასა მდგომარეობა და 12 დეკემბერს სისხლისმღვრელი

ბრძოლების შემდეგ, დატოვა იშჩორსკაია და დაიხია სტოდერევსკაიასაკენ.[135]

დივიზიამ ჩინებულად შეასრულა დიდად პასუხსაგები საბრძოლო ამოცანა – დაიკავა სტანიცა და რკინიგზის სადგური იშჩორსკაია, მის ახლომახლო მდებარე ყველა მნიშვნელოვანი სიმაღლე, ასევე მოზდოკისა და გალუგაევსკაიასაკენ მიმავალი რკინიგზები და შარაგზები.

იშჩორსკაიასათვის ბრძოლებში უნარიანად ხელმძღვანელობდნენ თავიანთ ნაწილებსა და ქვეგანაყოფებს 1375-ე პოლკის მეთაური, მაიორი ტიტე მეძმარიაშვილი, 1371-ე პოლკის მეთაური, მაიორი ნოე ჟორჟოლიანი, 1367-ე პოლკის მეთაურის მოადგილე პოლიტნაწილში, მაიორი ამბერკი ლორია, 1375-ე პოლკის მეთაურის მოადგილე პოლიტნაწილში, კაპიტანი პოლიკარპე ჯაჯანიძე, 1053-ე საარტილერიო პოლკის მეთაურის მოადგილე პოლიტდარგში, მაიორი ავთანდილ კუცია და სხვები.[136]

იშჩორსკაიასათვის ბრძოლებში 414-ე ქართულმა მსროლელმა დივიზიამ დიდი საბრძოლო გამოცდილება შეიძინა, რომელიც შემდგომ ბრძოლებში მან უნარიანად გამოიყენა.

1942 წლის 22 დეკემბერს დივიზიის ნაწილები თომაზოვოს აღმოსავლეთით 1.5 კილომეტრზე გავიდნენ. 10 დღის განმავლობაში შენაერთის მებრძოლები გერმანელთა მძაფრ იერიშებს იგერიებდნენ, რომლებშიც მტრის 30-მდე ტანკი მონაწილეობდა.

1943 წლის 2-დან 3 იანვარს ღამით 414-ე დივიზიამ ძალთა ნაწილობრივი გადაჯგუფების შემდეგ, 44-ე არმიის ნაწილებთან ურთიერთმოქმედებით გააფთრებულ შერკინებაში გაარღვია მოწინააღმდეგის ძლიერ

გამაგრებული თავდაცვის რაიონი და 3 იანვარს დაეუფლა თომაზოვოს, რომლის დროსაც 500-მდე ჰიტლერელი მოსპო და 2 ტანკი გაანადგურა.[137]

მთელმა რიგმა სირთულეებმა ვერ შეანელა დივიზიის მებრძოლთა და მეთაურთა საბრძოლო განწყობილება, რომლებიც დამპყრობლების წინააღ-მდეგ თავდადებით იბრძოდნენ.

შენაერთი ოსტ-ბოგატირის მიმართულებით განაგრძობდა მტრის დევნასა და მისი საარიერგარდო ნაწილების განადგურებას.

1943 წლის 4 იანვარს 414-ე დივიზიამ შეწყვიტა მტრის დევნა, ხოლო 8 იანვარს თავდაცვა დაიკავა შებალოვის, გრაფსკიესა და მოზდოკის ზოლზე, შენაერთის მოწინავე რაზმები კი აგა-ბოგატირისა და პრივალნის ზოლზე იმყოფებოდნენ.[138]

იშჩორსკაიას, თომაზოვოსა და მოზდოკისათვის ბრძოლებში 414-ე დივიზიამ მოსპო მტრის 2000-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი, დაწვა 11 ტანკი, ბევრი სხვა სამხედრო ტექნიკა და იარაღი, მაგრამ თვითონაც დიდი ზარალი ნახა – მწყობრიდან გამოვიდა 3765 კაცი, აქედან ბრძოლის ველზე დაიღუპა 97 ოფიცერი, 261 სერჟანტი და 912 წითელარმიელი. ასეთი დიდი დანაკლისის ძირითადი მიზეზი ის იყო, რომ აქ მტერს ძლიერი თავდაცვა ჰქონდა, ჭარბად გააჩნდა არტილერია, ნაღმსატყორცნები, ტყვიამფრქვევები და ტანკები. დივიზიას შეტევა უხდებოდა ღია ადგილმდებარეობიდან, მაშინ როდესაც მოწინააღმდეგეს დაკავებული ჰქონდა ხელსაყრელი სიმაღ-ლეები.[139]

ასეთი დიდი დანაკარგების გამო დივიზიის პირადი შემადგენლობა თითქმის განახევრდა. ასე მაგალითად, 1943 წლის 1 იანვრისათვის 414-ე დივიზიის პირადი

შემადგენლობა მხოლოდ 5335 კაცს შეადგენდა, რომელთაგან 4611 იყო ქართველი, 313 რუსი, 241 ოსი, 68 სომეხი, 53 უკრაინელი, 31 აზერბაიჯანელი, 18 ებრაელი, 11 ბელორუსი, 9 უზბეკი, 5 დაღესტნელი, 4 ყაზახი, 1 თურქმენი და 14 სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელი.[140]

1943 წლის 10 იანვარს 414-ე დივიზიის მსროლელთა ერთი გაძლიერებული ბატალიონი ავტომანქანებით გაიგზავნა აჩიკულაკისა და ლევო-კუმკოეს დასაუფლებლად, რათა ამ პუნქტებში აღედგინათ საბჭოთა ხელისუფლება, სათავეში ჩადგომოდნენ სამოქალაქო ხელისუფლებას, საბჭოთა ხელისუფლების ორგანოების მოსვლამდე. ეს საბრძოლო დავალება შესრულებულ იქნა.

12 იანვრიდან შენაერთი იყო ჩრდილოეთ კავკასიის ფრონტის რეზერვში, რომელმაც ურთულეს პირობებში 1100 კილომეტრიანი მარშის განხორციელების შემდეგ 1943 წლის 16 თებერვლისათვის თავი მოიყარა ლიმანკირპილისა და სპიჩკოვსკაიას რაიონებში.[141]

58-ე არმიის შტაბის 1943 წლის 15 თებერვლის საბრძოლო განკარგულების შესაბამისად 414-ე ქართული დივიზიიდან გამოყვეს 1500 მეავტომატე, მეტყვიამფრქვევე და მსროლელი. ეს რაზმი სპიჩკოვსკაიადან სრულ უგზოობაში ლიასა და ლიმანებში მოწინააღმდეგის ზურგში გადაისროლეს კირპის რაიონში, რომელიც გრივენსკაიადან 1.5 კილომეტრზე მდებარეობას. რაზმს ხელში უნდა ჩაეგდო გრივენსკაია.

18-დან 19 თებერვალს ღამით ამ რაზმმა ფაშისტები განდევნა გრივენსკაიადან, დაეუფლა ამ პუნქტს და 19 თებერვალს დილით კარა-კუბანის რაიონში შევიდა, ხოლო საღამოთი კალაბატკას რაიონში განლაგდა. ამავე დროს დივიზია 58-ე არმიის მარცხენა ფრთის ოპერატიულ

დაქვემდებარებაში გადავიდა, მაგრამ დივიზიამ ვერც კი მოასწრო თავდაცვაზე გადასვლა, როცა ღამით მასზე გერმანელებმა ქვეითთა ორი ბატალიონით, ცხენოსანთა ერთი ესკადრონითა და 9 ჯავშნიანი მანქანით იერიში მიიტანეს. ღამის სასტიკი ბრძოლები 21-დან 22 თებერვლის საღამომდე გაგრძელდა. დივიზიამ კონტრდარტყმებით უკუაგდო მოწინააღმდეგე, რომელმაც დიდი დანაკარგებით დაიხია უკან საწყის პოზიციებზე. 22 თებერვალს ფაშისტთა განმეორებით შეტევას წარმატება არ მოჰყოლია. 23 თებერვალს გერმანელებმა 10 ტანკითა და ქვეითთა ორი ბატალიონით შეუტიეს კალაბატკას. იმ დროისათვის 414-ე ქართულ მსროლელ დივიზიას ტანკსაწინააღმდეგო საშუალებები და ჭურვები არ გააჩნდა, ამიტომ იძულებული გახდა ბრძოლებით დაეხია კალაბატკის სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ, სადაც საწყისი მდგომარეობა დაიკავა კონტრდარ-ტყმის განსახორციელებლად.[142]

24 თებერვალს გამთენიისას 414-ე ქართულმა მსროლელმა დივიზიამ 351-ე მსროლელი დივიზიის პატარა რაზმის მხარდაჭერით ჩერნოერეკოვსკაიას მხრიდან იერიში მიიტანა მოწინააღმდეგეზე, რომელიც უკუაგდო საწყის პოზიციებზე. იმავე დღეს საღამოთი ჰიტლერელები მეოთხედ გადავიდნენ შეტევაზე ამჯერად 12 მძიმე და საშუალო ტანკით. მოწინააღმდეგემ ძირითადი დაჯგუფება ჩერნოეროვსკაიასაკენ წარმართა, რათა ფლანგებზე გაჭრით კალაბატკიდან უკან დასახევი გზა გადაეჭრა დივიზიისათვის.[143]

1943 წლის 24 თებერვალს კალაბატკისათვის ბრძოლაში გმირულად დაეცა სამშობლოს ღირსეული შვილი, კაპიტანი არჩილ მაჩხანელი, რომელიც სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვდა სამამულო ომის პირველი ხარისხის ორდენით.

ამავე დროს მტერთან უთანასწორო ბრძოლაში დაეცნენ: კონსტანტინე ბჟალავა, ანტონ მგელაძე, სევერიან მერანიშვილი, ანდრია კალანდაძე, კარლო გორგოძე, ალექსანდრე გირკელიძე, სევერიან დომენია და სხვები.

25 თებერვალს დილით 414-ე დივიზიამ 317-ე მსროლელთა დივიზიის 761-ე პოლკის თანამოქმედებით იერიში მიიტანა კალაბატკაში შემოჭრილ მტერზე და სტანიცა პეტროვსკაიასაკენ უკანდასახევი გზა გადაუჭრა. ამის შემდეგ მოწინააღმდეგე, რომელიც კალაბატკაში და ჩერნოერკოვსკაიაში იმყოფებოდა, ალყაში მოექცა. 414-ე, 351-ე და 317-ე მსროლელი დივიზიები მთელ დღეს განაგრძობდნენ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას ამ ჯგუფის ლიკვიდაციისათვის.

გერმანელთა ჯარების სარდლობა ყოველმხრივ შეეცადა განადგურებისაგან გადაერჩინა ალყაში მოქცეული ჯგუფები. ამ მიზნით იგი ინტენსიურად ბომბავდა დივიზიის საბრძოლო განლაგებას, მაგრამ ამის მიუხედავად მტერმა მხოლოდ მცირე ნაწილი გადაარჩინა.

25 თებერვალს კალაბატკა და ჩერნოერკოვსკაია მთლიანად იქნა გაწმენდილი ფაშისტებისაგან. ამ ბრძოლაში მტერმა დიდი ზარალი ნახა – ბრძოლის ველზე დაეცა 1000-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი დაჭრილთა და მოკლულთა სახით, 10 დაზიანებული ტანკი, ბევრი იარაღი და საბრძოლო მასალა.[144]

ამის შემდეგ 414-ე ქართულმა მსროლელმა დივიზიამ თავდაცვა დაიკავა ვერხნის სამხრეთ მიდამოებში.

1943 წლის 9 მარტს დივიზია 58-ე არმიის შემად-გენლობიდან გამოვიდა და 15 მარტს პრიმორსკო-ახტარსკაიაში განლაგდა. 18 მარტიდან შენაერთმა თავდაცვა დაიკავა აზოვის ზღვის სანაპიროზე, სადაც

პირადი შემადგენლობა საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებას შეუდგა.

25 მარტს პრიმორსკო-ახტარსკაიაზე მტრის ძლიერი საავიაციო თავდასხმის დროს დივიზიის ნაწილებმა ტანკსაწინააღმდეგო თოფის გასროლით გერმანელთა 4 თვითმფრინავი ჩამოაგდეს, რომლის დროსაც ხელთ იგდეს მფრინავი, რადისტი და მსროლელი.[145]

აღსანიშნავია, რომ ქალაქ პრიმორსკი-ახტარ-სკაიაზე მტრის 200 თვითმფრინავის მასირებული თავდასხმის დროს ზარალი მოსახლეობასა და სახალხო მეურნეობის ობიექტებზე გაცილებით მეტი იქნებოდა თუ არა დივიზიის მებრძოლთა გმირობა და თავგანწირვა.

აღნიშნულ რაიონში თავდაცვაზე ყოფნისას შენაერთის ნაწილებმა 3-5 ერთეულამდე ჯავშნიანი კატერის 15 იერიში მოიგერიეს.

ჯერ კიდევ 21 მარტიდან 414-ე დივიზია მოწინავე რაზმებით უკანდახეულ მოწინააღმდეგეს მისდევდა ანაპის საერთო მიმართულებით.

იმავე დღეს დივიზიამ იერიშით აიღო ტარუ-სიევსკი, კოლმეურნეობა პოლიტოტდელი და მთავარი ძალებით ანაპის ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეს გაიჭრა, ხოლო მე-18 არმიასთან ურთიერთმოქმედი ორი მოწინავე რაზმით ანაპაში შეიჭრა.[146]

24 სექტემბერს შუადღისას 414-ე ქართულმა მსროლელმა დივიზიამ აიღო გუზკო, დაძლია მტრის საცეცხლე წინააღმდეგობა, გადალახა მდინარე გოსტაგაიკა და დანაღმული ველი, ხოლო საღამოს დაეუფლა მეორე ხუთწლედის სახელობის კოლმეურნეობასა და კრასნი კურგანს. 25 სექტემბერს მარჯვენა მეზობელთან ურთიერთმოქმედებით დივიზიამ ვერხნე გოსტაგაიკა აიღო, ხოლო მეორე დღეს ჯიგინსკაიას ზღუდეზე გავიდა.

27 სექტემბრიდან 1 ოქტომბრის განმავლობაში შენაერთი სასტიკ ბრძოლებს აწარმოებდა გირლიანის მთის დასაკავებლად, რათა შემდგომ შეტევა განევითარებინა კიზილტაშის ჩრდილოეთ სანაპიროს გასწვრივ ვიშესტებლევსკაიაზე. გერმანელი-ფაშისტების საარტილერიო-ნაღმსატყორცნებისა და ავტომატ-ტყვიამფრქვევების ძლიერი ცეცხლის ქვეშ დივიზიამ გადალახა ტანკსაწინააღმდეგო თხრილი, დანაღმული მინდორი, მავთულღობურები, გაარღვია ჰიტლერელთა თავდაცვა გირლიანის მთის სამხრეთ-დასავლეთ კალთებზე და 2 ოქტომბერს გირლიანის მთა დაიკავა.[147]

მეტისმეტად მწვავე და შედეგიანი იყო სტანიცა ანაპსკაიასა და გირლიანის მთისათვის წარმოებული ბრძოლები. მათი მნიშვნელობა იმაშია, რომ პირველმა ფაქტიურად გადაწყვიტა ქალაქ ანაპის განთავისუფლების ბედი, ხოლო მეორემ გზა გაუხსნა ჩვენებს ამ რაიონში მოქმედ ქართულ დივიზიას ტამანისაკენ.

1943 წლის 21 სექტემბერს ნოვოროსიისკ-ტამანის ოპერაციის განხორციელებისას ჩრდილოეთ კავკასიის ფრონტისა და შავი ზღვის ფლოტის ჯარებით (ძირითადად მე-18 არმიაში შემავალი დივიზიებით, რომელთაგან პრიორიტეტი 414-ე ქართულ მსროლელ დივიზიას ეკუთვნოდა) ქალაქი ანაპა გერმანელი ფაშისტებისაგან განთავისუფლდა.[148]

დივიზიის ნაწილები უკანდახეულ მოწინააღმდეგეს მისდევდნენ, გააფთრებულ ბრძოლებს აწარმოებდნენ მტრის არიერგარდთან, რის შედეგადაც 2 ოქტომბერს დაიკავეს ბალკა-კაპუსტინა, ხოლო დღის ბოლოს ბრძოლებით შეიჭრნენ ვინოგრადნიკის აღმოსავლეთ უბანში. ფაშისტთა არაერთგზის კონტრიერიშებს წარმატება არ მოჰყოლია. 4 ოქტომბერს დივიზიამ გადამწყვეტი

შეტევის შედეგად დაიკავა ვისეს-ტებლიევსკაია და პრიმორსკაია. საღამოთი დივიზიის ნაწილებმა თავი მოიყარეს ვიშესტებლიევსკაიაში.

ოპერატიული თვალსაზრისით ყუბანში გერმა-ნელთა ძალზე მნიშვნელოვანი პლაცდარმის ლიკვიდაციის შედეგად 11 ოქტომბერს დღის ბოლოს დივიზიის ნაწილებმა თავი მოიყარეს ანაპის რაიონში, მოწესრიგდნენ, ხოლო შემდეგ საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებას შეუდგნენ.

მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად ტამანის ნახევარკუნძულის გერმანელ ფაშისტთა დამპყრობლები-საგან განთავისუფლებაში, როგორც ყველაზე გამოჩენილ დივიზიას, უმაღლესი მთავარსარდლის ი.სტალინის 1943 წლის 9 ოქტომბრის ბრძანებით ანაპის სახელწოდება მიენიჭა.[149]

414-ე ქართული მსროლელი დივიზიისათვის ანაპის საპატიო სახელწოდების მინიჭება უდიდესი მნიშვნელობის ფაქტია, რადგანაც ქართული ეროვნული შენაერთებიდან 414-ე დივიზია ერთადერთია, რომელმაც საპატიო სახელწოდება დაიმსახურა, ეს კი თავისთავად მეტყველებს დივიზიის უაღრესად დიდ საბრძოლო წარმატებებზე.

ცნობილი ქართველი ფრონტული ჟურნალისტის ა.კოკილაშვილის თქმით – "ანაპის განთავისუფ-ლებისათვის ბრძოლა 414-ე ქართული მსროლელი დივიზიის ისტორიაში შევიდა, როგორც წითელი არმიის ქართველ მეომართა ვაჟკაცობისა და სამშობლოსათვის თავგანწირვის ბრწყინვალე ნიმუში, როგორც დიდ სამამულო ომში ქართველი ხალხის მონაწილეობის ერთ-ერთი ღირსსახსოვარი ეპიზოდი.[150]

1943 წლის 21 ნოემბერს მე-20 სადესანტო მსროლელი კორპუსის მეთაურის განკარგულების შესაბამისად ანაპის

სახელობის 414-ე დივიზიის ნაწილები ტამანის ნახევარკუნძულზე პრიმორსკისა და სოლის ტბის ზოლზე თავდაცვას აწყობდნენ, სადაც 26 დეკემბრამდე დარჩნენ. ამით მთავრდებოდა 414-ე ქართული მსროლელი დივიზიის საბრძოლო გზის მხოლოდ ერთი პერიოდი – კავკასიისათვის წარმოებული თავდაცვით და შეტევით ოპერაციებში მისი აქტიური და გმირული მონაწილეობა.

დივიზიის საბრძოლო გზის მეორე არა ნაკლებ მნიშვნელოვან პერიოდს წარმოადგენს შენაერთის მონაწილეობა ქერჩის ნახევარკუნძულისა და სევასტოპოლის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში.

1944 წლის 2 იანვარს დივიზია ქერჩის სრუტით გადავიდა ქერჩის ნახევარკუნძულზე და მე-3 სამთო-მსროლელი კორპუსის შემადგენლობაში დაიკავა თავდაცვა.

1944 წლის 1 იანვრისათვის ანაპის სახელობის 414-ე ქართულ მსროლელ დივიზიაში სულ 6589 კაცი ითვლებოდა, რომელთაგან 5072 იყო ქართველი, 840 რუსი, 257 უკრაინელი, 94 ოსი, 66 სომეხი, 43 ებრაელი, 34 ყაბარდო-ბალყარელი, 31 თათარი, 26 ბელორუსი, 23 დაღესტნელი, 20 უზბეკი, 16 აზერბაიჯანელი, 13 თურქმენი, 6 ყირგიზი, 4 ბაშკირი, 2 მორდოველი და 38 სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელი.

აღნიშნული პერიოდისათვის დივიზიის პირადი შემადგენლობიდან 1923-1922 წლებში დაბადებული იყო 1410 მებრძოლი, 1921-1917 წლებში დაბადებულები 828, 1916-1912 წლებში დაბადებულები – 1107, 1911 – 1907 წლებში დაბადებულები – 889, 1906-1902 წლებში დაბადებულები – 994, 1901-1897 წლებში დაბადებულები – 1189, 1896 წლებში დაბადებულები და მათზე უფროსები 172 კაცს შეადგენდა.[151]

1944 წლის 11 იანვარს ღამით მე-3 სამთო-მსროლელი კორპუსის მეთაურის ბრძანების შესასრულებლად 414-ე დივიზიის 1367-ე პოლკმა 315-ე გვარდიული დივიზიის 327-ე პოლკი შეცვალა დაკავე-ბულ პოზიციებზე. საბრძოლო ამოცანა ითვალის-წინებდა მტრის თავდაცვის გარღვევას 951 სიმაღლის ჩრდილო-დასავლეთით და დასავლეთ ნაწილების დაკავებას, რაც 123-ე გვარდიული მსროლელი დივიზიის მარჯვენა ფლანგის უსაფრთხოებას უზრუნველყოფდა.[152]

1371-ე მსროლელ პოლკს თავდაცვა ეკავა 71.3 სიმაღლის სამხრეთ-აღმოსავლეთით 1.5 კილომეტრზე. 1375-ე პოლკმა 83-ე ცალკე მოტომსროლელთა ბრიგადის ნაწილები შეცვალა და თავდაცვა მოაწყო აზოვის ზღვის სანაპიროზე.

1944 წლის 21 იანვარს 414-ე ანაპის სახელობის ქართველი მსროლელი დივიზიის ნაწილებმა, რომლებიც კორპუსის მარჯვენა ფლანგის უსაფრთხოებას უზრუნველყოფდნენ, 115.5 სიმაღლის სამხრეთ კალთებზე ბატალიონის საყრდენი პუნქტი მოაწყვეს. 23 იანვარს 1375-ე პოლკი აღმოსავლეთ კალთებზე განლაგდა. იმავე დღეს 1367-ე და 1371-ე მსროლელი პოლკები პრუდის მიმართულებით გადამწყვეტ შეტევაზე გადავიდნენ. 1367-ე პოლკმა თავის მარჯვენა ფლანგზე ენერგიულად შეუტია მოწინააღმდეგეს, შეიჭრა მის ტრანშეაში, რომლის დროსაც მტერმა მნიშვნელოვანი დანაკარგები განიცადა.[153]

გერმანელებმა, რომლებსაც მხარს უჭერდა დიდი რაოდენობით არტილერია და ავიაცია, შეუპოვარი წინააღმდეგობა გასწიეს და რამდენჯერმე კონტრიერიშზე გადავიდნენ, მაგრამ დიდი დანაკარგი განიცადეს, მათი კონტრშეტევები მოგერიებული იქნა.

31 იანვარს ღამით 1375-ე მსროლელმა პოლკმა 123-ე გვარდიული მსროლელი დივიზიის ნაწილები შეცვალა. მტერმა მაშინვე არტილერიისა და ნაღმსატყორცნების ძლიერი ცეცხლით სამჯერ შეუტია მესამე ბატალიონს, მაგრამ მისი ყველა იერიში მოგერიებული იქნა. საღამოს მოწინააღმდეგემ ბატალიონამდე რაოდენობის ქვეითებით, არტილერიისა და ნაღმსატყორცნების ცეცხლის მხარდაჭერით 1375-ე პოლკის მეორე ბატალიონს შეუტია. მტრის იერიში მოგერიებული იქნა, რომლის დროსაც ჰიტლერელებმა ასეულამდე ჯარისკაცი და ოფიცერი დაჰკარგეს.

თავდაცვაზე მყოფი დივიზიის ნაწილები დაზვერვას აწარმოებდნენ, რომლის დროსაც ხელთ იგდეს 8 საკონტროლო ტყვე და მათ მეტად საინტერესო ცნობები ჩამოართვეს.[154]

1944 წლის 11 აპრილს ღამით ანაპის სახელობის 414-ე ქართულმა მსროლელმა დივიზიამ, რომელიც ზღვისპირეთის ცალკე არმიის შემადგენლობაში იმყოფებოდა, გაარღვია ჰიტლერელთა თავდაცვა და დაედევნა უკანდახეულ მტერს. დივიზიამ შეუპოვრობა და გამძლეობა აჩვენა. დღე-ღამეში 50-დან 70 კილომეტრამდე გადიოდა რთულ გზას ქერჩიდან სევასტოპოლის მისადგომებამდე.

25 აპრილს 414-ე ქართული მსროლელი დივიზიის ნაწილები სევასტოპოლის მისადგომებთან მივიდნენ, დაიკავეს ნიჟნი ჩერგუნი და დაიწყეს მზადება მომავალი ბრძოლებისათვის სევასტოპოლის გასათავისუფლებლად.

1944 წლის 7 მაისს ანაპის სახელობის 414-ე ქართულმა მსროლელმა დივიზიამ უსახელო ხუტორის რაიონში გაარღვია გერმანელთა ძლიერი თავდაცვა, სადაც მოწინააღმდეგე საცეცხლე წერტების ძლიერ გამაგრებულ

პუნქტებს, მავთულის ღობურებსა და დანაღმულ ადგილებს ეყრდნობოდა. ყველა დაბრკოლების გადალახვის შემდეგ მთიანი ადგილმდებარეობის რთულ პირობებში დივიზია დაეუფლა კოლმეურნეობა "ბოლშევიკს" და საპუნ გორას მთის ქედის სამხრეთ-დასავლეთ კალთებს. მიზანსწრაფული შეტევით შენაერთის ნაწილებმა 9 მაისს ერთი მეორის მიყოლებით მწყობრიდან გამოიყ-ვანეს გერმანელთა საყრდენი პუნქტები, დაეუფლდნენ ძლიერ გამაგრებულ პუნქტს – საბჭოთა მეურნეობას – სევასტოპოლის მისასვლელთან დამაკავშირებელ მთავარ საშუალებას. საყრდენ პუნქტებში მოთავსებული მტრის გარნიზონები დივიზიის ნაწილებმა სწრაფად მოაქციეს ალყაში და გაანადგურეს.[155]

9 მაისს საღამოს შენაერთმა რუდოლფის სვობოდა აიღო, რამდენიმე საათის შემდეგ კი გავიდა სამხრეთის ყურესთან, შემდეგ კი – სტრელეცკაიას ყურესთან.

გერმანელ-ფაშისტ დამპყრობლებისაგან ყირიმის საბოლოოდ განთავისუფლებისათვის ბრძოლებში დივიზიის მებრძოლებმა, სერჟანტებმა და ოფიცრებმა მაღალი საბრძოლო ოსტატობა, მამაცობა და გმირობა უჩვენეს. მხოლოდ სევასტოპოლისათვის ბრძოლებში შენაერთის ნაწილებმა 2000-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი გაანადგურეს.

უმაღლესი მთავარსარდლის ი.ბ.სტალინის 1944 წლის 25 მაისის ბრძანებით სევასტოპოლის გან-თავისუფლებისათვის გერმანელ-ფაშისტთა დამპყრობ-ლების წინააღმდეგ ბრძოლაში განსაკუთრებით თავის გამოჩენისათვის მსროლელ პოლკებს "სევასტოპოლის" სახელწოდება მიენიჭათ.

სევასტოპოლის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ

შესრულებისათვის, ვაჟკაცობის, მამაცობისა და გმირობის გამოჩენისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 24 მაისის ბრძანებულებით ანაპის სახელობის 414-ე ქართული მსროლელი დივიზია "წითელი დროშის" ორდენით დაჯილდოვდა.[156]

ყირიმის ოპერაციის დამთავრების შემდეგ 1944 წლის 25 მაისისათვის ანაპის სახელობის 414-ე ქართული მსროლელი დივიზია პერეკოფელ-დფრაიდორფის რაიონში განლაგდა, ხოლო იმავე წლის პირველი დეკემბრიდან – ევპატორია-საკის რაიონში, სადაც საბრძოლო მომზადებას გადიოდა.[157]

ქალაქ სევასტოპოლის განთავისუფლებისათვის ისტორიულ ბრძოლებში გმირულად დაცემული 414-ე ქართული მსროლელი დივიზიის მებრძოლთა ხსოვნის უკვდავსაყოფად ძმათა სასაფლაოზე, მთა საპუნ გორას რაიონში, ცნობილი კოლმეურნეობა "ბოლშევიკის" (ამჟამად საბჭოთა მეურნეობა "ზოლოტაია დოლინას") ჩრდილო-დასავლეთით, აგებულია გრანდიოზული მონუმენტური ძეგლი, რომელიც 1961 წლის 21 ივნისს გაიხსნა. ძეგლი წარმოადგენს 12.5 მეტრის სიმაღლის ობელისკს, რომელიც ბაზალტის ქვის განიერ კვარცხლბეკზე დგას და მოპირკეთებულია ქართული ტუფის ფილებით. ობელისკის თაღის წინ დადგმულია ფარაჯიანი ქართველი მეომრის ბრინჯაოს შესანიშნავი ფიგურა (ავტორი, მოქანდაკე ტიტე სიხარულიძე). ობელისკის ოთხივე თაღში ჩასმულია მემორიალური დაფები ქართულ და რუსულ ენებზე წარწერით: სამარადისო დიდება ანაპის 414-ე მსროლელთა წითელდროშოვანი ქართული დივიზიის გმირებს, რომლებიც დაეცნენ ქალაქ სევასტოპოლის განთავისუფლებისათვის 1944 წლის 7-12 მაისის ბრძოლებში.[158]

როგორც განხილული საარქივო მასალებიდან ჩანს, 414-ე ქართული მსროლელი დივიზიის პირადმა შემადგენლობამ გერმანელ-ფაშისტთა წინააღმდეგ კავკასიის, ქერჩისა და ყირიმის განთავისუფ-ლებისათვის ბრძოლებში გამოავლინა სიმტკიცე, თავდადება, გაბედულობა და მამაცობა. შენაერთი ცოცხალი ძალისა და საბრძოლო ტექნიკის მხრივ უპირატესობის მქონე მტერს სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ებრძოდა. მიღწეული საბრძოლო წარმატებებისათვის დივიზიამ ღირსეულად დაიმსახურა "ანაპის" საპატიო სახელწოდება, მისმა ორმა პოლკმა კი სევასტოპოლის სახელწოდებები, წითელი დროშის ორდენი და უმაღლესი მთავარსარდლის რამდენიმე მადლობა. ყოველივე ამით 414-ე დივიზიამ სამუდამოდ დაიმკვიდრა ადგილი ქართველი ხალხის ისტორიაში. ხალხმაც განსაკუთრებული პატივისცემითა და სიყვარულით შეამკო 414-ე ქართული მსროლელი დივიზიის საბრძოლო დამსახურება, რასაც ის ფაქტიც მოწმობს, რომ თბილისის ერთ-ერთი ქუჩა დივიზიის სახელს ატარებს. 414-ე ქართული მსროლელი დივიზიის ჯარისკაცებისა და ოფიცრების სამშობლოსათვის თავდადება და გმირობა ყოველთვის დაუშრეტელი წყარო იქნება ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტული აღზრდისათვის.

§ 4. 242-ე სამთო-მსროლელი დივიზია კავკასიის უღელტეხილებისათვის ბრძოლებში.

1942 წლის 29 აგვისტოს ამიერკავკასიის ფრონტის ჯარებისადმი გაცემული ბრძანებით პოლკოვნიკ გ.ყურაშვილს დაევალა 242-ე სამთო-მსროლელი დივიზიის შექმნა. დივიზიის ჩამოყალიბება უმოკლეს დროში, კერძოდ, 1942 წლის 1 სექტემბრისათვის უნდა დამთავრებულიყო. შენაერთის პირადი შემადგენლობა ქართველებთან ერთად რუსებით, უკრაინელებით და ბელორუსებით დაკომპლექტდა. დივიზიის დაკომპლექტებისას მთავარი ყურადღება ექცედა მებრძოლების ჯანმრთელობას, რაც მაღალმთიან პირობებში მომავალ საბრძოლო მოქმედებასთან იყო დაკავშირებული. დივიზიის განლაგების ადგილად ქ. ზუგდიდი შეირჩა.[159]

242-ე სამთი-სმროლელი დივიზიის პირადი შემადგენლობის დაკომპლექტება ძირითადად მიმდინარეობდა 242-ე მსროლელი დივიზიის ნაწილების, მე-3 სამთო-მსროლელი პოლკის, 370-ე საარტილერიო პოლკისა და 283-ე მსროლელი ბრიგადის ბაზაზე.[160]

1942 წლის 4 სექტემბრიდან, პირველი ოპერატიული დირექტივის მიღებიდან, 242-ე სამთო მსროლელი დივიზია ჩაება საბჭოთა კავშირის დიდ სამამულო ომში. 46-ე არმიის 4 სექტემბრის დირექტივით 242-ე სამთო-მსროლელი დივიზია ამიერკავკასიის ფრონტის შემადგენლობაში შევიდა და უკვე 10 სექტემბერს ჩაიბარა 63-ე საკავალერიო დივიზიისაგან თავდაცვითი უბანი კავკასიონის მთავარ ქედზე.[161]

იმ დროისათვის 242-ე სამთო-მსროლელი დივიზიის შემადგენლობაში ირიცხებოდნენ: 890-ე, 897-ე, მე-900 და 903-ე მსროლელი პოლკები, 769-ე საარტილერიო პოლკი, ქვემეხების ცალკე ბატალიონი, 193-ე ცალკე საზენიტო საარტილერიო დივიზიონი, 410-ე მესანგრეთა ცალკე

ბატალიონი, 662-ე მეკავშირეთა ცალკე ბატალიონი, 275-ე ცალკე სამედიცინო-სანიტარული ბატალიონი, 321-ე ცალკე საკავალერიო ესკადრონი და 222-ე ავტოასეული.[162]

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 242-ე სამთო-მსროლელ დივიზიას, 46-ე არმიიდან მიღებული დირექტივის საფუძველზე 63-ე საკავალერიო დივიზიისაგან უნდა მიეღო საბრძოლო უბანი, გამაგრებულიყო ნაუმ-კუამისა და გვანდრის მთებზე, სადაც უნდა მოეწყო მტკიცე თავდაცვა, რათა არ დაეშვა სვანეთის უღელტეხილებისაკენ მოწინააღმდეგის გაჭრა.

რადგან 242-ე სამთო-მსროლელ დივიზიას დაევალა სვანეთის უღელტეხილების დაცვის მეტად დიდმნიშვნელოვანი საბრძოლო ამოცანა, ამიტომ ამიერკავკასიის ფრონტის სამხედრო საბჭოს გადაწყვეტილებით მის განკარგულებაში გაიგზავნა სამი ალპური რაზმი.[163]

თავდაპირველად 242-ე სამთო-მსროლელი დივიზიის მეთაური იყო პოლკოვნიკი გ.ყურაშვილი, დივიზიის შტაბის უფროსი – მაიორი ბოჟენკო, 890-ე სამთო-მსროლელ პოლკს მაიორი შოსტაკი მეთაურობდა, 897-ე სამთო მსროლელ პოლკს – მაიორი სიროტკინი, მე-900 სამთო-მსროლელ პოლკს – მაიორი ლ.გოგატიშვილი, ხოლო 903-ე სამთო-მსროლელ პოლკს – მაიორი დებოშინი.[164]

1942 წლის 29 აგვისტოდან 1943 წლის 30 ივნისამდე 242-ე სამთო-მსროლელი დივიზიის მეთაურთა შემადგენლობაში მოხდა ცვლილებები. კერძოდ, დივიზიის მეთაური გახდა პოლკოვნიკი ვ.ლისინოვი, მე-900 პოლკის მეთაურად დაინიშნა ა.ახვლედიანი, 1943 წლის 27 მარტიდან 903-ე სამთო-მსროლელ პოლკს სათავეში ჩაუდგა მაიორი ვ.თვალაბეიშვილი. 1943 წლის 14 მაისიდან მე-900 პოლკის პოსტზე ა.ახვლედიანი შეცვალა ს.პოკროვსკიმ, ეს

უკანასკნელი კი იმავე წლის 25 ივნისიდან – პოდპოლკოვნიკმა გ.ბატეხამ. 1943 წლის 15 მაისიდან მე-900 სამთო-მსროლელი პოლკის მეთაურის ვ.თვალაბეიშვილის ადგილი მაიორმა ნ.გლუხოდედოვმა დაიკავა.[165]

მიუხედავად იმისა, რომ მსროლელთა პოლკებში მიღებული კონტინგენტის 70 პროცენტს ქართველები შეადგენდნენ, მეთაურთა შემადგენლობაში ისინი ცოტა იყვნენ. ასე მაგალითად: მე-900 სამთო-მსროლელ პოლკში 380 მებრძოლზე მხოლოდ 4 უმცროსი მეთაური მოდიოდა, ამათგან არც ერთი ქართველი პოლიტხელი არ ყოფილა, უფრო მეტიც, დივიზიის ნაწილებში თავდაპირველად არ იყო ქართული ენის მცოდნე არც ერთი კომისარი და პოლიტხელი. ამის გამო დივიზიის სარდლობა ამიერკავკასიის ფრონტის სამხედრო საბჭოსგან შენაერთის დასაკომპლექტებლად ითხოვდა ორ კანდიდატურას პოლკების კომისრების თანამდებობებზე, 10 პოლიტხელს, ასეულის 5 და ოცეულის 20 ქართული ენის მცოდნე მეთაურს.[166]

ზემო სვანეთში ადგილობრივი მცხოვრებლებისაგან შეიქმნა 300 კაციანი განსაკუთრებული რაზმი. იქვე იმყოფებოდა ალპინისტთა 600 კაციანი რაზმი, მენაღმეთა ბატალიონი, არმიის მესანგრეთა ასეული და შინსახკომის ბატალიონი, რომლებიც 242-ე სამთო-მსროლელი დივიზიის კმაყოფაზე ირიცხებოდნენ.

უღელტეხილების საბრძოლო მასალებითა და სასურსათო პროდუქტების მოსამარაგებლად აუცილებელი იყო მთისძირა ფერდობებიდან თვით უღელტეხილებამდე დამატებით 300 სახედარი და 15 ჯორი საპალნეებით.[167]

ზემო სვანეთში ყოფნის დროს 242-ე სამთო-მსროლელ დივიზიას ერთი შემთხვევის გამო 21 კაცი მებრძოლი დაეღუპა. 46-ე არმიის სარდლის გენერალ-ლეიტენანტ

კ.ლესელიძისადმი გაგზავნილ დივიზიის ახსნა-განმარტებით ბარათში ნათქვამი იყო, რომ 897-ე სამთო-მსროლელი პოლკის 205 მეომარი 1942 წლის 1 დეკემბერს წავიდა ბაზისაკენ, რომელიც ბასას უღელტეხილის პირას იყო განლაგებული დონღუზ-ორუნ-ბაშის უღელტეხილით შეშის მოსატანად. ჯგუფის გამგზავრებას ხელმძღვანელობდა პოლკის მეთაურის მეადგილე პოლიტნაწილში მაიორი ცატუროვი.

უღელტეხილზე ერთ-ერთი ჯგუფის ასვლისას კუარმაშის მთიდან ზვავი დაეშვა შეშით მომავალი ადამიანებისაკენ. ზვავმა 70 კაცი შთანთქა. თოვლში ცოცხლად დამარხულთაგან 49 დაუყოვნებლივ ამოიყვანეს, მათ შორის 6 მძიმედ დაშავებული იყო, ამის შემდეგ ზვავიდან ამოიღეს 15 დაღუპული ადამიანის გვამი, ხოლო ექვსი მებრძოლის პოვნა შეუძლებელი გახდა.[168]

თავდაცვაზე მყოფ 242-ე სამთო-მსროლელი დივიზიის მარჯვნივ 351-ე ქართული მსროლელი დივიზია იმყოფებოდა, მარცხნივ – 394-ე ქართული მსროლელი დივიზია. 242-ე სამთო-მსროლელი დივიზიის ფრონტის სიგრძე 120 კმ-ს შეადგენდა. მის წინააღმდეგ მოქმედებდნენ გერმანელთა 99-ე სამთო-ეგერთა ალპური პოლკის პირველი და მეორე ბატალიონები არტილერიით, ნაღმსატყორცნებითა და დაზგის ტყვიამფრქვევებით.

46-ე არმიის 1942 წლის 13 სექტემბრის დირექტივით 242-ე სამთო-მსროლელმა დივიზიამ მიიღო დავალება – 20 სექტემბრისათვის ფაშისტებისაგან გაეწმინდა ჩიპერ-აზაუს, ტვიბერის, ხოტიუ-ტაუსა და მეთერთმეტე თავშესაფრის მიდამოები და მყარად დამკვიდრებულიყო ამ რაიონებში.[169]

დონღუზ-ორუნ-ბაშისა და ბასას მთებზე ქვემეხების ატანა ძალზე ძნელი იყო. დივიზიის არტილერიის

უფროსის მაიორ ყანჩაველის გადაწყვეტილებით ქვემეხები ხელით უნდა აეტანათ. ზემო სვანეთის კომკავშირის რაიკომის მდივნის ს.ჭკადუას რჩევით გადაწყდა ქვემეხების ასატანად ხელმარხილების გაკეთება, რომლის დამზადება სვანებმა დივიზიის მებრძოლებთან ერთად წარმატებით შეძლეს.[170] ამან დივიზიის მეომრებს შესაძლებლობა მისცა ისეთ ციცაბოებზე აეტანათ ქვემეხები და ნაღმსატყორცნები, სადაც სხვა დროს სვან მონადირეს თოფითაც კი გაუჭირდებოდა გავლა.

კავკასიის მაღალმთიანეთში 242-ე ქართული სამთო-მსროლელი დივიზიის მებრძოლები სამ ძალას უნდა შებრძოლებდნენ: ადგილმდებარეობას, ტემპერატურის მკვეთრ ცვალებადობასა და მტრის გაწვრთნილ ნაწილებს.

შენაერთის ხელმძღვანელობამ დივიზიის მეთაურის პოლკოვნიკ გ.ყურაშვილის მეთაურობით გადაწყვიტა, რომ მთავარი დარტყმა გერმანელებზე ბასას მიმართულებით განეხორციელებინათ. ამ გადაწყვეტილებას ხელი იმანაც შეუწყო, რომ ჭუბერისა და ბეჩოს მიმართულება საიმედოდ იყო გამაგრებული და ამ რაიონებიდან საფრთხე ნაკლებად იყო მოსალოდნელი.[171]

ბასაზე შეტევა ღამით უნდა დაწყებულიყო. ოპერაციის დაწყებას მეომრები მოუთმენლად ელოდნენ, როგორც კი დაბნელდა, 242-ე ქართული სამთო-მსროლელი დივიზიის მეომრები მტრის თავდაცვის ზღუდისაკენ დაიძრნენ. გარიჟრაჟზე შენაერთის მეომრები ჰიტლერელთა თავდაცვის ზოლში შეცოცდნენ. გერმანელები ღრმა ძილში იყვნენ. ჩვენმა მებრძოლებმა შაშხანები მოიმარჯვეს და გაისმა თუ არა ძახილი “დაჰკარ”, კოდნახები ჩასცხეს ფაშისტ არამზადებს და სიცოცხლეს გამოასალმეს, შემდეგ ბასას მწვერვალზე აიჭრნენ და მოწინააღმდეგეს ხელჩართული ბრძოლა გაუმართეს.

ბასადან ქვემეხების ცეცხლმა ჰიტლერელები მთლად დააბნია.[172] დივიზიის მეომრები მტერს ფეხდაფეხ მისდევდნენ და ანადგურებდნენ. ბრძოლა წუთითაც არ წყდებოდა. არტილერისტებმა საცეცხლე პოზიციები ბასას გადმოღმა კალთებზე გადმოიტანეს და ისე მოაწყვეს, რომ მტრის ავიაცია მას ვერ აღმოაჩენდა.

ბასას მთის განთავისუფლების შემდეგ 242-ე ქართული მსროლელი დივიზიის წინაშე დადგა ამოცანა – რაც შეიძლება ჩქარა განედევნათ ფაშისტები დონღუზ-ორუნ-ბაშის მთის გადაღმა კალთებიდან. მისი ნარჩენები ჩაერეკათ ბაქსანის ხეობაში და გაენადგურებინათ, ამით საქართველო ბასასა და დონღუზ-ორუნ-ბაშის მხრიდან დაცული იქნებოდა გერმანელების შემოსევებისაგან, შემდეგ კი მთელი ძალებით თავს უნდა დასხმოდნენ ოკუპანტებს ხიდას მთაზე და შეემუსრათ ისინი.

გათენებამდე 242-ე სამთო-მსროლელი დივიზიის ნაწილებმა და დანაყოფებმა მიჩნეული ადგილები დაიკავეს. თხრიდნენ სანგრებს, საცეცხლე პოზიციები მძიმე ტყვიამფრქვევებისა და ნაღმსატყორცნებისათვის შერჩეული იქნა უზარმაზარი გორების მიღმა.

სათანადო ბრძანების გაცემისთანავე ყველა სახეობის იარაღიდან გაიხსნა ცეცხლი, რომელიც თანდათან ძლიერდებოდა, მტერი იძულებული გახდა ტრანშეებში ჩაწოლილიყო, ქვემეხების, ნაღმსატყორცნებისა და ტყვიამფრქვევების გრიგალისებური ცეცხლი ადგილიდან დაძვრის საშაულებას არ აძლევდა გერმანელ ფაშისტებს, რომლებიც თავიანთი პოზიციების შენარჩუნებას ყოველნაირი საშუალებებით ცდილობდნენ. დღის მიწურულს ჰიტლერელებს მთლიანი განადგურების საფრთხე დაემუქრათ, ამიტომ უკანდახევა დაიწყეს, მაგრამ უკან გაქცევა მათთვის არც ისე ადვილი იყო. დივიზიის

მეომრებმა გრიგალისებური ცეცხლი დაატეხეს თავზე ჰიტლერელებს, ფეხდაფეხ მისდევდნენ და ანადგურებდნენ. დივიზიის მეთაურმა, პოლკოვნიკმა გ.ყურაშვილმა დონღუზ-ორუნ-ბაშიდან სათვალთვალო პუნქტი გადაიტანა.

გერმანელმა ფაშისტებმა დონღუზ-ორუნ-ბაშის გადაღმა ვეღარ გაუძლეს მეომრების დაწოლას და იძულებული შეიქნენ უკან დაეხიათ ახალი ზღუდეებისაკენ. ჰიტლერელები გარეკეს ბაქსანის ხეობის იქით ცხრა კილომეტრზე დონღუზ-ორუნ-ბაშიდან.[173]

ჭეშმარიტად დიდი ზარალი განიცადეს დამპყრობლებმა დონღუზ-ორუნ-ბაშის გადაღმა. მის კალთებზე ეყარა ფაშისტთა გვამები, როდესაც ჰაერში ფერადი შუშხუნები აისროლეს, დივიზიის ყველა სახეობის საბრძოლო იარაღის გრიგალისებური ცეცხლი მტრის თავდაცვის ზღუდეს დაატყდა.[174]

დივიზიის მეომრები მამაცურად და დაუზოგავად ურტყამდნენ მტერს. მოწინააღმდეგე თანდათანობით ჰკარგავდა ბრძოლის უნარს, ცდილობდა გამუდმებული იერიშებიდან თავი დაეღწია და ბაქსანიისაკენ წასულიყო, მაგრამ ეს გარემოება დივიზიის სარდლობამ წინასწარ გაითვალისწინა და იერიშის მთელი სიმძიმე მარჯვენა ფლანგზე წარმართა. იალბუზის მთის ძირიდან ბაქსანისაკენ მიმავალი გზა ქართველი მეომრების ცეცხლით იცხრილებოდა, რის გამოც ფაშისტები ბაქსანისაკენ ვეღარ გარბოდნენ. რეზერვიც ამ მიმართულებით ამოქმედდა. შენაერთის ზოგიერთი დანაყოფი ბაქსანის ხეობაში, იალბუზის მთის ძირში გაიჭრა და მტრის ბაქსანისაკენ გზა გადაუღობა. ამრიგად, გერმანელები გაუვალ რკალში მოექცნენ და ერთადერთი უკანდასახევი გზა გადაეკეტათ. თითო-ოროლა

ჰიტლერელმა იარაღი დაჰყარა და იალბუზისაკენ გაიქცა. ბაქსანისაკენ მხოლოდ მტრის მომსახურე ნაწილი გაეშურა, რომელსაც დივიზიის მეომრები დაედევნენ და ანადგურებდნენ.

იალბუზის მთის ძირას ბაქსანის ხეობის დასაწყისში ორსართულიანი ვებერთელა ლამაზი შენობის თავზე (რომელიც "მასწავლებეკთა სახლის" სახელითაა ცნობილი) ქართული დივიზიის მეომრებმა გამარჯვების დროშა აღმართეს.[175]

მოპოვებული გამარჯვების შემდეგ 242-ე სამთო-მსროლელი დივიზიის სარდლობამ ხიდას მთაზე იერიშის დაწყება გადაწყვიტა. მთავარ დარტყმას ჭუბერის მიმართულებიდან დებოშინის გაძლირებული პოლკი განახორციელებდა, ხოლო ჩრდილოეთიდან გათვალისწინებული იყო ბასას მთიდან დამხმარე დარტყმა.

1942 წლის 7 სექტემბერს დილით ადრე დივიზიის ნაწილებმა საარტილერიო მომზადება დაიწყეს, რომელიც რამდენიმე წუთს გაგრძელდა, რამაც მტრის რამდენიმე წერტი მწყობრიდან გამოიყვანა. არტილერიამ თავის ძლიერი ცეცხლი ოკუპანტთა თავდაცვის სიღრმეში გადაიტანა. ქვეითებმა თავიანთი გამაყრუებელი ყიჟინა ტყვიამფრქვევების კაკანს შეუერთეს. გერმანელთა თავდაცვითი ზღუდის პირველი ზოლის გადალახვის შემდეგ დივიზიის მებრძოლები მტრის თავდაცვის სიღრმეში შეიჭრნენ, გააჩაღეს ხელჩართული ბრძოლა. როდესაც გერმანელების მესამე ტრანშეაც ნაცარტუტად აქციეს, ვაშას ძახილით გააგრძელეს წინსვლა. საღამოს ხიდას მთაზე გამარჯვების დროშა აღიმართა. მტრის გადარჩენილმა ნაშთებმა თავი ჩიპერის მთას შეაფარეს.[176]

1942 წლის სექტემბრის ბოლო დღეებში გერმანელთა პირველი სამთო მსროლელი დივიზიის ნაწილები ჯერ კიდევ ებღაუჭებოდნენ ჩიპერს. ისინი ცდილობდნენ ხაიშისკენ გაჭრას, რათა კომუნიკაცია გადაეჭრათ 242-ე სამთო-მსროლელი დივიზიისათვის და ამით გზა გაეხსნათ ზუგდიდისაკენ.

მალე ზემო სვანეთის გარნიზონის ნაწილები მესტიიდან, ბეჩოდან, ხაიშიდან და სხვა პუნქტებიდან ჩიპერისაკენ დაიძრნენ. მთავარი დარტყმა მართალია ბასას მიმართულებით უნდა განვითარებულიყო, მაგრამ მტრის გამოხდომა იალბუზის მხრიდანაც იყო მოსალოდნელი, ამიტომ ამ ოპერაციის დაწყებას წინ უსწრებდა სერიოზული და ყოველმხრივი სამზადისი.

როდესაც ყველაფერი მზად იყო იერიშისათვის, დილით ადრე მტრის განლაგების ორივე ფრთაზე საშინელი სიძლიერის აფეთქებამ მთელი ზემო სვანეთის ტერიტორია შეძრა, მთებში აფეთქების ქუხილი თითქმის ათი წუთის განმავლობაში ისმოდა . . . არტილერისტების საცეცხლე მანევრირებამ საშუალება მისცა დივიზიას უფრო ზუსტი ცეცხლი ეწარმოებინა, მოესპო გერმანელთა საცეცხლე პოზიციები წინა ხაზზე და შედარებით ნაკლები მსხვერპლით განევითარებინა ქვედანაყოფების იერიში. ჰიტლერელთა გააფთრებული წინააღმდეგობა მათი თავდაცვის წინა ხაზზე თითქმის შეწყდა. იერიშის დაწყების ნიშანზე არტილერიამ და ნაღმსატყორცნებმა ცეცხლი კვლავ მტრის განლაგების სიღრმეში გადაიტანეს.

დივიზიის მებრძოლები ფაშისტთა განლაგებაში შეიჭრნენ, მაგრამ ჰიტლერელები ხელჩართულ ბრძოლას გაექცნენ. გზა-კვალ აბნეულნი აქეთ-იქით აწყდებოდნენ ჩიპერის გორაკებს, მაგრამ საბჭოთა მეომრები დაუზოგავად ურტყამდნენ, ანადგურებდნენ და ნაბიჯ-ნაბიჯ

ათავისუფლებდნენ ჩიპერის მთას. ორი დღე-ღამის განმავლობაში დაძაბული ბრძოლების შემდეგ გერმანელთა წინააღმდეგობა საბოლოოდ იქნა დაძლეული.[177]

1942 წლის 14 ნოემბერს დივიზიის ნაწილებმა ერთდროულად დაიწყეს მოქმედება. გერმანელები დაიბნენ და ხეობისაკენ დაეშვნენ, მაგრამ იქ წინასწარ დაგებულ მახეში გაებნენ. ვინც ქვეითთა საწინააღმდეგო ნაღმს გადაურჩა, ისინი ტყვიამფრქვევების გრიგალისებურმა ცეცხლმა მოცელა. დამპყრობლები გაუვალ რკალში მოექცნენ, მათი წინააღმდეგობა დაძლეულ იქნა და 1942 წლის 15 ნოემბერს ბაქსანის ხეობა ზედა ბაქსანამდე საბოლოოდ გაიწმინდა ფაშისტებისაგან.

ზემო სვანეთის მთებზე ბრძოლებში გამოწრთო და მტრის რისხვად იქცა განსაკუთრებული დანიშნულების სვანთა რაზმი, რომლის თანადგომისა და დახმარების გარეშე 242-ე სამთო-მსროლელი დივიზია მაღალმთიანი ადგილმდებარეობის პირობებში ასეთ შთამბეჭდავ წარმატებებს ვერ მიაღწევდა.[178]

დივიზიის შემადგენლობაში მყოფი განსაკუთრებული დანიშნულების სვანთა რაზმის მოქმედების ერთ-ერთ თავისებურებას ის შეადგენდა, რომ მისი სხვადასხვა ოცეულები, როგორც ცალკეული რაზმები, დივიზიის ნაწილებს მიემაგრა, რომლებიც სხვადასხვა უღელტეხილებს იცავდნენ. ამდენად ეს ოცეულები მოქმედებდნენ არა ერთად, არამედ დივიზიის სხვადასხვა ნაწილებთან.

1942-1943 წლების ზამთრის მკაცრ პირობებში სვანთა რაზმმა შეძლო უღელტეხილებზე (ბასა, დონღუზ-ორუნ-ბაში, ტვიბერი, წანერი) ჯარის ნაწილების მიყვანა, მათ განლაგებასა და თავდაცვითი ზღუდეების შექმნაში მონაწილეობა, დიდ სიმაღლეებზე დაბანაკებული

სამხედრო ნაწილების მომარაგება იარაღ-საჭურვლით, სათბობით, სურსათით და სხვა.[179]

ჯერ კიდევ 1942 წლის აგვისტოს დამდეგს, როდესაც ფაშისტები კავკასიონის უღელტეხილებისაკენ დაიძრნენ, შეიჭრნენ ყარაჩაისა და ყაბარდო-ბალყარეთში და დაეუფლნენ ბაქსანის ხეობის მისადგომებს, ხოლო შემდეგ წინ დაიძრნენ იალბუზისა და კავკასიონის უღელტეხილებისაკენ, საბჭოთა შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდლობის განკარგულებით შექმნილ ვითარებაში უნდა განხორციელებულიყო ბაქსანის ხეობაში მდებარე ქ.ტირნიაუზის სამთამადნო კომბინატის მუშა-მოსამ-სახურეთა ევაკუაცია სამხრეთისაკენ (სვანეთისაკენ), რაც მხოლოდ კავკასიონის უღელტეხილებით შეიძლებოდა (ყველა სხვა მიმართულება ოკუპანტებს ეპყრათ). საამისოდ შეირჩა ბეჩოს (უმოკლესი) და ჩუბუხევის ანუ დონღუზ-ორუნის (ნაკლებ ხიფათიანი) უღელტეხილები.

1942 წლის 11-დან 31 აგვისტომდე იალბუზის მთის ძირას მდებარე სოფელ თეგენეკლის მახლობელი ადგილებიდან უღელეტეხილებზე გათენებისას რიგრიგობით მიემართებოდა თითო ჯერზე 30-40, შემდეგ 60-80 ადამიანი. მათ მცირეწლოვანი ბავშვები ხელში აყვანილი ან ზურგჩანთაში მოთავსებული მიჰყავდათ. დიდი სიფრთხილე იყო საჭირო იმისათვის, რომ საუღელტეხილო "ტრასაზე" ევაკუირებულები მტრის ავიაციის თვალსაწიერში არ მოხვედრილიყვნენ. მხოლოდ ალპინისტთა და მეგზურთა არაჩვეულებრივი წინდახედულობის, ორგანიზებულობის, გამოცდილებისა და ოსტატობის წყალობით გახდა შესაძლებელი დიდძალი ევაკუირებული ხალხის უღელტეხილზე უსაფრთხოდ გადაყვანა.

ბეჩოს უღელტეხილზე გადაყვანილებს სვანეთში თავდაპირველად აბინავებდნენ მწვერვალ უშბის ძირას მდებარე პუნქტ შიხრაში, ხოლო ჩუბუხევის უღელტეხილზე გადაყვანილებს – სოფელ ნაკრას მახლობლად. ამ პუნქტებიდან ევაკუირებულები მიჰყავდათ ავტოტრანსპორტით. ზუგდიდის სადგურში მათ ხვდებოდა მატარებლის სპეციალური შემადგენ-ლობა, რომლითაც ევაკუირებული დანიშნულების მიმართულებით მიემგზავრებოდნენ. სვანეთის მოსახლეობის მზრუნველობით მარტო ბეჩოს უღელტეხილზე მშვიდობიანად იქნა გადმოყვანილი 9500-მდე ადამიანი.[180]

რა თქმა უნდა, ტირნაუზის კომბინატის მუშა-მოსამსახურეებისა და 392-ე ქართული მსროლელი დივიზიის ევაკუაციაში მთავარი დამსახურება მიუძღოდათ 242-ე ქართული სამთო-მსროლელი დივიზიის მებრძოლებს, რომლებიც ფაშისტებისაგან მედგრად იცავდნენ სვანეთის ზემოთდასახელებულ უღელტეხილებს.

1942 წლის 22 აგვისტოდან იმავე წლის 18 დეკემბრამდე 242-ე სამთო-მსროლელი დივიზიის პირადი შემადგენლობის დანაკარგმა მოკლულთა, დაჭრილთა და უგზო-უკვლოდ დაკარგულთა სახით 312 კაცი შეადგინა.[181]

1942 წლის 18 დეკემბრიდან 1943 წლის 8 იანვრამდე 242-ე სამთო-მსროლელი დივიზიის ნაწილები იცავდნენ უღელტეხილებს.ეწეოდნენ დაზვერვას და ჯვარის, ხაიშის, ლახამულის, მესტიის, ჭუბერის, ბეჩოს მიდამოებში გადიოდნენ საბრძოლო მომზადებას.

1943 წლის 5 იანვარს ამიერკავკასიის ფრონტის სამხედრო საბჭოს განკარგულებისა და მე-13 მსროლელი

კორპუსის საბრძოლო განკარგულების საფუძველზე დივიზია კომბინირებული მარშით შევიდა ქ.ტუაფსეში.[182]

1943 წლის 21 იანვარს ჯარების შავი ზღვის ჯგუფის საბრძოლო განკარგულების შესაბამისად 242-ე სამთო-მსროლელი დივიზია 47-ე არმიის შემადგენლობაში შევიდა და გელენჯიკის რაიონში დაბანაკდა.

1943 წლის 22 იანვარს საბრძოლო განკარგულებით, 242-ე სამთო-მსროლელმა დივიზიამ 25 იანვარს განახორციელა ასვლა ყაბარდინსკის უღელტეხილზე, ახონკაზე, შცელ ლაგერნაიასა და გაპონოვსკიზე.

1943 წლის 3 თებერვალს 47-ე არმიის ბრძანების საფუძველზე მთიან-ტყიან ადგილებში. რთულ მეტეოროლოგიურ პირობებში და უგზოობაში დივიზიამ (არტილერიისა და აღალის გარეშე) 800კმ-იანი მარში განახორციელა. 4 თებერვალს დილით კი გადავიდა შეტევაზე გაპონოვსკისა და ვერხნე ადაგუმის მიმართულებით.

დივიზიის ხელმძღვანელობას მოწინააღმდეგის თავდაცვის შესახებ ზუსტი მონაცემები არ გააჩნდა, არც მისი ძალების შემადგენლობა იცოდა. ამასთან ერთად დივიზიის შეტევის წარუმატებლობას იმანაც შეუწყო ხელი, რომ ფაშისტებს შეტევის ამ უბანზე ჰქონდათ წინასწარ კარგად მომზადებული თავდაცვის ზოლი.[183]

1943 წლის 5 თებერვლიდან 18 მარტის განმავლობაში 242- სამთო-მსროლელმა დივიზიამ 47-ე არმიის ფრონტზე ოთხჯერ შეიცვალა ადგილი, მაგრამ ვერ მოასწრო დაედგინა მტრის თავდაცვის მოწინავე ხაზისა და საცეცხლე სისტემის განლაგება, ამიტომაც ყოველდღიურ შეტევით ოპერაციებს, რომელიც დღეში ორჯერ მეორდებოდა, წარმატებები არ მოჰყოლია.

აღნიშნულ პერიოდში 242-ე სამთო-მსროლელმა დივიზიამ, რომელიც შეტევას აწარმოებდა გაპონოვსკის, ვერხნე ადაგუმის, ნებერჟაევკის, შჩელ პამიატნის, პუსტარევსკის, შჩელ შაპარკის, კრიმსკაიას, შეპტალსკის, კრასნო ზელენის, პერვი გრეჩესკის მიმართულებით, მოკლულთა, დაჭრილთა და ავადმყოფთა სახით 3566 კაცი დაჰკარგა, მოწინააღმდეგემ კი მხოლოდ – 286 ჯარისკაცი და ოფიცერი.[184] დივიზიის პირად შემადგენლობაში აღნიშნული რაოდენობით მიყენებულმა დანაკლისმა მნიშვნელოვნად შეამცირა ქართველი ეროვნების წარმომადგენელთა ხვედრითი წილი.

1943 წლის 16 მარტს 47-ე არმიის საბრძოლო განკარგულებით 242-ე სამთო-მსროლელმა დივიზიამ თავის საბრძოლო უბანი 155-ე და 103-ე ცალკე მსროლელთა ბრიგადებს ჩააბარა, თვითონ 56-ე არმიის განკარგულებაში გადავიდა და 21 მარტს თავი მოიყარა დუბროვინსკისა და ხახალმეკაიას რაიონებში.

1943 წლის 21-31 მარტის პერიოდში მიმდინარეობდა დივიზიის ნაწილების პირადი შემადგენლობის შევსება, ტარდებოდა საბრძოლო და პოლიტიკური მეცადინეობა.

1943 წლის 31 მარტს 242-ე სამთო-მსროლელი დივიზია აბინსკაიას ჩრდილოეთ ნაწილში განლაგდა.

5 აპრილს შენაერთმა შეტევისათვის საწყისი მდგომარეობა დაიკავა კროლჩატიდან ერთი კმ-ის აღმოსავლეთით და კოტლიარევსკის ზოლზე, მაგრამ ცუდი მეტეროლოგიური პირობების გამო (ძლიერი წვიმები) 4 და 7 აპრილის განმავლობაში 56-ე არმიის შტაბის ბრძანების საფუძველზე პირადი შემადგენლობისა და შეიარაღების წესრიგში მოსაყვანად დივიზია აბინსკაიაში გადაიყვანეს.[185]

აღსანიშნავია, რომ 1943 წლის 10 აპრილისათვის დივიზიის პირადი შემადგენლობის ასაკობრივი

მდგომარეობა ასეთი იყო: 1902-1907 წლებში დაბადებულები შეადგენდნენ 2339 კაცს, 1908-1914 წლებში დაბადებულნი 2121, 1914-1918 წლებში დაბადებულები 1585 კაცს, ხოლო 1924 წელს დაბადებულებზე უფრო ახალგაზრდა იყო 268 კაცი.[186] აქედან 6 თვემდე ნამსახურები ჰქონდა 1405 კაცს, ერთ წლამდე – 1320, 1,5 წლამდე – 921 კაცს, ორ წლამდე – 602 კაცს და სამ წელზე მეტი ხნის 670 კაცს.[187]

1943 წლის 18 აპრილიდან 4 მაისამდე 242-ე სამთო-მსროლელი დივიზია ბრძოლებს აწარმოებდა მოწინააღმდეგესთან. 4 მაისს შენაერთის ნაწილები გაიჭრნენ ქ.კრიმსკაიას დასავლეთ მხარეს და დაეუფლნენ მსხვილ დასახლებულ პუნქტს და სარკინიგზო ცენტრს კრიმსკაიას. ამ ბრძოლებში დივიზიამ მოკლულთა სახით 277 კაცი დაჰკარგა, ხოლო 848 დაიჭრა.[188]

ამის შემდეგ დივიზია დროებით გადავიდა მე-11 გვარდიული მსროლელი კორპუსის დაქვემდებარებაში და მიიღო საბრძოლო ამოცანა – 5 მაისს დღის ბოლოსათვის დაუფლებოდა სვობოდას. დასახული საბრძოლო ამოცანის შესასრულებლად 242-ე სამთო-მსროლელი დივიზიის ნაწილები რამდენჯერმე გადავიდნენ იერიშზე, მაგრამ გერმანელთა მხრიდან ძლიერი საცეცხლე წინააღმდეგობა მათ წარმატების საშუალებას არ აძლევდა, თუმცა დღე-ღამის განმავლობაში 2-3-ჯერ მიჰქონდა იერიში მოწინააღმდეგეზე.

1943 წლის 11 მაისს 56-ე არმიის შტაბის განკარგულების საფუძველზე დივიზიის თავდაცვის ხაზის საზღვარი მარჯვნივ გადიოდა ბოინიკსა და პოდგორნიზე, მარცხნივ იყო სადგური კრიმსკაია და მოლდავანსკოე. თავდაცვის ამ ზოლზე 242-ე სამთო-მსროლელი დივიზიის ნაწილები რამდენჯერმე გადავიდნენ იერიშზე, მაგრამ

გერმანელთა მხრიდან ძლიერი საცეცხლე წინააღმდეგობა მათ წარმატების საშუალებას არ აძლევდა, თუმცა დღე-ღამის განმავ-ლობაში 2-3-ჯერ მიჰქონდა იერიში მოწინააღმდეგეზე.

1943 წლის 26 მაისიდან 242-ე სამთო-მსროლელი დივიზია მე-10 გვარდიულ მსროლელ კორპუსთან და მე-5 გვარდიული სატანკო ბრიგადის სატანკო ბატალიონთან ერთად 11 ივნისიდან შეტევით ოპერაციებს აწარმოებდა 114.1 სიმაღლის დასაუფლებლად. საბრძოლო მოქმედების დროს დივიზიამ შევსება მიიღო. ახლად მიღებულმა შევსებამ, რომელიც ნაწილებსა და ქვედანაყოფებში გაანაწილეს, ხანმოკლე შესვენების შემდეგ ბრძოლებში მიიღო მონაწილეობა.[189]

ამ პერიოდში 242-ე სამთო-მსროლელი დივიზიის ნაწილებმა დაატყვევეს მტრის 18 ჯარისკაცი, ხელთ იგდეს 219 შაშხანა, 16 ტყვიამფრქვევი, ტელეფონის 3 აპარატი, 3 ავტომატი, 2 რაცია და რაკეტის ერთი სასროლი, მოსპეს 767 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, გაანადგურეს დაზგის 25 და ხელის 17 ტყვიამფრქვევი, 11 ბლინდაჟი, 11 ძელმიწური, სამი თვითმფრინავი.[190]

ამ ბრძოლების შემდეგ შენაერთი მყარ თავდაცვაზე გადავიდა.

ყოველ საბრძოლო ოპერაციაში შენაერთის წარმატებით მოქმედებას განაპირობებდა მებრძოლთა მასობრივი მამაცობა და თავდადება, რასაც მთავრობის სხვადასხვა ჯილდოები მოწმობს. კერძოდ, 1942 წლის 1 სექტემბრიდან 1943 წლის 26 ივნისამდე 242-ე სამთო-მსროლელ დივიზიაში "წითელი დროშის" ორდენით დაჯილდოვდა 10 კაცი, "წითელი ვარსკვლავის" ორდენით – 109 კაცი, მედლით "მამაცობისათვის" – 220, მედლით

“საბრძოლო დამსახურებისათვის” 624 კაცი, ე.ი. სულ დაჯილდოვდა 993 კაცი.[191]

აღნიშნულ პერიოდში 242-ე სამთო-მსროლელ დივიზიასთან შერკინებისას მოწინააღმდეგემ მოკლულთა სახით დაჰკარგა 1751 ჯარისკაცი და ოფიცერი, დაზგისა და ხელის 65 ტყვიამფრქვევი, ხუთი ნაღმსატყორცნი, სურსათის საწყობი, ოთხი ქვემეხი, 6 ტანკი, 4 თვითმფრინავი, 18 სანგარი, 8 სამეთვალყურეო პუნქტი, ტყვიაწამლის 3 საწყობი, 30 ძელმიწური, 11 ბლინდაჟი, 9 მიწური, ხოლო 22 ჯარისკაცი ტყვედ იქნა აყვანილი. 242-ე დივიზიის მებრძოლებმა ხელთ იგდეს: 49 ნაღმსატყორცნი, 4 ქვემეხი, ტელეფონის 10 აპარატი, დაზგისა და ხელის 24 ტყვიამფრქვევი, 231 შაშხანა, 9 ავტომატი და 2 რაცია.[192]

ამავე პერიოდში 242-ე სამთო-მსროლელმა დივიზიამ დაკარგა ძირითადი სახეობის 800 შაშხანა, 38 სნაიპერის შაშხანა, 29 კარაბინი, 357 ავტომატი, დაზგისა და ხელის 67 ტყვიამფრქვევი, 7 ტანკსაწინააღმდეგო თოფი, სხვადასხვა ყალიბის 19 ნაღმსატყორცნი, სასიგნალე რაკეტის 9 სასროლი, 4 კომპასი, 7 ხმალი და ხიშტი, 152 ცხენი, 208 ცხენი დავარდა, დაჭრა და კონტუზია მიიღო 55 ცხენმა, 285 ცხენი ვეტლაზარეთში გაიგზავნა, 18 ცხენი უგზოუკვლოდ დაიკარგა. ცხენების საერთო დანაკარგმა 718 შეადგინა.[193]

1942 წლის 1 სექტემბრიდან 1943 წლის 26 ივნისამდე 242-ე სამთო-მსროლელმა დივიზიამ მოკლულთა სახით დაჰკარგა 878 კაცი, დაიჭრა და კონტუზია მიიღო 272-მა, ავადმყოფობის გამო ჰოსპიტლებში ევაკუირბული იქნა 2012, გაყინვის გამო ჰოსპიტლებში გაიგზავნა 526, უგზოუკვლოდ დაიკარგა 225, ხოლო სხვადასხვა მიზეზის გამო შენაერთს გამოაკლდა 146 კაცი, მთლიანად დივიზიაში პირადი შემადგენლობის საერთო დანაკარგმა 6143 კაცს მიაღწია.[194]

პირადი შემადგენლობის ასეთმა დიდმა დანაკარგმა მინიმუმამდე შეამცირა ქართველთა პროცენტული რაოდენობა შენაერთში, ამიტომ 1943 წლის შუახანებიდან 242-ე სამთო-მსროლელი დივიზია ქართულ ეროვნულ შენაერთს აღარ წარმოადგენს. იგი მხოლოდ ჩვეულებრივი საჯარისო ფორმირებაა. ამის გამო დივიზიის შემდგომი საბრძოლო მოქმედების შესწავლა ჩვენი მიზანდასახულობის ფარგლებს სცილდება.

გვინდა აღვნიშნოთ ის გარემოება, რომ 242-ე სამთო-მსროლელი დივიზია აქტიურად მონაწილეობდა ტამანის, ქერჩის, სევასტოპოლის, უკრაინისა და ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლებისათვის. წარმატებითი საბრძოლო მოქმედებისათვის შენაერთმა დაიმსახურა ტამანის სახელობის სახელწოდება, წითელი დროშისა და კუტუზოვის მეორე ხარისხის ორდენები. მაგრამ ყველაზე მთავარი ისაა, რომ 242-ე სამთო-მსროლელი ქართული დივიზია საქართველოს კარიბჭეს იცავდა ყველაზე ძნელბედობის ჟამს, მუსრს ავლებდა შეიარაღებისა და საბრძოლო ტექნიკის მხრივ უპირატესობის მქონე მოწინააღმდეგეს და მან სხვა ქართულ შენაერთებთან ერთად ერთ-ერთი გადამწყვეტი როლი შეასრულა კავკასიის გმირულ დაცვაში.

§5. 351-ე მსროლელი დივიზიის მოქმედება კავკასიის დაცვის სამხედრო ოპერაციებში.

351-ე მსროლელი დივიზია შეიქმნა უმაღლესი მთავარსარდლობის დირექტივითა და ამიერკავკასიის ფრონტის სამხედრო საბჭოს დადგენილებით.

დივიზიის ჩამოყალიბება 1942 წლის 30 ივნისს დაიწყო და სექტემბრისთვის მთლიანად დამთავრდა.

351-ე მსროლელი დივიზიის შექმნა თავდაპირველად ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ვლადიკავკაზის რაიონის სტანიცა არხონსკში დაიწყო, შემდეგ საქართველოში ქ.ოზურგეთში გაგრძელდა და საბოლოოდ ქუთაისში დამთავრდა.

ამიერკავკასიის ფრონტის მოქმედი არმიის შემადგენლობაში 351-ე მსროლელი დივიზია 1942 წლის 12 სექტემბრიდან იმყოფებოდა. ფრონტზე დივიზიის შემადგენლობაში ირიცხებოდა:1157-ე, 1159-ე და1161-ე მსროლელი პოლკები, 904-ე საარტილერიო პოლკი, მსროლელთა ცალკე სამოსწავლო ბატალიონი, მეტყვიამფრქვევეთა ცალკე ბატალიონი, 621-ე მესანგრეთა ცალკე ბატალიონი, 403-ე მზვერავთა ცალკე ასეული, 103-ე და 104-ე სამთო-მსროლელი რაზმები, შინსახკომის ნაკრები პოლკი, 452-ე მეკავშირეთა ცალკე ასეული, 419-ე ქიმიური დაცვის ცალკე ასეული, ნაღმტყორცნელთა მე-20 ცალკე ბატალიონი, 725-ე მსროლელი პოლკი და 51-ე საარმიო საინჟინრო ბატალიონი. ასე, რომ 351-ე მსროლელი დივიზია წარმოადგენდა მასიმონის უღელტეხილის თავდაცვითი სისტემის განსაკუთრებულ საგანგებო დაჯგუფებას.[195]

დივიზიის მეთაური იყო გენერალ-მაიორი ვ.სერგაცკოვი, სამხედრო კომისარი ჯერ პოლკოვნიკი ო.მუსერიძე, შემდეგ პოლკოვნიკი კ.სოხაძე.

მოქმედი არმიის შემადგენლობაში შესვლის შემდეგ 351-ე მსროლელი დივიზიის ამოცანას შეადგენდა კავკასიონის მთავარი ქედის მისადგომების მტკიცე დაცვა. დივიზიას არ უნდა დაეშვა მამისონის უღელტეხილის თავდაცვითი სისტემის გარღვევა და გერმანელთა ჯარების შეჭრა საქართველოში.

1942 წლის 5 ოქტომბერს გერმანელებმა გადალახეს მდინარე თერგი და საბჭოთა ჯარების თავდაცვაში შეიჭრნენ პლანოვსკოესა და ელხოტოვოს მიმართულებით. მტერი ცდილობდა კავკასიონის ქედის მთისწინეთში შეჭრას. დივიზიის ნაწილებმა წინ წაიწიეს და საიმედოდ ჩაკეტეს დიგორსკის, ალაგირისა და კურტატინსკის ხეობები, სადაც მტკიცე თავდაცვა შექმნეს. გერმანელმა ფაშისტებმა შეტევა გააგრძელეს და დაეუფლნენ ახსარისარს, ალაგირსა და ძუარიკაუს, ხოლო 1942 წლის 3 ნოემბრისათვის მჭიდროდ მიუახლოვდნენ 351-ე მსროლელი დივიზიის თავდაცვით ზოლს.[196] ამ დროისათვის დივიზიის შემადგენლობაში შევიდა 37-ე არმიის 1344-ე მსროლელი პოლკი. აღნიშნული მომენტისათვის 351-ე მსროლელი დივიზიის პირად შემადგენლობაში 10050 კაცს შეადგენდა, ხოლო მთლიანად მისთვის ოპერატიულ დაქვემდებარებაში მყოფ ნაწილებიანად შენაერთი 20500 კაცს ითვლიდა.[197]

1942 წლის 3 ნოემბერს გერმანელებმა რუმინელთა მე-2 სამთო-მსროლელი დივიზიით, გერმანული პოლკის "ბრანდენბურგის" მე-13 და 23-ე სატანკო დივიზიის ნაწილებით დაიწყეს შეტევა, მოწინააღმდეგე ცდილობდა შეჭრილიყო დიგორსკის, ალაგირისა და კურტატინსკის

ხეობებში, შემდეგ გასულიყო ოსეთისა და საქართველოს სამხედრო გზებზე.

ძალზე რთული ადგილმდებარეობის პირობებში 351-ე მსროლელი დივიზია 150 კმ-ის ფრონტზე აკავებდა მტრის წინსვლას.

1942 წლის 5 დეკემბერს 351-ე მსროლელი დივიზიის 1159-ე და 725-ე მსროლელმა პოლკებმა ალაგირის მიმართულებით შეუპოვარი შეტევითი ბრძოლების შემდეგ მთლიანად გაანადგურეს რუმინელთა მე-2 სამთო-მსროლელი დივიზიის მე-10 და მე-16 ცალკე ბატალიონები, დაიკავეს ფაშისტთა ძლიერ გამაგრებული წინააღმდეგობის კვანძი, სადაც მრავალი კონტრიერიში მოიგერიეს და ალაგირზე შეტევისათვის მზადებას შეუდგნენ.

ჯერ კიდევ 1942 წლის პირველ დეკემბერს კურტატინსკის ხეობაში გუსარსკის მიმართულებით 351-ე მსროლელი დივიზიის 1161-ე და 1344-ე მსროლელმა პოლკებმა მტრის მრავალრიცხოვანი კონტრიერიშები მოიგერიეს და შეტევაზე გადავიდნენ მიგვარე-ბარუზონის მთისა და 1011,3 სიმაღლის დასაკავებლად. რთულ მეტეოროლოგიურ პირობებში დანაღმულ ადგილებსა და მავთულღობურა წინააღმდეგობათა გავლით 45 გრადუსზე მეტი აღმართი გადალახეს ფაშისტთა არტილერიის, ნაღმსატყორცნებისა და ავტომატ-ტყვიამფრქვევების ცეცხლის ქვეშ. აღსანიშნავია ისიც, რომ შენაერთი განიცდიდა სასმელი წყლისა და სასურსათო პროდუქტების მწვავე ნაკლებობას. მიუხედავად ამისა, 351-ე მსრლელი დივიზიის ნაწილებმა შეძლეს იერიშით აეღოთ მიგვარე-ბარუზონის მთა და 1011,3 სიმაღლე.

მამისონის უღელტეხილის მისადგომებთან თავდაცვითი და შეტევითი ბრძოლების დროს 1942 წლის 9 ნოემბრიდან 15 დეკემბრის განმავლობაში 351-ე

მსროლელმა დივიზიამ მოსპო 7750 ჰიტლერელი ჯარისკაცი და ოფიცერი, გაანადგურა ხელის 40 და დაზგის 36 ტყვიამფრქვევი, 81 ნაღმსატყორცნი, 3 ექვსლულიანი ნაღმსატყორცნი და სხვადასხვა ყალიბის 2 ქვემეხი.

ამასთან ერთად შენაერთის მებრძოლებმა ხელთ იგდეს 689 შაშხანა, ხელის 79 და დაზგის 33 თყვიამფრქვევი, 18 ნაღმსატყორცნი, სხვადასხვა ყალი-ბის 8 ქვემეხი და 2 ექვსლულიანი ნაღმსატყორცნი.[198]

1942 წლის 23 დეკემბრიდან მძიმე თავდაცვითი ბრძოლების შემდეგ 351-ე მსროლელი დივიზია წითელი არმიის სხვა ნაწილებთან ურთიერთმოქმედებით გადავიდა შეტევაზე. თავდაცვის ძირითადი ზღუდიდან უკუაგდო მოწინააღმდეგე და დაიკავა ძუარიკაუ, ხატალდონი, სუადაგი, ბირაგზანტი, ახსარისარი, დურ-დური და მჭიდროდ მიუახლოვდა სურხ-დიგორასა და ჩიკოლას დასახლებულ პუნქტებს. აღნიშნულ ზღუდეზე ჰიტლერელები გააფთრებით იცავდნენ თავს და ტანკების მხარდაჭერით კონტრშეტევებზეც გადმოდიოდნენ. სოფელი სურხ-დიგორა ორჯერ გადავიდა ხელიდან ხელში.

1942 წლის 31 დეკემბერს 351-ე მსროლელმა დივიზიამ ძალთა გადაჯგუფება მოახდინა და 1943 წლის 1 იანვარს საღამოთი მესამედ აიღო სოფელი სურხ-დიგორა. დაედევნა უკანდახეულ მოწინააღმდეგეს და იმავე დღეს დაიკავა სოფელი ჩიკოლა. 7 იანვარს ფაშისტთა წინააღმდეგობის დაძლევის შემდეგ 351-ე მსროელი დივიზიის ნაწილები მჭიდროდ მიუახლოვდნენ მდინარე ბაქსანს და ბრძოლაში ჩაებნენ სოფელ ბაქსანისათვის. გერმანელებმა მდინარე ბაქსანზე არსებული ხიდი ააფეთქეს.

351-ე მსროლელი დივიზიის ნაწილებმა 904-ე საარტილერიო პოლკის ცეცხლის ქვეშ გადალახეს

გაყინული მდინარე და სოფელ ბაქსანში შეიჭრნენ, რომელსაც ოთხსაათიანი ბრძოლის შემდეგ დაეუფლნენ.[199]

გააფთრებული შეტევითი ბრძოლების შემდეგ 10 იანვარს შენაერთმა აიღო სოფელი მალკა და შესვენების გარეშე დაედევნა უკანდახეულ მოწინააღმდეგეს პიატიგორსკის მიმართულებით. წარმატებითი შემხვედრი ბრძოლების შედეგად 11 იანვარს 351-ე მსროლელმა დივიზიამ 121 კაცი დაატყვევა და ხელთ იგდო 350 ავტომანქანა, 12 ტანკი, 50 მოტოციკლეტი, 18 ქვემეხი, 40 ტყვიამფრქვევი, საბრძოლო მასალის 10 საწყობი და სასურსათო საქონლის 8 საწყობი.[200]

ფაშისტთა დასადევნებლად და მისი ზურგის კომუნიკაციებში შესაჭრელად შეიქმნა მოტომსროლელთა რაზმი 1161-ე მსროლელთა პოლკის პირველი ბატალიონისა და მეავტომატეთა ასეულის შემადგენლობით. ამ რაზმმა გადალახა მდინარე ბაქსანი, მთის უღელტეხილი და დაიკავა ესენტუკი, კისლოვოდსკი და კამენომოსტსკაია. უმოკლეს დროში მოტომსროლელთა რაზმმა მოსპო ფაშისტთა 500 ჯარისკაცი და ოფიცერი, დაატყვევა 210 ჰიტლერელი, მათ შორის რუმინელთა მე-2 სამთო-მსროლელი დივიზიის მე-16 ბატალიონის ცალკე მეკავშირეთა ასეული მთლიანად და ხელთ იგდო 16 ავტომანქანა, 10 მოტოციკლეტი, 37 ველოსიპედი, 1 ტანკი, 3 ქვემეხი, 3 ნაღმსატყორცნი, 11 ტყვიამფრქვევი, ტელეფონის 9 აპარატი, 2 რაცია და 70 კმ სიგრძის სატელეფონო მავთული.

ჩერკასკისათვის გაჩაღებულ ბრძოლაში შენაერთმა 10 დასახლებული პუნქტი გაანთავისუფლა და შემოვლითი მანევრით მთლიანად გაანადგურა გერმანელთა 667-ე ქვეითთა პოლკი, 230 ფაშისტი კი დაატყვევა. 351-ე მსროლელმა დივიზიამ ფერმის აღებისას 400 გერმანელი

ჯარისკაცი და ოფიცერი გაანადგურა, ამასთან ერთად ხელთ იგდო შემდეგი ნადავლი:18 ქვემეხი, 34 ტყვიამფრქვევი, 3 ექვსლულიანი ნაღმსატყორცნი, 7 ავტომანქანა, 6 მოტოციკლეტი, 7 საველე სამზარეულო, 6 რაცია, 27 ტელეფონის აპარატი, 150 კმ სიგრძის სატელეფონო მავთული, 86 ოთხთვალა სხვადასხვა საქონლით, 10 ავტომანქანა, სასურსათო პროდუქტების ერთი საწყობი, 600 სული წვრილფეხა და მსხვილი რქოსანი პირუტყვი. ამავე ბრძოლაში შენაერთის მებრძოლებმა ხელთ იგდეს გერმანელების 667-ე ქვეითი პოლკის დროშა.[201]

1943 წლის იანვრიდან 12 თებერვლის განმავლობაში 351-ე მსროლელი დივიზიის ნაწილებმა ფორსირებული მარშით გაიარეს ტიხორეცკი და ლიმანო-კირპილის რაიონში გავიდნენ. ამ ბრძოლების პერიოდში შენაერთმა გერმანელი-ფაშისტებისაგან გაანთავისუფლა 6 ქალაქი, 15 რაიონული ცენტრი და 40-მდე სხვა დასახლებული პუნქტი, რომლის დროსაც ხელთ იგდო დიდძალი ნადავლი, მხოლოდ შოხრის სადგურზე ხელთ იგდეს რკინიგზის შემადგენლობის საავიაციო ბენზინის 26 ცისტერნა.

ბრძოლებიდან გამოსვლის შემდეგ 1943 წლის 17 აპრილამდე დივიზიას წესრიგში მოჰყავდა პირადი შემადგენლობა, საბრძოლო ტექნიკა და ახალი შეტევითი ოპერციისათვის ემზადებოდა.

1943 წლის 17 აპრილიდან 7 სექტემბრის განმავლობაში 351-ე მსროლელ დივიზიას აზოვის ზღვის სანაპიროზე აჩუევის კონცხსა და ვერბიანნაიას რაიონში ეკავა თავდაცვის პოზიცია და ადგილობრივი მნიშვნელობის საბრძოლო ამოცანებს წყვეტდა დაკავებული პოზიციების გასაუმჯობესებლად.

1943 წლის 7 სექტემბრიდან 9 ოქტომბრის განმავლობაში 351-ე მსროლელი დივიზია ჩრდილოეთ კავკასიის ფრონტის 56-ე და მე-9 არმიების შემადგენლობაში იბრძოდა ყუბანის დაბლობებისა და ტამანის ნახევარკუნძულის განთავისუფლებისათვის.

ერთი თვის ბრძოლების განმავლობაში შენაერთის ნაწილებმა გერმანელ-ფაშისტთა უღლისაგან გაანთავისუფლეს 5 რაიონული ცენტრი და 103 დასახლებული პუნქტი, რომლის დროსაც 41 ფაშისტი დაატყვევეს და 1750 სიცოცხლეს გამოასალმეს, გაანადგურეს 46 ტყვიამფრქვევი, ჩაახშეს ნაღმსატყორცნთა 14 ბატარეის, 11 საარტილერიო ბატარეის და 74 ტყვიამფრქვევის ცეცხლი. დაანგრიეს 38 საცეცხლე ძელმიწური, 58 ბლინდაჟი, ნადავლის სახით ხელთ იგდეს ხელის 12 და დაზგის 24 ტყვიამფრქვევი, 35 ავტომატი, 235 შაშხანა, 1100 ხელყუმბარა, 6 ნაღმსატყორცნი, 6000 ჭურვი, 10 000 სხვადასხვა ნაღმი და 2800 შაშხანის ვაზნა.

კავკასიიდან ტამანის ნახევარკუნძულამდე ჩატარებული ბრძოლების პერიოდში ძლიერ მაღალი იყო 351-ე მსროლელი დივიზიის პირადი შემადგენლობის მორალურ-პოლიტიკური მდგომარეობა. ბრძოლებში გამოჩენილი ვაჟკაცობის, მამაცობისა და ბრძოლების უნარიანი ხელმძღვანელობისათვის მთავრობის ჯილდო დაიმსახურა 3773 მებრძოლმა და მეთაურმა.[202]

საერთოდ, აღსანიშნავია, რომ 351-ე მსროლელი დივიზიის პირადი შემადგენლობა და ოფიცრობა მასობრივი გმირობის მაგალითებს აჩვენებდნენ. ასე მაგალითად, 1942 წლის 20 დეკემბერს 351-ე მსროლელი დივიზიიდან პუნქტ "უბანი 6 კმ"-სათვის ბრძოლაში თავი ისახელა სენაკის რაიონის სოფელ თეკლათის მკვიდრმა, 103-ე ცალკე სამთო-მსროლელი რაზმის მეავტომატეთა

ოცეულის მეთაურმა, უფროსმა სერჟანტმა მიხეილ ჭკადუამ. მან თავისი ოცეულით მტრის ღრმა ზურგში შეაღწია, სადაც გაბედული მოქმედებით ალაგირთან კავშირი გადაჭრა და მოწინააღმდეგის მეაღალეების განადგურებას შეუდგა. მ. ჭკადუამ პირადად 7 რუმინელი ჯარისკაცი მოსპო და ერთი უმცროსი ოფიცერი დაატყვევა. მამისონის მიმართულების ჯარების ჯგუფის სარდლობის წარდგენით მ.ჭკადუა "წითელი ვარსკვლავის" ორდენით დაჯილდოვდა.[203]

ალაგირის მისადგომებთან ბრძოლაში თავი გამოიჩინა 351–ე მსროლელი დივიზიის ცალკე ქართული რაზმის ოცეულის მეთაურის თანაშემწემ, უფროსმა სერჟანტმა გრიგოლ გიორხელიძემ. 1942 წლის 19–20 ნოემბერს მან ოცეულის მეთაურის სიკვდილის შემდეგ თვითონ იკისრა მეთაურობა და თავი გამოიჩინა გაბედულობით. გ.გიორხელიძემ თავისი ოცეულით არა ერთხელ გააქცია რიცხობრივად ჭარბი მოწინააღმდეგე. იგი ანადგურებდა მტერს ცოცხალ ძალასა და საბრძოლო ტექნიკას. რამდენიმე დღის ბრძოლებში მისმა ოცეულმა ასეულამდე რაოდენობის რუმინელი ჯარისკაცი და ოფიცერი მოსპო. აღსანიშნავია, რომ ამ ბრძოლებში გ.გიორხელიძის ოცეულს დანაკარგი არ განუცდია. უშიშარი და მამაცი მეთაური გ.გიორგხელიძე "წითელი ვარსკვლავის"ორდენით დაჯილდოვდა.[204]

ცალკე ქართველთა რაზმის ოცეულის მეთაური, უმცროსი ლეიტენანტი ილია თოფურიძე წითელი არმიის რიგებში იმყოფებოდა 1941 წლიდან. მან მრავალ ბრძოლებში მიიღო მონაწილეობა. 1942 წლის 19 ნოემბერს სოფელ "6 კილომეტრისათვის" ბრძოლებში მან ოცეული შეტევაზე წაიყვანა და დასახული საბრძოლო ამოცანა ბრწყინვალედ შეასრულა. კრიტიკულ მომენტში

ი.თოფურიძემ 19 მებრძოლი გარემოცვიდანგამოიყვანა, რომელთაც გარდუვალი დაღუპვა ელოდათ. ის ყოველდღიურად მოწინავე პოზიციებზე იმყოფებოდა. ყველაზე რთული უბნისაკენ გაბედულად მიდიოდა და ბრძოლის ხელმძღვანელობას დახმარებას უწევდა, როდესაც რაზმის მეთაური მწყობრიდან გამოვიდა, მან მეთაურობა თვითონ იკისრა. უმცროსი ლეიტენანტი ი.თოფურიძე სარდლობამ "წითელი ვარსკვლავის" ორდენით დააჯილდოვა.[205]

351-ე მსროლელი დივიზიის მე-20 ცალკე ნაღმსატყორცნთა ბატალიონის ოცეულის მეთაურმა ლეიტენანტ გიგლა ჯანგველაძემ ხანმოკლე ბრძოლების პერიოდში თავის ნაღმსატყორცნის ცეცხლით მოსპო 6 ცხენი, 4 ოთხთვალისაგან შემდგარი აღალი და გაანადგურა მოწინააღმდეგის ნაღმტყორცნელთა ბატარეა. სარდლობამ ლეიტენანტი გ.ჯანგველაძე დააჯილდოვა მედლით – "მამაცობისათვის."[206]

104-ე ცალკე სამთო-მსროლელთა რაზმის მზვერავთა ოცეულის მეთაურმი, უმცროსი ლეიტენანტი ისმაილ შერვაშიძე წითელი არმიის რიგებში ხულოს სამხედრო კომისარიატმა გაიწვია. 1942 წლის 4 დეკემბერს შეტევით ბრძოლებსა და თავდაცვაში როგორც უცვლელმა მზვერავმა მოწინააღმდეგის შესახებ რამდენჯერმე მნიშვნელოვანი ცნობები შეაგროვა. ამასთანავე გაანადგურა ფაშისტთა ხანგრძლივი მოქმედების საცეცხლე წერტი, პირადად ხელყუმბარის ტყორცნით მწყობრიდან გამოიყვანა ჯავშნოსანი ავტომანქანა, მონაწილებდა აგრეთვე შტაბის განადგურებაში. სარდლობამ უმცროსი ლეიტენანტი ი.შერვაშიძე დასაჯილდოებლად "წითელი ვარსკვლავის" ორდენზე წარადგინა.[207]

1942 წლის 23 დეკემბერს ალაგირის რაიონში მდებარე ხე-ტყის ქარხანაზე შეტევის დროს საავანგარდო ჯგუფის შემადგენლობაში მონაწილეობა მიიღო ლანჩხუთელმა გურგენ ასკურავამ. მან უშიშარი და უნარიანი მოქმედებით მტრის ნაღმსატყორცნებისა და ტყვიამფრქვევების ცეცხლის ქვეშ 100 ნაღმი გააუვნებელჰყო და გასასვლელები გააკეთა.

351-ე მსროლელი დივიზიის 1161-ე მსროლელი პოლკის პირველი ბატალიონის პირველი ოცეულის მეთაურმა ლაგოდეხელმა ლეიტენანტმა ალექსანდრე მამისაშვილმა 1943 წლის 4 და 8 იანვარს განსაკუთრებული მამაცობა და ვაჟკაცობა გამოიჩინა სოფლების მალკასა და ბაქსანისათვის ბრძოლებში. 1943 წლის 4 იანვარს ა.მამისაშვილის ხელმძღვანელობით დაზგის ორი ტყვიამფრქვევით ასეულამდე ჰიტლერელ ქვეითთა შეტევა მოიგერია, რომლის დროსაც მოწინააღმდეგის მნიშვნელოვანი დანაკარგი განაცდევინა. როდესაც დივიზიის ქვედანაყოფები შეტევაზე გადავიდნენ, ა.მამისაშვილი თავის ტყვიამფრქვევით ქვეითთა საბრძოლო რიგებში იმყოფებოდა და მათ წინსვლას უზრუნველყოფდა. გერმანელ-ფაშისტთა წინააღმდეგ ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისა და ვაჟკაცობისათვის სარდლობამ ლეიტენანტი ა.მამისაშვილი დასაჯილდოებლად წარადგინა წითელი ვარსკვლავის ორდენზე.[208]

351-ე მსროლელი დივიზიის გაზეთი "სამშობლო-სათვის" ყოველთვის დიდ ადგილს უთმობდა ჯარის-კაცებისა და ოფიცრების გმირობის წარმოჩენას, მათ სანიმუშო დისციპლინასა და ფრონტული ცხოვრების მრავალ სხვა საკითხს.

ჩამოყალიბების დღიდან მოყოლებული ვიდრე 1943 წლის დასაწყისამდე 351-ე მსროლელი დივიზიის პირადი

შემადგენლობის უმრავლესობის საქართველოს შვილები შეადგენდნენ. მაგრამ კავკასიის უღელტეხილებისათვის წარმოებულ მძიმე ბრძოლებში მრავალი მათგანი დაიღუპა, დაიჭრა და მწყობრიდან გამოვიდა. ახალი შევსების მიღების შემდეგ დივიზიის პირადი შემადგენლობა ეროვნული ნიშნის მიხედვით სრულიად განსხვავებული სახით წარმოგვიდგება. ასე მაგალითად, 1943 წლის 1 აპრილისათვის 351-ე მსროლელ დივიზიაში ირიცხებოდა 3380 რუსი, 1105 უკრაინელი, 285 ბელორუსი, 105 სომეხი, 101 ებრაელი, 79 ქართველი, 28 აზერბაიჯანელი, 42 უზბეკი, 17 ყაზახი, 38 ოსი, 21 დაღესტნელი, 51 თათარი, 20 ჩუვაში, 14 მორდოველი, 14 ბაშკირი, 11 უდმურტი, 3 პოლონელი, 2 ბურიატი, 2 მარიელი, 23 სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელი, ე.ი. სულ 5339 კაცი.[209]

მაშასადამე, როგორც ვხედავთ, 1943 წლის დამდეგიდან 351-ე მსროლელი დივიზია ჩვეულებრივ საჯარისო შენაერთს წარმოადგენდა და მას ეროვნულ დივიზიას ვეღარ ვუწოდებთ. ამის გამო დივიზიის შემდგომ საბრძოლო ოპერაციებში მონაწილეობას ჩვენ აღარ შევეხებით. ვიტყვით მხოლოდ, რომ 351-ე მსროლელი დივიზია აქტიურად მონაწილეობდა უკრაინისა და ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში. წარმატებითი საბრძოლო მოქმედებისათვის შენაერთმა დაიმსახურა შეპეტოვკის სახელობის სახელწოდება, წითელი დროშის – სუვოროვისა და ბოგდან ხმელნიცკის ორდენები, რაც თავისთავად მეტად მრავლისმეტყველი ფაქტია. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ის ჯილდოები იმ საბრძოლო დამსახურების დადასტურებასაც წარმოადგენდა, რომელიც 351-ე მსროლელ დივიზიას მიუძღოდა კავკასიისათვის ბრძოლებში.

§6. 276-ე ქართული მსროლელი დივიზიის მონაწილეობა კავკასიისათვის ბრძოლაში.

276-ე მსროლელი დივიზია ჩამოყალიბდა 1941 წლის ივნის-ივლისში მოსკოვის სამხედრო ოლქის ქ.ობოიანში (კურსკის ოლქი).

1941 წლის 21 ივლისს დივიზია ჩაირიცხა მოქმედ არმიაში ყირიმის ფრონტზე.[209]

ფრონტზე გამოცხადების დროისათვის 276-ე მსროლელ დივიზიაში ირიცხებოდა: 871-ე, 876-ე და 873-ე მსროლელი პოლკები, 852-ე საარტილერიო პოლკი, ცალკე საზენიტო ბატალიონი, ცალკე სამოსწავლო ბატალიონი, 568-ე მესანგრეთა ბატალიონი, 316-ე ცალკე სამედიცინო-სანიტარული ბატალიონი, 353-ე ცალკე ტანკსაწინააღმდეგო გამანადგურებელი დივიზიონი, 372-ე ცალკე სადაზვერვო ასეული, 255-ე ავტომასეული, 323-ე ვეტლაზარეთი, 499-ე საველე პურსაცხობი და 2145-ე საველე ფოსტა.[211]

ყირიმის ფრონტზე 276-ე მსროლელმა დივიზიამ თავდაცვის პოზიცია დაიკავა არაბატის ისარსა და ჩონგარის ნახევარკუნძულზე. 1941 წლის სექტემბერში შენაერთი ჩაება მოწინააღმდეგესთან ბრძოლაში და მისი ყველა იერიში მოიგერია. 51-ე არმიის უკანდახევის გამო, 276-ე მსროლელმა დივიზიამ სარდლობის ბრძანების შესაბამისად თავდაცვითი ზღუდეები დატოვა და ქერჩის ნახევარკუნძულზე დაიხია.[212]

1941 წლის 6 ნოემბერს დიდი დანაკარგების გამო დივიზიისაგან ჩამოყალიბდა ერთი პოლკი, რომელიც 156-ე დივიზიის შემადგენლობაში შევიდა.

ჩონგარის ნახევარკუნძულისათვის ბრძოლებში 276-ე მსროლელმა დივიზიამ 200-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი გაანადგურა.[213]

ყირიმის ნახევარკუნძულიდან ევაკუაციის შემდეგ, 276-ე მსროლელი დივიზიის ნარჩენები, 2000 კაცამდე პირადი შემადგენლობით, განლაგდნენ ვარენიკოვსკის რაიონში. იმასთან დაკავშირებით, რომ დივიზიის მეთაურთა შემადგენლობა დივიზიის მეთაურისა და კომისრის ჩათვლით მწყობრიდან გამოვიდა ყირიმისათვის ბრძოლებში, ყირიმის ფრონტის გადაწყვეტილებით 276-ე მსროლელი დივიზია დაშლილად გამოცხადდა.[214]

1942 წლის 1 აგვისტოს წითელი არმიის უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკის გადაწყვეტილებით ქ.ალაგირში შეუდგნენ 276-ე მსროლელი დივიზიის ხელმეორედ შექმნას. იმავე წლის 15 აგვისტოდან დივიზიის ხელახლად ჩამოყალიბების პუნქტი საქართველოში ქ.გორში გადაიტანეს.

1942 წლის სექტემბრის დასაწყისში დივიზიამ შევსება მიიღო უკვე სწავლება გავლილი საქართველოს წვევამდელი ახალგაზრდებისაგან. პირადი შემადგენლობის 70 პროცენტს ქართველები შეადგენდნენ,[215] ამიტომ 276-ე მსროლელი დივიზიას ხელმეორედ ჩამოყალიბების შემდეგ ქართული ეროვნული დივიზია უნდა ვწოდოთ, თუმცა იგი ასეთი სახელწოდებით არ შექმნილა.

1942 წლის 27 სექტემბერისათვის 276-ე მსროლელი დივიზიის ეროვნული შემადგენლობა ასეთნაირად გამოიყურება:

ეროვნება	ჯარისკაცები და სერჟანტები	ოფიცრები
ქართველები	8164	265
რუსები	3154	186
უკრაინელები	576	85
სომხები	66	10
აზერბაიჯანელები	40	4
ს უ ლ	12000	550[216]

276-ე ქართულ მსროლელ დივიზიაში 1500 კომუნისტი და 3500 კომკავშირელი იყო.

როგორც მოხმობილი სტატისტიკური მონაცემების მიხედვით ჩანს დივიზია თითქმის მთლიანად შევსებული და დაკომპლექტებული იყო ქართველი მეომრებით. 276-ე ქართული მსროლელი დივიზიის სამხედრო კომისრად გიორგი ჩარგეიშვილი, დივიზიის შტაბის უფროსად პოლკოვნიკი გრიგოლ რიბინი, დივიზიის მეთაურის მოადგილედ სამწყობრო დარგში – პოლკოვნიკი ვალერიან ძაბახიძე, დივიზიის პოლიტგანყოფილების უფროსად – ბატალიონის კომისარი ა.ზარნაძე, დივიზიის შტაბის კომისრად – ბატალიონის კომისარი ა.ზარნაძე, დივიზიის არტილერიის უფროსად – პოდპოლკოვნიკი ი.ვოინოვი.[217]

დივიზიის საბრძოლო მზადყოფნისათვის მოსამზადებლად მოცემული იყო მეტად მცირე დრო – 15 აგვისტოდან 26 სექტემბრამდე. დივიზიაში ფართოდ გაიშალა საბრძოლო-პოლიტიკური სწავლება. დღე და ღამ მიმდინარეობდა წვრთნა, შენაერთის საჭურვლითა და იარაღით მომარაგებაში დიდი ღვაწლი მიუძღვის საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს ა.საჯაიას, რომელიც იმ დროს ამიერკავკასიის ფრონტის სამხედრო საბჭოს წევრი იყო.[218]

ჩრდილოეთ კავკასიაში ფრონტზე შექმნილმა მძიმე მდგომარეობამ საშუალება არ მისცა დივიზიის ხელმძღვანელობას დაემთავრებინა პირადი შემადგენლობის საბრძოლო მომზადება, მთლიანად მიეღო საბრძოლო ტექნიკა და ტანსაცმელი. 1942 წლის 27 სექტემბერს ამიერკავკასიის ფრონტის სარდლის გენერალ ი.ტიულენევის ბრძანებით 276-ე ქართული მსროლელი დივიზია გორიდან კომბინირებული მარშით ორჯონიკიძეში (ვლადიკავკაზში) გადაისროლეს, სადაც შენაერთი ამიერკავკასიის ფრონტის ჯარების ჩრდილოეთის ჯგუფის რეზერვში გადავიდა. 276-ე ქართული მსროლელი დივიზია თავდაცვაზე გადავიდა. 276-ე ქართული მსროლელი დივიზია თავდაცვაზე დადგა საქართველოს სამხედრო გზის მისადგომებთან, პირადი შემადგენლობა კი საბრძოლო მზადებაში მეცადინეობდა.

1942 წლის 27 ოქტომბერს 276-ე მსროლელი დივიზია ორჯონიკიძის თავდაცვით რაიონს გადასცეს, თუმცა შენაერთს ადგილსამყოფელი არ შეუცვლია.[219]

ორჯონიკიძის მისადგომებთან – ბალთას რაიონში თავმოყრის შემდეგ 1942 წლის 4 ოქტომბერს ამიერკავკასიის ფრონტის სარდლის 29 სექტემბრის განკარგულების შესაბამისად, 276-ე ქართული მსროლელი დივიზია შინსახკომის სასწავლო დივიზიის ოპერატიულ დაქვემდებარებაში გადავიდა, რომელსაც ევალებოდა საქართველოს სამხედრო გზის დაცვა ორჯონიკიძის სამხრეთ ნაწილიდან ვერხნე განისამდე. 276-ე მსროლელ დივიზიას განსაკუთრებით მტკიცედ უნდა დაეცვა ანგუშისა და კაბანსკის ხეობები, რომლის მოწინავე ხაზი ტარსკისა და რუის-ძუარის მთების ჩრდილოეთ კალთებზე გადიოდა. აგრეთვე თავდაცვა უნდა დაეკავებინა 347-ე მსროლელი დივიზიის მიერ ადრე გამზადებულ

პოზიციებზე და საქართველოს სამხედრო გზის იმ მონაკვეთზე, რომელიც თბილისის უმცროს ლეიტენანტთა კურსების მიერ იყო გამაგრებული, როგორც ბატალიონის საკვანძო პუნქტები.[220]

1942 წლის ოქტომბრის პირველ რიცხვებში ფაშისტური გერმანიის შეიარაღებულმა ძალებმა შეტევითი ბრძოლები გააჩაღეს მოზდოკიდან ორჯონიკიძისა და გროზნოს მიმართულებით. ასეული ბომბდამშენი თვითმფრინავი და ტანკი განუწყვეტლივ თავს ესხმოდნენ საბჭოთა არმიის მოგერიებით ზღუდეებს და ცდილობდნენ, რადაც არ უნდა დაჯდომოდათ, ხელთ ეგდოთ ნავთობის უდიდესი საბადო ქ.გროზნო, დიდი სტრატეგიული მნიშვნელობის ზღუდე ქ.ორჯონიკიძე და დარიალის ხეობა უღელტეხილითურთ. გერმანიის ჯარები ამ მიმართულებით წააწყდნენ საბჭოთა ჯარების შეუპოვარ წინააღმდეგობას.

ცოტა ხნის შესვენების შემდეგ გერმანიის ჯარების სარდლობამ მიიღო გადაწყვეტილება ჩრდილო კავკასიაში თავისი მთავარი შემტევი ძალები გადაეჯგუფებინა ნალჩიკის მიმართულებით და ოქტომბრის პირველ რიცხვებში მთავარი შეტევა დაიწყო ნალჩიკ-ელხოტოვოს მიმართულებით. სამი დღის მძიმე ბრძოლების შედეგად მტერმა შეძლო წითელი არმიის მოგერიებითი ზღუდის გარღვევა, დაიკავა ქ.ნალჩიკი, ელხოტოვო, სოფელ გიზელი, არდონი და სხვა დასახლებული პუნქტები. ამის შემდეგ ფაშისტებმა შეტევა განავითარეს 276-ე ქართული მსროლელი დივიზიისა და ქ.ორჯონიკიძის დამცველი გარნიზონის წინააღმდეგ. სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაჩაღდა უშუალოდ საქართველოს საზღვართან.[221]

საქართველოს მოსახლეობა ემზადებოდა მტერთან ბრძოლისათვის. ქალაქებისა და სოფლების ირგვლივ

თხრიდნენ ტანკსაწინააღმდეგო ორმოებს. აკეთებდნენ რკინის ზღარბებს, აგებდნენ თავშესაფრებს და სხვა. ფაბრიკა-ქარხნებში მუშა-მოსამსახურეები დღე და ღამე მუშაობდნენ ფრონტისათვის – ამზადებდნენ იარაღს, ტყვია-წამალს, საჭურველს, ტანსაცმელს, სურსათ-სანოვაგეს, რასაც ასობით მანქანებითა და ეშელონებით ფრონტზე გზავნიდნენ. მამაცი ქართველი მებრძოლები მრავალეროვანი წითელი არმიის ნაწილებთან ერთად გმირულად იცავდნენ მშობლიური საქართველოს საზღვარს, მათ შორის იყვნენ 276-ე მსროლელი დივიზიის მეომრები, რომლებიც გააფთრებული ბრძოლებით ანადგურებდნენ მტრის ცოცხალ ძალასა და საბრძოლო ტექნიკას.[222]

1942 წლის ოქტომბერში გერმანიის ჯარების სარდლობამ მოგერიებით ზღუდეების წინააღმდეგ გამოიყენა ასზე მეტი ბომბდამშენი თვითმფრინავი და ტანკი, მასირებულ ცეცხლს აწარმოებდა მოწინააღმდეგის მძიმე არტილერია, მას ძლიერი იერიშები მიჰქონდა 276-ე ქართული დივიზიის მსროლელი პოლკების წინააღმდეგ.

სოფელ გიზელის (რომელიც მტრის ჯარებს ეკავა) სამხრეთით უსახელო სიმაღლეს იცავდა 876-ე მსროლელი პოლკის პირველი ბატალიონი. კაპიტანი კალისტრატე ჩხაიძე ხშირად ესაუბრებოდა მებრძოლებს, ასწავლიდა და ამხნევებდა მათ, ხშირად ხელმძღვანელობდა კონტრიერიშებს და წინ მიუძღოდა მებრძოლებს სამკვდრო-სასიცოცხლო შეტაკებების დროს.

ერთ-ერთ ასეთ უთანასწორო ბრძოლაში მოწინააღმდეგმ შეძლო შეჭრილიყო პოლკის მოგერიების სიღრმეში და დაეკავებინა უსახელო სიმაღლე, რომლის დაკარგვა საფრთხეს უქმნიდა არა მარტო პოლკს, არამდე დივიზიის მთელ მოგერიებით ზღუდეს. სიმაღლის

დაბრუნება პოლკისა და დივიზიის მეთაურობამ ბატალიონის მეთაურს კაპიტან კ.ჩხაიძეს დაავალა. ბატალიონი გაძლიერებული იქნა ნაღმსატყორცნებითა და ტყვიამფრქვევებით. მას მხარს უმაგრებდა, გზას უკაფავდა მაიორ მამონტი ბჟალავას 852-ე საარტილერიო პოლკის ერთი დივიზიონი. სიმაღლის განთავისუფლებისათვის ბრძოლა დაიწყო დილის ოთხ საათზე. ბატალიონი ეკვეთა მტერს და სამი საათის მწვავე ბრძოლის შემდეგ სიმაღლე აიღო. ამ ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისათვის მრავალი ქართველი ჯარისკაცი და მეთაური დაჯილდოვდა მთავრობის ორდენებითა და მედლებით. მათ შორის, "წითელი დროშის ორდენი" მიიღო ბატალიონის მეთაურმა კაპიტანმა კ.ჩხაიძემ.[223]

ქ.ორჯონიკიძესთან ბრძოლებში თავი ისახელა ლანჩხუთის რაიონის სოფელ ნიგვზიანის მკვიდრმა, ყოფილმა ტრაქტორისტმა ნიკოლოზ გოგიჩაიშვილმა. დივიზიაში მას ტყვიამფრქვევი ანდეს. ნიკოლოზმა მალე აითვისა ეს იარაღი და ნებისმიერი მანძილიდან მიზანში ზუსტად ისროდა.

კავკასიის მთებში ნ.გოგიჩაიშვილმა არაერთხელ ჩაიდინა გმირობა. იყო ისეთი შემთხვევაც, როდესაც მთელი ქვედანაყოფიდან მხოლოდ ოთხი მებრძოლი დარჩა ცოცხალი. ამ მცირერიცხოვანმა გარნიზონმა ნ.გოგიჩაიშვილის მეთაურობით ოთხი დღის განმავლობაში შეინარჩუნა უსახელო სიმაღლე. ტყვიამფრქვევი, შაშხანები და ხელყუმბარები იყო მათი იარაღი. მათ წინააღმდეგ მტერმა ვერაფერი ვერ გააწყო. მეოთხე დღეს დაიწყო საბჭოთა ჯარების საერთო შეტევა, რის შედეგადაც უსახელო სიმაღლე მტრის გარემოცვისაგან განთავისუფლდა. სიმაღლის კალთებზე კი ასამდე გერმანელი ჯარისკაცისა და ოფიცრის გვამი დარჩა. სსრ

კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1942 წლის 13 დეკემბრის ბრძანებულებით ნიკოლოზ გოგიჩაიშვილს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა.[224]

ფაშისტური გერმანიის შეიარაღებულმა ძალებმა ქ.ორჯონიკიძესთან ბრძოლაში დიდძალი ცოცხალი ძალა და საბრძოლო ტექნიკა დაკარგეს, მაგრამ იერიშებს მაინც განაგრძობდნენ. მოწინააღმდეგემ მოახერხა 873-ე მსროლელი პოლკის დაცვით უბანში შეჭრილიყო. პოლკისა და დივიზიის მეთაურობამ ყველა ზომა იხმარა მდგომარეობის გამოსწორებისათვის და მთელი საცეცხლე ძალებით თავს დაესხა მოწინააღმდეგეს. მთელი დღის დაძაბული ბრძოლის შედეგად 873-ე პოლკმა მტერი უკუაგდო. მოგერიების ზღუდე აღდგენილ იქნა. მალე გამოირკვა, რომ აღარსად ჩანდა ბატარეის მეთაური უფროსი ლეიტენანტი სერგო სარალიძე, აღარც მისი ბრძანებები გაისმოდა, მეთაურთან კავშირი გაწყვეტილი იყო. სასწრაფოდ მიაშურეს სამეთაურო პუნქტს, სადაც მიწურთან ასეთი სურათი დახვდათ: მიწაზე ეგდო შვიდი მოკლული ფაშისტი, მათ შორის ერთი უფროსი ლეიტენანტი. ამ ბრძოლაში იგი მძიმედ დაიჭრა და სხვა დაჭრილებთან ერთად ჰოსპიტალში გაგზავნეს. დივიზიის სარდლობამ ს.სარალიძე დასაჯილდოებლად "წითელი დროშის" ორდენზე წარადგინა.[225]

ამ ბრძოლაში თავი ისახელა აგრეთვე ასეულის მეთაურმა უფროსმა ლეიტენანტმა მიხეილ კვირკველიამ. ის პირველი შეიჭრა მტრის მიერ დაკავებულ სანგრებში და თავის მებრძოლებთან ერთად ხელჩართული ბრძოლით აიძულა მტერი უკან დაეხია. მ.კვირკველია დაჯილდოვდა "წითელი ვარსკვლავის" ორდენით. ორდენებითა და მედლებით დაჯილდოვდნენ ლეიტენანტი კ.გახოკიძე, სერჟანტები ლ.გაბუნია, კ.ფირცხალავა, დ.სანიკიძე,

ჯარისკაცები დ.გაგუა, ი.ჯიბლაძე, ს.სანაკოევი, ი.წილოსანი და სხვები.[226]

ხელის ტყვიამფრქვევის გათვლამ მებრძოლების სარალიძის, ქურდაძისა და აბჟანდაძის შემადგენლობით ლისაია გორას მისადგომებთან მტრის ზურგში შეაღწია და მომაკვდინებელი ცეცხლით გიზელის მიმართუ-ლებით გერმანელებს უკანდასახევი გზა გადაუჭრა. ქართველი მებრძოლები სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოდნენ. ბრძოლაში დაიღუპნენ ქურდაძე და აბჟანდაძე, ხოლო სარალიძეს თავში დაჭრის მიუხედავად ბრძოლა არ შეუწყვეტია. საბრძოლო ამოცანა შესრულებული იქნა. მტერმა სამი მამაცი ქართველი მეტყვიამფრქვევის წინააღმდეგ ბრძოლაში 68 კაცი დაჰკარგა.[227]

დიდი დანაკლისის მიუხედავად, მტერი დაჟინებით ცდილობდა ქ.ორჯონიკიძის ხელში ჩაგდებას, რათა შეტევითი ბრძოლა იქიდან საქართველოს სამხედრო გზაზე გადაეტანა და გაჭრილიყო ქ.თბილისისაკენ. მტერმა სოფელ გიზელში თავი მოუყარა დიდძალ სატანკო და მოტომსროლელ ძალებს, ავიაციას. 25 ოქტომბერს დაიწყო ქალაქის დაბომბვა და იმავე დროს 50 ტანკითა და ჯავშანტრანსპორტიორით შეტევაზე გადავიდა ქ.ორჯონიკიძის დამცველი გარნიზონის წინააღმდეგ. მოწინააღმდეგის შემტევ ნაწილებს სოფელ გიზელიდან ქ.ორჯონიკიძემდე უნდა გაევლო 276-ე ქართული მსროლელი დივიზიის მოგერიებითი ზოლის გასწვრივ, რაც აძნელებდა მოწინააღმდეგის ჩანაფიქრის შესრულებას. დაიწყო ცხარე ბრძოლები. ქ.ორჯონიკიძის დამცველი გარნიზონი (უშიშროების ჯარების დივიზია) და 276-ე მსროლელი დივიზია, რომელიც განლაგებული იყო ქალაქის ირგვლივ სიმაღლეებზე, თავს დაესხა მტრის შემტევ ძალებს. ბრძოლა ორი დღე-ღამის განმავლობაში

გრძელდებოდა. მტერმა დაკარგა 22 ტანკი, 18 ჯავშანტრანსპორტიორი, მრავალი სხვა საბრძოლო ტექნიკა და ცოცხალი ძალა. განსაკუთრებით დიდი ზარალი მიაყენეს მტერს მაიორ მამანტი ბჟალავას არტილერისტებმა, რომლის ორი დივიზიონი განლაგებული იყო ღია პოზიციებზე და ფლანგიდან აწარმოებდა ცეცხლს. გერმანელთა ჯარები დიდი ზარალის მიუხედავად შეტევას განაგრძნობდნენ. ისინი ქალაქის დასავლეთ ქუჩებში შეიჭრნენ. უშიშროების ჯარების დივიზიის მებრძოლები მედგარ წინააღმდეგობას უწევდნენ და კონტრიერიშებზე გადავიდნენ. მტერს მარცხენა ფრთიდან თითქმის ზურგში ეკვეთა 873-ე მსროლელი პოლკის ორი ბატალიონი. მოწინააღმდეგემ ვერ გაუძლო ამ ნაწილების კონტრიერიშებს. იგი იძულებული გახდა ქალაქი დაეტოვებინა და დიდი ზარალით დაუბრუნდა სოფელ გიზელის ძველ მოგერიებით ზღუდეს. განსაკუთრებით დიდი ზარალი განიცადა გერმანელების მე-13 სატანკო დივიზიამ.[228]

276-ე ქართული მსროლელი დივიზიის მიერ პირველ საბრძოლო ოპერაციაში – ორჯონიკიძის მისადგომებთან და მტერთან შემდგომ შერკინებაშიც მოპოვებული გამარჯვებები პირდაპირ კავშირში იყო შენაერთის პირადი შემადგენლობის მაღალ საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებასთან. ამიტომ იყო, რომ დივიზიის მებრძოლებმა თავი გამოიჩინეს როგორც გერმანელ ფაშისტებზე შეტევისას ისე თავდაცვით ბრძოლებშიც.

ასე მაგალითად, სოფელ გიზელისა და ნოვი სანიბას რაიონში ჰიტლერელთა გარშემორტყმისა და მათთვის უკანდასახევი გზის მოჭრის შემდეგ, მოწინააღმდეგის ტანკები საწვავის გარეშე დარჩნენ.

გერმანელები ცდილობდნენ განადგურებისაგან ეხსნათ თავისი ალყაშემორტყმული ჯარები და ამიტომ ორჯონიკიძის საერთო მიმართულებით რუმინელთა მე-2 სამთო-მსროლელი დივიზიის გადმოსროლა დაიწყო.[229]

სოფელ გიზელის დასავლეთ მხარეს შეტევას აწარმოებდა შინსახკომის განსაკუთრებული პოლკი. მარცხნივ ნოვი სანიბადან უტევდა 155-ე მსროლელი ბრიგადა, ხოლო ჩრდილოეთიდან, ჩრდილო-დასავლეთიდან და დასავლეთიდან შეტევას ანვითარებდნენ მე-11 და მე-10 გვარდიული მსროლელი კორპუსის ნაწილები.

276-ე მსროლელი დივიზია მტკიცედ იდგა თავდაცვის დაკავებულ პოზიციებზე. გაძლიერებული რაზმით გიზელის სამხრეთი ნაწილისაკენ შეტევას აწარმოებდა 871-ე მსროლელი პოლკი, რომლის ამოცანასაც შეადგენდა შინსახკომის განსაკუთრებულ პოლკთან, 155-ე მსროლელ ბრიგადასთან და მე-4 გვარდიულ ბრიგადასთან ერთობლივი ურთიერთმოქმედებით გაენადგურებინა მოწინააღმდეგე და დაუფლებოდა გიზელს.

873-ე მსროლელ პოლკს დაკავებული პოზიციების მტკიცე თავდაცვით არ უნდა დაეშვა გერმანელთა გარღვევა დოლინის, გიზელისა და ნიჟნი კაბინის მიმართულებით.[230]

ორჯონიკიძის მისადგომებთან დამარცხების შემდეგ ჰიტლერელები წრიულ თავდაცვაზე გადავიდნენ. სავარაუდო იყო, რომ ისინი ახალი, მაშველი ძალების მოსვლამდე შემოიფარგლებოდნენ დაკავებულ პოზიციებზე თავდაცვით, შემდეგ კი ხელმეორედ გადავიდოდნენ შეტევაზე. მოწინააღმდეგის მხრიდან არც იმის მცდელობა იყო გამორიცხული, რომ ეწარმოებინა გარღვევა გარემოცვიდან გამოსასვლელად 873-ე მსროლელი პოლკის თავდაცვის მიმართულებით.

დივიზიის მეთაურის ბრძანება ნაწილებისა და ქვედანაყოფების მეთაურებს ავალდებულებდა კიდევ ერთხელ შეემოწმებინათ დაკავებული თავდაცვითი პოზიციები და მოეხდინათ დამატებით საცეცხლე საშუალებათა განლაგება.[231]

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სოფელ გიზელსა და ნიჟნი სანიბაში დამარცხების შემდეგ, ფაშისტებმა დაიკავეს თავდაცვა ფოდახჟინ-ძუარიკაუ ალაგირის რაიონებში. ამავე დროს რეზერვებს იკრებდნენ ქ.ორჯონიკიძეზე შეტევისათვის და ცდილობდნენ ლამარდონ-ვერნი და ნიჟნი კობანის გავლით საქართველოს სამხედრო გზაზე შეეღწიათ. მთებში მტრის რაზმების პატარ-პატარა ჯგუფები მოქმედებდნენ.

1942 წლის 27 ნოემბერს 276-ე ქართულმა მსროლელმა დივიზიამ თავდაცვა მოხსნა საქართველოს სამხედრო გზიდან და 29 ნოემბერს თავდაცვის პოზიცია დაიკავა ფართო ფრონტზე, ისეთ უმნიშვნელოვანეს პოზიციებზე, როგორიცაა –ელხოტოვო და თერგის აღმოსავლეთ სანაპირო კანჟინამდე. აღნიშნულ რაიონში შენაერთს აქტიური თავდაცვა ეჭირა და ბრძოლებით აუმჯობესებდა დაკავებულ თავდაცვით პოზიციებს.[232]

1942 წლის 26 დეკემბერს 276-ე მსროლელიდივიზია ხუთი ბატალიონით ელხოტოვოზე საერთო შეტევაზე გადავიდა და ილარიონოვკას მიმართულებით ბრძოლით დაზვერვას აწარმოებდა. 29 დეკემბერს შენაერთმა ელხოტოვოში მყოფ მოწინააღმდეგის თავდაცის ჭრილში შეაღწია და ამით მე-11 მსროლელ კორპუსს შესაძლებლობა მისცა ბრძოლაში ჩაბმულიყო ზმეისკაიას მიმართულებით.

1943 წლის 1 იანვარს 276-ე მსროლელმა დივიზიამ ფრონტიდან კომბინირებული დარტყმით და ზურგიდან შემოვლით ფაშისტები უკუაგდო ელხოტოვოდან, შემდეგ

დაედევნა უკანდახეულ მოწინააღმდეგეს და დაიკავა პლანოვსკოე და დეისკოე.[233]

ელხოტოვოსათვის ბრძოლებში დივიზია კიდევ უფრო გამოიწრთო და მტკიცე საბრძოლო ორგანიზმი გახდა. მებრძოლებმა და მეთაურებმა სიმამაცისა და ვაჟკაცობის მაგალითები აჩვენეს.[234]

წითელარმიელმა ნიკოლაიშვილმა შეამჩნია, რომ ფაშისტების დაზგის ტყვიამფრქვევი მის ქვედანაყოფს თავის წამოწევისა და წინსვლის საშუალებას არ აძლევდა. ტყვიების წვიმის მიუხედავად ნიკოლაიშვილი ტყვიამფრქვევისაკენ გახოხდა, ხელყუმბარის ტყორცნით იგი მწყობრიდან გამოიყვანა, მოსპო მისი გათვლა, რითაც ქვედანაყოფს წინსვლის გზა გაუხსნა.[235]

ელხოტოვო-მურთაზოვოსათვის ბრძოლებში 276-ე მსროლელმა დივიზიამ ბატალიონამდე რაოდენობის გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი გაანადგურა, 13 ჰიტლერელი დაატყვევა და ფაშისტთა ტყვეობისაგან წითელი არმიის 119 მებრძოლი და მეთაური გაანთავისუფლა, ხელთ იგდო 16 დაუზიანებელი ტანკი, ერთი თვითმფრინავი, 28 ავტომანქანა, 4 საწევარი, ერთი ჰაუბიცა, 4 45 მილიმეტრიანი ყალიბის ქვემეხი, 4 სასურსათო საქონლის და ერთი საბრძოლო მასალის საწყობი.[236]

1943 წლის 4 იანვარს შენაერთი უკანდახეული მოწინააღმდეგის დევნას შეუდგა. 7 თებერვლამდე ბრძოლებით განვლო 900კმ შემდეგი მარშრუტით: ელხოტოვო – მაისკოე – ბაქსანი – მალკა – ზოლსკაია – ესენტუკი – სუვოროვსკაია – ვოროვსკოლსკაია – კალიუჟენსკი – ვოროშილოვსკი – იზობილნიე – ილინსკაია – ტერნოვსკაია – ნოვო – პეტროვსკაია – კრილოვსკაია –

კისლიაკოვსკაია – შკურინსკაია – კუშევსკაია – სტარო შცერბინოვსკაია – ეისკი.

ზამთრისა და უგზოობის პირობებში, როდესაც 276-ე დივიზიის პირადი შემადგენლობა განიცადა სურსათისა და ტანსაცმლის ნაკლებობას, შენაერთმა აიძულა მოწინააღმდეგე დაეყარა საბრძოლო ტექნიკის ნაწილი და მარაგი.

დივიზიამ პიდაპირ მარშიდან შეძლო გამოედევნა ფაშისტები გორკის საბჭოთა მეურნეობიდან, ილინსკაიადან, იურსკაიადან და ნოვო პეტროვსკაიადან. ტერნოვსკაიაში შენაერთი ორი დღე-ღამე ებრძოდა გერმანელების მოტოქვეითებსა და ტანკებს, რომლებიც ცდილობდნენ შეეჩერებინათ შეტევაზე გადასული ნაწილები და ამით უზრუნველეყოთ ტიხორეცკის ევაკუაცია.

ამ ბრძოლებში 276-ე მსროლელმა დივიზიამ ხელთ იგდო დიდძალი ნადავლი, რომელთაგან აღსანიშნავია ეშელონი 28 ტანკით და ავტომანქანებით, ეშელონი ფქვილითა და მარცვლეულით, 26 ორთქმავალი, 40-მდე ვაგონი, სხვადასხვა ყალიბის 15 ქვემეხი და და 13 ავტომანქანა. დივიზიის საბრძოლო წარმატება განპირობებული იყო პირადი შემადგენლობის მაღალი მორალურ-პოლიტიკური მდგომარეობით, რაც გამოხატულებას პოულობდა, სამხედრო ფიცისადმი ერთგულებაში, ვაჟკაცობასა და გმირობაში.[237]

1943 წლის 7 თებერვალს 276-ე მსროლელი დივიზია თავმოყრის ახალ რაიონში – ტაგანროგის ყურესთან გავიდა, რათა საიმედოდ დაეცვა ზღვის სანაპირო, მოეხდინა მოწინააღმდეგის დეზინფორმაცია და დაეკომპლექტებინა ნაწილები პირადი შემადგენლობით. სამივე ეს ამოცანა დივიზიის მიერ პირნათლად იქნა

შესრულებული. მტრის დეზინფორმაციისათვის დივიზიამ ფრონტის სარდლობისაგან მადლობა დაიმსახურა.

1943 წლის 26 თებერვალს ჩრდილოეთ კავკასიის ფრონტის სარდლობის ბრძანების შესაბამისად 276-ე მსროლელი დივიზია მარშის განხორციელებას შეუდგა, რათა თავი მოეყარა გრივენსკაიას რაიონში. მარშის დაწყების წინ პირად შემადგენლობას დაურიგდა ტანსაცმელი, ხოლო იარაღით მხოლოდ 30 პროცენტის დაკმაყოფილება მოხერხდა.[238]

დივიზიამ მსვლელობა განახორციელა უამინდობისა და უგზოობის უაღრესად რთულ პირობებში. პირად შემადგენლობას თან მიჰქონდა საბრძოლო მასალა და სურსათ-სანოვაგე. 1943 წლის 28 თებერვალს 871-ე მსროლელი პოლკი გრივენსკაიაში შევიდა. 58-ე არმიის სარდლობის ბრძანებით 871-ე მსროლელი პოლკი 417-ე მსროლელი დივიზიის ოპერატიულ დაქვემდებარებაში გადავიდა. 29 თებერვალს კი პოლკი ხუტორ ბელიკოვის მისადგომებისაკენ დაიძრა და მოწინააღმდეგესთან ბრძოლაში მარშიდან ჩაება. 871–ე მსროლელ პოლკს ტანსაწინააღმდეგო საშუალებები არ გააჩნდა, რის გამოც რამდენიმე დღის ბრძოლების შემდეგ პირადი შემადგენლობის 50 პროცენტამდე დაკარგა.[239]

1943 წლის 2 მარტს შენაერთის ნაწილები გრივენსკაიას რაიონში განლაგდნენ. 6 მარტს კი 276–ე მსროლელმა დივიზიამ ახალი საბრძოლო დავალება მიიღო: – შეექმნა დამკვრელი დაჯგუფება, დაუფლებოდა გერმანელთა წინააღმდეგობათა კვანძის–პეტროვსკაიას მისადგომებს, დაეკავებინა ჯერ ხუტორი ბელიკოვი, ხოლო შემდეგ ხუტორ-ბაბიჩევსკი. დივიზიის ნაწილებს მეტად ცუდ პირობებში ხან ქვიანსა და ხანაც ჭაობიან ადგილებში უხდებოდათ მოქმედება. ამასთანავე მეტად გაძნელებული

იყო სურსათითა და საბრძოლო მასალით მომარაგება. დივიზიის მარჯვენა ფლანგი გაშიშვლებული იყო არტილერიის სათანადო მხარდაჭერის გარეშე. მაშინ როდესაც ჰიტლერელებს წინასწარ გამზადებული თავდაცვითი პოზიციები გააჩნდათ, მოქმედებდნენ სატანკო ქვედანაყოფებით და ავიაციის მასირებული თავდასხმებით.

276–ე მსროლელი დივიზიის ნაწილებმა მძიმე ბრძოლების შემდეგ 1943 წლის 16 მარტს გაათავისუფლეს სოფ.გრივენსკაია, ბელიკოვა, პეტროვსკაია და ბრძოლა გააჩაღეს ქ.თემრიუკის მისადგომებთან. ამრიგად, დივიზიამ ქ.ორჯონიკიძიდან მძიმე ბრძოლებით გაიარა 900 კილომეტრზე მეტი. ძნელი იყო ეს საბრძოლო გზა: სუსხიანი ზამთარი, გაუვალი ჭაობები (განსაკუთრებით აზოვის ზღვის სანაპიროებთან) შენაერთის ნაწილების მოუმარაგებლობა საბრძოლო იარაღითა და სურსათ–სანოვაგით. ჭაობიანი ადგილები თოვლსა და წვიმაში სრულიად გაუვალი გახდა ავტოტრანსპორტისათვის. დივიზიის მეთაურობა იძულებული იყო დახმარებისათვის მიემართა ადგილობრივი მოსახლეობისათვის. ყუბანის მოსახლეობა სიამოვნებით გამოეხმაურა დივიზიის სარდლობის თხოვნას და ხშირად ასობით ქალი, მოხუცი და მოზარდი 10-15 კილომეტრის მანძილზე ზურგით ეზიდებოდა (მებრძოლებთან ერთად) სურსათ-სანოვაგეს, ტყვია-წამალს და ზოგჯერ საარტილერიო ყუმბარებსაც.[240]

დივიზიის მებრძოლების მამაცობის შედეგად თავდაცვა გარღვეულ იქნა. 18 მარტს ფაშისტები ხუტორ ბელიკოვოდან განდევნეს, ხოლო 21 მაისს ბაბიჩევსკიდან. მოწინააღმდეგემ უკანდახევა დაიწყო პეტროვსკაიადან ჩერნოერკოვსკის არხისაკენ, სადაც მის სამხრეთ სანაპიროზე თავდაცვის მორიგი ზღუდე ააგეს. 23 მარტს

276-ე მსროლელი დივიზიის ნაწილებმა გადალახეს არხი და მტრის წინააღმდეგობის დაძლევით ნელ-ნელა იწყეს წინსვლა.[241]

ფაშისტებმა უკან დაიხიეს თავდაცვისათვის წინასწარ გამზადებულ ზღუდეზე. ისინი თავს იცავდნენ მასირებული ცეცხლით. კონტრშეტევაზე გადადიოდნენ ტანკებითა და მოტოქვეითებით, რითაც 25 მარტამდე შეძლეს შეენარჩუნებინათ თავდაცვის აღნიშნული ზოლი. ამის შემდეგ დივიზიის დარტყმებისაგან ჰიტლერელებმა უკან დაიხიეს უსახელო მდინარის მიდამოებში, თავდაცვის შუალედურ ზოლებზე, სადაც ისარგებლეს ადგილმდებარეობის თავისებურებით, დანაღმეს მინდვრები, მტკიცე თავდაცვაზე გადავიდნენ და კონტრიერიშისათვის თავი მოუყარეს ათამდე საშუალო ტანკს.[242]

30 მარტს დიდძალი დანაკარგების გამო გერმანელებმა დაიწყეს უაკნდახევა სვისტელნიკოვოსაკენ, სადაც გაკეთებული ჰქონდათ წინააღმდეგობათა კვანძები. ეს პატარა სოფელი, რომელიც სულ ოცდაათი კომლისაგან შედგებოდა, გერმანელმა ფაშისტებმა ციხე სიმაგრედ აქციეს. მტერი შეეცადა, რადაც უნდა დაჯდომოდა, შეეჩერებინა საბჭოთა ჯარების წინსვლა. დღე-ღამის განმავლობაში გერმანიის ბომბდამშენებით თავს ესხმოდნენ დივიზიის შემტევ პოლკებს, ქვედანაყოფებს, არტილერიასა და ზურგს.

876-ე მსროლელი პოლკი მძიმე ბრძოლების შედეგად სოფელში შეიჭრა და ბრძოლა გააჩაღა. მტერი ბომბდამშენებით და ტანკებით კონტრიერიშებზე გადმოვიდა. პოლკის მეთაური მაიორი ს.კაზაკოვი შტაბის მეთაურებთან და მოადგილეებთან ერთად იძულებული შიქმნა უშუალოდ ჩაბმულიყო ბრძოლაში. ბატალიონის

მეთაურმა კაპიტანმა კ.ჩხაიძემ სამი კონტრიერიში მოიგერია. მისი ბატალიონის წინ იწვოდა კვამლში გახვეული მტრის 12 ტანკი. ფაშისტები მაინც განაგრძობდნენ იერიშებს, რომლის დროსაც გმირულად დაეცნენ პოლკის მეთაური, ს.კაზაკოვი, ამავე პოლკის პირველი ბატალიონის მეთაური, ბრძოლებში სახელგანთქმული კაპიტანი კ.ჩხაიძე და სამეკავშირეო ასეულის მეთაური, უფროსი ლეიტენანტი ვ.სულჟენკო. ისინი დაკრძალეს სოფ.პეტროვსკაიაში.

დიდი გმირობა გამოიჩინა საარტილერიო პოლკის მეთაურმა პოდპოლკოვნიკმა მ.ბჟალავამ. მტრის ტანკების მუდმივი შეტევის შესაჩერებლად მ.ბჟალავას მოუხდა მთელი თავისი ბატარეების ღია პოზიციაზე განლაგება. მ.ბჟალავას ქვემეხები შეუპოვრად და გაბედულად ანადგურებდნენ მტრის ტანკებსა და შემტევ ნაწილებს. გერმანელები დარწმუნდნენ, რომ მხოლოდ ქვეითი და მოტომექანიზებული ჯარებით ვერ შეაჩერებდნენ დივიზიის წინსვლას და გადაწყვიტეს ავიაციის დიდი რაოდენობით გამოყენება. დაიწყო დივიზიის შემტევი ნაწილების მასირებული დაბომბვა, განსაკუთრებით არტილერიის პოზიციებისა.[243]

სამი დღის განმავლობაში პოდპოლკოვნიკი მ.ბჟალავა ორჯერ იყო ცოცხლად დამარხული მტრის ავიაციის თავდასხმის შედეგად. მეთაური ცოცხალი ამოიღეს მიწიდან პოლკის არტილერისტებმა. მ.ბჟალავამ ისევ გმირულად განაგრძო პოლკის ხელმძღვანელობა. გაბედული და გმირული მოქმედებისათვის პოდპოლკოვნიკი მ.ბჟალავა "წითელი დროშის" საბრძოლო ორდენით დაჯილდოვდა. სოფელი სვისტელნიკოვო მიწასთან იქნა გასწორებული. სოფლის მრავალი მკვიდრი, მოხუცი, ქალი და ბავშვი ჰიტლერელი ურდოების

მსხვერპლი გახდა. გერმანელთა ნაწილმა მოასწრო ევაკუირება სვისტელნიკოვოდან და დაბანაკება მახლობლად მდებარე სოფლებში.[244]

1943 წლის 4 აპრილს ღამით 276-ე მსროლელმა დივიზიამ დაძლია ფაშისტების შეუპოვარი წინააღმდეგობა და დილით აიღო სვისტელნიკოვო, ხოლო იმავე დღეს საღამოს უკანდახეული მოწინააღმდეგის დევნისას მივიდა მდინარე კურკასთან. სვისტელნიკოვოსთან ბრძოლებში მრავალი ფაშისტი დაიღუპა. მხოლოდ 4 აპრილს მოწინააღმდეგემ ბრძოლის ველზე დატოვა 70 ჯარისკაცი და ოფიცერი. დივიზიის მებრძოლებმა ხელთ იგდეს ერთი დაზიანებული ტანკი, 6 ტყვიამფრქვევი, ორი ქვემეხი, 3 ტანკსაწინააღმდეგო თოფი, 2 ტელეფონი და 3 საზიდარი საბრძოლო მასალით.[245]

ორჯონიკიძის მისადგომებიდან დაწყებული გერმანელ-ფაშისტთა წინააღმდეგ ბრძოლების მთელი პერიოდის განმავლობაში 276-ე მსროლელი დივიზიის წინააღმდეგ მოქმედებდნენ კარგად გაწვრთნილი მტრის კადრის ნაწილები. კერძოდ, 50-ე 370-ე და მე-13 ქვეითი დივიზიები. ეს შენაერთები ძირითადად გერმანელებით იყვნენ დაკომპლექტებული და მაღალი ბრძოლისუნარიანობით გამოირჩეოდნენ. მიუხედავად ყოველივე ამისა, 276-ე მსროლელი დივიზია ზამთრის მთელი საბრძოლო კამპანიის განმავლობაში ამარცხებდა ფაშისტური არმიის რჩეულ ნაწილებს. შენაერთის ამ საბრძოლო წარმატებაში უდავოდ დიდი დამსახურება მიუძღოდა დივიზიის სარდლობას და მის პარტიულ-პოლიტიკურ აპარატს, რომლებიც მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული პირად შემადგენლობასთან და მათ სირთულეების დაძლევისა და საბრძოლო ამოცანების შესრულების ყოველგვარ პირობას უქმნიდნენ.

აღნიშნულ ბრძოლებში მოპოვებულმა წარმატებებმა საფუძველი ჩაუყარა 276-ე მსროლელი დივიზიის სახელოვან საბრძოლო ტრადიციებს. აღსანიშნავია, რომ დივიზიასა და მის ნაწილებს სარდლობის ბრძანების გარეშე არასოდეს უკან არ დაუხევია.[246]

სოფელ სვისტელნიკოვოსთან დამარცხების შემდეგ გერმანელმა ფაშისტებმა მდინარე ყუბანის მარცხენა ნაპირისაკენ დაიხიეს და ქ.თემრიუკის მისადგომებთან გამაგრდნენ. ქ.თემრიუკის გეოგრაფიული მდებარეობა მოწინააღმდეგეს ხელს უწყობდა ხანგრძლივი მოგერიებითი ბრძოლები ეწარმოებინა. ქალაქს ერთი მხრივ აკრავს აზოვის ზღვა, მეორე მხრივ მდინარე ყუბანი, მესამე მხრივ ღრმაჭაობიანი ადგილები. შტევითი ბრძოლების წარმოება შეიძლეოდა მხოლოდ ერთი მიმართულებით, ისიც ჭაობის გავლით, სადაც მეტად ძნელი იყო ტექნიკის გამოყენება. პირისპირი შეტევითი ბრძოლის წარმოება გამოიწვევდა ადამიანთა უდიდეს მსხვერპლს და უამრავი ტექნიკის დაკარგვას, რასაც საბჭოთა ჯარების სარდლობა ერიდებოდა. მოწინააღმდეგემ შეძლო მთელი არმიის შემტევი ნაწილების დროებით შეჩერება და ზოგჯერ შეეცადა კიდეც კონტრშეტევაზე გადასვლას, მაგრამ ამაოდ.

1943 წლის 16 აპრილს 276-ე მსროლელმა დივიზიამ 77-ე მსროლელი დივიზიისაგან თავდაცვითი პოზიციები ჩაიბარა და მტრის წყალდაბრკოლებათა და თავდაცვის გასარღვევად მოწინავე რაზმების ფორმირებას შეუდგა. პირველი ასეთი დამკვრელური ჯგუფი 876-ე მსროლელ პოლკში შეიქმნა, მის შემადგენლობაში მხოლოდ ყველაზე გაბედული და მამაცი მებრძოლები ჩარიცხეს. აღნიშნული ჯგუფის მეთაურის მოადგილედ პოლიტდარგში დანიშნეს უფროსი ლეიტენანტი თოდუა, რომელიც პოლკში ერთ-ერთ საუკეთესო პოლიტმუშაკად ითვლებოდა და

წარდგენილი იყო მთავრობის ჯილდოზე. დამკვრელური ჯგუფები ოთხი რგოლისაგან შედგებოდა. თითოეულ რგოლში გამოყოფილი იყო პოლიტმუშაკი და ჩატარდა პარტიულ-კომკავშირული ძალების განაწილება.[247] ასეთივე დამკვრელური ჯგუფები სხვა პოლკებშიც შეიქმნა.

1943 წლის მაისში ჩრდილოეთ კავკასიის ფრონტის ჯარები ავიაციათა და სატანკო ნაწილებით გააძლიერეს.[248]

გერმანელებმა ღრმად ეშელონირებული თავდაცვა შექმნეს ნოვოროსიისკიდან სადგურ კრიმსკაიამდე და შემდეგ მდინარე კურკასა და მდინარე ყუბანის მარჯვენა სანაპიროზე. აზოვის ზღვის მიდამოებამდე.

სლავიანსკაიას სადგურზე ვაგონებთან მივიდა რკინიგზის აღდგენაზე მომუშავე ერთი მოხუცი, რომელმაც თქვა: "შეხედეთ, ჩემო შვილებო, რა გააკეთეს აქ ფაშისტებმა. შური იძიეთ მათზე". მებრძოლებმა ერთხმად მიუგეს – "შურს ვიძიებთ", თქენ დარდი ნუ გექნებათ."[249]

სამი კვირის განმავლობაში ემზადებოდა 276-ე მსროლელი დივიზია შეტევის დასაწყებად. ამ ხნის განმავლობაში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მეთაურებისა და მებრძოლების ახლად მიღებულ შევსებას.[250]

1943 წლის 2 აგვისტოს მე-9 არმიის სარდლობამ, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდა 276-ე მსროლელი დივიზია, მიიღო გადაწყვეტილება, ტაქტიკური თვალსაზრისით გაენთავისუფლებინა სოფელი ლენინსკაია, რომელიც თემრიუკის მახლობლად მდინარე ყუბანის მარცხენა ნაპირზე, მთის ფერდობებზეა გაშენებული. სოფელი ლენინსკაია არ წარმოადგენდა სტრატეგიულად დიდმნიშვნელოვან პუნქტს. ის მხოლოდ ტაქტიკურად აუმჯობესებდა საბჭოთა ჯარების მოგერიების ზღუდეს და საფრთხეს უქმნიდა გერმანელთა

ქ.თემრიუკის გარნიზონს. სოფელ ლენინსკაიას დაკავების საპასუხისმგებლო ამოცანა დაევალა 276-ე მსროლელ დივიზიას. ოპერაციის მოსამზადებლად განისაზღვრა სამი დღე. დივიზიის მეთაურმა, გენერალ-მაიორმა ი.სევასტიანოვმა ამ საბრძოლო ამოცანის შესრულება 871-ე მსროლელი პოლკის მეთაურს პოდპოლკოვნიკ ჰუსეინ ბეჟანიძეს დააკისრა. პოლკი შევსებულ იქნა ჯარისკაცებით, სერჟანტებითა და ოფიცრებით, სულ 1500 კაცამდე. პოლკმა მიიღო იარაღი, საჭურველი, სურსათ-სანოვაგე, კავშირის საშუალებანი და სხვა. პოლკს ბრძოლაში მხარის დასაჭერად გადაეცა დივიზიის საარტილერიო პოლკი პოდპოლკოვნიკ მ.ბჟალავას მეთაურობით და საარტილერიო ტანკსაწინააღმდეგო დივიზიონი.[251]

გამთენიისას, ოთხ საათზე დაიწყო საარტილერიო მომზადება. პოლკს მხარს უჭერდნენ კორპუსისა და არმიის საარტილერიო ნაწილებიც. მტერმა ყველა სახეობის იარაღიდან საპასუხო ცეცხლი გახსნა. საარტილერიო მომზადების დამთავრებისთანავე პოლკის ერთი ბატალიონი ეკვეთა მტერს, დანარჩენ ბატალიონებს ჭაობიანი ადგილების გადალახვა მოუხდათ, რამაც ძლიერ შეანელა პოლკის წინსვლის ტემპი. მოწინააღმდეგის საცეცხლე წერტები მოთავსებული იყო მთის ფერდობზე, სიმაღლეზე, საიდანაც კარგად ჩანდა საბჭოთა ჯარების მოქმედება. სოფელ ლენინსკაიას დაკავება დაგვიანდა. უკვე გათენდა, მტერმა ისარგებლა ამ გარემოებით, კონტრიერიშზე გადავიდა პირველი ბატალიონის წინააღმდეგ და აიძულა იგი სოფელი დაეტოვებინა. შემტევი ნაწილები ღია, მტრისათვის თვალსაჩინო პოზიციაზე მიჯაჭვული აღმოჩნდნენ ნაღმსატყორცნებისა და არტილერიის გამანადგურებელი ცეცხლის ქვეშ. მათი უკან გამოყვანაც შეუძლებელი იყო. არმიისა და დივიზიის

სარდლობამ შეტევის გაგრძელება გადაწყვიტა. მესანგრე ნაწილები გასასვლელი ადგილების გაწმენდას შეუდგნენ. განმეორებით საარტილერიო მომზადების შემდეგ საგრძნობლად შესუსტდა ჰიტლერელთა ნაღმსატყორ-ცნებისა და არტილერიის ცეცხლი. სამაგიეროდ სოფელში გამოჩნდა მტრის ტანკები. ჰ.ბეჟანიძემ ბატალიონები ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხებით გააძლიერა და სოფელში მეორედ შეიჭრა. დაიწყო ცხარე ბრძოლები. სამი საათის მძიმე ბრძოლების შედეგად სოფელი განთავისუფლებული იქნა. ამ ბრძოლაში გერმანელებმა დაჰკარგეს ოთხი ტანკი, 8 ნაღმსატყორცნი, ექვსასზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი. სოფელ ლენინსკაიას განთავისულფებისათვის ბრძოლაში თავი ისახელეს პოლკის მეთაურმა პოლდპოლკოვნიკმა ჰუსეინ ბეჟანიძემ, ბატალიონის მეთაურმა, კაპიტანმა გ.გაბუნიამ, კაპიტანმა ს.ერმაკოვმა, მაიორმა ზურაბ ავლოხაშვილმა, ლეიტენანტმა თ.ბუდუკაძემ, პოლკის მეთაურმა, პოდპოლკოვნიკმა მამანტი ბჟალავამ, სერჟანტებმა კ.გელოვანმა და ს.კაიშაურმა, ჯარისკაცებმა ი.ბუთხაძემ, ა.აბუთიძემ, ბ.მაცაბერიძემ და სხვებმა.[252]

გერმანიის ჯარების სარდლობამ ორი კვირის შესვენების შემდეგ ძალთა გადაჯგუფება მოახდინა და ერთხელ კიდევ სცადა შეტევაზე გადასვლა. ეს იყო 1943 წლის ივლისში. მტერმა ბრძოლაში გამოიყენა დიდძალი ავიაცია და ტანკები. მთავარი ძალებით თავს დაესხა შენაერთის მარცხნივ მყოფ დივიზიას, სადაც დივიზიის მეთაურის მოადგილე იყო პოლკოვნიკი ივანე ქანთარია. სამი დღის მძიმე ბრძოლების შემდეგ მტერი დივიზიის მოგერიებით ზღუდეში შეიჭრა და აიძულა მისი ნაწილები უკან დახეულიყვნენ. მდგომარეობის გამოსასწორებლად 276-ე მსროლელ დივიზიას ებრძანა, ორი პოლკით კონტრშეტევაზე გადასულიყო და ჰიტლერელებისათვის

მარჯვენა მხრიდან დაერტყა. ეს ამოცანა დივიზიამ პირნათლად შეასრულა. ბრძოლაში მონაწილეობდნენ 873-ე 876-ე მსროლელი პოლკები და სხვა დამხმარე ნაწილები. პოლკების მეთაურებმა, პოლკოვნიკებმა ე.ერგუშევმა და ი.ფომინმა მოხერხებულად გაიყვანეს პოლკები, მოულოდნელად შეიჭრნენ მტრის შემტევი ნაწილების ზურგში და გზა გადაუღობეს მის რეზერვებს. გერმანელები იძულებული გახდნენ შემოებრუნებინათ თავიანთი შემტევი სატანკო ნაწილები. ამით ისარგებლეს მეზობელმა ნაწილებმა, განსაკუთრებით არტილერიამ და დიდი ზიანი მიაყენეს მტრის ტანკებს, შემდეგ კი კონტრიერიშებით უკუაგდებულ იქნა მოწინააღმდეგე და დივიზიამ აღადგინა მოგერიებითი ხაზი.[253]

1943 წლის 22 და 23 სექტემბერს გამართულ ბრძოლებში მხოლოდ 876-ე მსროლელმა პოლკმა მოკლულთა სახით 110 კაცი დაკარგა. დაიღუპა მე-5 მსროლელი ასეულის პარტორგი ჩაგუნავა და სხვა.[254]

1943 წლის 24-დან 25 სექტემბერს ღამით მოწინააღმდეგესთან ბრძოლაში განსაკუთრებით გამოიჩინა თავი 871-ე მსროლელი პოლკის მესამე ბატალიონის მეთაურმა კაპიტანმა ვ.გულავამ, რომელმაც იმ მომენტში, როდესაც შეტევაზე მყოფი სამი ტანკი ტრანშეაში ჩავარდნენ და გერმანელების ასეულამდე რაოდენობის მეავტომატეები მათ ხელში ჩაგდებას ლამობდნენ, მან მოხერხებულად შემოაბრუნა ბატალიონის მეორე ასეული და კონტრიერიშზე გადაიყვანა. ავტომატებისა და ტყვიამფრქვევების ცეცხლით მათ მოწინააღმდეგე მთლიანად გაანადგურეს.

1943 წლის სექტემბრის ბოლო რიცხვებში ჩრდილოეთ კავკასიის ფრონტის ჯარები, რომელთა შორის 276-ე მსროლელი დივიზიაც იმყოფებოდა, შეტევაზე

გადავიდნენ. ბრძოლა გაჩაღდა ქ.თემრიუკის მისადგომებთან. დივიზიის მეთაურობამ იმ მიზნით, რომ მოულოდნელად ზურგიდან თავს დასხდომოდა გერმანელების ქ.თემრიუკის გარნიზონს, შექმნა სადესანთო ჯგუფი. მასში შედიოდა ნაღმტყორცნებითა და ტანკსაწინააღმდეგო დივიზიონით გაძლიერებული 871-ე მსროლელი პოლკი. დესანტს დაევალა ღამით ემოქმედა, ფრთხილად, მტრისთვის შეუმჩნევლად და მდინარე ყუბანის მარჯვენა ნაპირით გასულიყო ღრმა ღელიანი ჭაობებით თემრიუკის დასავლეთ მხარეს და დაეკავებინა ხიდი მდინარე ყუბანზე. ამით გერმანელებს გასავლელი გზა ესპობოდათ ჯარების უკან დახევის შემთხვევაში. დესანტის ხელმძღვანელობა დაეკისრა პოლკოვნიკ სერგო ჰომანს. დესანტმა ფარულად გაიარა ღრმაჭაობიანი ადგილი და დროულად გააჩაღა ბრძოლა თემრიუკის ჩრდილო-დასავლეთით. დესანტმა ხიდის დაკავება ვერ შეძლო, მაგრამ მისმა გამოჩენამ მტრის მარჯვენა ფრთაზე, საიდანაც მტერი საფრთხეს არ მოელოდა, დიდი მორალური გავლენა მოახდინა მოწინააღმდეგეზე. გაჩაღდა სასტიკი ბრძოლა, დაიძრნენ დივიზიის სხვა პოლკები და ქვეგანაყოფებიც. 1943 წლის 27 სექტემბერს მთელი დღის მძიმე, დაძაბული ბრძოლების შემდეგ ქ.თემრიუკი გერმანელი – ფაშისტებისაგან განთავისუფლდა. მოწინააღმდეგემ ქ.თემრიუკში 1000-ზე მეტი ჯარისკაცი და დიდძალი საბრძოლო ტექნიკა დაჰკარგა.[255]

1943 წლის 9 ოქტომბერს სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდლის ი.ბ.სტალინის ბრძანებით 276-ე მსროლელ დივიზიას მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად "თემრიუკის"სახელწოდება მიენიჭა.[256]

გერმანელ-ფაშისტთა წინააღმდეგ ბრძოლებში ჩაბმის პირველი დღეებიდანვე 276-ე ქართული მსროლელი დივიზიის მებრძოლები იჩენდნენ შეუპოვარ სიმტკიცესა და გაბედულობას, გმირობასა და თავდადებას. ამას მოწმობს მთავრობის მრავალი ჯილდო, რომლებიც მათ ღირსეულად დაიმსახურეს. ასე მაგალითად, ჯერ კიდევ პირველ საბრძოლო შერკინებაში გამოჩენილი დამსახურებისათვის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოვდნენ: ოცეულის მეთაური, უმცროსი ლეიტენანტი გერმანე ცაცუა, ოცეულის მეთაურის თანაშემწე, უმცროსი სერჟანტი ვასილ გულაშვილი და წითელარმიელი სანიტარი პეტრე ზიმიჩი.

წითელი ვარსკვლავის ორდენით დააჯილდოეს: მესანგრეთა ოცეულის მეთაური ლეიტენანტი ალექსი მათიაშვილი, ათეულის მეთაური ვლადიმერ ნათელაშვილი, რიგითები: გაბრიელ ხუციშვილი, თომა მიშელაშვილი, აკიმ ქურდაძე, ალექსანდრე სარალიძე და სტეფანე აბჟანდაძე.

დივიზიიდან მრავალმა დაიმსახურა მედლები "საბ-რძოლო დამსახურებისათვის" და "მამაცობისათვის".[257]

საინტერესოა აღინიშნოს, რომ 1943 წლის ოქტომბრის ბოლოსათვის 276-ე მსროლელ დივიზიაში ეროვნული ნიშნის მიხედვით 12%-ს შეადგენდნენ ქართველები, 3%-ს აზერბაიჯანელები, 2%-ს სომხები, ხოლო დანარჩენს რუსები და უკრაინელები.[258]

როგორც ვხედავთ, დივიზიის პირადი შემადგენლო-ბიდან დაჯილდოებულთა ყველაზე მაღალ პროცენტს ქართველები შეადგენდნენ, რაც ადვილად აიხსნება თუ შემდეგ გარემოებას გავითვალისწინებთ. პირველად 1942 წლის ზაფხულში 276-ე მსროლელი დივიზია ჩამოყალიბდა როგორც ეროვნული დივიზია, რომლის შემადგენლობის

აბსოლიტურ უმრავლესობას – 95%-მდე საქართველოს შვილები შეადგენდნენ. ამიტომ, როგორც ზემოთ მოყვანილი მასალებიდან ჩანს, კავკასიის ბრძოლების დამთავრების მომენტისათვის შენაერთის პირადი შემადგენლობის უმრავლესობას ეროვნული ნიშნის მიხედვით კვლავ ქართველები შეადგენდნენ. 276-ე მსროლელი დივიზიის (მეორე ჩამოყალიბების) სახელოვანი საბრძოლო ტრადიციების დასაწყისს, სათავე დაუდეს ქართველმა მებრძოლებმა, რომელიც შემდგომშიც უნდა გაგრძელებულიყო.

მაშასადამე, თუ შევაჯამებთ ყოველივე ზემოთქმულს, დავინახავთ, რომ (მეორე ჩამოყალიბების) 276-ე ქართულმა მსროლელმა დივიზიამ აქტიური მონაწილეობა მიიღო კავკასიისათვის გაჩაღებულ სამკვიდრო-სასიცოცხლო ბრძოლების როგორც თავდაცვით ისე შეტევით ოპერაციებში. წითელი არმიის სხვა შენაერთებთან და ნაწილებთან ურთიერთ მოქმედებით, დივიზიის სარდლობის უნარიანი მოქმედებისა და პირადი შემადგენლობის მასობრივი ვაჟკაცობისა და გმირობის შედეგად 276-ე მსროლელმა დივიზიამ დიდ საბრძოლო წარმატებებს მიაღწია გერმანელ-ფაშისტთა რჩეული სატანკო, მოტორიზებული და ქვეითი ნაწილების წინააღმდეგ ბრძოლაში. დივიზია, რომლის პირადი შემადგენლობის უდიდეს უმრავლესობას ქართველები შეადგენდნენ, ვერ შეაფერხა ბრძოლებმა მთაგორიან, ტყიან და წყალდაბრკოლებათა, რთულ ადგილმდებარეობათა და ცუდ კლიმატურ პირობებში. კავკასიისათვის ბრძოლებში მოპოვებულ დიდმნიშვნელოვან საბრძოლო წარმატებებზე მეტყველებს 276-ე დივიზიისათვის "თემრიუკის" საპატიო სახელწოდების მინიჭება და მთავრობის ორდენებითა და მედლებით პირადი შემადგენლობის მასობრივი

დაჯილდოება. საბჭოთა კავშირის დიდ სამამულო ომის დანარჩენ სამხედრო ოპერაციებშიც რომ არ მიეღო მონაწილეობა, 276-ე თემრიუკის სახელობის მსროლელი დივიზია, კავკასიის ბრძოლებში მოპოვებული წარმატებებითაც სამუდამოდ დაიმკვიდრებდა ადგილს შეიარაღებული ძალების საბრძოლო ისტორიაში.

კავკასიისათვის ბრძოლების დამთავრების შემდეგ 276-ე მსროლელ დივიზიაში თანდათანობით შემცირდა ქართველების რაოდენობა. კერძოდ, 1945 წლის 1 აპრილისათვის დივიზიაში 5075 კაციდან მხოლოდ 42 ქართველი იყო, უმრავლესობას კი უკრაინელები და რუსები შეადგენდნენ.[259] მაშასადამე, 1943 წლის ბოლოდან 276-ე მსროლელი დივიზია ქართულ ეროვნულ შენაერთს აღარ წარმოადგენდა, ამიტომ მის შემდგომ საბრძოლო ოპერაციებში მონაწილეობის დახასიათება ჩვენს მიზანდასახულობის ფარგლებს სცილდება. ამის მიუხედავად, გვინდა აღვნიშნოთ, რომ კავკასიისათვის ბრძოლების შემდეგ თემრიუკის სახელობის 276-ე მსროლელი დივიზია აქტიურად მონაწილეობდა უკრაინისა და ჩეხოსლოვაკიის განთავისუფ-ლებისათვის ბრძოლებში, რისთვისაც მან ორჯერ დაიმსახურა წითელი დროშის ორდენი.

თავი IV.
ქართული ეროვნული დივიზიები საბჭოთა კავშირ-თურქეთის სასაზღვრო ზონაში.

§1. 349-ე ქართული მსროლელი დივიზიის მონაწილეობა თურქეთთან სახელმწიფო საზღვრის დაცვაში.

349-ე მსროლელი დივიზია თავიდანვე ქართულ ეროვნულ შენაერთად არ ჩამოყალიბებულა. მისი შექმნა 1941 წლის 20 აგვისტოს ჩრდილოეთ კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარებისადმი გაცემული ბრძანებით დაიწყო. აღნიშნული ბრძანების თანახმად დივიზიის შექმნა 1941 წლის 20 აგვისტოდან 20 სექტემბრამდე უნდა დამთავრებულიყო, რაც ფაქტობრივად 1941 წლის 15 დეკემბრამდე გაგრძელდა.[1]

349-ე მსროლელი დივიზიის შექმნა ჩრდილოეთ კავკასიის სამხედრო ოლქის ტერიტორიაზე ქ.ასტრახანში მომდინარეობდა. ჩამოყალიბების დაწყებიდან ვიდრე 1941 წლის 15 სექტემბრამდე შენაერთი განლაგებული იყო ქ.ასტრახანში, 15 სექტემბრიდან კი ყალმუხეთის ასს რესპუბლიკის კურორტ ტინაკიში.

1942 წლის 7 იანვრიდან 349-ე მსროლელმა დივიზიამ ფრონტის ხაზისაკენ სამხედრო გადაადგილება განახორციელა, რომლის დროსაც მძიმე დანაკლისი განიცადა, კერძოდ 2 ათასამდე მებრძოლი დაჰკარგა,

მათგან თითქმის ერთი მესამედი მოყინულთა სახით. ამავე ბრძოლებში მოწინააღმდეგემ 700 კაცი დაჰკარგა. დივიზიის მებრძოლებმა ხელთ იგდეს სხვადასხვა ყალიბის 11 ქვემეხი, დიდძალი რაოდენობის საბრძოლო მასალა, ტანსაცმლის, სურსათისა და მედიკამენტების 3 საწყობი და სხვა.[2]

1942 წლის ოქტომბრიდან, ამიერკავკასიის ფრონტის განკარგულებაში გადაცემის შემდეგ, 349-ე მსროლელი დივიზია ქართულ შენაერთად იწოდება. კერძოდ, 1942 წლის 4 ნოემბრისათვის დივიზიის პირადი შემადგენლობა ეროვნული ნიშნის მიხედვით ასე გამოიყურებოდა:

ეროვნება	მთელი პირადი შემადგენლობა		მათ შორის მეთაურთა შემადგენლობა	
	აბსოლიტური	%	აბსოლიტური	%
ქართველი	5094	66.8	136	19.4
რუსი	1325	17.2	431	47.9
უკრაინელი	386	5.1	177	19.4
სომეხი	348	4.5	48	6.1
აზერბაიჯანელი	125	1.6	7	0.9
დანარჩენი	351	4.8	102	10.6
საბოლოო ჯამში	7629	100	901	100[3]

შემდგომ ქართველთა პროცენტული რაოდენობა შენაერთში დღითიდღე იზრდებოდა. ასე მაგალითად, 1945 წლის მარტისათვის 349-ე ქართულ მსროლელ დივიზიაში ირიცხებოდა: 6457 ქართველი, 1208 რუსი, 290 უკრაინელი, 19 ბელორუსი, 253 სომეხი, 3 აზერბაიჯანელი, 11 უზბეკი, 4 თურქმენი, 19 ყაზახი, 62 ებრაელი, 3 ყაბარდო-ბალყარელი, 306 ოსი, 13 დაღესტნელი, 33 თათარი, 13 ჩუვაში, 7 მორდოველი, 3 უდმურტი, 1 მარიელი, 1 კომელი, 2 მოლდაველი, 2 ესტონელი, 5 ლიტველი, 1 პოლონელი, 2

ბერძენი და 30 სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელი, ე.ი. სულ 8748 კაცი.[4] ხოლო დივიზიის პირადი შემადგენლობა ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით ასეთ სურათს იძლეოდა: 1923-1922 წლებში დაბადებული იყო 5595, 1921-1917 წლებში – 651, 1916-1912 წლებში – 655, 1911-1907 წლებში დაბადებულები – 612, 1906-1902 წლებში დაბადებულები – 518, 1901-1897 წლებში დაბადებულები – 361, 1896 წელში და უფრო ადრე დაბადებულები 356 კაცს შეადგენდა.[5]

იმავე დროისათვის 349-ე ქართული მსროლელ დივიზიაში პირადი შემადგენლობის 8748 კაციდან 760 იყო მეთაური, 2407 უმცროსი მეთაური და 5581 რიგითი. შენაერთის განკარგულებაში იყო 855 ცხენი, შეიარაღებიდან 5980 შაშხანა, 111 დაზგის ტყვიამფრქვევი, 12 საზენიტო და მსხვილ ყალიბიანი ტყვიამფრქვევი, 12 საზენიტო და მსხვილ ყალიბიანი ტყვიამფრქვევი, 494 ხელის ტყვიამფრქვევი, 3490 შპაგინისა და დექტიარევის სისტემის პისტოლეტ-ტყვიამფრქვევები, 21 ცალი ქვემეხი, 83-82 მმ ნაღმსატყორცნი, 56-50მმ ნაღმსატყორცნი, 12-122მმ ჰაუბიცა, 32-76მმ ქვემეხი, 36-45მმიანი ქვემეხი, 185 – ტანკსაწინააღმდეგო თოფი და 104 ავტომატი.[6]

349-ე მსროლელი დივიზიის ქართულ ეროვნულ შენაერთად ჩამოყალიბების დროს მის მეთაურად დაინიშნა პოლკოვნიკი (შემდგომში გენერალ-მაიორი) ი.სილაგაძე, დივიზიის მეთაურის მოადგილედ სამწყობრო დარგში პოდპოლკოვნიკი ი.გვირგვლიანი, დივიზიის კომისრად – პოდპოლკოვნიკი ი.ურუშაძე, პოლიტგანყოფილების უფროსად – პოლკოვნიკი კ.გვალია, დივიზიის შტაბის უფროსად – პოდპოლკოვნიკი ანატოლი ვასილიევი, დივიზიის მეთაურის მოადგილედ მომარაგების დარგში –

პოდპოლკოვნიკი ბ.სანიკიძე, ადმინისტრაციულ-სამეურნეო ნაწილის უფროსად – ჭ.ტყეშელაშვილი.[7]

დაიწყო 1169-ე, 1171-ე, 1173-ე მსროლელი პოლკებისა და 603-ე საარტილერიო ბრიგადის ჩამოყალიბება. მათ მეთაურებად დაინიშნენ მაიორი ლ.ქუტიძე, პოდპოლკოვ-ნიკი ვ.გიორგობიანი, მაიორი ტ.მეძმარიაშვილი და პოდპოლკოვნიკი ა.ჩიჩუა. ჩამოყალიბდა დივიზიის შტაბი და პოლიტგანყოფილება. 1943 წლის დასაწყისში ძირითადად დამთავრდა დივიზიის ყველა ნაწილის ჩამოყალიბება. დივიზიაში საბრძოლო პოლიტიკური სწავლება და მუშაობა გაიშალა ომის ფრონტების გამოცდილების საფუძველზე, რათა შენაერთი ყოველ წუთს მზად ყოფილიყო სამშობლოს დაძახებისთანავე შებმოდა მტერს. დივიზია თავდაპირველად 45-ე არმიაში შედიოდა, ხოლო შემდგომ შეყვანილ იქნა მე-7 გვარდიული არმიის მე-19 მსროლელი კორპუსის შემადგენლობაში. სამი თვის საბრძოლო მზადების შედეგად დივიზიამ წარმატებით აითვისა პროგრამა და საინსპექტორო შემოწმების დროს შეფასდა, როგორც სავსებით ბრძოლისუნარიანი შენაერთი.[8]

დივიზიაში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა სამთო მომზადებას. თითოეული ტაქტიკური მეცადინეობა მთაგორიან ადგილებში ეწყობოდა წელიწადის ყოველ დროს. როგორც ცნობილია, მთაგორიანი ადგილები და უღელტეხილები ძალიან შეზღუდულია გზებით, გადასასვლელებით და შეუძლებელია იქ დიდი ჯგუფების მოქმედება, მით უმეტეს მათი ცენტრალიზირებული მართვა. ასეთ პირობებში ბევრი რამ დამოკიდებული იყო ცალკეული ქვეგანაყოფების (ბატარეის, დივიზიონის) მეთაურებზე, ხშირად ქვემეხის მეთაურებზე, მათ გამჭრიახობაზე, ინიციატივასა და და გაბედულებაზე. სწორედ ასეთი თვისებებით გამოირჩეოდნენ

საარტილერიო ბრიგადის მეომრები. საარტილერიო ბრიგადაში შედიოდა ორი საარტილერიო და ერთი სანაღმტყორცნო პოლკი. პოლკის მეთაურებად მუშაობდნენ მაიორი ს.თომაია, პოლკოვნიკი ა.გოცლავსკი. დივიზიის არტილერია, რომლის უფროსი იყო პოდპოლკოვნიკი ა.ჩიჩუა, ზაფხულის პერიოდში ტექნიკური მომზადების ჩასატარებლად ბანაკად გადიოდა მთების მიდამოებში, რომლებიც ზღვის დონიდან 1700 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობენ. ამ უბანში ხორციელდებოდა არმიის შტაბის მიერ დასახული ყველა უმთავრესი ღონისძიება, როგორიც არის უფროს მეთაურთა შეკრებანი, საჩვენებელი მეცადინეობები, საჩვენებელი სროლა და სხვა. საჩვენებელ მეცადინეობათა მიზანი იყო მებრძოლებს პარაქტიკულად შეესწავლათ სამხედრო ოპერაციების გამოცდილება. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა არტილერიის დაჯგუფებას, არტილერიისა და ავიაციის, არტილერიისა და ქვეითი ჯარის ურთიერთ შეთანხმებულ მოქმედებას, რათა ამით მომზა-დებულიყო ნიადაგი მოწინააღმდეგის პოზიციებზე ქვეითთა და სატანკო ჯარების შეუფერხებელი იერიშისათვის. საინსპექტორო შემოწმების დროს საარტილერიო ბრიგადის მეომრებთან ერთად თავი ისახელეს 1171-ე მსროლელი პოლკის არტილე-რისტებმა. საინსპექტორო გასინჯვაზე დივიზიის არტილერისტებმა მრავალჯერ დაიმსახურეს კარგი შეფასება და არმიის სარდლის მადლობა, ზოგიერთ არტილერისტს კი ფასიანი ჯილდოები გადაეცა.[9]

ყველა ტაქტიკური და საცეცხლე მეცადინეობა ეწყობოდა საბრძოლო პირობებთან მაქსიმალურად მიახლოებულ სიტუაციაში ამინდისა და დროის მიუხედავად.

ტაქტიკური მეცადინეობები ტარდებოდა უმეტესად მოძრავი ბანაკის მოწყობით, რაც ხშირად 4-5 დღე-ღამეს გრძელდებოდა. ასეთი მოძრავი ბანაკები ეწყობოდა მაღალმთიან, ძნელად გადასასვლელ ადგილებში.

პირადი შემადგენლობის მომზადებაში დიდი ადგილი ეთმობოდა საბრძოლო სროლას. მეცადინეობები სროლაში ეწყობოდა ათეულის, ოცეულის, ასეულისა და ბატალიონის მასშტაბით ყოველთვის უცნობ ადგილებში. ამ მეცადინეობებში სხვა სპეცქვედანაყოფებიც მონაწილეობდნენ. საბრძოლო სროლის მომზადებისა და ჩატარების დროს მეთაურთა შემადგენლობა პრაქტიკულად ეუფლებოდა ურთიერთთანამოქმედების ორგანიზაციის საკითხებს.[10]

საინსპექტორო შემოწმების დროს აღნიშნული წარმატებები ტაქტიკურ, სამთო თუ საცეცხლე მომზადებაში, განპირობებული იყო არა მარტო დივიზიაში არსებული მტკიცე მხედრული დისციპლინით, არამედ იმითაც, რომ დივიზიის სერჟანტები და ოფიცრები ძირითადად მონაწილენი იყვნენ კავკასიის დაცვისა ნალჩიკთან, მაიკოპთან, მოზდოკთან, იშჩორსკაიასთან სახელოვანი ბრძოლებისა. მათ ბრძოლებით ჰქონდათ გადალახული მდინარეები: ბაქსანი, თერგი, ყუბანი, ნალჩიკი და სხვა. პირადი შემადგენლობის მეთაურთა შორის იყვნენ ისეთებიც, რომლებიც იბრძოდნენ უკრაინის მე-4, ბელორუსიის პირველი, ლენინგრადის მე-3 და უკრაინის მე-3 ფრონტებზე, მოსკოვის მისადგომებთან, ყირიმში და სხვაგან.[11] მათი გამოცდილება სასარგებლო გავლენას ახდენდა დივიზიის პირადი შემადგენლობის საბრძოლო მომზადებაზე.

349-ე ქართულ მსროლელ დივიზიაში დიდი ყურადღება ექცეოდა მზვერავთა მომზადებას.

ამიერკავკასიის ფრონტის შტაბის 1943 წლის 10 მარტის დირექტივის და ბრძანების საფუძველზე დივიზიის ნაწილებში დაიწყო შტატგარეშე მზვერავთა ქვედანაყოფების შექმნა, რომელთა სწავლება მიმდინარეობდა შტატით გათვალისწინებულ მზვერავთა ქვედანაყოფების პროგრამით.

1943-1944 წლების განმავლობაში შტატგარეშე მზვერავთა ქვედანაყოფებმა დიდი როლი შეასრულეს მზვერავთა კადრების მომზადებაში, ისინი რეზერვს წარმოადგენდნენ შტატიან მზვერავთა ქვედანაყოფებისათვის. მათგან ხდებოდა აგრეთვე იმ სამარშო ასეულების დაკომპლექტება, რომლებიც მოქმედ არმიაში იგზავნებოდნენ. ასე, რომ შტატგარეშე მზვერავთა ქვედანაყოფებმა დროის მცირე მონაკვეთის მანძილზე სავსებით გაამართლეს თავი.[12]

სადაზვერვო საქმეში ოფიცერთა შემადგენლობის პასუხისმგებლობის ამაღლებასთან დაკავშირებით არმიის სარდალი ბრძანებდა: ა)ასეულის, ბატალიონის, პოლკისა და დივიზიის ყველა წვრთნა უზრუნველჰყოთ რეალური, უწყვეტი დაზვერვითა და მეთვალყურეობით. ბ) ოფიცერთა შემადგენლობისათვის ყოველთვიურად 2-3-ჯერ მოეწყოთ და ჩაეტარებინათ საჩვენებელი მეცადინეობები დაზვერვაში (ბრძოლით დაზვერვა, ძებნა, ჩასაფრება და მეთვალყურეობა). გ) სადაზვერვო მომზადებისათვის გათვალისწინებულ თემებზე მეცადინეობები ჩაეტარებინათ ნაწილების სადაზვერვო განყოფილების ოფიცრებისა და დივიზიის სადაზვერვო განყოფილების უფროსის უშუალო დახმარებითა და კონტროლით.

ოფიცერთა შემადგენლობასთან ყოველი თემის მეცადინეობის წინ ჩაეტარებინათ საინსტრუქტორო მეთოდური საჩვენებელი მეცადინეობები.

მეცადინეობების ჩამტარებელი ოფიცრები უზრუნველყოფილი უნდა ყოფილიყვნენ ბიბლიოთეკა – "მზვერავით".[13]

1945 წლის პირველი სამი თვის განმავლობაში სწავლების შედეგად სადაზვერვო ორგანოების ოფიცრებმა და მზვერავთა ქვედანაყოფებმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს როგორც ოპერატიულ-ტაქტიკურ ისე ტაქტიკურ–სპეციალურ მომზადებაში.

მზვერავი ოფიცრები სწავლობდნენ მოქმედი არმიის გამოცდილებას, რითაც მნიშვნელოვნად აამაღლეს საშტაბო კულტურა, ისწავლეს საბრძოლო მომზადების გეგმა და ორგანიზაცია, სრულჰყვეს მებრძოლებისა და სერჟანტების სწავლების მეთოდიკა.

მზვერავთა ქვედანაყოფების პიარდი შემადგენლობა ჩაბმულ იქნა სამთო მარშებში. მათ შესწევდათ უნარი დაბრკოლებათა გადალახვის და ტყიანი მთის რთულ პირობებში მოქმედების. მზვერავთა ქვედანაყოფებში აღმოიფხვრა ამორალური მოქმედებანი და საგანგებო შემთხვევები. არმიის მზვერავთა ქვედანაყოფები მომზადდა ბრძოლის ნებისმიერი ფორმის ამოცანათა შესასრულებლად.

საბრძოლო მომზადებაში კარგ მაჩვენებლებს მიაღწია 345-ე ცალკე მზვერავთა ასეულის მეორე ოცეულმა, 976-ე მსროლელი პოლკის ქვეით მზვერავთა ოცეულმა და სხვა, თუმცა სამეთაურო-საშტაბო წვრთნამ და რიგმა შემოწმებებმა აღნიშნულ წარმატებებთან ერთად ხარვეზებიც აჩვენა.[14]

349-ე ქართულ მსროლელ დივიზიაში, ისე როგორც სხვა შენაერთებში შექმნილი იყო რაციონალიზატორებისა და გამომგონებლობის კომისია. მიუხედავად იმისა, რომ 1945 წლის პირველ კვარტალში წითელი არმიის რაციონალიზაცია გამოსაფენად გაგზავნილი არ ყოფილა, მაინც იყო ზოგიერთი შედარებით უმნიშვნელო გამოგონება. მაგალითად, 1169-ე მსროლელ პოლკში დამზადდა კარტოფილის საფცქვნელი (საწმენდი) მანქანა, რომელიც დასკვნი-სათვის გადაეცა სპეციალისტებს.[15]

დივიზიის რაციონალიზატორებისა და გამომგონებლობის კომისიამ განიხილა ტექნიკოს-ლეიტენანტის ა.მ.ხანანოვის წინადადება სტერეომილის დამუშავებული პროექტის მიღებაზე, რომლითაც განისაზღვრებოდა მოძრავი ობიექტების მოძრაობის სიჩქარე და მანძილი, აგრეთვე საყრდენი დურბინდისათვის მხრებზე და მკერდზე. კომისიამ მისაღებად ჩათვალა ტექნიკოს-ლეიტენანტ ა.ხანანოვის გამოგონება და განსახილველად გაუგზავნა არმიის გამომგონებლობისა და რაციონალიზატორობის კომისიას.[16]

1945 წლის იანვრიდან 15 ივნისამდე პერიოდში დივიზიის 1771-ე მსროლელ პოლკში რაციონალიზატორთა მოღვაწეობა ასეთ სურათს იძლევა: 1171-ე მსროლელი პოლკის მეთაურმა, პოდპოლკოვნიკმა ლეონიდ მიხეილის ძე ქუდიძემ შპაგინის მარკის პისტოლეტ-ტყვიამფრქვევისათვის დაამზადა ორთოსკოპი, რომელიც გამოყენებულ იქნა პოლკში. მანვე ორთოსკოპები გამოიგონა შაშხანისა და ტანკსაწინააღმდეგო თოფისათვის. ლ.ქურდიძემ გამოიგონა მინიატურული პოლიგონი, რომელიც ყველა სახეობის ჯარებისათვის იყო გათვალისწინებული. მანვე გამოიგონა მინიატურული პოლიგონი მოძრავი და მსროლელი ტანკისათვის. მასვე ეკუთვნის

მინიატურული პოლიგონისათვის მორბენა-ლი და შემოსაბრუნებელი მხედრის გამოგონება.[17]

- ირაკლი მიხეილის ძე მიქელაშვილმა შპაგინის მარკის პისტოლეტ-ტყვიამფრქვევისათვის გამოიგონა დანადგარი, მანვე დაამზადა ელასტიური ხიშტი. სერჟანტმა გ.მ.ბარქაიამ დაამზადა ჭოპოსანი და ა.შ.[18]

349-ე ქართულ მსროლელ დივიზიაში მაღალ დონეზე იდგა პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა, რომელიც დიდ აღმზრდელობით გავლენას ახდენდა მებრძოლებზე. პოლიტმუშაკები კაპიტნები გრიგოლ ჭელიძე, დიმიტრი დოთიაშვილი, დაბრუნდაშვილი, უფროსი ლეიტენანტები იპოლიტე ქარქაშაძე, შალვა შველიძე და სხვები სისტემატიურად განუმარტავდნენ ჯარისკაცებსა და სერჟანტებს მათ წინაშე მდგომ ამოცანებს, უნერგავდნენ სამშობლოსადმი სიყვარულისა და თავდადების გრძნობას.[19]

- მეომართა საერთო სიყვარულით სარგებლობდა ფრონტული გაზეთი "სამშობლოს სადარაჯოზე", რომლის პირველი ნომერი 1943 წლის 1 იანვარს გამოვიდა. გაზეთს რედაქტორობდნენ ჯერ გ.სიხარულიძე, შემდეგ შ.ჭანტურია და ლ.დგებუაძე. გაზეთის რედაქციაში მუშაობდნენ მწერლები და ჟურნალისტები: იოსებ ნონეშვილი, ლავრენტი ჭიჭინაძე, ალექსანდრე შანიძე, სტეფანე მხარგრძელი, სავლე ხონელიძე, არტემ ლეჟავა, ხოლო სტამბის მუშებად – გ.ჩხეიძე, ი.ლურსმანაშვილი, შ.ჭეიშვილი, შ.მუშკუდიანი, გ.კალანდაძე.

გაზეთის აქტიურ კორესპონდენტებად ითვლებოდ-ნენ უფროსი სერჟანტი შ.მეცხოვრიშვილი, ლეიტენანტი ნ.თელია, წითელარმიელი ა.ბეშიძე, უფროსი ლეიტენან-ტი ნ.გაგუა, ზემდეგი დ.წიწავა, უფროსი ლეიტენანტი მოისწრაფიშვილი, უფროსი სერჟანტი შ.ჯოხაძე, უმცროსი

სერჟანტი ა.ბოლქვაძე, წითელარმიელები: კ.მამარდაშვილი, ჟ.ცაბაძე, ლ.სანიკიძე და სხვა.

გვარდიის უფროსი ლეიტენანტი გერმანე სიხარულიძე 1942 წლის დეკემბერში დანიშნეს 349-ე მსროლელი დივიზიის გაზეთის რედაქტორად, შემდეგ გაიწვიეს მეთაურთა გადასამზადებელ კურსებზე, რომ-ლის წარმატებით დამთავრების შემდეგ წავიდა მოქმედ არმიაში და იბრძოდა უკრაინის მე-3 ფრონტის ჯარების შემადგენლობაში ბატალიონის მეთაურის მოადგილედ.[20]

349-ე მსროლელ დივიზიაში ხშირად ჩამოდიოდნენ საქართველოს მშრომელთა დელეგაციები, რომლებიც ხვდებოდნენ მებრძოლებსა და მეთაურებს, გადასცემდნენ მათ ქართველი ხალხის საჩუქრებს. 1943 წლის თებერვალში დივიზიას თბილისიდან ესტუმრა დელეგაცია საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის მ.ჯაშის ხელმძღვანელობით. დელეგაციაში შედიოდნენ საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ.იმნაიშვილი, საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის თბილისის ფილიალის დირექტორის მოადგილე ლ. გეგეშიძე, მწერალი კ. გამსახურდია და პოეტი ს. ჩიქოვანი. დელეგაციამ მებრძოლებსა და მეთაურებს ჩაუტანა საქართველოს მშრომელთა საჩუქრები, გაეცნო დივიზიის ცხოვრებას. დივიზიას ესტუმრა აგრეთვე თბილისის თეატრების არტისტთა ბრიგადა: მ.ყვარელაშვილი, შ.გოცირიძე, ელენე სიბილა, ოლღა დოლიძე, ნ.ბახტაძე და სხვა.[21]

შენაერთში დიდ ყურადღებას უთმობდნენ სახელ-მწიფო სესხზე ხელმოწერის საკითხს. აღსანიშნავია, რომ თუ 1943 წელს სახელმწიფო სესხზე ხელმოწერილმა თანხამ

1300 ათასი მანეთი შეადგინა, 1944 წელს კი იგი 1898.675 მანეთს გაუტოლდა.

1943 წელს სახელმწიფო სესხის დასაფარავად აიკრიფა 35 ათასამდე ნაღდი ფული, ხოლო 1944 წელს დივიზიაში შეგროვებულმა თანხამ 100 ათასი მანეთი შეადგინა.[22]

349-ე ქართულ მსროლელ დივიზიაში დიდი ყურადღება ექცეოდა მებრძოლთა ფიზიკურ მომზადებას, რაც საბრძოლო-პოლიტიკური მომზადების განუყოფელი ნაწილი იყო. შენაერთის მაღალ გაწვრთნილობასა და საბრძოლო მზადყოფნას მოწმობს ისც, რომ დივიზიის მებრძოლები წარმატებით გამოდიოდნენ არმიისა და ფრონტის სპარტაკიადებზე.

1944 წლის აგვისტოში ერევანში ჩატარდა არმიის სპარტაკიადა, რომელზეც დივიზიის წარგზავნილები სპორტის 14 სახეობაში გამოვიდნენ. ამ სპარტაკიადაში გამარჯვებულთათვის დაწესებული იყო: სომხეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გარდამავალი წითელი დროშა საერთო პირველი ადგილისათვის, ლენინაკანის საქალაქო საბჭოს აღმასკომის გარდამავალი დროშა მსროლელი ოცეულის მრავალჭიდში გამარჯვებისათვის, ექვსი ვიმპელი, ამდენივე თასი სპორტის სახეებში პირველი ადგილისათვის. 349-ე ქართული მსროლელი დივიზიის სპორტსმენებმა პირველი ადგილი დაიკავეს და ორი გარდამავალი დროშა, ხუთი თასი და ექვსი ვიმპელი დაისაკუთრეს. სპარტაკიადის დახურვის წინ გაიმართა საჩვენებელი გამოსვლები სპორტის სხვადასხვა სახეობაში. დივიზიის ფეხბურთელთა გუნდი შეხვდა ერევნის "დინამოს" და გაიმარჯვა ანგარიშით 3:1. ამის შემდეგ მოეწყო პირადი ჯილდოების გადაცემა, რომელსაც ესწრებოდნენ ამიერკავკასიის ფრონტის ჯარების სარდალი, არმიის გენერალი ი.ტიულენევი, სამხედრო საბჭოს წევრი,

გენერალი პ.ეფიმოვი, სპორტკომიტეტის თავმჯდომარე პოლკოვნიკი ა.იოსავა.

იმავე წლის შემოდგომაზე და 1945 წლის ზაფხულ-ში დივიზია ორჯერ მონაწილეობდა ამიერკავკასიის ფრონტის ჯარების სპარტაკიადაზე თბილისში და ორჯერვე მეორე ადგილი დაიკავა.[23]

მოწოდების სიმაღლეზე იდგა დივიზიის სამედი-ცინო-სანიტარული სამსახური. დივიზიის უფროს ექიმად მუშაობდა სამედიცინო სამსახურის მაიორი ვ. ელიაშვილი, სამედიცინო-სანიტარული ბატალიონის მეთაურად – სამედიცინო სამსახურის მაიორი ა.თარაშვილი. მოადგილეებად პოლიტდარგში – კაპიტნები შ.გოგოლაძე და მ.ცინცქალაძე. ბატალიონში მუშაობდნენ ექიმები ა.ბერიძე, ბ.მგელაძე, შ.დარჯანია, ი.კენჭაძე, მ.ფირცხა-ლაიშვილი, ასია მარუტოვა, მ.ცეცხლაძე, ზ.ზამბახიძე, გ.ბენდელიანი, გ.ღამბაშიძე, გ.დოლიძე, მედიცინის დები: ა.ჩეტვერიკოვა, გობეჩია, საფარიანი, დემჩენკო, მებრძოლთა სიყვარული დაიმსახურეს სანინსტრუქტორებმა მ.ჯანელიძემ და სანიტარმა მამადაშვილმა.[24]

როგორც ვხედავთ, 349-ე ქართული მსროლელი დივიზია უშუალოდ არ მონაწილეობდა ბრძოლებში დიდი სამამულო ომის ფრონტებზე, მაგრამ იგი ასრულებდა დიდმნიშვნელოვან საბრძოლო დავალებას და სხვა შენაერთებთან ერთად იცავდა ქვეყნის სამხრეთ საზღვარს... ამასთან ერთად დივიზია ამზადებდა შევსებას ფრონტისათვის. ამიერკავკასიის ფრონტის ნაწილები, რომლებიც ქვეყნის სამხრეთ საზღვრებს იცავდნენ ითვლებოდნენ მოქმედი არმიის შემადგენლობაში, რადგან მეტად პასუხსაგებ დავალებას ასრულებდნენ.[25] დივიზიის მეომრები ყოველ წუთს მზად იყვნენ მონაწილეობა მიეღოთ მტრის წინააღმდეგ ბრძოლებში, მაგრამ დივიზია ფრიად

საპასუხისმგებლო სამხედრო-სტრატეგიულ ამოცანას ასრულებდა ომის მთელ პერიოდის განმავლობაში.

1946 წელს 349-ე ქართული მსროლელი დივიზია დაიშალა.

§ 2. 296-ე ქართული მსროლელი დივიზიის სამსახური სამხრეთის საზღვარზე.

სანამ უშუალოდ შევეხებოდეთ 296-ე ქართული მსროლელი დივიზიის შექმნასა და მის საბრძოლო გზას საბჭოთა კავშირის დიდ სამამულო ომში, საჭიროდ მიმაჩნია ხაზგასმით აღვნიშნო, რომ დღემდე ქართულ ისტორიოგრაფიაში ამ დივიზიის შესახებ არსებობს სამხედრო-მემუარული ხასიათის მხოლოდ ერთი სტატია, რომელიც გადამდგარ პოლკოვნიკ ი.სირაძეს ეკუთვნის,[26] ამიტომ დღემდე უცნობი იყო 296-ე დივიზიის რამდენი ფორმირება არსებობდა, რომელი იყო მათგან ქართული, რომელი ფორმირება როდის შეიქმნა და ბოლოს სად იყო ჩვენთვის საინტერესო ფორმირება, სად იყო დისლოცირებული და როგორ იყო მისი საბრძოლო გზა.

სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს ცენტრალურ არქივში მუშაობისას 296-ე მსროლელი დივიზიის ფონდების დაწვრილებით გაცნობა – შესწავლამ ცხადი გახადა, რომ 296-ე მსროლელი დივიზია პირველად შეიქმნა 1941 წლის ივლისში ქ.გენიჩესკში (უკრაინის სსრ, ოდესის სამხედრო ოლქი) 13249 კაცის რაოდენობით.[27] დივიზია მონაწილეობდა უკრაინისათვის გაჩაღებულ მძიმე ბრძოლებში, რომლის პირადი შემადგენლობა ძირითადად დაკომპლექტებული იყო უკრაინელებითა და რუსებით და მას არავითარი საერთო არ ჰქონია საქართველოსთან და ქართველებთან. პირადი შემადგენლობის სიების გაცნობამ

შესაძლებლობა მომცა დამეზუსტებიდან, რომ მის შემადგენლობაში მხოლოდ ოთხი ქართველი მებრძოლი ირიცხებოდა. ესენი იყვნენ: კ.კაკაურიძე, ლ.მაღრაძე, ი.ჩაჩავა და კ.წიკლაური. ამ უკანასკნელს 10 წლის პატიმრობა ჰქონდა, რომელიც ფრონტზე გაგზავნითა და ბრძოლით შეიძლებოდა გამოესყიდა.

რაც შეეხება 296-ე მსროლელი დივიზიის მეორე ფორმირებას, მასზე დაწვრილებით მოგვიწევს საუბარი.

ამიერკავკასიის ფრონტის ჯარებისადმი 1943 წლის 10 ივლისს ბრძანების საფუძველზე მსროლელთა პირველი სათადარიგო პოლკის ბაზაზე შეიქმნა 296-ე მსროლელი დივიზია.

დივიზიის შექმნა დაიწყო 1943 წლის 13 ივლისს და იმავე წლის 10 აგვისტომდე გაგრძელდა. შენაერთის დაკომპლექტება მოხდა სამხედრო დროისათვის გათვალისწინებულ შტატებით. დივიზიის დისლოკაციის ადგილს ქ.ქუთაისი წარმოადგენდა.[28]

შენაერთის პირადი შემადგენლობის 85% მოსული იყო სათადარიგო ნაწილებიდან. მათ გავლილი ჰქონდათ საბრძოლო მომზადებაში პროგრამა. რიგითთა შემადგენლობის დანარჩენი 15% საბრძოლო მომზადებაში სწავლაგაუვლელი წვევამდელები იყვნენ, რომლებიც საქართველოს სამხედრო კომისარიატების გაწვევით იყვნენ მიღებული.

სერჟანტთა შემადგენლობას საბრძოლო სწავლების კურსი ძირითადად გავლილი ჰქონდა სათადარიგო პოლკების ბატალიონებში.

ოფიცერთა შემადგენლობით დივიზია ძირითადად დაკომპლექტდა პირველი და 38-ე სათადარიგო პოლკებიდან, აგრეთვე ამიერკავკასიის ფრონტის კადრების განყოფილებიდან. ოფიცერთა ნაწილს გავლილი ჰქონდა

ამიერკავკასიის ფრონტთან არსებული “ვისტრელის” კურსის ფილიალი.[29]

296-ე ქართული მსროლელი დივიზიის შემადგენლობაში ირიცხებოდა: 966-ე, 964-ე და 962-ე მსროლელი პოლკები, 813-ე საარტილერიო პოლკი, 546-ე ცალკე მესანგრეთა ბატალიონი, 1468 – ცალკე მეკავშირეთა ასეული, 341-ე მზვერავთა ცალკე ასეული, 297-ე ქიმიური დაცვის ასეული, 410-ე ავტოასეული, 322-ე ცალკე ტანკსაწინააღმდეგო დივიზიონი, ცალკე სამოსწავლო ასეული, ცალკე საზენიტო მეტყვიამ-ფრქვევეთა ასეული, 335-ე ცალკე სამედიცინო-სანიტარული ბატალიონი, 741-ე ვეტლაზარეთი, 8333-ე სამხედრო-საფოსტო სადგური, სახბანკის 846-ე საველე სალარო და კონტრდაზვერვის განყოფილება.[30]

296-ე ქართულ მსროლელ დივიზიას მეთაურობდა პოდპოლკოვნიკი (შემდგომში გენერალ-მაიორი) ვლადიმერ ხუბულური.

დივიზიის მეთაურის მოადგილედ სამწყობრო დარგში დაინიშნა პოდპოლკოვნიკი კ.მამარდაშვილი, პოლიტგანყოფილების უფროსად – პოლკოვნიკი შ.ჟვანია, დივიზიის შტაბის უფროსად პოლკოვნიკი ბ.ლაროში, დივიზიის მეთაურის მოადგილედ მომარაგების დარგში პოლკოვნიკი დ.იოსავა, ხოლო დივიზიის უფროსი ექიმის თანამდებობაზე – პოლკოვნიკი გედენიძე.[31]

962-ე მსროლელ პოლკს მეთაურობდა პოლკოვნიკი ნ.ხაჩიძე, მისი მოადგილე სამწყობრო დარგში – ლ.ჩხარტიშვილი. პოლკში ასეულებს მეთაურობდნენ კაპიტნები გ.გიკაშვილი, ს.ჩხარტიშვილი, ნ.ნოზაძე, პოლკის უფროსი ექიმი იყო სამედიცინო სამსახურის კაპიტანი პ.საყვარელიძე.

964-ე მსროლელი პოლკის მეთაურად დაინიშნა პოდპოლკოვნიკი ი.სირაძე, მის მოადგილედ სამწყობრო დარგში – კაპიტანი პ.საყვარელიძე.

964-ე მსროლელი პოლკის მეთაურად დაინიშნა პოდპოლკოვნიკი ი.სირაძე, მის მოადგილედ სამწყობრო დარგში – კაპიტანი ბ.ჩაჩიბაია. ამ პოლკში ერთ-ერთ ასეულს მეთაურობდა კაპიტანი ვ.მუსერიძე(თუ მურუსიძე?) (შემდგომში გენერალ-მაიორი, საქართველოს სამხედრო კომისარი).

966-ე პოლკის მეთაურად დაინიშნა მაიორი ი.კაციტაძე. მისი მოადგილე პოლიტდარგში იყო მაიორი გ.თხელიძე, სამწყობრო დარგში – მაიორი ჭინჭარაძე, პოლკის უფროსი ექიმი – ვ.გაწერელია.

813-ე საარტილერიო პოლკის მეთაურად დაინიშნა პოდპოლკოვნიკი, საბჭოთა კავშირის გმირი ა.პირმისაშვილი, საჰაუბიცო პოლკის მეთაურად – პოდპოლკოვნიკი ს.ჭიპაშვილი.

დივიზიის ცალკე ტანკსაწინააღმდეგო დივიზიონს მეთაურობდა გვარდიის მაიორი გ.კნიაზევი – ეროვნებით ჩერქეზი.

ცალკე მესანგრეთა ბატალიონის მეთაური იყო კაპიტანი ვ.ცხვირაშვილი. ცალკე სამოსწავლო ასეულის მეთაურად დაინიშნა პირველი რანგის ტექნიკოს-ინტენდანტი ს.ბაჯიევი, ქიმიური თავდაცვის მეთაურად – უფროსი ლეიტენანტი ნ.ვასილევსკი, ცალკე მეკავშირე-თა ასეულის მეთაურად – უფროსი ლეიტენანტი ნ.ლაზარენკო.

მზვერავთა ცალკე ასეულის მეთაური იყო უფროსი ტექნიკოს-ლეიტენანტი ლ.ელიავა, 410-ე ცალკე ავტოასეულის მეთაურად კაპიტანი მ.კოსტინი, 335-ე ცალკე სამედიცინო-სანიტარული ბატალიონის მეთაურად – სამედიცინო სამსახურის კაპიტანი ბ.კუბლაშვილი, ხოლო

ექიმად – უფროსი ლეიტენანტი ნინო ჩოჩიევი. 741-ე ვეტერინალური ლაზარეთის უფროსად – ვეტსამსახურის კაპიტანი ა.ეფიმოვი. დივიზიის მებრძოლთა ფიზიკური მომზადების საქმეს ხელმძღვანელობდა კაპიტანი თ.ლორთქიფანიძე.

მეორე მსოფლიო ომის მონაწილე იყო დივიზიის სერჟანტთა შემადგენლობის 11%, ხოლო მთელი პირადი შემადგენლობიდან – 33 %.[32]

1944 წლის 1 იანვრისათვის 296-ე ქართულ მსროლელ დივიზიაში ითვლებოდა 8041 კაცი, მათ შორის ქართველი იყო 4436, რუსი – 703, უკრაინელი – 257, სომეხი – 248, აზერბაიჯანელი – 115, ებრაელი 53, ოსი – 149, ბელორუსი – 19, თათარი – 19, დაღესტნელი – 13, მორდოველი – 3, ყალმუხი – 3, მოლდოველი – 2, ესტონელი – 2, პოლონელი – 2, ყაზახი – 6, თურქმენი – 2, ბერძენი – 1, კომელი – 1, მარიელი – 1, ჩეჩენ-ინგუში – 1, ჩუვაში – 2, სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელი – 22.[33]

ამავე პერიოდისათვის დივიზიის პირადი შემადგენლობა ასაკობრივი ნიშნის მიხედვით ასე გამოიყურებოდა: 1922-1923 წლებში 1916-1912 წლებში დაბადებულები – 716, 1911-1907 წლებში დაბადებულები 565, 1906-1902 წელში დაბადებულები – 410, 1901-1897 წლებში დაბადებულები – 239, 1896 წლებში დაბადებულები და მათზე უფროსები – 35.[34]

1944 წლის 15 ნოემბრისათვის დივიზიის ეროვნული შემადგენლობა ასეთ სურათს იძლევა:

ეროვნების დასახელება	საერთო რიცხვში			
	ოფიცერი	სერჟანტი	რიგითი	სულ
ქართველი	71.0	77.7	87.2	83.3
რუსი	15.0	10.0	5.0	7.1
უკრაინელი	7.0	5.0	1.9	3.1

აზერბაიჯანელი	0.02	0.3	0.4	0.4
სომეხი	3.0	3.0	2.5	2.8
სხვადასხვა	4.0	4.0	3.0	3.3
ეროვნების სულ	100.0	100.0	100.0	100.0[35]

აღსანიშნავია, რომ ამავე პერიოდისათვის 296-ე ქართული მსროლელი დივიზია საბრძოლო იარაღით მთლიანად იყო დაკომპლექტებული.[36]

დივიზიის ფორმირებამ დიდი მხარდაჭერა გამოიწვია მის ნაწილებსა და ქვედანაყოფებში. დივიზიის პირადი შემადგენლობა დაუყოვნებლიდ შეუდგა წვრთნას და მებრძოლები ენერგიულად ეუფლებოდნენ სამხედრო საქმეს. მათ იცოდნენ, რომ საბჭოთა არმიას ყველა ფრონტზე სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლები ჰქონდა გაჩაღებული გერმანელ-ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ. დივიზიის მებრძოლები გამსჭვალულნი იყვნენ მხოლოდ ერთი მიზნით – რაც შეიძლება უმოკლეს დროში დაუფლებოდნენ იარაღს, გამხდარიყვნენ თავიანთი საქმის ოსტატები, რათა მალე უშუალოდ ჩაბმულიყვნენ ბრძოლაში მტრის წინააღმდეგ. სასწრაფო წესით მოაწყეს სასროლი მოედნები და პოლიგონები. ნაწილები და ქვედანაყოფები დღე და ღამ ველად იყვნენ გასული და შეუსვენებლივ გადიოდნენ წვრთნას. ტაქტიკური მეცადინეობები ტარდებოდა ომის პირობებთან მაქსიმალური მიახლოებით. მეომრებს წვრთნიდნენ დიდი სამამულო ომის მონაწილენი – გამოცდილი სერჟანტები და ოფიცრები. მთელი აღჭურვილობით სხვადასხვა სახეობის იარაღით წარმოებდა ხანგრძლივი საველე ლაშქრობები და სასროლო მზადება. ყველა პოლკში მოაწყეს საველე ქალაქები დაბრკოლებებით და სასროლო პოლიგონებით. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა

ტანკსაწინააღმდეგო იარაღის ზედმიწევნით შესწავლასა და ტანკებთან ბრძოლის ხერხების დაუფლებას. ამ მიზნით საწვრთნელი მეცადინეობებისათვის დაამზადეს საკმაო რაოდენობის ნატურალური მაკეტები, რომლებზეც აღნიშნული იყო ადვილად დასაზიანებელი ადგილები.[37]

დივიზიის სარდლობამ ნაწილებსა და ქვედანაყოფებში დისციპლინის განმტკიცების მიზნით ჩაატარა სპეციალური ღონისძიებები – მოეწყო უმცროს მეთაურთა შეკრება-კურსები. ჩატარდა ასეულის მეთაურთა სამდღიანი და ცხენოსანთა და მზვერავთა ათდღიანი შეკრება-მეცადინეობები.

აღნიშნულ შეკრებებს უმთავრესად ატარებდნენ ომის მონაწილე სერჟანტები და ოფიცრები, რომლებიც მტერთან ბრძოლაში მიღებულ გამოცდილებას უზიარებდნენ მებრძოლებს, განუმარტავდნენ ყველა სახეობის იარაღით ზუსტი სროლის ხერხებსა და პირადი მაგალითით ამხნევებდნენ მათ.

დივიზიის მებრძოლებსა და სერჟანტებს შორის უნდა აღინიშნოს 964-ე მსროლელი პოლკის სერჟანტი, დიდი სამამულო ომის მონაწილე, ოთხი ორდენის კავალერი, კომუნისტი ს.ბელთაძე, რომელიც მეტად საინტერესო საუბრებს უტარებდა მებრძოლებს ტექნიკურ და სამწყობრო მომზადებაში. იგი განსაკუთრებით კარგად იყო დაუფლებული ხიშტით კვეთებასა და ხელდახელ ბრძოლას. იგი ძალასა და ენერგიას არ ზოგავდა, რათა ყველა მებრძოლი გაწაფულიყო ამ მეტად საჭირო და ომის დროს ხშირად აუცილებელ საქმეში.

ასეთივე გულისყურით ეკიდებოდა თავის საქმეს 966-ე მსროლელი პოლკის სერჟანტი, წითელი ვარსკვლავის ორდენის კავალერი ნ.ბერიძე, რომელიც ფრონტზე

მიღებულ გამოცდილებას ახლად მიღებულ მებრძოლებს უზიარებდა.

სანიმუშო საბრძოლო-პოლიტიკურ მომზადებას უჩვენებდნენ 962-ე მსროლელი პოლკის მებრძოლები: მამრიკიშვილი და ხრიკული. დიდი ენთუზიაზმით ეუფლებოდნენ ბრძოლის ხერხებს აკ.მეშველიანი, ალ.კაჭახიძე, გ.მანაგაძე და სხვა, რომელთა ათეული დივიზიის სარდლობამ ბრძანებით გამოაცხადა მოწინავედ.[38]

296-ე მსროლელი დივიზიის საბოლოო ფორმირებამდე პირადი შემადგენლობის საბრძოლო მომზადებაში სწავლება მიმდინარეობდა მსროლელი პოლკისათვის გათვალისწინებული სამთვიანი პროგ-რამით. ამიერკავკასიის ფრონტის ინსპექციის მიერ ჩატარებულმა სამთვიანი მომზადების შემოწმებამ საბრძოლო მომზადებაში გვიჩვენა, რომ დივიზიის ქვედანაყოფებმა სავსებით დამაკმაყოფილებელი მომ-ზადება გამოავლინეს. საბრძოლო მომზადებაში ყველაზე საუკეთესო მაჩვენებლები 962-ე მსროლელ პოლკს (მეთაური პოდპოლკოვნიკი ნ.ხაჩიძე) აღმოჩნდა.

1943 წლის 15 ნოემბრიდან 1944 წლის 15 მაისამდე შენაერთის ნაწილები ამიერკავკასიის ფრონტის მიერ დამტკიცებული და ზამთრის პერიოდისათვის განკუთვნილი პროგრამით მეცადინეობდნენ. 1944 წლის 1 მაისიდან 5 მაისამდე საბრძოლო მომზადების განყოფილების მიერ მიმდინარეობდა დივიზიის ქვედანაყოფების შემოწმება, რომლის დროსაც საუკეთესო შედეგები აღმოაჩნდა 964-ე მსროლელ პოლკს (მეთაური პოდპოლკოვნიკი ი.სირაძე).

1944 წლის 15 მაისიდან დივიზიის ნაწილები ამიერკავკასიის ფრონტის შტაბის ბრძანებისა და მასზე

დართული პროგრამის შესაბამისად ზაფხულის პერიოდისათვის გათვალისწინებულ საბრძოლო მომზადებაში მეცადინეობას გადიოდნენ მე-12 მსროლელი კორპუსის შტაბის ხელმძღვანელობით. შემოწმებამ აჩვენა, რომ დივიზიის ნაწილები, დივიზიის პოლკებისა და ბატალიონების შტაბები კარგად იყვნენ მომზადებული. შემოწმებამ დადებით მხარეებთან ერთად ზოგიერთი ნაკლიც გამოავლინა. კერძოდ, ოპერატი-ულად არ მუშავდებოდა დოკუმენტაცია, სუსტად იყო დამუშავებული ურთიერ-თმოქმედება და ა.შ.[39]

ამ პრიოდისათვის დივიზიისა და ნაწილების ხელმძღვანელთა შემადგენლობაში გარკვეული ცვლი-ლებები მოხდა. კერძოდ, 1944 წლის 24 მარტს დივიზიის მეთაურის მოადგილე პოლკოვნიკი კ.მამარდაშვილი 406-ე ქართულ მსროლელ დივიზიაში გადაიყვანეს. დივიზიის მეთაურის მოადგილედ სამწყობრო დარგში დანიშნეს პოდპოლკოვნიკი ი.სირაძე, რომელიც 964-ე მსროლელ პოლკს მეთაურობდა.

1943 წლის 10 სექტემბერს ამერკავკასიის ფრონტის კადრების განყოფილებამ გაიწვია დივიზიის ოპერატიული განყოფილების უფროსი პოდპოლკოვნიკი ნაზაროვი. ამ თანამდებობაზე პოდპოლკოვნიკი ნიკურაძე დაინიშნა, რომელიც 1944 წლის 10 მარტს ამიერკავკასიის ფრონტის კადრების განყოფილებამ გაიწვია. ამ თანამდებობაზე იგი ჯერ 1944 წლის 29 ივლისამდე მაიორმა ლუკიანივმა, ხოლო შემდეგ მე-12 მსროლელი კორპუსის ოპერატიული განყოფილების უფროსის თანაშემწემ მაიორმა ლისოვმა შეცვალა.[40]

1944 წლის 19 აპრილს 962-ე მსროლელი პოლკის მეთაურის მოადგილე მაიორი ნ.შავიანიძე ამიერკავკასიის ფრონტის კადრების განკარგულებაში გაიგზავნა, ამ

თანამდებობაზე კი კაპიტანი ა.წილოსანი დანიშნეს. პოლკის შტაბის უფროსის თანამდებობაზე მაიორ მასლოვის ნაცვლად დანიშნეს მაიორი ა.გაგუა.

964-ე მსროლელი პოლკის მეთაურის თანამდებობაზე პოდპოლკოვნიკ ი.სიარაძის ნაცვლად პოდპოლკოვნიკი ჭ.ნადირაძე დაინიშნა.

1944 წლის 1 მარტს პოლკის მეთაურის მოადგილე პოლიტდარგში კაპიტანი ვ.ჩაჩიბაია ამიერკავკასიის ფრონტის პოლიტსამმართველომ გაიწვია, მის მაგივრად კი კაპიტანი გ.გორსესანოვი დაინიშნა.

სამწყობრო დარგში პოლკის მეთაურის მოადგილის თანამდებობაზე მაიორ შ.თელიას ნაცვლად მაიორი ტ.ჯაში დაინიშნა.

1944 წლის 28 მარტს 966-ე მსროლელი პოლკის მეთაურის მოადგილე პოლიტნაწილში მაიორი ლ.მეზურნოვი ამიერკავკასიის ფრონტის კადრების განყოფილებამ გაიწვია, ხოლო მის ნაცვლად კაპიტანი გ.თხენიძე დაინიშნა.

813-ე საარტილერიო პოლკში პოდპოლკოვნიკ ი.შპოტის ნაცვლად პოლკის მეთაურის თანამდებობაზე 1944 წლის 14 მარტს დაინიშნა პოდპოლკოვნიკი ე.ბელიხოძე.[41]

დივიზიის ცხოვრებაში ერთ-ერთი დიდმნიშ-ვნელოვანი მოვლენა იყო ნაწილებისათვის წითელი დროშების გადაცემა. ამიერკავკასიის ფრონტის სარდლის 1944 წლის 9 თებერვლის დირექტივით მე-12 კორპუსის მეთაურმა გენერალ მაიორმა გ.ყუფარაძემ პოლკებს წითელი დროშები და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელები გადასცა.

966-ე მსროლელ პოლკს, 813-ე საარტილერიო პოლკსა და 322-ე ცალკე ტანკსაწინააღმდეგო გამანადგურებელ

დივიზიონს 1944 წლის 23 თებერვალს გადაეცა წითელი დროშები, 962-ე მსროლელ პოლკს – 14 მარტს, ხოლო 964-ე მსროლელ პოლკს – 15 მარტს.[42]

დივიზიის ნაწილებსა და ქვედანაყოფებში ჩატარდა ახსნა-განმარტება იმის შესახებ, თუ რა ევალებოდა ნაწილს, რომელსაც დროშა გადაეცა. საბრძოლო წითელი დროშის გადაცემასთან დაკავშირებით დივიზიის მთელმა პირადმა შემადგენლობამ საზეიმო ვითარებაში მიიღო სამხედრო ფიცი (დივიზიის პირადი შემადგენლობის ძირითად ბირთვს სამხედრო ფიცი მიღებული ჰქონდა ჯერ კიდევ 1943 წლის 22 აგვისტოს) – სახელოვნად ეტარებინათ დროშის ღირსება, დაეცვათ მისი სიწმინდე, პირნათლად შეესრულებინათ ყველა საბრძოლო დავალება სამშობლოს წინაშე.

საზეიმო წუთების დროს ჩამოვარდნილი სიჩუმე, შეიარაღებულ მებრძოლთა საპატიო ყარაულში ყოფნა, ნაწილის უფროსის მიერ დროშის ამბორი და ქვემეხების სალუტი ჟრუანტელს ჰგვრიდა მთელი ნაწილის პირად შემადგენლობას.

წითელი დროშის მიღებამ უფრო მეტად გაამხნევა დივიზიის მეომრები. ისინი გაათკეცებული ენერგიითა და მონდომებით ეუფლებოდნენ საბრძოლო ოსტატობასა და შედეგიც წარმატებული იყო, რაც ნათლად დადასტურდა ამიერკავკასიის ფრონტის სარდლობის მიერ საინსპექტორო შემოწმების დროს.[43]

1944 წლის აგვისტოს ბოლოსა და სექტემბრის პირველ ნახევარში ამიერკავკასიის ფრონტის შტაბისა და მე-12 მსროლელი კორპუსის შტაბის მიერ ჩატარებულმა საბრძოლო მომზადების მსვლელობის ერთობლივი შემოწმების შედეგად ცნობილი გახდა, რომ 296-ე ქართულმა მსროლელმა დივიზიამ კარგი შედეგი აჩვენა.

საუკეთესო მაჩვენებლებით გამოირჩეოდნენ: 962-ე მსროლელი პოლკი (მეთაური პოდპოლკოვნიკი ნ.ხაჩიძე, შტაბის უფროსი მაიორი გაგუა), 964-ე მსროლელი პოლკი (მეთაური პოდპოლკოვნიკი ჭ.ნადირაძე, შტაბის უფროსი კაპიტანი ივანოვი) და 322-ე ცალკე ტანკსაწინააღმდეგო გამანადგურებელი დივიზიონი (მეთაური მაიორი კლიმენკო, შტაბის უფროსი კაპიტანი ივანოვი) და 322-ე ცალკე ტანკსაწინააღმდეგო გამანადგურებელი დივიზიონი (მეთაური მაიორი კლიმენკო, შტაბის უფროსი გვარდიის კაპიტანი მელნიკოვი).[44]

1944 წელს ამიერკავკასიის ფრონტის სარდლობამ ჩაატარა დივიზიის საარტილერიო პოლკების შემოწმება საბრძოლო სროლაში. სროლები წარმოებდა საბრძოლო ვითარებასთან მაქსიმალურად მიახლოებულ პირობებში, დახურული პოზიციებიდან. ამ საინსპექტორო გასინჯვით დივიზიის საარტილერიო პოლკებმა "საუკეთესო" შეფასება დაიმსახურეს. ბევრი ჯარისკაცი, სერჟანტი და ოფიცერი ფასიანი საჩუქრით დაჯილდოვდა.

1944 წლის თებერვალში საქართველოს მთაგორიან ადგილებში სსრკ თავდაცვის სამინისტროს ინსპექციამ ჩაატარა საბრძოლო სროლა თემაზე: "მსროლელი პოლკი არტილერიის მხარდაჭერით აწარმოებს მტრის გამაგრებული პოზიციის გარღვევას." მსროლელმა პოლკებმა გამოცდა ჩააბარეს და მიიღეს შეფასება "საუკეთესო".

1944 წელს ამიერკავკასიის ფრონტის სარდლობის მიერ ჩატარდა ორმხრივი ტაქტიკური მეცადინეობა – "მსროლელი პოლკი მოგერიებაში". მოგერიებით ბრძოლას 964-ე მსროლელი პოლკი აწარმოებდა.

იმავე წლის ოქტომბერში ინსპექციამ ჩაატარა მეცადინეობა – "გაძლიერებული პოლკის შეტევითი ბრძოლა." ეს მეცადინეობებიც "კარგზე" შეფასდა.

1945 წლის აპრილში ამიერკავკასიის ფრონტის შტაბმა მოაწყო საინსპექტორო საშტაბო ტაქტიკური მეცადინეობა 296-ე დივიზიის შტაბისა და პოლკების შტაბების მონაწილეობით. შტაბების მომზადება შეფასდა "კარგზე". ფრონტის სარდლობამ სცნო, რომ დივიზიის, პოლკებისა და ბატალიონების შტაბები სრულ მზადყოფნაში იყვნენ საბრძოლო მოქმედებისათვის.

1945 წელს ფრონტის საარტილერიო საინსპექტორო სროლებში 296-ე ქართული მსროლელი დივიზიის საარტელერიო ნაწილებმა პირველი ადგილი დაიკავეს. სროლები მიმდინარეობდა რთულ პირობებში, დახურული და ნახევრად დახურული პოზიციებიდან.

დივიზიამ თავისი საბრძოლო-პოლიტიკური მომ-ზადება უჩვენა აგრეთვე ამიერკავკასიის მასშტაბით მე-19 და მე-20 სპარტაკიადებზე ოცეულების შეჯიბრებაში. ოცეულმა, რომელსაც ლეიტენენტი კამკამიძე მეთაურობ-და, პირველი ადგილი დაიკავა.

296-ე ქართული მსროლელი დივიზია ორივეჯერ დაჯილდოვდა ამიერკავკასიის ფრონტის სამხედრო საბჭოს სიგელებით, გარდამავალი წითელი დროშით და ფასიანი საჩუქრებით.[45]

დივიზიის ნაწილებისა და ქვედანაყოფების საბრძოლო მომზადებაში მიღწეული წარმატებები ბევრად იყო დამოკიდებული შტაბების მუშაობაზე. დივიზიის შტაბი დაკომპლექტებულ და ერთ მთლიან საბრძოლო ორგანიზმად შეკრულს წარმოადგენდა, რომელიც ნაწილების საბრძოლო მომზადებას ხელმღვანელობდა. შტაბი გეგმავდა და ამასთანავე აკონტროლებდა საბრძოლო

მომზადებას. 1944 წლის ივლისში დივიზიის შტაბმა ჩაატარა წვრთნა პოლკების შტაბებთან კავშირგაბმულობის საშუალებებით, რომელმაც კარგი შედეგები აჩვენა. 1945 წლის თაბერვალში გასვლითი წვრთნის დროს დივიზიის შტაბმა ამიერკავკასიის ფრონტის შტაბისაგან ღირსეულად დაიმსახურა "კარგი" შეფასება.

პოლკების შტაბები მთლიანად დაკომპლექტებული იყო და მომზადებული ქვედანაყოფების საბრძოლო მოქმედების მართვისათვის. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩეოდა 964-ე მსროლელი პოლკის შტაბი, სადაც უფროსად კაპიტანი ივანოვი იყო.[46]

ბატალიონების შტაბები საბრძოლო მომზადებათა მართვისა და ორგანიზაციის თვალსაზრისით სუსტად იყვნენ მომზადებული, რაშიც მას დივიზიის შტაბი ქმედით დახმარებას უწევდა.

შენაერთში სათანადო ყურადღება ექცეოდა ოფიცერთა მომზადებას. მათთან ტარდებოდა ჯგუფური მეცადინეობები, ინდივიდუალური და დამოუკიდებელი სამუშაობის მეთოდებით ვარჯიშობდნენ რუკებზე და ა.შ.

დივიზიაში სათანადო დონეზე იდგა სამხედრო-სპორტული მუშაობა. დივიზიის შიგნით ხშირად ტარდებოდა სხვადასხვა შეჯიბრებები, რომლებიც კარგ შედეგს იძლეოდა.

კორპუსის მასშტაბით ჩატარებულ სპარტაკიადაზე 296-ე ქართული მსროლელი დივიზიის ჯგუფებმა პირველი ადგილი დაიკავეს. აღსანიშნავია, რომ მათ ისევე პირველი ადგილი ხვდათ ამიერკავკასიის ფრონტის მე-19 სპარტაკიადაზე, რისთვისაც ფრონტის სამხედრო საბჭოსაგან გარდამავალი პრიზი – წითელი დროშა დაიმსახურეს.[47]

296-ე მსროლელი დივიზიის ნაწილების განლაგება ასეთი იყო: დივიზიის შტაბი, 813-ე საარტილერიო პოლკი, 966-ე მსროლელი პოლკი, 322-ე ცალკე ტაკსაწინააღმდეგო გამანადგურებელი დივიზიონი, მეკავშირეთა ცალკე ასეული, ცალკე მზვერავთა ასეული, ცალკე ქიმიური დაცვის ასეული და ცალკე სამედიცინო სანიტარული ბატალიონი განლაგებული იყო ქუთაისში, 964-ე მსროლელი პოლკი იდგა თბილისში, 962-ე მსროლელი პოლკი სურამში, ხოლო 546-ე ცალკე მეკავშირეთა ბატალიონი-ხაშურში.[48]

ჯერ კიდევ 1943 წლის 25 მაისს ამიერკავკასიის ფრონტის შტაბმა გამოსცა დირექტივა ნაწილებში გამომგონებლობისა და რაციონალიზატორთა კომისიის შექმნის შესახებ. აღნიშნული დირექტივის საფუძველზე 296-ე მსროლელი დივიზიის მეთაურმა 962-ე, 964-ე მსროლელი პოლკისა და 813-ე საარტილერიო პოლკის მეთაურებს უბრძანა: 1. მათდამი დაქვემდებარებულ ნაწილებში დაუყოვნებლივ შეექმნათ გამომგონებლობისა და რაციონალიზატორთა კომისიები, რომლებიც უმოკლეს დროში შეუდგებოდნენ მუშაობას. 2. 1943 წლის 10 სექტემბრისათვის დივიზიის შტაბის ოპერატიულ განყოფილებაში წარედგინათ: გამომგონებლობისა და რაციონალიზატორთა კომისიის წევრთა სიები, სამხედრო წოდების და დაკავებული თანამდებობის მითითებით. 3. გამომგონებლებისა და რაციონალიზატორთა კომისიის მუშაობის ანგარიშები. 4. მოკლე დახასიათებები საუკეთესო გამომგონებელთა, რაციონალიზატორთა, აგრეთვე კომისიის თავმჯდომარეთა – მათი მუშაობის შესახებ და წარედგინათ ისინი დივიზიის შტაბის ოპერატიულ განყოფილებაში, საიდანაც ეს მასალა დაჯილდოებისა და პრემირებისათვის გადაეგზავნებოდა ფრონტის სამხედრო

საბჭოს. 5. საბრძოლო მომზადების ხარისხის გასაუმჯობესებლად ნაწილების მეთაურებს უნდა გამოეყენებინათ გამომგონებლები და რაციონა-ლიზატორები იმისათვის, რათა შეექმნათ ხელსაწყოები და მოწყობილობები. 6. რეალიზებული ფასეული გამოგონებანი და სასწავლო ხელსაწყოები უნდა გაეგზავნათ დივიზიის შტაბის ოპერატიულ განყოფილებაში, რათა მომხდარიყო მათი რეალიზაცია სხვა ნაწილებშიც.[49]

296-ე ქართული მსროლელი დივიზიის სარდლობა დივიზიის შექმნის პირველი დღეებიდანვე დიდ ყურადღებას უთმობდა გერმანელ-ფაშისტთა მხრიდან თვითმფრინავებით დივერსიული ჯგუფებისა და აგენტების შესაძლო გადმოსხმას ჰაერ-საწინააღმდეგო თავდაცვის მე-4 უბანზე. თუკი მტერი მაინც მოახერხებდა დივერსანტებისა და აგენტების გადმოსხმას ასეთ შემთხვევაში ნავარაუდევი იყო მათი განადგურება. ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის გასაძლიერებლად დივიზიის მეთაურმა ვ.ხუბულურმა ბრძანა:

1. ნაწილების მეთაურებს მათდამი დაქვემდებარებულ უბნებზე გაეძლიერებინათ სადესანტო თავდაცვა.

2. სადესანტო თავდაცვაში ჩაებათ ყველა საჯარისო ნაწილი, შინსახკომის ორგანოები, მილიცია, გამანადგურებელი ბატალიონები და თვითდამცველი რაზმები.

3. ახლადმიღებული ნაწილები დაუყოვნებლივ ჩაერთოთ სადესანტო თავდაცვაში და ამის შესახებ დაუყოვნებლივ ეცნობებინათ დივიზიის მეთაურისათვის.

4. ქვეუბნის უფროსებს სრული მონაცემები ჰქონდათ სამხედრო ნაწილებისა და გამანადგურებელი

ბატალიონების შემადგენლობასა და შეიარაღებაზე. რისთვისაც უნდა დაკავშირებოდნენ ნაწილების მეთაურებსა და შინსახკომის იმ რაიონულ განყოფილებებს, რომელშიც შედიოდა მათი ქვეუბანი.

5. ყოველი გამანადგურებელი რაზმისათვის დაესახათ საბრძოლო ამოცანა. სამხედრო ნაწილების მეთაურებისა და შინსახკომის შესაბამისი რაიონული განყოფილებების მეშვეობით.

6. შეედგინათ სადესანტო თავდაცვის გეგმა და დივიზიის მეთაურისათვის წარედგინათ არა უგვიანეს 1943 წლის 10 ოქტომბრისათვის.[50]

მე-8 ქვეუბანზე მოწინააღმდეგის საპარაშუტო დესანტის შესაძლო გადმოსხმასთან დაკავშირებით და საავიაციო დესანტის წინააღმდეგ საბრძოლველად და მის გასანადგურებლად დივიზიის მეთაური ბრძანებდა:

1. 962-ე მსროლელ პოლკთან შეექმნათ ორი მოძრავი რაზმი იმ ანგარიშით, რომ თითოეულ მათგანში იქნებოდა მსროლელთა ერთი ასეული, რომელიც გაძლიერებული იქნებოდა მეტყვიამფრქვევეთა ოცეულითა და ტანკსაწინააღმდეგო ოცეულით.

პირველი მოძრავი რაზმი გამოეყოთ მსროლელთა პირველი ბატალიონიდან, რომლის მეთაურად მსროლელთა პირველი ასეულის მეთაური უნდა დაენიშნათ.

მეორე მოძრავი რაზმი გამოეყოთ მესამე ბატალიონიდან. რაზმის მეთაურად დაენიშნათ მსროლელთა მე-7 ასეულის მეთაური.

პირველი და მესამე ბატალიონების მეთაურებს პირველი და მეშვიდე ასეულების მეთაურების განკარგულებაში გადაეცათ თითო ტანკსაწინააღმდეგო და თითო მეტყვიამფრქვევეთა ოცეულები.

2. ამის გარდა, მსროლელთა მე-2 ბატალიონთან შეექმნათ მოძრავი სარეზერვო რაზმი, რომელიც გაძლიერებული იქნებოდა მეტყვიამფრქვევეთა, ტანკსაწინააღმდეგო, მეავტომატეთა, ნაღმტყორცნელთა და ქვემეხთა ორი ოცეულით. მოძრავი სარეზერვო რაზმის მეთაურად დაინიშნა მსროლელთა მე-6 ასეულის მეთაური, რომელიც 21 ოქტომბერს (1943წ.) უნდა გამოცხადებულიყო დივიზიის მეთაურთან სადესანტო თავდაცვის გეგმის გაცნობისა და ინსტრუქტაჟისათვის.[51]

296-ე ქართული მსროლელი დივიზიის სარდლობას შემუშავებული ჰქონდა მოწინააღმდეგის საავიაციო დესანტის გადმოსხმის შემთხვევაში 962-ე მსროლელი პოლკის მოძრავი რაზმებისა და რეზერვების გამანადგურებელ ბატალიონებთან ურთიერთმოქმედების გეგმა, რომლის თანახმადაც ნავარაუდევი იყო შემდეგი:

1. ხარაგაულის რაიონში გერმანელ-ფაშისტთა საავიაციო დესანტის გადმოსხმის შემთხვევაში, რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილებას რიკოთის უღელტეხილით გაეგზავნა გამანადგურებელი ბატალიონის ნახევარი. ამ დროისათვის №1 მოძრავი რაზმი თავს მოიყრიდა მოიყრიდა დესანტის გადმოსხმის რაიონში მის გასანადგურებლად.

2.ხაშურის რაიონში მოწინააღმდეგის საავიაციო დესანტის გადმოსხმის შემთხვევაში მის გასანად-გურებლად გაიგზავნებოდა გამანადგურებელი ბატა-ლიონის ნახევარი, ხოლო გამანადგურებელი ბატალიონის მეორე ნახევარი თავდაცვას მოაწყობდა სახელმწიფო და თავდაცვითი მნიშვნელობის ობიექტებზე (უღელტეხილი, გვირაბი, რკინიგზის ხიდი, გადასასვლელები მდინარეზე, ავტომაგისტრალებისა და რკინიგზის კვანძები, ფაბრიკები, ქარხნები, კავშირგაბმულობის კვანძები და სხვა).

№2 მოძრავ რაზმს თავი უნდა მოეყარა დესანტის გადმოსხმის რაიონში მის გასანადგურებლად.

3. ჭიათურის რაიონში მოწინააღმდეგის დესანტის გადმოსხმის შემთხვევაში მის გასანადგურებლად გაიგზავნებოდა ჭიათურისა და საჩხერის რაიონების გამანადგურებელი ბატალიონების ნახევარი, რომლებიც მხარს დაუჭერდნენ 962-ე მსროლელი პოლკის მოძრავ სარეზერვო რაზმს.

4. მტრის საავიაციო დესანტის გადმოსხმის რაიონში მოძრავი რაზმებისა და გამანადგურებელი ბატალიონების მანევრირებისათვის მათ მეთაურებისა და შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების უფროსებს სასწრაფო ზომები უნდა მიეღოთ ადგილობრივი ორგანიზაციებისა და დაწესებულების ტრანსპორტის მობილიზაციისათვის, რისთვისაც მათ ხელმძღვანელებთან დროულად უნდა შეეთანხმებინათ საკითხი.

5. მოძრავი რაზმებისა და გამანადგურებელი ბა-ტალიონების მეთაურებს მოწინააღმდეგის საავიაციო დესანტის გადმოსხმის შესაძლო რაიონში უნდა ჩაეტარებინათ მისასვლელი გზებისა და ადგილების დაზვერვა.[52]

როგორც ვხედავთ, 296-ე ქართული მსროლელი დივიზიის სარდლობა დიდ ყურადღებას უთმობდა მოწინააღმდეგის საავიაციო დესანტის წინააღმდეგ ბრძოლას, რისთვისაც სპეციალურად შექმნა მოძრავი რაზმები, გააძლიერა ისინი და მოახდინა მათი მოქმედების კოორდინაცია გამანადგურებელ ბატალიონებთან. ალბათ, ინტერესმოკლებული არ იქნება გავეცნოთ თავდაცვის მე-4 უბანზე მყოფი 296-ე ქართული მსროლელი დივიზიის ტერიტორიაზე არსებული გამანადგურებელი

ბატალიონების რიცხობრივ შემადგენლობას და საბრძოლო შეიარაღებას.

გამანადგურებელი ბატალიონების დასახელება	ბატალიონების შტაბების დისლოკაცია	მებრძოლთა რაოდენობა	შეიარაღება			
			შაშხანა	ხელის ტყვიამფრქვევი	ავტომატი	ხელ-ყუმბარა
ონის	--------	200	170	-	6	403
ხაშურის	-	200	150	-	5	437
ჭიათურის	--------	164	141	2	7	302
ამბროლაურის	-	200	130	-	3	210
ტყიბულის	--------	190	147	1	3	353
ცაგერის	-	200	152	1	3	195
საჩხერის	--------	200	120	-	4	302
წყალტუბოს	-	200	150	1	3	205
ქუთაისის	--------	365	180	1	7	679
ჩხარის	-	200	130	-	3	205
ზესტაფონის	--------	200	180	1	8	300
მაიაკოვსკის	-	200	130	-	3	210
ვანის	--------	200	130	1	5	295
სამტრედიის	-	197	171	2	5	297
ხონის	--------	200	130	1	3	293[53]
	-					

	-					

	-					

	-					

	-					

	-					

	-					

296-ე ქართულ მსროლელ დივიზიაში საბრძოლო მომზადების პროგრამის შესაბამისად სათანადო ყურადღება ექცეოდა სამთო გამცილებელთა მომზადებას. 1945 წლის 1-ლი იანვრიდან 26 იანვრამდე დივიზიის ნაწილებში ჩატარდა სამთო გამცილებელთა შეკრება. მის ძირითად ამოცანას შეადგენდა ის, რომ სამთო გამცილებლებს შეესწავლათ ზამთრის პირობებში მარშის განხორციელება მთაში, დაუფლებოდნენ სამთო-სათხილამურო ტექნიკას უსაფრთხოების წესების დაცვით. ეს საკითხები კარგად გადაწყვიტეს 964-ე და 962-ე მსროლელ პოლკებში, 546-ე ცალკე მესანგრეთა ბატალიონში და 341-ე ცალკე მზვერავთა ასეულში. ანალოგიური საკითხი იყო გადაწყვეტილი 966-ე მსროლელ და 813-ე საარტილერიო პოლკებში.

უთოვლობამ ნაწილების განლაგების ადგილებში გამოიწვია შეკრების რამდენიმე რიგად ჩატარების აუცილებლობა. აგრეთვე მნიშვნელოვანი დაშორება ნაწილების ძირითადი დისლოკაციის ადგილიდან. კერძოდ, თბილისიდან – 18 კმ, სურამიდან – 8 კმ, ქუთაისიდან 65 კმ.

რიკოთის უღელტეხილისა და კოჯორში კარგად მომზადებულმა ბაზებმა სრულად უზრუნველჰყვეს სამთო გამცილებელთა შეკრების ჩატარება. შეკრება სამ რიგად ჩატარდა: პირველი რიგი – 1945 წლის 11-დან 20 იანვრამდე ჩატარდა 962-ე მსროლელი პოლკის სამთო-სათხილამურო ბაზაზე, რიკოთის უღელტეხილის მწვერვალზე. სამთო გამცილებელთა შეკრებაზე 962-ე მსროლელი პოლკიდან მონაწილეობდა 102 კაცი, 546-ე ცალკე მესანგრეთა

ბატალიონიდან 14, ინსტრუქტორთა შემადგენლობიდან – 12 კაცი, სულ 123 კაცი.

მეორე რიგის სამთო გამცილებელთა შეკრება ჩატარდა კოჯორში 964-ე მსროლელი პოლკის სამთო-სათხილამურო ბაზაზე 1945 წლის 27 იანვრიდან 6 თებერვლამდე. შეკრებაზე სულ 117 კაცი მონაწილეობდა, რომელთაგან 105 კაცი იყო 964-ე პოლკიდან, ხოლო 12 ინსტრუქტორი.

მარშრუტის დიდი ნაწილი გაიარეს თხილამურებით. გადალახეს ორი უსახელო უღელტეხილი, მარში ხორციელდებოდა მეტად რთულ მეტეოროლოგიურ პირობებში, რამაც მნიშვნელოვნად გააძნელა მარშრუტის გავლა, მაგრამ კარგი ვარჯიშის წყალობით 115 შერჩეული კაცისაგან გზაში არავინ არ ჩამორ-ჩენილა.

სამთო გამცილებელთა შეკრების მესამე რიგი ხორციელდებოდა 16-დან 26 თებერვლამდე ნაქერალის უღელტეხილზე სოფელ ხარისთვალში. შეკრება მეტისმეტად რთულ პირობებში მიმდინარეობდა. კერძოდ, ბაზიდან საკმაოდ დიდი მანძილის 65 კმ დაშორებით, განუწყვეტელი თოვა და ძლიერი ქარი ძალზე ართულებდა შეკრების მონაწილეებისათვის სასურსათო პროდუქტებით მომარაგებას.[54] სამთო გამცილებელთა შეკრებაში 966-ე მსროლელი პოლკიდან მონაწილეობდა 81 კაცი, 813-ე საარტილერიო პოლკიდან – 16, 341-ე ცალკე მზვერავთა ასეულიდან – 9, ინსტრუქტორთა შემადგენლობიდან 12, ე.ი. სულ 118 კაცი.

ყველა ეს ნაწილი დაბინავებული იყო ქუთაისში და ამიტომ მათთვის გათვალისწინებული არ ყოფილა თბილი ტანსაცმელი, ხელთათმანები, ყურებიანი ქუდი. ყოველივე ამან თავის მხრივ დამატებითი სიძნელეები შეუქმნა შეკრების მონაწილეებს.

სამთო გამცილებელთა შეკრების პროგრამა მთლიანად შესრულდა, თუმცა მან გარკვეული ცვლი-ლებები განიცადა. მხედველობაში გვაქვს მარშის განხორციელება მთაში ზამთრის მკაცრ პირობებში, როდესაც პირად შემადგენლობას არ გააჩნდა კარვები, თბილი ტანსაცმელი, რადგან მარში ხორციელდებოდა დასახლებულ პუნქტებზე გავლით, ამიტომ ღამის გათევა შეუძლებელი იყო, რადგან დასახელებულ პუნქტებში შესვლა და ღამის გათევა აკრძა-ლული იყო მუცლის ტიფის ეპიდემიის გამო.

შეკრების მონაწილენი ყოველდღეურად გადოიდ-ნენ თხილამურებით 20-25 კმ-ს. 4 დღის განმავლობაში უკანვე ბრუნდებოდნენ ბაზაში ღამის გასათევად. მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მარშის განხორციელებამ მეტად რთულ პირობებში მის მონაწილეებს მთის პირობებში მეტად საჭირო ჩვევები შესძინა.

სულ შეკრებაში მონაწილეობდა 381 კაცი, რომელთაგან ოფიცერი იყო 5, სერჟანტი – 70, რიგითი – 269, ინსტრუქტორი – 31, მედპერსონალი – 6 (3 ოფიცერი და 3 სერჟანტი).

შეკრებაზე ქვედანაყოფებიდან ყველაზე საუკეთესოდ მიიჩნიეს პოლკების მზვერავთა რაზმები, 341-ე ცალკე მზვერავთა ასეული, ხოლო პოლკებიდან – 962-ე მსროლელი პოლკი. პირადმა შემადგენლობამ აჩვენა კარგი დისციპლინა და გამოავლინა დიდი მიდრეკილება სამთო-სათხილამურო საქმისადმი.

მზვერავთა ქვედანაყოფების საშუალო შეფასება იყო – "ფრიადი". აქვე უნდა აღინიშნოს პოლკებისა და ქვედანაყოფების შტატგარეშე ინსპექტორთა კარგი მომ-ზადება. მათ ენერგიის მაქსიმუმი ჩააქსოვეს სამთო გამცილებელთა შეკრების სრულფასონვად ჩატარებაში. შეკრებების ჩატარებისას ადგილი არ ჰქონია ადამიანთა

გაყინვისა და ტრავმატიზმის შემთხვევებს, რასაც დიდ-ად შეუწყო ხელი მედპერსონალის დროულად განხორ-ციელებულმა პროფილაქტიკურმა ღონისძიებებმა.[55]

როგორც ვხედავთ, 296-ე ქართულ მსროლელ დივიზიაში მთავარი ყურადღება ჰქონდა დათმობილი სრულფასოვან საბრძოლო მომზადებას.

დივიზიის შექმნის პირველი დღიდანვე დიდი ადგილი დაეთმო პოლიტიკურ-აღმზრდელობით მუ-შაობას, რაც ხორციელდებოდა პოლიტინფორმაციების, საუბრების, ლექციების და მოხსენებების სახით. ხშირად ეწყობოდა მიტინგები, ოცეულების, ასეულებისა და ბატალიონებების კრებები. გამოდიოდა საველე-საბრძოლო ფურცლები, კედლის გაზეთები. საუბრები ტარდებოდა თემებზე: "არმიისა და ხალხის ამოცანები გერმანელ-ფაშისტ დამპყრობლებთან ბრძოლაში," "სახალხო პარტიზა-ნული ბრძოლები, როგორც ერთერთი პირობა მტრის განადგურების საქმეში". "გმირი ქალაქების – მოსკოვის, ლენინგრადის, ოდესის, სევასტოპოლის, კიევისა და სტალინგრადის დამცველთა გმირობა" და ა.შ.

პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები ყოველ-მხრივ ეხმარებოდნენ დივიზიის ნაწილებს საბრძოლო-პოლიტიკური მომზადების ამაღლებაში. მათ დახმარე-ბა გაუწიეს ნაწილებს სასწავლო მოედნებისა და სასროლი პოლიგონებისათვის მიწის ნაკვეთების გამოყოფაში, მატერიალურად ეხმარებოდნენ მებრძოლთა ოჯახებს და სხვა.

296-ე ქართულ მსროლელ დივიზიას ესტუმრნენ ქართველი მწერლები: ირ.აბაშიძე, შ.დადიანი, კ.კალა-ძე და სხვები.

ირ.აბაშიძის ლექსს "მე ქართველი ბუხაიძე" ყველა ნაწილი მღეროდა. ქართველი მწერლები თავიანთი

ნაწარმოებებით მებრძოლებს მტერზე სრული გამარჯვებისაკენ მოუწოდებდნენ.

შეხვედრის დროს გამართულ მიტინგზე პატრიოტული სიტყვით გამოვიდა შ.დადიანი. მან თქვა: "ქართულ ასოებს შორის ამოიკითხავს იმ გმირების სახელებს, რომლებმაც სიცოცხლე შესწირეს საყვარელ სამშობლოს, მაგრამ ქართული ასოები იმასაც გვიკარნახებდა დაეცვათ ჩვენი სამშობლო ქართველ მებრძოლებს, რომელთა მამა-პაპები საუკუნეებით იბრძოდნენ ჩვენი სამშობლოს ამაოხრებელთა წინააღმდეგ. მხნეობას ვუსურვებ ჩვენს ქართველ მებრძოლებს. მოწინავე ვართ შრომაში და მოწინავე ვიყოთ დაუნდობელ ვერაგ მტერთან ბრძოლაში . . ."[56]

მას შემდეგ რაც წითელ არმიაში გაუქმდა სამხედრო კომისრებისა და პოლიტდარგში ასეულის მეთაურის მოადგილის ინსტიტუტი, მთელი პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის სიმძიმე დააწვა ასეულის მეთაურებს, როგორც ერთპიროვნულ ხელმძღვანელებს, რომლებიც პასუხისმგებლები იყვნენ ქვეგანაყოფების საბრძოლო და პოლიტიკური მომზადებისათვის.[57]

როგორც ზემოთ განხილული მასალებიდან ჩანს, 296-ე ქართულ მსროლელ დივიზიაში პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა კარგად იყო დაყენებული, რაც თავის მხრივ კეთილმყოფელ გავლენას ახდენდა პირადი შემადგენლობის საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების დონეზე.

1945 წელს დივიზიის ხელმძღვანელობაში მოხდა გადაჯგუფება. დივიზიის მეთაურის მოადგილედ სამწყობრო დარგში გადაიყვანეს პოლკოვნიკი კ.მამარდაშვილი, 394-ე მსროლელ დივიზიაში დივიზიის მეთაურის მოადგილედ სამწყობრო დარგში დაინიშნა 964-ე

მსროლელი პოლკის მეთაური, პოდპოლკოვნიკი ი.სირაძე, პოლკის მეთაურად კი პოდპოლკოვნიკი – გ.ნადირაძე, დივიზიის არტილე-რიის უფროსად – პოლკოვნიკი მ.გეთია.[58]

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, კერძოდ, 1946 წლის იანვრიდან 296-ე ქართულმა მსროლელმა დივიზიამ არსებობა შეწყვიტა, რადგანაც მისი ნაწილები ანაპის სახელობის 414-ე წითელ-დროშოვან ქართულ მსროლელ დივიზიას გადასცეს[59], რომლის შესახებაც უფრო დაწვრილებით ქვემოთ გვექნება საუბარი.

მიუხედავად იმისა, რომ 296-ე ქართულმა მსროლელმა დივიზიამ რამდენიმე წელს იარსება, დივიზიის პირადი შემადგენლობის საბრძოლო-პოლიტიკური მომზადების დონე მაღალი იყო, მას ჰყავდა ბრძოლებში გამობრძმედილი კადრის ოფიცრები და სერჟანტები, სანიმუშოდ გაწვრთნილი მეომრები და მუდამ მზად იყო შეესრულებინა უმაღლესი მთავარ-სარდლობის დავალება.[59]

§3. 406-ე მსროლელი დივიზია სამხრეთის საზღვრის დაცვაში.

406-ე ქართული მსროლელი დივიზიის შექმნას საფუძვლად დაედო სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისრის 1941 წლის ბრძანება და ამიერკავკასიის ფრონტის ჯარებისადმი გაცემული ბრძანება რომლის მიხედვით დივიზიის ფორმირება უნდა დაწყებულიყო 1941 წლის 23 აგვისტოს და იმავე წლის 15 ოქტომბერს უნდა დამთავრებულიყო.

406-ე დივიზიის შექმნა მიმდინარეობდა ამიერ-კავკასიის სამხედრო ოლქის ტერიტორიაზე, სომხეთში, შენაერთის დისლოკაციის ადგილი ქ. კიროვაკანი იყო.[60]

1941 წლის 23 აგვისტოდან 1942 წლის 23 იანვრამდე 406-ე ქართული მსროლელი დივიზია ამიერკავკასიის ფრონტის 45-ე არმიის შემადგენლობაში იმყოფებოდა. 1942 წლის 13 იანვრიდან 2 ოქტომბრიდან 20 ნოემბრამდე შენაერთი ირიცხებოდა 46-ე არმიის მე-3 მსროლელი კორპუსის დაქვემდებარებაში, ხოლო 20 ნოემბრიდან – ამიერკავკასიის ფრონტის მე-12 მსროლელი კორპუსის შემადგენლობაში.[61]

406-ე ქართული მსროლელი დივიზიის შემად-გენლობაში ითვლებოდა: 660-ე, 662-ე და 668-ე მსროლელი პოლკები, 962-ე საარტილერიო პოლკი, 850-ე ცალკე მეკავშირეთა ბატალიონი, 680-ე ცალკე მესანგრეთა ბატალიონი, 484-ე სამედიცინო-სანიტარული ბატალიონი, 686-ე ცალკე საზენიტო საარტილერიო დივიზიონი, 342-ე ავტო ასეული და ქიმიური დაცვის ასეული.[62]

შენაერთის შემადგენლობაში რამდენიმე ათასი მებრძოლი ირიცხებოდა, რომელთა უდიდეს უმრავლესობას ქართველები შეადგენდნენ.

ასე მაგალითად, 1942 წლის დასასრულს დივიზიის ნაწილების ოფიცერთა, სერჟანტთა და ჯარისკაცთა 94 პროცენტს ქართველები შეადგენდნენ, 1943 წლის აპრილში – 93%, ხოლო იმავე წლის ივლისში 95%.[63]

1943 წლის 1 იანვრისათვის 406-ე ქართულ მსროლელ დივიზიაში იყო 10762 ქართველი, 178 რუსი, 137 სომეხი, 227 ოსი, 80 უკრაინელი, 40 აზერბაიჯანელი, 8 ბელორუსი, 2 ლატვიელი, 2 ყაზახი, 2 უზბეკი, 2 ჩუვაში, დაღესტნელი, ბერძენი და სხვა ეროვნების წარმომადგენლები სულ – 11507 კაცი.

1943 წლის 1 აპრილისათვის 406-ე ქართული მსროლელი დივიზიის პირად შემადგენლობაში 10625 კაციდან ქართველი იყო 9945, რუსი – 172, სომეხი – 145, უკრაინელი – 89, ებრაელი – 42, ოსი – 182, ბელორუსი – 15, აზერბაიჯანელი – 20, 7ყაზახი – 3, უზბეკი – 3, დანარჩენი კი სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები.

1944 წლის 1 იანვრისათვის 406-ე ქართულ მსროლელ დივიზიაში 9136 კციდან 7785 იყო ქართველი, 540-რუსი, 96 უკრაინელი, 217 სომეხი, 98 აზერბაიჯანელი, 322 ოსი, 51 ებრაელი, 4 ბელორუსი, 3 ყაზახი, 3 თათარი, ხოლო დანარჩენი სხვადასხვა ეროვნების წარმოამდგენლები.[64]

ასაკობრივი ნიშნის მიხედვით 406-ე ქართული მსროლელი დივიზიის პირადი შემადგენლობა ასე გამოიყურებოდა: 1923-1922 წლებში დაბადებულები იყო 1350, 1921-1917 წლებში დაბადებული – 1504, 1916-1912 წლებში დაბადებულები – 2276, 1906-1902 წლებში დაბადებულები – 1918, 1901-1897 წლებში დაბადებულები - 743. 1896 წელში დაბადებული და მათზე უფროსები – 46.

1944 წლის 1 იანვრისათვის 406-ე ქართული მსროლელი დივიზიის პირად შემადგენლობას ასაკობრივი ნიშნის მიხედვით ასეთ სურათს იძლევა. 1923-1922 წლებში დაბადებული იყო 1517, 1921-1917 წლებში დაბადებული – 1369, 1916-1912 წლებში დაბადებული – 1830, 1911-1907 წლებში დაბადებული – 1888, 1906-1902 წლებში დაბადებული – 1483, 1901-1897 წლებში დაბადებულები – 926, 1896 წელს დაბადებულები და მათზე უფროსები – 123.[65]

ოფიცერთა უმრავლესობა და ჯარისკაცთა თითქმის მთელი შემადგენლობა თადარიგიდან იყო გამოწვეული. დაძაბული საბრძოლო მომზადების შემდეგ, რაც განუწყვეტლივ ხორციელდებოდა დივიზიის არსებობის

მთელს მანძილზე, ოფიცერთა და რიგითი შემადგენლობა კარგად დაეუფლა საომარ ტექნიკას. მებრძოლები მაღალ შეფასებას იმსახურებდნენ დიდი მასშტაბების ხანგრძლივ ტაქტიკურ მეცადინეობებზე, დაკისრებული მოვალეობისადმი მაღალი პოლიტიკური შეგნებით იყვნენ განმსჭვალულნი და ყოველ წამს მზად იყვნენ მკერდით დაეცვათ საყვარელი სამშობლოს საზღვრები.[66]

406-ე ქართული მსროლელი დივიზიის პირადი შემადგენლობიდან 1943 წლის იანვრისათვის წითელი ვარსკვლავის ორდენით დაჯილდოებული იყო 6, მედლით – "მამაცობისათვის" – 2, საპატიო ნიშნის ორდენით – 1, მედლით "საბრძოლო დამსახურე-ბისათვის" – 10, მედლით – "მუშურ-გლეხური წითე-ლი არმიის XX წელი"- 3 მეომარი.

აღნიშნული პერიოდისათვის დივიზიაში უფროს მეთაურთა შემადგენლობიდან ომის მონაწილე იყო 9 კაცი, საშუალო მეთაურთა შემადგენლობიდან 109, უმცროს მეთაურთა შემადგენლობიდან – 54, ხოლო წითელარმიელებიდან – 90 კაცი, ე.ი. დიდი სამამულო ომის მონაწილეთა საერთო რაოდენობა შენაერთის მებრძოლთა და მეთაურთა შორის 262-ს აღწევდა.[67]

406-ე ქართული მსროლელი დივიზიის მეთაური 1941 წლის აგვისტოდან 1942 წლის თებერვლამდე იყო პოლკოვნიკი პეტრე პლეხოვი. 1942 წლის 10 ოქტომბრამდე დივიზიას მეთაურობდა პოლკოვნიკი გიორგი ყუფარაძე, რომელიც შემდგომ გენერალ-მაიორმა ვალერიან ძაბახიძემ შეცვალა, რომლის მოქმედ არმიაში გაგზავნის შემდეგ დივიზიის მეთაურის თანამდებობა პოლკოვნიკმა პ.ჩხობაძემ დაიკავა.

თავდაპირველად დივიზიის შტაბის უფროსი იყო პოდპოლკოვნიკი სმირნოვი. 1941 წლის ოქტომბრიდან

დეკემბრამდე 406-ე ქართული მსროლელი დივიზიის შტაბის უფროსები იყვნენ: პოლკოვნიკი მიხეილ ჟიბლოვი, რომელიც 1941 წლის დეკემბრიდან 1942 წლის მარტამდე შეცვალა პოლკოვნიკმა რომანოვმა, ხოლო 1942 წლის აპრილიდან დივიზიის შტაბის უფროსი გახდა მაიორი საველიევი. ხოლო 1942 წლის მაისიდან 1943 წლის მარტამდე დივიზიის შტაბის უფროსი იყო პოლკოვნიკი შალვა მელქაძე. მცირე ხნის განმავლობაში დივიზიის შტაბის უფროსის თანამდებობა ეკავა პოლკოვნიკ ივანე ელისეევს, რომელიც შემდეგ პოლკოვნიკმა პეტრე კისელიოვმა შეცვალა. პ.კისელიოვის შემდეგ 1943 წლის გაზაფხულიდან ვიდრე მეორე მსოფლიო ომის დამთავრებამდე დივიზიის შტაბის უფროსად მუშაობდა პოლკოვნიკი ივანე შაიშმელაშვილი.[68]

406-ე მსროლელი დივიზიის მეთაურის მოადგილეებად სხვადასხვა დროს მუშაობდნენ: პოლიტიკურ ნაწილში – პოლკოვნიკი გ.გუმბარიძე და კ.მამარდაშვილი.

სამწყობრო ნაწილში პოლოვნიკები: კ.მამარდაშვილი და ლ.გოგატიშვილი.

სამნეო ნაწილში – პოლკოვნიკები: გ.ანთაძე, ა.ოდიშარია, ვ.სოსელია, ვ.ჭიჭინაძე, ბობოხიძე და მაიორი დ.გაბუნია, არტილერიის დარგში (არტილერიის სარდლად) პოლკოვნიკები ოხოტსკი და გ.რცხილაძე. დივიზიის პოლიტგანყოფილების უფროსებად მუშაობდნენ მაიორი ბალავაძე, პოდპოლკოვნიკი დუბინინი, არტილერიის შტაბის უფროსებად – მაიორი შ.წიკლაური და პოდპოლკოვნიკი გ.ბეგთაბეგოვი, დივიზიის პარტიული კომისიის მდივნად – დ.ივარდავა და ს.ჩხარტიშვილი. დივიზიის გაზეთის რედაქციაში ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდნენ მწერლები: ა.გომიაშვილი,

ლ.ჭიჭინაძე, ჟურნალისტი კ.სიხარულიძე, ხოლო დივიზიის კლუბში – რეჟისორი რ.ქართველიშვილი, კომპოზიტორი მ.ჩირინაშვილი და სხვა.

ერთ მსროლელ ლეგიონს დღიდან დაარსებისა მეთაურობდა პოდპოლკოვნიკი (შემდეგ პოლკოვნიკი) ა.ჯულუხიძე, ერთ მსროლელ ლეგიონს სხვადასხვა დროს – მაიორი გეგეჭკორი, პოდპოლკოვნიკი (შემდეგ პოლკოვნიკი) შ.ვასაძე, ერთ მსროლელ ლეგიონს დასაწყისში მეთაურობდა პოდპოლკოვნიკი ა. კორობოვი, შემდეგ, 1942 წლიდან ომის დამთავრებიდან პოდპოლკოვნიკი ვ.კვაჭაძე, საარტილერიო ლეგიონს მეთაურობდნენ ჯერ პოდპოლკოვნიკი ზოლოტოვი, შემდეგ პოდპოლკოვნიკი ასათიანი.

406-ე მსროლელი დივიზიის სპეციალურ ცალკე განყოფილებებში მეთაურთა თანამდებობებზე სხვადასხვა დროს მუშაობდნენ მაიორები რ.გვეტაძე, მ.გარაყანიძე, კაპიტანი შ.ვარაზანაშვილი, პოდპოლკოვნიკი ს.ახალაშვილი და სხვა.[69]

662-ე მსროლელ პოლკს მეთაურობდა პოდპოლ-კოვნიკი კრასოვი, პოლკის სამხედრო კომისარი იყო ბატალიონის კომისარი მანაჩურიანი.

668-ე მსროლელ პოლკს მეთაურობდა მაიორი კორობოვი, სამხედრო კომისარი იყო ბატალიონის კომისარი იუდინი.

962-ე საარტილერიო პოლკს მეთაურობდა მაიორი ზოლოტოვი, პოლკის სამხედრო კომისარი იყო უფროსი პოლიტხელი გლუხენკი.

850-ე მეკავშირეთა ცალკე ბატალიონს მეთაურობდა კაპიტანი ჩერნიშევი. ბატალიონის სამხედრო კომისარი იყო უფროსი პოლიტხელი ბოროდინი.

680-ე ცალკე მესანგრეთა ბატალიონს მეთაურობდა უმცროსი ლეიტენანტი ბეჟენცევი, ბატალიონის სამხედრო კომისარი იყო პოლიხელი ა.ლაბაძე.

348-ე ავტოასეულს მეთაურობდა უფროსი ლეიტენანტი ანუფრიევი, ავტოასეულის სამხედრო კომისარი იყო უმცროსი პოლიტხელი ბორდუკოვი.

461-ე ცალკე სადაზვერვო მოტომსროლელთა ასეულის მეთაური იყო ლეიტენანტი იაგორაშვილი, სამხედრო კომისარი – უფროსი პოლიტხელი ალავერდიანი.

686-ე ცალკე საზენიტო-საარტილერიო დივიზიონის მეთაური იყო კაპიტანი ჩერნოვი, სამხედრო კომისარი უფროსი პოლიტხელი ბელობოროდოვი.

ქიმიური დაცვის ასეულს მეთაურობდა ლეიტენანტი სმირნოვი, სამხედრო კომისარი იყო პოლიტხელი ოვსეიანი.[70]

ჯერ კიდევ 406-ე ქართული მსროლელი დივიზიის ფორმირების პროცესში დივიზიის მეთაურის პოლკოვნიკ პლეხოვის 1941 წლის 8 სექტემბრის ბრძანებით ახლადმიღებული შევსების გასანაწილებლად უნდა გამოეყენებინათ სამხედროსწავლება გავლილი პირველი და მეორე თადარიგის რიგითთა შემადგენლობა, რომლითაც დაკომპლექტდებოდა უმცროს მეთაურთა თანამდებობანი.

1915-1918 წლებში დაბადებულნი, რომლებიც როგორც გონებრივად ისე ფიზიკურად კარგად იყვნენ განვითარებული, პირველ რიგში, გამოყენებული უნდა ყოფილიყვნენ საბრძოლო ქვედანაყოფების დასაკომ-პლექტებლად.

ნაწილების მეთაურებს ევალებოდათ კონტროლი პირადი შემადგენლობის განაწილებაზე, რომლის დროსაც

მხედველობაში იქნებოდა მიღებული მისი ფიზიკური და ასაკობრივი მონაცემები.

იმ მებრძოლებთან, რომლებიც რუსულ ენას ვერ ფლობდნენ, რუსულ ენაში სამეცადინეოდ ყოველ-დღიურად გამოეყოთ ორი საათი ტაქტიკასა და ფიზ-მომზადებაში განკუთვნილი საათების შემცირების ხარჯზე.

პოლკებისა და ბატალიონების შტაბებში თანამდე-ბობებზე დასაკავებლად დაუყოვნებლივ უნდა შეერჩიათ კანდიდატურები ახლად მიღებულ მეთაურთა შემადგენლობიდან.[71]

ყველა სახეობის იარაღიდან პრაქტიკული სროლი-სათვის კიროვაკანის გარნიზონის ნაწილებისათვის გამოეყოთ სროლისათვის განკუთვნილი უბნები, რომელთა საზღვრები კონკრეტულად იყო დასახელებული.

ყოველი სასროლო უბნისათვის იყო მხოლოდ ერთი ლოზუნგი – "ფრიადზე სროლა მტერზე გამარჯვების საწინდარია."

სასროლეთის საერთო მორიგე შესაბამის რიცხვებში დაინიშნებოდა 660-ე და 668-ე მსროლელი პოლკებიდან. დივიზიის მეთაურის ბრძანებაში ხაზგასმული იყო ისიც, რომ სასროლეთისაკენ მიმავალი გზა გადაკეტილი უნდა ყოფილიყო საცხენოსნო საგუშაგოებით, რათა უზრუნველეყოთ სასროლეთი ადამიანებისა და პირუტყვის გამოჩენისაგან.

სასროლეთზე გარდა უფროსი მორიგისა, ყოველ-დღიურად პოლკის სასროლო უბანზე ინიშნებოდა აგრეთვე რიგითი მორიგე.[72]

დივიზიის მეთაურის მომდევნო ბრძანებით 660-ე, 662-ე და 668-ე მსროლელი პოლკების მეთაურებს ევალებოდათ ყოველი მსროლელი ბატალიონიდან გამოეყოთ არასაშტატო ასეულები, რომლებსაც შეასწავლიდნენ

მოწინააღმდეგის ტანკებისა და ჯავშნიანი მანქანების წინააღმდეგ ბრძოლას.

ახლადშექმნილ ასეულებს საერთო შეკრებებზე მეცადინეობები ჩაუტარდებოდათ შედგენილი პროგრამის მიხედვით.

ასეულების მეთაურებად უნდა დანიშნულიყო მეთაურთა საუკეთესო ნაწილი, ხოლო მებრძოლებად შერჩეული უნდა ყოფილიყო ყველაზე უფრო გაბედული, ენერგიული და რუსული ენის მცოდნე პირები.

პოლკის მეთაურებს ევალებოდათ პირადად ედევნებინათ თვალყური ასეულების შექმნისათვის, სწავლების ორგანიზაციისათვის, მატერიალური უზრუნ-ველყოფისა და საბრძოლო მომზადებისათვის.

ასეულების შექმნისა და მათი საბრძოლო მზადყოფნის შესახებ პოლკის მეთაურებს ყოველდღიურად უნდა ეცნობებინათ დივიზიის მეთაურისათვის.[73]

1941 წლის სექტემბრის შუა რიცხვებისათვის 406-ე ქართული მსროლელი დივიზიის ფორმირება ძირითადად დასასრულს უახლოვდებოდა. აი რას ვკითხულობთ ამის შესახებ გაკეთებულ მოხსენებით ბარათში, რომელიც ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსის მოადგილეს გენერალ ხრიაშჩევს გაეგზავნა: 1941 წლის 13 სექტემბრისათვის დივიზიის ნაწილებმა 10298 კაცი მიიღეს, მათ შორის 411 უმცროს მეთაურთა შემადგენლობისა. სომხეთის სამხედრო კომისარიატმა დავალება მთლიანად შეასრულა. მან 406-ე დივიზიის დასაკომპლექტებლად გაგზავნა 1640 მებრძოლი და უმცროს მეთაურთა შემადგენლობის 68 კაცი. საქართველოს სამხედრო კომისარიატს დივიზიისათვის უნდა გაეგზავნა 4973 მებრძოლი და მეთაურთა შემადგენლობის 168 კაცი, ე.ი. რიგითთა შემადგენლობას დააკლო 174, ხოლო მეთაურთა

შემადგენლობას 59 კაცით გადააჭარბა. აზერბაიჯანის სამხედრო კომისარიატმა 406-ე დივიზიის დასაკომპლექტებლად გაგზავნა რიგითთა შემადგენლობის 3448 კაცი და 175 მეთაური ე.ი. გეგმით გათვალისწინებულის ნაცვლად მეთაურთა შემადგენლობას დააკლო 5 კაცი, ხოლო რიგითთა შემადგენლობას 312 მებრძოლი.

საერთოდ, სამხედრო კომისარიატებიდან მეთაურთა და რიგითთა შემადგენლობის მიღება დივიზიაში ასეთ სურათს იძლეოდა: 10249 მებრძოლისა და 359 მეთაურის ნაცვლად დივიზიამ მიიღო 9887 მებრძოლი და 411 მეთაური, ე.ი. ვერ მიიღო რიგითთა შემადგენლობის 362 კაცი და 552 მეთაური.[74]

პირადი შემადგენლობის მიღება 406-ე მსროლელმა დივიზიამ ძირითადად 1941 წლის 11 სექტემბრისათვის დაამთავრა. დივიზიის პირადი შემადგენლობა ეროვნული ნიშნის მიხედვით ასეთი იყო: ქართველი – 3039, აზერბაიჯანელი – 2823, სომეხი - 2502, რუსი - 1272, უკრაინელი – 224, ოსი – 55, თათარი – 33, ლეზგი – 58, ებრაელი – 19, ბელო-რუსი – 2, ბერძენი – 2, გერმანელი – 2 და სხვა-დასხვა ეროვნების წარმომადგენელი – 79.

დივიზიის პირადი შემადგენლობიდან 890 იყო სკკპ წევრი და სკკპ წევრობის კანდიდატი, 645 კი კომკავშირელი.

სოციალური მდგომარეობის მიხედვით: დივიზიის პირადი შემადგენლობიდან 2774 იყო მუშა, 5944 კოლმეურნე, 1389 მოსამსახურე.

განათლების მიხედვით: უმაღლესი განათლება ჰქონდა 128 კაცს, საშუალო – 562, 7 კლასის განათლება – 2505, დაწყებითი განათლება – 4190, მცირე განათლება ჰქონდა 308-ს, ხოლო წერა-კითხვის უცოდინარი იყო 2418.

მაშასადამე, საბჭოთა ოფიციოზის მტკიცების მიუხედავად, წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია არა თუ 30-იანი წლების შუა რიცხვებში, არამედ 40-იან წლებშიც არ იყო აღმოფხვრილი.

ასაკობრივი მდგომარეობის მიხედვით: 40 წლამდე ასაკის იყო 6318, ხოლო 40 წელზე უფროსი ასაკისა – 3793 კაცი.[75]

დივიზიის სარდლობა გეგმაზომიერად ახორციელებდა ნაწილებსა და ქვედანაყოფების საბრძოლო წვრთნას და მის ერთიან საბრძოლო ორგანიზმად შეკავშირებას.

1941 წლის 17 სექტემბრის ბრძანებით დივიზიის მეთაური ავალებდა მსროლელთა პოლკის მეთაურებს – შეექმნათ სნაიპერთა ჯგუფები, რომლებიც 19 სექტემბრიდან – 1 ოქტომბრის პერიოდში გეგმიურ მეცადინეობას შეუდგებოდა. სნაიპერების მომზადება ნავარაუდევი იყო შემდეგნაირად: მსროლელთა ყოველი ოცეულიდან 2 კაცი, მსროლელთა ასეულის მეთაურისათვის 2 კაცი, ქვეით მზვერავთა ოცეულისათვის 2 კაცი და ცხენოსან მზვერავთა ოცეულისათვის – 2 კაცი.[76]

სნაიპერთა ჯგუფებში არჩევდნენ იმ პირებს, რომლებსაც სნაიპერთა მომზადება ადრე განვლილი ჰქონდათ წითელ არმიაში ანდა თავდაცვაავიაქიმიის ორგანიზაციებში. ამასთანავე წარმატებით ასრულებ-დნენ დაწყებითი სროლის პირველ სავარჯიშოს.

სნაიპერთა შეკრების ხელმძღვანელებად უნდა დაენიშნათ სამი კარგი მსროლელი საშუალო მეთაურთაგან, რომელთაგან ერთი იქნებოდა სნაიპერთა ჯგუფის უფროსი, ორი კი ოცეულის მეთაური.

უმცროს მეთაურად უნდა შეერჩიათ რვა კარგი მსროლელი.

1941 წლის 19 სექტემბრიდან 10 ოქტომბრის განმავლობაში ყოველ მსროლელ პოლკში უნდა მოეწყოთ როგორც ქვეით, ასევე ცხენოსან მზვერავთა შეკრებები, რომელთა უფროსად დაინიშნა პოლკის შტაბის უფროსის თანაშემწე დაზვერვის ნაწილში.

სნაიპერთა და მზვერავთა მომზადების მიმდინარეობის შესახებ დივიზიის მეთაური ყოველდღიურად ღებულობდა ინფორმაციას.[77]

406-ე ქართული მსროლელი დივიზია პირადი შემადგენლობით და იარაღსაჭურვლით დაკომპლექტებისა და საბრძოლო მომზადების შემდეგ მთელი პასუხისმგებლობით უნდა შედგომოდა მისთვის დასახული საბრძოლო ამოცანის შესრულებას, რაც პირველ რიგში თურქეთის მოსალოდნელი თავდასხმისაგან თურქეთ-საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საზღვრების საიმედოდ დაცვას გულისხმობდა. 406-ე მსროლელი დივიზია თავისი როლითა და ადგილით სრულიადაც არ განეკუთვნებოდა ე.წ. "ზურგის" შენაერთებისა და ნაწილების რიგს. ჩამოყალიბების დღიდანვე მას მიეცა სავსებით კონკრეტული და დიდმნიშვნელოვანი საბრძოლო ამოცანა – მზად ყოფილიყო ათეული კილომეტრების მანძილზე გადაჭიმული სახელმწიფო საზღვრის დასაცავად. შესაძლებელი საბრძოლო მოქმედების ზოლში შეერჩია რამდენიმე სავარაუდო მიმართულება, რომლებიც გზებისა და მდინარეების ხეობათა გასწვრივ გადიოდა.

406-ე ქართულ მსროლელ დივიზიას ნაბრძანები ჰქონდა მზად ყოფილიყო აღნიშნულ ტერიტორიაზე მტრის საჰაერო დესანტებისა და დივერსიული ჯგუფების მოსასპობად. გარდა ამისა, მის მოვალეობას შეადგენდა ცალკე ქვეგანაყოფების მეშვეობით ეწარმოებინა მოგერიება

კავკასიონის მთავარი ქედის უღელტეხილების შარიცეკის, გეზივცეკის, ვაცისწვერის, გურძიკვცეკისა და სხვა მიმართულებით.[79]

406-ე ქართული მსროლელი დივიზიის საპასუხისმგებლო ამოცანა კარგად ჩანს 1941 წლის 26 ოქტომბერს დივიზიის შტაბის მიერ გაცემულ ბრძანებაში. (აღსანიშნავია, რომ ამ დროისათვის 406-ე დივიზიის შტაბი და ნაწილები ომის მთელი პერიოდის განმავლობაში ქ.ახალქალაქში იყვნენ განლაგებული). ბრძანებაში კერძოდ, ნათქვამი იყო:

1. თურქებმა სახელმწიფო საზღვრის გასწვრივ თავდაცვითი რაიონი მოამზადეს, გააძლიერეს სასაზღვრო საგუშაგოები, მეთვალყურეობა და გუშაგობა. 406-ე დივიზიის ფრონტზე თურქებს ქვეითთა ორი პოლკი ჰყავდათ განლაგებული.

არდაგანის რაიონში განლაგებული იყო ქვეითთა პირველი პოლკი, პირველი საარტილერიო პოლკი და პირველი მძიმე საარტილერიო პოლკი.

2. მარჯვნივ სახელმწიფო საზღვარს იცავდა მე-9 სამთო-მსროლელი დივიზია, რომლის ამოცანას შეადგენდა ბათუმის გამაგრებული რაიონისა და სახელწიფო საზღვრის დაცვა, რათა საქართველოს ტერიტორიაზე არ დაეშვა მოწინააღმდეგის შემოჭრა.

მასთან საზღვარი იყო: ხაშური, ქართლ-იმერეთის ქედი, აბასთუმანი და გოდერძის უღელტეხილი.

მარცხნივ 236-ე მსროლელი დივიზია იყო განლაგებული, რომელთანაც საზღვარი იყო: ბაშკიჩეთი, მადატალინსკის ტბა და უჩ-ტაპალიარის მთა.

3. 406-ე ქართულ მსროლელ დივიზიას 82-ე ცალკე ქვეითთა ბატალიონთან, 457-ე საარტილერიო პოლკის მე-2 დივიზიონთან და სხვა ქვედანაყოფებთან ერთად თავდაცვა

ეკავა ფრონტის ხაზზე – სიმაღლე 1194 (გრმანი თლილის მთა), უჩ-ტაპალიარის მთა, ახალქალაქი, ახალციხე. შენაერთის საბრძოლო ამოცანას შეადგენდა – არ დაეშვა მოწინააღმდეგის შემოჭრა საქართველოს ტერიტორიაზე. მტრის შემოჭრის შემთხვევაში გაენადგურებინა იგი და დაეცვა ოპერატიული მიმართულება: ა) არდაგანი, ახალციხე, ბორჯომი, თბილისი, ბ) არდახანი, ზურზუნა, ახალქალაქი, ბორჯომი, თბილისის. გ) ზურზუნა, ბოგდანოვკა, წალკა, თბილისი.

თავდაცვის მოწინავე ხაზი გადიოდა სახელმწიფო საზღვრის გასწვრივ.[80]

საბრძლო ამოცანის უფრო წარმატებით შესრულებისათვის გადაწყდა თავდაცვის ზოლის სამ უბნად განაწილება.

№1 უბნის უფროსად დაინიშნა 668-ე მსროლელი პოლკის მეთაური, მაიორი კორობოვი, სამხედრო კომისრად ამავე პოლკის სამხედრო კომისარი, უფროსი პოლიტხელი გორჩაკოვი.

№1 უბნის დამცველი ძალების შემადგენლობა ასეთი იყო: 668-ე მსროლელი პოლკი (მე-9 ასეულისა და მე-3 ასეულის ერთი ოცეულის გარეშე), 692-ე საარტილერიო პოლკის მეორე დივიზიონი, მეტყვიამფრქვევეთა მე-4 ასეული და ერთი კომენდატურა 38-ე სასაზღვრო რაზმის პირველიდან მე-8 ზასტავის ჩათვლით. დივიზიის თავდაცვის ზოლის №1 უბნის დამცველი ძალების საბრძოლო ამოცანას შეადგენდა არ დაეშვათ მოწინააღმდეგის შემოჭრა საქართველოს ტერიტორიაზე, ხოლო შემოჭრის შემთხვევაში გაენადგურებინათ მტერი და დაეცვათ არდაგან, ახალციხის, ბორჯომისა და თბილისის ოპერატიული მიმართულება.

668-ე მსროლელი პოლკის მე-9 ასეული ორი ქვემეხით და მეტყვიამფრქვევეთა მე-3 ასეულის ერთი ოცეული და მესანგრეთა ათეული უნდა გამაგრებულიყო გოდერძის უღელტეხილზე.

მსროლელთა მე-3 ასეულის პირველი ოცეული მეტყვიამფრქვევეთა პირველი ასეულის ოცეული უნდა განლაგებულიყო არილიან-ბაშის მთის მიდამოებში, სადაც მეზღვაურთა პირველი კომენდატურის მე-7 და მე-8 სასაზღვრო ზასტავებთან ურთიერტმოქმედებით მოწინააღმდეგის შემოჭრას დივიზია არ დაუშვებდა არილას მხრიდან.[81]

406-ე ქართული მსროლელი დივიზიის თავდაცვის ზოლის №2 უბნის უფროსად დაინიშნა 660-ე მსროლელი პოლკის მე-3 ბატალიონის მეთაური, კაპიტანი ხაჩატურიანი, სამხედრო კომისრად, უფროსი პოლიტხელი ბეჟანიანი.

№2 უბნის დამცველ ძალებში შედიოდა: 660-ე მსროლელი პოლკის მესამე ბატალიონი (მე-9 ასეულის გარეშე), მეტყვიამფრქვევეთა მე-2 ასეული და 38-ე სასაზღვრო რაზმის მე-2 კომენდატურა 9-დან მე-3 ზასტავის ჩათვლით. მათ საბრძოლო ამოცანას შეადგენდა არ დაეშვათ საქართველოს ტერიტორიაზე თურქეთის ჯარების შემოსვლა და მათი გაჭრა ურაველისა და ტოლოშის მიმართულებით. ამ ტერიტორიაზე შემოჭრის შემთხვევაში №2 უბნის დამცველ ძალებს უნდა გაენადგურებინათ მტერი და უზრუნველეყოთ შესაყარი პირველ და მეორე უბნებს შორის.

მარცხნივ სასაზღვრო ზოლს მდინარე მტკვარი წარმოადგენდა.[82]

დივიზიის თავდაცვის ზოლის №3 უბნის უფროსი იყო 662-ე მსროლელი პოლკის მეთაური, პოდპოლკოვნიკი

კრასკოვი, პოლკის სამხედრო კომისარი, ბატალიონის სამხედრო კომისარი მანუჩარიანი.

№3 უბნის დამცველ ძალებში შედიოდა: 662-ე მსროლელი პოლკი, 962-ე საარტილერიო პოლკის ერთი დივიზიონი, 82-ე მეტყვიამფრქვევეთა ცალკე ბატალიონის მეტყვიამფრქვევეთა პირველი და მე-3 ასეულები, 38-ე სასაზღვრო რაზმის მე-3 კომენდატურა მე-14 და მე-20 ზასტავების ჩათვლით, 660-ე მსროლელი პოლკი (მე-3 ბატალიონის გარეშე), ორი 76 მილიმეტრიანი ქვემეხი და მთავარსარდლობის რეზერვის 457-ე საარტილერიო პოლკის მე-2 დივიზიონი. ამ ძალების ამოცანას შეადგენდა – არ დაეშვა მოწინააღმდეგის შემოჭრა ჩვენს ტერიტორიაზე, ხოლო შემოჭრის შემთხვევაში მათი განადგურება.

№3 უბნის ძალებს უნდა დაეცვათ ოპერატიული მიმართულება: ა) ზურზუნა, ახალქალაქი, ბორჯომი, თბილისი, ბ) ზურზუნა, ბოგდანოვკა, წალკა, თბილისი.

მეორე ეშელონში მყოფი 660-ე პოლკი განლაგდებოდა შემდეგ რაიონებში: კარცეპი, ოკამი, ინიაკი, 1188 სიმაღლე, კურიდოდეში და კულალისი.

660-ე მსროლელი პოლკის მეთაურს ევალებოდა – თავდაცვის ზოლის №1 და №3 უბნის შესაყრის უზ-რუნველსაყოფად ა) მე-7 და მე-8 მსროლელთა ასეულებს, მეტყვიამფრქვევეთა მე-3 ასეულს მე-3 ბატალიონის მეთაურისა და სამხედრო კომისრის ხელმძღვანელობით გამოეყო და განელაგებინა №2 უბანზე.

ბ) მსროლელთა მე-9 ასეული მეტყვიამფრქვევეთა მე-3 ასეულის პირველ ოცეულთან და მე-2 ქვემეხთან ერთად განელაგებინა 989.7 სიმაღლის მიდამოებში, რათა მოწინააღმდეგისაგან დაეცვა ბოგდანოვკის მისადგომები და პოლკის ზურგის ნაწილები.[83]

არტილერიის ამოცანას შეადგენდა: ა) არ დაეშვა მოწინააღმდეგის ცოცხალი ძალისა და ტანკების თავმოყრა გეკის, წყაროსთავის, იაილიას, ჩამდრას, 1164.5 სიმაღლისა და გეკ-დაგის მთიდან 2 კმ-ით დაშორებულ საგუშაგოს მიდამოებში.

ბ) წყაროსთავის, კარზახის, კონარბელის, იაილიას, ხაზანინისა და კარზახის რაიონებში შეექმნა ტანკსაწინააღმდეგო საზენიტო-საარტილერიო მომზადება.

გ) მხარი დაეჭირა 660-ე მსროლელი პოლკის კონტრშეტევებისათვის: ა) ოკამის, ხავეტის, მურაკვალის, ბ) კურიდადეშის, იაილიასა და ხოზაპინის მიმართულებით.[84]

ამ ბრძანებიდან კარგად ჩანს 406-ე მსროლელი დივიზიისადმი დაკისრებული მეტად საპასუხისმგებლო საბრძოლო დავალება.

მიღებული საბრძოლო ამოცანის შესაბამისად, როგორც უკვე აღვნიშნეთ, შენაერთის ნაწილები რამდენიმე ჯგუფად იყვნენ განლაგებული. მეთაურთა შემადგენლობა გულდასმით სწავლობდა თავდაცვის განკუთვნილ უბნებსა და სათანადო საშტაბო-საწვრთნელ ვარჯიშს გადიოდა. სპეციალურ ტაქტიკურ სწავლებას გადიოდა შენაერთის პირადი შემადგენლობა.

დივიზიის თავდაცვისათვის განკუთვნილი ტერი-ტორიის მთელ ზოლში სახელმწიფო საზღვრიდან ღრმა ზურგამდე საკუთარი ძალებისა და ადგილობრივი მოსახლეობის მონაწილეობით აიგო და განუწყვეტლივ უმჯობესდებოდა სათანადო საველე თავდაცვითი საფორტიფიკაციო ნაგებობანი და პოზიციები ტრანშეების, ტანკსაწინააღმდეგო თხრილების, ძელმიწურების, ღია საცეცხლე წერტილების, მძლავრი საყრდენი პუნქტების მთელი სისტემების სახით. ამ დიდი მასშტაბის სამუშაოთა შესრულებისას დივიზიისა და მისი ნაწილების სარდლობა

მუდამ გრძნობდა პარტიული და საბჭოთა ორგანოების, ადგილობრივი მოსახლეობის ყურადღებასა და აქტიურ მხარდაჭერას.[85]

გერმანელ ფაშისტთა საჰაერო დესანტებისა და დივერსიული ჯგუფების შესაძლებელი გადმოსხმისას გადამწყვეტი და ქმედითი მოქმედებისათვის დივიზიის მეთაურის გ.ყუფარაძის 1942 წლის 3 აგვისტოს ბრძანებით დაისახა კონკრეტული ღონისძიებანი. დადგინდა განსაკუთრებით საშიში უბნები, რომლებზეც პასუხისმგებლად დაინიშნა სათანადო ნაწილების მეთაურები. ამასთან, საჰაერო დესანტებისა და დივერსიული ჯგუფების წინააღმდეგ ბრძოლაში დივიზიის ნაწილებს უნდა ემოქმედათ ადგილობრივი მოსახლეობის ბაზაზე შექმნილი გამანადგურებელი ბატალიონებისა და შინსახკომის ორგანოების მხარდამხარ. ამავე მიზნით ჩამოყალიბდა სპეციალური მოძრავი რაზმები, რომელთა მუდმივი მზადყოფნისათვის პასუხისმგებლობა ეკისრებოდათ საჰაერო თავდაცვის უბნებისა და რაიონების უფროსებს (ნაწილების მეთაურებს). დივიზიის განლაგების მთელ ტერიტორიაზე სახელმწიფო საზღვრის გასწვრივ და მის სიღრმეში განსაკუთრებით სახიფათო მიმართულებებზე მოეწყო სათვალთვალო, შეტყობინებისა და მეკავშირეთა საგუშაგოები. შეადგინეს არტილერიისა და საზენიტო საშუალებათა გაშლისა და გამოყენების გეგმა. დივიზიის შტაბმა დაამუშავა მტრის საჰაერო დესანტებისა და დივერსიული ჯგუფების დაუყოვნებლივ ლიკვიდირების გეგმა-ღონისძიებანი.

1942 წლის 8 მაისის ბრძანების საფუძველზე დივიზიის ნაწილების ხარჯზე ჩამოყალიბდა ორი საარმიო და ერთი სადივიზიო გადამღობი რაზმები, რომელთა მეთაურებად

დაინიშნენ მაიორი ნ.ხაჩიძე, ლეიტენანტი ა.ბიჯალოვი და უმცროსი ლეიტენანტი კ.ჯინჯოლია. ამ რაზმების პირად შემადგენლობაში ჩარიცხეს გულადი, მტკიცე ნებისყოფისა და მაღალ-დისციპლინირებული მებრძოლები და საქმის მცოდნე ოფიცრები. რაზმების საბრძოლო წვრთნა განსაკუთ-რებული პროგრამით წარმოებდა. ისინი მუდამ მზად-ყოფნაში უნდა ყოფილიყვნენ მტერზე უეცარი დარტყმისა და მისი განადგურებისათვის.

დივიზიის განლაგების მთელ სიგრძეზე საგანგებო ბრძანებით ფხიზელი კონტროლი დაწესდა ტრან-სპორტისა და ხალხის მოძრაობაზე, რისთვისაც შემოღებულ იქნა საშვებისა და პაროლის სისტემა.[86]

406-ე ქართულ მსროლელ დივიზიაში დიდი სამამულო ომის მთელი პერიოდის განმავლობაში, დიდი ყურადღება ექცეოდა პარტიულ-პოლიტიკურ მუშაობას. თუ როგორ მიმდინარეობდა შენაერთში ეს მუშაობა, ეს კარგად დასტურდება ხელმღვანელ ინსტანციებში გაგაზავნილი პოლიტმოხსენებების გაცნობით, მაგალითად, 45-ე არმიის პოლიტგან-ყოფილების უფროსის. პოლკის კომისარ მაისაიას სახელზე გაგზავნილ პოლიტმოხსენებაში, რომელშიც 1941 წლის 23 დეკემბრიდან 1942 წლის 10 იანვრამდე პერიოდისათვის გაწეული მუშაობაა დახასიათებული, ნათქვამი იყო: “დიდი სამამულო ომის ფრონტის ყველა უბანზე წითელი არმიის წარმატება და გერმანელ-ფაშისტ დამპყრობლებისაგან ქალაქების ქერჩის, ფეოდოსიის და მრავალი სხვა დასახლებული პუნქტის განთავისუფლებამ მთელი პირადი შემადგენლობის სიხარული გამოიწვია. მებრძოლები, მეთაურები და პოლიტმუშაკები განსაკუთრებული ენთუზიზმით ჩაებნენ პოლიტიკურ მომზადებაში. მაგალითად, 962-ე საარტილერიო პოლკის მე-2 ბატარეის წითელარმიელი,

1923 წელს დაბადებული მიხეილ კალინინი თავის მოხსენებაში წერდა: “ამჟამად ჩემი 6 ძმა და მამა მოქმედი წითელი არმიის რიგებში იმყოფებიან. პოლკის სარდლობას ვთხოვ ფრონტზე გამგზავნოს ჩემს ძმებთან და მამასთან. ჩვენ ერთად მოვსპობთ გერმანელ ფაშისტებს.”[87]

406-ე ქართული მსროლელი დივიზიის ნაწილებსა და ქვედანაყოფებში დიდი ყურადღება ეთმობოდა საბრძოლო მომზადებაში დაოსტატებას. ასე მაგალითად, შენაერთის ერთ-ერთმა მსროლელმა ბატალიონმა საბრძოლო სროლაში საუკეთესო მაჩვენებლებს მიაღწია. მაგალითად, პირველი სავარჯიშოთი გათვალისწინებულ დაწყებით სროლაში ბატალიონის პირადი შემადგენლობიდან მონაწილეობდა 379 კაცი, რომელთაგან ფრიადზე ისროლა 148 კაცმა, კარგზე – 118, საშაულოზე – 72, ცუდად 41. შესრულების საერთო პროცენტმა 89% შეადგინა.

პირველი სავარჯიშო გათვალისწინებულ სროლა-ში 35 კომუნისტი მონაწილეობდა, რომელთაგან 28 ფრიადზე ისროლა, ხუთმა – კარგზე, ერთმა საშუალოზე და ერთმა ცუდად.

მეორე სავარჯიშოთი გათვალისწინებულ სროლა-ში 21 კომუნისტი მონაწილეობდა, რომელთაგან 17-მა ფრიადზე ისროლა, სამმა კარგზე, ერთმა საშუალოზე, შესრულების საერთო შედეგი 100% იყო.[88]

406-ე ქართულ მსროლელ დივიზიაში სათანადო ყურადღება ეთმობოდა მებრძოლებისა და მეთაურების სკკპ რიგებში მიღებას. ასე მაგალითად, 1941 წლის 26 აგვისტოდან ე.ი. დივიზიის შექმნიდან 1942 წლის 21 იანვრამდე შენაერთის პარტიულმა ორგანიზაციებმა სკკპ რიგებში მიიღეს 50 კაცი, მათ შორის 19 მიღებული იქნა 82-ე ცალკე მეტყვიამფრქვევეთა ბატალიონიდან, რომელიც დივიზიის ოპერატიულ დაქვემდებარებაში იმყოფებოდა.

სკკპ რიგებში მიღებული 50 კაციდან რიგითთა შემადგენლობის იყო 18, უმცროს მეთაურთა შემად-გენლობიდან – 19, მეთაურთა შემადგენლობიდან – 13.

სკკპ რიგებში მიღების საქმე შედარებით ცუდად იყო ორგანიზებული 660-ე და 662-ე მსროლელ პოლკებში.

1942 წლის თებერვალში დაიწყო 406-ე მსროლელი დივიზიის ქართულ ეროვნულ შენაერთად ფორმირება, რაც პირადი შემადგენლობის დიდ მოწონებას იწვევდა, განსაკუთრებით კი მათი მხრივ ვინც რუსულ ენას ცუდად ფლობდა. მათ შესაძლებლობა ეძლეოდათ საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებაში პროგრამები სწრაფად აეთვისებინათ და შეიარაღებული ძალების ღირსეული მეომრები გამხდარიყვნენ.[89]

406-ე მსროლელი დივიზიის ქართულ ეროვნულ შენაერთად ჩამოყალიბების შემდეგ 1942 წლის 23 ოქტომბრისათვის შენაერთის პირადი შემადგენლობა ეროვნული ნიშნის მიხედვით ასე გამოიყურებოდა:

ეროვნული შემადგენლობა	მთლიანად მეომართა რაოდენობა	პროცენტებით პირადი შემადგენლობის საერთო რაოდენობა	მათ შორის		
			უმცროს მეთაურთა შემადგენლობა	რიგითთა შემადგენლობა	საშ. და უფროს მეთაურთა შემადგენლობა
ქართველები	10141	94.7	2299	6980	862
რუსები	178	1.7	24	33	121
უკრაინელები	75	0.8	14	18	40
ბელორუსები	147	0.07	19	114	14
სომხები	15	1.3	12	2	1

ყაზახები	2	0.1	-	-	2
ებრაელები	37	0.01	4	22	11
დაღესტნელები	10	0.3	1	9	1
ლატვიელები	1	0.06			
სხვადასხვა ეროვნების		0.006			
წარმომადგენლები	213	1.9	18	182	13
მთლიანად	10826	100%	2395	7361	1070[90]

406-ე ქართულ მსროლელ დივიზიაში მრავალმა მებრძოლმა, მეთაურმა და პოლიტმუშაკმა დაიმსახურა მათავრობის სხვადასხვა ჯილდო.

წითელი დროშის ორდენით დაჯილდოვდნენ: მაიორი ს.გეგუჩაძე, პოდპოლკოვნიკები: ვ. ერმაკოვი, ჯულუხიძე, ვ. კვიჩიძე (თუ კვიჭიძე), ი. სოსელია და ს. ნიკოლაევი, პოლკოვნიკები: ლ. გოგატიშვილი, ა. კორშუნოვი, კ. მამარდაშვილი, პ. ჩხობაძე, ბ. კოთაძე, მაიორები: ა. გაბუნია, ს. ბუაძე, ს. გეგუჩაძე, ვ. კოხრეიძე, დ. ლესელიძე, თ. სოხოვევი, ვ. თვალაბეიშვილი, ს. ხოლნოვსკი, ა. კაკაბაძე და შ. ნიკოლაიდი, კაპიტნები: ბ. ახვლედიანი, პ. სულუშჩუკი, ა. ცომაია, დ. ჭეიშვილი, ს. კიკვაძე და სხვები.[91]

406-ე ქართული მსროლელი დივიზიის ნაწილების საბრძოლო მზადყოფნას ხშირად ამოწმებდნენ და ეცნობოდნენ საქართველოს ხელისუფლების პასუხისმგებელი მუშაკები, ამიერკავკასიის ფრონტის სარდალი ი.ტიულენევი, 46-ე არმიის სარდლობა, მე-3 (მე-12) კორპუსის მეთაურები და სხვები.

406-ე ქართულმა მსროლელმა დივიზიამ მეორე მსოფლიო ომის დამთავრებამდე იარსება. მისი პირადი შემადგენლობა კადრის ოფიცრების გარდა შრომის ფრონტს

დაუბრუნდა.[93] შენაერთმა არსებობა შეწყვიტა. მიუხედავად იმისა, რომ მან მხოლოდ რამდენიმე წელს იარსება, ქვეყნისათვის ყველაზე მკაცრი განსაცდელის ჟამს, საიმედოდ იცავდა საბჭოთა კავშირ-თურქეთის სახელმწიფო საზღვარს. მკაცრი სამხედრო დისციპლინითა და მუდმივი საბრძოლო მზადყოფნით შენაერთმა დაიმკვიდრა ადგილი მეორე მსოფლიო ომის პერიოდის საქართველოს ისტორიაში.

თავი V

ქართული ეროვნული დივიზიები ომისშემდგომ პერიოდში (1946-1956 წწ)

§ 1. ქართული მსროლელი დივიზიების რეორგანიზაცია.

გერმანია-საბჭოთა კავშირის ფრონტზე მოქმედი ქართული ეროვნული დივიზიების ნაწილი – 224-ე, 386-ე და 388-ე დივიზიები ომის პირველსავე ეტაპზე განადგურდნენ და საბჭოთა შეიარაღებული ძალების რიგებიდან ამოირიცხნენ.

ქართული ეროვნული შენაერთების ერთი ჯგუფი სამამულო ომის ბოლო დღეებამდე გმირულად იბრძოდა, რომელთა უმეტესობა 1945-1947 წლებში დაიშალა. მათი პირადი შემადგენლობა და საბრძოლო ტექნიკა სხვა

დივიზიებსა და ნაწილებს გადას-ცეს დასაკომპლექტებლად.

ქართული დივიზიების ერთი ნაწილი ომის მთელი პერიოდის განმავლობაში საბჭოთა კავშირ-თურქეთის სახელმწიფო საზღვარს იცავდა.

იმ ქართული ეროვნული შენაერთებიდან, რომლებთაც ომის შემდგომ პერიოდში გააგრძელეს არსებობა, უნდა დავასახელოთ 414-ე, 392-ე და 296-ე ქართული მსროლელი დივიზიები.

ყირიმში გერმანელ-ფაშისტთა წინააღმდეგ ბრძოლების დამთავრების შემდეგ ანაპის სახელობის 414-ე წითელდროშოვანი ქართული მსროლელი დივიზია 1944 წლის 22 მაისს 55-ე მსროლელი კორპუსის მეთაურის დაქვემდებარებაში გადავიდა.[1] დივიზიის როგორც უმაღლესი მთავარსარდლის რეზერვის ძირითადი მიზანი იყო სასაზღვრო დაცვის სამსახურის შესრულება და ფრონტზე გამგზავრებისათვის მუდმივ საბრძოლო მზადყოფნის შენარჩუნება.

ყირიმის განთავისუფლებისთანავე ფრონტზე დაუყოვნებლივ გაიგზავნა 414-ე დივიზიის 1953-ე საარტილერიო პოლკის სრულყოფილი, ერთ-ერთი მოწინავე მე-3 ბატარეა, რომელიც ომის დამთავრებამდე იბრძოდა.

დივიზიიდან ფრონტზე გაგზავნა აგრეთვე მრავა-ლი ქართველი ოფიცერი, მათ შორის 1367-ე სევასტოპოლის სახელობის მსროლელი პოლკის მეთაური, პოლკოვნიკი ენუქი ქანთარია, რომელიც დაინიშნა ბრიგადის მეთაურად. იბრძოდა ომის ბოლომდე, დაიმსახურა ორი ორდენი, ხოლო ომის შემდეგ ქ.დროგობიჩის საპატიო მოქალაქედ აირჩიეს.[2]

1944 წლის 25 მაისიდან 26 ივნისამდე 414-ე მსროლელი დივიზია საბრძოლო მომზადებაში მეცადინეობდა, ხოლო იმავე წლის 1 ივლისიდან ზღვისპირეთის ცალკე არმიის სარდლის ბრძანებით სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების შესრლებას შეუდგა.

სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების დამთავრების შემდეგ 1944 წლის 31 ივლისიდან დივიზიის ნაწილებმა თავინთი განლაგება ნაწილობრივ შეცვალეს.[3]

1945 წლის 30 აგვისტოდან 414-ე ანაპის სახელობის წითელდროშოვანი მსროლელი დივიზია ახალ საშტატო ერთეულზე გადავიდა. ამასთან დაკავშრებით ახალი საშტატო ერთეულით გაუთვალისწინებელი ნაწილები: 235-ე მზვერავთა ცალკე ასეული, 222-ე ქიმიური დაცვის ცალკე ასეული, 479-ე საველე პურსაცხობი, 518-ე სამედიცინო-სანიტარული ბატალიონი, 580-ე სადივიზიო ვეტლაზარეთი და 568-ე ცალკე ავტოასეული დაიშალა. ამ ქვედანაყოფების პირადი შემადგენლობა დივიზიის ნაწილების შესავსებად გამოიყენეს, ხოლო მატერიალური ნაწილი საოლქო საწყობებს ჩაბარდა.[4]

1945 წლის 20 დეკემბერს წითელი არმიის გენერალური შტაბის დირექტივის შესასრულებლად 414-ე მსროლელი დივიზიის ნაწილები რკინიგზის ეშელონებზე დატვირთეს გასამგზავრებლად.

1946 წლის 1 იანვარს ეშელონების გადმოტვირთვა დამთავრდა და დივიზიის ნაწილები ასე განლაგდნენ: დივიზიის შტაბი, 1367-ე მსროლელი პოლკი, მსროლელთა ცალკე სამოსწავლო ბატალიონი, 606-ე საარტილერიო ბრიგადის სამმართველო, 1053-ე საარტილერიო პოლკი, 443-ე ცალკე ტანკსაწინააღმდეგო გამანადგურებელი დივიზიონი, 920-ე მეკავშირეთა ცალკე ბატალიონი, 347-ე ცალკე მესანგრეთა ბატალიონი დაბანაკდნენ გორში. 1371-ე

მსროლელი პოლკი თბილისში განლაგდა, ხოლო 1375-ე მსროლელი პოლკი – მანგლისში.[5]

1946 წლის იანვარში 414-ე ქართულ-მსროლელ დივიზიას შეურთდა 296-ე ქართული მსროლელი დივიზიის ნაწილები. 296-ე მსროლელი დივიზიის 962-ე პოლკს, რომელიც დისლოცირებული იყო გორში დაშლის მომენტისათვის თავის რიგებში ჰყავდა 156 ოფიცერი, 354 სერჟანტი და 1125 რიგითი მებრძოლი, სულ 1635 კაცი. ამ პოლკის რიგითთა და სერჟანტთა შემადგენლობა 414-ე მსროლელი დივიზიის 1367-ე პოლკს გადაეცა შემდგომი სამსახურის გასავლელად.[6]

296-ე მსროლელი დივიზიის 964-ე პოლკს, რომელიც დისლოცირებული იყო თბილისში, დაშლის მომენტისათვის თავის რიგებში ჰყავდა 172 ოფიცერი, 324 სერჟანტი და 1005 რიგითი, სულ 1501 კაცი. ამ პოლკის რიგითთა და სერჟანტთა შემადგენლობა შემდგომი სამსახურის გასავლელად 414-ე მსროლელი დივიზიის 1371-ე პოლკს გადაეცა.[7]

296-ე მსროლელი დივიზიის 966-ე პოლკი, რომელიც მანგლისში იმყოფებოდა, თავის რიგებში ითვლიდა 136 ოფიცერს, 274 სერჟანტს და 1216 რიგითს, სულ 1626 კაცს. შემოწმების შემდეგ მე-18 არმიის ჯარებისადმი 1945 წლის 13 დეკემბერს გაცემული ბრძანების შესაბამისად 966 პოლკის პირადი შემადგენლობა გადაეცა 414-ე დივიზიის 1375-ე პოლკს.[8]

296-ე მსროლელი დივიზიის 813-ე ქვემეხთა საარტილერიო პოლკი, რომელიც გორში იყო დაბანაკებული, თავის რიგებში ითვლიდა 66 ოფიცერს, 77 სერჟანტს და 217 რიგითს, სულ 360 კაცს.[9] ამ პოლკის პირად შემადგენლობა როგორც სავარაუდებელია, უნდა

გადასცემოდა 414-ე დივიზიის 1053-ე საარტილერიო პოლკს.

296-ე მსროლელი დივიზიის 322-ე ცალკე ტანკსაწინააღმდეგო გამანადგურებელი დივიზიონი, რომელიც დაშლის მომენტისათვის გორში იმყოფებოდა, თავის რიგებში ითვლიდა 16 ოფიცერს, 38 სერჟანტს და 52 რიგითს, სულ 106 კაცს.[10] სავარაუდებელია, რომ ამ დივიზიონის პირადი შემადგენლობა 414-ე დივიზიის შესაბამის სპეცქვედანაყოფს უნდა გადასცემოდა.

296-ე მსროლელი დივიზიის სამმართველო, რომელიც დაშლის მომენტისათვის გორში იმყოფებოდა, თავის რიგებში ითვლიდა 60 ოფიცერს, 13 სერჟანტს და 36 რიგითს, სულ 100 კაცს.[11] უნდა ვივარაუდოთ, რომ 296-ე მსროლელი დივიზიის სამმართველო, ისე როგორც მისი სხვა ნაწილები და ქვედანაყოფები 414-ე დივიზიას უნდა გადასცემოდა.

მე-18 არმიის მე-12 მსროლელი კორპუსის შემადგენლობაში ყოფილი 296-ე მსროლელი დივიზიიდან შევიდა 2323-ე საჰაუბიცო-საარტილერიო პოლკი, 127-ე გვარდიული ჩერნოვიცკის სახელობის წითელ-დროშოვანი, სუვოროვის, კუტუზოვისა და ბოგდან ხმელნიცკის ორდენოსანი 477-ე სამთო-საჭაპანო ნაღმსატყორცნთა პოლკი, 567-ე ცალკე საზენიტო-საარტილერიო დივიზიონი, რომლებიც 414-ე მსროლელ დივიზიას შეუერთდნენ და ქ. გორში დისლოკაციის ადგილზე 1946 წლის 20 თებერვალს ჩავიდნენ.

დივიზიის ფორმირება მიმდინარეობდა შტატით. ამასთან დაკავშირებით 2323-ე საჰაუბიცო-საარტილერიო პოლკი. 477-ე სამთოსაჭაპანო ნაღმსატყორცნთა პოლკი და 606-ე საარტილერიო-ბრიგადის სამმართველო დაიშალა,

ხოლო მათი პირადი შემადგენლობა დასაკომპლექტებლად დივიზიის სხვა ნაწილებს გადაეცა.[12]

მე-18 არმიის სარდლის ბრძანების შესასრულებლად დივიზიის შტაბი, 1367-ე მსროლელი პოლკი, 920 ცალკე მეკავშირეთა ბატალიონი, 568 ცალკე ავტოასეული, 479-ე საველე პურსაცხობი, 2323-ე საჰაუბიცო-საარტილერიო პოლკი, 567-ე ცალკე საზენიტო-საარტილერიო დივიზიონი, 443-ე ცალკე ტანკსაწინააღმდეგო გამანადგურებელი დივიზიონი თბილისში გადაიყვანეს, ხოლო 518-ე ცალკე სამედიცინო-სანიტარული ბატალიონი, 347-ე ცალკე მესანგრეთა ბატალიონი და მსროლელთა ცალკე სამოსწავლო ბატალიონი ავჭალის ბანაკში განლაგდნენ.

მე-18 არმიისა და მე-12 მსროლელი კორპუსის სამმართველოების დაშლის გამო 414-ე მსროლელი დივიზია ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის დაქვემდებარებაში გადავიდა. დივიზიის მეთაური, გენერალ-მაიორი ვ.ძაბახიძე გაწვეულ იქნა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭოს მიერ. 1946 წლის 1 ივლისს დივიზიის მეთაურის თანამდებობაზე დაინიშნა გვარდიის გენერალ-მაიორი მ.მიქელაძე.[13]

1946 წლის 20 ოქტომბერს დივიზიის ნაწილები: დივიზიის შტაბი, 1053-ე საარტილერიო პოლკი, 920-ე ცალკე მეკავშირეთა ბატალიონი, 443-ე ცალკე ტანკსაწინააღმდეგო გამანადგურებელი დივიზიონი და 127-ე გვარდიული საარტილერიო დივიზიონი ზამთრის ბინებში №18 სამხედრო ქალაქში დაბანაკდნენ. შენაერთის დანარჩენი ნაწილები კვლავინდებურად ძველ ადგილებზე იყვნენ განლაგებული.

საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს 1947 წლის დადგენილებითა და წითელი არმიის გენერალური შტაბის

უფროსის 1947 წლის 20 თებერვლის დირექტივით 414-ე და 392-ე მსროლელი დივიზიები ერთ დივიზიად შეერთდნენ, რომელსაც ეწოდა ანაპის სახელობის 414-ე წითელდროშოვანი მსროლელი დივიზია.[14]

1947 წლის 20 აპრილს 414-ე მსროლელი დივიზია შტატით ჩამოყალიბდა. დივიზიაში შემავალ ნაწილებს მიეკუთვნა ნომერი და სახელწოდება. 414-ე მსროლელი დივიზია წარმოდგენილი იყო ამჯერად სამმართველოთი. 1371-ე და 1375-ე მსროლელი პოლკებით, 1053-ე საარტილერიო პოლკით, 955-ე საჰაუბიცო-საარტილერიო პოლკით, 22-ე სატანკო თვითმავალი ქვემეხების პოლკით, 443-ე ცალკე ტანკსაწინააღმდეგო გამანად-გურებელი დივიზიონით, 567-ე ცალკე საზენიტო საარტილერიო ბატალიონით, 920-ე ცალკე მეკავშირეთა ბატალიონით, 347-ე ცალკე სამედიცინო-სანიტარლი ბატალიონით, დივიზიის არტილერიის სერჟანტთა შემადგენლობა, დივიზიის არტილერიის სარდლის ოცეული, საარტილერიო-საინსტრუმენტო დაზვერვის ბატარეა, 568-ე ავტოასეული, ქიმიური დაცვის ოცეული და დივიზიის ავტოსარემონტო სახელოსნო განლაგებული იყვნენ ქ.ბათუმში, 1367-ე მსროლელი პოლკი – ქუთაისში. დივიზიის მეთაურის თანამდებობაზე დაინიშნა გენერალ-მაიორი გ.ყუფარაძე. 414-ე მსროელი დივიზიის დასაკომპლექტებლად გაიგზავნა პირადი შემადგენლობა, შეიარაღება, საბრძოლო მასალა და საბრძოლო ტექნიკა, ავტოტრანსპორტი, 392-ე და 414-ე მსროლელი დივიზიების ყველა სხვა დანარჩენი ქონება.[15]

დივიზიის არტილერიის სერჟანტთა შემადგენლობა 1948 წლის 3 დეკემბერს 1053-ე საარტილერიო პოლკში ჩაირიცხა.

სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის 1948 წლის 28 ივლისის დირექტივის შესაბამისად 122-ე ცალკე მოტოციკლეტთა ბატალიონი 1948 წლის 25 აგვისტოს გადაყვანილ იქნა ქ.მახარაძეში (დღევანდელი ოზურგეთი).[16]

1951 წლის 15 მაისს 1367-ე მსროელი პოლკი ქ.ქუთაისიდან გადაყვანილი იქნა ბათუმში.[17]

1953 წლის დეკემბერში დაიშალა დივიზიის სამხედრო პროკურატურა, რომლის პირადი შემადგენლობა გარნიზონების სამხედრო პროკურორებით დასაკომპლექტებლად გამოიყენეს.[18] ამავე დროს დაიშალა დივიზიის არტილერიის სარდლის ორკესტრი.

1956 წლის 30 აპრილიდან ანაპის სახელობის 414-ე წითელდროშოვანი მსროლელი დივიზია იწოდებოდა ანაპის სახელობის 74-ე წითელდროშოვან მსროლელ დივიზიად.[19]

§2. 414-ე ქართული მსროლელი დივიზიის სამსახური ამიერკავკასიის სამხედრო ოლქში.

მას შემდეგ რაც 414-ე დივიზიამ გერმანელ-ფაშისტთა წინააღმდეგ საბრძოლო მოქმედებანი დაამთავრა, მთავარი ყურადღება ეთმობოდა საბრძოლო მომზადებას.

1945 წლის 27 სექტემბრიდან 6 ოქტომბრამდე მიმდინარეობდა 414-ე ქართული მსროლელი დივიზიის ნაწილების საინსპექტორო შემოწმება.

შემოწმებისას დამაკმაყოფილებელი შედეგები აჩვენა 1371-ე მსროლელმა პოლკმა (მეთაური ნადირაძე) და 1375-ე მსროლელმა პოლკმა (მეთაური უთურგაული). სუსტი შედეგი აჩვენა 1367-ე მსროლელმა პოლკმა (მეთაური ბაჯელიძე).[20]

დივიზიის ნაწილების ოფიცერთა შემადგენლობა კეთილსინდისიერად ასრულებდა თავის სამსახურეობრივ მოვალეობას, რითაც თავიანთი ქვედანაყოფები საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებაში კარგი შედეგებით უზრუნველჰყვეს. ამიტომ ოფიცერთა შემადგენლობიდან 10 კაცი ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვდა, მათ შორის: 1375-ე მსროლელი პოლკის მეთაურის მოადგილე, პოდპოლკოვნიკი დ.ფანცხავა, 22-ე სატანკო თვითმავალი ქვემეხების პოლკის მეთაურის მოადგილე, მაიორი ი.ლეპსაია, 1371-ე მსროლელი პოლკის საპოლკო სკოლის ოცეულის მეთაური, ლეიტენანტი ვ.გოგოლაძე.

1367-ე მსროლელი პოლკის მსროლელთა ოცეულს – მსროლელთა გუნდების საოლქო შეკრების მონაწილესა და მსროლელთა საოლქო შეჯიბრების მონაწილეს შესანიშნავად ჩატარებული ტაქტიკური წვრთნისა და

საბრძოლო სროლისათვის გადაეცა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდლის გარდამავალი პრიზი "ბრინჯაოს მხედარი" და სიგელი, ხოლო ოცეულის პირადი შემადგენლობა ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვდა.

1947 წლის 1 ივნისიდან 30 ივნისამდე ანაპის სახელობის 414-ე წითელდროშოვან მსროლელ დივიზიაში საბრძოლო და პოლიტიკური მომზადება გეგმის თანახმად ნორმალურად მიმდინარეობდა და მეცადინეობის ჩაშლას ადგილი არ ჰქონია.

სროლაში საუკეთესო შედეგები აჩვენა პოლკის სკოლამ, რომლის უფროსი იყო პოდპოლკოვნიკი გიორგაძე, მეთაურის მოადგილე პოლიტნაწილში – უფროსი ლეიტენანტი ზ.მასხარაშვილი, ხოლო პარტორგანიზაციის მდივანი – პ. ჭყოიძე.

განსაკუთრებით გამოირჩეოდა პოლკის სკოლის მეტყვიამფრქვევეთა ოცეული, რომლის მეთაური იყო ლეიტენანტი ხოჯავა. ამ ოცეულში საუკეთესო იყო მე-3 ათეული – მეთაური სერჟანტი შენგელია. აღნიშნული ათეულის კურსანტებმა მე-3 ტაქტიკური სავარჯიშო დაზგის ტყვიამფრქვევიდან სროლაში ფრიადზე შეასრულეს.[22]

მსროლელთა ბატალიონიდან კარგი შედეგები აჩვენა სროლაში მე-2 ბატალიონმა (მეთაური – პოდპოლკოვნიკი ბალავაძე, მეთაურის მოადგილე პოლიტნაწილში გვარდიის უფროსი ლეიტენანტი ა.თელია). პირველი ტაქტიკური სავარჯიშო ბატალიონის მთელმა პირადმა შემადგენლობამ ისროლა, შესრულებამ 87.5% შეადგინა. ასევე კარგი შედეგები ჰქონდა სროლაში მსროლელთა მე-5 ასეულს, რომლის მეთაური იყო უფროსი ლეიტენანტი კირვალიძე, ხოლო პარტორგანიზაციის მდივანი, სერჟანტი – თუთბერიძე. ამ ასეულიდან პირველი ტაქტიკური

სავარჯიშო ისროლა 41 კაცმა, რომელთაგან ფრიადი დაიმსახურა 21 კაცმა, თორმეტმა – კარგი და ა.შ.[23]

ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდალი თავის ბრძანებაში აღნიშნავდა: "1947 წლის ოქტომ-ბერში 414-ე მსროლელი დივიზიის ნაწილებში 1947 სასწავლო წლის საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების შემოწმებამ, აგრეთვე ახალი სასწავლო წლის მზადებისათვის ჩატარებულმა ღონისძიებებმა გვიჩვენა, რომ დივიზიამ 1947 სასწავლო წელს მაღალ მაჩვენებლებს მიაღწია საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებაში."

1947 წელს თავიანთი ნაწილებისა და ქვედანაყოფების კარგი წარმატებებისათვის, სამსახურეობრივი მოვალეობის უნარინად და კეთილსინდისიერად შესრულებისათვის ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდლის ზემოაღნიშნული ბრძანებითვე მადლობა გამოეცხადა 414-ე დივიზიის მეთაურს გენერალ გ.ყუფარაძეს, დივიზიის შტაბის უფროსს პოლკოვნიკ ა.ვასილიევს, დივიზიის მეთაურის მოადგილეს გენერალ-მაიორ ი.კაზაკს, დივიზიის პოლიტგანყოფილების უფროსს პოლკოვნიკ ვ.ჯანჯღავას და პოლკოვნიკ ბოლქვაძეს.

საბრძოლო და პოლიტკურ მომზადებაში მიღწეული წარმატებებისათვის და საოლქო შეჯიბრებაზე დაკავებული პირველი ადგილისათვის 443-ე ცალკე ტანკსაწინააღმდეგო გამანადგურებელი დივიზიონი დაჯილდოვდა სიგელით და გადაეცა გარდამავალი პრიზი. დივიზიონის პირად შემადგენლობას ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდლისაგან გამოეცხადა მადლობა და ისინი ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვდნენ.[24]

1053-ე საარტილერიო პოლკის პირველი ბატარეა, როგორც ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სახმელეთო და საზენიტო არტილერიის საოლქო შეჯიბრების მონაწილე,

სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების მინისტრის ბრძანებითა და სახმელეთო ჯარების მთავარსარდლის ბრძანებით დასახული ამოცანების შესრულებისათვის 1946-1947 წელს, სასწავლო პროგრამის მაღალი მაჩვენებლებით შესრულებისათვის, აგრეთვე პირად და სპეციალურ მომზადებაში კარგი მაჩვენებლებისათვის, საოლქო შეჯიბრებაში დაკავებული პირველი ადგილისათვის, დაჯილდოვდა სიგელითა და გარდამავალი პრიზით. ბატარეის პირად შემადგენლობას გამოეცხადა მადლობა, ოფიცერთა შემადგენლობა ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვდა, ხოლო რიგითთა და სერჟანტთა შემადგენლობას ხანმოკლე შვებულებები მისცეს.[25]

414-ე მსროლელი დივიზიის ნაწილების საბრძოლო მომზადება იგეგმებოდა და ტარდებოდა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის 1947 წლის 30 დეკემბრის ბრძანების და ქვეყნის შეიარაღებული ძალების თავდაცვის მინისტრის ბრძანების შესაბამისად. შენაერთის პირადი შემადგენლობის სწავლება გაყოფილი იქნა სწავლების ორი პერიოდად: 1947 წლის 1 ოქტომბრიდან 1948 წლის 13 მაისამდე სწავლების ზამთრის პერიოდად, ხოლო 1948 წლის 13 მაისიდან 1948 წლის 1 ოქტომბრამდე – სწავლების ზაფხულის პერიოდად.

შტაბების ოპერატიული მომზადება და ოფიცრების ოპერატიულ-ტაქტიკური მომზადება სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების მინისტრის 1947 წლის 25 დეკემბერის დირექტივის შესაბამისად ხორციელდებოდა.

მსროლელთა და მეტყვიაფმრქვევეთა ასეულების კორპუსის შეკრებაზე 1948 წლის 29 აპრილს საჩვენებელი სროლა ჩატარდა თემაზე – "გაძლიერებული მსროლელთა ოცეულის შეტევა თავდაცვაზე მყოფ მოწინააღმდეგეზე."

1367-ე მსროლელი პოლკიდან საჩ-ვენებელი სროლისათვის გამოყოფილმა ქვედანა-ყოფებმა შესანიშნავი შედეგები აჩვენა სროლაში. საჩვენებელ სროლაში მონაწილე მთელ პირად შემადგენლობას მადლობა გამეცხადა, ხოლო საუკე-თესოები როგორებიც იყვნენ: უმცროსი სერჟანტი ვ.ლომიძე, სერჟანტი ს.თოდუა, ჯარისკაცები ვ.შუბითიძე და ს.აბზიანიძე ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვდნენ.[26]

ამიერკავკასიის ფრონტის ჯარებისადმი 1948 წლის 9 ივნისს გაცემული დირექტივის თანახმად 1948 სასწავლო წელს შენაერთების, ნაწილებისა და ქვედანაყოფების მომზადებაში კარგი მაჩვენებლებისათვის, აგრეთვე უნარიანი ხელმძღვანელობისა და სამსახურებრივი მოვალეობის უმწიკვლოდ შესრულებისათვის ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდლის ბრძანებით მადლობა გამოეცხადათ, ფასიანი საჩუქრებითა და ქების სიგელებით დაჯილდოვდნენ: 414-ე მსროლელი დივიზიის მეთაური გენერალი გ.ყუფარაძე, დივიზიის მეთაურის მოადგილე სამწყობრო ნაწილში პოლკოვნიკი გირგვლიანი, დივიზიის მეთაურის მოადგილე პოლიტნაწილში პოლკოვნიკი ვ.ჯანჯღავა, დივიზიის შტაბის უფროსი – პოლკოვნიკი ა.ვასილიევი, დივიზიის არტილერიის სარდალი, პოლკოვნიკი ჩიჩუა, დივიზიის მეთაურის მოადგილე ზურგის ნაწილში, პოლკოვნიკი ბოლქვაძე.[27]

1948 წლის 19-დან 24 ივლისამდე ამიერკავკასიის სამხედრო ოლქში ჩატარდა საერთო გუნდური პირველობა კარაბინიდან სადუელო სროლაში, რომელშიც 414-ე მსროლელი დივიზია მონაწილეობდა და სიგელი დაიმსახურა. საუკეთესო ინდივიდუალური შედეგები აჩვენეს: ტყვიამფრქვევიდან სროლაში პირველი ადგილი დაიკავა პოდპოლკოვნიკმა ჯაშიაშვილმა.

სნაიპერის შაშხანიდან სროლაში პირველი და მეორე ადგილები დაიკავა უფროსმა ლეიტენანტმა ჩხიკვიშვილმა, რომელიც ფასიანი საჩუქრით დაჯილდოვდა.[28]

მე-13 მსროლელი კორპუსის საინსპექტორო კომისიამ, რომელსაც კორპუსის მეთაური, გენერალ-ლეიტენანტი ლოპატინი თავმჯდომარეობდა, 1948 წლის 15-დან 25 სექტემბრის პერიოდში მოახდინა 414-ე მსროლელი დივიზიის ნაწილების საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების შემოწმება.

1948 წლის განმავლობაში საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებაში მაღალ შედეგებს მიაღწიეს და დივიზიაში პირველ ადგილზე გავიდნენ: 955-ე საჰაუბიცო-საარტილერიო პოლკის პირველი დივიზიონი (მეთაური, პოდპოლკოვნიკი ბუაძე) 1375-ე მსროლელი პოლკის პირველი ბატალიონი (მეთაური, პოდპოლკოვნიკი რობაქიძე), სასროლი იარაღიდან სროლაში განსაკუთრებით გამოირჩეოდა 1375-ე მსროლელი პოლკი.

სამწყობრო მომზადებაში ოფიცრებმა დაიმსახურეს შეფასება კარგი, ხოლო სერჟანტთა და რიგითთა შემადგენლობამ საშუალო შეფასება. სამწყობრო მომზადებაში საუკეთესონი იყვნენ 22-ე სატანკო-თვითმავალი ქვემეხებისა და 1375-ე მსროლელი პოლკების ქვედანაყოფები.[29]

ფიზიკურ მომზადებაში 414-ე მსროლელმა დივიზიამ საინსპექტორო კომისიის მიერ შემოწმებაში დაიმსახურა საერთო შეფასება კარგი.[30]

1948 წელს ზამთრის ამიერკავკასიის საოლქო სპარტაკიადაზე მონაწილეობდნენ 414-ე მსროლელი დივიზიის ნაწილებიდან წარგზავნილებიც, რომლებსაც ურიგო შედეგები არ ჰქონდათ, ხოლო ზოგიერთ სახეობაში საპრიზო ადგილებიც დაიკავეს. ამიერკავკასიის სამხედრო

ოლქში დივიზიამ პირველი ადგილი დაიკავა მძიმე ათლეტიზმში, მესამე ადგილი ხიშტით ბრძოლაში, მე-4 ადგილი ფარიკაობაში და ა.შ.[31]

414-ე მსროლელი დივიზიის ნაწილებში საბრძოლო და პოლიტიკური მომზადება 1949 წელს დაიგეგმა და ჩატარდა სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების მინისტრის ბრძანების, სახმელეთო ჯარების მთავარსარდლის 1949 წლის 20 აპრილის მითითებისა და ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდლის 1949 წლის 15 იანვრისა და 1949 წლის 5 მაისის ბრძანებების შესაბამისად.

შენაერთის ჯარების მომზადებისათვის სასწავლო წელი 2 პერიოდად გაიყო: სწავლების ზამთრის პერიოდად 1948 წლის პირველი დეკემბრიდან 1949 წლის 30 აპრილამდე და სწავლების ზაფხულის პერიოდად 1949 წლის პირველი მაისიდან 15 ოქტომბრამდე.

ცალკე მებრძოლის, ათეულისა და ოცეულის მომზადებაში ზამთრის სასწავლო პერიოდის პროგრამა დივიზიის ნაწილებმა მთლიანად გაიარეს და შეითვისეს იგი საშუალო შეფასებით.

1948-1949 სასწავლო წლის პერიოდში საბრძოლო და პოლიტიკური მომზადება დივიზიაში კომისიის მიერ შეფასდა დამაკმაყოფილად. საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებაში მიღწეული წარმატებებისათვის ამიერკავ-კასიის სამხედრო ოლქის სარდლის 1949 წლის 23 ნოემბრის ბრძანებით მადლობა გამოეცხადა 414-ე დივიზიის მეთაურს გენერალ გ. ყუფარაძეს, დივიზიის მეთაურის მოადგილეს პოლიტნაწილში პოლკოვნიკ ვ. ჯანჯღავას, დივიზიის შტაბის უფროსს – პოლკოვნიკ ა. ვასილიევს, აგრეთვე ნაწილების მეთაურებსა და ოფიცრებს.[32]

1949 წლის პირველი ნოემბრიდან დივიზიის ოპერატიული განყოფილების უფროსი და დივიზიის

შტაბის უფროსის მოადგილე, პოლკოვნიკი ივანე შაიშმელაშვილი შეუდგა დივიზიის შტაბის უფროსის თანამდებობის შესრულებას, ხოლო შტაბის უფროსის მოვალეობის დროებით შემსრულებელი, პოლკოვნიკი ი.გირგვლიანი შეუდგა თავის პირდაპირ სამსახურებრივ მოვალეობას დივიზიის მეთაურის მოადგილე სამწყობრო ნაწილში – შესრულებას.[33]

414-ე მსროლელი დივიზიის ჯარების მომზადებისათვის 1950 სასწავლო წელი გაყოფილი იქნა ორ პერიოდად. სწავლების ზამთრის პერიოდი მოიცვდა დროს 1949 წლის პირველი დეკემბრიდან 1950 წლის 30 აპრილამდე, ხოლო სწავლების ზაფხულის პერიოდი – 1950 წლის პირველი მაისიდან 15 ოქტომბრამდე.

1950 წლის 14 თებერვალს ბათუმის გარნიზონის უფროსის გენერალ გ.ყუფარაძის ბრძანებით სსრ კავშირის შეიარაღEბული ძალების მინისტრის 1949 წლის 15 დეკემბრის ბრძანებისა და ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდლის 1950 წლის 12 იანვრის ბრძანების შესასრულებლად, ბათუმის გარნიზონის უფროსის მოადგილედ პოლიტნაწილში დაინიშნა 414-ე მსროლელი დივიზიის პოლიტგან-ყოფილების უფროსი, პოლკოვნიკი ვარლამ ჯანჯღავა.[34]

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1942 წლის 21 დეკემბრის ბრძანებულებით, ნაწილებისა და შენაერთებისათვის წითელი დროშის გადაცემისა და აღრიცხვის წესის უზრუნველყოფის დებულების შესაბამისად, რომელიც გამოცხადებული იყო თავდაცვის სახალხო კომისრის 1943 წლის 9 ოქტომბრის ბრძანებაში, 414-ე მსროლელი დივიზიის მეთაურმა წითელი დროშა გადასცა 1053-ე საარტილერიო პოლკს 1950 წლის 23 თებერვალს.[35]

1950 წლის 6-9 მარტის განმავლობაში დივიზიის არტილერიის სარდალმა საბრძოლო მომზადების გეგმის თანახმად დივიზიის ოფიცერთა შემადგენლობის ურთიერთშეჯიბრება ჩაატარა საარტილერიო-სასროლო საქმეში.

ოფიცერთა შემადგენლობის შეჯიბრებამ აჩვენა, რომ ოფიცრებმა თავიანთ თავზე ყოველდღიური მუშაობით აიმაღლეს სპეციალური მომზადება და შეჯიბრებაში მხოლოდ კარგი და ფრიადი შედეგები აჩვენეს, მათგან უნდა დავასახელოთ შემდეგი ოფიცრები: 1053-ე საარტილერიო პოლკის სამმართველოს ბატარეის მეთაური, ლეიტენანტი ა. ადეიშვილი, 955-ე საჰაუბიცო-საარტილერიო პოლკის მე-4 ბატარეის მეთაური, მაიორი არობელიძე, 567-ე ცალკე საზენიტო-საარტილერიო დივიზიონის მე-3 ბატარეის მეთაური – კაპიტანი ალავიძე, 443-ე ცალკე ტანკსაწინააღმდეგო გამანადგურებელი დივიზიონის მე-3 ბატარეის მეთაური, კაპიტანი კინწურაშვილი, ამავე დივიზიონის საცეცხლე ოცეულის მეთაური, ლეიტენანტი ჩახნაშვილი, 1053-ე საარტილერიო პოლკის მზვერავთა ოცეულის მეთაური, ლეიტენანტი შ.გიორხელიძე, 1375-ე მსროლელი პოლკის საცეცხლე ოცეულის მეთაური, ლეიტენანტი ლომიძე, 567-ე ცალკე საზენიტო-საარტილერიო დივიზიონის ოცეულის მეთაური, ლეიტენანტი გიორგაძე.

დივიზიის მეთაურმა ყველა ზემოთ დასახელებულ ოფიცერს მადლობა გამოუცხადა.[36]

1950 წლის ზაფხულის პერიოდში საბრძოლო მომზადების პროგრამიდან დივიზიის ნაწილებმა დაამუშავეს: ცალკეული ჯარისკაცის, ათეულისა და ოცეულის მომზადება 1950 წლის 30 ივნისისათვის, ასეულის მომზადება – 8 ივლისისათვის, ბატალიონის

მომზადება 18 აგვისტოსათვის, პოლკისა და დივიზიის მომზადება 1950 წლის 15 ოქტომბრისათვის.

1950 წლის 25 ნოემბრიდან 10 დეკემბრამდე ბათუმში ჩატარდა გარნიზონის პირველობა ფეხბურთში. შეჯიბრებაში ფეხბურთელთა 5 გუნდი მონაწილეობდა. საბოლოოდ გამარჯვებული გამოვიდა 1371-ე მსროლელი პოლკის ფეხბურთელთა გუნდი, მეორე ადგილი დაიკავა 1053-ე საარტილერიო პოლკმა. უკანასკნელ ადგილზე გავიდა 22-ე სატანკო-თვითმავალი ქვემეხების პოლკი. გარნიზონის საფეხბურთო პირველობაზე მონაწილეობა არ მიუღიათ 955-ე საჰაუბიცო-საარტილერიო პოლკს და ცალკეული ქვედანაყოფების გუნდებს.

დივიზიის მეთაურის ბრძანებით დამტკიცდა ფეხ-ბურთში გარნიზონის პირველობის შედეგები. 1371-ე მსროლელი პოლკის ფეხბურთელთა გუნდს, რომელმაც პირველი ადგილი დაიკავა, ფეხბურთში ბათუმის გარნიზონის ჩემპიონის წოდება მიენიჭა და დაჯილდოვდა სიგელით.[37]

ნაწილების მეთაურებს დაევალათ 1951 წლის 15 თებერვლამდე ნაწილებში შეექმნათ არასაშტატო ფეხბურთელთა გუნდები და ნორმალური პირობები შეექმნათ მათი სასწავლო-საწვრთნელი მეცადი-ნეობებისათვის. პრაქტიკაში დაენერგათ ბატალიონებისა და ნაწილების ფეხბურთელთა გუნდების ამხანაგური შეხვედრების ჩატარება.

414-ე ქართული მსროლელი დივიზიის მეთაურმა და დივიზიის სამმართველოს ოფიცრებმა 1950 წლის 28 ნოემბერს საბრძოლო მზადყოფნა შეამოწმეს 1371-ე მსროლელ პოლკსა და 955-ე საჰაუბიცო-საარტილერიო პოლკის მეთაური პოლკოვნიკი მ.დიასამიძე, შტაბის უფროსი პოდპოლკოვნიკი კვირჭიშვილი (საბრძოლო

მზადყოფნის დოკუმენტაცია სრულ შესაბამისობაში იმყოფებოდა დივიზიისადმი ბრძანების მოთხოვნები-სადმი. ნაწილებში განგაშის გამოცხადების შემდეგ პოლკის ხელმძღვანელობამ არც შტაბს, არც დივიზიის სამსახურების უფროსებს, არც მორიგეებს ნაწილებში ზუსტი მითითებები და განკარგულებები არ მისცა.

პოლკის შტაბი თავმოყრის რაიონში გასასვლელად თვითნებურად ემზადებოდა, რის შედეგადაც პოლკის ქვედანაყოფები დანიშნულების ადგილზე ერთი საათის დაგვიანებით მივიდნენ და ბუჩქნარების ქვეშ განლაგდნენ, რადგანაც საველე მოწყობილობანი არ გააჩნდათ, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მბეჭდავ მემანქანებისათვის განკუთვნილ საველე მაგიდასა და სკამს.

საბრძოლო განკარგულების მიღებისთანავე შტაბის უფროსმა პოდპოლკოვნიკმა კვირჭიშვილმა დროულად მოახსენა პოლკის მეთაურს, მაგრამ პოლკის ქვედანაყოფებს დიდი დაგვიანებით აცნობა.[38]

პოლკისა და ქვედანაყოფების სამმართველოების ოფიცერთა შემადგენლობა თავმოყრის რაიონისა და მომავალი მოქმედების რაიონის რუკებით უზრუნ-ველყოფილი არ ყოფილა, ასევე განგაშზე ქვედანაყოფების აშლისა და გამოსვლის კონტროლი შტაბის მიერ ორგანიზებული არ იყო.

არადამაკმაყოფილებელი იყო ოფიცერთა შემად-გენლობის ეკიპირება. ოფიცერთა უმრავლესობას პირადი იარაღი არ ჰქონდა ისევე როგორც დურბინდი, საველე ჩანთები, ქაღალდი, ფანქრები და პირადი ნივთები, რომლებიც აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენდა საველე პირობებში ხანგრძლივი მუშაობისათვის.

თავმოყრის რაიონში კავშირი დროულად იყო ორგანიზებული. ჯარების ფარული მართვისათვის ცხრილები დამუშავებული არ ყოფილა.

ნაწილების მორიგემ, პოლკის შტაბის მორიგემ, ყარაულთა შემადგენლობამ და შინაგანმა განაწესმა განგაშზე თავიანთი მოვალეობანი არ იცოდნენ.

პოლკის მეთაურის მოადგილე პოდპოლკოვნიკი გვათუა უმოქმედოდ იყო. მას სამსახურების უფროსებისათვის არავითარი მითითება არ მიუცია, რომლებიც ასევე უმოქმედოდ იყვნენ.

საკავალერიო ნიმუშის ცხენებით საზიდი სამზარეულოები ღია ცისქვეშ უმსგავსო მდგომარეობაში ეყარა.

ქვედანაყოფებში დასარჩენი და გასატანი ქონების და მათი პოლკის საწყობებში ჩაბარების თანმიმდევრობის განრიგი შედგენილი არ ყოფილა და ა.შ.[39]

955-ე საჰაუბიცო-საარტილერიო პოლკში (პოლკის მეთაური პოლკოვნიკი ბურჭულაძე, შტაბის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი პოლკოვნიკი ზაქარაშვილი) სასწავლო განგაშზე დოკუმენტაცია სრულიად არ იყო დამუშავებული. პოლკის ქვედანაყოფებში სასწავლო განგაშზე ინსტრუქციები არ ჰქონდათ და მაშასადამე, მეთაურებიდან არავინ არ იცოდა სასწავლო განგაშზე ინსტრუქციები არ ჰქონდათ და მაშასადამე, მეთაურებიდან არავინ არ იცოდა სასწავლო განგაშზე მოქმედების წესი. ქვედანაყოფებში საბრძოლო გათვლები არ შეუდგენიათ და პირადი შემადგენლობისათვის არ გამოუცხადებიათ.[40]

რიგითთა, სერჟანტთა და ოფიცერთა შემადგენლობა მცირე გამონაკლისის გარდა შეკრების რაიონში უიარაღოდ გავიდა. კავშირგაბმულობის მოწყობილობანი, ხელსაწყოები და სხვა საჭირო იარაღი საკმარისი რაოდენობით არ აიღეს.

ოფიცერთა შემადგენლობა დროულად და მთლიანად იქნა შეკრებილი, მაგრამ 63 ოფიცრიდან ჩემოდანი აუცილებელი ნივთებით მხოლოდ 9 კაცს ჰქონდა. დანარჩენი ოფიცრები ეკიპირებული არ ყოფილან, ისინი შინელების გარეშე იყვნენ. პირადი შემადგენლობის მხოლოდ ერთ მესამედს ჰქონდა აირწინაღები.

414-ე მსროლელი დივიზიის ჯარების მოსამზადებლად 1950-1951 სასწავლო წელი ორ პერიოდად გაიყო. სწავლების ზამთრის პერიოდი მოიცავდა დროს 1950 წლის პირველი დეკემბრიდან 1951 წლის 30 აპრილამდე, ხოლო ზაფხულის პერიოდი – 1951 წლის პირველი მაისიდან 15 ოქტომბრამდე.

ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარებისადმი გაცემული დირექტივის საფუძველზე ოლქის საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებლის პოლკოვნიკ ანდრეევის ხელმძღვანელობით საინპექტორო კომისიამ დივიზიის ნაწილები შეამოწმა 1951 წლის 5-დან 12 ოქტომბრამდე და დივიზიის საბრძოლო და პოლიტიკური მომზადება შეაფასა კარგზე.[41]

საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების გეგმის თანახმად 1951 წლის 1-2 სექტემბერს 22-ე სატანკო-თვითმავალი ქვემეხების წითელი დროშის ორდენოსან პოლკში ჩატარდა სროლა საზღვაო მიზნებზე.

შემოწმდა პირველი და მეორე სატანკო ასეულები, რომლებმაც სროლა ფრიადზე შეასრულეს. პირველი სატანკო ასეულის მეთაური იყო მაიორი მინდაძე, ოცეულის მეთაური, ლეიტენანტი – კუხიანიძე. მეორე სატანკო ასეულის მეთაური იყო კაპიტანი მარგალიტაძე, ხოლო ოცეულის მეთაური, ლეიტენანტი სტურუა.

ინდივიდუალური შედეგი აჩვენა მეორე სატანკო ასეულის ქვემეხის მეთაურმა, უმცროსმა სერჟანტმა მოსიაშვილმა, რომელმაც რვა ჭურვიდან რვავე მიზანში მოახვედრა.[42]

დივიზიის ნაწილებში საინსპექტორო შემოწმება ჩატარდა. დივიზიამ 1952 წლის 18-დან 28 სექტემბრამდე საშუალო შეფასება დაიმსახურა.

1952 წელს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის მოტოციკლისტთა შეჯიბრების ზამთრის პირველობაზე მოტოციკლისტების ფლობისა და თავიანთი ნავარჯიშევობით საუკეთესოს მხრივ გამოირჩეოდნენ 414-ე მსროლელი დივიზიის მოტოციკლისტები. მათ შორის, პოდპოლკოვნიკმა ბერუჩაშვილმა ოლქში პირველი ადგილი დაიკავა.

აღსანიშნავია, რომ 1952 წლიდან 414-ე ქარლი მსროლელი დივიზიის მეთაური გახდა გენერალი პ.ჩხობაძე.

1953 წელს საბრძოლო და პოლიტიკური მომზადება 414-ე დივიზიის ნაწილებში დაიგეგმა და მიმდინარეობდა სსრ კავშირის სამხედრო მინისტრის, ოლქის სამხედრო სარდლისა და მე-13 მსროლელი კორპუსის ბრძანებების შესაბამისად.

ოფიცრებისა და მთელი პირადი შემადგენლობის დაძაბული მუშაობის შედეგად, აგრეთვე პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების მიზანსწრაფული მუშაობით მეთაურებისათვის ნამდვილი დახმარების აღმოჩენით, 1953 წელს შენაერთის ნაწილებმა საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების პროგრამა მთლიანად შეასრულეს. სწავლებაში წლის განმავლობაში ჩაბმული იყო საშუალოდ პირადი შემადგენლობის 88 პროცენტი.

წლის განმავლობაში ყოველ ქვედანაყოფსა და ყოველ პოლკში შესაბამისად ჩატარდა ასეულის, ბატალიონისა და პოლკის ტაქტიკური წვრთნა მაღალმთიან ადგილებში, რომელიც მიახლოებული იყო სინამდვილის პირობებთან.[43]

1953 წლის 2-7 ივლისის პერიოდში საბჭოთა არმიის გენერალური შტაბისა და ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის გენერლებთან და ოფიცრებთან ერთად ჩატარდა სადივიზიო წვრთნა. ამ წვრთნაზე დივიზიამ დაიმსახურა შეფასება კარგი.

1953 წლის 20-დან 24 ივლისამდე დივიზიის შტაბი მონაწილეობდა (კორპუსი, დივიზია) სამეთაურო-საშტაბო წვრთნაში, რომელიც ამიერკავკასიის სამხედრო ოლქმა ჩაატარა.[44]

ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების საშემოდგომო-საინსპექტორო გეგმის თანახმად 1953 წლის 25 აგვისტოდან პირველ სექტემბრამდე მე-13 მსროლელი კორპუსის მეთაურის გვარდიის გენერალ-ლეიტენანტ ვლ.ჯანჯღავას მეთაურობით მოახდინა 414-ე მსროლელი დივიზიის ნაწილების საინსპექტორო შემოწმება. შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის მოთხოვნა შენაერთმა ძირითადად შეასრულა. დივიზია ბრძოლისუნარიანი იყო და მზად იყო ნებისმიერ დროს საბრძოლო დავალების შესასრულებლად. დივიზიისა და ნაწილების შტაბებმა ჩატარებულ ტაქტიკურ წვრთნაზე აჩვენეს მწყობრი მუშაობა, ბრძოლის დაგეგმვისა და ჯარების მართვის უნარი რთულ, სწრაფადცვალებად ვითარებაში.

დივიზიის ნაწილებში სამხედრო დისციპლინა, შეიარაღების, ავტოტრანსპორტისა და საბრძოლო ტექნიკის მდგომარეობა, შინაგანი წესრიგი და ჯარების სამსახური შეფასდა დამაკმაყოფილებლად. დივიზიის საერთო

შეფასება 1953 წელს იყო კარგი (ტაქტიკური მომზადების გარეშე).

1953 წლის 16 სექტემბრიდან 10 ოქტომბრამდე 415-ე მსროლელი დივიზია მონაწილეობდა ამიერკავკასიის სამხედრო ჯარების მანევრებზე, რომელშიაც მან მთებში შეტევითი ბრძოლების წარმოების დიდი პრაქტიკა მიიღო დღისა და ღამის ნებისმიერ დროს სწრაფად ცვალებადი რთული ვითარების პირობებში.

მანევრებზე 414-ე მსროლელი დივიზიის მონაწილეობის შეფასებისდა მიხედვით 1953 სასწავლო წელი მან საერთოდ კარგი შედეგებით დაამთავრა.[45]

1954 სასწავლო წელს 414-ე მსროლელი დივიზიის ნაწილები შეუწყვეტლივ მეცადინეობდნენ საბრძოლო მომზადებაში. წლის განმავლობაში ჩატარდა ასეულის, ბატალიონისა და პოლკის ტაქტიკური წვრთნა.

1954 წლის აგვისტოში ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდალმა დივიზიის ტაქტიკური წვრთნა ჩაატარა თემაზე: ”მოწინააღმდეგის მომზადებული თავდაცვის გარღვევა მთებში ატომური იარაღის გამოყენების პირობებში.”

ამ წვრთნებში დივიზიის ნაწილებმა მიიღეს საბრძოლო მოქმედების პრაქტიკა მთებში ღამით ატომური იარაღის გამოყენების პირობებში.

1954 წელს ზამთრის პერიოდში დივიზიამ მიიღო დამაკმაყოფილებელი, ხოლო სასწავლო წლის მთელ პერიოდში კი არადამაკმაყოფილებელი შეფასება.[46]

1955 სასწავლო წელს საბატალიონო და საპოლკო საერთო-საჯარისო ტაქტიკური წვრთნის ჩატარების შემდეგ 16-დან 30 აგვისტომდე 414-ე მსროლელი დივიზია კორპუსის ტაქტიკურ წვრთნაში მონაწილეობდა, რომელიც ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდლობამ ჩაატარა.

დივიზიიის მოქმედება ამ წვრთნაში დამაკმაყოფილებლად შეფასდა.

1955 წლის 23 ოქტომბრიდან 6 ნოემბრამდე თავდაცვის სამინისტროს მთავარმა ინსპექციამ კადრების მთავარ სამმართველოსთან ერთად დივიზიაში შეამოწმა საბრძოლო მომზადება.[47]

414-ე ქართულ-მსროლელ დივიზიაში საბრძოლო მომზადებასთან ერთად სათანადო ყურადღება ჰქონდა დათმობილი გამომგონებლობასა და რაციონალიზატორობას. ასე მაგალითად, 1948 წელს მთელი სასწავლო წლის განმავლობაში დივიზიის ნაწილების უმეტესობაში საგამომგონებლო-რაციონალიზატორული მუშაობა მნიშვნელოვნად გაიზარდა, იმატა აქტიური გამომგონებლების რიცხვმა. ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის კომისიამ მრავალი ფასეული გამოგონება დაამტკიცა და ცენტრალურ კომისიაში წარადგინა, ბევრს კიდევ პირადი შემადგენლობის სასწავლებლად იღებდნენ.

საგამომგონებლო მუშაობა განსაკუთრებით კარგად იყო დაყენებული 1375-ე მსროლელ პოლკში (კომისიის თავმჯდომარე – პოდპოლკოვნიკი კომახიძე), რომელმაც ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის მსროლელ ნაწილებს შორის პირველი ადგილი დაიკავა.[48]

საუკეთესო გამომგონებლები, კაპიტნები: სოპოვი და თოდრია 1375-ე პოლკიდან და მაიორი თომია 1053-ე საარტილერიო პოლკიდან არაერთგზის დაჯილდოვ- დნენ ოლქის სარდლისაგან.

დივიზიის მეთაურის ბრძანებით იმ ხელსაწყოების გამოგონებისათვის, რომლებიც სწავლის მსვლელობას აუმჯობესებდა, აიოლებდა და მატერიალურად უზრუნველყოფდა, დაჯილდოვდნენ: 1375-ე პოლკის უფროსი სერჟანტი შელია – 150 მანეთით, 1371-ე პოლკის

უფროსი ტექნიკოს-ინდენტანტი შუბითიძე – 200 მანეთით და სხვა.[49]

1950 სასწავლო წელს 414-ე მსროლელი დივიზიის ნაწილებში განსაკუთრებით კი 1375-ე მსროლელ პოლკსა და 22-ე სატანკო-თვითმავალი ქვემეხების პოლკში საგამომგონებლო-რაციონალიზატორული მუშაობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა.

შემოტანილი და დანერგილი ფასეული წინადადებები არა მარტო დროისა და მატერიალური თვალსაზრისით იძლეოდნენ ეკონომიას, არამედ აიოლებდნენ სამხედრო სამსახურისა და სწავლების მსვლელობას.

დივიზიის მეთაურის ბრძანებით შენაერთიდან საუკეთესო რაციონალიზატორები დაჯილდოვდნენ ფულადი პრემიებით.

ამავე ბრძანებაში დივიზიის ნაწილების მეთაურებს მიუთითებდნენ, რომ 1951 წლის 1 იანვრისათვის დაეზუსტებინათ 1950 წლის საგამომგონებლო-რაციონალიზატორული მუშაობის შედეგები და დამატებითი ანგარიში წარედგინათ ამის შესახებ, ხოლო 1367-ე მსროლელი პოლკისა და 122-ე ცალკე მოტოციკლეტთა ბატალიონის მეთაურებს ამავე საკითხზე მთელი წლის სრული ანგარიში უნდა წარედგინათ დივიზიაში.[50]

ამრიგად, როგორც განხილული მასალებიდან ჩანს, 1946-1956 წლებში ანაპის სახელობის წითელდროშოვან 414-ე ქართულ მსროლელ დივიზიაში საბრძოლო მომზადება საკმაოდ მაღალ დონეზე იდგა, რასაც მოწმობს კორპუსის მეთაურის, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდლობის და უფრო ზემდგომი ინსტანციების სათანადო ბრძანებები, ქების სიგელები, გარდამავალი პრიზები, ფასიანი საჩუქრები და სხვა.

1956 წლის 17 აპრილს საბჭოთა კავშირის მინსტრთა საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე დივიზია დაიშალა შტატების შემცირების მოტივით. თადარიგში დაითხოვეს დივიზიის ოფიცერთა შემადგენლობა, რომელიც დიდი პასუხისმგებლობით ასრულებდა თავის სამსახურებრივ მოვალეობას სამშობლოს თავდაცვითი ძლიერების განმტკიცებისათვის. თადარიგში გასვლის შემდეგ მათ დატოვეს ანაპის სახელობის წითელდროშოვანი 414-ე მსროლელი დივიზია და დაუბრუნდნენ სახალხო მეურნეობას.[51]

დივიზიის დაშლის აქტში, რომელიც 1956 წლის 9 ივლისითაა დათარიღებული, ნათქვამია: “ჩვენ ქვემორე ხელისმომწერებმა, სალიკვიდაციო კომისიის თავმჯდომარემ, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდალმა, გენერალ-პოლკოვნიკმა ი.ჩისტიაკოვმა, კომისიის წევრებმა: პოლიტსამმართველოდან გენერალ-მაიორმა ივაშჩენკომ, არტილერიის სარდლის სამმართველოდან გენერალ-მაიორმა კოვალენკომ, საარტილერიო შეიარაღების სამმართველოდან ინჟინერ-პოლკოვნიკმა ხოლშჩიგინმა, სატანკო შეიარაღების სამმართველოდან ინჟინერ-პოლკოვნიკმა კოსტიანინმ, ოპერატიული სამმართველოდან პოდპოლკოვნიკმა პონომარიოვმა, ავტოსატრაქტორო სამსახურის სამმართველოდან გენერალ-მაიორმა სლავინმა, კავშირგაბმულობის განყოფილებიდან მაიორმა როგაიშისმა, საინჟინრო სამმართველოდან ინჟინერ-პოლკოვნიკმა მაზინმა, ქიმიური განყოფილებიდან პოლკოვნიკმა ლაპუზომ, ოლქის ზურგიდან პოლკოვნიკმა ფომენკომ, პოლკოვნიკმა ლივენეცმა, პოდპოლკოვნიკმა ჩეკალოვეცმა, პოდპოლ- კოვნიკმა ალავერდოვმა, მაიორმა ბელიკოვმა, სამედიცინო სამსახურის პოლკოვნიკმა

ნიკიტინმა, ინჟინერ-პოდპოლკოვნიკმა შევჩენკომ, საორგანიზაციო-სამობილიზაციო განყოფილებიდან კაპიტანმა შილინმა, საფინანსო განყოფილებიდან მაიორმა კიურშენოვმა შევადგინეთ აქტი მასზედ, რომ 1956 წლის 3 მაისიდან 15 მაისამდე სახმელეთო ჯარების მთავარსარდლის 1956 წლის 17 აპრილის დირექტივისა და ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდლის 1956 წლის 27 აპრილის ბრძანების საფუძველზე მოახდინეს ანაპის სახელობის წითელდროშოვანი 414-ე მსროლელი დივიზიის დაშლა.[52]

დაშლის მომენტისათვის ქუთაისში განლაგებული იყო: დივიზიის სამმართველო, 213-ე, 223-ე და 228-ე მსროლელი პოლკები, 22-ე სატანკო-თვითმავალი ქვემეხების პოლკი, 876-ე საზენიტო-საარტილერიო პოლკი. 920-ე ცალკე მეკავშირეთა ბატალიონი, 347-ე ცალკე მესანგრეთა ბატალიონი, 298-ე ცალკე ქიმიური დაცვის ასეული, დივიზიის არტილერიის სარდლის სამმართველოს ბატარეა, საარტილერიო-საინსტრუმენტო დაზვერვის ბატარეა, 41-ე ცალკე სამედიცინო-სანიტარული ასეული, 568-ე ცალკე ავტოასეული, დივიზიის ავტოსკოლა, განსაკუთრებული განყოფილება და სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის განყოფილება და სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის განყოფილება, ზესტაფონში იდგა 955-ე საარტილერიო პოლკი, ზუგდიდში 58-ე ცალკე ტანკსაწინააღმდეგო საარტილე-რიო გამანადგურებელი დივიზიონი, ოზურგეთში – 122-ე ცალკე მზვერავთა ბატალიონი.[53]

დაშლის დღისათვის დივიზიაში იყო ერთი გენერალი, 629 ოფიცერი, 947 სერჟანტი და 3222 ჯარისკაცი, სულ 4899 კაცი.

კომისიამ დაასკვნა, რომ დაშლის მომენტისათვის საგანგებო შემთხვევებს დივიზიის ნაწილებში ადგილი არ ჰქონია და რომ დივიზიის პირადი შემადგენლობა ჩატარებულ ღონისძიებებს შეგნებულად შეხვდა.[54]

ნიშანდობლივია, რომ 1956 წლის 9 მარტს თბილისში დატრიალებული სისხლიანი ტრაგედიის შემდეგ სულ მალე მოხდა ანაპის სახელობის ყოფილი 414-ე წითელდროშოვანი ქართული მსროლელი დივიზიის დაშლა. როგორც ზემოთმოტანილმა მასალებმა გვიჩვენა ეს შენაერთი ერთ-ერთი მოწინავე დივიზია იყო არა მარტო ამიერკავკასიის სამხედრო ოლქში, არამედ საკავშირო მასშტაბითაც კი. ეს ფაქტი კი იმაზე მეტყველებს, რომ ანაპის სახელობის 414-ე წითელდროშოვანი ქართული მსროლელი დივიზიის დაშლას მხოლოდ პოლიტიკური მოტივი ედო საფუძვლად. ქართული და საერთოდ ეროვნული დივიზიების დაშლა ნამდვილად დანაშაული იყო და მას არავითარი გამართლება არ შეიძლება ჰქონოდა.

დ ა ს კ ვ ნ ა

მდიდარ ფაქტობრივ მასალაზე დაყრდნობით ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევა-ძიება იძლევა შესაძლებლობას გავაკეთოთ შემდეგი დასკვნები:

1. საქართველოში რუსეთის წითელი არმიის ნაწილების შემოსვლას (რომელსაც მხარს უჭერდნენ ადგილობრივი ბოლშევიკური ორგანიზაციები) შედეგად მოჰყვა დემოკრატიული ხელისუფლების დამხობა, რესპუბლიკის ტერიტორისს ოკუპაცია და საქართველოს ძალით გასაბჭოება, ხოლო შემდგომ მისი ფაქტობრივი ანექსია.

2. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დაიწყო ქართული წითელი არმიის ნაწილების შექმნა, რომლის ორგანიზაციული სტრუქტურა რუსეთის წითელი არმიის ანალოგიურად მოეწყო.

3. ქართული წითელი არმიის ნაწილები ძირითადად დაკომპლექტდა მეფის დროინდელი ქართველ ოფიცერთა შემადგენლობით. ახალი სამხედრო კადრების მომზადება მიმდინარებდა ადგილობრივ სამხედრო სასწავლებელში და ამა თუ იმ ნაწილის ბაზაზე გახსნილ სხვადასხვა სპეციალობის კურსებზე. უმაღლესი რანგის ოფიცრების მომზადება რუსეთის სამხედრო აკადემიებში წარმოებდა.

4. საქართველოში თავდაპირველად შექმნილი პირველი ქართული მსროლელი საკადრო დივიზია, ხოლო შემდგომ მე-2 ქართული მსროლელი ტერიტორიალური დივიზია ფორმალურად იმყოფებოდა რესპუბლიკის სამხედრო-საზღვაო სახალხო კომისარიატის დაქვემდებარებაში, ფაქტობრივად კი ექვემდებარებოდა კავკასიის ცალკე არმიის სარდლობას, რომელიც თავის

მხრივ, ჯერ საბჭოთა რუსეთის, ხოლო შემდგომ საბჭოთა კავშირის ერთიან სამხედრო სარდლობას ემორჩილებოდა.

5. ქართული ეროვნული ნაწილების პირადი შემადგენლობის და მეთაურების აღზრდა მიმდინარეობდა ბოლშევიკური სულისკვეთებით. მათ მთავარ ფუნქციად განსაზღვრული იყო არა რესპუბლიკის ტერიტორიის ხელშეუხებლობა, არამედ რევოლუციის მონაპოვართა დაცვა. ეს კარგად ჩანს თუნდაც იქიდან, რომ წითელი არმიის ქართულმა ნაწილებმა მონაწილეობა მიიღეს 1922, 1923 და 1924 წლების ანტისაბჭოთა გამოსვლების ლიკვიდაციაში, რომელსაც ოფიციალური ხელისუფლება ავანტიურისტულ ამბოხებად ნათლავდა.

6. თავისი არსებობის ხანმოკლე პერიოდში (1921-1938წწ.) ქართული დივიზიები ორგანიზაციულად ჩამოყალიბდნენ, მრავალი ჭეშმარიტი მებრძოლი და მეთაური აღზარდეს. დიდ წარმატებებს მიაღწია მეორე ქართულმა ტერიტორიულმა დივიზიამ საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებაში, რის გამოც იგი კადრის შენაერთად გადაკეთდა. ამიტომ ყოვლად გაუმართლებელი იყო მათი დაშლა. ეს იყო ერთ-ერთი უდიდესი შეცდომა, რომელიც მეორე მსოფლიო ომის წინ განხორციელდა.

7. საბჭოთა კავშირზე ფაშისტური გერმანიის მოულოდნელმა თავდასხმამ და ომის პირველ ეტაპზე მოწინააღმდეგის დიდმა წარმატებებმა მთელი სიმწვავით დააყენა ეროვნული შენაერთები9ს ხელახლად შექმნის საკითხი. ჯერ კიდევ 1941 წელს საქართველოში შეიქმნა სამი დივიზია – 224-ე, 386-ე და 388-ე, რომელთა პირადი შემადგენლობის უდიდეს უმრავლესობას ქართველები შეადგენდნენ. ამ შენაერთებმა წითელი არმიის სხვა ნაწილებთან ერთად აქტიური მონაწილეობა მიიღეს ქერჩ-ფეოდოსიის სადესანტო ოპერაციაში. ქართული

დივიზიების პირადმა შემადგენლობამ და ოფიცრობამ აჩვენა თავდადებისა და გმირობის მაგალითები, მტერთან უთანასწორო ბრძოლაში და ყირიმის ფრონტის სარდლობის მიუტევებელი შეცდომების შედეგად 1942 წლის გაზაფხულისათვის სამივე ქართული დივიზია თითქმის მთლიანად განადგურდა და არსებობა შეწყვიტა, რომელთაგან განსაკუთრებით ტრაგიკული ბედი ხვდა 224-ე ქართულ მსროლელ დივიზიას. ის, რომ გერმანელებმა 1942 წლის მაისის პირველ რიცხვებამდე ვერ მოახერხა ქერჩის აღება, ხოლო იმავე წლის ივლისის პიველ რიცხვებამდე სევასტოპოლის დაუფლება, გარკვეულწილად დასახელებული დივიზიების დამსახურებაცაა, რა თქმა უნდა, წითელი არმიის სხვა ნაწილებთან ერთად.

8. გერმანია-საბჭოთა კავშირის ფრონტზე შექმნილმა დაძაბულმა და საშიშმა სიტუაციამ დააჩქარა ახალი ეროვნული ნაწილების შექმნა. განსაკუთრებით მწვავე მდგომარეობა შეიქმნა სამხრეთის ფრონტზე. მტერი კავკასიის მთავარ ქედს მოადგა და სტალინგრადისაკენ გაჭრას ლამობდა. კავკასიისათვის ბრძოლებში გერმანელ ფაშისტებს წინ აღუდგნენ: 394-ე, 392-ე, 414-ე, 242-ე, 351-ე და 276-ე ქართული მსროლელი დივიზიები. მათ გმირული წინააღმდეგობით არ მისცეს ფაშისტური არმიის ნაწილებს შესაძლებლობა, მთლიანად დაუფლებოდნენ კავკასიონის მთავარი ქედის უღელტეხილებს, მდინარე თერგისა და ბაქსანის ხეობებს. რთული ადგილმდებარეობის უაღრესად ძნელ პირობებში ამ შენაერთებმა წითელი არმიის სხვა ნაწილებთან ერთად გამანადგურებელი დარტყმები აგემეს საბრძოლო ტექნიკისა და შეიარაღების მხრივ უპირატესობის მქონე მოწინააღმდეგეს, შემდეგ შეტევაზე გადავიდნენ და მტერი კავკასიიდან გარეკეს.

კავკასიისათვის ბრძოლებში გამოჩენილი თავდადებისა და გმირობისათვის, სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის 414-ე ქართულმა მსროლელმა დივიზიამ ანაპის, 276-ე დივიზიამ-თეიმრიუკის, ხოლო 242-ე სამთო-მსროლელმა დივიზიამ ტამანის საპატიო სახელწოდებები დაიმსახურეს.

თავიანთი საბრძოლო შემართებითა და თავგანწირვით ქართულმა ეროვნულმა დივიზიებმა დიდი წვლილი შეიტანეს მტრისაგან კავკასიის დაცვაში. ამ უთანასწორო ბრძოლებში ქართული დივიზიების პირადი შემადგენლობის მნიშვნელოვანი ნაწილი გმირულად დაიღუპა. შენაერთებში ქართული ეროვნების მნიშვნელოვანი ნაწილი გმირულად დაიღუპა. შენაერთებში ქართული ეროვნების პროცენტი მნიშვნელოვნად შემცირდა და კავკასიისათვის ბრძოლების შემდეგ ისინი 414-ე და 392-ე დივიზიების გარდა ქართულ შენაერთებს აღარ წარმოადგენდნენ.

9. კავკასიისათვის ბრძოლებში სახელმოხვეჭილი ანაპის სახელობის 414-ე ქართული მსროლელი დივიზია მომდევნო საბრძოლო ოპერაციებში აგრძელებდა სახელოვან საბრძოლო ტრადიციებს. შენაერთი მედგრად იბრძოდა ქერჩისა და ყირიმის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში, რისთვისაც 1361 და 1367-ე პოლკებს "სევასტოპოლი"-ს სახელწოდება მიანიჭეს, თვით დივიზიას გამოეცხადა უმაღლესი მთავარსარდლის მადლობა და გადაეცა წითელი დროშის ორდენი.

10. 1941-1942 წლებში შექმნილი ახალი ქართული დივიზიების ბრძოლისუნარიანობა და მიღწევები მეტი იქნებოდა, ხოლო ჩავარდნები და დანაკარგები ნაკლები, რომ მათი დაკომპლექტება არ მომხდარიყო მხოლოდ თადარიგისაგან, რომ საკავშირო ხელმძღვანელობას არ

გადაედგა უგნური ნაბიჯი – არ დაეშალა 1938 წელს კარგად მომზადებული ქართული დივიზიები და არ გაეფანტა კადრის ქართველი ოფიცრები საბჭოთა შეიარაღებულ ძალებში.

11. ქართული დივიზიების საბრძოლო მიღწევები უფრო შტამბეჭდავი იქნებოდა, რომ ისინი არ მდგარიყვნენ ისეთი განსაკუთრებული სიძნელეების წინაშე, როგორც იყო ოფიცერთა კადრების სიმცირე, შეფერხებები შეიარაღების, ტრანსპორტსა და მომარაგებაში, არმიებისა და დივიზიების მეთაურების ხშირი ცვალებადობა.

12. საბჭოთა კავშირს დიდი სამამულო ომის მთელი პერიოდის განმავლობაში საბჭოთა კავშირ-თურქეთის სახელმწიფო საზღვარს იცავდნენ 349-ე, 296-ე და ნაწილობრივ 392-ე, 406-ე ქართული მსროლელი დივიზიები, რომლებმაც სისტემატიური და თავდაუზოგავი მუშაობით მაღალ საბრძოლო მაჩვენებლებს მიაღწიეს. ეს შენაერთები სამხრეთის საზღვრების დაცვასთან ერთად დიდი რაოდენობით ამზადებდნენ კადრებს ფრონტზე მყოფი შენაერთე-ბისათვის. ამასთანავე ეხმარებოდნენ გამანადგურებელ ბატალიონებს მტრის საპარაშუტო დესანტების, ჯაშუშებისა და დივერსანტების გამოვლენასა და შეპყრობაში.

13. მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ ქართული დივიზიების დიდი ნაწილი დაიშალა, ხოლო ნაწილმა რეორგანიზაცია განიცადა – კერძოდ, ანაპის სახელობის 414-ე ქართული მსროლელი დივიზიის ბაზაზე გაერთიანდნენ 392-ე და 296-ე ქართული მსროლელი დივიზიის ნაწილები.

ომის შემდგომ პერიოდში 414-ე ქართულ მსროლელ დივიზიაში ოდნავადაც არ შენელებულა საბრძოლო მომზადების დონე. შენაერთი წარმატებებს აღწევდა

საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებაში, რაც მრავალგზის აღინიშნა ამიერკავკასიის ფრონტის სარდლობის ბრძანებებში. მიუხედავად ყოველივე ამისა, 1956 წლის გაზაფხულზე, თბილისში დატრიალებული მარტის სისხლიანი ამბების შემდეგ ბრძოლებში სახელმოხვეჭილი ანაპის სახელობის 414-ე ქართული მსროლელი წითელდროშოვანი დივიზია საკავშირო მთავრობის გადაწყვეტილებით დაიშალა. ამით საბოლოოდ დაესვა წერტილი ქართული ეროვნული შენაერთების არსებობას.

14 საკავშირო ხელისუფლების მიერ ეროვნული ნაწილების დაშლა ყოვლად გაუმართლებელ და დიდმპყრობელური შოვინისტური პოლიტიკის გამოვლინება იყო, რომელსაც არასოდეს არავითარი გამართლება არ შეიძლება ჰქონდეს. ამ პოლიტიკის შედეგად მაღალ საპასუხისმგებლო თანამდებობებზე მყოფი გენერლები და ოფიცრები მეორე – მესამე ხარისხოვან თანამდებობებზე გადაიყვანეს, ან საერთოდ დაითხოვეს შეიარაღებული ძალებიდან. მაშასადამე, ამ უგუნური პოლიტიკის შედეგად დაიწყო ქართული სამხედრო ინტელიგენციის ჯერ დაჩიავება, ხოლო შემდგომ მისი უკიდურესად შემცირება და ბოლოს თითქმის მთლიანად გაქრობა. სწორედ ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ საქართველოს დღეს კვალიფიციური სამხედრო კადრები არ გააჩნია. ეს კი პირდაპირ კავშირშია სამაჩაბლოსა და აფხაზეთში სადღეისოდ განცდილ საბრძოლო წარუმატებლობებთან.

Elver Kupatadze
History of Georgian National Army Formation in 1921-1956 years
Resume.

Study is established on the base of rich adepts, which is particularly noteworthy of the former ex-Soviet Union's military archives (most of them coming for the first time in Georgian scientific circulation) and Georgian recent history of the central archives of the funds in the protected material. In addition, the work is based on appropriate scientific and military – memoirs literature, in the union Republican Journal – newspapers printed publications. for critically Study to this numerous materials subsequently of analysis were created this work.

Firstly reviewed in XX Century 20 years – of red army Georgians forces, in particular, created 1st and 2nd Georgian divisions, their staffing personnel, Armaments and equipments, direct one's attention to this formations combatant – political preparation and success, for which they honored names deserved, while the 2nd Georgian shooter division territorially staff into the national force. After underlined in 1938 year

absolutely political decision – disbandment of the national divisions.

In following sections are shown in 1941years, 224,386 and 388 hastily created Georgian shooter divisions and their participation in Sevastopol conducted for a heavy defensive battles and Kerch – peodosia airborne operation. On the fond of Crimean Front Command unpardonable blunder, described of these division's fighters and commanders' brave commitment and fearless, unequal battles with fascists, death of personnel absolute majority and disbandment this formations and remove it from the list of the Soviet Armed Forces.

Special attention is set for a Caucasian conducted for a long battle in the 394, 242,351,276, 392, and 414 – Georgian shooter divisions active combat actions, as defense as attack operations. Specific numerals inform personnel numbers of these divisions with the national and social characteristics. Described each division's combat way, Award to them State reward and honorary designations, underlined this divisions's mite victory in fascists' affair.

In addition, proper place set for the post-war period in 1946-1956 years Georgian divisions (349, 296, 406, 392, and 414) by Turkish – Soviet Union the state border protection, education of the Heads of staff,

participation in military training and other curious matters.

At the end, is shown in 1956 year, I.Stalin's personality cult with the news of the end collapse of the formations, it supervened from ex-Soviet Union Leaders' chauvinistic politics.

Georgian national forces organizational structure and combat way consistent and comprehensive show was filled in Georgian historiography, on this problem still existing gap.

Купатадзе Елвер Сергеевич

История грузинских воинских соединений в 1921-1956 годах

Резюме

Исследование основано на богатой истоковедеческой базе. Особо следует отметить материалы военных архивов бывшего Советского Союза (большинство из этих материалов имеют научое значение) и материалы, хранящиеся в фондах

центрального Государственного архива новеишей истории Грузии. Кроме того широко используется соответствующая научная и военно-мемуарная литература а также публикации из союзной и республиканской прессы того времени. В результате критического изучения и анализа этого многочисленного материала был создан этот труд.

В работе рассмотривается создание, укомплектование личным составом, вооружением и оснащением грузинских частей Красной Армии – конкретно первой и второй грузинских стрелковых дивизий. Заострено внимание на боевую и политическую подготовку и тех достижениях, за что они были удостоены почетних наименований, а вторая стрелковая дивизия была преобразована из территориалного в кадрово национальное соединение, в конце подчеркивается вовсе неоправданное политическое решение 1938г. о ликвидации национальных дивизий.

Далее показано скороспелое создание в 1941 году 224-ой, 386-ой и 388-ой грузинских стрелковых дивизий и их участие в тяжелейщих оборонительных боях за Севастополь и Керчинско-Феодосиискої десантной операции. На фоне грубых, непростительных ошибок командования Крымского Фронта описывается мужественный подвиг войнов и командиров, гибель абсолютного

большинства личного состава этих дивизий в неравной борьбе с врагом, что обусловило расформирование этих соединений и вычеркивание их из списка Советских Вооруженных Сил.

Особое внимание уделено активным действиям как в оборонительных, так и наступательных боях в битве за Кавказ 394-ой, 242-ой, 351-ой, 276-ой, 392-ой и 414-ой грузинских стрелковых дивизий. Конкретные цифры сообщают нам о количестве личного состава этих дивизий по социальным и национальным признакам. Описан боевой путь каждой дивизии в деле победы над фашизмом.

В месте с тем значительное место уделено послевоенной (1946-1956гг.) воинской службе грузинских дивизий. В том числе следует отметить надежную охрану Советско Турецкой границы, систематическое участие в военных учениях, воспитание командирских кадров и др.

Показано расформирование национальных, в том числе грузинских дивизий в связи с трагическими событиями в Тбилиси, так называемого разоблачения культа личности И.В.Сталина в 1956 году, что исходило из шовинистической политики тогдашнего руководства бывшего Советского Союза.

Последовательно и объективно расмотрена организационная структура и проиденный путь

грузинских национальных частей и соединений за иследуемый период, заполнился пробел, существовавщий до сегодняшнего дня в изучение данной проблемы в грузинской историографии.

გამოყენებული ლიტერატურა

ვ. აბრამოვი, საბრძოლო დიდების გზებზე, მოსკოვი, 1962 (რუსულ ენაზე).

ამიერკავკასიის წითელდროშოვანი, მოსკოვი, 1969წ. (რუსულ ენაზე).

ამონჟოლოვ კრეიხანი, ეროვნული სამხედრო ფორმირებანი საბჭოთა შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში. ავტორეფერატი ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. ალმაატა, 1987 წ. (რუსულ ენაზე).

ა. აღლაძე, საქართველოს კომპარტია დიდი სამამულო ომის პერიოდში, თბილისი, 1979წ.

ი. ბაბაბლაშვილი, საქართველოს კომპარტია დიდი სამამულო ომის წლებში, თბილისი, 1977წ. (რუსულ ენაზე).

ბ. ბადანინი კავკასიის საბრძოლო ზღუდეებზე, მოსკოვი, 1962წ. (რუსულ ენაზე).

მ. ბარამია, ქართველი ხალხი კავკასიის დაცვისათვის ბრძოლაში, თბილისი, 1960წ.

ვ. ბექიშვილი, კავკასიის უღელტეხილების დაცვა 1942-1943წწ., თბილისი, 1977წ. (რუსულ ენაზე).

ბრძოალა კავკასიისათვის, თბილისი, 1984წ.

გ. ბურნაზიანი, ამიერკავკასიის რესპუბლიკის ეროვნული შენაერთების მონაწილეობა კავკასიისათვის ბრძოლებში და წითელი არმიის მომდევნო ოპერაციებში დიდ სამამულო ომში, როსტოვი, 1967წ. (რუსულ ენაზე).

ა. გუჩმაზოვი, ა. ტრასკუნოვი, კ. ცქიტიშვილი, ამიერკავკასიის ფრონტი, თბილისი, 1971წ. (რუსულ ენაზე).

ვ. გნეუშევი, ა. პოპუტკო, მარუხის მყინვარის საიდუმლო, მოსკოვი, 1964წ. (რუსულ ენაზე).

გ. დალაქიანი, 89-ე საბრძოლო, ერევანი, 1968წ. (სომხურ ენაზე), მოსკოვი, 1957წ. (რუსულ ენაზე).

რ. ზეინალოვი, ლ. ბოროდეცკი, ტაგანრიგის 416-ე, ბაქო, 1969წ. (რუსულ ენაზე).

ლ.თოიძე, ინტერვენციაც, ოკუპაციაც, ძალდატანებითი გასაბჭოებაც, თბილისი, 1991წ.

იბრაგიმ-ბეილი ხაჯიმურატი, ედელვაისის კრახი და ახლო აღმოსავლეთი, მოსკოვი, 1977წ. (რუსულ ენაზე).

იმ ქარცეცხლიან დღეებში, თბილისი 1985წ.

ა. იოსელიანი, საქართველო დიდ სამამულო ომში, თბილისი, 1958წ. კავკასიამ გაუძლო, კავკასიამ გაიმარჯვა, თბილისი, 1973წ. (რუსულ ენაზე).

ნ. კირსანოვი, სამშობლოს ძახილზე, მოსკოვი, 1974წ. (რუსულ ენაზე).

ე. კუპატაძე, გენერალი ჩანჩიბაძე, თბილისი, 1984წ.

ე. კუპატაძე, 242-ე სამთო-მსროლელი დივიზიის საბრძოლო გზა დიდ სამამულო ომში, თბილისი, 1990წ.

მათ ასახელეს სამშობლო, თბილისი, 1964.

ე. მამუკელაშვილი, ქართული საფრონტო პრესა, თბილისი, 1968წ.

მეორე მსოფლიო ომის ისტორია თორმეტ- ტომეული, ტ. VII, მოსკოვი, 1976წ. (რუსულ ენაზე).

ბ.მეხტიევი, 223-ე ბელგრადის წითელდროშოვანი, ბაქო, 1983წ. (რუსულ ენაზე).

409-ე კიროვოგრად-ბრატისლავის ხმელნიცსკის ორდენოსანი სომხური მსროლელი დივიზიის საბრძოლო გზა, დოკუმენტებისა და მასალების კრებული (სომხეთის არქივების მოამბე), №3, ერევანი, 1980წ. (რუსულ ენაზე).

რსფსრ-ს უცხო სახელმწიფოებთან დადებული მოქმედ ხელშეკრულებების შეთანხმებებისა და კონვენციების კრებული, გამოშვება III, მოსკოვი, 1922წ. (რუსულ ენაზე).

საბჭოთა საინოფორმაციო ბიუროს ცნობები, წიგნი II.

ს.სარქისიანი, 408-ე სომხური მსროლელი დივიზია კავკასიისათვის ბრძოლებში, ავტორეფერატი ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, ერევანი, 1966წ. (რუსულ ენაზე).

სამშობლოს ჯარისკაცები, თბილისი, 1984წ.

საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ.VII, თბილისი, 1976წ.

საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ.VIII, თბილისი, 1980წ.

საქართველოს მონაწილეობა დიდ სამამულო ომში (1941-1945წწ.) შრომების კრებული, თბილისი, 1989წ. (რუსულ ენაზე).

საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის ისტორია 1941-1945წწ. ტ.2, მოსკოვი, 1961წ. (რუსულ ენაზე).

სამშობლოს დამცველთა უკვდავი გმირობა, თბილისი, 1975წ.

ქალაქების განთავისუფლება, მოსკოვი, 1985წ. (რუსულ ენაზე).

ქართული დივიზიები საბჭოთა ხალხის დიდ სამამულო ომში, თბილისი, 1965წ.

ქედუხრელი კავკასიონი, თბილისი, 1969წ.

მ.ქოჩიაშვილი, ქართველი ხალხის საბრძოლო მამაცობა საბჭოთა კავშირის დიდ სამამულო ომში, თბილისი, 1975წ.

ვ.შევჩენკო, პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა ამიერკავკასიის ფრონტის ეროვნულ შენაერთებში კავკასიისათვის ბროლების დროს. ავტორეფერატი ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 1989წ. (რუსულ ენაზე).

ა.ჩარკვიანი, საბჭოთა სვანეთი, თბილისი, 1974წ.

კ.ცქიტიშვილი, ამიერკავკასია დიდი სამამულო ომის წლებში, თბილისი, 1969წ. (რუსულ ენაზე), მისივე დიდი სამამულო ომის ფრონტებზე, თბილისი, 1975წ. (რუსულ ენაზე), მისივე ბრძოლა კავკასიისათვის, ბათუმი, 1985წ.

კ.ცქიტიშვილი, ა.მათიაშვილი, ე.კუპატაძე, გმირული მიწისქვეშა გარნიზონი, თბილისი, 1985წ. (ქართულ და რუსულ ენებზე).

ვ.ჯანჯღავა, 414-ე წითელდროშოვანი, თბილისი, 1988წ.

ვ.ჯანჯღავა, აჯიმუშკაის ტრაგედია, თბილისი, 1988წ.

კ.ჯავრიშვილი, ქართველი მთასვლელები კავკასიონისათვის ბრძოლაში, თბილისი, 1945წ.

მოგონებები

კ.გვალია, არწივები მიდიოდნენ ცეცხლში, თბილისი, 1976წ.

ა.გრეჩკო, ბრძოლა კავკასიისათვის, მოსკოვი, 1973წ. (რუსულ ენაზე).

ა.გუსევი, იალბუზი ცეცხლში, მოსკოვი, 1980წ. (რუსულ ენაზე)

კ.დობორჯგინიძე, კავკასიონის მისადგომებთან, თბილისი, 1971წ.

ა.ერიომენკო, შურისგების წლები 1943-1945წ. მოსკოვი, 1985წ, (რუსულ ენაზე).

შ.თელია, საქართველოს კარიბჭესთან, თბილისი, 1969წ.

ა.ივანოვი, გროზნოდან პრაღამდე, გროზნო, 1973წ. (რუსულ ენაზე).

ნ.კალაძე, უდრეკი კავკასიონი, თბილისი, 1973წ.

ა.კელენჯერიძე, ქერჩი 1942, თბილისი, 1968წ.

ა.კოკილაშვილი, ქართველი მეომრები ყირიმისათვის ბრძოლაში სამამულო ომის დროს, თბილისი, 1968წ.

გ.მაზნიაშვილი, მოგონებანი, ბათუმი, 1990წ.

ვ.სიხარულიძე, ყირიმი ცეცხლის ალში, თბილისი, 1974წ.

ი.ტიულენევი, სამი ომის გზით, თბილისი, 1985წ.

გ.ყურაშვილი, მრისხანე კავკასიონთან, თბილისი, 1967წ., მისივე, თერგიდან სევასტოპოლამდე, თბილისი, 1968წ.

პ.შამათავა, დივიზია გადადიოდა კავკასიონზე, თბილისი, 1969წ.

ს.შტემენკო, გენერალური შტაბი ომის წლებში, თბილისი, 1968წ.

კ.ჩარკვიანი, განცდილი და ნააზრევი, თბილისი, 1985წ.

გ.ჩიტაიშვილი, ოთხასმეთოთხმეტელი, თბილისი, 1991წ.

ვ.ძაბახიძე, ცეცხლოვანი ფურცლები, თბილისი, 1966წ.

პერიოდული პრესა

გაზ. “წითელარმიელი” 1921-1938წწ.
გაზ. “კომუნისტი” 1936-1937წწ.
გაზ. “თბილისი” 1988წ.
გაზ. “ახალი სვანეთი” 1986წ.
გაზ. “ქართველი მსროლელი” 1942-1945.
გაზ. “სამშობლოსათვის” 1942-1945.
გაზ. “სტალინელი” 1942-1945.
გაზ. “სამშობლოსათვის” 1943-1945.
გაზ. “წინ გამარჯვებისაკენ” 1942-1945.
გაზ. “სამშობლოს დამცველი” 1942-1945.
გაზ. “სამშობლოს სადარაჯოზე” 1943-1945.
გაზ. “გამარჯვებისათვის” 1942-1945წწ.
გაზ. “საქართველოს რესპუბლიკა” 1922 წლის 25 ივლისი.

ჟურნალები

ჟურნალი “მაცნე” ისტორიის სერია 1990წ. №1
ჟურნალი “განთიადი” 1975 წლის №6.

არქივები

საქართველოს უახლოესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი.

ფონდი 307. აღწერა I, საქართVელოს სსრ სამხედრო-საზღვაო სახალხო კომისარიატი.

ფონდი 536, აღწერა I, საქართველოს წითელი არმიის ჯავშნოსანი დივიზიონი.

ფონდი 986, აღწერა I, 1-ლი ქართული დივიზიის სამხედრო ტრიბუნალი.

ფონდი 990, აღწერა I, მე-2 ქართული მსროლელი დივიზიის სამხედრო ტრიბუნალი.

ფონდი 1048, აღწერა I, კავკასიის ცალკე არმიის სამხედრო პროკურატურის სამმართველო.

ფონდი 1050, აღწერა I, კავკასიის ცალკე არმიის სამხედრო ტრიბუნალთან არსებული სამხედრო პროკურატურა.

ფონდი 1150, აღწერა I, კავკასიის ცალკე არმიის ქართული მსროლელი დივიზიების სამხედრო ტრიბუნალი.

ფონდი 2514, აღწერა I, დიდი სამამულო ომის ისტორიის შემსწავლელი კომისია.

საბჭოთა არმიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი.

ფონდი 37615, აღწერა I, 1-ლი ქართული მსროლელი დივიზია.

ფონდი 34446, აღწერა I, მე-2 ქართული მსროლელი ტერიტორიალური დივიზია.

სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს ცენტრალური არქივი

ფონდი 1711. აღწერა I, 388-ე ქართული მსროლელი დივიზია.

ფონდი 1708. აღწერა I, 386-ე ქართული მსროლელი დივიზია.

ფონდი 1720. აღწერა I, აღწერა 2, 394-ე ქართული მსროლელი დივიზია.

ფონდი 1717. აღწერა I, 392-ე ქართული მსროლელი დივიზია.

ფონდი 1736. აღწერა I, 414-ე ქართული მსროლელი დივიზია.

ფონდი 1524. აღწერა I, 242-ე სამთო-მსროლელი დივიზია.

ფონდი 1671, აღწერა I, აღწერა 2, 351-ე ქართული მსროლელი დივიზია.

ფონდი 1572, აღწერა I, 276-ე ქართული მსროლელი დივიზია.

ფონდი 1668, აღწერა I, 349-ე ქართული მსროლელი დივიზია.

ფონდი 1598, აღწერა I, 296-ე ქართული მსროლელი დივიზია.

ფონდი 1730, აღწერა I, აღწერა 2, 406-ე ქართული მსროლელი დივიზია.

ფონდი 416, აღწერა 634080 414-ე ქართული მსროლელი დივიზია.

ფონდი 1736, აღწერა 634080 414-ე ქართული მსროლელი დივიზია.

ფონდი 215, აღწერა 1185, ფირიმის ფრონტი.

ფონდი 47, აღწერა 1063, ამიერკავკასიის ფრონტი.

ფონდი 51, აღწერა 932, ჩრდილოეთ კავკასიის ფრონტი.

სქოლიო

შესავალი

1. ქართული დივიზიები საბჭოთა ხალხის დიდ სამამულო ომში, თბილისი, 1965წ.
2. სამშობლოს დამცველთა უკვდავი გმირობა, თბილისი, 1975წ.
3. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ.VII, თბილისი, 1976წ.
4. გ.მაზნიაშვილლი, მოგონებანი, ბათუმი, 1990წ.
5. ამონჟოლოვ კერეიხანი ეროვნული სამხედრო ფორმირებანი საბჭოთა შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში. ავტორეფერატი ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. ალმაატა, 1987წ. (რუსულ ენაზე).
6. გ.ბურნაზიანი, ამიერკავკასიის რესპუბლიკების ეროვნული შენაერთების მონაწილეობა კავკასიისათვის ბრძოლებში და წითელი არმიის მომდევნო ოპერაციებში დიდ სამამულო ომში, როსტოვი, 1967წ. (რუსულ ენაზე).
7. ქართული დივიზიები საბჭოთა ხალხის დიდ სამამულო ომში.
8. ქედუხრელი კავკასიონი, თბილისი, 1969წ.

9. ამიერკავკასიის წითელდროშოვანი, მოსკოვი, 1969წ, (რუსულ ენაზე). კავკასიამ გაუძლო, კავკასიამ გაიმარჯვა, თბილისი, 1973წ. (რუსულ ენაზე). ბრძოლა კავკასიისათვის, თბილისი, 1984წ., სამშობლოს ჯარისკაცები, თბილისი, 1984წ., სამშობლოს დამცველთა უკვდავი გმირობა, თბილისი, 1975წ., იმ ქარცეცხლიან დღეებში, თბილისი, 1985წ.

10. ა.იოსელიანი, საქართველო დიდ სამამულო ომში, თბილკისი 1958წ.

11. მ.ქოჩიაშვილი, ქართველი ხალხის საბრძოლომამაცობა საბჭოთა კავშირის დიდ სამაულო ომში, თბილისი, 1975წ.

12. კ.ცქიტიშვილი, დიდი სამამულო ომის ფრონტებზე, თბილისი, 1975 (რუსულ ენაზე), მისივე, ამიერკავკასია დიდი სამამულო ომის წლებში, თბილისი, 1969 (რუსულ ენაზე), მისივე, ბრძოლა კავკასიისათვის, ბათუმი, 1985წ., ა.გუჩმაზოვი, მ.ტრასკუნოვი, კ.ცქიტიშვილი – ამიერკავკასიის ფრონტი.

13. ვ.ბექიშვილი, კავკასიის უღელტეხილების დაცვა 1942-1943 წლებში, თბილისი, 1977წ. (რუსულ ენაზე)

14. ა.აღლაძე – საქართველოს კომპარტია დიდი სამამულო ომის პერიოდში, თბილისი, 1979წ.

15. ი.ბაბალაშვილი, საქართველოს სსრ დიდი სამამულო ომის წლებში, თბილისი, 1977 (რუსულ ენაზე).

16. საქრთველოს ისტორისს ნარკვევები, ტ.VIII, თბილის, 1980წ.

17. ე.მამუკელაშვილი, ქართული საფრონტო პრესა, თბლისი, 1968წ.

18. ვ.შევჩენკო, პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა ამიერკავკასიის ფრონტის ეროვნულ შენაერთებში კავკასიისათვის ბრძოლის დროს. ავტორეფერატი

ისტორიის მეცნიერებათა ლკანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 1989წ. (რუსულ ენაზე).

19. ნ.კირსანოვი, სამშობლოს ძახილზე, მოსკოვი, 1974წ. (რუსულ ენაზე).

20. მეორე მსოფლიო ომის ისტორია, ტ.VII, მოსკოვი, 1967, (რუსულ ენაზე).

21. ვ.ჯანჯღავა, 414-ე წითელდროშოვანი, თბილისი, 1988წ.

22. ე.კუპატაძე, 242-ე სამთო-მსროლელი დივიზიის საბრძოლო გზა დიდ სამამულო ომში, თბილისი, 1990წ.

23. კ.ცქიტიშვილი, ა.მათიაშვილი და ე.კუპატაძე. გმირული მიწისქვეშა გარნიზონი, თბილისი, 1985წ. ქართულ და რუსულ ენებზე.

24. ვ.ჯანჯღავა, აჯიმუშკაიას ტრაგედია, თბილისი, 1988წ.

25. ვ.კოკილაშვილი, ქართველი მეომრები ყირიმისათვის ბრძოლაში სამამულო ომის დროს, თბილისი, 1962წ.

26. ა.კელენჯერიძე, ქერჩი 1942, თბილისი, 1968წ.

27. ვ.სიხარულიძე, ყირიმი ცეცხლის ალში, თბილისი, 1974წ.

28. პ.შამათავა, დივიზია გადადიოდა კავკსიონზე, თბილისი, 1969წ.

29. გ.ყურაშვილი, მრისხანე კავკასიონთან, თბილისი, 1967წ. მისივე, ტერგიდან სევასტოპოლამდე, თბილისი, 1968წ.

30. ნ.კალაძე, უდრეკი კავკასიონი, თბილისი, 1973წ.

31. ვ.ძაბახიძე, ცეცხლოვანი ფურცლები, თბილისი, 1966წ.

32. გ.ჩიტაიშვილი, ოთხასოცდამეთოთხმეტელი, თბილისი, 1991წ.
33. კ.დობორჯგინიძე, კავკასიონის მისადგომებთან, თბილისი, 1971წ.
34. კ.გვალია, არწივები მიდიოდნენ ცეცხლში, თბილისი, 1976წ.
35. კ.ჩარკვიანი, განცდილი და ნააზრევი, თბილისი, 1985წ.
36. კ.ჯავრიშვილი, ქართველი მთასვლელები კავკასიონისათვის ბრძოლაში, თბილისი, 1945წ.
37. ა.გუსევი, იალბუზი ცეცხლში, მოსკოვი, 1980წ. (რუსულ ენაზე).
38. ვ.გნეუშევი, ა.პოპუტკო, მარუხის უღელტეხილის საიდუმლო, 1946წ. (რუსულ ენაზე).
39. ა.ივანოვი, გროზნოდან პრაღამდე, გროზნო, 1973წ. (რუსულ ენაზე).
40. ა.გრეჩკო, ბრძოლა კავკასიისათვის, მოსკოვი, 1973წ. (რუსულ ენაზე).
41. ი.ტიულენევი, სამი ომის გზით, თბილისი, 1985წ.
42. ს.შტემენკო, გენერალური შტაბი ომის წლებში, თბილისი, 1968წ.
43. გაზ. "საქართველოს რესპუბლიკა" 1922 წლის 25 ივლისი.
44. ა.ერიომენკო, შურისგების წლები, 1943-1945, მოსკოვი, 1985წ. (რუსულ ენაზე)
45. საქართველოს სსრ მონაწილეობა დიდ სამამულო ომში (1941-1945წწ.) (შრომების კრებული), თბილისი, 1989წ. გვ. 154 (რუსულ ენაზე).

თავი I

1. ლ.თოიძე, ინტერვენციაც ოკუპაციაც, ძალდატანებითი გასაბჭოებაც. თბილისი, 1991, გვ.124.

2. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ.VII, გვ. 73.
3. რსფსრ-ს უცხოეთის სახელმწიფოებთან დადებული მოქმედი ხელშეკრულებების, შეთანხმებებისა და კონვენციების კრებული, გამოშვება III, მოსკოვი, 1922, გვ.18-19 (რუსულ ენაზე).
4. ლ.თოიძე, 25 თებერვლის შემდეგ, იხ. ჟურნალი "მაცნეს" ისტორიის სერია, 1990წ., გვ12.
5. იქვე, გვ. 12-13.
6. ლ.თოიძე, დასახ. ნაშრომი, გვ.13.
7. იქვე
8. გაზ. "წითელარმიელი", 1932 წლის 30 მარტი
9. გაზ. "წითელარმიელი", 1923 წლის 7 ნოემბერი.
10. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი (შემდგომში იხილეთ შემოკლებით საქართველოს უახლესი ისტორიის ცსა), ფ.307, აღწ. I, საქ. I, ფურც.5, 64.
11. გ.მაზნიაშვილი, მოგონებანი, ბათუმი, 1990წ. გვ.209.
12. გ.მაზნიაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ.209.
13. გ.მაზნიაშვილი დასახ. ნაშრომი, გვ.211-212.
14. გაზ. "წითელარმიელი", 1923 წლის 7 ნოემბერი.
15. გაზ. "წითელარმიელი", 1923 წლის 7 ნოემბერი.
16. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. VII, გვ. 74.
17. ე.კუპატაძე, გენერალი ჩანჩიბაძე, თბილისი, 1984წ., გვ. 4-5.
18. იქვე
19. იქვე, გვ.5-6.
20. საქართველოს უახლესი ისტორიის ცსა, ფ.307, აღწ. I, საქ. 18, ფურც. 26.
21. საქართველოს უახლესი ისტორიის ცსა, ფ.307, აღწ. I, საქ. 4, ფურც. 2.
22. იქვე, საქ. 6, ფურც. 2

23. იქვე, საქ. 6, ფურც. 17.
24. საქართველოს უახლესი ისტორიის ცსა, ფ.307, აღწ. I, საქ. 6, ფურც. 17.
25. იქვე, ფურც. 17-18.
26. გაზ. "წითელარმიელი", 1922 წლის 24 აგვისტო და გაზ. "წითელარმიელი", 1926 წლის 10 იანვარი.
27. გაზ. "წითელარმიელი", 1923 წლის 7 ნოემბერი.
28. იქვე.
29. საბჭოთა არმიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი (საბჭოთა არმიის ცსა), ფ. 37615, აღწ. I, საქ. 5,ფურც. 5.
30. საბჭოთა არმიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი (შემდგომში იხ. შემოკლებით საბჭოთა არმიის ცსა), ფ.37615, აღწ. I, საქ. 5, ფურც. 5.
31. საქართველოს უახლესი ისტორიის ცსა, ფ.307, აღწ. I, საქ. 2, ფურც. 88.
32. გაზ. "წითელარმიელი", 1925 წლის 25 ოქტომბერი.
33. იქვე.
34. გაზ. "წითელარმიელი", 1925 წლის 10 დეკემბერი.
35. გაზ. "წითელარმიელი", 1925 წლის 1 ოქტომბერი.
36. გაზ. "წითელარმიელი", 1925 წლის 7 დეკემბერი.
37. გაზ. "წითელარმიელი", 1922 წლის 26 ნოემბერი.
38. გაზ. "წითელარმიელი", 1922 წლის 24 აგვისტო.
39. საქართველოს უახლესი ისტორიის ცსა, ფ.307, აღწ. I, საქ. 2, ფურც. 117.
40. გაზ. "წითელარმიელი", 1922 წლის 12 სექტემბერი.
41. გაზ. "წითელარმიელი", 1922 წლის 28 დეკემბერი.
42. გაზ. "წითელარმიელი", 1922 წლის 24 დეკემბერი.
43. გაზ. "წითელარმიელი", 1923 წლის 11 აგვისტო.
44. გაზ. "წითელარმიელი", 1926 წლის 22 იანვარი.
45. გაზ. "წითელარმიელი", 1929 წლის 23 აგვისტო.
46. გაზ. "წითელარმიელი", 1931 წლის 5 ივნისი.

47. იქვე, 11 ივნისი.
48. გაზ. "წითელარმიელი", 1932 წლის 24 ივნისი.
49. გაზ. "წითელარმიელი", 1932 წლის 12 ივლისი.
50. იქვე
51. გაზ. "წითელარმიელი", 1932 წლის 6 სექტემბერი.
52. გაზ. "წითელარმიელი", 1932 წლის 8 სექტემბერი.
53. საბჭოთა არმიის ცსა, ფ.37615, აღწ. I, საქ. 5, ფურც. 5.
54. გაზ. "წითელარმიელი", 1933 წლის 21 ივნისი.
55. საბჭოთა არმიის ცსა, ფ.37615, აღწ. I, საქ. 5, ფურც. 6.
56. საბჭოთა არმიის ცსა, ფ.37615, აღწ. I, საქ. 5, ფურც. 6.
57. გაზ. "წითელარმიელი", 1934 წლის 24 სექტემბერი.
58. იქვე
59. გაზ. "კომუნისტი", 1936 წლის 23 თებერვალი.
60. იქვე
61. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. VII, გვ. 167.
62. იქვე
63. გაზ. "წითელარმიელი", 1922 წლის 24 აგვისტო.
64. გაზ. "წითელარმიელი", 1922 წლის 24 აგვისტო.
65. იქვე
66. გაზ. "წითელარმიელი", 1925 წლის 18 ივლისი.
67. გაზ. "წითელარმიელი", 1927 წლის 7 ნოემბერი.
68. გაზ. "წითელარმიელი", 1927 წლის 7 ნოემბერი.
69. გაზ. "წითელარმიელი", 1925 წლის 22 აგვისტო.
70. გაზ. "წითელარმიელი", 1925 წლის 4 ოქტომბერი.
71. გაზ. "წითელარმიელი", 1933 წლის 21 ივნისი.
72. საბჭოთა არმიის ცსა, ფ.34446, აღწ. I, საქ. 1, ფურც. 13.
73. საბჭოთა არმიის ცსა, ფ.34446, აღწ. I, საქ. 1, ფურც. 13.
74. იქვე, ფურც. 18.
75. გაზ. "წითელარმიელი", 1927 წლის 1 ივნისი.

76. გაზ. “წითელარმიელი”, 1925 წლის 1 ივლისი.
77. გაზ. “წითელარმიელი”, 1927 წლის 2 სექტემბერი.
78. გაზ. “წითელარმიელი”, 1928 წლის 1 თებერვალი.
79. გაზ. “წითელარმიელი”, 1928 წლის 3 ოქტომბერი.
80. გაზ. “წითელარმიელი”, 1928 წლის 7 ოქტომბერი.
81. გაზ. “წითელარმიელი”, 1928 წლის 7 ოქტომბერი.
82. გაზ. “წითელარმიელი”, 1929 წლის 4 ოქტომბერი.
83. თეზისები მუშურ-გლეხური წითელი არმიის ქართული ნაწილების ათი წლისთავი, თბილისი, 1931, გვ. 10.
84. იქვე, გვ 15, 16.
85. თეზისები მუშურ-გლეხური წითელი არმიის ქართული ნაწილების ათი წლისთავი, გვ. 16, 17.
86. გაზ. “წითელარმიელი”, 1932 წლის 22 მაისი.
87. გაზ. “წითელარმიელი”, 1932 წლის 6 სექტემბერი.
88. საბჭოთა არმიის ცსა, ფ.34446, აღწ. I, საქ. 2, ფურც. 16.
89. საბჭოთა არმიის ცსა, ფ.34446, აღწ. I, საქ. 3, ფურც. 12.
90. საბჭოთა არმიის ცსა, ფ.34446, აღწ. I, საქ. 3, ფურც. 14.
91. გაზ. “წითელარმიელი”, 1935 წლის 9 აგვისტო.
92. გაზ. “წითელარმიელი”, 1935 წლის 5 ოქტომბერი.
93. იქვე
94. საბჭოთა არმიის ცსა, ფ.34446, აღწ. I, საქ. 28, ფურც. 75.
95. საბჭოთა არმიის ცსა, ფ.34446, აღწ. I, საქ. 28, ფურც. 75.
96. იქვე
97. იქვე, საქ. 36, ფურც. 354.

98. საბჭოთა არმიის ცსა, ფ.34446, აღწ. I, საქ. 36, ფურც. 354.
99. იქვე, ფურც. 355.
100. იქვე, ფურც. 356.
101. იქვე, საქ. 13, ფურც. 151.

თავი 2.

1. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. VIII, გვ. 167-168.
2. კ.ჩარკვიანი, დასახ. ნაშრომი, გვ.234-235.
3. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. VIII, გვ. 168.
4. კ.ჩარკვიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 236.
5. კ.ჩარკვიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 236-237.
6. ქართული დივიზიები საბჭოთა კავშირის დიდ სამამულო ომში, გვ. 83.
7. ქართული დივიზიები საბჭოთა ხალხის დიდ სამამულო ომში, გვ. 84.
8. ქართული დივიზიები საბჭოთა ხალხის დიდ სამამულო ომში, გვ. 85-86.
9. ქართული დივიზიები საბჭოთა ხალხის დიდ სამამულო ომში, გვ. 86.
10. ქართული დივიზიები საბჭოთა ხალხის დიდ სამამულო ომში, გვ. 89.
11. ქართული დივიზიები საბჭოთა ხალხის დიდ სამამულო ომში, გვ. 90.
12. იქვე, გვ. 90-91.
13. იქვე, გვ. 92.
14. ვ.ძაბახიძე, ცეცხლოვანი ფურცლები, გვ. 7, 15.
15. ვ.ძაბახიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 18-19.
16. ვ.ძაბახიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 19-20.

17. ქართული დივიზიები საბჭოთა ხალხის დიდ სამამულო ომში, გვ. 98-99.

18. კ.ცქიტიშვილი, ტ.ჩინჩილაკაშვილი - საბჭოთა კავშირის გმირები საქართველოდან, თბილისი, 1977, გვ 238.

19. ქართული დივიზიები საბჭოთა ხალხის დიდ სამამულო ომში, გვ. 99-100.

20. ქართული დივიზიები საბჭოთა ხალხის დიდ სამამულო ომში, გვ. 102-104.

21. ქართული დივიზიები საბჭოთა ხალხის დიდ სამამულო ომში, გვ. 108.

22. ქართული დივიზიები საბჭოთა ხალხის დიდ სამამულო ომში, გვ. 109.

23. იქვე

24. ვ.ძაბახიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 44.

25. ვ.ძაბახიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 45.

26. იქვე, გვ. 46.

27. ქართული დივიზიები საბჭოთა ხალხის დიდ სამამულო ომში, გვ. 122.

28. ქართული დივიზიები საბჭოთა ხალხის დიდ სამამულო ომში, გვ. 124.

29. ქართული დივიზიები საბჭოთა ხალხის დიდ სამამულო ომში, გვ. 124.

30. ქართული დივიზიები საბჭოთა ხალხის დიდ სამამულო ომში, გვ. 125-126.

31. ვ.ძაბახიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 16.

32. ქართული დივიზიები საბჭოთა ხალხის დიდ სამამულო ომში, გვ. 128.

33. კ.ცქიტიშვილი, ა.მათიაშვილი, ე.კუპატაძე, გმირული მიწისქვეშა გარნიზონი, თბილისი, 198 წ. გვ.34.

34. ს.შტემენკო, გენერალური შტაბი ომის წლებში, თბილისი, 1968წ. გვ.61-62.

35. საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის ისტორია, 1941-1945, ტ.2, მოსკოვი, 1961, გვ. 406 (რუსულ ენაზე).

36. სსრ კავშირის თსცა, ფ.1711, აღწ.I,საქ.4, ფურც. 33.

37. სსრ კავშირის თსცა, ფ.1711, აღწ.I, საქ.1, ფურც. 6.

38. სსრ კავშირის თსცა, ფ.1711, აღწ. I, საქ. 1, ფურც. 6-7.

39. სსრ კავშირის თსცა, ფ.1711, აღწ. I, საქ. 1, ფურც. 6-7.

40. იქვე, ფურც. 26.

41. სსრ კავშირის თსცა, ფ.1711, აღწ. I, საქ. 1, ფურც. 8-9.

42. სსრ კავშირის თსცა, ფ.1711, აღწ.I,საქ.1, ფურც. 4.

43. იქვე, ფურც. 26.

44. სსრ კავშირის თსცა, ფ.1711, აღწ.I,საქ.1,ფურც. 26.

45. სსრ კავშირის თსცა, ფ.1711, აღწ.I, საქ.3, ფურც. 1.

46. იქვე, ფურც. 2.

47. სსრ კავშირის თსცა, ფ.1711, აღწ. I, საქ. 3, ფურც. 2-3.

48. სსრ კავშირის თსცა, ფ.1711, აღწ. I, საქ. 3, ფურც. 3-4.

49. იქვე, ფურც. 5-6.

50. სსრ კავშირის თსცა, ფ.1711, აღწ.I,საქ.3, ფურც. 6.

51. იქვე

52. იქვე, ფურც. 7.

53. სსრ კავშირის თსცა, ფ.1711, აღწ.I, საქ.3, ფურც. 9.

54. იქვე, ფ. 1663, აღწ. I, საქ. 3, ფურც. 9.

55. სსრ კავშირის თსცა, ფ.1663, აღწ. I, საქ. 1, ფურც. 108.

56. სსრ კავშირის თსცა, ფ.1711, აღწ.I,საქ.3, ფურც. 10.

57. იქვე, ფურც. 11-12.

58. იქვე, ფურც. 12-13.

59. სსრ კავშირის თსცა, ფ.1711, აღწ.I,საქ.3, ფურც. 15.

60. იქვე, ფურც. 16-17.

61. სსრ კავშირის თსცა, ფ.1711, აღწ.I,საქ.3, ფურც. 18.

62. იქვე, ფურც. 19-20.

63. იქვე, ფურც. 22.
64. სსრ კავშირის თსცა, ფ.1711, აღწ. I, საქ. 3, ფურც. 23-24.
65. იქვე
66. სსრ კავშირის თსცა, ფ.1711, აღწ.I,საქ.3,ფურც. 25.
67. იქვე, ფურც. 27-28.
68. სსრ კავშირის თსცა, ფ.1711, აღწ.I,საქ.3, ფურც. 31.
69. სსრ კავშირის თსცა, ფ.1711, აღწ. I, საქ. 25, ფურც. 21
70. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. VIII, გვ. 173.
71. სსრ კავშირის თსცა, ფ.1711, აღწ. I, საქ. 13, ფურც. 138.
72. იქვე, საქ. 12, ფურც. 207.
73. სსრ კავშირის თსცა, ფ.1711, აღწ. I, საქ. 12, ფურც. 264.
74. იქვე, ფურც. 261.
75. იქვე, ფურც. 221.
76. იქვე, ფურც. 172.
77. სსრ კავშირის თსცა, ფ.1711, აღწ. I, საქ. 12, ფურც. 164.
78. იქვე, ფურც. 160.
79. იქვე, ფურც. 80.
80. იქვე, ფურც. 79.
81. სსრ კავშირის თსცა, ფ.1711, აღწ. I, საქ. 12, ფურც. 16.
82. სსრ კავშირის თსცა, ფ.1712, აღწ.I,საქ 1, ფურც. 1.
83. სსრ კავშირის თსცა, ფ.1712, აღწ.I,საქ.1, ფურც. 4.
84. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. VIII, გვ. 174.
85. სსრ კავშირის თსცა, ფ.1708, აღწ. I, საქ. 3, ფურც. 1-2.
86. იქვე, ფურც. 2-3.
87. სსრ კავშირის თსცა, ფ.1708, აღწ.I,საქ.1, ფურც. 5.

88. იქვე, ფურც. 10.
89. სსრ კავშირის თსცა, ფ.1708, აღწ.I,საქ.1,ფურც. 14.
90. სსრ კავშირის თსცა, ფ.1708, აღწ. I, საქ. 1, ფურც. 5-6.
91. იქვე, ფურც. 39.
92. სსრ კავშირის თსცა, ფ.1708, აღწ. I, საქ. 1, ფურც. 6.
93. სსრ კავშირის თსცა, ფ.1708, აღწ.I,საქ.3, ფურც. 8.
94. იქვე, ფურც. 46.
95. იქვე, ფურც. 9.
96. იქვე, ფურც. 10.
97. სსრ კავშირის თსცა, ფ.1708, აღწ. I, საქ. 3, ფურც. 11.
98. იქვე
99. იქვე, ფურც. 12.
100. სსრ კავშირის თსცა, ფ.1708, აღწ. I, საქ. 3, ფურც. 14.
101. იქვე, საქ. 1, ფურც. 54.
102. სსრ კავშირის თსცა, ფ.1708, აღწ. I, საქ. 3, ფურც. 28.
103. იქვე

თავი 3.
1. სსრ კავშირის თსცა, ფ.1720, აღწ.I, საქ.2, ფურც. 1.
2. იქვე
3. სსრ კავშირის თსცა, ფ.1720, აღწ.I, საქ.2, ფურც. 8.
4. ი. ბაბალაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ.
5. სსრ კავშირის თსცა, ფ.1720, აღწ.I,საქ.1, ფურც. 17.
6. ლ.გოგატიშვილი, ვ.რუხაძე, დასახ. ნაშრომი, იხ. კრებული ქედუხრელი კავკასიონი, გვ.132-133.
7. სსრ კავშირის თსცა, ფ.1720, აღწ. I, საქ. 10, ფურც. 7.
8. იქვე, ფურც. 17.
9. სსრ კავშირის თსცა, ფ.1720, აღწ. I, საქ. 114, ფურც. 16.
10. იქვე, ფურც. 38.
11. ლ.გოგატიშვილი, ვ.რუხაძე, დასახ. ნაშრომი, იხ. კრებული ქედუხრელი კავკასიონი, გვ.134.

12. სსრ კავშირის თსცა, ფ.1720, აღწ. I, საქ. 19, ფურც. 17.
13. იქვე, საქ. 22, ფურც. 26.
14. სსრ კავშირის თსცა, ფ.1720, აღწ. I, საქ. 22, ფურც. 26.
15. იქვე, საქ. 7, ფურც. 18-19.
16. იქვე, საქ. 22, ფურც. 11.
17. სსრ კავშირის თსცა, ფ.1720, აღწ. I, საქ. 23, ფურც. 78.
18. იქვე, საქ. 120, ფურც. 33.
19. სსრ კავშირის თსცა, ფ.1720, აღწ. I, საქ. 119, ფურც. 16.
20. იქვე
21. იქვე, საქ. 120, ფურც. 96.
22. სსრ კავშირის თსცა, ფ.1720, აღწ. I, საქ. 2, ფურც. 2.
23. ლ.გოგატიშვილი, ვ.რუხაძე, დასახ. ნაშრომი, იხ. კრებული ქედუხრელი კავკასიონი, გვ.135-136.
24. ლ.გოგატიშვილი, ვ.რუხაძე, დასახ. ნაშრომი, იხ. კრებული ქედუხრელი კავკასიონი, გვ.136-137.
25. ი.ტიულენევი, დასახ. ნაშრომი, გვ. 199-200.
26. სსრ კავშირის თსცა, ფ.1720, აღწ. I, საქ. 2, ფურც. 2.
27. იქვე
28. სსრ კავშირის თსცა, ფ.1720, აღწ. I, საქ. 2, ფურც. 3.
29. იქვე
30. ლ.გოგატიშვილი, ვ.რუხაძე, დასახ. ნაშრომი, იხ. კრებული ქედუხრელი კავკასიონი, გვ.137-139.
31. იქვე, გვ. 140.
32. სსრ კავშირის თსცა, ფ.1720, აღწ. I, საქ. 2, ფურც. 3.
33. იქვე
34. ლ.გოგატიშვილი, ვ.რუხაძე, დასახ. ნაშრომი, იხ. კრებული ქედუხრელი კავკასიონი, გვ.141-142.
35. ლ.გოგატიშვილი, ვ.რუხაძე, დასახ. ნაშრომი, გვ.143-144.
36. იქვე

37. ლ.გოგატიშვილი, ვ.რუხაძე, დასახ. ნაშრომი, იხ. კრებული ქედუხრელი კავკასიონი, გვ.144-145.
38. ლ.გოგატიშვილი, ვ.რუხაძე, დასახ. ნაშრომი, იხ. კრებული ქედუხრელი კავკასიონი, გვ.145-147.
39. ლ.გოგატიშვილი, ვ.რუხაძე, დასახ. ნაშრომი, იხ. კრებული ქედუხრელი კავკასიონი, გვ.145-147.
40. ლ.გოგატიშვილი, ვ.რუხაძე, დასახ. ნაშრომი, იხ. კრებული ქედუხრელი კავკასიონი, გვ.154-155.
41. სსრ კავშირის თსცა, ფ.1720, აღწ. I, საქ. 2, ფურც. 3.
42. იქვე
43. ლ.გოგატიშვილი, ვ.რუხაძე, დასახ. ნაშრომი, იხ. კრებული ქედუხრელი კავკასიონი, გვ.170-171.
44. სსრ კავშირის თსცა, ფ.1720, აღწ. I, საქ. 2, ფურც. 3.
45. იქვე
46. ლ.გოგატიშვილი, ვ.რუხაძე, დასახ. ნაშრომი, იხ. კრებული ქედუხრელი კავკასიონი, გვ.172-173.
47. ლ.გოგატიშვილი, ვ.რუხაძე, დასახ. ნაშრომი, იხ. კრებული ქედუხრელი კავკასიონი, გვ.173-174.
48. სსრ კავშირის თსცა, ფ.1720, აღწ. I, საქ. 2, ფურც. 3.
49. სსრ კავშირის თსცა, ფ.1720, აღწ. I, საქ. 2, ფურც. 3.
50. სსრ კავშირის თსცა, ფ.1720, აღწ. I, საქ. 2, ფურც. 4.
51. იქვე
52. სსრ კავშირის თსცა, ფ.1720, აღწ. I, საქ. 2, ფურც. 4
53. იქვე, აღწ. 2, საქ. 21, ფურც. 8, 9.
54. სსრ კავშირის თსცა, ფ.1720, აღწ. I, ფურც. 13, 15, 16.
55. დიდი სამამულო ომის ისტორია, მოსკოვი, 1974წ. ტ.3, გვ. 180 (რუსულ ენაზე).
56. სსრ კავშირის თსცა, ფ.1720, აღწ.I,საქ.1,ფურც. 17.
57. იქვე
58. სსრ კავშირის თსცა, ფ.1720, აღწ. I, საქ. 2, ფურც. 7.
59. იქვე, საქ. 4, ფურც. 1

60. იქვე
61. იქვე
62. ქართული დივიზიები საბჭოთა ხალხის დიდ სამამულო ომში, გვ. 207.
63. ქართული დივიზიები საბჭოთა ხალხის დიდ სამამულო ომში, გვ. 208.
64. სსრ კავშირის თსცა, ფ.1717, აღწ. I, საქ. 4, ფურც. 1.
65. იქვე, ფურც. 2.
66. იქვე
67. სსრ კავშირის თსცა, ფ.1717, აღწ. I, საქ. 4, ფურც. 2.
68. ქართული დივიზიები საბჭოთა ხალხის დიდ სამამულო ომში, გვ. 211-212.
69. იქვე, გვ. 212.
70. ქართული დივიზიები საბჭოთა ხალხის დიდ სამამულო ომში, გვ. 219.
71. სსრ კავშირის თსცა, ფ.1717, აღწ.I,საქ.4, ფურც. 2.
72. გაზ. "წინ გამარჯვებისაკენ", 1942 წლის 5 სექტემბერი.
73. იქვე, 13 სექტემბერი.
74. სსრ კავშირის თსცა, ფ.1717, აღწ. I, საქ. 4, ფურც. 2.
75. ქართული დივიზიები საბჭოთა ხალხის დიდ სამამულო ომში, გვ. 212-213.
76. ქართული დივიზიები საბჭოთა ხალხის დიდ სამამულო ომში, გვ. 212-213.
77. ქართული დივიზიები საბჭოთა ხალხის დიდ სამამულო ომში, გვ. 214.
78. იქვე, გვ. 215.
79. ქართული დივიზიები საბჭოთა ხალხის დიდ სამამულო ომში, გვ. 216.
80. იქვე, გვ. 217.
81. გ.ს. ბურნაზიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 29.

82. ქართული დივიზიები საბჭოთა ხალხის დიდ სამამულო ომში, გვ. 218.
83. იქვე, გვ. 226.
84. ქართული დივიზიები საბჭოთა ხალხის დიდ სამამულო ომში, გვ. 227-228.
85. ქართული დივიზიები საბჭოთა ხალხის დიდ სამამულო ომში, გვ. 229.
86. იქვე
87. სსრ კავშირის თსცა, ფ.1717, აღწ.I,საქ.4, ფურც. 2.
88. ქართული დივიზიები საბჭოთა ხალხის დიდ სამამულო ომში, გვ. 221.
89. ქართული დივიზიები საბჭოთა ხალხის დიდ სამამულო ომში, გვ. 223-224.
90. სსრ კავშირის თსცა, ფ.1717, აღწ. I, საქ. 4, ფურც. 21.
91. გაზ. "წინ გამარჯვებისაკენ", 1942 წლის 3 ნოემბერი.
92. კ.ცქიტიშვილი, ტ. ჩინჩილაკაშვილი – "საბჭოთა კავშირის გმირები საქართველოდან", გვ. 200.
93. სსრ კავშირის თსცა, ფ.1717, აღწ.I,საქ.4, ფურც. 2.
94. სსრ კავშირის თსცა, ფ.1717, აღწ. I, საქ. 4, ფურც. 2.
95. კ.დობორჯგინიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 59-60.
96. იქვე, გვ. 62-63.
97. სსრ კავშირის თსცა, ფ.1717, აღწ. I, საქ. 4, ფურც. 3.
98. ქართული დივიზიები საბჭოთა ხალხის დიდ სამამულო ომში, გვ. 230-231.
99. სსრ კავშირის თსცა, ფ.1717, აღწ. I, საქ. 4, ფურც. 3.
100. ქართული დივიზიები საბჭოთა ხალხის დიდ სამამულო ომში, გვ. 232-233.
101. ქართული დივიზიები საბჭოთა ხალხის დიდ სამამულო ომში, გვ. 233.
102. იქვე, გვ. 234.
103. კ.დობორჯგინიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 56-59.

104. სსრ კავშირის თსცა, ფ.1717, აღწ. I, საქ. 4, ფურც. 3.
105. კ.ცქიტიშვილი, ტ.ჩინჩილიკაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 248.
106.
107. კ.ცქიტიშვილი, ტ.ჩინჩილიკაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 288.
108. სსრ კავშირის თსცა, ფ.1717, აღწ. I, საქ. 4, ფურც. 4.
109. კ.ჩარკვიანი, განცდილი და ნააზრევი, თბ., 1985, გვ. 292.
110. სსრ კავშირის თსცა, ფ.1524, აღწ. I, საქ. 1, ფურც. 1.
111. გაზ. "ახალი სვანეთი", 1986 წლის 29 მაისი.
112. სსრ კავშირის თსცა, ფ.1717, აღწ. I, საქ. 4, ფურც. 4.
113. იქვე
114. იქვე, საქ. 1, ფურც. 3.
115. იქვე, საქ. 4, ფურც. 8.
116. სსრ კავშირის თსცა, ფ.1717, აღწ. I, საქ. 1, ფურც. 3.
117. სსრ კავშირის თსცა, ფ.1736, აღწ. I, საქ. 1, ფურც. 1.
118. ვ.ჯანჯღავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 16.
119. ვ.ჯანჯღავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 17.
120. იქვე
121. ვ.ჯანჯღავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 17-18.
122. ვ.ჯანჯღავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 18.
123. იქვე, გვ. 18-19.
124. სსრ კავშირის თსცა, ფ.1736, აღწ. I, საქ. 1, ფურც. 1-2.
125. სსრ კავშირის თსცა, ფ.1736, აღწ. I, საქ. 1, ფურც. 8.
126. იქვე
127. სსრ კავშირის თსცა, ფ.1736, აღწ. I, საქ. 1, ფურც. 8.
128. იქვე, ფურც. 12.
129. სსრ კავშირის თსცა, ფ.1736, აღწ. I, საქ. 1, ფურც.
130. იქვე, ფურც. 10.
131. იქვე, ფურც. 1-2.

132. ვ.ჯანჯღავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 75.
133. სსრ კავშირის თსცა, ფ.1736, აღწ. I, საქ. 1, ფურც. 2.
134. ვ.ჯანჯღავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 83.
135. იქვე, გვ. 85.
136. იქვე, გვ. 87.
137. სსრ კავშირის თსცა, ფ.1736, აღწ. I, საქ. 1, ფურც. 2.
138. იქვე
139. ვ.ჯანჯღავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 119-120.
140. სსრ კავშირის თსცა, ფ.1736, აღწ. I, საქ. 1, ფურც. 12.
141. იქვე, ფურც. 2.
142. სსრ კავშირის თსცა, ფ.1736, აღწ. I, საქ. 1, ფურც. 2.
143. იქვე
144. ვ.ჯანჯღავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 188-189.
145. სსრ კავშირის თსცა, ფ.1736, აღწ. I, საქ. 1, ფურც. 2.
146. სსრ კავშირის თსცა, ფ.1736, აღწ. I, საქ. 1, ფურც. 2.
147. იქვე
148. ქალაქების განთავისუფლება, გვ. 38.
149. სსრ კავშირის თსცა, ფ.1736, აღწ. I, საქ. 1, ფურც. 2.
150. ა. კოკილაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 91-92.
151. სსრ კავშირის თსცა, ფ.1736, აღწ. I, საქ. 1, ფურც. 14.
152. იქვე
153. იქვე, ფურც. 2.
154. სსრ კავშირის თსცა, ფ.1736, აღწ. I, საქ. 1, ფურც. 3.
155. სსრ კავშირის თსცა, ფ.1736, აღწ. I, საქ. 1, ფურც. 3.
156. იქვე
157. სსრ კავშირის თსცა, ფ.1736, აღწ. I, საქ. 1, ფურც. 3.
158. ვ.ჯანჯღავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 601-602
159. სსრ კავშირის თსცა, ფ.1524, აღწ. I, საქ. 1, ფურც. 1.
160. იქვე
161. იქვე
162. სსრ კავშირის თსცა, ფ.1524, აღწ. I, საქ. 1, ფურც. 1.

163. გ.ყურაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 31-32.
164. სსრ კავშირის თსცა, ფ.1524, აღწ. I, საქ. 6, ფურც. 25.
165. სსრ კავშირის თსცა, ფ.1524, აღწ. I, საქ. 6, ფურც. 25.
166. იქვე, საქ. 13, ფურც. 11.
167. იქვე
168. სსრ კავშირის თსცა, ფ.1524, აღწ. I, საქ. 13, ფურც. 88.
169. იქვე, საქ. 1, ფურც. 2.
170. გ.ყურაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 38, 46, 47.
171. გ.ყურაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 49, 51.
172. იქვე, გვ. 52.
173. გ.ყურაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ.64, 68.
174. იქვე, გვ. 69-71.
175. გ.ყურაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 72-73.
176. გ.ყურაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 78, 79, 118, 120, 122, 123.
177. გ.ყურაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 125, 126, 129, 132, 133, 134.
178. გაზ. "ლიტერატურული საქართველო", 1985 წლის 1 მაისი.
179. ა.ჩარკვიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 134.
180. გაზ. "ახალი სვანეთი" 1986 წლის 29 მაისი.
181. სსრ კავშირის თსცა, ფ.1524, აღწ. I, საქ. 1, ფურც. 3.
182. იქვე.
183. სსრ კავშირის თსცა, ფ.1524, აღწ. I, საქ. 1, ფურც. 3.
184. იქვე.
185. სსრ კავშირის თსცა, ფ.1524, აღწ. I, საქ. 1, ფურც. 4.
186. იქვე, საქ. 6, ფურც. 24.
187. იქვე
188. სსრ კავშირის თსცა, ფ.1524, აღწ. I, საქ. 1, ფურც. 4.
189. იქვე

190. იქვე, ფურც. 5.
191. სსრ კავშირის თსცა, ფ.1524, აღწ. I, საქ. 1, ფურც. 5.
192. იქვე, ფურც. 7.
193. იქვე
194. სსრ კავშირის თსცა, ფ.1524, აღწ. I, საქ. 1, ფურც. 6-7.
195. იქვე, ფურც. 6.
196. სსრ კავშირის თსცა, ფ.1671, აღწ. I, საქ. 1, ფურც. 1.
197. სსრ კავშირის თსცა, ფ.1671, აღწ. I, საქ. 1, ფურც. 1.
198. იქვე, ფურც. 2.
199. სსრ კავშირის თსცა, ფ.1671, აღწ. I, საქ. 1, ფურც. 2.
200. სსრ კავშირის თსცა, ფ.1671, აღწ. I, საქ. 1, ფურც. 2.
201. იქვე, ფურც. 3.
202. სსრ კავშირის თსცა, ფ.1671, აღწ. I, საქ. 1, ფურც. 3.
203. სსრ კავშირის თსცა, ფ.1671, აღწ. I, საქ. 1, ფურც. 3.
204. სსრ კავშირის თსცა, ფ.1671, აღწ. 2, საქ. 2, ფურც. 31.
205. იქვე, ფურც. 34.
206. იქვე, ფურც. 35.
207. სსრ კავშირის თსცა, ფ.1671, აღწ. 2, საქ. 2, ფურც. 76.
208. იქვე, საქ. 5, ფურც. 121.
209. სსრ კავშირის თსცა, ფ.1671, აღწ. 2, საქ. 5, ფურც. 61.
210. იქვე, აღწ. I, საქ. 1, ფურც. 51.
211. სსრ კავშირის თსცა, ფ.1572, აღწ. I, საქ. 1, ფურც. 1.
212. იქვე.
213. იქვე, ფურც. 2.
214. სსრ კავშირის თსცა, ფ.1572, აღწ. I, საქ. 1, ფურც. 2.
215. იქვე
216. იქვე
217. ქედუხრელი კავკასიონი, თბილისი, "საბჭოთა საქართველო", გვ. 77.
218. იქვე, გვ. 76.
219. სსრ კავშირის თსცა, ფ.1572, აღწ. I, საქ. 1, ფურც. 2.

220. იქვე, საქ. 5, ფურც. 3.
221. ქედუხრელი კავკასიონი, გვ. 78.
222. იქვე, გვ. 79.
223. ქედუხრელი კავკასიონი, გვ. 79-80.
224. კ.ცქიტიშვილი, ტ.ჩინჩილაკაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 108.
225. ქედუხრელი კავკასიონი, გვ. 81-82.
226. იქვე, გვ. 82.
227. სსრ კავშირის თსცა, ფ.1572, აღწ. I, საქ. 8, ფურც. 30.
228. ქედუხრელი კავკასიონი, გვ. 83.
229. სსრ კავშირის თსცა, ფ.1572, აღწ. I, საქ. 6, ფურც. 14.
230. იქვე
231. სსრ კავშირის თსცა, ფ.1572, აღწ. I, საქ. 6, ფურც.15.
232. იქვე, საქ. 8, ფურც. 31.
233. სსრ კავშირის თსცა, ფ.1572, აღწ. I, საქ. 8, ფურც. 31.
234. იქვე
235. იქვე
236. იქვე, საქ. 1, ფურც. 3.
237. სსრ კავშირის თსცა, ფ.1572, აღწ. I, საქ. 8, ფურც.32.
238. იქვე, საქ. 1, ფურც. 3.
239. სსრ კავშირის თსცა, ფ.1572, აღწ. I, საქ. 1, ფურც.3.
240. ქედუხრელი კავკასიონი, გვ. 89-90.
241. სსრ კავშირის თსცა, ფ.1572, აღწ. I, საქ. 8, ფურც. 33.
242. იქვე, ფურც. 33-34.
243. ქედუხრელი კავკასიონი, გვ. 90-91.
244. ქედუხრელი კავკასიონი, გვ. 91.
245. სსრ კავშირის თსცა, ფ.1572, აღწ. I, საქ. 8, ფურც. 34.
246. სსრ კავშირის თსცა, ფ.1572, აღწ. I, საქ. 8, ფურც. 36.
247. ქედუხრელი კავკასიონი, გვ. 91-92.
248. სსრ კავშირის თსცა, ფ.1572, აღწ. I, საქ. 80, ფურც. 1-2.

249. სსრ კავშირის თსცა, ფ.1572, აღწ. I, საქ. 81, ფურც. 6.
250. იქვე, ფურც. 7.
251. ქედუხრელი კავკასიონი, გვ. 92-93.
252. ქედუხრელი კავკასიონი, გვ. 94.
253. ქედუხრელი კავკასიონი, გვ. 95-96.
254. სსრ კავშირის თსცა, ფ.1572, აღწ. I, საქ. 82, ფურც. 58.
255. ქედუხრელი კავკასიონი, გვ. 98-99.
256. სსრ კავშირის თსცა, ფ.1572, აღწ. I, საქ. 1, ფურც. 2.
257. სსრ კავშირის თსცა, ფ.1572, აღწ. I, საქ. 80, ფურც. 80 და არწ. 2. საქ. 3, ფურც. 23.
258. იქვე, საქ. 82, ფურც. 15.
259. სსრ კავშირის თსცა, ფ.1572, აღწ. I, საქ. 50, ფურც.31, 32, 33.

თავი 4.
1. სსრ კავშირის თსცა, ფ.1668, აღწ. I, საქ. 1, ფურც.1.
2. იქვე, ფურც. 8-9.
3. სსრ კავშირის თსცა, ფ.1668, აღწ. I, საქ. 43, ფურც.167.
4. იქვე, საქ. 1, ფურც. 12.
5. იქვე, აღწ. I, საქ. 1, ფურც.14.
6. სსრ კავშირის თსცა, ფ.1668, აღწ. I, საქ. 1, ფურც.15.
7. დ. მაჭარაძე, ს.მხარგრძელი, სამშობლოს საზღვრების სადარაჯოზე, იხ კრებული – ქედუხრელი კავკასიონი, თბილისი, 1969 წ. გვ. 188-189.
8. დ. მაჭარაძე, ს.მხარგრძელი, სამშობლოს საზღვრების სადარაჯოზე, იხ კრებული – ქედუხრელი კავკასიონი, გვ. 189.
9. იქვე, გვ. 191-192.
10. დ. მაჭარაძე, ს.მხარგრძელი, დასახ. ნაშრომი, იხ კრებული – ქედუხრელი კავკასიონი, გვ. 193.

11. იქვე, გვ. 190.
12. სსრ კავშირის თსცა, ფ.1668, აღწ. I, საქ. 28, ფურც.14.
13. იქვე
14. სსრ კავშირის თსცა, ფ.1668, აღწ. I, საქ. 28, ფურც.44.
15. იქვე, საქ. 23, ფურც. 51.
16. სსრ კავშირის თსცა, ფ.1668, აღწ. I, საქ. 28, ფურც.54.
17. იქვე, ფურც. 85.
18. იქვე, საქ. 23.ფურც. 85.
19. დ. მაჭარაძე, ს.მხარგრძელი, დასახ. ნაშრომი, იხ კრებული – ქედუხრელი კავკასიონი, გვ. 195.
20. დ. მაჭარაძე, ს.მხარგრძელი, დასახ. ნაშრომი, იხ კრებული – ქედუხრელი კავკასიონი, გვ. 213.
21. იქვე, გვ. 214.
22. სსრ კავშირის თსცა, ფ.1668, აღწ. I, საქ. 89, ფურც.94.
23. დ. მაჭარაძე, ს.მხარგრძელი, დასახ. ნაშრომი, იხ კრებული – ქედუხრელი კავკასიონი, გვ. 214-215.
24. იქვე, გვ. 215-216.
25. იქვე, გვ. 190.
26. ი.სირაძე, 296-ე ქართული მსროლელი დივიზიის ისტორიიდან, იხ. კრებული ქედუხრელი კავკასიონი, თბ., 1969.
27. სსრ კავშირის თსცა, ფ.1598, აღწ. I, საქ. 1, ფურც.1.
28. სსრ კავშირის თსცა, ფ.1598, აღწ. I, ფურც.2.
29. იქვე
30. სსრ კავშირის თსცა, ფ.1598, აღწ. I, საქ. 27, ფურც.15.
31. ი.სირაძე, 296-ე ქართული მსროლელი დივიზიის ისტორიიდან, იხ. კრებული ქედუხრელი კავკასიონი, გვ. 227-228.
32. ი.სირაძე, 296-ე ქართული მსროლელი დივიზიის ისტორიიდან, იხ. კრებული ქედუხრელი კავკასიონი, გვ. 228, 229, 230, 231.

33. სსრ კავშირის თსცა, ფ.1598, აღწ. I, საქ. 1, ფურც.12.
34. სსრ კავშირის თსცა, ფ.1598, აღწ. I, საქ. 1, ფურც.14.
35. იქვე, ფურც. 16.
36. იქვე, ფურც. 19.
37. ი.სირაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 231, იხ. კრებული ქედუხრელი კავკასიონი.
38. სსრ კავშირის თსცა, ფ.1598, აღწ. I, საქ. 1, ფურც. 2-3.
39. იქვე, ფურც. 3.
40. სსრ კავშირის თსცა, ფ.1598, აღწ. I, საქ. 1, ფურც.3.
41. სსრ კავშირის თსცა, ფ.1598, აღწ. I, საქ. 1, ფურც.3.
42. იქვე, ფურც. 4-5.
43. სსრ კავშირის თსცა, ფ.1598, აღწ. I, საქ. 1, ფურც.6.
44. ი.სირაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 234-235.
45. ი.სირაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 234-235.
46. სსრ კავშირის თსცა, ფ.1598, აღწ.I,საქ.1, ფურც. 7.
47. იქვე, ფურც. 8.
48. იქვე, ფურც. 5.
49. სსრ კავშირის თსცა, ფ.1598, აღწ. I, საქ. 3, ფურც.123.
50. სსრ კავშირის თსცა, ფ.1598, აღწ. I, საქ. 3, ფურც.208.
51. სსრ კავშირის თსცა, ფ.1598, აღწ. I, საქ. 3, ფურც.303.
52. სსრ კავშირის თსცა, ფ.1598, აღწ. I, საქ. 3, ფურც.305.
53. სსრ კავშირის თსცა, ფ.1598, აღწ. I, საქ. 3, ფურც.291.
54. სსრ კავშირის თსცა, ფ.1598, აღწ. I, საქ. 34, ფურც.63.
55. სსრ კავშირის თსცა, ფ.1598, აღწ. I, საქ. 34, ფურც.64.
56. ი.სირაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 236.
57. სსრ კავშირის თსცა, ფ.1589, აღწ. I, საქ. 126, ფურც.7.
58. ი. სირაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 236-237, იხ. კრებული ქედუხრელი კავკასიონი.
59. სსრ კავშირის თსცა, ფ.416, აღწ. 634080, საქ. 2, ფურც.1 და საქ. 3, ფურც. 1,6.
60. სსრ კავშირის თსცა, ფ.1730, აღწ. I, საქ. 1, ფურც.1.

61. იქვე, ფურც. 2.
62. იქვე, ფურც. 4.
63. ი. შაიშმელაშვილი, დასახ. ნაშრომი, იხ. კრებული ქედუხრელი კავკასიონი, გვ. 220.
64. სსრ კავშირის თსცა, ფ.1730, აღწ. I, საქ. 1, ფურც.5.
65. იქვე, ფურც. 7.
66. ი. შაიშმელაშვილი, დასახ. ნაშრომი, იხ. კრებული ქედუხრელი კავკასიონი, გვ. 220.
67. სსრ კავშირის თსცა, ფ.1730, აღწ. I, საქ. 1, ფურც.2.
68. იქვე, ფურც. 3.
69. ი. შაიშმელაშვილი, დასახ. ნაშრომი, იხ. კრებული ქედუხრელი კავკასიონი, გვ. 221-222.
70. სსრ კავშირის თსცა, ფ.1730, აღწ. I, საქ. 9, ფურც.4.
71. სსრ კავშირის თსცა, ფ.1730, აღწ. I, საქ. 25, ფურც.1.
72. იქვე, ფურც. 5.
73. სსრ კავშირის თსცა, ფ.1730, აღწ. I, საქ. 25, ფურც.7.
74. იქვე, ფურც. 9.
75. სსრ კავშირის თსცა, ფ.1730, აღწ. I, საქ. 25, ფურც.9.
76. იქვე, ფურც. 15.
77. სსრ კავშირის თსცა, ფ.1730, აღწ. I, საქ. 25, ფურც.15.
78. იქვე
79. ი. შაიშმელაშვილი, დასახ. ნაშრომი, იხ. კრებული ქედუხრელი კავკასიონი, გვ.219-220.
80. სსრ კავშირის თსცა, ფ.1730, აღწ. I, საქ. 9, ფურც.6.
81. იქვე
82. სსრ კავშირის თსცა, ფ.1730, აღწ. I, საქ. 9, ფურც.6-7.
83. სსრ კავშირის თსცა, ფ.1730, აღწ. I, საქ. 9, ფურც.7.
84. იქვე
85. ი. შაიშმელაშვილი, დასახ. ნაშრომი, იხ. კრებული ქედუხრელი კავკასიონი, გვ.222

86. ი. შაიშმელაშვილი, დასახ. ნაშრომი, იხ. კრებული ქედუხრელი კავკასიონი, გვ.222-223.
87. სსრ კავშირის თსცა, ფ.1730, აღწ. I, საქ. 51, ფურც.4
88. იქვე
89. სსრ კავშირის თსცა, ფ.1730, აღწ. I, საქ. 51, ფურც.34.
90. იქვე, ფურც. 101.
91. სსრ კავშირის თსცა, ფ.1730, აღწ. 2, საქ. 13, ფურც.155.
92. სსრ კავშირის თსცა, ფ.1730, აღწ. 2, საქ. 13, ფურც.3-15, 17-31, 32-42, 46-59, 64, 68, 70-72.
93. ი. შაიშმელაშვილი, 406-ე მსროლელი დივიზია, იხ. კრებული ქედუხრელი კავკასიონი, გვ.225.

თავი 5.
1. სსრ კავშირის თსცა, ფ.416, აღწ. 634080, საქ. 1, ფურც.1.
2. ვ.ჯანჯღავა, დასახ. ნაშრომი, გვ.594, 597-599.
3. სსრ კავშირის თსცა, ფ.416, აღწ. 634080, საქ. 1, ფურც.1.
4. იქვე, ფურც. 1-2.
5. სსრ კავშირის თსცა, ფ.416, აღწ. 634080, საქ. 1, ფურც.2.
6. იქვე, ფ.416, აღწ. 683873, საქ. 2, ფურც.1.
7. იქვე, ფ.416, აღწ. 683873, საქ. 3, ფურც.1, 6.
8. იქვე, საქ. 4, ფურც. 5.
9. იქვე, საქ. 5, ფურც. 1.
10. სსრ კავშირის თსცა, ფ.416, აღწ. 634080, საქ. 1, ფურც.2.
11. იქვე
12. იქვე
13. სსრ კავშირის თსცა, ფ.416, აღწ. 634080, საქ. 1, ფურც.2.
14. იქვე
15. სსრ კავშირის თსცა, ფ.416, აღწ. 634080, საქ. 1, ფურც.2-3.

16. იქვე, ფურც. 4.
17. იქვე, ფურც. 5.
18. იქვე, ფურც. 7.
19. იქვე, ფურც. 8.
20. სსრ კავშირის თსცა, ფ.416, აღწ. 634080, საქ. 1, ფურც. 13.
21. იქვე, ფურც. 14.
22. სსრ კავშირის თსცა, ფ.1736, აღწ. 634079, საქ. 6, ფურც.180.
23.
24. სსრ კავშირის თსცა, ფ.416, აღწ. 634080, საქ. 1, ფურც.14.
25. იქვე
26. სსრ კავშირის თსცა, ფ.416, აღწ. 634080, საქ. 1, ფურც.15.
27. იქვე
28. სსრ კავშირის თსცა, ფ.416, აღწ. 634080, საქ. 1, ფურც.15.
29. იქვე, ფურც. 16
30. იქვე, ფურც. 17.
31. სსრ კავშირის თსცა, ფ.1736, აღწ. 633873, საქ. 43, ფურც.159.
32. იქვე, ფ. 416, აღწ. 634080, საქ. 1, ფურც.19.
33. სსრ კავშირის თსცა, ფ.1736, აღწ. 633873, საქ. 50, ფურც.26.
34. იქვე, საქ. 6, ფურც.3.
35. იქვე, საქ. 58, ფურც.73.
36. სსრ კავშირის თსცა, ფ.1736, აღწ. 633873, საქ. 58, ფურც.142, 143.
37. იქვე, ფურც. 153.

38. სსრ კავშირის თსცა, ფ.1736, აღწ. 633873, საქ. 59, ფურც.150.
39. სსრ კავშირის თსცა, ფ.1736, აღწ. 633873, საქ. 59, ფურც.150-151.
40. იქვე, ფურც. 151.
41. სსრ კავშირის თსცა, ფ.416, აღწ. 634080, საქ. 1, ფურც.22.
42. იქვე, ფ.1736, აღწ. 633873, საქ. 78, ფურც.46
43. სსრ კავშირის თსცა, ფ.416, აღწ. 634080, საქ. 1, ფურც.25.
44. იქვე
45. სსრ კავშირის თსცა, ფ.416, აღწ. 634080, საქ. 1, ფურც.25-26.
46. სსრ კავშირის თსცა, ფ.416, აღწ. 634080, საქ. 1, ფურც.28.
47. იქვე
48. იქვე, ფ.1736, აღწ. 633873, საქ. 43, ფურც.476.
49. სსრ კავშირის თსცა, ფ.1736, აღწ. 633873, საქ. 43, ფურც.476.
50. იქვე, საქ. 59, ფურც.155
51. სსრ კავშირის თსცა, ფ.416, აღწ. 634080, საქ. 1, ფურც.53
52. სსრ კავშირის თსცა, ფ.416, აღწ. 634080, საქ. 1, ფურც.1
53. იქვე, ფურც. 2.
54. იქვე, ფურც. 2,5.

შინაარსი

შესავალი (საკითხის ისტორიოგრაფია
და წყაროები);

თავი I - ქართული ეროვნული საჯარისო შენაერთები 1921-1938წწ.

1. ღონისძიებანი ქართული წითელი არმიის შესაქმნელად;
2. პირველი ქართული მსროლელი დივიზიის შექმნა და ფუნქციონირება 1921-1938წლებში;
3. მეორე ქართული მსროლელი დივიზიის ჩამოყალიბება და საბრძოლო მომზადება 1924-1938წწ.;

თავი II – ქართული ეროვნული დივიზიების ხელმეორედ შექმნა და მათი მონაწილეობა მეორე მსოფლიო ომში;

1. 224-ე მსროლელი დივიზიის მოქმედება ყირიმის სადესანტო ოპერაციაში;
2. 388-ე მსროლელი დივიზია ყირიმისათვის ბრძოლებში;
3. 386-ე მსროლელი დივიზიის მონაწილეობა ყირიმის სამხედრო სადესანტო ოპერაციებში;

თავი III – ქართული ეროვნული დივიზიების წვლილი კავკასიისათვის ბრძოლებში;

1. 394-ე მსროლელი დივიზიის მონაწილეობა კავკასიის დაცვაში;
2. 392-ე მსროლელი დივიზიის საბრძოლო მოქმედება კავკასიის თავდაცვით ბრძოლებში;
3. 414-ე მსროლელი დივიზიის საბრძოლო გზა კავკასიისა და ყირიმისათვის ბრძოლებში;
4. 242-ე სამთო-მსროლელი დივიზიის წვლილი კავკასიის უღელტეხილებისათვის ბრძოლებში;
5. 351-ე მსროლელი დივიზიის მოქმედება

კავკასიის დაცვის სამხედრო ოპერაციებში;
6. 276-ე მსროლელი დივიზიის მონაწილეობა კავკასიისათვის ბრძოლებში;

თავი IV – ქართული ეროვნული დივიზიები საბჭოთა კავშირ-თურქეთის სასაზღვრო ზონაში.

1. 349-ე მსროლელი დივიზიის მონაწილეობა თურქეთთან სახელმწიფო საზღვრის დაცვაში;
2. 296-ე მსროლელი დივიზიის სამსახური სამხრეთის საზღვარზე;
3. 406-ე მსროლელი დივიზია სამხრეთის საზღვრის დაცვაში;

თავი V – ქართული ეროვნული დივიზიები ომისშემდგომ პერიოდში (1946-1956წწ);

1. ქართული მსროლელი დივიზიების რეორგანიზაცია;
2. 414-ე ქართული მსროლელი დივიზიის სამსახური ამიერკავკასიის სამხედრო ოლქში;

დასკვნა;

გამოყენებული ლიტერატურა.

ტირაჟი: 3000 ცალი

კომპიუტერული უზრუნველყოფა: მ.მარგველიანი

ფასი: წიგნი გამოიცა ავტორის ხარჯით